



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Sulkhan-Saba Orbeliani 350

Anniversary Collection

Tbilisi 2009

სულხან-საბა ორბელიანი — 350

საიუბილეო კრებული

თბილისი 2009

რედაქტორი

ირმა რატიანი

სარედაქციო კოლეგია:

**ივანე ამირხანაშვილი
მაკა ელბაქიძე
გაგა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორები:

**სოლომონ ტაბუცაძე
მირანდა ტყეშელაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

**თინათინ დუგლაძე
ზვიად ტყეშელაშვილი**

მხატვარი

ნოდარ სუმბაძე

ISBN

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი, 2009.

სარჩევი

ირმა რატიანი

სულხან-საბა ორბელიანი თანამედროვე
რეცეფციების ქრილში.....7

ზაზა ფირალიშვილი

საბა და ქართული კოსმოსი.....10

მალხაზ ხარბედია

20 მოკლე მოგონება
„მოგზაურობა ევროპაში“ — ტექსტის არქეოლოგიის
მცდელობა.....30

თეიმურაზ დოიაშვილი

სულხან-საბას „დიალოგები“56

ლევან ბრეგაძე

ტრადიციული ფაბულა — ახალი შინაარსი.....75

გიორგი გაჩეჩილაძე

რენესანსი და ბაროკო
(წანამძღვრები „ვეფხისტყაოსნისა“ და „სიბრძნე
სიცრუისას“ შედარებითი ანალიზისთვის).....80

თინათინ ბოლქვაძე

სულხან-საბას ლექსიკონის სემიოზისი.....92

ლია ბაკურაძე

ართრონი და მისი ერთი ფუნქცია საბას ლექსიკონის
მიხედვით.....116

მერაბ ლალანიძე

„სამოთხის კარის“ ტექსტის ისტორია:
წყაროები, რედაქციები, კონფესიური პოზიციები.....137

დარეჯან მენაბდე	
სულხან-საბა ორბელიანი უცხოურ ენებზე.....	150
როსტომ ჩხეიძე	
„სიბრძნე სიცრუისა“ და „თეთრი დათვი“ (სულხან-საბას არაკთა პოსტმოდერნისტული ვერსიები).....	188
რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია.....	204
პირთა საძიებელი.....	257

სულხან-საბა ორბელიანი თანამედროვე რეცეფციების ქრილში

საქართველოს ისტორიაში არიან პიროვნებები, რომელთაც საეტაპო როლი შეასრულეს ქართულ სამწერლობო და სამეცნიერო, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე. ერთ-ერთი უპირველესთაგანია სულხან-საბა ორბელიანი, რომლის დაბადებიდან 350 წლის იუბილე გასულ, 2008 წელს საგანგებოდ აღინიშნა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

სულხან-საბა ორბელიანის განსაკუთრებული წვლილი საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორით არის განსაზღვრული: საბამ არა მარტო უერთგულა საკუთარ საზოგადოებრივ პრინციპებს, არამედ, ხელი შეუწყო მთელი საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის ჩამოყალიბებას საკმაოდ რთულ და წინააღმდეგობრივ ეპოქაში; არა მარტო იმოგზაურა ევროპაში, არამედ მოახდინა ევროპეისტიული აზროვნების რეკონსტრუქცია საქართველოში — აღმოსავლური კულტურული მოდელისადმი განწყობილ ქართულ სააზროვნო და ლიტერატურულ სივრცეს დამაჯერებლად შესთავაზა ევროპული ნეოკლასიკური კულტურის ტენდენციები; მისი ტექსტი „მოგზაურობა ევროპაში“ იქცა არა მარტო კულტურულ-სამეცნიერო, გეოგრაფიულ, ისტორიოგრაფიულ და ლიტერატურულ-ჟანრულ მოვლენად, არამედ — ინტელექტუალურ ორიენტირად საბას თანამედროვე ევროპულ კულტურაში. მეტიც, საბასეული მოგზაურობის ტექსტმა დასაბამი მისცა ინტერკულტურული კომუნიკაციების ლიტერატურულ ტრადიციას საქართველოში და საფუძველი ჩაუყარა უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან ქართულ სამოგზაურო ნარატივს, რომელმაც შემდგომ ეპოქებში გაგრძელება ჰპოვა გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვათა შემოქმედებაში. სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ტექსტების, ლექსიკონების, რელიგიური ხასიათის შრომებისა თუ ქადაგებანის ლიტერატურული და სარწმუნოებრივი, ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობა არ შემოისაზღვრა მხოლოდ მისი დროით, არამედ შეინარჩუნა აქტუალობა დღესაც. მსგავსი სიცოცხლისუნარიანობა კი სულხან-საბას მიერ ორგანიზებული ლიტერატურული და სახელმწიფოებრივი პარადიგმის კონცეპტუალური და სტრატეგიული მნიშვნელობის მაჩვენებელია.

ის იყო გამორჩეული გემოვნებისა და ხედვის მქონე მწერალი, განსაკუთრებული სიღრმისა და მასშტაბის ლექსიკოგრაფი, უბადლო კომენტატორი და რედაქტორი. შესაბამისად, სავსებით მოტივირებულია თანამედროვე ქართველი მეცნიერების დიდი ინტერე-

სი საბას პიროვნებისა და მემკვიდრეობისადმი. მრავალი საკითხი, დაკავშირებული სულხან-საბას შემოქმედებასა თუ ბიოგრაფიასთან მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლას, გადასინჯვას, რევიზიასა და რეინტერპრეტაციას, იქნება ეს მისი კონფესიურობის საკითხი, მწერლის ბიოგრაფიასთან თუ იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებასთან ასოცირებული არაერთი სადავო ეპიზოდი, ამა თუ იმ ნაწარმოების დანერის თარიღის სისწორე, ზოგიერთი იგავის გენეზისის პრობლემა და სხვა. თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობა ვალდებულია, სცადოს ამ კულტურულ-ლიტერატურულ ბუნდოვანებათა კვალიფიციური განმარტება უახლესი ფილოლოგიური სტანდარტების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ლიტერატურული პროცესებისა და ფიგურების არა მარტო ლიტერატურათმცოდნეობით ანალიზს, არამედ ინტერპრეტაციას ფართო კულტუროლოგიურ ჩრჩილში. ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, ისევე როგორც ყოველი სხვა პროგრესირებადი დარგი მეცნიერებისა, ითხოვს ახალი ხედვების დანერგვას, კვლევის ჰორიზონტების გაფართოებას, კონცეპტუალურ და სტრუქტურულ ინოვაციებს, რათა მკითხველ საზოგადოებას შესთავაზოს ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პერსონაჟების თანამედროვე რეცეფცია. სწორედ ამ ამოცანის დაძლევის წარმატებულ მცდელობას წარმოადგენს წინამდებარე კრებული, რომლის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად და სტრატეგიულ სიახლედ უნდა განისაზღვროს კვლევა იმ იდეოლოგიური, პოლიტიკური და კულტურული კონტექსტისა, რომელშიც აღმოჩნდა ქართული კულტურა და მისი დიდი მოამაგე.

სულხან-საბა ორბელიანმა ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ნაკლებად ნაკითხულ ეპოქაში იცხოვრა. ეს არის დრო ახალი ქართული იდენტობისა და კულტურული სტრატეგიების ფორმირებისა, რომლის ფონზეც კარდინალურ აღორძინებასას იწყებს ქართული ლიტერატურული პროცესი. ერთი მხრივ — აღმოსავლეთი მისი ესთეტიკური პრინციპებითა და ლიტერატურული კანონებით, მეორე მხრივ — დასავლეთი, ერთხელ უკვე დაძლეული გამოცდილება, მისი კონცეპტებით, რელიგიური ტრადიციებითა და პოეტიკური ნოვაციებით. რა როლი შეასრულა სულხან-საბამ ამ ისტორიული და კულტურული ტრანსფორმაციების ეპოქაში? როგორ შეიძლება აღინეროს და განისაზღვროს ეპოქის პოლიკულტურული კონტექსტი? როგორი იყო საბას მოგზაურობის კონცეფცია, ისტორია და გეოგრაფია? რამდენად მართებულადაა შეფასებული საბასეული ტექსტები? ხომ არ დადგა დრო, წავიკითხოთ ისინი თანამედროვე კვლევითი მეთოდოლოგიების ჩრჩილში?

კრებულის ავტორები შეეცდებიან, პასუხები გასცენ ამ რთულ და მასშტაბურ კითხვებს, მაგრამ, რაც მთავარია, ეცდებიან დაასა-

ბუთონ, რომ ყოველი ღირებული ტექსტი შრეობრივი სისტემაა და მუდმივად განახლებად რეცეფციას ექვემდებარება. ამ მისწრაფების ერთ-ერთი დადასტურება არის რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც ერთვის კრებულს (ისევე როგორც ამ სერიის პირველ ნიგნს — „ილია ჭავჭავაძე 170. საიუბილეო კრებული“) და საშუალებას აძლევს სულხან-საბას ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს, თვალი გადაავლოს ძირითად სამეცნიერო ლიტერატურას, შეარჩიოს მისთვის სასურველი მასალა, გაეცნოს, გააზროს და დაფიქრდეს კვლევის ახალ პერსპექტივებზე.

სულხან-საბა ორბელიანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულის გამოცემა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიაში და მაჩვენებელია იმისა, რომ დიდი მოღვაწის ნააზრევი, მისი პიროვნული თუ შემოქმედებითი პრინციპები კვლავაც ინარჩუნებს აქტუალობას და იწვევს მეცნიერთა ფართო წრის ინტერესს.

ირმა რატიანი

საბა და ქართული კოსმოსი

წინათქმა

წარსულში იოლად შეიძლება საკუთარი თავს შევხვდეთ და გავიაზროთ, რომ სულის ის რელიეფი, რომლის მატარებელიც აქ და ახლა ვართ, ოდესაღაც სხვა სამოსში, სხვა ნიშანთა არსენალით გამოითქმოდა. ამით წარსულის გაგებასა და ანმყოში ყოფნას შორის თითქოს საზღვარი ქრება. საბას სამყაროც, პირველ რიგში, ალბათ, იმითაა საინტერესო, რომ მის კოტურებში ჩვენი დღევანდელი ყოფის პრეფიგურაციები იჩენს თავს, მასში განსხვავებული სამოსით მოსილ საკუთარ თავს ამოვიცნობთ და მის წინაშე მყოფებს უნებლიედ გაგვიელვებს: „მე შენ გიცანი“. წარსული ანმყოსთან ხომ უცნაური დაფებითაა მიბმული და ამ ბმაზე ვერც ვისაუბრებდით „აქ“ და „ახლა“-ში მისი რალაცნაირი მონაწილეობის გარეშე. ჩვენ რომ მართლაც შეგვეძლოს წარსულის უკან მოტოვება და მისი სადღაც უკან, განვლილში, განთავსება, მაშინ ეს ბმაც არ იარსებებდა. არადა, ბმა არსებობს და თითქოს ერთხელ და სამუდამოდ მიტოვებული წარსული კვლავ და კვლავ ცდილობს ანმყოს სხეულში გაცოცხლებას. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, გავექცეთ მას, ან, ბოლოს და ბოლოს, მომხიბლავი ნიღბებით შევმოსოთ და ასე მივივიწყოთ, იგი კვლავ და კვლავ თვალთმაქცურად იმოსება ჩვენი ნიღბებით და დაბრუნებას ცდილობს — ანმყოს საუფლოში, იქ, სადაც ჩვენ ვართ. ეს რალაცით ჰგავს პირველყოფილ რწმენას, რომ გარდაცვლილთა სულები შეიძლება ცოცხალთა სხეულებში ჩასახლდნენ და მხოლოდ ჯადოქართა განსაკუთრებული ძალისხმევით თუ განიდევნებიან ისინი თავიანთ სამარადისო სამყოფელში.

ამოტომაცაა, რომ ზოგჯერ არსებობის იმგვარ რელიეფში აღმოვჩნდებით ხოლმე, რომელიც, ერთი შეხედვით, უკვე კარგა ხანია უკან მოვიტოვეთ და აღარაფერი გვაკავშირებს მასთან. რალაც შინაგანი და ამოუცნობი კანონზომიერებების ძალით გამჟღავნებას იწყებს ის დინამიკური ძალები და არსებობის ფორმები, რომლებიც, ზრელე შეხედვით, თუ გვეხება, მხოლოდ როგორც ჩვენი ნაშთი და მეტი არაფერი.

იმ თაობისათვის, რომელმაც საქართველოში 80-იანი წლების დასასრულსა და 90-იანი წლების დასაწყისში იცხოვრა, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს საბას ეპოქა. თუ გავიხსენებთ პოლიტიკაში პარანოიალური თავნებობისა და ბანდიტური მორალის გაბატონებას; თუ გავიხსენებთ 90-იანი წლების „ტყვეთა სყიდვა-

ში“ სახელმწიფოს უმაღლესი პირების მონაწილეობას; თუ გავიხსენებთ სახელმწიფოებრივი ცნობიერების იმ ეროზიასა და საბედისწერო დეფიციტს იმისა, რასაც არისტოტელე ფრონეზისს უწოდებდა, ანუ დეფიციტს პრაქტიკული სიბრძნისა, რომლის მომარჯვებითაც საზოგადოებამ სახელმწიფოებრივი ფორმების შესაქმნელად რადიკალურ განწყობილებებს შორის უნდა გააღწიოს და ცალკეულთა თავნებობა დაძლიოს; დაბოლოს, თუ გავიხსენებთ საგარეო და საშინაო პატრონისა და სასწაულთმოქმედის მუდმივ ძიებას, რაც სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი უუნარობის აღიარება, ძნელი გასაგები არ იქნება, რას ვგულისხმობთ. შეიძლება ისიც ითქვას, რომ 80-იანი წლების ბოლოს განცხადებული ლოზუნგი: „ყველაფერი უნდა დავინყოთ 1801 წლის საქართველოდან“ არა მხოლოდ არ იყო საზრისს მოკლებული, არამედ, უფრო მეტიც, იგი ჩვენი ბედისწერის გამომხატველიც გახლდათ: გვსურდა თუ არა, ჩვენივე მოქსოვილი ბედისწერა მაინც გვამოგზაურებდა წარსულის ლაბირინთებში და გვაიძულებდა, კიდევ ერთხელ მოგვეხილა ის, რაც XVIII საუკუნის ბოლოს მხოლოდ ქრონოლოგიურად მოვიტოვეთ უკან, როდესაც მივხვდით, რომ ფიზიკური გადარჩენისათვის ერთხანს მაინც უნდა ამოვვარდნილიყავით ისტორიიდან, რადგან არსებობის ის ფორმები, რომლებიც ჩვენს საგარეო მტრებთან ერთად შეექმენით, გარდუვალ დალუპვას გვიქადდნენ.

წარსულის ამგვარ მობრუნებას არაფერი ან თითქმის არაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ რწმენასთან იმის თაობაზე, რომ ადამიანის ამქვეყნიური სვლა სხვა არაფერია, თუ არა უფლის მიერ იმთავითვე ნაწყალობევი ნათლისაკენ სვლა და რომ ეს ნათელი სახეთა და ფორმათა მრავალფეროვნებაში იკვალავს გზას. ამგვარი სვლა სულის გათავისუფლებას გულისხმობს იმ მახეებისაგან, რომელთაც თავადვე ქმნის თავისი მთვლემარებითა და უმწეობით. წარსულის ის მობრუნება, რომელზეც ვსაუბრობთ, სხვა არაფერია, თუ არა მასში, როგორც მახეში მიბრუნება და იქ ჩარჩენა. სხვაგვარად ამას სულის თვითმუმიფიცირებას ვუნოდებდით, რომელსაც შეიძლება ნებითაც ვენოდეთ და უნებურადაც.

ამით წარსულის იდეას თითქოს ვაორმაგებთ: ერთის მხრივ, იგი წარმოადგენს იმას, რაც უკან მოგვიტოვებია, როგორც ნაშთი და ერთგვარი წარჩენი, მეორეს მხრივ, იგი არის ის, რაც ჯერ ვერ გავგიმჟღავნებია და რაც, როგორც ღვთის მადლი, დღესაც გვაიმოძრავებს. იგი ერთიცაა და მეორეც. გადამწყვეტი, ალბათ, ის არის, რომელს მივაპყრობთ ჩვენს ყურადღებას და რომელს გავაბატონებთ ჩვენი სულის სივრცეზე: წარსულს, როგორც ჩვენში იმთავითვე ჩადებულ ნათელს და მისი გამჟღავნების დიად პრეცედენტებს (საბას ცხოვრებაც ხომ სწორედ ამგვარი დიადი პრეცედენტი იყო), თუ იმ წარსულს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა

ნათლისაკენ სავალ გზაზე მოტოვებული ნარჩენი, თავის ერთხელ და სამუდამოდ განხორციელებულ გამჟღავნებაში ჩაკეტილი სული, მარადი მეორადი გადამუშავების პროდუქტად რომ უქცევია საკუთარი თავი. გავიხსენოთ, თუ როგორ ხშირად მეორდება ქართულ ზღაპრებში იმპერატივი, გმირს უკან მიხედვას რომ უკრძალავს, რადგან უკან მიბრუნება გაქვავებას, თვითმუმიფიცირებას ნიშნავს. თუ პირველი გვექნება მხედველობაში, მაშინ ჰაიდგერის კვალდაკვალ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავლისაკენ სვლა, არსებითად, ნარსულისაკენ სვლაა. ხოლო მეორე ის ნარსულია, რომელიც, უკვე ამ გაგებისაგან განსხვავებით, მუმიფიცირებით გვემუქრება და რომელიც ჩვენმა უგუნურმა ძალისხმევამ და ისტორიის უღმობელმა დემონებმა მოქსოვეს, როგორც ღვთისაგან ბოძებული ნათლის ჩიხი და, მაშასადამე, ბოროტება — მახე, რომელსაც ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ქართული სულიერების სამი ნეგატიური მეტაფორით — ლუარსაბით, ყვარყვარეთი, კვაჭით და მათი მარადი ბელადით, მათი ფსევდოეპიური კლონით, მათი მეორეული და მესამეული გადამუშავებისა და შენიღბვის პროდუქტით — სტალინით აღვწერთ (იგულისხმება არა სტალინი, როგორც რეალური პოლიტიკური აქტორი, არამედ ის ხატება, რომელიც ამ აქტორისაგან კოლექტიურმა საზოგადოებრივმა მუცლითმეზღაპრეობამ შექმნა).

ამიტომაც არის ღირებული ნარსულის შესწავლა და გაგება. იგი არ შეიძლება მხოლოდ ყალბი ნაციონალ-მისტიკური და ნაციონალ-უტოპიური რომანებისა თუ თეორიების საგნად გადავაქციოთ. ის ზნეობრივი და ინტელექტუალური კრიზისი, უფრო კი, წყვდიადი, რომელიც საქართველოში XV საუკუნის შემდეგ მეფობდა, ხელახლა განცდას და გაგებას საჭიროებს და არა იდეალისტი ჟამთაღმწერელის პიეტეტსა და მითისმთხზველობას; ამ უკანასკნელის ძალისხმევა ამ შემთხვევაში ხომ, უმაღლეს, დამცირებულის მიერ ღირსების შენარჩუნების მცდელობას მოემსახურება, ვიდრე — გათავისუფლებასა და ახალი პერსპექტივების გაშლას.

საბას სამყარო

რა თქმა უნდა, საბას ეპოქის წინა საუკუნეებში შეიძლება დასახელდეს არა ერთი მოვლენა, რომელთაც განსაზღვრეს ქვეყნის ბედი და ქართული სახელმწიფოსათვის სავალალო შედეგი იქონიეს. ასეთი იყო მონღოლთა შემოსევა, თურქული ტომების მოძალევა დასავლეთით და, საბოლოოდ, 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემა, რაც აღმოსავლეთ-ქრისტიანული სულიერი სამყაროს ნგრევას ნიშნავდა და ბუნებრივია, პოლიტიკურ და ეკონომი-

კურ მიზეზებსაც რომ არ ეარსება, საქართველოს მაინც გადმოსწვდებოდა.

ცნობილია, რომ გეოპოლიტიკა ბიზანტიური რელიგიურობის განუყოფელი ნაწილი იყო და იგი მთელი ქრისტიანული სამყაროს ერთ რელიგიურ-პოლიტიკურ მთლიანობად შეკვრის იდეით იყო გაჟღენთილი. ამით იყო განპირობებული ბიზანტიური პოლიტიკის ექვიანი დამოკიდებულება არა მხოლოდ დასავლური ქრისტიანობის, არამედ იმ მართლმადიდებელი სახელმწიფოების მიმართაც, რომლებიც სუვერენიტეტისაკენ მიისწრაფოდნენ და უარს ამბობდნენ ბიზანტიის პოლიტიკური პირველობის აღიარებაზე. მიუხედავად ამ შინაგანი წინააღმდეგობისა, ეს სამყარო მაინც წარმოადგენდა ერთ სულიერ მთლიანობას, რომელსაც პოლიტიკური ურთიერთობების ხასიათი ვერ აზარალებდა. კონსტანტინოპოლის დაცემა (რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა ბიზანტიის მიმართ ჩამოყალიბებულმა უარყოფითმა დამოკიდებულებამ) აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს მარცხის ნიშანი იყო, რომელსაც ინერციით მისი შემორჩენილი ფრაგმენტების განადგურება თუ არა, მათი ისტორიულ მოვლენათა პერიფერიაზე გადასროლა უნდა მოჰყოლოდა.

მიუხედავად საქართველოსა და ბიზანტიას შორის არსებული მუდმივი ქიშპისა და ბერძენთა მცდელობისა, რომ საქართველო ყოფილიყო არა მხოლოდ ბიზანტიური სულიერი კოსმოსის, არამედ პოლიტიკური წესრიგის ნაწილიც; მიუხედავად ყბადალებული ბიზანტიური სივერაგისა და მუდმივი შეთქმულებისა ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ, (რაშიც მას არაჩვეულებრივად დაემსგავსა მისი თვითმარქვია მემკვიდრე — რუსული მესიანისტური აზროვნება); მიუხედავად ბიზანტიური პოლიტიკური სამყაროს მიმართ მუდმივი უნდობლობისა, კონსტანტინოპოლის დაცემა აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს ჰაერში გამოკიდებულ და მუსლიმურ სამყაროში გაფანტულ ნაწილებად დაშლას ნიშნავდა. ჩვენი ქვეყანაც, გადარჩენისაკენ მიმართული მცირე მცდელობების შემდეგ, დამანგრაველი ისტორიული სტიქიების ტყვეობაში აღმოჩნდა.

კაცობრიობის ისტორიამ იცის არაერთი ფაქტი, თუ როგორ შობდა აღსასრულის კოლექტიური მოლოდინი თავის ბოროტ ნაყოფს ზნეობრივი და რელიგიური რელატივიზმის სახით. სამწუხაროდ, საქართველოს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სწორედ ამგვარ ზნეობრივ ინერციაში მოუწია არსებობა: ქვეყნის დაშლის დადასტურებიდან 1490-იანი წლებში 1801 წელს ისტორიული კაპიტულაციის მომენტამდე. სიტუაცია უფრო და უფრო ემსგავსებოდა ქვეყნიერების დასასრულის მოლოდინით აღძრულ თავაშეგებლობას. აღმოსავლეთ ქრისტიანული კოსმოსის ნგრევამ უცნაური წესით ორმაგი მორალით ცხოვრების უნარი გაამართლა, ამ უკა-

ნასკნელმა — ტყვეთა სყიდვა შვა — უმძიმესი ზნეობრივი ფენომენი ნებისმიერი ქრისტიანი თუ არაქრისტიანი ხალხისათვის, ამასთან ერთად კი — მისი კომუფლირების უნარი ნაციონალ-ფეტიშისტური რიტორიკით. აქ ლაპარაკი არ არის, უბრალოდ, მონებით ვაჭრობის თაობაზე, რისი სახადიც, ასე თუ ისე, ყველა ხალხს მოუხდია. ლაპარაკია სწორედ საკუთარი თავის ჯიშის მონების წყაროდ ქცევაზე, იმ ბოროტ შემართებაზე, რომლითაც ქართული არისტოკრატისა თუ სასულიერო ფენის წარმომადგენლებმა ეს ფენომენი კომერციად აქციეს და ამით ცხადი გახადეს, რომ ქართული სულიერება მძიმე სენით იყო დაავადებული.

მაკარი ანტიოქიელის მოგონებებიდან: *„ჩვენ ვნახეთ ეპისკოპოსი, რომელმაც ერთ კაცს ცოლი და ოთხი შვილი წაართვა. ოთხივე შვილი თურქებს მიჰყიდა, ქალი კი სხვა კაცს მიათხოვა. (. . .) ჩვენ ისიც გავიგეთ, თუ როგორ წაართვა ამ კაცს ზემოთხსენებულმა ეპისკოპოსმა ცოლი და, თუმცა ქალს ქმარი ცოცხალი ჰყავდა, იგი ერთ მღვდელს შერთო ცოლად (. . .) ჩვენ ვნახეთ ამ ქალის ქმარი. იგი გვეახლა და შემოგვჩვილა თავისი მდგომარეობა“* (მაკარი ანტიოქიელი 1982: 97).

„საკუთარი თვალთ ნანახსა და საკუთარი ყურით მოსმენილს მოვახსენებთ, რომ ზოგიერთი ქართველი მღვდელმთავარი ყიდის თავისი სამწყსოს ლამაზ გოგო-ბიჭებს, პირმშენიერ ქალიშვილებსა და ყველას, ვისაც თავს მისი რისხვა დაატყდება. ტყვეებით მოვაჭრენიც მას საამისოდ აქეზებენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ კაცს თვალნინ ცოლს უყიდიან, ანდა კაცს ყიდიან ცოლის თვალნინ“ (მაკარი ანტიოქიელი 1982: 97-98).

ჩვენ ვნახეთ, როგორ გაყიდა მარტო ერთ წელიწადში მარქვის ეპისკოპოსმა, სახელად ანდრიაშ, თავისი სამწყსოს სამოცი კაცი. ოცდასამი გაყიდა ქობულეთის ნავსადგურში, გურიის ქვეყანაში რომაა, დანარჩენი კი, ყველანი ერთად, შავი ზღვის სხვა ნავსადგურში. ეს წყეული მოგკვეთე, გადავაყენე და ეპისკოპოსად ახალი ღირსეული კაცი ვაკურთხე“.

ჩვენ გვიამბეს: ორმოცი წლის წინ ერთ თავადს ნათესავი მოკვდომია. მას თავისთან მეზობელი მღვდლები დაუბარებია. სულ დაახლოებით ორმოცდაათი მღვდელ-დიაკვანი შეკრებილა. ამათ ამ თავადის გარდაცვლილი ნათესავის სახელზე უწირავთ. ამის შემდეგ თავადს მღვდელ-დიაკვნებისათვის უსმევ-უჭმევია, მერე კი მსახურებისათვის უბრძანებია — ყველას ხელ-ფეხი მეუკარით, თავ-წვერი მოპარსეთ და გაყიდეთ“ (მაკარი ანტიოქიელი 1982: 98).

ტყვეთა სყიდვა, სასახლეებში გაბატონებული გარყვნილება, პირველი ღამის უფლება, ყოველგვარ ზნეობრივ და რაციონალურ მოტივებს მოკლებული სასახლის კარის შეთქმულებები და, ვინ

იცის, კიდევ რა, ჩვენს თვალწინ შლის დრამას დასწრეულს სხეულისა, რომელიც საკუთარი ასოების გლეჯის ვნებას მისცემია და ამ ვნების სიხარულით ტკბება. ეს ის სიტუაციაა, როდესაც ზნეობა, გონება თუ ადამიანური ღირსების რწმენა პრაგმატული და ყოჩაღი ბიჭების დაცინვის საგნად გადაქცეულა, უფრო მეტიც, ისინი სწორედ ერთეულთა ადამიანურ ღირსებაზე აგებენ საკუთარ ბნელ საქმეებს.

ბზარები, რომლებიც ერთიანი სახელმწიფოებრიობის ცნობიერებაში გაჩნდა, მცირე ხნის ინერციის შემდეგ ერთიანი სახელმწიფოებრიობის ერთგვარმა გროტესკულმა ანარეკლებმა შეავსეს. აქ იგულისხმება ეროზია იმ ყალიბისა, რომელშიც სახელმწიფოებრივი აზრი უნდა ჩამოსხმულიყო. ამის შედეგად მთელი ქართული სინამდვილე სახელმწიფოებრიობის სიმულირების იმ ვითარებაში აღმოჩნდა, რომელსაც ახლადწარმოშობილი ჯუჯა სამეფოები და სამთავროები განასახიერებდნენ და ეს უკანასკნელებიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თამაშობდნენ კარნავალს, უმალ პროვინციულ თეატრში დადგმულ შექსპირს რომ მოგაგონებდა, ვიდრე ამაღლებულ სახელმწიფოებრივ წარმოდგენას. საგარეო მტერიც ურიგდებოდა მისთვის ხელსაყრელ ამ სახიობას, უფრო მეტიც, ხელსაც უწყობდა მას, რადგან ეს იყო დაპყრობილთა დამორჩილების უნივერსალური ხრიკი, ჯუჯა მეფეებსა და მთავრებს, მორჩილების სანაცვლოდ, სახელმწიფოებრივი წარმოდგენის თამაშის უფლება ეძლეოდათ.

მაკარი ანტიოქიელის მოგონებებიდან: „როცა ქართველი მეფე ომში მიდის, მას თან მიჰყვება ყველა მღვდელმთავარი და მღვდელ-მონაზონი თავიანთი მრევლით. ისინი ებრძვიან ძმებს — ასეთივე ეპისკოპოსებს, მღვდლებსა და მეზობელ ქრისტიანებს. თუ ერთმა მხარემ მეორეს სძლია, მაშინ გამარჯვებული ეპისკოპოსები და მღვდლები ატყვევებენ დამარცხებულებს და არ დაგიდევენ, ვინაა მათი ტყვე: ეპისკოპოსი, მღვდელი თუ უბრალო მრევლთაგანი. ისინი დამარცხებულებს უფრო ცუდად ექცევიან ხოლმე, ვიდრე ბარბაროსი — ქრისტიანს; თუ მოინდომებენ, ტყვეებს მიჰყიდონ თურქებს ან სპარსელებს. განსაკუთრებით ღარიბების სახლებს არბევენ, ატყვევებენ და ჰყიდონ; ან არა და ყმებად იხდიან, ვიდრე ისინი დიდძალი ფულით თავს არ გამოისყიდონ“ (მაკარი ანტიოქიელი 1982: 95-96).

ამ ვითარებაში სახელმწიფოებრივი ცნობიერება უბრალო ადამიანს თუ შერჩენოდა თავისი შეუმცდარი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტით. კიდევ — განდობილთა მცირერიცხოვან ჯგუფებს, რომლებიც ჯერაც ცდილობდნენ ისლამის აბობოქრებულ ზღვაში მოტორტმანე ეს დაბზარული სხეული ერთიანი სახელმწიფოებრივი იდეითა და საკომუნიკაციო სივრცით შეეკრათ. მაგრამ ამ ეტაპზე

მათ უკვე სრულიად განსაკუთრებულ მტერთან უწევდათ ბრძოლა — ყბადაღებულ ქართულ თვითნებობასთან, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დესტრუქციულ ძალასთან, რომელიც დღემდე ერთ-ერთ ყველაზე დამანგრეველ, ერთ-ერთ ყველაზე დამლუპველ ძალად რჩება, რომლის გამოც ჩვენს საზოგადოებას ჯერაც ვერ უმართავს თავისი არც ისე დიდი სხეული და ვერ მოუხერხებია თავისი მოძრაობის კოორდინირება.

* * *

XII-XVII საუკუნეების ევროპაში (ესპანეთში, გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში) დაძრწოდნენ ბოგანოთა ჯგუფები, რომლებსაც კომპრაჩიკოსებს ან კომპრაპეკენოსებს ეძახდნენ. ისინი იტაცებდნენ ბავშვებს, საგანგებო ფორმის თიხის ჭურჭელში დიდი ხნის მანძილზე ჩამწყვდევით ამახინჯებდნენ და შემდეგ, როგორც ცოცხალ კარიკატურებს, დიდგვაროვანთა კარზე ყიდდნენ. არის რაღაც ბანალური და ბოროტად განმეორებადი იმაში, თუ როგორ გადააქცევს ადამიანური სისუსტე ღვთისაგან ბოძებულ ნათელს ამავე ნათლის მახინჯ ყალიბად და თავადვე როგორ აწყდება შემდეგ საკუთარი ძალისხმევით ნაგებ კედლებს. ლუარსაბი, ყვარყვარე და კვაჭი საკუთარ თავზე ამგვარი კოლექტიური ძალადობის ნაყოფია, ძალადობისა, როდესაც საკუთარი თავიდან საკუთარი თავისვე საპყრობილეს ძერწავ. და თუ მათში ჯერ კიდევ უზვადაა კარიკატურის სალაღობო ელემენტები, რაც მათგან დისტანცირების საშუალებას გვაძლევს, დიდი იოსები უკვე მტრულ სამყაროზე შურისძიების არქიმონუმენტურ სიმბოლოდ გვევლინება. კარიკატურა ჯერ კიდევ ტოვებს მოძრაობისა და სიცოცხლის სივრცეს. სტალინის მონუმენტურობა კი უკვე საშიში სიმპტომია იმისა, რომ კარიკატურას კარიკატურად ვეღარ აღიქვამ და იგი შენთვის ყოფიერებასთან ურთიერთობის მთავარ იარაღად გადაქცეულა.

ამ სამმა მეტაფორამ, მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართული სინამდვილის რაობა მთელი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების განმავლობაში. გასული საუკუნის 90-იან წლებში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი პირველ რიგში სწორედ მათ შეგვაშველეს თავი, როგორც ყავარჯნებმა, როგორც სამყაროში ყოფნის ჭეშმარიტი სტრატეგიის თვალთმაქცმა განმასახიერებლებმა. აღმოჩნდა, რომ ისტორიულმა ბედისწერამ და მასზე მორგებულმა ჩვენი სულის ბევრმა უგვანო პოტენციამ იმგვარ ყალიბში მოგვაქციეს, რომ სხვა ვერაფერი გვეშვა. ასე ააგეს ისტორიულმა ბედისწერამ და ჩვენმა მარადმა უმწიფარობამ ჩვენივე სულის ეს სამი უცნაურად მყარი ფორმა.

ჩანს, რომ სწორედ საბას ეპოქაში იკვეთებოდა და იბადებოდა ეს სამი კოლექტიური დემონი, რომელთაც ჩვენი ზერელობის

წყალობით ეწერათ, მთელი ჩვენი საკომუნიკაციო სივრცე გაეჟღერებინათ. კვდომასაც აქვს თავისი სახე. ჩვენს შემთხვევაში მას უცნაური და ბოროტი სამსახოვნება შეუძენია — სულის ცხოველმყოფელობის იმ სამი იმიტაციისა, რომლებიც საიმისოდ, რომ იოლად ვერ ამოვიცნოთ, საგანგებოდ შემოსილან ეგზოტიკურ-ეთნოგრაფიული სამოსით. კაცობრიობის მტერი არასოდეს კლავს ადამიანებსა და კულტურას მათთვის უცხო გარემოში. პირიქით, თუ კლავს — სწორედ ნაცნობსა და ახლობელში. სწორედ ამიტომ არის ამგვარი კვდომის ფორმა ყალბი და კუნსტკამერული ეთნოგრაფიულობა. სწორედ ამიტომაც იღებს ეთნოგრაფიულ სამუზეუმო სახეს ამგვარი კულტურის არსებობა, ხოლო ადამიანები „ჭეშმარიტ“ კულტურასთან და რწმენასთან იდენტობას ეთნოგრაფიულ თოჯინებთან მსგავსებაში პოვებენ.

ასე იწყებენ მოძრაობას ჩვენი კულტურის სხეულში „ფეხზე მოსიარულე მიცვალებულები“ — ლუარსაბი, როგორც მუმიფიცირებულ სულის გასტრონომიული მეტაფიზიკის განსახიერება; ყვარყვარე, როგორც ლაჩარი და აგრესიული უმეცრება, „ღვთის სიკვდილის“ ეპოქის პროდუქტი, რომელსაც აღარაფერი უმლის ხელს, რომ სრული მეტაფიზიკური კომპეტენცია იკისროს, თავი დემიურგოსად წარმოიდგინოს და მთელი თავისი უგუნური, უგვანი ფანტაზიები რეალურ პროექტებად აქციოს; ბოლოს კვაჭი, სრული და ყოვლისმომცველი ზნეობრივი რელატივიზმის ეს ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი განსახიერება.

ის, რაც, როგორც სენი, ჩვენს ეროვნულ სხეულში ფარულად იყო განაბული (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კულტურისა), ქართული სულიერების წყვდიადის ამ ეპოქაში — საბას ეპოქაში, იწყებს კულტურის მთელი საკომუნიკაციო სივრცის გაჯერებას, რადგან სწორედ მაშინ გახდა დასაშვები და შესაძლებელი, რომ ადამიანებს ზნეობისა და გონების კანონების გარეშე ეარსებათ. კაცობრიობის მტერმა თითქოს ეს სამი ნილაბი არჩია საიმისოდ, რომ თვითკმაყოფილი კვდომისაკენ გაგვძლოლოდა. როგორი ძნელიც არ უნდა იყოს ამის აღიარება, XIX და XX საუკუნის ისტორია დიდწილად ამ სამი მეტაფორის ფსიქო-სოციალური ქმედითობის ისტორიაა.

* * *

საბას იმ სამყაროში განუჩინა ბედისწერამ არსებობა, რომელშიც, თუ განდობილთა მცირერიცხოვან ჯგუფებს არ მივიღებთ მხედველობაში, არაფერი ან თითქმის არაფერი ხდება და თუკი მოვინდომებთ მას რაიმე შეფასება გამოვუძებნოთ მას, განწირულების იდეას შორს ვერ გავცდებით. ამ სამყაროში, მართლაც არაფერი ხდებოდა, ხოლო ის, რაშიც არაფერი ხდება, ის, რაც საკუთა-

რი ცხოველმყოფელობისა და ღირსების დადასტურებას „აქ“ და „ახლა“ არ ცდილობს, მხოლოდ საკუთარ ნგრევას ადასტურებს და მეორადი მოხმარების პროდუქტად გადააქცევს ყველაფერს, რასაც იგი აქამდე წარმოადგენდა – უკან დატოვებულ იმ ფაქსს, როდესაც საკუთარი ღირსების განცდით იყო აღსავსე და სწამდა, რომ ღვთის სიტყვა, ღვთაებრივი ლოგოსი სწორედ მისი გავლით უნდა განფენილიყო ამქვეყნად. არაფერი ხდება და არც შეიძლება მოხდეს იმგვარ სამყაროში, რომელიც მხოლოდ საკუთარი წარსულის უტილიზაციით არის დაკავებული და სამყაროს მხოლოდ ამავე წარსულის მოძველებულ და გაცვეთილ ნიღბებად ქცეულ ფრაგმენტებს სთავაზობს. ისტორიის ამგვარი სუბიექტი აღარ არის „აქ“ და „ახლა“ და ამით საკუთარ სხეულში სივრცეს უთავისუფლებს მრავალ უზნეობასა და უგუნურებას. ნგრევა, როგორც სწეულება და ისტორიული ბედისწერის განჩინება უღმობლად მოსდებია მის სხეულს და მთელი ის საკომუნიკაციო სივრცე, კულტურის მთელი ის ერთიანი ლინგვისტიკა დაუშლია, რომელიც ოდესღაც მის მთლიანობასა და ცხოველმყოფელობას ქმნიდა. ამგვარი დანგრეული ლინგვისტიკის პირობებში კი, ცხადია, არაფერი არ შეიძლება მოხდეს და არც ხდება, თუ ზოგიერთ ფრაგმენტს არ გავიხსენებთ, რომლებიც უმაღლეს ვარსკვლავების ციალს მოგვაგონებენ, ვიდრე კულტურის უწყვეტი ისტორიული ინდუსტრიის ნაყოფს. ისინი თავისი არსებობით უმაღლეს გვახსენებენ, რომ აქ, ამ სამყაროში არაფერი ხდება და იგი მთლიანად ინერციას არის მინდობილი. მას აღარ გააჩნია ის ღერძული იდეები და არც უნარი, რომ უერთგულოს ამ ღერძულ იდეებს, როგორც ეს ოდესღაც იყო, როდესაც იგი ქრისტიანული სამყაროს ამ კიდეზე ერთიანი ქრისტიანული კოსმოსის ნაწილად და მის ფორფოსტად გრძნობდა თავს. მეფეთა სიმრავლე და პრაგმატული რჯულთმონაცვლეობა, სასულიერო ლიდერთა ამპარტავნება და ზნეობრივი რელატივიზმი მეთოდურად და თანამიმდებრულად ანგრევს იმ ქრისტიანულ და რაინდულ არისტოკრატიზმს, რომელიც ოდესღაც სუფევდა მასში და მის ღირსებას ქმნიდა.

ცხადია, ამ სამყაროს გადარჩენა მხოლოდ არაკონტექსტუალურ ძალისხმევას შეეძლო. ამიტომაც ჩანან საბაცა და ვახტანგ მეექვსეც ასეთი არაკონტექსტუალურები და უადგილოები ამ გარემოში. გმირთა და წმინდანთა ძალისხმევა ხომ ყოველთვის უადგილოა. ისინი არსებობისაკენ მოგინოდებენ მაშინ, როდესაც თავად არსებობა აბსურდია. ისინი იბრძვიან მაშინ, როდესაც არა მხოლოდ ბრძოლაა უსაზრისო, არამედ ისიც აღარ ჩანს, რის გამოც უნდა იბრძოლო. ესენია მარადი ყმანვილკაცები, რომლებსაც ბავშვურად სწამთ, რომ ბოროტება აუცილებლად დამარცხდება და საიმისოდ, რომ ეს აღსრულდეს, გალური ანდაზისა არ იყოს, სანამ

ცოცხალი ხარ, არ უნდა გაბედო სიკვდილი და არ უნდა გახდე მომაკვდავი სხეულის აგონიური ბოდვის ნაწილი. უფრო მეტიც, ისინი და მათი თანამზრახველები ახერხებენ სიცოცხლე გააღვიძონ იქ, სადაც ყველაფერი ამგვარი მცდელობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

დიადი ძალისხმევა: ერის სულიერი კონსტიტუციის აღდგენის ცდა

კონსტანტინოპოლის დაცემამ და მუსლიმი მეზობლების გაძლიერებამ ქვეყანა გეოპოლიტიკურ და სულიერ ჩიხში მოამწყვდია. სწორედ ამ ჩიხიდან თავის დაღწევის პათოსით იწყება საბას, ვახტანგ მეექვსისა და სხვათა „ამოვარდნა“ ფატალური ისტორიული კონტექსტიდან.

ამიტომაც არის შეუძლებელი რომ, გადავაჭარბოთ იმ ძალისხმევის მასშტაბების შეფასებისას, რომელიც საბამ ჩასდო, რათა რღვევად სულიერ ცხოვრებაში მყარი წერტილები და კონფიგურაციები შეექმნა და როგორი საოცარი იყო მისი შემართება: ჭეშმარიტად ხომ გმირობაა, პოზიტიურად მოღვაწეობდე იმ სხეულში, რომელიც კვდომის უცნაური ჟინითაა შეპყრობილი და გაავებით უწევს წინააღმდეგობას მკურნალობის ყოველგვარ მცდელობას. ამ ვითარებაში საბაც და სხვებიც უმაღლესი შედეგები იყვნენ ამ თვითმკვლელობის ბოროტი სიხარულით შეპყრობილ გარემოში, ვიდრე მოღვაწენი და შემოქმედნი. ეს იყო უმაღლესი ეკზორციზმი — ბოროტი და დამანგრეველი საკომუნიკაციო დემონების განდევნა, ვიდრე მხოლოდ ლიტერატურული ღვანლი ან დიპლომატიური კირთება; უმაღლესი — პყრობილის გამოლოცვა, ვიდრე საზოგადოების აღზრდა მისი პროგრესული განვითარების მიზნით. ამ საქმის საბოლოო წერტილი თუ მწვერვალი გახლდათ „სიტყვის კონა“, რათა ამ კვარამში ჩაძირული და ქართული ყოფიერების სახლად ქცეული ენა კვლავ ღვთის სიტყვის გამჟღავნებად გადაქცეულიყო და მისი მეშვეობით ქართულ კოსმოსში კვლავ გარკვეულობა დამკვიდრებულიყო.

მაშინ, როდესაც აქ, ამ სამყაროში არაფერი ხდებოდა, სწორედ საბა აღმოჩნდა ის პიროვნება (ცხადია, არა მხოლოდ ის), რომელმაც თავისი ძალების ტიტანური მოკრებით შეძლო განეცხადებინა, რომ აქ ჯერ კიდევ შეიძლება რაღაც მომხდარყო და რომ ეს სამყარო ჯერ კიდევ შეიძლება შეკრულიყო ღვთის სიტყვის გამამჟღავნებელი მეტყველებით. ამ ძალისხმევით საბა მეორე დიდი ქართველის — ილიასი წინამორბედი იყო. როგორც ერთის, ისე მეორის დროს ქართული სულიერება ჰგავდა იმ უიღბლობით და-

ქანცულ ფალავანს, ბედის უკულმართობის გამო თანდათან უარს რომ ამბობს არსებობაზე და ამ უარს ფსევდოეროვნული და ყალბად მონუმენტური ფორმებით ნიღბავს.

დღეს ძნელია შევაფასოთ, თუ რა გავლენა მოახდინეს კათოლიკე მისიონერებმა ბიზანტიის დაცემის შემდგომ ქართულ სულიერებაზე. თუმცა კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მათი წყალობით ინარჩუნებდა ქართული აზროვნება ქრისტიანული კოსმოსის მთლიანობისა და ძალმოსილების რწმენას და იმ ვითარებაში სწორედ ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. მთავარი იყო რწმენა იმისა, რომ ცოცხალი და ქმედითი იყო ის სამყარო, რომელსაც ქვეყანა საკუთარ თავს მიაკუთვნებდა. ალბათ, სწორედ მათ შეასრულეს გადამწყვეტი როლი იმაში, რომ მთელი ქართული ქრისტიანული სულიერება ირანული აზროვნების ჩუქურთმოვნებაში არ ჩაკარგულიყო და მასში „სიტყვის კონისა“ და „დავითიანის“ მსგავსი შედეგები დაბადებულიყო.

სწორედ საბაგ ცხოვრებამ გახადა ნათელი, რომ ქართული სულიერება, მიუხედავად იმ წყვიდადისა, რომელშიც აღმოჩნდა, თავის ღრმად დაფარულ შრეებში, ახალი იდენტობის ძიებაში იყო. სულხან-საბას ცხოვრება მთლიანად ამ ძიების რადიკალური გამოხატულებაა. ამიტომაც არის, რომ თუ გვსურს, ამ ეპოქას რაიმე გავუგოთ, სწორედ ამ ადამიანის შრომითა და ძიებებით, სასწონარკვეთითა და ფუჭი იმედებით აღსავსე ცხოვრებას უნდა მივმართოთ, რომელიც უჩვეულო პრეცედენტი იყო იმისა, თუ როგორ ცდილობდა ეს ლამის მარტოკაცი ქაოსით მოცულ და სტრუქტურული თვალსაზრისით ამორფულ ქართულ ცხოვრებაში ზნეობრივი და რაციონალური იდენტობები შეეტანა — იმ სულიერ გარემოში, რომელსაც თანდათან და ულმობლად ეუფლებოდა უღირს ანმყოსთან შეგუებისა და ამ შემგუებლობის მითისმთხზველობით დამალვის სენი. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ როგორ დაუდო საფუძველი მისმა ნაღვანმა მეთვრამეტე საუკუნის ქართულ განმანათლებლობას და რა როლი ითამაშა იმაში, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართული სულიერება ისტორიული კაპიტულაციის გზით არ წასულიყო.

როგორც ვთქვით, ეს იყო ფრაგმენტირებული საზოგადოებრივი ყოფა, რომელიც, სულხან-საბას მსგავს გამოწვევებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, საკუთარ თავს უმაღლეს ისტორიის ნაშთად განიცდიდა, ვიდრე სუბიექტად და იგი დაკარგული იდენტობის ძიებაში სულ უფრო ხშირად მიმართავდა იმას, რაც შემდგომ საუკუნეებში ისტორიიდან და რეალობიდან გაქცევის უნივერსალურ ქართულ ასპარეზად გადაიქცა — სუფრას, როგორც ლეგენდებითა და ილუზიებით არსებობის სივრცეს და როგორც ზნეობრივი დაკნინების ყველაზე მძიმე ჟამსაც კი ღირსებისა და ღირსეულო-

ბის ნიღბის მომარჯვების საშუალებას. დიდი და წარმატებული იმპერიებით გარემოცული საზოგადოება მხოლოდ სუფრაზე თუ პოვებდა თავისი არსებობისა და მნიშვნელობის დასტურს. სწორედ ამ სამყაროში ჩნდება საბა, თავისი მემკვიდრის - ილიას მსგავსად მთელი არსებით რომ ცდილობს, იყოს იქ, სადაც არის, განსხვავებით მთელი მისი გარემომცველი სამყაროსაგან, რომელიც გაჯერებული იყო ადამიანებით, რომლებიც იქ არ იყვნენ, სადაც იყვნენ. ფატალურ ქართულ თავნებობასთან ერთად, ალბათ, სწორედ ამ ეპოქაში გაცხადდა მთელი სიმძლავრით მეორე საზოგადოებრივი სენიც, რომელიც დღემდე ხელ-ფეხს უბორკავს ქვეყანასა და საზოგადოებასაც — აქ და ახლა ყოფნის უნარის ნაკლებობა.

თუ ამ თვალთ შევხედავთ „სიტყვის კონასა“ და „სიბრძნე სიცრუისას“, მივხვდებით, თუ რა ტიტანური ამოცანა იტვირთა ამ ადამიანმა. მართალია, ძნელია ლაპარაკი წარმატებით ტვირთებაზე, მაგრამ მან რომ სხვა ორიოდ ადამიანთან ერთად შექმნა პრეცედენტი იმისა, რომ აქ, ჩვენს ისტორიულ სივრცეში, ამ ქართული კამალოკა-ს (უტყვი აჩრდილების სამეფოს) დროს შეიძლება რაღაც მნიშვნელოვანი მომხდარიყო და ქართული ცხოვრება არ წარმოადგენდა მხოლოდ ისტორიული ნაშთების კონგლომერატს. სწორედ ამიტომაც მიმართა თავისი ძალისხმევა ჩვენს საკომუნიკაციო სივრცეში ენობრივი და ზნეობრივი გარკვეულობის რეფიგურირებისაკენ, რაც კულტურის ლინგვისტიკის აღდგენის იგივეურია. ეს მაშინ, როდესაც საზოგადოება ნაწილ-ნაწილ ყიდდა საკუთარ სხეულს.

სწორედ ამიტომაც საბას ეპოქა შეიძლება აღინეროს, როგორც საკუთარი სულიერების ჩიხის ბოროტი ძერწვისა და მისგან თავის დაღწევის მცდელობათა ორი ურთიერთსაპირისპირო ვექტორის ხანა. ვფიქრობთ, სხვაგვარად საბა შეიძლება ვერც გავიგოთ და ჩვენი მცდელობა უმალ მორიგი ნარცისული დეკორის აგებას დაემსგავსება, რითაც სავსეა ჩვენი ისტორიოგრაფია. ცუდად გაგებულ ისტორია, ცუდად გააზრებული წარსული, როდესაც ამ გააზრების მიზანი მხოლოდ საკუთარი რაობის „ესთეტიკური ქირურგიაა“ (ჟან ბოდრიარი), ხომ ის საპყრობილეა, რომელიც მრავალ ქიმერასა თუ ცრუ მიზანდასახულებას შობს, შემდეგ კი ისტორიულ ნაცვალგებას, როგორც პასუხს ჩვენს მიერ უფლის მიერ ბოძებული ნათლის დაფვლასა და დატყვევებაზე*.

* არსებობს მოვლენები, რომლებიც საზოგადოების ცხოვრებაში სიმბოლურ მნიშვნელობას იძენენ. კიდევ ერთხელ გავიხსენებ, თუ გასული საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების მიჯნაზე როგორ დადიოდა ორმოციოდ ადამიანი თბილისის ქუჩებში ჭრელი, ე.წ. საგვარეულოთა დროშებით ხელში და იბერიის გასაბრწყინებლად ე.წ. მრგვალი სოფლების აგებისაკენ მოგვიწოდებდნენ. სულიერების ჩიხმა ასე შეიძლება შევას ქიმერული ისტორიული პროექტები. (რომლებითაც, თუ კარგად გავიხსენებ)

დიადი ძალისხმევა: ევროპა

საბას დაკავშირება კათოლიკურ ეკლესიასთან, გარდა რელიგიური მოტივებისა, ცხადია სხვა მიზეზითაც იყო განპირობებული. თუ დავით აღმაშენებელი პაპი ურბან II-ის მიერ 1095 წელს გამოცხადებული ჯვაროსნული ომის შემდეგ უარს ამბობს ბიზანტიის საიმპერატორო კარის ნოდებაზე, რაც იგივეა, უარს ამბობს ქრისტიანობის ბერძნულ გეოპოლიტიკურ ინტერპრეტაციაზე და დასავლეთიდან მომავალ რაინდებზე — ქრისტიანობის ამ უნიკალური და, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი უმაღლესი გამჟღავნებისაკენ მიაპყრობს ყურადღებას, საბასათვის ბიზანტიური ქრისტიანობის მარცხი უკვე ფაქტი იყო. მისთვის რომის ეპისკოპოსის ტახტის პირველობის აღიარება ქართული სამყაროს საერთო ქრისტიანულ კონტექსტში დაბრუნებას ნიშნავდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იდეა ქართულ საზოგადოებრივ ელიტაში მუდმივად ცირკულირებდა. საბას ნაბიჯი ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, მაგრამ, მას გამარჯვება არ ეწერა. ერთის მხრივ, იგი წააწყდა წინააღმდეგობას სასულიერო პირებისა, რომლებიც ცოცხლად ინახავდნენ ბიზანტიისაგან შემკვიდრებით მიღებულ სიძულვილსა და უნდობლობას რომის ეპისკოპოსის ტახტის მიმართ; მეორეს მხრივ, თავად ევროპაც ნაკლებად თუ მოგაგონებდათ იმ ქრისტიანულ სამყაროს, რომლის ხსოვნაც საქართველოში ჯვაროსნული ომებისა და მისიონერთა მონაცემების წყალობით შეიძლება ყოფილიყო.

საბასათვის, ცხადია, უცნობი და უცხო იყო ის მეტამორფოზები, რომელსაც მის ეპოქაში ფრანგულ გემოვნებას მიცემული ევროპა განიცდიდა. ის ახალი ევროპული ინტელექტუალური პარადიგმები, რომლებსაც აღტაცებაში მოჰყავთ ჩვენი თანამედროვეები, უმალ, ცალკეულ ნათელ ნერტილებს წარმოადგენდნენ იმ სოციო-კულტურულ ქსოვილში, რომელიც ჭირვეულად თავისუფლდებოდა საკუთარი წარსულისაგან და მეტაფიზიკურ ზერელობაში ეფლობოდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა განცდა დაეუფლებოდა მას როდესაც აღმოაჩენდა, თუ როგორ არ ჰგავდა მისიონერთა მიერ აღწერილი დასავლეთი იმ მხარეს, რომელშიც მოუწია მოგზაურობა: რაინდი უკვე ჩანაცვლებული ჰყავდა უც-

ნებთ, იმ ხანაში სავსე იყო ჩვენი ატმოსფერო, საკმარისია, ყველა არაქართველის ისტორიულ სამშობლოში გასახლების იდეა, დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად არაქართველთა სტერილიზაცია და მრავალი სხვა მსგავსი გავიხსენოთ) და ადამიანები მთელი სერიოზულობით აღიძვრებიან მის განსახორციელებლად. სტალინის ისტორიული ვოლუნტარიზმი ხომ დიდებული ნიმუში იყო იმისა, რომ ყველა ბოღვითი იდეა შეიძლებოდა განხორციელებულიყო, თუკი საკმარის ნებისყოფას მოვიკრებდით.

ნაურ, პარიკიან, პუდრშეფრქვეულ, ფეხის წვერებზე წელში მოხრით მოსიარულე არსებას, რომლისთვისაც ღვთისმადიებელი აზრი ფუჭსიტყვაობის გალანტური ფიგურებით შეცვლილიყო. თუკი აღმაშენებლის ეპოქაში იდეალურ დასავლელს წარმოადგენდა კურტუაზიული სიყვარულით, სიკეთისა და ღვთის მადიებლობით აღჭურვილი, ცხენზე ამხედრებული ასკეტი, რომელიც მთელს თავის არსებობას სიკვდილთან მეზობლობაში ატარებდა და საოცარი სიიოლით გადალახავდა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნას, საბას თანამედროვეობაში ღვთის მადიებლობით დაღლილი ევროპული არისტოკრატია სულ უფრო და უფრო მეტი ხალისითა და გულახდილობით ქმნიდა თეორიებს, რომელიც მეფეთა თუ არისტოკრატთა სასახლეების კარზე გაბატონებულ ჰედონიზმს გაამართლებდა, ხოლო უფლის სახელს უმაღ იშველიებდა, როგორც ერთგვარ ინტელექტუალურ ან სოციალურ დეკორს, ვიდრე გონების გარდუვალ ობიექტს.

საბას ევროპაში მოგზაურობის დროს პარიზში ბატონობდა მარკიზა დე რამბუიესა და დრამატურგი ჟორჟ სკიუდერის დის — მადლენას სალონებში შობილი გემოვნება, ქცევისა და აზროვნების წესი, სადაც რაინდული მორალი ყალბი თავაზიანობისა და ფუჭი მახვილსიტყვაობის პათოსმა, ეტიკეტითა და უხვად შეპუდრული, გრძელპარიკიანი ქალბატონებისა და ვაჟბატონების გალანტურმა ჯამბაზობამ ჩაანაცვლა. სწორედ ამ საუკუნეში აღმოაჩინა პირველად ევროპულმა კაცობრიობამ, რომ დიპლომატიას, გალანტურობასა და ყალბ მორალიზირებას ნებისმიერი მანკიერებისა და გულგრილობის შენიღბვა ძალუძს. თავად ლუდოვიკო „მეფე მზე“, გალანტური მახვილსიტყვაობის დიდოსტატი და თავისი დროის თვალსაჩინო ბალერონი, „სამეფოს ყველაზე ლამაზი ფეხებით“ რომ ამაცობდა, ამ სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედი იყო და ყველაზე უკეთ ამ საუკუნეს თავადვე განასახიერებდა.

ზერელე განათლებულობა და ზერელე მორალი ამ ეპოქის ნიშნად გადაიქცა. განათლებას, როგორც სულის სხვაგვარ მდგომარეობას (მაქს შელერი) ცვლიდა ე.წ. ერუდიცია, რომელიც საუბრის ოსტატურად წარმართვის ხელოვნების ნაწილი გახლდათ, ენციკლოპედიზმის იდეოლოგიის ჩანასახებს სულის სინათლე და ღირსება უნდა ჩაენაცვლებინა. უკვე შობილიყო სულიერების ეს უცნაური ჩინური დუქანი, რომელშიც მთელს სამყაროს მაცდურად ეპატიჟებოდნენ; მასში, ერთი შეხედვით, ყველაფერი იყო, რასაც კი ადამიანი ისურვებდა და, ამავდროულად ყველაფერ ამას ზერელობის, წარმავლობის, ნაყალბეობისა და ცრუ ფერადოვნების ელფერი დაკრავდა. ევროპაში უკვე გალანტურ ავანტიურათა ეპოქა დამდგარიყო. ტყუილად კი არ წარმოადგენდნენ მის ტიპურ წარმომადგენლებს ავანტიურისტთა ასეულები, რომლებიც ისევე

დაეხეტებოდნენ ევროპის გზებზე, როგორც ერთ დროს „მაცხოვრის საფლავისა“ თუ „შავი გედის“ ორდენთა რაინდები. თუმცა უკანასკნელი უფლის ძიების გზაზე იყვნენ გამოსულნი, პირველები კი — ზერელე, აქა იქ ყურმოკრული განათლებითა და ე.წ. „გალანტი“ საშოვრისა და წარმატების მოპოვების იმედით და მზად იყვნენ, გადაბერებულ არისტოკრატ ქალბატონთა ნებისმიერი აზირება დაეკმაყოფილებინათ.

საბას მოგზაურობის შემდეგ სულ რამდენიმე ათეულ წელიწადში ოდესლაც ღვთისმაცხიებელი ევროპის მოდის კანონმდებლებად იქცენ — გაურკვეველი წარმოშობის ჯაკომო კაზანოვა, რომელსაც ვერ გაერკვია და არც აინტერესებდა განსხვავება თეოლოგიასა და კაბალისტიკას შორის და უტიფარი თაღლითობით იშველიებდა ოდესლაც და სადღაც ყურმოკრულს თუ ბუდუარებში ნებივრობებს შორის ზერელედ გადაკითხულს და კალტაჯორონეს ბენედიქტიანელთა მონასტერში აღზრდილი ალესანდრო კალიოსტრო, რომელმაც არაჩვეულებრივი ოსტატობით გამოიყენა თანამედროვეთა „რელიგიური სმენის დაქვეითება“ (რიჩარდ რორტი) და სრულიად ვულგარული ოკულტიზმით აბითურებდა ყველას. ევროპაში იტალიური ავანტიურიზმის ამ ორი ტიპური პროდუქტის მორალი ბატონდებოდა. ისინი წარსულისა და თანამედროვეობის სულიერ მონაპოვარს თუკი იყენებდნენ, მხოლოდ საიმისოდ, რომ არისტოკრატულ წრეებს მიკედლებოდნენ და იმ ზერელე მეტაფიზიკით ესუნთქათ, გაჩარჩებული ევროპის ახალ იდეოლოგიურ საფანელად რომ ყალიბდებოდა და რომელსაც ვერაფერი გაუხერხა ვერც კათოლიკურმა თეოლოგიურმა აზრმა და ვერც ლუთერულ თეოლოგიად აღიარებულმა გერმანულმა იდეალიზმმა. საბას ეპოქის ევროპა უკვე დასნეულებული იყო მოლიერისეული „სასაცილო ძვირფასების“ ფსიქოლოგიით და ღვთის ძიების გარდუვალობას აზრისა თუ ქცევის ცრუ კარნავალურობით ნიღბავდა. ამ ევროპას აღარ განასახიერებდნენ თეოლოგები ან მაცხოვრის სახელისათვის თავდადებული პიროვნებები. ყველაფერი ეს ზერელე და ბრჭყვიალა ერუდიციით იყო ჩანაცვლებული, ხოლო დეკარტესთანა ერთეულებს გარემომცველთა ასეულები უმაღლეს ინტელექტუალურ დეკორაციად აღიქვამდნენ, ან, რაღაც მანქანებით, საკუთარი ზერელობის გამართლებად და არა მწველი ძიებების განსახიერებად.

ყოველივე ამის ხილვის შემდეგ საბას აღარც გაუკვირდებოდა ვნებების დაკმაყოფილებით გამომშრალი და გამოცარიელებული ლუის დიპლომატიური უარი დახმარების გამო. ეს უკანასკნელი ხომ დიდოსტატი იყო იმისა, თუ როგორ ეთქვა „ჰო“ ისე, რომ თანამოსაუბრეს ნათქვამში „არა“ ამოეცნო. ცრუ დაპირება „გალანტის“ ნორმების თანახმად ხომ სხვა არაფერი იყო, თუ არა საუბრის

წარმართვის ხელოვნებით ნაკარნახევი სავალდებულო ფიგურა და წინაპართაგან მიღებული ინერცია. ვინ იცის, მსგავს „ქრისტიანულ“ დაპირებებს ყოველდღიურად რამდენს გასცემდა. ხოლო თუკი ვინმე გაბედავდა და შეახსენებდა მათ, უმალ იმას იფიქრებდა, თუ რა გულუბრყვილო ყოფილა მისი თანამოსაუბრე, ვიდრე უხერხულობას იგრძნობდა.

ამ ეპოქის დასავლეთი უმალ კაზანოვას მემუარებით აღინერებოდა, ვიდრე მეფე ართურის ცხოვრების აღმწერის — თომას მელორის კალმით. ამ ეპოქას სიცრუის მიმართ ჰქონდა არა მეტაფიზიკური შიში ან რაინდული ზიზლი, არამედ წმინდა ინსტრუმენტალური დამოკიდებულება. მისთვის უკვე ტიპური იყო ფრენსის ბეკონის მსგავსი პერსონები, ბეკონისა, რომელმაც ინგლისის ლორდი კანცლერის თანამდებობა თაღლითობასა და ქრთამში ბრალდების გამო დაკარგა, ხოლო შემდეგ „ახალ ორგანონში“ იდოლების თეორიის შექმნისას თავისი წინამორბედი თანამოგვარე სქოლასტის — როჯერ ბეკონის* იდეებს სესხულობდა.

საბა, ალბათ ხვდებოდა ყველაფერს ამას, თუნდაც ეს მიხვედრა მთელი მისი იმედებისა და ძალისხმევის ნგრევის თანაზომადი ყოფილიყო. მან, ალბათ, ლუდოვიკოს კარისკაცთა ირონიული ღიმილიც შენიშნა, როდესაც მათ ქრისტიანული სამყაროს ბედის გამო წუხილს ახსენებდა. ისიც ისე მოიშორეს თავიდან, როგორც ყოველდღიურად, ალბათ, ასობით მთხოვნელს იშორებდნენ.

შემდეგ კი საბას შეხვედრა კლიმენტი XI-სთან. ეს უკანასკნელი უკვე აღარ იყო იმ პაპთაგანი, რომელიც ქრისტიანი ხალხის ბედის გამო წუხილით მზად იყო დასავლეთისათვის ბრძოლისაკენ მოეწოდებინა. ის იყო პროტესტანტიზმისა და ათეისტური იდეოლოგიებით, პარიზული სალონების მორალისა და ანტიარისტოტელური აზროვნების გავრცელებით შეწუხებული ადამიანი, რომელიც აღარ წარმოადგენდა იმ ძალას, ერთი ქადაგებით ისტორიული სტიქიების აღძვრა რომ შეეძლო. როგორც ჩანს, იმ ეპოქის ქრისტიანულ ევროპას თავად უდგებოდა თავისი კამა-ლოკა.

დღეს მხოლოდ მკითხაობა ძალგვიძს იმ გულგატეხილობაზე, რომელიც საბას ევროპაში მოგზაურობის ჟამს ხვდა წილად, იმ უტიფარ ცინიზმზე, რომლითაც დასავლეთის მესვეურები არწმუნებდნენ ამ სასონარკვეთილი ხალხის ჯერ კიდევ იმედიან შვილს, რომ, როგორც კი ხელსაყრელი ვითარება დადგებოდა, აუცილებლად გაუნევენ დახმარებას, ან უბრალოდ, ასეთივე ცინიზმით იშორებდნენ თავიდან. მათ ხომ წარმოდგენაც არა ჰქონდათ და

* ყალბიმქნელობისადმი ფრენსის ბეკონის მიდრეკილებას თუ გავიხსენებთ, ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ „ჭეშმარიტი შექსპირის“ მაძიებლები სწორედ მას ასახელებენ შექსპირის ტრაგედიების ავტორად.

არც აინტერესებდათ იმ ტრაგედიის მასშტაბებზე, რომელშიც ეს ქრისტიანი ხალხი ცხოვრობდა და რომ სცოდნოდათ კიდევ, უმაღლესი ვენეციელი ვაჭრის პრაგმატიზმით შეხედავდნენ მისი დახმარების საქმეს, როგორც უსარფოს.

რუსეთი, როგორც ბედისწერა

ასეთივე გულგატეხილობა ელოდა საბას ჩრდილოეთშიც, სადაც იგი ვახტანგის დავალებით 1724 წელს გაემართა. მესამე რომის იდეით დასწეულებული ეს უზარმაზარი მოტორტმანე იმპერია, მართალია, ძნელად ზიდავდა თავის სხეულს, მაინც მუცელ-ღმერთის გამშაგებით ეპოტინებოდა ახალ-ახალ მიწებს.

რუსეთი ბიზანტიური სულიერების ჰანსვურსტი იყო საუკუნეების განმავლობაში და თავისი პირველსახის დაღუპვის შემდეგ კი საკუთარ თავზე აიღო მისი როლი. გავიხსენოთ აკირო კუროსავას კაგემუშა; მეთექვსმეტე საუკუნეში მცხოვრებ ამ ქურდსა და თაღლითს დიადი და ძღვევამოსილი მმართველის ტაკედას როლის თამაში მოუწევს მხოლოდ იმის წყალობით, რომ გარეგნულად ჰგავს მას. სწორედ ასევე აღიჭურვა ბიზანტიური საიმპერატორი ატრიბუტიკის ფრაგმენტებით მოსკოვი და საკუთარი თავი მესამე რომად შესთავაზა სამყაროს. კონსტანტინეპოლის დაცემამდე და მანამდეც რომის მემკვიდრეები აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში ყოველთვის ბევრი იყო. მანამდეც, ჯერ კიდევ XIV საუკუნეში თავიანთ სამეფოებს რომის მემკვიდრეებად სერბთა მეფე დუმანი და ბულგარელთა მეფე იოანე-ალექსანდრე აცხადებდნენ. ბულგარელებმა კონსტანტინოპოლის დაცემიდან სულ მცირე ხანში მესამე რომად თავისი დედაქალაქი ტირნოვო გამოაცხადეს. აღარაფერს ვამბობთ ისტორიაში ჩაკარგულ სხვა პრეტენზიებზე.

საბოლოოდ ყველა პრეტენზია გადაფარა ჩრდილოეთში დაბადებულმა ახალმა ისტორიულმა ძალამ, თავისი გიგანტური სხეულის ლეღვითა და რხევით რომ მიიწევდა ყველა მხარეს და გზად ყველაფერს სპობდა: ხალხებს, კულტურებს, რელიგიებს, სახელმწიფოებს თუ, უბრალოდ, დამოუკიდებელ სამთავროებს, საზოგადოებებს, რომლებიც ჩაკარგულიყვნენ უკიდევანო სტეპებსა და ტყეებში ან კავკასიის ხეობებში და არც გააჩნდათ გარკვეული საზღვარი; ხალხებს, რომლებიც მონღოლთა ბატონობის შემდეგ ნაშთებად იყვნენ მიმოფანტულები მთელს ამ სივრცეზე; ასობით მცირე ტომს, რომლებსაც წარმოდგენაც არა ჰქონდათ იმაზე, თუ რას ნიშნავს სახელმწიფოებრიობა და მთლიანად თავიანთი ღმერთებისა და წინაპართა სულების მსახურებას უძღვნიდნენ თავის არსებობას; შუა აზიის სახელმწიფოებს, რომელთაც ათასწ-

ლოვანი ისტორია ჰქონდათ და რომელთა მოსპობაც მხოლოდ სკვიტურ გონებას თუ მოუვიდოდა აზრად. მოდიოდა ძალა, რომელსაც თავისი მრავალსახა სხეულის გამო არც ისტორიული ვინაობა გააჩნდა და არც რაიმე კულტურული გარკვეულობა, ისე გადაჭდობილიყო მასში სლავური, ბიზანტიური, ევროპული, მონღოლური სანყისები სხვა მრავალრიცხოვან სანყისთან ერთად. თუკი რაიმე აერთიანებდა მას, მხოლოდ ექსპანსიის დაუცხრომელი ვნება, რომელსაც სახელად თავადაც და სხვებიც რუსეთს უწოდებდნენ.

ამგვარ გიგანტურ, ირაციონალურ სხეულს არსებობა შეეძლო მხოლოდ საკუთარი თავის ახალი და ახალი მიწებით გამოკვებითა და საკუთარ თავში მუდმივი ჩაკვლით იმისა, რაც მას რაიმე გარკვეულობას მიანიჭებდა. ასე სპობდა იგი საკუთარ თავში საბას ეპოქაში ბიზანტიურ და მონღოლურ სანყისებს, მეცხრამეტე საუკუნეში სლავურ სანყისს, ხოლო მეოცე საუკუნეში — ევროპულ სანყისს კვლავ და კვლავ ბიზანტიურისა და მონღოლურის სასარგებლოდ. საბოლოოდ, იმ მრავალთავა არსებას, დაემსგავსა რომელსაც მხოლოდ მაშინ შეუძლია არსებობა, თუ ეს თავები ერთმანეთით იკვებებიან და სპობენ ყველაფერს, რაც შეხვდებათ. ეს გიგანტური სხეული მუდმივად საკუთარი გარკვეულობის ძიებაშია, მაგრამ, იმავდროულად, გაავებული იშორებს თავიდან ნებისმიერ გარკვეულობას, რაც კი შეიძლება ისტორიამ შესთავაზოს. მან თავისი არსებობის სრულიად განსხვავებული გზები უნდა მოძებნოს, სრულიად ახალი სინამდვილე უნდა შეთხზას და შემდეგ ასობით ხალხი ჩართოს ამ სინამდვილის დაკანონებაში. ისტორიული ექსპერიმენტები მისი ბედისწერაა, რადგან მხოლოდ ისტორიულ ექსპერიმენტთა სასაზღვრო დაძაბულობაში ძალუძს არსებობა: ხან საკნდინავიური ნიღბებით ცდილობდა საკუთარი თავის ერთ რიგით “ჰოლანდიურ სოფლად” ქცევას, როგორც ამას პეტრე დიდი ოცნებობდა, შემდეგ ამგვარ ნიღბად ფრანგული ცხოვრების წესი გადაიქცა, შემდეგ — გერმანული წესრიგი, შემდეგ — მიწიერი სამოთხის ბოლშევიკური იდეა, დღეს — კვლავ მესამე რომის იდეა, რის გამოც სწორედ რუსეთს შეაქვს ბზარი ქრისტიანული სამყაროს მთლიანობაში და, რაც მთავარია, ყველა ამ ექსპერიმენტისათვის იგი მუდმივად საჭიროებს სალი აზრის მოსპობასა და სანვავს დაპყრობილი და განადგურებული ხალხების სახით. ამიტომაც იყო მისთვის ყოველთვის უცხო არისტოტელური ფრონეზისი. ამიტომაც აქცია მან თავისი არსებობა საუკუნეების განმავლობაში გაჭიმულ რექვიემად დაპყრობილი თუ ჯერ კიდევ დაუპყრობელი ხალხებისათვის. თითქოს მონღოლური ექსპანსიონიზმისა და ნეკროფილიის სულმა საბოლოოდ ეს გიგანტური სხეული მოძებნა თავის ბუდედ და მისი მეშვეობით

განაგრძო სტეპების უღმობელი მძარცველის, ჩინგის ყაენის ოცნების განხორციელება, მთელი სამყარო თავისი ბაჩა ცხენის ფლოქვებს ქვეშ მოექცია. საბას ეპოქის რუსეთი უმალ იმ ბარბაროსს ჰგავდა, კეთილშობილთა სამოსის ფრაგმენტებით რომ ცდილობდა შემოსვას.

ამიტომაც არ არის გასაკვირი, თუკი ვახტანგმა და საბამ პირველ რიგში დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროს მიმართეს და მხოლოდ მას შემდეგ — რუსეთს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც რაინდთა სამყაროს ნაცვლად ფერუმარილით მორთული და გაჩარჩებული ევროპა დახვდა, სისხლს რომ უკვე აღარ დაღვრიდა მაცხოვრის სახელით, თუმცა კი არ დაიშურებდა მას, თუკი საქმე ახალი ბაზრების მოპოვებაზე მიდგებოდა. ძნელი წარმოსადგენია, საბას არ სცოდნოდა, რომ რუსეთის ბიზანტიური ნილაბი და ჩრდილოეთიდან მოსული დახმარება მის ხალხს, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენას მოუტანდა, თუმცა კი ეს იმედიც არ აღმოჩნდა პატიოსანი თვალი. ჩანს, განწირულობა ჩვენი მაშინდელი ისტორიული ბედის აუცილებელი ნაწილი იყო. ჯერ ხომ შორი იყო ჩვენივე სულის ჩიხში ჩვენი მოგზაურობის დამთავრებამდე. ჯერაც გასავლელი გვექონდა გზა, რომლის განმავლობაშიც ჩვენი სულიერება ბიზანტიური სულიერების ახლადშობილ ჩრდილოურ კლონს დაუკავშირდებოდა.

ბოლოქმა

საბას ცხოვრებით თითქოს ჩვენს ჰოროსკოპი მოიხაზა — ის კოსმოსი, რომელშიც ცხოვრება და გადარჩენისათვის ბრძოლა გვინევდა და გვინევს. მისი კონტური ასეთია: თურქულ ექსპანსიას, საბოლოოდ, კონსტანტინოპოლის დაცემა და დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროსთან კავშირების დაკარგვა მოჰყვა. ფრაგმენტირებული და მუსლიმურ სამყაროში ჩაკარგული საზოგადოება ველარ პოვებდა საკუთარი არსებობის შინაგან საყრდენებს და ქრისტიანული კოსმოსის აღდგენას ცდილობდა, ამ გზაზე კი თავი ისტორიულმა პალიატივმა — ჩრდილოეთის პარაბიზანტიურმა სამყარომ შესთავაზა.

საბამ ცხოვრება და ძალისხმევა ორ მიზანს მიუძღვნა: ისტორიის სივრცეზე გაფანტული ჩვენი სულიერების ფრაგმენტთა შეკავშირებას და ჩვენი სამყაროს ერთიან ქრისტიანულ კოსმოსში დაბრუნების იდეას. სხვაგვარად შეუძლებელი იყო ჩვენი „ისტორიაში დაბრუნება“. ეს ამოცანები მჭიდროდ იყო ერთმანეთზე გადაბმული და ერთი მეორის გარეშე ვერ შესრულდებოდა, ხოლო თუ მაინც შესრულდებოდა, ამით მხოლოდ სიცოცხლე გაუხანგდლივ-

დებოდა ისტორიის ფატალური ძალებისგან განწირულ ქვეყანას. ამ ცხოვრებაზე თვალის ზერელე გადავლებითაც ჩვენ კიდევ ერთხელ ვხდებით მონმენი ტრაგედიისა, თუ როგორ შეიძლება, დიადი მიზანდასახულებები და არაჩვეულებრივი გამჭრიახობითა და რუდუნებით მოფიქრებული პროექტები ისტორიული ბედის ულმობელობამ მოინელოს; ისტორია ამ დროს, თურმე, რაღაც სხვის გამოთქმას ცდილობდა და განსხვავებული გზებით მიდიოდა თავისი მიზნებისაკენ. საბას ცხოვრება ამ აზრითაც არის არაკონტექსტუალური, თუმცა კი მით უფრო გამირული და მნიშვნელოვანია რადგან მისი ყაიდის მოღვაწეები, საბოლოოდ, სწორედ არაკონტექსტუალურობით პოვებენ თავიანთ ღირსებასა და ღირებულებას და უფალიც მათი მეშვეობით ჩვენთვის იდუმალ სათქმელს გამოთქვამს.

damowmebani:

მაკარი ანტიოქიელი 1982: მაკარი ანტიოქიელი. ცნობები საქართველოს შესახებ. კრებული „არმაღანი“, №1, თბ.: 1982.

20 მოკლე მოგონება

„მოგზაურობა ევროპაში“ — ტექსტის არქეოლოგიის მცდელობა

გიორგი ლეონიძემ სულხან-საბა ორბელიანს „ვნებიანი მოარაკე“ უწოდა. ამ სიტყვებში პოეტი და ფილოლოგი 20-30 წლის სულხანს გულისხმობდა, ორი მეფის, გიორგი XI-ისა და არჩილის აღზრდილს, სიტყვების შეკრებითა და ამბების თხრობით გატაცებულ ახალგაზრდას, რომელიც იმ დროისთვის ჯერ არც გარეჯის უდაბნოს გზას დადგომოდა და არც მეფის კარზე მისულიყო ერთგულ მსახურად. წლების შემდეგ „ვნებიანი მოარაკე“ ვნებიან მოქადაგედ იქცევა, მერე ვნებიან მოღვაწედ, ბოლოს კი, საბა მოგზაურობას დაიწყებს. ასაკში, როცა სხვები შინ ბრუნდებიან ხოლმე, საბა 3 წლით დატოვებს სამშობლოს და უცხო ქვეყანაში „გაიპარება“. ეს იქნება სევდიანი მოგზაურობა ვნებიანი მოგონებებით.

საბა-მოგზაურზე მოზრდილი ესეს დაწერა შეიძლება, ადამიანზე, ვინაც პირველი დიდი მოგზაურობა 55 წლისამ წამოიწყო და რომელი მოგზაურობაც შემდეგ მთელი მისი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში გაგრძელდა: ესეში ამბავი ევროპაში გამგზავრებით დაიწყებოდა, უფრო სწორად, გორიდან გაპარვით, შემდეგ კი, გზად, სანამ საბა პატრ რიშართან ერთად გელათამდე მივიდოდა, მისი ძველი დიპლომატიური მოგზაურობების ამბავსაც მოვყვებოდით. მოვყვებოდით ძალიან მოკლედ, რადგან მის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, ვიცით მხოლოდ ის, რომ „ორიანობის“ დროს (გიორგი XI-სა და ერეკლე I ნაზარალიხანის მეფობისას) საბა გიორგი XI-ის სასარგებლოდ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ახალციხის ფაშასთან (გაბაშვილი 1959: 72) და რომ იგი ირანშიც არაერთხელ იყო წამყოფი. გელათიდან იგი ზღვისკენ გაემგზავრებოდა, შემდეგ კონსტანტინეპოლისკენ, აქედან მარსელში, პარიზში და უკან, მარსელში. მერე იტალია, რომი, ფლორენცია, სიცილია, მალტა, საბერძნეთი, კუნძულები, ისევ კონსტანტინეპოლი და ისევ საქართველო, კვლავ შუღლითა და უიმედობით სავსე. რამდენიმე წელიწადში საბა კიდევ ერთხელ გაემგზავრებოდა საქართველოდან, უკვე მოხუცებული (67 წლისა) ამჯერად სამუდამოდ დატოვებდა ქვეყანას და თავის თანამოაზრეებთან ერთად შეუდგებოდა „მთასა დიდსა კავკასიისასა მსგავს ჯოჯოხეთისა, სადაც იყო მრავალი გამომდინარე თოვლთა და ყინულთაგან. ესრედ ძნიად განსაველელ იყო ქვესკნელსა მას შინა უფსკრულსა ყინულისასა,

ორბი, გინდა არნივი, მასცა ვერლა ეძლო მუნით ამოსვლა, არცალა თუ ესეოდენტა ურიცხვთა დედანულთა“¹.

ეს საბას უკანასკნელი მოგზაურობა იყო და ამ გრძელ გზაზე მას უკვე ალბათ აღარაფერი აკვირვებდა. არადა 1713-1715 წლებში, სანამ საბა კონსტანტინეპოლში დაბრუნდებოდა, იგი ალტაცებით იყო სავსე, ხნიერი კაცი ყმანვილური გამოცებით ათვალისებრ და ყველაფერს, რაც ახალი შემოხვდებოდა გზად და დახასიათებისას არც სიტყვებს იშურებდა და არც აღმატებით ხარისხს ერიდებოდა. მის ტექსტში არაერთხელ შეხვდებით, „უანგარიშო უცხოებს“, „კაცის გუნების მიუნდომელს“, „შვენებულობით“ გამორჩეულ, „გასაკვირვალ“, „დაუჯერებელ“ საგნებს, რომელსაც ვერა ენა ვერ გამოთქვამს და რისი ნახვის შემდეგაც „კაცის გულს ჭირი უკუეყრება“. საბა ასე ცდილობდა თანამედროვეთა დაჯერებას: „ვინც დაიჯერებთ, ეს ჩემი თვალთ მინახავს, ვინც არა და თქვენ იცით“, „დაიჯერეთ, ასე იყო. ამის მეტი რა გითხრა“, „დაიჯერეთ მართალია“, „რაც სანახავები ვნახო აღინერება, მაგრამ რასაც შევიძლებ უცხოებს ვეცდები დავნერო. დაიჯერეთ, რომი ასეთია. ას ნელს სულ იაროს კაცმა მის საკვირველობას ვერც გაუვიდეს, ვერც დაასრულოს. მაგრამ მე რასაც შევიძლებ, ჩემს ნახულს მართალს დავნერო. ეგება გეგონოსთ ქებისათვის ნამეტნავი დავნერო. უსაცილოდ დაიჯერეთ, რასაც ვნერ ნაკლებია და მასაც თავს გაუსვლელსა და შეუძლებელსა. დაიჯერეთ, ნახევარს მაშინაც ვერ მივსწვდები, რომ ვერ შევიძელ დასწავლა და დაწერა ნახევრისა“ [30გვ. B35] (ტექსტი დამონმებულია სილომონ ყუბანეიშვილის გამოცემის (1940) მიხედვით). ხშირად დიდი მესიტყვე თითქოს ფარ-ხმალს ყრის და წამოცდება ხოლმე: „მისი მსგავსი არ მინახავს. რა ენა იტყვის...“, „ჯერ იმ სიუცხოვე არა მინახავს რა, არ დაინერება. რა განიშნო?“, „ეკკლესიის ქებას ვერ დაგინერ“, „როგორ ითქმის“, „რას იტყვის კაცის ენა“, ერთგან კი სულაც ამბობს: „შიგნით შევიდოდით, ისე გვეუცხოვის, გარეთ გამოვიდით, შიგნით შესვლა აღარ მოგვინდის“-ო.

ეს წიგნი უცხოობისა და განცვიფრების წიგნია, ახალი ქართული ენის „შესაქმე“, სადაც სულ რამდენიმე ათეული გვერდის მანძილზე შეგვიძლია თვალყური ვადევნოთ თუ როგორ ვითარდება ენა, როგორ იშვება აღწერის სრულიად ახალი უნარები, ხერხები, იბადება ახალი სიტყვები, პირველად ხდება ნივთების, ადგილებისა და ქმედებების სახელდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩვენი მოგზაური მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ლექსიკოგრაფია, იგი იმავდროულად ჩვენი მარკო პოლოცაა და სემუელ ჯონსონიც, იგია ადამიანი, ვინაც ათწლეულები მოუწნდა, რათა თავის სამშობლოში *ყველაფრისთვის* მოეძებნა *სახელი*, შემდეგ კი წლები იმოგზაურა, რათა ამ *ყველაფრის* გამოხსნისთვის

ებრძოლა. 1713 წლამდე საბა ცხოვრობდა სახელთათვის, შემდეგ კი იგი მოგზაურობდა ქვეყნისათვის. ეს იყო ურთულესი გზა აღმნიშვნელიდან – აღსანიშნისკენ, ტექსტიდან – რეალობისკენ, სიტყვებიდან – საგნებისკენ.

ამგვარი რეალურობის თუ საგნობრიობის მიუხედავად, საბას უკანასკნელი ტექსტი მაინც დიდი ლიტერატურაა. „ევროპაში მოგზაურობა“ ჯერ კიდევ ელის ნარატოლოგის თვალთშეპყრობას, ჯერ კიდევ ბოლომდე განუსაზღვრელია მისი ადგილი სამოგზაურო ჟანრის ქართულ და მსოფლიო ნიმუშებს შორის, კარგი იქნებოდა თანამედროვე ლექსიკოლოგისა და გეოგრაფოსის კვლევაც გვეხილა ამ ტექსტზე², რომ არაფერი ვთქვათ „მოგზაურობის“ ხელოვნებათმცოდნეობით ან ისტორიულ ნაკითხვებზე.

ჩემი სტატია ნაწილობრივ ამ ისტორიულ ნაკითხვასაც გულისხმობს, ამიტომ ძალიან მოკლედ მოვხაზავ იმდროინდელ ვითარებას:

1709 წელს ავღანეთში აჯანყებულები ჰკლავენ გიორგი XI-ს, 1712 წელს იგივე ბედი ეწევა გიორგი XI-ის ძმისწულს, ქაიხოსრო მეფესაც. ქაიხოსროს ძმა, ჯანიშინი ვახტანგი მეფობის მისაღებად სპარსეთში მიემგზავრება (1712 წლის აპრილში) სულხან-საბასთან ერთად. სამი თვის შემდეგ საბა უკან დაბრუნდა, თუმცა ვახტანგ VI ისპაჰანში კიდევ 2 წელი დარჩა, 1714 წლის მარტამდის, როცა ისლამის აღიარებაზე უარის გამო იგი ქირმანს გადაასახლეს. საბამ მოგზაურობა ვახტანგის გადასახლებაზე დაიწყო და მისი თავდაპირველი მიზანი აღზრდილის ქრთამით გამოხსნა და ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება იყო. უკვე 1712-1713 წლებში ინტენსიური მიმოწერა იყო ვახტანგსა და ლუდოვიკოს, საბასა და პაპს, ევროპელ მისიონერებსა და ევროპელ სახელმწიფო მოხელეებს შორის. ამაზე დეტალურად არ შევჩერდებით (გაბაშვილი 1959: 61-77), უბრალოდ შეგახსენებთ, რომ მთავარ საკითხად მაშინ კავკასიის 24 პროვინციის კათოლიკედ მოქცევა და საფრანგეთის სავაჭრო გზის საქართველოზე გავლა იდგა.

1714 წლის ზამთარში მარსელში სულხან-საბამ, აბატმა რიშარმა და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის, გრიგოლის (ლორთქიფანიძის) წარმომადგენელმა, დავით ბერმა (ფრანგული წყაროების მიხედვით, David Mingrelien) მარსელში გალერებისა და ვაჭრობის გენერალური ინტენდანტის, პიერ დ'არნუ-ს ხელმძღვანელობით შეადგინეს მემორანდუმი³ საიდანაც ცხადად ირკვევა, რომ უპირველეს საკითხად სავაჭრო ურთიერთობა იდგა. მემორანდუმის სრული სათაური ასე ჟღერდა: „მემორანდუმი იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეიძლება, ერთი მხრივ, რომის კათოლიკური სარწმუნოების დასამკვიდრებლად, ვაჭრობის დასამყარებლად, როგორც საქართველოდან, ასევე მის მეზობელ ხალხებთან, მეორე

მხრივ, მეფის ძალაუფლებისა და საფრანგეთის ვაჭრობის გაძლიერებისთვის ლევანტსა და აღმოსავლეთში, კერძოდ თურქებთან და სპარსელებთან“. სულხან-საბას ასევე შეთანხმების თავისი პროექტი ჰქონდა წარდგენილი, სადაც 6 ძირითადი მუხლი იყო:

„პირველი, რომ ეს მეფე (ვახტანგი) მისცემს საჭირო სახლს საფრანგეთის კონსულს თვის დედაქალაქ თბილისში.

მეორე, რომ ის თავისი ხარჯით შეინახავს კონსულს და მისი უდიდებულესობის ყველა ქვეშევრდომს, რომლებიც გაივლიან საქართველოზე ან იქ დაჰყოფენ.

მესამე, რომ ის უზრუნველყოფს ყოველივე საფრთხისგან საქონელს, რომლებსაც ფრანგები ჩამოიტანენ საფრანგეთიდან და რომელსაც ისინი გაატარებენ საქართველოზე სპარსეთში წასაღებად და ან პირიქით, რომელსაც ისინი ჩამოიტანენ სპარსეთიდან საქართველოში.

მეოთხე, რომ ის კისრულობს კიდევ ხარჯებს ყველა საქონლის სპარსეთიდან შავ ზღვამდე და შავი ზღვიდან სპარსეთის ზღვამდე მისატანად.

მეხუთე, რომ ის მისცემს საჭირო სანყოფებს, როგორც შავი ზღვის ახლოს, სამეგრელოში, ასევე თავის სამფლობელოში.

მეექვსე, რომ ის მისცემს ფრანგ სოფდაგრებს საშუალებას, აწარმოონ ვაჭრობა მეზობელ ჩერქეზებთან, აგრეთვე აწარმოონ ხელსაყრელი ვაჭრობა თავის ქვეშევრდომებთან და მეგრელებთან აბრეშუმეულობით, მატყლით, ცვილით და სხვა საქონლით“.

როგორც მოგვიანებით გაირკვა (და ამის შესახებ, როგორც ჩანს, სულხან-საბამ არაფერი იცოდა), პარიზის ელჩობა საბას ვიზიტის დასაწყისიდანვე საფრთხის ქვეშ იდგა. დევიდ ლენგი წერს, რომ საბას ელჩობის წარმატებით დასრულებას სპარსეთის ელჩის, მოჰამედ რიზა-ხანის იმ დროს პარიზში ყოფნამაც შეუშალა ხელი. თურმე ფრანგი დიპლომატები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ მას არ გაეგო საბას ვიზიტის შესახებ (Lang, 122).

ძალიან მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს ისტორიული კონტექსტი, რომელიც სულხან-საბას მოგზაურობას დაედო საფუძვლად და რის შედეგადაც ქართულ ლიტერატურას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შეემატა. როგორც აღვნიშნეთ, „მოგზაურობა ევროპაში“ ჯერ კიდევ ელის ნამდვილ წამკითხველებს, ჩემი სტატია მხოლოდ ერთ-ერთი ასეთი წაკითხვის ნიმუში შეიძლება იყოს, რომელსაც პირობითად „ტექსტის არქეოლოგია“ ვუწოდებ. იგი ძირითადად ავტორის პირად მოგონებებს ეყრდნობა, უფრო სწორად კი, ამ მოგონებების გაცოცხლებას, განმარტებას, ახსნასა და ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში მის ჩასმას ემსახურება. ყველა ეს მოგონება საქართველოსთანა დაკავშირებული, ამიტომაც განმარტებათა ამ კრებულს „სულხან-საბა და მისი

დრო“-ც შეგვიძლია ვუწოდოთ. მართალია საბას თანადროული საქართველოს შესახებ ბევრი სხვა წყაროც არსებობს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე საინტერესო სწორედ საბას თვალით და სიტყვით დანახული საქართველო იქნებოდა. მისი იგავ-არაკები წმინდა ტექსტუალური სამყაროა, აქ მხოლოდ ენა და ნარატივი ბატონობს, „სწავლანი“ ზნეობაზე გვესაუბრება, შესაბამისად, მხოლოდ „ლექსიკონი“ და „ევროპაში მოგზაურობა“ გვჩვენებს ისტორიულ-პრივატული ხასიათის ტექსტებად, სადაც ბევრი რამ შეგვიძლია ამოვიკითხოთ ავტორისა და ქვეყნის შესახებ. ამ მხრივ ნამდვილად გამოირჩევა საბას უკანასკნელი ტექსტი, სადაც ერთი უბრალო ლიტერატურული ფიგურის, შედარების წყალობით 20-მდე საინტერესო აზრები დაგროვდა. ამ აზრებში საბა უცხოობის გასანელებლად ამათუმი ევროპულ მოვლენას თავის ქვეყანას ადარებს. იხსენებს ადამიანებს, სინმინდეებს, სახელებს, ფაქტებს, ადგილებს, ნივთებს და ამ გახსენებით ჩვენც გვაძლევს უფლებას სულ მცირედით მაინც შევიგრძნოთ მაშინდელი სურნელები, ნავიკითხოთ კულტურული ნიშნები, მოვხაზოთ გეოგრაფიული საზღვრები.

ჩვენი სტატიის ძირითად ნაწილს სწორედ ეს „მოგონებები“ და მასზე „კომენტარები“ შეადგენს. კომენტარებს წინ უძღვის საბას სრული მარშრუტი, რომელიც ტექსტის მიხედვით შევადგინეთ და რომელიც უზუსტეს თანამედროვე რუკებთანაა შეჯერებული.

საბას მარშრუტი⁴

გორი⁵ > ოდიში (გელათი ან სენაკი?)⁶ > ფოთი?⁷ > კონსტანტინეპოლი > მარსელი > პარიზი > მარსელი > ანტიბი (Antibes, ს.ს. ტანტიბ ქალაქი) > ნიცა (Nice, ს.ს. ნისი), სავოიის (ს.ს. საბია) ბატონის ქალაქი > ვილფრანში (Villefranche-sur-Mer, ს.ს. ლაფრანგა⁸) > მონაკომდე ოთხი მაგარი ციხე გაიარეს, ზღვისპირა > მონაკო (Monaco) > მენტონი (Menton, ს.ს. მანტო ქალაქი) > ამის შემდეგ უკვე გენუის (ს.ს. ჯენევიას) თემში შევიდნენ > სან რემო (San Remo, ს.ს. სენერემ ქალაქი) > პორტო მაურიციო (Porto Maurizio, ს.ს. ფიორტუმორი) > ონელია (ნეგლია, ს.ს. ონელი) > დიანო მარინა (Diano Marina, ს.ს. დინა) > ალასიო (Alasio, ს.ს. არასიო) > ალბენგა (Albenga, ს.ს. არბენქო) > ლოანო (ოანო, ს.ს. ვანია ქალაქი) > ფინალე ლიგურე (Finale Ligure, ს.ს. ფინს ქალაქი) > ნოლი (ოლი, ს.ს. ნორი) > ს.ს.-ს ლიმონილოში ალბათ ლუმინელა იგულისხმება (Luminella), ადგილი ნოლის დასავლეთით⁹ > სავონა (Savona, ს.ს. საონა) > გენუა (Genova, ს.ს. ჯენევია), „სულობით ასე შენობა იყო გაბმით, სასახლე და წალკოტები, რომ ერთი ქალაქი გეგონებოდა“ > პორტო-

ფინო (Portofino, ს.ს. პორტუფენი) > მასა (Massa, ს.ს. მასა) > ლივორნო (Livorno, ს.ს. ალიკორნი¹⁰) > პიომბინო (Piombino, ს.ს. ფომბინო) > სამხრეთით კუნძულს, ელბას ჩაუარეს, ასევე ლონგონეს (Longone, ს.ს. ფორტო ლონგონე, პორტო აზუროს თავზე) > პორტო ერკოლე (Porto Ercole, ს.ს. ფორტე ერკოლე, მონტე არგენტარიოს ნახევარკუნძულზე) > ჩივიტავეკია (Civitavecchia, ს.ს. ჩივიტავეკია) > რომი > ოტრიკოლი (Otricoli, ს.ს. ოსტრიკო) > ნარნი (Narni, ს.ს. ნარმა) > ტერნი (Terni, ს.ს. თერნა) > სპოლეტო (Spoleto, ს.ს. სპოლეტო) > ფოლინიო (Foligno, ს.ს. ფოლინიო) > ვალჩიმარა (Valcimarra, ს.ს. ვალჩიმარა) > ტოლენტინო (Tolentino, ს.ს. ტოლენტინო) > მაჩერატა (Macerata, ს.ს. მაჩერთო) > რეკანატი (Recanati, ს.ს. რალანატო), ლორეტო (Loreto, ს.ს. ლორენტა, შემდეგ ლარეტასაც ეძახის და ლოტერიასაც) > ფოლინიო (Foligno, ს.ს. ფოლინიო, ამ შემთხვევაში უოლინიოს უწოდებს) > ასიზი (Assisi, ს.ს. ასიის ქალაქი) > პერუჯა (Perugia, ს.ს. პერუჯა) > კამუჩია (Camucia, ს.ს. კამუჩია) > არეცო (Arezzo, ს.ს. არეცო) > ფლორენცია (Firenze, ს.ს. ფლორენცია) > პიზა (ისა, ს.ს. ფისა) > პალერმო (Palermo, ს.ს. პალერმო) > მესინა (Messina, ს.ს. მისინა) > რეჯიო დი კალაბრია (Reggio di Calabria, ს.ს. რჯა) > აუგუსტა (Augusta, ს.ს. გუსტა) > სირაკუზა (Siracusa, ს.ს. სირაკუზა („ჩამოვიარეთ მიღმად და დავინახეთ“)) > მალტა (Malta, ს.ს. მალტა) > მორეა (Morea, ს.ს. მორა, პელოპონესის ნახევარკუნძულის ძველი სახელწოდება) > კ. ევბეა (იგივე ნეგროპონტე, Negroponte, ს.ს. ნელრა პონტო) > კ. ქიოსი (ს.ს. ქიო, სახიზი) > მიტილენე, კ. ლესბოსი (ს.ს. მიტილინი, ბიტილიმი, ბიდლიმი) > სმირნა, იზმირი (ს.ს. ზმირინის ზღვა, ქალაქი) > ანატოლიას ჩაუარეს (ს.ს. მარჯვნივ ანადოლი, ანადოლზე ახლო ვიარებოდით) > გალიპოლი (Gallipoli, ს.ს. კალი პოლი, მარმარილოს ზღვასთან: „კალი პოლი ერთი მომცრო ძველი ქალაქია, ზღვის პირს, ურუმელში“) > კონსტანტინოპოლი > ათინა > ხოფა > ჩხალა > გონიო > ნიგალის ხევი > არტანუჯი > არტანი > აბოცი > თბილისი.

მეტეხი

საბას პირველი შედარება-მოგონება სწორედ თბილისს უკავშირდება: „მოვედით მონაკო ქალაქსა. ზღვაში ერთი კლდე შესულიყო თბილისის მეტეხსავითა“ [4გვ. A28v].

მაშინ მეტეხის ციხეს ავლაბრის ციხესაც უწოდებდნენ. XVIII საუკუნეში ციხე ორ ნაწილად იყოფოდა, მალლა და დაბლა ციხეებად და საერთოდ, იმ პერიოდის მეტეხი არ აღიქმებოდა მხოლოდ კლდოვან მონაკვეთზე შემოზღუდულ ტერიტორიად. რო-

გორც ვახუშტის გეგმიდან ჩანს, მეტეხის გალავანი ტფილისის ციხე-გალავნის გაგრძელებაა: „თბილისის ციხის უბანი და ავლაბრის მეტეხის უბანი ერთი მთლიანი ობიექტია, გალავნით შემოზღუდული, რომელსაც მტკვარი შუაზე ჰყოფს. მტკვარზე გადებული ხიდოც ძირითადად ამ ორ გამაგრებულ პუნქტთა შემაერთებელია“ (ბერძნიშვილი 1965: 55).

საბას დროისთვის მეტეხი ბოლოჯერ როსტომ ხანის პერიოდში იყო განახლებული (1634-1658 წლებს შორის). როსტომმა ამ პერიოდში დატოვა ისინის სასახლე და მტკვრის ნაპირას, ანჩისხატსა და სიონს შორის ააშენა ახალი სასახლე (1638 წელს). მანვე ააგო ხიდი მეტეხზე და შიგ სპარსული გარნიზონი ჩააყენა.¹¹ ვახტანგ V შაჰნავაზმა 1661 წელს მეტეხი სათოფისნამლედ აქცია (იოსელიანი 1866: 23). მალე ტაძარი მეხმა დააზიანა, 1689 წელს კი ერეკლე I-მა (ნაზარალიხანმა) ციხეც და ტაძარიც სპარსელებს გადასცა, რომელსაც კვლავ თოფისნამლის საწყობისთვის იყენებდნენ. თეიმურაზ II-ის ქართლში გამეფებისას (XVIII საუკუნის 40-იან წლებში) დაბლა ციხე ცარიელი იყო, ციხის კართან კი სანეხვე ყოფილა (ბერძნიშვილი 1965: 57). XVIII საუკუნის 50-60 წლებში აქ უკვე გვარჯილისა და თოფისნამლის ქარხანა ააგო მიკირტუმ თაყოაშვილმა, რიყის მხარეს, მეტეხის კარის მიდამოებში. ავლაბრის ციხეს კარი დარეჯანის სასახლის ზემოთ ჰქონდა, თუმცა სულხან საბას დროს ამ ციხეს სხვა კარიც უნდა ჰქონოდა, რომელიც ერეკლეს პერიოდში უკვე ნაკარევად იხსენიება. 1723 წელს, თურქების მიერ თბილისის აღების შემდეგ იყო მცდელობა მეტეხის კიდევ უფრო კარგად გამაგრებისა, მაგრამ თურქები მეტეხიდან ნადირ-შაჰმა განდევნა და ეს ჩანაფიქრი ვერ აღსრულდა (იოსელიანი 1866: 240).

საინტერესოა მაშინდელი თბილისის მდგომარეობაც. ვახტანგ VI-ის დროს თბილისს აღმავლობის ხანა დაუდგა. როგორც იმ პერიოდის სომეხი ისტორიკოსი, ესაია წერს: „დიდი ხნიდან მტრებს არ შეუძრწუნებიათ და მშვიდობით ტკბებოდა უმდიდრესი და საუკეთესო ქალაქი თბილისი; მამაკაცები იქ შრომისმოყვარე ვაჭრებია, ხოლო მათი ცოლები და ქალიშვილები, ლამაზები და აღზრდილები, სარგებლობენ შეუდარებელი ცხოვრებით, სიმდიდრითა და ფუფუნებით. ცხოვრობენ ისინი საუცხოო დარბაზებში – მდიდრულად მორთული ავეჯეულობითა და ყოველგვარი საოჯახო ნივთებით... სპილენძის ჭურჭლეულობის მაგიერ აქვთ ოქროსა და ვერცხლის; რა უნდა ვთქვა მე იმ დიდებულ ეკლესიათა სიმდიდრის შესახებ, რომელნიც ფლობენ ოქროსა და ვერცხლის ნივთებს, რომელნიც მორთულნი იყვნენ ფარჩებით და სხვა მრავალგვარი შემკულობებით“ (გვრიტიშვილი... 1952: 162-163). ამ პერიოდში, ვახუშტის სიტყვით, ვახტანგმა „დაამდაბლნა თათარნი და უმეტეს ტფი-

ლისის ციხის მცველნი“ (ვახუშტი 1973: 482 – 5-6), თუმცა ეს პერიოდი, სამწუხაროდ დიდხანს არ გაგრძელდა. 1723 წელს თბილისი ორჯერ აიღეს ოსმალებმა, მაისში და ივლისში, ვახტანგ VI კი იძულებული გახდა რუსეთში გადახვეწილიყო. თავად მეფე წერდა: „მერე ურუმთ ჯარი ჩამოვიდა ქართლში და ჩვენ აღარ დაგვინდეს და საქართველოში ველარსად დავდექით. წამოვედით რუსეთის ხელმწიფესთანა და თან გვიახლა სულხან ყოფილი, საბა“ (ლეონიძე 1940: 104).

მუგუთის მსგავსი ალაგები

ლიგურიაში *„მრავალი მაგარი ციხე და სოფლები ჩამოვიარეთ, მაგრამ დიდს ადგილს ვენახოვანი სულ წამხდარიყო. კედლები აეშენათ, გვერდზე მოესწორებინათ, ზედა ვენახები აეშენათ, მაგრამ სრულობით გაოხრებულიყო. ვიკითხე: რატო წამხდარა მეთქი. მითხრეს: მინა არ ვარგებულაო. მაგრამ თუ მინა არ ვარგეყო, იმდენი აუარებელი ვენახი რად ააშენეს? მუგუთის მსგავსი ალაგები იყო“* [6გვ. B2].

ამჟამად, რომ საბა აქ ტერასულ ვენახებს გულისხმობს, განსაკუთრებით, თუკი გავითვალისწინებთ, რომ დღესაც, მთელი ლიგურიის მხარე ტერასული ვენახებითაა განთქმული. გაკვირვებას იწვევს ერთი ფაქტი, კერძოდ კი ის, რომ დახასიათებისას საბამ არ გამოიყენა ტერასული ვენახების აღმნიშვნელი ძველქართული ტერმინი, ოროკები, სიტყვა, რომელიც სწორედ სულხან-საბას „სიტყვის კონამ“ შემოგვინახა. „ოროკო“ მასთან განიმარტება როგორც „მინა ბაქან-ბაქ(ა)ნად მოვაკებული. ნალკოტთა და საყანურთა ხარისხნი მოვაკებად“. ოროკებით განთქმული იყო მესხეთის მხარე, თუმცა როგორც საბას შენიშვნიდან ირკვევა, ქართლშიც იყო გავრცელებული ამ ტიპის ხელოვნურად ამოშენებული ბაქან-ნიადაგები, კერძოდ კი ლიახვის ხეობაში, სოფ. მუგუთის გარშემო. სხვათა შორის, სიტყვა ოროკი შემოინახა გურულმა კილომ, რომლითაც XIX საუკუნეში მშრალ თიხნარ ნიადაგს აღნიშნავდნენ.

მაზმანური

ერთ სწეულთა მსახურზე ამბობს: *„საჭმელს უზიდავდა სწეულეებს... იმისი ადგილი სამსახური ეს არის და მსოფლიური ცხოვრება. ასე სწეულეებს მსახურებს. სულ მთლივ ფეხშიშველა, შიშველს ტანს მსხვილი მაზმანური, ქართველი ქვრივები რო ჩაიცვემდნენ, ისე ჭრელი აცვია“* [10გვ. B8].

საბას „სიტყვის კონაში“ მაზმანი განმარტებულია როგორც ბალნის მსთველი, ბალნის მგრეხელი, ხოლო მაზმანურში იგულისხმებოდა მატყლიდან დამზადებული უხეში ქსოვილი, რომლისგანაც, როგორც ირკვევა, იკერავდნენ ტანსაცმელს ქართლელი ქვრივები. სხვათა შორის, მაშინდელ საქართველოში გლეხის ქალის ჩაცმულობა თავად-აზნაურთა წრიდან გამოსული ქალის ჩაცმულობისგან თითქმის არაფრით განირჩეოდა. „განსხვავებული თავისებურება უფრო კოსტუმის ელემენტთა ღირებულების მეტ-ნაკლებობაში გამოიხატებოდა, ზოგჯერ კი, როგორც ირკვევა, ზღვარი ამ ხაზითაც იშლებოდა“ (ბოჭორიშვილი 1947: 199). გლოვის პერიოდში კი ქალს უსათუოდ თალხი ფერის (ლურჯი ან შავნარევი) თეთრეული უნდა ცმოდა.¹²

ოდში

„რა ალიკორნის საზღვარში შევედით, დავაკება შეიქმნა. ოდიშის მსგავსი ადგილი, ტყიანი, ბრტყელი. შორს მაღალი მთები მოჩანდა“ [14გვ. B13].

ვახუშტი ოდიშის შესახებ წერს: „და არს ქუეყანა ესე მგზავსი ვაკისა და უმეტეს ნაყოფიერი და ტყიანი. <...> ზაფხულს ზღვის პირნი ვაკენი ცხელი და არა გაუძლისი <...> ხოლო ან ეგრისი უპყრავსთ აფხაზთა, და მას ზეითი სამჯრის კერძო დადიანსა. კუალად ქუეყანა ესე არს ფრიად ტყიანი, მთით ბარამდე, და მცირე ველოვანი. მდინარეთა კიდენი ჭალოვანნი და ვაკეთა ადგილნი ეწერნი, ბარდოვან-ტალახ-ჭანჭრობიანი და ფრიად წყმიანი. ამისგან არს ფრიად ნოტიობა, გარნა უვნებელი“ (ვახუშტი 1973: 777, 21. 782, 8-9, 783, 14-21). საბას დროს ოდიშის დიდი ნაწილი აფხაზებს ეპყრათ, ამასთან დაკავშირებით პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ თედო ჟორდანიას „ქრონიკებში“ დამონმებული XVII-ე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქალის, ანიკა ქორთოძის (ქორთუა) მინაწერი ცაიშის სახარებაზე: „მერმეთ აფხაზის ლაშქარი მოვიდა, ტაძარს მოუხდა და ჩვენ დიდსა გაჭირვებასა და შიშსა ქვეშე შევვარდითო“ (ჟორდანიას 1897: 467). მიხეილ თამარაშვილს მოჰყავს ჯუზეპე ძამპის წერილი, სადაც ვკითხულობთ: „სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, რადგან ომის გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი... ახლა კაცს არ შეუძლია უშიშრად იყოს. მუდამ აფხაზების დაცემის შიშია, რადგან აქაურებს ხშირად იკლებენ“ (თამარაშვილი 1902: 205). ცნობილია, რომ XVII საუკუნის ბოლოს საქართველოში იმოგზაურა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა (1641-1707). ოდიშის შესახებ იგი წერდა, რომ მთელი სამეგრელო აფხაზების მიერ იყო განადგურებული, ცხუმიდან, ვიდრე ცხენისწყლამდე (ტულუში 2001: 22). „გარნა იყო ჭირი დიდი

ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდნა ნავებითა და ჳმელითა და სტყუენიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარედმდე, და დაეშენებოდენ თჳთ აფხაზნი და არლარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“ (ვახუშტი 1973: 845, 19-23). XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე აფხაზ ფეოდალებს უკვე ლალიდგამდე ჰქონდათ დაკავებული ოდიშის ტერიტორია და ოდიშის მთავარმა გიორგი IV დადიანმა (კაცია ჩიქოვანის ვაჟმა) იმერეთის მბრძანებელს, გიორგი მალაქია აბაშიძეს თხოვა დახმარება. საბას გამგზავრების პერიოდში სწორედ გიორგი IV დადიანი იყო ოდიშის გამგებელი¹³ და როგორც ვახუშტი წერს: გიორგი „სრვიდა უწყალოდ და ჰყიდდა ტყუედ ოდიშართა“ (ვახუშტი 1973: 846, 1-2).

ცალკე აღნიშვნის ღირსია დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი, გრიგოლი, რომელმაც სულხან-საბა და პატრი რიშარი შავ ზღვამდე გააცილა. რიშარის სიტყვით, მას არაერთხელ გამოუთქვამს კათოლიკე ეკლესიასთან შეერთების სურვილი და ითხოვდა მისიონერების გამოგზავნას სამ ადგილას დასაყენებლად, სამეგრელოში, იმერეთსა და აფხაზეთში, რომელიც მაშინ „წარმართული“ იყო. საბასა და თუ სხვათა მიმონერაში ეს ფაქტი არაერთხელ გაიელვებს, სვადასხვა ინტერპრეტაციით. XVIII საუკუნის იტალიელი მოგზაურის, ქსავერიო გლავანი იმასაც წერს, აფხაზების გარდა სამეგრელოს მოსახლეობაც წარმართები არიანო, და იქვე აჩიკბაშებსაც ახსენებს და მათაც წარმართებად მიიჩნევს (გლავანი 1893: 37)¹⁴.

ქართველი მოქალაქეები ევროპაში

„ალიკორნაში ოთხიოდ ქართველი მოქალაქე იყვნეს. ერთი ტერტერა, სამნი სხვანი: ერთი სომხის საყდარი მიქეს, ვერა ვნახე“ [14გვ. B14].

იმ დროში სულ რამდენიმე ქართველი (ან საქართველოდან წასული) ვიცით, რომლებმაც იმოგზაურეს, სწავლობდნენ ან მოღვაწეობდნენ ევროპაში. პირველ რიგში უნდა ვახსენოთ იოსებ ქართველი, რომელიც საფრანგეთის საელჩოს თარჯიმანი იყო სპარსეთში. როგორც ვარაუდობენ, იოსებ ქართველი შეიძლება იყოს საბას „ძველი მეგობარი იოსები“, რომელიც ვახტანგ VI-მ გააგზავნა საფრანგეთში საბასთან. ასევე ვიცით სულხან-საბას კიდევ ერთი თანამედროვე, გასპარ ქართველი, რომელსაც მართალია ევროპის მოვლა არ დასცალდა (გარდაიცვალა 1701 წელს), მაგრამ მის გაკათოლიკებას დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც საბასთვის. გასპარი მართლმადიდებელი იყო. მას ევროპული წყაროები ქართველს უწოდებენ (ასევე კეთილმო-

ბილს, Nobleman) და მასთან ერთად ელჩობაში მონაწილე სომეხი ვაჭრებისგან განარჩევენ (გაბაშვილი 1959: 65).¹⁵

ყაბახი

3 ივლისს რომში, წმინდა პეტრეს ეკლესიის სანახავად მისული, საბა ერთ “მომცრო მინდორზე” აღმოჩნდება¹⁶. *„ოთხ პირად, მგრგვალად ორმოც-ორმოცი ქვის სვეტია ამართული. თვითო ექვს ადლს უმაღლეა, სამ კამარად შეკრული, მოსწორებული და ზეიდა მსულ წმიდათ სახეები ქვისა, გათლილი დგანან. მინდორს შუა ერთი ოთხკუთხა ქვა, ყაბახს უმაღლეა, მთელი და ზედ ჯვარი ამართული“* [17გვ. B18].

მაშინდელი ყაბახი (საასპარეზო ვაკე ადგილი ახლანდელი ალექსანდროვის ბაღის ქვედა ნაწილში) შედარებით გვიანი პერიოდის დოკუმენტებში მოიხსენიება როგორც „გარეთუბნის მოედანი“ (ასევე, მედანი, ასპარეზი). შარდენის წიგნისთვის დართულ თბილისის ხედზე ყაბახი ჯერ კიდევ არ ჩანს და როგორც ვარაუდობენ, საასპარეზო ადგილად მისი ჩამოყალიბება XVII საუკუნის ბოლოს, XVIII-ის დასაწყისში უნდა მომხდარიყო, მას შემდეგ, რაც გარეთუბანში მოსახლეობის რიცხვმა იმატა (ბერიძე 1977: 47). ქალაქიდან ამ მოედანამდე გზა შუა კარის ქვემოთ, ავანანთ ხევზე გადებული ხიდითა და შემდეგ ვანქის სასაფლაოს ზემოდან (დასავლეთიდან) მოვლით მიდიოდა (ბერძნიშვილი 1965: 49). იმდროინდელ ყაბახზე საკმაოდ დეტალური წარმოდგენა შეგვიძლია შევიქმნათ 1735 წელს, ვახუშტის მიერ შედგენილი გეგმიდან. გეგმაზე ყაბახის სიახლოვეს კარგად ჩანს „ყაიბულას ბაღი“, რომელიც გრძელ ოთხკუთხედაა აღნიშნული. საინტერესოა, რომ ეს ბაღი საბუთებშიც ჩანს. მაგალითად, საბას გამგზავრებამდე 1 წლის ადრე დაინერა ნასყიდობის წიგნი, რომლითაც ყაიბულანთ ქაიხოსრო ჰყიდის „ბაღს ყაბახს. ზეით“ (ბერძნიშვილი 1965: 50). ყაბახთან მაშინდელი წყაროები ახსენებენ ასევე საქუროს (სააგურეს, აგურხანას).

ყაბახზე დანერგილი ისტორიული თუ ლიტერატურული ტექსტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აღდგომის დღესასწაულის ვახუშტისეული აღწერა: “ხოლო აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვეცხლისა ყაბახსა ზედა, დაუწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა, და რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთობა და რომელმან

მხარემან აჯობის, იყო მხარე-თალარნი სამეფონი, და მისციან მათ თვითოთა თვითო (ეგრეთვე ქორნილისა, დიდგამომწვეებისა დღესა შინა ყვიან ესე ასპარეზსა ზედა). მერმე შემოვიდიან მეფისა თანა და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი მგოსან-სახიობითა. არამედ კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ვიდრემდის იყვნენ მუნ, არა იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ — გალობანი. ხოლო შემდგომად წარსლვისა მათისა იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობთა ცემანი“ (ვახუშტი 1973: 29-30, 17-25, 1-5). ასევე თეიმურაზ ბატონიშვილის „დღისა და ღამის გაბაასებაში“:

„როდის იქნების ქორნილი ან სხვა დღეობა კარგიო,
ყაბახზედ ოქროს ვაშლს შესმენ ძვირფასის, იყოს ვარგიო,
კარგა დაკაზმულს ცხენს ისხდენ, ზედ არ ეკიდოს ბარგიო,
კურტაკიანთა ვაჟთა თქვან: “სროლაში, მკლავო, მარგიო!“

ყაბახზე ჰქონია სასახლე იესე ბატონიშვილს (ალიყული-ხანს), რომელიც 1714-1716 წლებში ქართლის მეფის ტახტზე იჯდა. როგორც პლატონ იოსელიანი წერს თავის ნიგნში, იესე ბატონიშვილი აქვეა დაკრძალული (იოსელიანი 1866: 250)¹⁷.

მუზეუმი?

კარდინალთან ნანახ უცხო ნივთებს შორის საბა ასახელებს: „ბატონის სალაროში ღორის კბილსავით რომ კბილია, ორი მისთანა, მაგრამ იმტოლი ვერ იყო. კაცის თავი გაქვავებული, სოკო გაქვავებული. ეს ქართლშიაც მინახავს“ [38გვ. B46].

ამაზე კომენტარს აკეთებს საბას ტექსტის გამომცემელი, ს. იორდანიშვილი: „საბა აქ გვანვდის მეტად საინტერესო ცნობებს საქართველოში „მუზეუმის“ ჩანასახისას, ბატონის სალაროში. საყურადღებოა აგრეთვე მისი პალეონტოლოგიური ცნობები ქართლის გაქვავებულ ცხოველთა და მცენარეთა შესახებ“.

ვახტანგის კარის ეკლესია

რომში: „იქიდამ მიგვიყუანეს ერთს დომენიკაანთ დედათ მონასტერში. ეკლესია მომცრო იყო, მაგრამ საკვირველად საკვირველი შემკული იყო. სულ ფერადი მარმარილო. ამის მეტი რა ვითხრა. ვახტანგის კარის ეკლესიად დავნატრე: მე მიმაძღნობინა მეთქი“ [42გვ. B52].

როგორც ჩანს, საუბარია ნმ. გიორგის კარის ეკლესიაზე ბატონის სასახლესთან, რომელიც 1710 წელს ააგო სიმონ ბატონიშვილმა, ვახტანგის ძმამ. საბას მოგზაურობისას ეკლესია შესაძლოა

ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დასრულებული და ალბათ ამით აიხსნება მისი ასეთი ზრუნვა შესამკობელზე. ამ ადგილას ადრე უძველესი, მთავარანგელოზის სახელობის V საუკუნეში აგებული ეკლესია იყო, რომელიც თემურ ლენგს დაუნგრევია 1398 წელს. მის ნანგრევებზე 1640 წელს როსტომ ხანმა სამი ეკლესია ააგებინა. 1). იოანე ნათლისმცემლის სახელობაზე, როსტომის სასახლის წინ. 2). ბატონის მოედანზე, ხარებისა და 3). წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც 1747 წელს¹⁸, ერეკლე II-სთან დაპირისპირების დროს, იესეს შვილის, აბდულა-ბეგის მომხრე მეციხოვნეების მიერ მეტეხის ციხის ზარბაზნიდან ნასროლი ყუმბარა მოხვდა სამხრეთ კედელზე და დააზიანა. ამ ტაძართან ბევრი საინტერესო ისტორია და ლეგენდაა დაკავშირებული. აქვე ინახებოდა წმ. გიორგის უძველესი ხატი და წმინდა ნაწილები.

ბიბლიოთეკა

24 ივლისს საბა ჰაპის „სამნიგნობროში“ წაიყვანეს: „სხვა ყოვლისა რჯულისა და ყოვლისა ენისა ნიგნები იყო. მრავალი ვედებე ქართული ნიგნები, ვერ ვიპოვე, არსად ჩნდა“ [52 გვ. B55].¹⁹

პირველი ქართული ნაბეჭდი ნიგნები, როგორც ცნობილია, 1629 წლით თარიღდება. საბას ევროპაში მოგზაურობისთვის ქართულ ნიგნის ბეჭდვას 100 წლიანი ისტორიაც კი არ ჰქონდა და ამიტომ, ცხადია, ქართული ნიგნების რაოდენობა ძალზე შეზღუდული იყო. 1629 წელს, რომში გამოცემული „ქართული ანბანი ლოცვებით“, სტეფ. პაოლინისა და ნიკ. ირბახის „ქართული-იტალიური ლექსიკონის“ და ფრ. მ. მაჯოს „ქართული გრამატიკის“ შემდეგ 50 წელზე მეტი უნდა გასულიყო, სანამ ქართული ნიგნის ბეჭდვის საკითხი კიდევ ერთხელ წამოიწვედა წინ. 1683 წლის 23 სექტემბერს იერუსალიმის პატრიარქი წერდა მეფე არჩილ II-ს: „სიხარულით მინდა გაცნობოთ. ქართულად ბეჭდვის შემოღება გადავწყვიტეთ, დაე, ქართული ნიგნებიც ისე იბეჭდებოდეს აქ, როგორც ბერძნული“ (იოსელიანი 1866: 134). თედო ჟორდანias ვარაუდით, 1696-1697 წლებში ჩამოსულ იერუსალიმის პატრიარქს სტამბის მოწყობის თაობაზე ვახტანგ VI-სთან ჰქონდა მოლაპარაკებები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა ქართული ნიგნის ისტორიაში მომავალი კათალიკოსი, ვახტანგ VI-ის ძმა, დომენტი²⁰. საქმე ისაა, რომ იგი დოსითეოს პატრიარქს გაჰყვა იერუსალიმში და ნიგნის ბეჭდვის საქმეც იქ შეისწავლა. 1704 წელს დომენტი კათალიკოსად აკურთხეს და 1705-ში თბილისში პირველი სტამბაც დაარსდა²¹ (ე.წ. მარტივი, მცირე წარმადობის სტამბა), რომელიც 1709 წელს ანთიმოზ ივერიელის მიერ წარმოგზავნილმა

იმტვანოვიჩმა სრულყო.²² ამ მცირე სტამბაში დაბეჭდილი პირველი წიგნი დავითნი იყო (1705).

1708 წელს წელს თბილისში ჩამოსულმა იმტვანოვიჩმა ერთ წლინადში დაბეჭდა „სახარება“, „სამოციქულო“, „დავითნი“ (1709), 1710-ში – „კონდაკი“, „ლოცვანი“, „ჟამნი“, 1711-ში – „დავითნი“ (მესამე გამოცემა), 1712 წელს გამოვიდა „დავითნის“ მეოთხე გამოცემა და რაც მთავარია, „ვეფხისტყაოსანი“. საბას ევროპაში გამგზავრების წელს, 1713-ში გამოცემული ჩანს მხოლოდ ერთი წიგნი, სქელტანიანი „კურთხევანი“.

საბა წიგნებში ალბათ გულისხმობდა ხელნაწერებსაც, რაც მაშინ ევროპაში კიარა, საქართველოშიც კი ძნელად იპოვებოდა. იმ წლებში ქვეყანაში ძველი ხელნაწერების ძალზე აქტიური ძიება მიმდინარეობდა. კ. კეკელიძის სიტყვით, XVII-XVIII საუკუნეებში „გულმოდგინედ დაეძებდნენ წინა პერიოდში ნათარგმნ თუ დაწერილ თხზულებებს და დაულალავად იღებდნენ მათგან პირებს“. XVIII საუკუნის დასაწყისში თბილისში მდიდარი ბიბლიოთეკები არსებობდა, სწორედ ამ წესით თავმოყრილი. გვაქვს ცნობებიც იმის შესახებ, რომ ვახტანგის ბიძის, გიორგი XI-ის ბიბლიოთეკით ძალზე ხშირად სარგებლობდნენ კათოლიკე მისიონერები (გაბაშვილი 1959: 65). ეს ბიბლიოთეკა 1723 წელს, ჯერ მაჰმადყულიხანის ჯარის, ბოლოს კი ოსმალების შემოსვლის შემდეგ თითქმის მთლიანად განადგურდა.

სიონის ღვთისმშობლის ხატი

დომინიკანურ დედათა მონასტერში *„მარჯვენა მხრის ტრაპეზზე ლუკა მახარებელისაგან დახატული იყო. და ერთს დიდს კუბოში ესვენა. სიონთა ღვთის მშობლის ტოლია. ძე მარცხნივ უზის“* [ნვგვ. B66-67].

უკვე 1713-1714 წლებისთვის სიონის ღვთისმშობლის ხატთან მრავალი ლეგენდა თუ რეალური ამბავი იყო დაკავშირებული, თუმცა მისი თავგადასავალის ყველაზე მძიმე პერიოდი ჯერ კიდევ წინ იყო. ხატი 1522 წელს შაჰ-ისმაილს თბილისის ალების შემდეგ ტაძრიდან გამოუტანია, ძვირფასი ქვებისგან განუძარცვავს და მტკვარში ჩაუგდია. კახეთის მეფეს, ლევან II-ს ხატი ნავთლულში, თბილისის სამხრეთით, ოთხი ვერსის დაშორებით, მარცხენა ნაპირზე უპოვია, კვლავ შეუმკია და ისევ სიონის ტაძარში დაუბრძანებია.²³ არსებობდა მეორე ისტორიაც, რომლის თანახმადაც, შაჰ-ისმაილს მორთულობისგან განძარცვილი ხატი მტკვრის პირას, ავლაბრის ხიდის ყურესთან დაუდგამს და ტფილისელ ქრისტიანთათვის ხატის გმოზა და ფეხით გათელვა უბრძანებია. ურჩებს სიკვდილით სჯიდნენ. ამის შემდეგ ხატი მდინარეში გადაუგდიათ

და მოგვიანებით იგი მტკვრის მარცხენა ნაპირზე გამოურიყავს, სადაც იგი ერთ კახელ გლეხს აღმოუჩენია, წაულია კახეთში და მეფისთვის მიურთმევია. კახთა ბატონს ხატი ისევ ძვირფასად შეუმკია და სიონში დაუბრუნებია, სადაც იგი 1724 წლამდე, თურქების შემოსევამდე ესვენა. ასე იყო ალბათ 1713 წელსაც, საბას გამგზავრების პერიოდში, თუმცა 1723-1729 წლებში, კახეთის მეფე მაჰმად-ყული ხანის შემოსევების შემდეგ სიონის ტაძრიდან ღვთისმშობლის ხატი წაულიათ. ხატის ბედი უცნობია, ზოგის აზრით იგი გადაუშალავთ (იოსელიანი 1866: 118-119). XVIII საუკუნის 1762 წელს სიონის ღვთისმშობლის ხატის ნაცვლად ვახტანგ VI-ის ვაჟს, გიორგის მოსკოვში „შეუმზადებია“ და ტფილისში გამოუგზავნია ძვირფასად შემკული ხატი²⁴. თავის მხრივ, ეს ხატიც, 1795 წელს გადაურჩენია სპარსელებისგან იოანე ოსეშვილს და იგი დროებით კაიშაურის მთებში გადაუშალა.

„განათლების რეფორმა“

რომში საბა ერთ მონასტერს ასტუმრეს, სადაც „სამადლოდ ბერძნის, სომხის და არაბის შვილები და სხვათა იზდებიან“. საბამ ამ უცხოელი ყმანვილების (ეთიოპელის, სომხის, ბერძნის, ეგვიპტელის, ასურის, სპარსის და სხვ.) ქადაგებები მოისმინა, ბოლოს კი „მათმა ეპისკოპოსმა კიდევ მიხუმრა: ქართველი გვაკლია ყმანვილები გამოგზავნეო, ასე ვასწავლიო და იქავ გამოგზავნეო. მაგრამ ეს არც ხუმრობა იყო. მართლა მთხოვა პაპის ბრძანებითა“ [75გვ. B95-96].

ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო წინადადებას ვხვდებით ორმხრივ მემორანდუმში, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. იმ მონაკვეთში, სადაც საუბარია საქართველოში გავრცელებულ „დასაძრახ ჩვეულებაზე“, რომელიც საკუთარი შვილების თურქებზე მიყიდვას გულისხმობს, ვკითხულობთ: „ისინი ემსახურებიან საზიზღარ ჩვეულებას, ამცირებენ თავიანთ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას და ამით დღითიდღე, სულ უფრო და უფრო ისუსტებენ თავს... არ იქნებოდა ძალიან ძნელი ერთდროულად გვესარგებლა ყველა ამ მოსაზრებით, ვაიძულოთ ისინი, შეცვალონ მიზანი, ვურჩიოთ, რომ ბავშვები 12 წლის შესრულების შემდეგ [გაგზავნონ საფრანგეთში]... უფრო გათვითცნობიერებულნი იქნებიან და შეეძლება მხარი დაუჭირონ თავისი ქვეყნის სარწმუნოებას და სამშობლოში დაბრუნებისას დაეხმარონ მათ ცხოვრებაში“. იმ დროში, საფრანგეთის მთავრობას შეეძლო „მიეღო ყოველწლიურად თავადაზნაურულ წრიდან გამოსული, ყველაზე უფრო ღირსეული, 16 წლის ასაკის 15 ან 20 ახალგაზრდა, რომლებიც ჩამოვიდოდნენ საფრანგეთში თავისი სურვილით და მშობ-

ლების განკარგულებით. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისინი აღიზრდებოდნენ... კოლეჯში, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება დაარსებულიყო საქართველოში“ (ტაბალუა 1965: 100-101).

ეს ფრანგული განათლება ძირითადად სამხედრო საქმეს გულისხმობდა და საქართველოში კოლეჯის გახსნის მცდელობაც ამას უკავშირდებოდა. სამწუხაროდ, ეს ორმხრივი სურვილი ქართული „განათლების სისტემის“ რეფორმირებისა, რომელიც რომიდან და ლუი XIV-ის საფრანგეთიდან მომდინარეობდა, განუხორციელებელი დარჩა და საქართველოში მხოლოდ XIX საუკუნის 40-50-იანი წლებისთვის ჩამოყალიბდა ერთი მხრივ სამხედრო არისტოკრატია, მეორე მხრივ კი პირველად გაჩნდა საშუალება საუნივერსიტეტო - მართალია რუსული — განათლების მიღებისა.

ასბესტის ხელსახოცი

რომში, ერთ-ერთ კარდინალთან: *„ერთი სხვილი ტილოს ხეში რომ იქნება მისათანა იყო... მოუკიდეს ცეცხლი... ის ტილო გარეცხილსავე დაარჩა. მერმე ნაკვერცხალი დაუყარეს. პატარა საბერველით უბერეს. აეგზნო ნაკვერცხალი და გარეცხილს გვანდა. ცეცხლმა ვერ დააკლო რა. ათასი მარჩილი ეძლია ფრანჩისის კარდინალს და არ მიეცა. მე რით შევიძლებდი სყიდვას, თვარა ვახტანგ მეფისათვის კაი ძღვენი იყო. ის ფრანჩავისაგან არის. ამიანტოს ქვიან. წიგნებში ქვად არა სწერია. ხედ სწერია. ის ქვაც მინახავს. ყეენს გამოეგზავნა ვახტანგ მეფისათვის. ამისი ხელსახოცი ეგება მიშოვნო სადმეო“ [79გვ. B101].*

საუბარია ბოჭკოვანი მინერალის, ასბესტის მასალისგან მოქსოვილ ნაჭერზე, რომელიც იმ პერიოდში ძალიან ძვირად ფასობდა და როგორც ვხედავთ, იშვიათი ნივთების მოყვარულ ვახტანგ VI-ს დაუბარებია საბასთვის. მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცოდა ჯანმრთელობისთვის მისი მავნებლობის შესახებ, უფრო მეტიც, ანტიკურობიდან მოყოლებული, ასბესტის ნაქსოვთან ლეგენდები იყო დაკავშირებული. საბას ლექსიკონში ამიანტოსის შესახებ ვკითხულობთ: *„ესე ბუნებით ხე არს მსგავსი ქვისა და განუღვეველი ცეცხლისაგან, რამეთუ ცეცხლსა რა შევიდეს, განაკვერცხლებული ჰგონიეს, და რა გამოიღო, ვითარცა წყლითა გარეცხილი, უნმიდეს არს. მისის ძაფთაგან ტილო მოიქსოება“²⁵. დაახლოებით ასევე განიმარტება საბასთან „ამინატონი“ (მცირედი ცვლილებებით, მაგ. გარეცხილის ნაცვლად საბა „განბრკინვალებულს“ ამბობს). სამივე ამ ტექსტის ლექსიკურ ერთეულთა შედარება, ასევე ყენისგან გამოგზავნილი „ქვის“ ამბავიც გვაფიქრებინებს, რომ საბას რომში ვიზიტამდე ნანახი არ უნდა ჰქონოდა ეს მატერია, აქედანვე შეგ-*

ვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავის „ლექსიკონში“ საბამ „ამიანტოსის“ და „ამინატონის“ შესახებ სტატიები მუშაობის მეორე ეტაპზე²⁶, 1713-1716 წლებში, ევროპაში მოგზაურობისას უნდა შეეტანა და მათ, ორივეს ზემოთმოყვანილი შენიშვნა უდევს საფუძვლად.

ბოლო იმედები

„[პაპმა] ასე მალე არ გაგიშვებდით, მაგრამ ვახტანგ მეფის უკითხავად წამოსულხარო, რომ დამეჭირე იმას გულს დააკლდებო და ნადი მისი საქმე მოიჭირვეო“ [85გვ. B109].

ეს საუბარი რომში 1714 წლის 17 აგვისტოს შედგა. მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა იმედები, რომ საბას ელჩობა უშედეგოდ არ ჩაივლიდა, თუმცა ნელ-ნელა საბა კარგავდა ამ იმედებს. პირველი დარტყმა კონსტანტინეპოლში ჩასვლისთანავე, ვახტანგისგან მიღებული წერილი იყო, სადაც იგი ვითარების გაუარესების შესახებ ატყობინებდა (როგორც ჩანს იესეს გამეფების ამბავიც მისი წერილიდან შეიტყო) და „სთხოვდა ევროპაში საქმის დაჩქარებას“ (ლეონიძე 1940: 97). საბას ბოლო იმედები მას შემდეგ უნდა გადანურულიყო, რაც საფრანგეთიდან ლუი XIV-ის გარდაცვალების ამბავი მოვიდა. საფრანგეთის მეფე 1715 წლის 1 სექტემბერს გარდაიცვალა, ამ დროს საბა კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა და ნესით მალე უნდა გაეგო ეს ამბავი, რადგან მუდმივად ჰქონდა ურთიერთობა საფრანგეთის ელჩთან სტამბოლში.

სხალნარი

რომიდან წამოსული საბა რამდენიმე დღეში ვალჩიმარაში აღმოჩნდა, სადაც „სხალ ნარი დიდგორი რომ არის, ამგვარი ადგილები იყო“ [87გვ. B113].

სხალნარს ვახუშტიც ახსენებს ორჯერ: „ჩრდილოთ გორა კუმისისა, მტკურიდამ მიყოლით კოჭრამდე, განვლის სამადლოს და სხალნარს, მიადგების დიდგორს“, „ჯევი სალირაშენისა, გამოსდის სხალნარს და მოდის სამჯრით“ (ვახუშტი 1973: 325, 6, 327, 1).

ხახული

ქალაქ ლორეტოში საბას „წმიდა სახლის სანახავად“²⁷ წარუძღვნენ. საბა ლორეტოს ღვთისმშობლის (Madonna di Loreto) გამოსახულებას ახასიათებს და შემდეგ ამბობს: „იმ ხატის სისწორ მაღლა კედელში ორი წითელი იავუნდი ზის. ხახულის ღვთის მშობლის

თვალს უფროსი არის და უკეთესიცა. და ყვითელი და თეთრი იავუნდი, დიდროვანი, ურიცხვი“ [90გვ. B117].

1713 წელს ხახულის ხატი გელათის მონასტერში იყო დასვენებული. შემორჩენილი გვაქვს იმერეთში რუსეთის ელჩების, ტოლოჩანოვისა და იევლევის აღწერა, 1650 წლისა: „ყოვლად წმიდის ღვთისმშობლის ხატი, წელზევით გამოსახული, ხელებგანვდენილი უფლისა მიმართ ისე, როგორც იწერება ვედრებაში. ძვირფასად შემკული და გასაოცარი“ (ამირანაშვილი 1972: 16). ვახუშტიც წერს, „აქა არს ყოვლად წმიდის ხატი ხახულის ღვთისმშობელი, ლუკა მახარებლის დახატული... და შემკული ძვირფასითა ქვებითა აღმაშენებელისა და თამარ მეფისათი“ (ვახუშტი 1973: 753, 18). სრულიად შესაძლებელია, საბას გრიგოლ კათალიკოსთან სტუმრობის დროსაც ენახა ხატი. ჩვენთვის უცნობია თუ კერძოდ რომელი თვალი იგულისხმება „ღვთის მშობლის თვალში“. კარედი დემეტრე I-ის პერიოდში შეუქმნიათ. ხატი 1859 წელს გაიძარცვა, დაიკარგა თავად მინანქრით შემკული ღვთისმშობლის ვედრების ხატი. სავარაუდოდ თვალი თავად ხატზე იყო და არა კარედზე (შესაძლოა შენაწირ ნივთებს შორისაც იყო). ხახულის მოპარული ხატის ადგილი 1865 წელს რუსული ფერწერული ასლით შეუვსიათ, თუმცა მოგვიანებით, როცა მინანქრის ფრაგმენტები რუსი კოლექციონერის, მ. ბოტკინის კოლექციაში იპოვეს, ნახატი ისევ მინანქრით შეუცვლიათ (XX საუკუნის 20-იან წლებში ღვთისმშობლის ვედრების მინანქრის ფრაგმენტები საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით თბილისში დაბრუნებულა). მკვლევარი რ. ყენია თავის მონოგრაფიაში წერს: „ხატი რომ მთლიანად მინანქრით ყოფილიყო შესრულებული, მაშინ ახალ ხატს მთლიანად ფერწერით შეასრულებდნენ, ჩვენი აზრით, ხატი თავდაპირველად ჭედურით ყოფილა შესრულებული, ხოლო სახე და ხელები – მინანქრით“. შესაძლოა ძვირფასი თვალი სწორედ ხატის ჭედურ ნაწილში იყო ჩართული.

პლატონ იოსელიანი თავის „Путевые записки по Дагестану“-ში დეტალურად ჩამოთვლიდა საქართველოში გავრცელებულ 20 სხვადასხვა ძვირფას ქვას (იოსელიანი 1862: 81-84) და ბოლოში დასძენდა, რომ უდიდესი ნაწილი ამ ქვებისა ხახულის ხატს ამკობდაო (ხატს და არა კარედს). პლატონ იოსელიანის სიტყვით, ხალხში შემორჩა მხოლოდ სამი ქვის დასახელება, რომელიც ღვთისმშობლის გამოსახულებას ამშვენებდა: ობოლა, კედელა, შედეგა (იოსელიანი 1862: 84). აქედან, ობოლა – ოპალია, შედეგა – ობსიდიანი, კედელას წარმომავლობას იოსელიანი ვერ ხსნის, თუმცა ამბობს, რომ გარეგნულად ძალიან ჰგავდა ლაჟვარდის ქვას (лазоревый

камень²⁸). სამი ქვის ამბავს ადასტურებს გ. წერეთელიც გელათის მონასტრის წარწერების სრულ აღწერაში (წერეთელი 1891: 251).

როზალია – ვარდუა

„ამ ქალაქის მეფის ქალს ლოზოლა რქმეოდა. ჩვენის ენით ვარდუად გამოითარგმნება“ [18გვ. B118].

საუბარია სანტა როზალიაზე (XII ს.). ეს ფრაგმენტი თამამად შეიძლება ლექსიკოლოგებმა საბას „სიტყვის კონაში“ შეიტანონ, კერძოდ „თარგმანი ქვეყანათა და კაცთა სახელებისა“-ში და ლოზოლას ვარდუად თარგმანება სქოლიოს სახით მაინც ჩასვან ლობნი-სა და ლოთ-ს შორის.

ატენური ღვინო

სიცილიაზე: *„სადილად ერთ ლიმენაზე მივედით. კლდე იყო შეკაფულივით, დიად, დიდსა და გრძლად მიგრეხილს მოგრეხილი. მეთევზენი ნადირობდნენ. ასეთი ღვინო იყო, ატენურის ღვინის მსგავსი. სხვაგან არ გვენახა. იმ ადგილებში სულ კაი ღვინო იყო“* [123გვ. B168].

საბა რამდენიმეჯერ ახსენებს უცხოურ ღვინოებს, თუმცა ეს ერთად-ერთი შემთხვევაა, როცა იგი ქართულს ადარებს მას.²⁹ იგულისხმება ეტნის რეგიონი, სადაც ვულკანური წარმოშობის კალთებზე განსაკუთრებული ხასიათის ღვინო დგება დღესაც. ეს რეგიონი ძლიერი წითელი, სასიამოვნო ვარდისფერი და თეთრი ღვინოებით ხასიათდებოდა. ალბათ სწორედ თეთრებს გულისხმობდა საბა, როცა ატენურს ადარებდა მას. საბას დროს ატენური საუკეთესო ქართულ ღვინოდ მიიჩნეოდა. მაშინ, გარკვეულ მიზეზთა გამო, ქართლში ძირითადად ქართლური ღვინო ფასობდა და ერეკლეს გამეფებამდე კახური ღვინო ისეთი პოპულარული არ იყო. ვახტანგ VI-საც ზვრების დიდი ნაწილი ქართლში ჰქონდა, კერძოდ ბოლნისში, ტკბილი კი დასაადულებლად კოჯორში აჰქონდათ ხოლმე (ჯავახიშვილი 1986: 668).

ვახუშტი ბატონიშვილს ქართლის მეღვინეობის ლამის არცერთი ცნობილი მიკროზონა არ დაუტოვებია აღუნიშნავი. ატენის შესახებ იგი წერდა: „ხეობა ესე არს ვენახოვან-ხილიანი... არს ციხე მაღალს კლდეთა ზედა, ნაშენი დიდი, და ციხის გორის სამხრით არს საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაცა დგება ღვინო წარჩინებული... დამჩხერალოდან ტფილისამდე, მტკურის კერძო მთამდე, არს ნაყოფიერი... ხილი და ვენახი მრავალნი; ღვინო აქაური უმჯო-

ბესი ყოვლისა ქართლისა, და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა“ (ვახუშტი 1073: 345-17-21).

ატენური ე.წ. კლასიკურ მოგუდულ ღვინოდ ითვლება (მას ბუნებრივ ცქრიალა ღვინოსაც უწოდებენ). ზოგიერთი ენოლოგის მიხედვით, ატენურის დასამზადებლად ყურძენს გვიან კრეფდნენ, სიცივის დადგომის გამო დუღილი ბოლომდე არ მიდიოდა, ღვინოში ნარჩუნდებოდა ცოტაოდენი შაქარი და ნახშირორჟანგით ღვინის გაჟღენთვის გამო იგი ცქრიალის თვისებებით ხასიათდებოდა (იყო შემთხვევები, როცა გაზაფხულზე აგრძელებდა ღვინო დუღილს). შაქრისა და ნახშირორჟანგის შენარჩუნების მიზნით ატენის ხეობაში, მაღლობ ადგილას სპეციალურად იყო მოწყობილი ქვევრები, სადაც ბუნებრივ სიცივეს იყენებდნენ („საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაცა დგება ღვინო წარჩინებული“) და ამ ადგილს დღემდე საცივი ჰქვია.

ყანდურალოვისა და 19-ე საუკუნის სხვა ავტორების სიტყვით, ატენის ხეობაში ძირითადად ქართლური (გორული) მწვანეს, თავკვერისა და ბუდეშურის ჯიშები მოდიოდა და ზოგიერთის თანახმად ძველი ატენური მხოლოდ ბუდეშურიდან დგებოდა. უფრო გავრცელებულ ვარიანტებში ჩინური და გორული მწვანე ფიგურირებს ერთად, რომელსაც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მცირეოდენი ალიგოტეც ემატებოდა.

უფლისციხე

მალტის პირველ შთაბეჭდილებებში ვკითხულობთ: *„ზღვის პირს ერთი კლდეა ვაკე. უფლის ციხის მსგავსი, ადვილი საჭრელი“* [126გვ. B172].

საბას მოგზაურობიდან 30 წლის შემდეგ, ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერდა მის თანადროულ უფლისციხეს: „აშურიანს ზეით არს უფლის-ციხე, კუერნაქის გამოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკურის კიდესა, რომელი ალაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე; ან არს შემუსრვილი. არამედ შენობა უცხო, კლდისაგან გამოკუეითილი; პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი კლდისაგანვე; გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკურამდე[ე], დიდი. დასავლით აქუს ქარაფი მალალი, და მას შინა გამოკუეითილნი ქუაბნი მრავალ-დიდნი, არამედ ან შეუალ არს, აქა არს ბუზნი. გამოსული იხილვების სპალაშკარნი შუბოსანმშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშკრებულნი, ნიშნენ მისნობად და უწოდებენ უფლისციხეს“. შესაძლოა ვახუშტის სწორედ ამ ციტატის გამო ივარაუდა ერთ-ერთმა თანამედროვე ისტორიკოსმა: „თავდაპირველი მისი ფუნქცია [უფლისციხის], მართალია, შეიცვალა, მაგრამ რაღაც ქვეყნიდან იზოლი-

რებული თემი, „წარმართული“ თემი იქ მაინც ცხოვრობს XVIII საუკუნეშიც კი“ (ციფიანი 2002: 23).

ტყვეები, აფხაზები

საბა მალტელების ვაჟკაცობას აღწერს და გვიამბობს თათრის-თვის წართმეულ ტყვეებთან შეხვედრის ამბავს: „ქართველნიც ვნახე: ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისათვის წაერთმიათ. ენა ისევ კარგა იცოდნენ. აფხაზმა რატომ იცოდა, ის გამიკვირდა, ქართული!“ [129 გვ. B177]. და რამდენიმე დღის შემდეგ: „მე რომ მიველ, ტყვე თორმეტი ათასი თქვეს. და ას და შვიდი ჩემობას მოიყვანეს. რასაც ქრისტიანებს დაახელებენ, არ დაატყვეებენ: თუ უნდა გაუშვებენ, თუ უნდა შეინახვენ. თათარი ტყვედ ჰყოლოდათ. ერთი აფხაზი, ოთხი გურიელი, ერთი გუგუნავა სეხნიას შვილი იყო. დედაკაცებიც გურიელი, მეგრელი დარჩომოდათ. კაის პატივით ინახევდნენ“ [140 გვ. B192].

XVIII საუკუნის დასაწყისის ერთი იტალიელი მოგზაურის, ქსავერიო გლავანის ცნობით (გლავანი 1893: 37), იმერეთსაც და სამეგრელოსაც ხანები მართავდნენ, მაგრამ სუჯუკიდან (ნოვოროსიისკი) სამეგრელომდე 25 აფხაზი ბეი ცხოვრობსო და ისინი მართავენ მხარესო.³⁰ საინტერესოა მაშინდელი სამურზაყანოს სტატუსიც. 1866-1887 წლებს შორის, გენერალ კონსტანტინე მუხრან-ბატონის მიერ შედგენილ ჩანაწერებში ნათქვამია, რომ XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე სამურზაყანო ჯერ კიდევ სამეგრელოს ნაწილს წარმოადგენდა და აფხაზეთის მთავარმა, ჯიქუშია შარვაშიძემ წაართვა იგი დადიანს და სამფლობელოდ მისცა თავის ძმას, ყვაპუს, რომლისგანაც, როგორც მუხრანელი ამბობს, მომდინარეობს სამურზაყანოში მცხოვრები ყველა შარვაშიძის გვარი. მეორე მხრივ, მიხეილ ვორონცოვისადმი მინერილი ერთი წერილის თანახმად, აფხაზეთის მთავრის, ზეგნაყ შარვაშიძის შვილებს, როსტომ, ჯიქუშია და ყვაპუ შარვაშიძეებს ერთმანეთს შორის დაუნაწევრებიათ ბზიფსა და ენგურს შორის მოქცეული მიწაწყალი (ტულუმი 2001: 27).

საბას ელჩობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი აფხაზეთის მხარის წარმართთა მოქცევადაა. რიშარი წერდა: „აფხაზეთში... წარმართები არიან და მეზობლადაც წარმართი ჩერქეზები ჰყავთ“. მაშინ ამ მხარეში მოგზაურობაც ძალზე სახიფათო იყო. უკვე საქართველოს საზღვრებს მოღწეულ საბას ეუბნება მეგზური: „აფხაზი აშლილია, მეშინიანო“ [149 გვ. B203].

როგორც ამ ფრაგმენტშიც ვკითხულობთ, სულხან საბა გაკვირვებულა აფხაზების³¹ ქართულით. ჩვენ მოგვეპოვება XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე აფხაზი თავადების მიერ ქართულ ენაზე

შედგენილი არაერთი პირადი წერილი და მინაწერები, თუმცა ძირითადად, მოსახლეობამ, როგორც ჩანს, კარგად არ იცოდა ქართული.

ცალკე საკითხია ტყვეების სყიდვა, რომელიც იმ პერიოდში მთელს საქართველოში იყო გავრცელებული. მართალია ვახტანგ VI-მ რამდენიმე წლის მანძილზე „მოშალა ტყვეს სყიდვა“, მაგრამ ეს ღონისძიებები დროებითი იყო. პრობლემა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს ეხებოდა, სადაც, როგორც მისიონერი რიშარი წერს: „საუბედუროდ ჩვეულებად აქვთ ერთმანეთი თათრებს მიჰყიდონ ხოლმე“. ამ ეპიზოდის გარდა საბას სხვა დროსაც არაერთხელ შეხვედრიან ქართველი ტყვეები. ყველაზე ბოლოს ასეთი შეხვედრა ხოფასთან მოხდა: „ზღვის პირ ცოტა ხანი ვლეთ. აგვიღელდა ზღვა და ორივ ნავი ერთმანეთს მოსხლიტა. იმათი ნავი ხოფას გააგდო და ჩვენი ნავი იმას ქვეით. იქ მეტყვე თათრები იყვნენ, იმერეთიდან ტყვეები მიჰყუანდათ კონსტანტინოპოლეს დასასყიდლად“ [149გვ, B203].

აბაზიანი

4 ნოემბერს სულხან საბა ნაიყვანეს მალტის ნათლისმცემლის ეკლესიაში, სადაც ნახა „ყელსაკიდი იუდას აღებულის ვერცხლისაგან. ორი, თითო აბაზისტოლი იქნებოდა“ [135გვ. B-185].

მაშინდელი ქართული ვერცხლის აბაზი 7,10-7,38 გრამს იწონიდა. საბას ლექსიკონში იგი განმარტებულია როგორც „ოთხი შაური, ორმოცი ფული“. ყველაზე მცირე ფულადი ერთეული (თეთრი) XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნარევი ვერცხლის 0,035 გრ. ვერცხლს შეიცავდა, შაური შეიცავდა 50 თეთრს, აბაზი – 200-ს (ქოიავა 1962: 20). საერთოდ ამ პერიოდში ქართლში გაბატონებული იყო თვლის ე.წ. დეციმალური სისტემა, რომელიც გამოისახება რიგით: 5-10-20-50-100. არსებობდა სპილენძის „ფული“, „ორი ფული“, ვერცხლის შაური, უზალთუნი, აბაზი, ექვსი შაური და მარჩილი (ქოიავა 1962: 22). აბაზი მაშინ ყველაზე გავრცელებული ფულის ერთეული ყოფილა და ვინ იცის, შესაძლოა ის ფული, რომელიც საბას ვალებისთვის მისმა თბილისელმა „დავრდომილმა ნათლიდედამ“ კარდაკარ სიარულით აგროვა [152გვ. B207-208], სწორედ აბაზ-აბაზ შეგროვდა. მაშინ ფულის ერთეულების თვლა დეციმალური სისტემის მიხედვით მიმდინარეობდა, მონეტები კი კვარტალური სისტემის მიხედვით იჭრებოდა (1-2-4-8-16). საერთოდ სულხან-საბა არაერთხელ ახსენებს ფულს, ქართულ და უცხოურ ფულის ერთეულებს. ხან იმის დეტალურ აღწერასაც გვთავაზობს თუ რამდენი გადაახდევინეს თორმეტიოდ კვერცხში, ცოტა

ახალ ლობიოსა და ერთ კიბორჩხალაში („ექვს ფლურის თხოვა დაგვიწყეს. ძლივ ხუთს მარჩილს დაგვჯერდნენ“ [6გვ. B1]), ზოგჯერ კი ადგილობრივ ფულის ერთეულს უდარებს ქართულს („ერთი სკუტი ოთხი აბაზია“ [95გვ. B125]). ხშირია შემთხვევები, როცა საბა მგზავრობის ღირებულებას გვაცნობს, ასევე ამათუიმ სასულიერო პირის მიერ გაღებული ფულადი წყალობის ოდენობას ან თავის დანახარჯებს. ტექსტის დასასრულს კი დეტალურად ვგებულობთ, თუ რამდენი მარჩილი წაართვეს მას გონიოში, ჩხალაში და არტანში. ერთ-ერთი ყველაზე დიდი თანხა, რაც „მოგზაურობაშია“ დასახელებული, რა თქმა უნდა ვახტანგ VI-ის გამოსასყიდი სესხია, 20 000 თუმანი³² (300 000 ეკიუ).

SeniSvnebi:

1. ეს აბზაცი გაბრიელ გელოვანს ეკუთვნის, ამ „ისტორიული ექსპედიციის“ ერთ-ერთ მონაწილეს. მაშინ საბასთან და ვახტანგ VI-სთან ერთად ათას ოთხასი თავად-აზნაური და სამღვდლო მიდიოდა რუსეთში. ციტატა მოგვყავს გიორგი ლეონიძის ნარკვევიდან (ლეონიძე 1940: 104-105).
2. XX საუკუნის 50-იან წლებში გეოგრაფიული საკითხები დეტალურად მიმოიხილა დ. დონდუამ, თუმცა ცხადია თანამედროვე ნაკითხვა ბევრი რამით განსხვავებული იქნებოდა 50 წლის წინანდელზე. ამას ისიც ადასტურებს, რომ ამ სტატიაზე მუშაობისას, რომელიც არ ისახავდა მიზნად გეოგრაფიული კუთხით ტექსტის განხილვას, ბევრი ახალი საინტერესო რამ აღმოჩნდა, რაც დ.დონდუას ნაშრომში გათვალისწინებული არაა.
3. პონშანტრენისადმი მიწერილ წერილში სულხან-საბა წერდა: „ბატონი ითანდან (ინტენდანტი) დიდებული მარცილიას რომ არის... საქართველოს საქმეები მუსუ რიშარით დაგვანერინა, და გაახლოთ“. სამწუხაროდ, მარსელში შედგენილმა მემორანდუმმა დ'არნუს „მოუცლელიობის“ გამო დროზე ვერ ჩააღწია ლუვრში, საბასა და ლუდოვიკ XIV-ის შეხვედრისთვის. საბამ დ'არნუს გადასცა ასევე საქართველოს რუკა.
4. გორიდან ანტიბამდე მარშრუტი სხვადასხვა წყაროებისა და ვარაუდების მიხედვითაა აღდგენილი, ანტიბიდან თბილისამდე გზას კი საბას ტექსტის მიხედვით „მიყვებოდი“.
5. საბა სწორედ გორში შეხვდა პატრ რიშარს და ალბათ აქვე მიიღო გადაწყვეტილება, ევროპაში გაჰყოლოდა მისიონერს.
6. კონკრეტულად სად შეხვდნენ საბა და რიშარი სამეგრელოს კათალიკოსს, გრიგოლს, უცნობია. XVI საუკუნის II ნახევრიდან დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში იყო გადმოტანილი. ვახუშტის მიხედვით, სენაკშიც ყოფილა აფხაზთა კათალიკოსის „საყოფელი“ (ვახუშტი 1973: 777, 9-11). პატრი დონ იოსებ მარი ძამპი, XVII საუკუნის 50-60-იან წლებში ოდიშის კათალიკოსს გაენათელს უწოდებს (Genacelle).
7. მისიონერი რიშარის წერილის თანახმად, „სამეგრელოსა და სხვა პროვინციების პატრიარქი შავ ზღვამდე წამოგვყავა“-ო (თამარაშვილი 1902: 312).

- ოდიში, იმდროინდელ ფოთის გარდა „ნავსადგურობისათვის“ მოიაზრებოდა ანაკლიაც და ყულევიც (კემხელი, მოგვ. რედუტ-კალე).
8. 1940 წლის გამოცემის კომენტატორი, ს. იორდანიშვილი არასწორად აიგივებს ამ ადგილს ფრანჟისთან (Frangy), რომელიც რონის ალპებში მდებარეობს და ზემო სავოიას მიეკუთვნება (იხ. კომენტარი 1940 წლის გამოცემაში, 180 გვ.).
 9. ამ ტოპონიმის (ლიმონილო) გასწვრივ ცარიელია გრაფები დ. დონდუას მიერ შედგენილ ცხრილში.
 10. გიორგი ლეონიძე ს.ს.-ს ალიკორნში შეცდომით გულისხმობს ლოკარნოს, ქალაქს შვეიცარიაში (ლეონიძე 1940: 95).
 11. ამ პერიოდში სპარსეთისკენ მიმავალი გზა სწორედ მეტეხის ციხეზე გადიოდა.
 12. თემასთან დაკავშირებით იხ. ივანე ჯავახიშვილის, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. თბ. 1962, 3-203 გვ.
 13. დადიანობა მას 1701-1706 წლებს შორის უნდა მიეღო.
 14. შდრ. ბაში-აჩუკი. თურქულად თავშიშველს ნიშნავდა და ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც იმერლები უნდა იგულისხმებოდნენ, ანუ მეგრელების მეზობლად, რიონის ნაპირას მოსახლე ხალხი.
 15. ამ თემასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ვახსენოთ ნიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი), რომელმაც დაწყებითი განათლება რომში მიიღო, 1626-1629 წლებში კი საგანგებო მისიით მოიარა დასავლეთ ევროპის ქვეყნები, როგორც თეიმურაზის ელჩმა. ს. იორდანიშვილი საბას ტექსტის წინასიტყვაობაში ახსენებს ვინმე გელოვანს, რომელიც XVI საუკუნეში იურიდიულ მეცნიერებებს სწავლობდა ნეაპოლის უნივერსიტეტში. გარდა ამისა, XVII საუკუნის მეორე ნახევარში, რომში, ურბანოს კოლეჯში ქართველი ახალგაზრდების გაგზავნის შესახებ წერს მიხეილ თამარაშვილიც.
 16. წმინდა პეტრეს მოედანი იგულისხმება.
 17. ყაბახის შესახებ იხ. ასევე (იოსელიანი 1866: 266).
 18. პლ. იოსელიანი რატომღაც 1764 წელს ასახელებს ამ თარიღად.
 19. წიგნში საბა არაერთხელ აღწერს ბიბლიოთეკებს, მაგალითად, საბა რომელიღაც კარდინალის ბიბლიოთეკაზე წერს: „ერთს კარდინალს ერთი სანეგრო სახლი აეშენებინა., დიდი და პატიოსანი. და კედლის ძირის ძირი-დამ მაღლა თავამდი ოთხგნითვე წიგნი ეწყო, უანგარიშო და მრავალი, რომ ვინც მაგისტანა კაცი იყოს, წიგნის სყიდვა არ შეეძლოს, იქ მივიდეს და რაც წიგნი უნდა, იკითხოს. მიათმიდეს რასაც ხანს იკითხევდა და გარეთ ვერ გაიტანდა“ [27გვ, B30-31].
 20. რომელიც, სხვათა შორის, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ მწვავედ დაუპირისპირდა თავისი ძმის აღმზრდელს (ლეონიძე 1940: 102)
 21. თუმცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი, გოლოვინისადმი გაგზავნილ წერილში არჩილ II ჯერ კიდევ 1703 წელს ადასტურებს ხაზგასმით, რომ თბილისში უკვე მოქმედებდა მცირე სტამბა.
 22. როგორც ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, ამ დროს ქართული სტამბა უნდა ყოფილიყო კონსტანტინეპოლშიც.
 23. შდრ. „შაჰ-ისმაილ <...> შემოვიდა, შემუსრნა ხატნი და ჯვარნი და განძარცვა სიონის ღვთისმშობლის ხატი და შთააგდო მტკუარსა შინა (რომელი შემდგომად ჰპოვა ბატონმან ლევან, ნათლულის ჭალასა შინა), მოსწყდნა ქალაქი და ტყუე ყვნა“ (ვახუშტი 1973: 399, 1-4). სხვათა შორის, ქართული ისტორიოგრაფიაში 1522 წლის შემოსევის შესახებ ერთიანი აზრი

- არ არსებობს. ნ. ბერძენიშვილს ეს ამბავი რეალურ ფაქტად მიაჩნდა (ბერძენიშვილი, 305), ზოგის აზრით კი, შაჰ-ისმაილი საქართველოში არასდროს ყოფილა (დ. კაციტაძე, რ. კიკნაძე). ამაში ეჭვი ეპარებოდა თავად ვახუშტისაც და შესაძლო მოლაშქრედ შაჰ-ისმაილის სპასპეტს, დევალს ასახელებდა სქოლიოში: „მე ვგონებ დევალს უმეტეს ჭეშმარიტს, ვინადგან შაჰ-ისმაილ ხონთქრის ბრძოლას უკან აღარ ლაშქრობდა“ (ვახუშტი 1973: 397, სქ.).
24. ხატის დეტალური აღწერა იხ. (იოსელიანი 1866: 114-117).
 25. შდრ. ნიკო ჩუბინაშვილთან, „ამიანტოს — კლდის ქუა ესოდენ ღბილი, რომელ დაისთვის ბაბმბასავით, ხოლო ნასთი ანუ ნაქსოვი მისი არ დაინვის ცეცხლთა შინა, горный или каменный лен“.
 26. ლექსიკონზე მუშაობის სამი ეტაპის შესახებ იხ. (ქუთათელაძე 1959: 236)
 27. საუბარია Santa Casa di Loreto-ზე, დასავლური ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სინმინდებზე, ქოხზე, რომელშიც მარიამ ღვთისმშობელს ეხარა მაცხოვრის შობა. ეს ქოხი XIII საუკუნეში გადმოუტანიათ იტალიაში, ქ. ლორეტოში.
 28. რატომღაც პლ. იოსელიანთან ლაჟვარდის ქვას ლათინურ სახელად Ciansus Orientalis აქვს მიწერილი, არადა ცნობილია, რომ ამ ქვას Lapis lazuli ჰქვია.
 29. რომში ყოფნისას საბა იქაურ მარანსაც გვიხასიათებს. იგი, შეიძლება ითქვას, პირველი ქართველი იყო, ვისაც ევროპულ ყაიდაზე დააგემოვნებინეს ღვინო: „მარანი ვნახე დიდი და მძლავრი. ერთის ბუნინის პირი წახსნეს. ერთის პირიდან სამი რიგი ღვინო წამოასხეს, სამფერი. სამსავ სხვადასხვა გემო ჰქონდა“ [92გვ. B121]. ბუნინი – საბას სიტყვის კონაში განიმარტება როგორც შეწყობილი ხის ჭურჭელი, კასრი.
 30. თურქული წყაროების მიხედვით, ბეების რაოდენობა 24-ია.
 31. იმდროინდელ ფრანგულ ტექსტებში საუბარია აბაზებზე (des Abazas).
 32. თუმანი უდრიდა 10 მინალთუნს, 1 მინალთუნი 5 აბაზს და ა.შ. საბას მოგზაურობის შემდგომ, 1717-1718 წლებში აბაზი 5,41 გრამამდე შემცირდა, 1748-1749 წლებში კი უკვე 4,60 გრ. გახდა. (ქოიავა 1962: 58.)

damowmebani:

- ამირანაშვილი 1972:** ამირანაშვილი შ. სახულის კარედი. თბ.: 1972.
- ბერიძე 1947:** ბერიძე ვ. XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით. // ანალები, I, 1947.
- ბერიძე 1977:** ბერიძე თ. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია. თბ.: 1977.
- ბერძენიშვილი... 1946:** ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია. თბ.: 1946.
- ბერძენიშვილი 1965:** ბერძენიშვილი მ. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში. თბ.: 1965.
- ბოჭორიშვილი 1947:** ბოჭორიშვილი ლ. კახური ჩაცმა-დახურვა – ქალის ჩაცმულობა. // ანალები I, 1947.
- გაბაშვილი 1959:** გაბაშვილი ვ. სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი. // სულხან-საბა ორბელიანი, 1658-1958. საიუბილეო კრებული. თბ.: 1959.
- გვრიტიშვილი... 1952:** გვრიტიშვილი დ., მესხია შ. თბილისის ისტორია. თბ.: 1952.
- გლაგანი 1893:** Главани К. Описание Черкессии 1729 г. Тф. 1893.

- დონდუა 1959:** დონდუა დ. სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის გეოგრაფიული მნიშვნელობა. // სულხან-საბა ორბელიანი. 1658-1958. საიუბილეო კრებული. თბ.: 1959.
- ვახუშტი 1973:** ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ.: 1973.
- თამარაშვილი 1902:** თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ.: 1902.
- იოსელიანი 1990:** იოსელიანი ა. ქართული მნიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები (უძველესი დროიდან XIX ს. 60-იან წლებამდე). თბ.: 1990.
- იოსელიანი 1862:** Иоселиани Пл. Путевые записки по Дагестану в 1861 году. Тф.: 1862.
- იოსელიანი 1866:** Иоселиани Пл. Описание древностей Тифлиса. Тф.: 1866.
- კაციტაძე 1964:** კაციტაძე დ. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. თსუ, შრომები, ტ. 108, 1964.
- კიკნაძე 1966:** კიკნაძე რ. ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ.: 1966.
- ლანგი 1950:** Lang D.M. Georgian relations with France During the Reign of Wakhtang VI. // Journal of Royal Asiatic Society, 3/4, 1950.
- ლენონიძე 1940:** ლენონიძე გ. სულხან-საბა ორბელიანი. // ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. 1940.
- ნაკაშიძე 1896:** Накашидзе Е. Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мингрелии // Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе. Вып. IV. Тф. 1896.
- ჟორდანია 1897:** ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. ტფ.: 1897.
- ტაბალუა 1965:** ტაბალუა ი. სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში. თბ.: 1965.
- ტულუში 2001:** ტულუში ა. აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის დროის საკითხისათვის. ზუგ.: 2001.
- ქოიავა 1962:** ქოიავა ნ. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბ.: 1962.
- ქუთათელაძე 1959:** ქუთათელაძე ლ. სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის ლექსიკოგრაფიული ურთიერთობისთვის. // სულხან-საბა ორბელიანი, 1658-1958. საიუბილეო კრებული. თბ.: 1959.
- ყენია 1972:** ყენია რ. ხახულის ლეთისმშობლის ხატის კარედის მოჭედილობა. თბ.: 1972.
- ყიფიანი 2002:** ყიფიანი გ. უფლისციხე. თბ.: 2002.
- წერეთელი 1891:** Церетели Г. Е. Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского монастыря. // "Древности". Труды Восточной комиссии. Т. 1. Вып. 2. 1891 М.: 1891.
- ჯავახიშვილი 1986:** ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორია // თხზულებანი, ტ. V. თბ. 1986.

სულხან-საბას „დიალოგები“

„სიბრძნე სიცრუისა“ ე.წ. ჩარჩოიანი კომპოზიციის მქონე თხზულებად არის მიჩნეული. ჩარჩოიანი მოთხრობები გავრცელებული იყო შუა საუკუნეების აღმოსავლურ და დასავლურ ლიტერატურებში, მაგრამ, როგორც შემჩნეულია, სულხან-საბა ორბელიანი შეგირდული ინერციით არ მიჰყვება გატკეპნილ გზას: თხრობით-ნარატიული და იგავარაკული ხაზების პარალელიზმის ნაცვლად, რაც ძირითადი სტრუქტურული მოდელია ამ ტიპის ნაწარმოებებისათვის, ქართველი ავტორი მიმართავს „გადამკვეთ დინებას“, ნაირგვარი მასალის შეერთების ისეთ ხერხს, როცა „არაკები არა მარტო მჭიდროდ ერწყმიან მოქმედ პირთა მსჯელობებს, საერთოდ მოქმედების განვითარებას, არამედ შინაგანად უკავშირდებიან ერთმანეთს“ (გვახარია 1995: 80).

ახლოით განჩხრეკისას, „სიბრძნე სიცრუისა“ რთული კომპოზიციური წყობის, გარკვეული ესთეტიკური ნორმის არეალში ორგანიზებული, სპეციფიკური მთლიანობაა, მაგრამ ამას საგანგებო დასაბუთება სჭირდება. ამჯერად იმას ვიტყვი, რომ თხზულებას თავიდან ბოლომდე გასდევს დიალოგურობა — საუბრის, პაექრობის ფორმა, როგორც კონსტრუქციული პრინციპი ჭრელი, ფერად-ფერადი „ამბების“ განწესრიგებისა. სხვადასხვა შინაარსისა და მოცულობის, მეტ-ნაკლებად ავტონომიური დიალოგური მონაკვეთები, დანყებული პერსონაჟთა კინკლაობით და დამთავრებული სერიოზული პრობლემების განსჯით, განლაგებულია პირობით მხატვრულ სივრცეში — ესაა სიტყვიერი პაექრობის სივრცე, ილუზორული სამსჯავრო პროცესი, როგორც კულტურული თამაშის ფორმა (ჰოიზინგა 1997: 85-94). ჩვენ წინაშეა მოკამათე მხარეთა შეჯიბრი, „ინტელექტუალური ექსპერტიზა“, სასამართლო, რომელსაც ჰყავს უზენაესი მსაჯული — მეფე, აქვს შთამბეჭდავი ჯილდო — სამეფო ტახტი და, საჭიროების შემთხვევაში, მკაცრი სასჯელიც — ცუდი აღზრდისათვის.

დიალოგების წყებაში, რომელთაც „სიბრძნე სიცრუისა“ აერთიანებს, პირობითად შეიძლება გამოიყოს სამი „დიალოგი“, მნიშვნელოვანი როგორც პრობლემემატიკით, ისე ფორმით. თავისი ზოგადი ნიშნებით ისინი, ჩემი აზრით, უახლოვდებიან ლიტერატურული დიალოგის ჟანრს, რომელიც პოპულარული იყო ანტიკურ ხანაშიც და შუა საუკუნეების სქოლასტიკაშიც, რენესანსის ეპოქაშიც და ახალი დროის მწერლობაშიც. აზროვნების სტილი, გამოვლენილი დიალოგის ფორმაში, ის სიღრმისეული სუბსტრატია, რომლის კონკრეტიზაციასაც წარმოადგენს შინაარსობრივ-სემანტიკური

პლასტი (ბატკინი 1978: 132), ამიტომ მათი შესწავლა კორელაციაში ობიექტის უფრო სრულყოფილი შეცნობის პოტენციას შეიცავს.

სულხან-საბას სამივე „დიალოგი“ ბუნებრივად არის ამოზრდილი ფაბულური ქარგის წიაღიდან. იგავ-არაკები ჯგუფდება სადისკუსიო პრობლემების ირგვლივ და ილუსტრაციის, უფრო ზუსტად, სახეობრივ-ხატოვანი არგუმენტაციის ფუნქცია აქვთ — ზოგჯერ ღია კომენტარის თანხლებით, ზოგჯერ უკომენტაროდ.

„დიალოგები“ ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად დაშორებულია, გათიშულია ჩარჩო-ნარატივით, ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მათ შორის კავშირი არ არსებობს. სინამდვილეში, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ისინი ინგრედიენტებია ერთიანი კონცეფციისა, რომელიც მოიცავს შეხედულებებს ადამიანის რაობაზე, მის მიმართებაზე ღმერთთან და სანუთროსთან.

* * *

პირველი, მცირე „დიალოგი“ თხზულების კარიბჭესთან, დასაწყისშივე იმართება. მემკვიდრის არყოლით შენუხებულმა მეფე ფინეზმა „გასცა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა, რათა ევედრონ ღმერთსა ძისა ბოძებისა მისისათვის“ (ორბელიანი 1983: 7). განძის გაცემა-არგაცემა არის ის საკითხი, რომლის გამოც უპირისპირდებიან ერთმანეთს ფინეზის ერთგული კარისკაცები — სედრაქი და რუქა.

სედრაქს მწერალი „მალალი შტილის“ მთელი დიდებულებით წარმოსახავს: მისი სიბრძნე ცას სწვდება, ჭკუით ხმელეთის სიგრძე-განი აქვს გაზომილი და შეცნობილი, მეცნიერებით — ზღვის უფსკრულები და ვარსკვლავები, ხოლო სიტყვატკბილობა ვეზირისა უებრო და საარაკოა. მიჯრილ ჰიპერბოლათა მიღმა იხატება საღვთო და მეცნიერულ სიბრძნეს ნაზიარები იდეალური პერსონაჟი, დიდად საყვარელი მეფისა.

ამის საპირისპიროდ, რუქას დახასიათება სადაა, თავისუფალი სტილური „ფიგურალობისაგან“. რუქა სრული ანტიპოდია სედრაქისა: საჭურისი, „კაცი გულჩქარი და ფიცხელი“, ამასთან, არა საყვარელი თანაგამზრახველი, არამედ მხოლოდ „გულითადი“ ანუ მისანდო კაცი მეფისა — სასახლის მსახურთა განმგებელი, სეფეთუხუცესი.

ამრიგად, „დიალოგში“ ერთმანეთს ეპაექრებიან მეფის მრჩეველი, ყოვლისმცოდნე ბრძენი ვეზირი და ერთგული ქვეშევრდომი, პრაქტიკული საქმით დაკავებული დიდმოხელე.

მეფისაგან განძის უხვად გაცემას რუქას მოულოდნელი და კადნიერი რეაქცია მოსდევს: „რომელსა მეფეთაგანსა გარდაუგია სალარო ესეოდენი?“ (ორბელიანი 1983: 8). კითხვა, მართლაც, მოულოდნელია, რადგან მწერალი მოთხრობის პირველსავე სტრიქო-

ნებში გვამცნობს, რომ მოწყალე ხელმწიფეს „ყოველთა კაცთა ზედა საბოძვარი ცათა წვიმისათვის გარდაემატებინა“ (ორბელიანი 1983: 7). ამავე დროს, კარისკაცის რეპლიკა კადნიერიცაა, რამდენადაც მბრძანებლის საქციელს განსჯის.

მაინც რა არ მოსწონს „გულითად“ სეფეთუხუცესს, როდესაც თავის ერთადერთ ქომაგს — მეფეს! — ამხელს? ნუთუ ეს პიროვნული სიძუნწის გამოვლენაა, ან პატრონის ქონებაზე ქვეშევრდომული ზრუნვის მყვირალა დეკლარირება?!

„სიბრძნე სიცრუისა“ ორგანზომილებიანი, იგავური ჟანრის თხზულებაა. სულხან-საბას მიერ თარგმნილ „ქილილა და დამანაში“ ნათლადაა გამოთქმული იგავური ტექსტის პოეტიკური პრინციპი: იგავ-არაკებში ბრძენთა და მეცნიერ ფილოსოფოსთა „სასიბრძნო სწავლა“, „სიბრძნის გზები“ და „მეცნიერებისა სასარგებლო რიგები“ ცრუ, ზღაპრულ ამბებშია გამოხვეული და სამხიარულოდ მოთხრობილი. იქვეა მონიშნული ტექსტის ორგვარი რეცეფციის შესაძლებლობაც: „მეცნიერნი — სასარგებლოდ და უმეცარნი სალიზღებლად იკითხვიდნენ“ (ქილილა... 1975: 193).

სულხან-საბას ინტერესის საგანი არ არის ემპირიული ყოფა და კონკრეტული ადამიანი. მის მიერ გამოგონილ, პირობით დრო-სივრცულ სამყაროში დიალოგის, კამათის, ე.წ. ფილოსოფიური თამაშის ფორმაში (ჰოიზინგა 1997: 144-153) განიხილება უნივერსალური პრობლემები. აქედან გამომდინარე, თუ გვსურს მწერლის სიღრმისეული ჩანაფიქრის გაგება, აუცილებელია უმეცართა სალიზღებელ „ამბებს“ შეფარებული ალეგორიული („სახისმეტყველებითი“) შინაარსის ეგზეგეზა, „სასარგებლო“ სიბრძნის ამოცნობა.

საბოძვარის, მოწყალების გაცემა, საზოგადოდ, პოზიტიური ზნეობრივი ქმედებაა, საერთო ყველა დიდი რელიგიისათვის. ბუდიზმი, მაგალითად, გულმონყალებას ოთხ ძირითად სათნოებას შორის ათავსებს, „ყურანი“ მუდმივად იმეორებს უქონელთა დახმარების მოტივს (ივანოვი 1984: 14; 102), ხოლო ქრისტიანობაში მოწყალება ნეტარებისკენ მიმავალი ერთ-ერთი გზაა: „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან“ (მათე: თ. 5, 7). ვინც მოწყალეა, უფლის სიყვარულს ადასტურებს და თავადაც შეწყალებული იქნება.

წყალობის გაცემის რელიგიურ-ეთიკური ნორმა მტკიცედ იყო დამკვიდრებული საერო ცხოვრებაში. ამაზე მეტყველებს სიუხვის, გაცემის, ჩუქების კულტი „ვეფხისტყაოსანში“:

რასაცა გავსცემთ, ჩვენია; რაც არა, დაკარგულია!
(რუსთაველი 1966: 15).

ამ პარადოქსული, დიალექტიკური სიბრძნის წყარო სახარებაა (კეკელიძე 1958: 196-197). იგულისხმება, რომ ნივთიერი საუნჯის მოტრფიალე დაკარგავს სულს, ხოლო სულზე მოფიქრალი, მონყალე კაცი მოიპოვებს მას ანუ სასუფეველს დაიმკვიდრებს.

მონყალე-გაცემა („მეფეთა შიგან სიუხვე“) მოქმედი ზნეობრივი ნორმაა სულხან-საბას ეპოქაშიც. ამას მონიშნავს XVII სუკუნის მინურულს ნათარგმნი „მეფეთა სალარო“ — საგანგებო თავი „უხვობისა და გამცემლობისათვის“ (ყუბანიეშვილი 1949: თ. XXI).

თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ თავისი რეპლიკით რუქა სასულიერო და საერო ცხოვრებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმას უპირისპირდება. სწორედ ასე, ზოგადეთიკურ და არა კერძოობით შეფასებად აღიქვამს სედრაქი რუქას სიტყვებს სალაროს გარდაგების შესახებ, რასაც ბრძენი ვეზირის პასუხი ცხადყოფს. გულფიცხ სეფეთუხუცესს იგი უყვება არაკს „მეფე ხორასნისა“, რომლის რელიგიურ-მორალური პათოსიც შორს სცილდება შეხედულებათა უბრალო შეუთავსებლობას და კონცეპტუალური დაპირისპირების მაცნეა.

„მეფე ხორასნისა“ იწყება საუნჯის გაცემის აქციით. ხორასნის მბრძანებელმა, ფინეზის მსგავსად, ურიცხვი საბოძვარი გასცა, მაშასადამე, რუქასთვის მიუღებელი საქციელი ჩაიდინა. იმავე დღეს მეფემ ნადიმზე ვეზირებს ჰკითხა, თუ სმენოდით ვინმე მასზე უფრო მდიდარი და უხვი. ექვსმა ვეზირმა უსმენლობა უთხრა, მეშვიდეს, უმცროსს, კი გაეცინა. როცა მეფე სიცილის მიზეზით დაინტერესდა, უმცროსმა ვეზირმა უვნებლობის ფიცის ქვეშ გაუმხილა, რომ ჩინეთის ქვეყანაში მალქოზ ურიას ჰყავდა დიდებული მოყმე, რომელზე „უხვი არც უნინარეს ყოფილა და არც დღეის წაღმართ იქმნებისო“ (ორბელიანი 1983: 8).

რატომ იცინის უმცროსი ვეზირი? რა არის სასაცილო იმაში, რომ რომელიღაც ქვეყანაში ვინმე მოყმე მის მბრძანებელზე მდიდარი და უხვია?

ვეზირის სიცილის მიზეზი ისაა, რომ მეფის საქციელში სიამაყე, თავმონონება და ამპარტავნობა ზეიმობს, რომ სიუხვეს იგი პირად დამსახურებად მიითვლის და არა ღვთის წყალობად. ისლამი, რომლის აღმსარებელი უნდა იყოს სავარაუდოდ ხორასნელი გვირგვინოსანი, გმობს სიძუნწეს, მონყალეებს ქადაგებს, მაგრამ უანგაროდ, ტრაბახისა და თვითგანდიდების გარეშე. მორწმუნემ უყვედრებლად უნდა გასცეს ის, რაც ალაჰისგან აქვს ნაბოძები (ივანოვი 1984: 102).

აბუ ალი იბნ სინა — ავიცენა, X-XI საუკუნეების დიდი მეცნიერი და ფილოსოფოსი, სხვათა შორის, სიუხვისა და წყალობის გამო წერს: „ის, ვინც სიუხვეს იჩენს განდიდებისა და ხოტბა-ქებისათვის, ანგარებისმოყვარეა და არა უხვი“ (იბნ სინა 1980: 340).

სულხან-საბას პერსონაჟები, როგორც წესი, გაურკვეველი კონფესიის ადამიანები არიან, მაგრამ, მსგავსად რუსთაველისა, მასთან ყოველივე ქრისტიანი მოაზროვნის სამზერიდანაა დანახული და შეფასებული. ქრისტიანობა არ უარყოფს საკუთრებას — სიმდიდრე მანკი არ არის. მანკი დაგროვების წყურვილი და სიძუნწა, რაც ზეციური მადლისადმი უნდობლობის, ღმერთთან დაშორების ნიშანია. ჭეშმარიტი სათნოება, როგორც ითქვა, უანგარო მონყალებაშია: „როცა მონყალებას იქმ, დაე, შენმა მარცხენამ არ იცოდეს, რას იქმს შენი მარჯვენა“ (მათე: თ. 6, 3). სამაგიეროდ, „შენი მამა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგიზღავს შენ“ (მათე: თ. 6, 4).

ხორასნის მეფე, ნებით თუ უნებლიეთ, არღვევს იმას, რასაც ისლამი და ქრისტიანობა ქადაგებს. იგი ემსგავსება „სახარების“ იმ თვალთმაქცთ, რომლებიც ივინყებენ, რომ ნამდვილი მონყალება ფარულია, ახმაურებენ და გამოაფენენ მას, რათა ხალხმა აქოს (მათე: თ. 6, 2). უმცროსი ვეზირი ირონიულად იცინის, იცინის, რადგან ჭეშმარიტი უხვების პროფანაცია ხდება — ხორასნის მეფის სიუხვეს მანკიერი ამპარტავნობის ბეჭედი აზის და არა ღვთაებრივი, უანგარო მადლისა.

იგავის ექსპოზიციურ ნაწილს პერიპეტიათა რიგი მოსდევს. გლახაკის ტანსაცმლით მოსილი მეფე ვეზირისაგან თქმულის შესამონმებლად ჩინეთს ჩავიდა. იქ მან ჭეშმარიტი სიუხვისა და მონყალების გაკვეთილი მიიღო: დიდებულმა მოყმემ, როგორც წესად ჰქონდა, უცხო კაცი ჯერ ვითარცა გლახაკი ისე შეივრდომა, მერე კი, როცა მისი მეფობა შეიტყო, ზღაპრული პატივი მიაგო, არნახული საბოძვარი უძღვნა. განცვიფრებულმა მეფემ წამოსვლისას, მცირედი სამახსოვროს გარდა, „არა წამოიღო რა“, მასპინძელს კი დაუბარა: „ღვთის მონყალებით მეც შემოგზლო“ (ორბელიანი 1983: 9).

რა „შემოზღვევაზე“ — საზღაურის, ვალის გადახდაზეა ლაპარაკი, თანაც ღვთის მონყალება-შენეწით? ცხადია, აქ ნივთიერი სიმდიდრე არ იგულისხმება. ხორასნის მბრძანებელი მადლიერი და დავალებულია სულიერი საუნჯის — იმ სიბრძნის გამო, რომელიც მოყმისგან მიიღო: მონყალების არსი უანგარო სიკეთეშია, მისი სათავე კი ღმერთია! ზნეობრივი გაკვეთილის სანაცვლოდ მეფე სიკეთის სიკეთით გადახდის ვალდებულებას იღებს, მაგრამ არა საკუთარი თავის, არამედ ღვთის შენეწის იმედით.

ასეა დაქარაგმებული სედრაქის იგავში ამაყი მბრძანებლის ზნეობრივი მოქცევა, გზა უმეცრული ამპარტავნობიდან და ყალბი მონყალებიდან ჭეშმარიტი სიკეთისაკენ, ღმერთისაკენ.

იგავური თხრობა აქ არ მთავრდება. მოყმეს ცუდად მიუბრუნდა უანგარო სიკეთე და გულმონყალება — მისანმა მალქოზმა,

მისმა პატრონმა, შეიტყო ქონების გაცემის ამბავი და მეხმლეთ გადასცა მოსაკლავად. იწყება საოცარი პასაჟები კეთილისმქმნელი კაცის გადარჩენისა, რომლის მიზეზი უბრალო შემთხვევითობები კი არაა, როგორც მოლიზლარ უმეცართ შეიძლება მოეჩვენოს, არამედ ღვთის განგება, მუდამუჟამს დამცველი სიკეთისა.

იგავს „ჰეფინდური“ დასასრული აქვს. ხანგრძლივი ხეტილის შემდეგ მოყმე „უცნაურად მოვიდა“ ხორასანს. მეფემ ბედნაცვალ კაცს ღვთის წყალობით სამაგიერო შემოჰზლო — მოკლა ბოროტი მალქოზი და „მისი საპატრონო“ დაუმკვიდრა.

თუ სედრაქის ნაამბობს სათავგადასავლო გარესამოსს ჩამოვაცლით, მწყობრი რელიგიურ-ეთიკური კონცეფცია გამოიკვეთება. განძის გაცემა არ არის ქონების უგუნური განიავება — სალაროს გარდაგება, როგორც ეს რუქას ეჩვენება. მონყალემა, განმმენდილი ანგარებისგან, საკრალური აქტია, უზენაესისადმი სიყვარულის ფორმაა, რომელიც ადამიანს გზას უკაფავს მარადიული არსებობისკენ.

იგავი სედრაქის შეგონებით მთავრდება: „ვერცა ასეთს გასაცემს იქმს კაცი, რომ სხვას არ ექმნას და არც კარგსა საქმესა ღმერთი დაუკარგავს. რუქავ, შენგან მიკვირს ეგეთი საუბარი!“ (ორბელიანი 1983: 10).

პირველი „დილოგი“ ამით ამოიწურება. რუქას მხოლოდ პრობლემა შემოაქვს, სედრაქი კი იგავურ ამბავში განასახოვნებს თავის პოზიტიურ იდეალს. სწორედ ამ იდეალის ფონზე მოიხაზება მკითხველის ცნობიერებაში რუქას ნართაული, ბოლომდე არგამხეილი თვალსაზრისი.

რუქა მოვლენას მხოლოდ რეალობის განზომილებაში გაიაზრებს. ცხოვრება მედინი და ცვალებადია, ამიტომ შემთხვევითობებით გაჯერებულ სინამდვილეში გონიერი კაცი ქონებას უნდა გაუფრთხილდეს. სეფეთუხუცესის „პრაქტიკული სიბრძნე“, ფაქტობრივად, ადგილს არ ტოვებს ღმერთისათვის, სამაგიეროდ, მას ჰყავს ისეთი ავტორიტეტული მხარდამჭერი, როგორც არისტოტელეა: რუქა მონყალების წინააღმდეგი კი არაა, ზომიერებას მოითხოვს („რომელსა გარდაუგია **ესეოდენი**“), იმ „ოქროს შუალედის“ დაცვას, რაც არისტოტელეს ეთიკის საფუძველია: სიუხვე მფლანგველობასა და სიძუნწეს შორის აღმართული სათნოება (არისტოტელე 1984: 123).

პირველი „დილოგის“ ფარგლებში გამარჯვებული არ ჩანს — სედრაქის იგავი, უბრალოდ, უპასუხოდ არის დატოვებული, ჩარჩო-ნარატივი კი თავისი გზით მიემართება. უდავოა ერთი რამ — კონცეპტუალურ საზრისთა ანტაგონიზმი. ერთ მხარეს დგას სედრაქი თავისი მყარი რელიგიურ-ეთიკური მსოფლჭვრეტით, მეორე მხარეს — რუქა, როგორც „პრაქტიკული სიბრძნის“ მიმდე-

ვარი, რომელიც, როგორც ჩანს, დაეჭვებულია ღვთაებრივ და ადამიანურ ქმედებათა კავშირსა და უკუკავშირში.

* * *

მეორე „დილოგიც“, ისევე როგორც პირველი, ძალდაუტანებლად ჩაერთვის თხრობის მდინარეებში. სულხან-საბა მარჯვედქმნის პრობლემურ სიტუაციას, რასაც განსჯა-პაექრობა მოსდევს.

უხვად გაცემული მონყალების პასუხად ღმერთმა ფინეზს ნანატრი მემკვიდრე მოუვლინა. გავიდა ხანი — დადგა დრო უფლისწულის განსწავლისა, მისთვის მასწავლებლის მოძებნისა. მეფე ფინეზს ერთხელაც პირმწყაზარი ჭაბუკი დაესიზმრა, რომელმაც აცნობა, შენს მემკვიდრეს ჩემ გარდა ვერავინ განვრთნისო, მერე ეტრატზე გამოსახული თავისი სურათი დაუტოვა და გაუჩინარდა.

პრობლემა ამ სიტუაციაში იბადება: უნდა ეძიონ უცნობი ჭაბუკი, თუ მის გამორჩენას დაელოდონ, ან უფრო ზოგადად — ღვთის განგებას მიენდონ, თუ იაქტიურონ, თავისუფალი ნებით იმოქმედონ. მოპაექრენი კვლავაც სედრაქი და რუქა არიან.

რადგან მოსიზმრებული ჭაბუკის შესახებ არაფერი იციან, სედრაქი ფიქრობს, რომ ძებნა უაზროა, „ქარი ხელითა არ დაიჭირვის“; სჯობს ღვთის განგებას მიენდონ: „რაც ბედი აქვს კაცსა ღვთისაგან, ის დაემართების“, — დაასკვნის იგი (ორბელიანი 1983: 12).

თავის მხრივ, რუქასაც აქვს არანაკლებ ხატოვანი „მეტეოროლოგიური“ არგუმენტი. მართალია, ქარს ხელით ვერ დაიჭერ, მაგრამ ჭაბუკი „წვიმა არ არის და თოვლი, კართა ჩვენთა მოვიდეს“. რუქა აქტიური ძიების მომხრეა. „თუცა ჩვენ არ ვიცით ადგილი მისი, მან რა იცის თემი ჩვენი?“ — ირონიულად კითხულობს იგი და მოითხოვს: „კაცი გავგზავნოთ, პოვნას ვეცადნეთ!“-ო, რადგან „რომელსა კაცსა ჩასდებია საჭმელი უხელოდ, რომელსა შეჰმოსია სამოსელი გაურჯელად?“ (ორბელიანი 1983: 15).

საკუთარ შეხედულებას სედრაქი „გარდამოვლით“ ორ იგავში გადმოსცემს — „ძუნნი დიდვაჭარი“ და „უბედური დიდვაჭარი“. შემთხვევითი არაა, რომ ორივეგან განგებისა და თავისუფალი ნების პრობლემის საილუსტრაციოდ ვაჭართა ცხოვრებაა აღებული — ვაჭარი ხომ ნუთისოფლის ორომტრიალში ჩართული, ახალი დროის კაცია...

დიდვაჭარმა მთელი ცხოვრება ქონების დაგროვებას მოახმარა — „სიბერემდე არა სვა, არა ჭამა, არცა რა შეიმოსა“ (ორბელიანი 1983: 13), მოკლედ, საუნჯე დაფლა. ღმერთმა ძუნ ვაჭარს გამოუყენებელი სიმდიდრე ჩამოართვა და ხურო ნაზარს მიაკუთვნა.

იგავში უცნაური „ექსპერიმენტის“ მონმენი ვხდებით: გაგულისებულმა დიდვაჭარმა ღვთის განგების შემონმება (!) გადაწყვიტა — გულგამოცლილ მორებში ჩაწყობილი თვალ-მარგალიტი, მთელი

თავისი სიმდიდრე, მდინარეს მისცა, წყალს გაატანა, აქაოდა, არც მე დამრჩეს და არც ხუროს ერგოსო. კოლიზია, რომელსაც ღვთის განჩინებისა და ადამიანის თავისუფალი ნების დაპირისპირება ქმნის, განგების სასარგებლოდ გადაწყდა. ვაჭარი „ექსპერიმენტის“ კვალს მიჰყვა და როცა განძით გამოვსებულ, გადაყრილ მორებს ნაზარის ეზოში მიაგნო, ბედს დამორჩილებულმა ხუროს უთხრა: „ღმერთმა მე წამართო და შენ მოგცაო“ (ორბელიანი 1983: 14).

სულხან-საბა იგავში ერთ მნიშვნელოვან სიუჟეტურ სვლასაც აკეთებს. ნაზარი, არმცოდნე განგების ნებისა, უნებლიეთ უზენაესის გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება: გულმართალი კაცი ჯერ ვაჭრისთვის ქონების დაბრუნებას ლამობს, მერე კი, კვლავაც გულკეთილობის გამო, ძვირფასი თვლებით გამოვსებულ პურებს გალატაკებულ ნამდიდრეებს უსაგზლებს, თუმცა გაცემულს მალე უკანვე მოუტანენ. ამ პასაჟის აზრი ის არის, რომ განგების ნება უაპელაციოა და ურყევი — მას არამცთუ დიდვაჭრის ავი თვითნებობა, ღვთისმომშიში ხუროს კეთილი ზრახვაც კი ვერ შეცვლის.

სედრაქის თხრობას ხურო ნაზარის ჩართული იგავი აგვირგვინებს:

„კაცი ერთი მდინარისა კიდესა ჯდა და ცხრილი ხელთა ჰქონდა. ჩაჰყვის ცხრილი წყალთა და რა აივსის, თქვის: — ვისაც ღმერთი მისცემს, ესრეთ მისცემსო. — ამოიღის ცხრილი და რა წყალი გაედინის, თქვის: ვისაც წაართმევს, ესრეთ წაართმევსო“. (ორბელიანი 1983: 14).

ამ ალეგორიულ სურათში მდინარე სწრაფად ცვალებადი ცხოვრების სახეა, ცხრილი — ბედის მატერიალიზებული ხატი, ცხრილის ჩაყოფა-ამოღება თავისუფალი ნებას გულისხმობს, ყველაფრის სათავე და განმგებელი კი ღმერთია, რომელიც უნდა — მისცემს და უნდა — წაართმევს ადამიანს წყალობას. ყოველი შემთხვევითობის, ბედის ცვალებადობის მიღმა ღვთის განგება, უზენაესი კანონზომიერება დგას.

სედრაქი დარწმუნებულია, რომ განგების წინაშე ადამიანის ცდა — ავიც და კეთილიც — უძლურია, ამიტომ ურჩევს ფინებს: „მეფეო, თუცა ღმერთსა კაცი იგი შენთვის უნდა, კართავე შენთა მოიყვანეს, თვარემ პოვნა ძნელი არის“ (ორბელიანი 1983: 15).

თვალსაზრისი, რომელსაც ბრძენი ვეზირი გამოთქვამს, შუა საუკუნეების რელიგიურ-თეოლოგიური კონცეფციაა: „რაც ბედი აქვს კაცსა ღვთისაგან, ის დაემართების“.

სედრაქის იგავს იგავითვე ეხმაურება რუქა — ესაა „უგუნური მცურავი“:

„მცურავი ერთი მიჰქონდა წყალსა. თქვა — ღმერთო მიშველეო! მეორე ამხანაგმა უთხრა — ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველები იქმნებიო“ (ორბელიანი 1984: 15).

ამ იგავშიც მდინარე მედინი ცხოვრების სახეა. მის ძლიერ დინებასთან გასამკლავებლად, რუქას აზრით, პიროვნული ძალის-ხმევაა საჭირო. ღმერთის როლი იგავში საკმაოდ ბუნდოვანია. წყალნალებული საშველად ღმერთს კი მოუხმობს, მაგრამ ამხანაგის რეპლიკაში განგება და თავისუფალი ნება გათიშული ჩანს: ხე-ღის გააქნიე და ღმერთი გიშველისო, — ამას კი არ ამბობს ამხანაგი, — „ნაშველები იქნებიო“. აი, რატომ მოითხოვს პრაქტიკული გონების რუქა უცნობი ჭაბუკის მოძებნას („მოვნახოთ და ვიპოვოთ!“).

„სიბრძნე სიცრუისა“ სადისკუსიო პრობლემის გააზრების ერთ მოდელზეც მიგვანიშნებს. მოზმანებული ჭაბუკი, უფლისწულის მომავალი აღმზრდელი ლეონი, მეფეს სიზმარში ურჩევს და აფრთხილებს კიდევ: „თუ მეძებო, მპოვო, თუ არა, შენვე ინანდო“. (ორბელიანი 1983: 15). ლეონი, როგორც ვხედავთ, აქტიური მოქმედების მომხრეა და ამიტომ თითქოს რუქას თანამოაზრეც უნდა იყოს. შევადაროთ: „მოვნახოთ და ვიპოვოთ!“ (რუქა) — „თუ მეძებო, მპოვო“ (ლეონი). ლეონის პოზიციის გასარკვევად არსებითი ისაა, რომ იგი, ყველა ნიშნის მიხედვით, ჩვეულებრივი სიზმრის კი არა, ღვთაებრივი ჩვენების — გამოცხადების პერსონაჟია. მისი პირით განგება ლაღადებს, ამიტომ რჩევა — მეძებო, განგების ნების აღსრულებისკენ მონოდებაა. ჭაბუკის სიტყვები განგებასთან თავისუფალი ნების შეთანხმების აზრს შეიცავს, მაშინ როცა რუქა ხაზგასმულად სუბიექტის აქტიური მოქმედების მომხრეა.

ლეონის რჩევა სრულ შესაბამისობაშია „ვეფხისტყაოსნის“ რენესანსულ ფორმულასთან:

ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების.
(რუსთაველი 1966: 296).

ბედი განგების ნების აღსრულებაა ადამიანის აქტიური თანამონაწილეობით. რადგან ლეონის აღმზრდელად მოვლინება განგების გადანყვეტილებაა, მოქმედება — „ცდა“ წარმატებული იქნება („თუ მეძებო, მპოვო...“). ნეგატიური საქციელი აქ პასიურობა-უმოქმედობაა, მიმართული განგების ნების წინააღმდეგ („...თუ არა, ინანდე“).

განგების შეუვალ დიქტატს, რასაც სედრაქი იცავს, რუქა, როგორც ითქვა, თავისუფალ ნებას უპირისპირებს. თავისუფალი ნების ცნება უკვე ანტიკურ ხანაში ფუნქციონირებდა. არისტოტელე, მაგალითად, თვლიდა, რომ ადამიანის მოქმედებას — ზნეობრივსაც და მანკიერსაც — აუცილებლობა ან შემთხვევითობა კი არ განაპირობებს, არამედ პიროვნების თავისუფალი არჩევანი. იგი ბატონია თავისი ნებისა, ამა თუ იმ მიზეზით აკეთებს ან არ აკე-

თებს რაიმეს და პასუხსაც აგებს თავის გადანყვეტილებაზე (არისტოტელე 1984: 99-101).

ქრისტიანობამ უარყო თავისუფალი ნების წარმართულ-ანტიკური გაგება. ორთოდოქსული ქრისტიანული ეთიკა უფლის მსახურების — რწმენის, იმედისა და სიყვარულის — ეთიკაა, რომელიც თავისუფალ ნებას მთლიანად განგებას უქვემდებარებს. უმაღლესი სათნოება უფლის მორჩილებაა, დამოუკიდებლად მხოლოდ ცოდვის ჩადენა შეიძლება (ეთიკის... 1969: 71).

თავისუფალი ნების რეაბილიტაცია ჰუმანიზმის ეპოქაში მოხდა, როდესაც ყურადღების ცენტრში ადამიანი მოექცა. პიკო დელა მირანდოლა (XV ს.) ცნობილ სიტყვაში „ადამიანის ღირსებათა შესახებ“ პიროვნების მთავარ მახასიათებლად ასახელებს თავისუფალ ნებას, რომელიც მას ღმერთისგან აქვს ნაბოძები. არისტოტელეს ტრადიციაზე დაყრდნობით, იგი ამტკიცებს, რომ ადამიანი, სურვილისამებრ, თავად განსაზღვრავს თავის ადგილს, სახეს და მოვალეობას (რენესანსის... 1981: 249).

თავისუფალი ნების მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა რენესანსის გვიანდელ ეტაპზე (XVI ს.). ამ ეპოქის ადამიანის ცნობიერებაში ღმერთის ადგილს თანდათან იკავებს ბედისწერა, რომლისადმი წინაღობა მხოლოდ თავისუფალ ნებას ძალუძს (ანტიკური... 1984: 50-57). რუქა, რომელიც წყალნალებულის ამბავს ყვება და მდინარისაგან (ბედისაგან) განწირულს მოქმედებისაკენ მოუწოდებს, ტიპოლოგიურად მსგავსი ცნობიერების მატარებელია. მისი თვალსაზრისი, ჩემი აზრით, პარალელს პოულობს აღორძინების ხანის ისეთ ცნობილ ტრაქტატთან, როგორცაა ნიკოლო მაკიაველის „მთავარი“, რომლის ერთი თავიც (XXV) საგანგებოდ ბედისწერას ეძღვნება.

მაკიაველი ბედისწერას ადარებს „ბობოქარ მდინარეს“, რომლის სიშმაგეს და მძვინვარებას ყველა უფროსის, მაგრამ აქტიური მოქმედების შემთხვევაში არ გამოირიცხება მიზნის მიღწევა: არა მორჩილება და ბედის კირთების ატანა, არამედ მომენტის შერჩევა, შემთხვევით სარგებლობა განგების მბუფტავი იმედით (მაკიაველი 1984: 222-227). ბედი, მაკიაველის თანახმად, შექმნილ სიტუაციასთან თავისუფალი ნების შესაბამისობაა ანუ, რუქასებურად, წყალნალებულს ხელის განძრევა მოეთხოვება.

პრობლემები, რომლის გამოც კამათობენ „დიალოგებში“, რუქას მიერ განიცდება, როგორც ცვალებადი სინამდვილის ემპირიული ფაქტები, ღვთის განგებისგან თავისუფალი და, არსებითად, დესაკრალიზებული. მინიერ ცხოვრებას ბედი — შემთხვევითობა განაგებს, ამიტომ იგი შეიძლება მხოლოდ თავისუფალი ნებით დაიმორჩილო.

თუ ზემოთქმულს თავს მოვუყრით და ცნებების ენაზე გადავიტანთ, გამოიკვეთება უნივერსუმთან (ღმერთთან) და ბედისწერასთან (წუთისოფელთან) ადამიანის მიმართების პრობლემა. ორთოდოქსული თეიზმის დამცველი სედრაქი თუ ახსენებს ბედს, ღვთის განგების აღსრულებად მიიჩნევს („რაც ბედი აქვს კაცს ღვთისაგან, ის დაემართების“), ამიტომ სიბრძნე მორჩილებაშია. განგებისა და ბედის ასეთი გააზრება მათი გაიგივების სახიფათო შესაძლებლობას შეიცავდა, რაც გამოვლინდა კიდევ გვიანი რენესანსის ცნობიერებაში.

ლეონი, „ვეფხისტყაოსნის“ რენესანსული სულისკვეთების მემკვიდრე, ღვთის განგებასაც სცნობს და ადამიანის აქტიური ქმედების („ცდა“) აუცილებლობასაც აღიარებს, ბედს კი პიროვნების დონეზე გამოვლენილ განგებას უკავშირებს.

რუქა რენესანსული ინდივიდუალიზმის დამცველია. ღმერთი მისთვის აღარაა ყოვლისშემძლე ძალა — უზენაეს არსებასა და ინდივიდს შორის მოქცეულია დესაკრალიზებული რეალობა, როგორც ბედისწერის ასპარეზი, სადაც პიროვნება ოდენ საკუთარი თავის მოიმედეა. ცვალებად ცხოვრებასთან ურთიერთობაში მხოლოდ აქტიურობაა გამართლებული.

რუქას ინდივიდუალისტური თვალსაზრისი, „უღთოთ ცდის“ კონცეფცია დინჯი, განონასწორებული სედრაქის სპონტანურ რეაქციას იწვევს: „თუცა უღთოთ ცდით საქმე იქმნება, რად არ ეცდები სამამაკაცოთა ასოთა გამობმასა?“ — მიმართავს იგი საჭურისს (ორბელიანი 1983: 15). ეს არ არის მხოლოდ კამათის, როგორც თამაშის, თანამდევი გასართობ-რიტუალური ელემენტი, მასში აირეკლება სედრაქის უკიდურესი გალიზიანება რუქას თავისუფალი, არადოგმატური აზროვნებით. და ვეზირი კიდევ ერთ ვრცელ ამბავს („უბედური დიდვაჭარი“) ყვება.

თუ „ძუნწ დიდვაჭარში“ ის განგების გარდუვალობას ამტკიცებს, ახალი იგავის მიზანი ღვთის მადლის უარმყოფელი ადამიანის, მისი თავისუფალი ნების სრული უსუსურობის ილუსტრაციაა.

დიდვაჭარი „ღმერთს არა ესვიდა“, მხოლოდ საკუთარი გადანყვეტილებით ანუ თავისუფალი ნების კარნახით მოქმედებდა. პერსონაჟის ბედის სწრაფი ცვალებადობა — გაკოტრება და გამდინრება, აღზევება და სასჯელი — გარეგნულად შემთხვევათა მონაცვლეობაა, რომელსაც თითქოს თავისუფალი ნება წარმართავს, მაგრამ სინამდვილეში ადამიანი მთლიანად განგების ხელშია მოქცეული, იმდენად დამოკიდებულია მასზე, რომ ზნეობრივი საქციელის გამოც კი ისჯება განგების მიერ. ვაჭრის უბედურების სათავე ურწმუნოება და ილუზორული თავისუფლებაა — ის ვინც „ღმერთს არა ესვიდა“, თვალების დათხრით ისჯება.

არაკს სედრაქი გამჭვირვალე შეგონებით ამთავრებს: „თუ ღმერთი კაცს არ მისცემს, თვისისა ცდითა არა ღონე არ დაიდების და ცუდი შრომა შერჩების“, ამიტომ „ღმერთსა უნდა სთხოვოს კაცმან“ (ორბელიანი 1983: 17).

მეორე „დიალოგი“ აქ მთავრდება. გამარჯვებული ამჯერადაც გაურკვეველია. კამათი მექანიკურად, მეფე ფინეზის ჩარევის გამო წყდება.

* * *

მესამე „დიალოგში“ რუქა და ლეონი პაექრობენ. „დიალოგი“ შედარებით ვრცელია და ოთხი იგავური შეპასუხებისაგან შედგება. კამათს ნიადაგს უმზადებს რუქას ცრუ-განცხადება, თითქოს უცხო და უცნობ ლეონს მეფის კეთილგანწყობა მოუპოვა, მან კი სიკეთე მტრობით გადაუხადა. პოტენციური მეტოქის არაერთი შესვენა, მუდმივი ქიშპი ხელს არ უშლის ცბიერ რუქას, თავი უმანკო მსხვერპლად მიიჩნის და განზოგადებული სადისკუსიო პრობლემაც შემოიტანოს: „არა ახალია ეს საქმე. ძველთაგან თქმულა: არას კაცს კარგის მოქმედისათვის კარგი არ უქმნია და მის მაგიერ ავი მიუგია“ (ორბელიანი 1983: 132).

ბოროტების საპირისპიროდ, სიკეთის აპოლოგიას ლეონი კისრულობს. დიალოგი, რომელიც კვლავაც იგავების გაცვლით მიმდინარეობს, შორსაა თეორიული ექსპლიკაციისაგან, თუმცა უმნიშვნელოვანეს ეთიკურ პრობლემას წამოსწევს.

რუქას შეხედულება „დიალოგში“ ოთხი იგავით არის არგუმენტირებული: „კაცი და უმადური გველი“, „მდიდარი და გლახაკი“, „ჭაბუკი და მეკობრენი“, „სამნი ბრმანი“, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი, — ბოროტების მანიფესტი! — სადაც პერიპეტიებით მდიდარ ამბავში გატარებულია გამჭოლი იდეა, რომ ადამიანი ავი და ბოროტია, ხოლო მისი ე.წ. სიკეთე — მოჩვენებითი, ეგოისტური.

კაცს ცეცხლმოდებულ ძეძვნარში გაბმული გველი შეენყალა. შენყალება, მონყალების მოღება, წყალობა, საბას განმარტებით, არის „მწუხარება სხვისა ბოროტსა ზედა“ (ორბელიანი 1993: 392), მაშასადამე, კაცმა სხვისი ბოროტებისაგან გადარჩენა განიზრახა, სიკეთე მოიმოქმედა. მაგრამ როგორია ქმედების მოტივი? „ამ გველს მოვარჩენ, მაღლია ჩემთვისო“, — ამბობს კაცი. მაღლი, კვლავაც საბას განმარტებით, კეთილის ქმნაა „არცა ნაცვლისგებისათვის, არცა შიშისათვის, არცა სიყვარულისათვის“ (ორბელიანი 1991: 427). მაღლი სხვისთვის განეული უანგარო სიკეთეა, მაშინ, როცა რუქას პერსონაჟი აშკარად სათავისოდ ფიქრობს („მაღლია ჩემთვისო“) — ქცევის რეალური მოტივი პირადი სარგებელია, კონკრეტულად — საიმსოფლო „საუნჯის“ დაგროვება. გამოდის,

რომ კაცის ქცევა მოკლებულია უანგარობას, მადლის ხარისხს — მისი სიკეთე ილუზორულია.

სარგებლის მოტივი, ამჯერად მატერიალურ სფეროში, გაშიშვლებულია იგავის ფინალში, როდესაც იგივე კაცი თავისი გადამრჩენის — მელის სიკეთეს მყისიერად დაივიწყებს და, ბენვს დახარბებული, მოკვლას დაუპირებს.

რუქას იგავის მიხედვით, ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი პირადი ინტერესია, ეგოიზმი (ეს ცნება კარტეზიანელებმა შემოიტანეს XVI საუკუნეში), ან სულაც ჩვევაში გადასული ბოროტება და არა სიკეთის წილ სიკეთის ქმნა. ამიტომ უჩივის ჭანდარი კაცთა მოდგმას: „მოვლენ, მოიგრილებენ, დავაჩრდილებ, მერმე შტოებს დამიმტვრევენ, ზოგს დასწვენ, ზოგს კოლოფებად აკეთებენ — რა კარგი ხეაო!“ ადამიანთა უმადურობას ამხელს ხარიც: „მოვხნავ, დაფვარცხავ, გავლენ და ზაფხულ-ზამთარ სულ კაცთათვის ვმუშაობ. დამანვენენ და დამკლავენ, რაო და — სტუმარი მომივიდაო!“ (ორბელიანი 1983: 133).

უმადურობისა და ბოროტების საუფლოში სიკეთის გაელვებაც კი სანანური ხდება: „დავაშავე, მოვარჩინეო!“ — თავს აბრალა მეღმა, როცა მისგან გადარჩენილმა კაცმა მოკვლა დაუპირა. რუქას იგავის ყოველ პასაჟში იგრძნობა, რომ ბოროტება მისთვის ადამიანის ბუნების, მისი არსის განმსაზღვრელი, მთავარი თვისებაა. იგივე აზრია გატარებული სხვა სამ იგავშიც, რომელთა პერსონაჟები კეთილისმყოფელთ სიკეთეს მტრობით მიაგებენ. „კარგისთვის კარგი არავის უქმნია“, „კარგისთვის კარგი არასოდეს ქმნილა“, — ასეთია რუქასთვის არსებობის ეთიკური პარადიგმა (ორბელიანი 1983: 135, 137).

ლეონის ეთიკა, ისევე როგორც რუქასი, ცხოვრებიდან მოდის, „პრაქტიკული მეცნიერებაა“ და განსხვავდება სედრაქის სამყაროული, ჭვრეტი-თეოლოგიური ეთიკისაგან. ნუთისოფლის ავკარგის მცოდნე ლეონი, მართალია, უმაღლეს სათნოებას არ ქადაგებს („გიყვარდეს მტერი შენი“), ავისთვის ავის მიგების მომხრეა, მაგრამ სიკეთის კანონით ცხოვრება მისთვის ადამიანის არსებობის წესია. „კარგისთვის ავს ვინ უზამს კაცსა?“ — გაკვირვებული კითხულობს იგი და თავის ზნეობრივ მრწამსს ამგვარად გამოთქვამს: „დიდმან იცის და მცირემან კარგისათვის კარგი პასუხი“ (ორბელიანი 1983: 134, 143). მის ნაამბობ იგავებში გველი გადამრჩენელს განძს აპოვნინებს („კეთილი გველი“); ღარიბი არაბი, რომელსაც ხალიფამ ცხენში დიდი საფასური გადაუხადა, გატაცებულ ცხენს უკან აბრუნებს („ხალიფა და არაბი“); მეფუნდუკისგან პატივინაცემი დიდვაჭარი მისი კეთროვანი ვაჟის განკურნებისთვის ერთადერთ შვილს განირავს („მეფუნდუკე და დიდვაჭარი“), ხოლო გაჭირვებაში ჩავარდნილ კეთილ მაგისტროსს მადლს მადლითვე

მიუზღავენ გლახაკი საპყარი და მიცვალებულიც კი! („კეისრის მაგისტროსი“).

რით უნდა აიხსნას რუქასა და ლეონის თვალსაზრისთა მკვეთრი შეუთავსებლობა, როდესაც ორივეს დაკვირვების ერთი ობიექტი — ცხოვრება — აქვთ? რუქა ერთგან სედრატს მიმართავს: „არიგადაც სხვადასხვარიგი აგებულობის პატრონი მფრინველია, აგრევე სხვადასხვა რიგისა კაცია. შენ მაგ ბუნების პატრონი ხარ, რომ ყოველი კაცი გიყვარს, და მე ყველანი მძულან“ (ორბელიანი 1983: 145-146). რუქას აზრით, არსებობენ კარგი და ავი ადამიანები — „სხვადასხვა რიგისა კაცნი“, ადამიანის კეთილი თუ ბოროტი საქციელის მიზეზი მის ბუნებაშია. ასეთი შეხედულება არაერთ მოაზროვნეს გამოუთქვამს ძველადაც („ძველთაგან თქმულა“) და ახალ დროშიც, მაგრამ რა ქმნის, საიდან ჩნდება ადამიანის ბუნებაში სიკეთე და ბოროტება? პასუხი ამ კითხვაზე წინა ორი „დიალოგით“ არის შემზადებული, რაც სამივე „დიალოგის“ შინაგან კავშირზე მიუთითებს.

როგორც რუქას, ისე ლეონის იგავთა პერსონაჟები აქტიურად მოქმედებენ, ისე იქცევიან, როგორც სურთ, მაშასადამე, ორივე მხარე აღიარებს თავისუფალი ნების რეალურობას — „კარგიც“ და „ავიც“ ნებლობითი აქტის შედეგია. პრინციპულ განსხვავებას მხარეთა შორის ღმერთის პრობლემა ქმნის.

როგორც პირველი ორი „დიალოგის“ ანალიზისას გაირკვა, რუქასთვის სინამდვილე დესაკრალიზებულია. მართალია, უიშვიათესად, იგი ღმერთს ახსენებს, მაგრამ შემოქმედს საამსოფლო საქმეთაგან გაკიდევანებულად სახავს. დესაკრალიზებულ სინამდვილეში ღვთის განგებას ცვალებადი, გაურკვეველი ბედი, ბედისწერა ენაცვლება, მას კი მუდმივად უპირისპირდება თავისუფალი ნება. ამასთან, ბედისწერა მორალურობას მოკლებული, შეუცნობელი ქიმერაა, ამიტომ მასთან ჭიდილში, თვითგადარჩენის გზაზე, პიროვნებაც თავისუფალია მორალისგან. აი, რა აძლევს რუქას საფუძველს, მოურიდებლად ილაპარაკოს ავის ქმნაზე, ადამიანში ბოროტების პრიმატზე. იგი თითქოს, ერთი მხრივ, ანტიკურ, პლაგტესეულ თეზისს აცოცხლებს, რომ „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“, მეორე მხრივ კი რენესანსისა და ახალი დროის იმ მოაზროვნეებს ეხმიანება, რომლებიც ადამიანს ბუნებით ბოროტ, ეგოისტური ზრახვების მქონე არსებად მიიჩნევდნენ. რუქა, ნებით თუ უნებლიეთ, შორდება რელიგიური ეთიკის არეს, რომლის გარეთ თავისუფალი ნება მოკლებულია ღვთაებრივ ზედამხედველობას და ამდენად, ბოროტი ნებაა.

ლეონის ეთიკის დასაყრდენი აბსოლუტური ზნეობრივი იდეალის — ღმერთის უზენაესობის აღიარებაა. მას, როგორც ითქვა, ერთდროულად ღვთის განგების არსებობაც სწამს და ნების

თავისუფლების, არჩევანის უფლებასაც სცნობს. არსებითი ისაა, რომ მისი იგავ-არაკების პერსონაჟები, რუქას პერსონაჟებისაგან განსხვავებით, პირადი სარგებლიანობის, ან, უფრო უარესი, ბოროტების პრინციპით კი არ მოქმედებენ, თავისუფალი არჩევანის უამს უსმენენ სახიერი ღმერთის ხმას, რომელიც მათ ნებას სიკეთისაკენ წარმართავს.

„კარგის პასუხად ეგ მექნა, ღმერთი რას მიზემდაო“, — ამბობს პატიოსანი არაბი (ორბელიანი 1983: 136).

„აჰა, ნაკეთარიც ნახე! რა გამოიმეტა წამლად და ღმერთმა რა წყალობა უყო!“, — აღფრთოვანებას ვერ ფარავს ლეონი, როცა სიკეთისთვის განირული ბავშვის გაცოცხლების ღვთაებრივ სასწაულზე ლაპარაკობს (ორბელიანი 1983: 139).

ბოროტების წყარო უკონტროლო თავისუფალი ნებაა, როდესაც ღვთისგან გამდგარი ადამიანი ცოდვა-მადლს მხოლოდ ამქვეყნიური საწყაოთი, საპირადო საზომით ზომავს და ზოგჯერ ბოროტების სუბსტანციურობის მტკიცებამდე მიდის.

ლეონისათვის საწუთრო ღვთაებრივი სიკეთით განათებული სივრცეა, მაგრამ ეს არაა სედრაქის ორთოდოქსული თეოლოგიური დოქტრინის გამეორება, თავისუფალი ნების სრული ინტეგრირება განგების წიაღში. შუა საუკუნეების დოგმატური ცნობიერება ადგილს უთმობს ადამიანის ჰუმანისტურ-რენესანსულ კონცეფციას, რომელიც დამოუკიდებელი, თავისუფალი არჩევანის უფლებას გულისხმობს.

თუ სულხან-საბას თხზულების მთლიან კონტექსტს გავითვალისწინებთ, ლეონის თვალსაზრისი ძალიან ახლოსაა სიკეთე-ბოროტების არეოპაგიტულ მოძღვრებასთან, რომელიც ასეა გამოთქმული „ვეფხისტყაოსანში“:

ღმერთი კარგსა მოავლინებს, ავ-ბოროტსა არ დაჰბადებს.

(რუსთაველი 1966: 491)

ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა.

(რუსთაველი 1966: 35)

ამ მოძღვრების თანახმად, ბოროტებას სუბსტანციური არსებობა არა აქვს. არსებობა თავისთავად სიკეთეა („ღმერთი კეთილს მოავლინებს“), ხოლო ბოროტება — საგანთა აქციდენცია. ბოროტება სრულყოფილებაში რაღაც ნაკლოვანებაა, ზადია.

როგორც ლეონი ამტკიცებს, ადამიანი თავისი არსით კეთილია, მაგრამ ხომ არსებობს ბოროტება და ბოროტი ადამიანები, მაგალითად, რუქა?! რუქას ბოროტების სათავე ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებითი ბოროტება კი არაა, არამედ ზადი, ფიზიკური ნაკლი — საჭურისობა, სავარაუდოდ, სოციალურ სივრცესთან კონტაქტის ნეგატიური შედეგი. მაგრამ ფიზიკურ არასრულყოფილე-

ბაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ასე ვთქვათ, „გონებრივი საჭურისობა“, რაც ღვთაებრივი სიბრძნის უგულვებელყოფაში, სიკეთის იგნორირებაში გამოიხატება.

ამრიგად, სულხან-საბას „დიალოგების“ სამი იდეა-პერსონაჟი სამ განსხვავებულ საზრისს „განასხეულებს“: სედრაქი ორთოდოქსული თეიზმის მესიტყვეა, ლეონი — რენესანსული რელიგიური ფილოსოფიური კონცეფციის მემკვიდრე, ხოლო რუქა — ინდივიდუალიზმის, სეკულარიზებული მორალის ადეპტი.

ვის თანაუგრძნობს „დიალოგების“ მიხედვით სულხან-საბა? ეს თითქოს უადგილო და გულუბრყვილო კითხვა არც ისე იოლი საპასუხოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

* * *

პირველ და მეორე „დიალოგებში“ რუქა ნაკლებად აქტიურია. პირველ „დიალოგში“ მას მხოლოდ პრობლემა შემოაქვს, სედრაქის გრძელ ტირადას კი დუმილით უპასუხებს. მეორე გაპაექრებაშიც „გულჩქარი“ სეფეთუხუცესი ჯერ ზოგად თვალსაზრისს გამოთქვამს, მერე კი ყველა ერთადერთ, უმოკლეს იგავს, რომელიც ბრძენი ვეზირის ორ ვრცელ მონათხრობს შორის არის შეყუჟული. ბოლო სიტყვა აქაც სედრაქს რჩება — მეფე კამათს წყვეტს და სანადიროდ წასვლას ბრძანებს.

სედრაქის ენერგიულობისა და რუქას პასიურობის გამო ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პოლემიკაში სედრაქი იმარჯვებს, მით უფრო, რომ ძირითადი ჩარჩო-ნარატივი ბრძენი ვეზირის შეხედულებებს ადასტურებს: სალაროს გაცემას მემკვიდრის დაბადება მოჰყვება; სანადიროდ გასული მეფე განგების ნებით ლეონს გადაეყარა.

უფრო რთული ვითარებაა მესამე „დიალოგში“, სადაც რუქა შემართული და აქტიურია. რუქას მონაცოლი ოთხი იგავიდან სამში ლეონი, როგორც მისი კომენტარები მოწმობს, ვერ ხედავს კარგის ავით მიზღვევის ადეკვატურ მაგალითებს. ლეონისეული კრიტიკა შეფარული მინიშნებაა, რომ რუქას პოზიცია არამყარია.

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა კამათში აღძრული პრობლემებისადმი თავის დამოკიდებულებას არაპირდაპირ, ირიბად მინიშნებს — შედეგები „დიალოგებს“ მიღმაა გატანილი, ამასთან, ავტორისეულ თხრობაში ამოსაცნობი. რუქა არსად აღიარებს თავს დამარცხებულად, არსად სცნობს მეტოქის თვალსაზრისის ჭეშმარიტებას.

პერსონაჟთა ტრიადაში — სედრაქი, ლეონი, რუქა — ერთ მხარეს დგანან სედრაქი და ლეონი (შემდეგ მათ ლეონის „ალტერ ეგო“ — ჯუმბერიც უერთდება), ხოლო მეორე მხარეს — რუქა, მათი მუდმივი კრიტიკის ობიექტი.

სედრაქს და ლეონს მოკავშირედ ხდის რწმენა — ღმერთის უზენაესობის აღიარება. მეფის ვეზირი საღმრთო, ჭვრეტი-თეორიულ სიბრძნეს განასახიერებს, უფლისწულის აღმზრდელი — საამსოფლო, პრაქტიკულ ცოდნა-სიბრძნეს. სიბრძნის ეს ორი — საღვთო და საერო — სახეობა არ უპირისპირდება ერთმანეთს, რასაც ადასტურებს მოძღვრება ორმაგი სიბრძნის შესახებ. ეს მოძღვრება, რომელიც ანტიკურ ხანაში (პლატონი, არისტოტელე) შეიქმნა, ახალი გააზრებით მოქმედებდა შუა საუკუნეების მანძილზე და გავრცელებული იყო ძველ საქართველოშიც (სირაძე 1975: 213-280). საამსოფლო სიბრძნე, — ემპირიული გზით შეძენილი თუ განსჯით მოპოვებული ცოდნა, — საზეო სიბრძნეს იყო დაქვემდებარებული. ამის გამო ორმაგი სიბრძნის თეორიის ფარგლებში სედრაქის და ლეონის დაპირისპირება გამორიცხულია, სამაგიეროდ, სედრაქი შეურიგებელია რუქასადმი, რადგან მისი გამომწვევი ინდივიდუალიზმი ვერ თავსდება თეოცენტრულ კონცეფციაში.

საღვთო სიბრძნე, როგორც ჭეშმარიტება, ერთია, ხოლო ენ. გარესიბრძნე, როგორც ცდომილება, მრავალგვარია. ამით აიხსნება წინააღმდეგობა „პრაქტიკული ფილოსოფიის“ ორ წარმომადგენელს — ლეონსა და რუქას შორის, რომელთაგან ლეონი თეოცენტრულ კულტურულ სივრცეში ცხოვრობს, ხოლო რუქა — ბედისწერით დასაზღვრულ, დესაკრალიზებულ სინამდვილეში.

ის, რაც „დიალოგებში“ ღიად არის დატოვებული, პასუხს თხოვლების მთლიან კონტექსტში პოულობს. უდავოა, რომ სულხან-საბას კრიტიკის საგანია რუქას ინდივიდუალიზმი და სეკულარიზებული მორალი, დამახასიათებელი კრიზისული გვიანრენესანსული ეპოქისათვის. სედრაქის ხაზი — რუქას კრიტიკა თეოცენტრიზმის პოზიციიდან, კონტრრენესანსულ სულისკვეთებას ავლენს, ხოლო მიბრუნება კრიზისული ეპოქიდან კლასიკური რენესანსული ჰუმანიზმისაკენ ანუ ლეონის ხაზი ბაროკოს კულტურის დამახასიათებელი ნიშანია (გუკოვსკი 1962: 108-113).

„სიბრძნე სიცრუისა“, როგორც კონკრეტული დროის სულიერი დოკუმენტი, ტიპოლოგიურად იმ მსოფლმხედველობრივ გარდატეხას ეხმაურება, რაც XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე მოხდა ევროპულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. გასართობი ამბებისა და ლიმისის მიღმა აქ დახატულია ღვთიურ მადლს დაშორებული, ჰარმონიას მოკლებული, წინააღმდეგობებით დასერილი სინამდვილე, სადაც სიკეთეს და გონიერებას ვერაგობა და ხრიკიანობა ავიწროებს.

სულხან-საბა იგავ-არაკთა წიგნში ერთდროულად წარმოაჩენს მისი დროისათვის ნიშანდობლივ კონცეფციებს. მწერალი ახალ, ინდივიდუალისტურ ეთიკას რელიგიური სკეპტიციზმის, მორალური რელატივიზმისა და ეგოიზმის გამო განსჯის და ხსნას რენე-

სანსული თეოლოგიურ-ფილოსოფიური საზრისის რესტავრაციაში, მის მოდერნიზებაში ხედავს. ამგვარი ხედვა მას ბაროკოს კულტურასთან აახლოებს, რაც აღნიშნულია კიდევ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში (გაჩეჩილაძე 1984: 185-187).

სულხან-საბას მხატვრულ-ფილოსოფიური ნააზრევი რეალიზებულია დიალოგის მსგავს ჟანრობრივ ფორმაში, რომელიც მისი, როგორც მწერლის, აზროვნების სტილური ფორმაა.

დიალოგის ჟანრს, როგორც წერილის დასაწყისში ითქვა, ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. პლატონის „სოკრატული დიალოგების“ ტრადიციასთან ერთად არსებობდა სქოლასტიკური და რენესანსული დიალოგები, თითოეული — თავ-თავისი სპეციფიკით ჟანრის ფარგლებში. „სოკრატული დიალოგი“, პლატონის მაიევიტიკური მეთოდის ნაყოფი, ახალი ცოდნის, ახალი ჭეშმარიტების დადგენისაკენ მიისწრაფოდა. სქოლასტიკური დიალოგი, გამოკვეთილი დიდაქტიკური ორიენტაციით, იყო სადისკუსიო ტექნიკის სკოლა, რომელიც სასურველი საზრისის დამაჯერებელი სახით წარმოდგენას ასწავლიდა. რაც შეეხება რენესანსულ დიალოგს, იგი „ურთიერთობის კულტურის“, „საკუთარი“ და „სხვისი“ შეხედულებების თანაარსებობის ნიმუშებს იძლეოდა (ბატკინი 1978: 126-134; 168-177).

სულხან-საბას „დიალოგებისათვის“ უცხოა ახალი ჭეშმარიტების სოკრატული ძიება. იგი ახლოსაა სქოლასტიკურ დიალოგთან მზა თვალსაზრისების დაპირისპირებით, მაგრამ თავისუფალია სქოლასტიკური აზროვნების ავტორიტარიზმისაგან. სულხან-საბას ე.წ. დიალოგები განსხვავებულ შეხედულებათა თანაარსებობის შთაბეჭდილებას ტოვებს — კამათის პროცესში არ ხდება რომელიმე ერთი საზრისის მოხსნა, გაუქმება მეორის სასარგებლოდ. ამ შტრიხით ეს „დიალოგები“ ჩამოჰგავს რენესანსულ დიალოგს, სადაც, კამათის მიუხედავად, გატარებულია განსხვავებულ პოზიციათა თანაარსებობის პრინციპი.

თუ შინაარსობრივ-სემანტიკურ დონეზე სულხან-საბას თვალსაზრისი გამოკვეთილია, აზროვნების დიალოგური ფორმა, როგორც სიღრმისეული სუბსტრატი, წარმოგვიდგენს ისეთ ცნობიერებას, სადაც სამივე საზრისი ინარჩუნებს არსებობის უფლებას. იგი უშვებს შესაძლებლობას, ყოველი მათგანი გააზრებულ იქნას, როგორც კერძო ასპექტები ერთი დიდი, საყოველთაო ჭეშმარიტებისა.

damowmebani:

ანტიკური... 1984: Античное наследие в культуре возрождения. М.: "Наука", 1984.

- არისტოტელე 1984:** Аристотель. Сочинения в четырех томах, т.4. М.: "Мысль", 1984.
- ახალი აღთქმა 1985:** ახალი აღთქმა და ფსალმუნის სტოკჰოლმი: ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, 1984.
- ბატკინი 1978:** Баткин Л.М. Итальянские гуманисты: стиль жизни, стиль мышления. М.: "Наука", 1978.
- გაჩეჩილაძე 1984:** გაჩეჩილაძე გ. სულხან-საბა ორბელიანი. წიგნში: ქართული მწერლობა. ლექსიკონი-ცნობარი, ნ. 1. თბ.: „განათლება“, 1984.
- გვახარია 1995:** გვახარია ა. ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. I. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1995.
- გუკოვსკი 1962:** Гуковский М. Еще к вопросу о русском барокко. ж. "Русская литература", 1963. № 2.
- ეთიკის... 1969:** Очерк истории этики. М.: "Мысль", 1969.
- იბნ სინა 1980:** Ибн Сина. Избранные философские произведения. М.: 1980.
- ივანოვი 1984:** Иванов В.Г. История этики средних веков. Ленинград: издательство Ленинградского университета, 1984.
- კეკელიძე 1958:** კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, II. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1958.
- მაკიაველი 1984:** მაკიაველი ნ. მთავარი. იტალიურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1984.
- ორბელიანი 1991:** ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული. I. მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ.: „მერანი“, 1991.
- ორბელიანი 1993:** ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული. II. თბილისი: „მერანი“, 1993.
- ორბელიანი 1983:** ორბელიანი სულხან-საბა. წიგნი სიბრძნე-სიცრუისა. წიგნში: ქართული პროზა, V, თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1983.
- რენესანსის... 1981:** Эстетика ренессанса, т. I, Составитель В.П. Шестаков. М.: "Искусство", 1981.
- რუსთაველი 1966:** რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. ტექსტი და ვარიანტები ორ ტომად. 1. ა.შანიძისა და ა.ბარამიძის რედაქციით. თბ.: „მეცნიერება“, 1966.
- საფუძვლები... 1994:** Основы христианской православной веры. Москва: "Полоник", 1994.
- საირაძე 1975:** საირაძე რ. ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1975.
- ქილილა... 1975:** ქილილა და დამანა. ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ. თბ.: „მერანი“, 1975.
- ყუბანიევილი 1949:** ყუბანიევილი სოლ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1949.
- შტეკელი 1994:** შტეკელი ა. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია. გერმანულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. თბ.: თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1994.
- ჰოიზინგა 1997:** Хёйзинга И, Homo Ludens. Москва: "Прогресс – Традиция", 1997.

ტრადიციული ფაბულა — ახალი შინაარსი

სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ოსტატობა და ორიგინალურობა განსაკუთრებით კარგად ჩანს მაშინ, როცა ცნობილი ფაბულების დამუშავებით შექმნილ მის იგავ-არაკებს სხვა ავტორთა ვერსიებს ვადარებთ (ამ თვალსაზრისით ფრიად საგულისხმოა ალექსანდრე ბარამიძის მიერ ჩატარებული შედარებითი ანალიზი არაკისა „გლახაკი და ქილა ერბო“ და იმავე ფაბულის მქონე არაკებისა, რომლებიც „პანჩატანტრაში“, „ჰიტოპადეშაში“ და „ქილილასა და დამანას“ არაბულსა და სპარსულ ვერსიებში გვხვდება. — ბარამიძე 1959: 42-45).

ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია საბას „სოფლის მაშენებელი“ და ამ არაკის მიმართება **ბერძნულ** (ეზოპე; ვიმონმებთ იოანეს ირმშერის გერმანულ თარგმანს), **სომხურ** (ვარდანი, XII ს.; ვიმონმებთ ნიკო მარის რუსულ თარგმანს) და **ლათინურენოვან** (გაბრიელ ფერნე [Faërne], XVI ს-ის იტალიელი პოეტი; ვიმონმებთ შარლ პეროს ფრანგულ თარგმანს) ვერსიებთან (ეს უკანასკნელი პარალელი „სიბრძნე სიცრუისას“ მკვლევართ გამოყენებული არ აქვთ).

კორნელი კეკელიძის აზრით, „სოფლის მაშენებელი „ძაღლისა და მამლის“ არაკი მთავარი მოტივით უახლოვდება ეზოპეს ამავე სათაურის არაკს, განსხვავება მხოლოდ დეტალებშია“ (კეკელიძე 1981: 457; შდრ. ლეონიძე 1928: CXC). განსხვავებულ დეტალებს კ. კეკელიძე არ ასახელებს, და, საერთოდაც, ციტირებული შენიშვნით ამოიწურება მისი მსჯელობა ამ იგავზე.

განსხვავებულ დეტალთაგან ორ უმთავრესს გამოვყოფთ:

1) სოფლის კურიოზული ხერხით (ყეფითა და ყივილით) აშენების განზრახვაზე ეზოპეს (ეზოპე 1978: 133), ვარდანის (მარი 1899: 494-495; შდრ.: ქრესტომათია 1949: 335) და ფერნე//პეროს ვერსიებში (პერო ინტერნეტი) არაფერია ნათქვამი.

შევადაროთ ერთმანეთს არაკის ვერსიათა დასაწყისები:

ა) ეზოპე:

„ძაღლი და მამალი დაძმობილდნენ და სამოგზაუროდ გაეშურნენ“ (ეზოპე 1978: 133);

ბ) ვარდანი:

„ძაღლი და მამალი დაძმობილდნენ და გაუდგნენ გზას“ (მარი 1899: 495);

გ) ფერნე//პერო:

„ძაღლი, მამალთან ერთად, სამოგზაუროდ გაეშურა“ (პერო ინტერნეტი);

დ) საბა:

„ერთი ძალი და ერთი მამალი დამობილდნენ: სოფელი ავაშენოთო!

ძალმან უთხრა: როგორ ავაშენოთო?

მამალმან უთხრა: შენ იყიფე, მე ვიყივლებ და აშენებო“ (ორბელიანი 1959: 28).

უკვე სანყისი ფრაზების შედარებითაც შეიძლება მივხვდეთ, რომ საბას იგავის სახით მანამდე არსებულ ვერსიათაგან სრულიად განსხვავებულ ნაწარმოებთან გვექნება საქმე. სიტყვის დიდოსტატის და ამავდროულად დიდი სატირიკოსის ხელწერაც მკაფიოდ იგრძნობა პირველსავე წინადადებებში.

2) ეზოპესთან (ვარდანთან, ფერნე//პეროსთან) არ გვაქვს მოცულებული მელას საბოლოო რეპლიკა. ბერძნულ, სომხურ და ლათინურ//ფრანგულ ვერსიებში ძალი კლავს მელას (ეზოპე: „[der Hund] zerriß ihn“; ვარდანი: „А собака не оставила лисы, пока не задумала ее“; ფერნე//პერო: „...le chien le prit et l'étrangla sur l'heure“); საბა კი, ფინალური რეპლიკის გულისთვის, ცოცხალს ტოვებს მას:

„ნამოდგა ძალი, მელს გამოუდგა, დაჩეჩქვა და კუდი მოსწყვიტა. დაკოდილი წავიდა. გაგლეჯილი, ნათრევი გორაზე წამოდგა და დაუძახა: მე ხომ ჩემი ჭკუისა დამემართაო და, თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყობთ!“ (ორბელიანი 1959: 29).

ეს განსხვავებები არსებითად ცვლის არაკის პერსონაჟთა ხასიათებს, ნაწარმოების მხატვრულ იდეას, — ცვლის ისე, რომ იმავე ფაბულის მიუხედავად თვისებრივად სხვა ნაწარმოებს ვღებულობთ.

ზურაბ ავალიშვილის სიტყვით, „მარმა მრავალი მაგალითის მოხმობით წარმოაჩინა, თუ როგორ ლებულობდნენ სომხურ ნიადაგზე ბერძნული იგავები თავისებურ შეფერილობას ხალხურ ყაიდაზე. იგივე უნდა მომხდარიყო საქართველოშიც. ეს განსაკუთრებით ეხება იმ იგავებს, რომლებშიც ეზოპესეული ბირთვი მხოლოდ ამოსავალ პუნქტს ქმნის, როგორც, მაგალითად, „სოფლის მაშენებელნი“. თუკი ბერძნულ ვერსიას ჯერ საეკლესიო შეფერილობის მქონე სომხურ იგავს შევადარებთ (ვარდანის ვარიანტს გულისხმობს. — ლ. ბ.) და შემდეგ პანია ქართულ მოთხრობას, რომელიც ჟღერს, როგორც პოლიტიკური სატირა (საბას ვერსიას გულისხმობს. — ლ. ბ.), თვალწინ გვექნება უძველესი მასალის განვითარების სამი სტადია“ (ავალიშვილი 1933: 21-22).

ამ მსჯელობიდან ის აზრი უნდა გამოვიტანოთ, რომ, ტრადიციული ფაბულის მიუხედავად, ზურაბ ავალიშვილს მხატვრული იდეის დონეზე სულხან-საბა ორბელიანის „სოფლის მაშენებელნი“ ადრინდელი ვერსიებისაგან არსებითად განსხვავებულ ნაწარმოე-

ბად მიაჩნია. (სამნუხაროდ, მსგავსი ვითარება ზ. ავალიშვილმა ვერ შენიშნა საბას „უსამართლო შირვან-შაჰისა“ და მე-13 საუკუნის სირიელი მწერლის გრიგოლ-იოანე აბულ-ფარაჯ ბარ-ჰებრაიას „ორი ჭოტის საუბრის“ ურთიერთშედარებისას. მისი აზრით, საბასა და სირიელი მწერლის არაკებს შორის მარტო თემატური მსგავსება კი არ შეინიშნება, არამედ „ეს, უბრალოდ, იგივე არაკია“, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ამის შესახებ იხ. ბრეგაძე 1989: 13; ბრეგაძე 2008: 158-163).

შეფასება, რომ საბას „სოფლის მაშენებელი“ „ჟღერს, როგორც პოლიტიკური სატირა“, შემდგომ სოლომონ იორდანიშვილმაც გაიმეორა (იორდანიშვილი 1939: 201).

უფრო დანვრილებით ამ საკითხზე არც ზ. ავალიშვილი, არც ს. იორდანიშვილი არაფერს გვეუბნებიან. ამიტომ გავარკვიოთ, რა მხატვრული შედეგი გამოიღო ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა საბას ვერსიაში.

ეზოპეს იგავისა და მასთან ახლომდგომი ვერსიებისგან განსხვავებით, საბას ძალლი და მამალი თაღლითები ჩანან: სურთ საქმიანი ხალხის რეპუტაცია შეიქმნან, სოფლის მაშენებლის სახელი დაიგდონ, თუმცა ყეფისა და ყივილის გარდა საამისოდ არაფრის მაქნისნი არ არიან. ესენი საქმის კეთებას პროპაგანდისტული ხმაურით, დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, „პიარით“ ანაცვლებენ.

საგრძნობი ცვლილება განიცადა საბასთან მელის სახემაც. ზემოთ ციტირებული ღირსშესანიშნავი რეპლიკიდან, რომელიც ჩინებულად გამოხატავს მოტყუებული მატყუარას ბოღმა-გამნარებას, ისიც კარგად ჩანს, რომ საბას მელა თვითკრიტიკულიც არის და თაღლითების მამხილებლადაც გვევლინება, რის გამოც ის, ამ არაკის სხვა ვერსიათა მელიებისაგან განსხვავებით, ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი პერსონაჟი აღარ არის. თვითკრიტიკაც (თვითირონიაც) და თაღლითების მხილებაც მელის ხასიათს დადებითი შტრიხებით ამდიდრებს, რის შედეგადაც გარკვეული სიმპათია აღგვეძვრის მის მიმართ. (საბასთვის ტიპობრივია, როცა პერსონაჟი, მას შემდეგ, რაც ჭკუაში წააგებს, თვითონვე კიცხავს თავის თავს, თვითირონიას მიმართავს. გავიხსენოთ დასასრული არაკისა „ნალბანდი მგელი“: „მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯიდაო?“ (ორბელიანი 1959: 46), აგრეთვე მელას საბოლოო თვითირონიული რეპლიკა არაკიდან „მოძღვარი მელი“: „რასაც მოძღვარს აღსარება სამონმოდ გაუხდია, უარესიმც დაემართებაო“ (იქვე, 27) და ამისივე მსგავსი — „რასაც კაცს მამის ანდერძი არ დაუსწავლია, უარესიმც დაემართებაო“ — იგავიდან „მეფის ანდერძი“ (იქვე, 142).

მოკლედ, თუ ეზოპესთან, ვარდანთან, ფერნე//პეროსთან მამალი და ძალი პირნმინდად უცოდველნი არიან, ხოლო მელა პირნმინდად ბოროტგანმზრახველია (ამგვარი რამ საზოგადოდ დამახასიათებელია იგავის ჟანრის ნაწარმოებისთვის), ქართველ მწერალთან დაძლეულია ეს სქემატურობა, რაც ამ მცირე ტექსტს დიდი ლიტერატურის ნიმუშთა შორის მიუჩენს ადგილს.

ამ იგავის არცერთ სხვა ჩვენთვის ცნობილ ვერსიაზე არ შეიძლება ითქვას, პოლიტიკური სატირააო, რაზედაც ნათლად მეტყველებს მათი ფინალური ნაწილი, რომელშიც იგავის მორალია გადმოცემული:

1) ეზოპე:

„იგავი ამტკიცებს, რომ ჭკვიანი ადამიანებიც ასევე იქცევიან. როცა ბოროტება ემუქრებათ, ისინი იოლად ახერხებენ თავიანთ მტრებს საკადრისი მიუზღონ“ (ეზოპე 1978: 133);

2) ვარდანი (ძირითადი ვერსიის მორალი):

„იგავი გვიჩვენებს: ცბიერ, მუხანათ, ქურდ და ყველა სხვა ბოროტ ადამიანს გააფთრებული ხალხი შეხვედრისას კლავს და გუდავს (умерщвляют и душат) მსგავსად იმისა, როგორც ძალი არ შეეშვა მელას, ვიდრე არ გაგუდა ის“ (მარი 1899: 495);

ვარდანი (ძირითადი ვერსიისაგან განსხვავებული ვარიანტის მორალი):

„იგავი გვიჩვენებს: ვინც შეეცდება მზაკვრულად მოექცეს თავის ამხანაგს, თვითონ გაებმება თავის დაგებულ მახეში, როგორც ქრისტე ამბობს და აგრეთვე დავითი და სოლომონი“ (მარი 1899: 494);

შდრ. ძველი ქართული თარგმანი:

„რომელიც ამხანაგის ზაკვარი არის, თითონ ჩავარდეს ორმოში, როგორცა ბრძანებს ქრისტე და სოლომონ, ვინც ორმო გათხაროსო“ (ქრესტომათია 1949: 335);

3) ფერნე//პერო:

„სამართლიანია მოტყუება მატყუარასი“ („C'est le vrai droit du jeu de tromper le trompeur“) (პერო ინტერნეტი).

საბა იგავებს მორალის შემცველ განმარტებებს არ ურთავს. მონათხრობიდან მორალის გამოტანა „სიბრძნე სიცრუისას“ მკითხველმა თვითონ უნდა მოახერხოს იგავის წარმომტემელი პერსონაჟის კომენტარების ან კონტექსტის გათვალისწინებით (ზ. ავალიშვილის სიტყვით, „ძალზე თავისებურია ის, რომ ამ კრებულის იგავებს მორალური ჭკუის დარიგება („moralische Belehrung“) სრულიად არ ახლავს. იგავის მორალის ამოცნობას და ნაწარმოების მთლიანობიდან მის გამოცალკევებას ავტორი მკითხველს ანდობს“. — ავალიშვილი 1933: 25). ჩვენ მიერ განსახილავ არაკს რუქა ჰყვება, სოფლის ცრუ მაშენებლებში იგი ლეონსა და სედრაქ

ვაზირს გულისხმობს, თაღლითებად მიიჩნევს მათ — მეფის ძის აღზრდას ლამობენ, მაგრამ ამ საქმისა არაფერი გაეგებათ; მე კი, მათ მამხილებელს, მახეს მიგებენ და, ვატყობ, რალაცას ცუდს შემამთხვევენო („შენ და მას [სედრაქ ვაზირს მიმართავს; „მას“-ში ლეონს გულისხმობს. — ლ. ბ.] პირი შეგიკრავსთ, მე წაუხდენელს, ვიცი, არ გამიშვებთ; თუ მეფის ძე კარგად გაზარდოთ, მე თურე არა ვიცი რაო“. — ორბელიანი 1959: 29). მოკლედ, თვით რუქას აღიარებით, იგი პედაგოგიკის პრინციპულ პრობლემებზე სახიფათო პოლემიკას ეწევა სამეფო კარის მაღალი რანგის მოხელეებთან, რომლებიც, მისი აზრით, არასწორად უძღვებიან უფლისწულის სწავლა-აღზრდის უმნიშვნელოვანეს, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს.

ამრიგად, საბას ვერსია, რომელიც გენეტიკურად ეზოპეს იგავს ენათესავება, ამავდროულად თვისებრივად განსხვავდება მისგან (და მასთან ახლო მდგომ სხვა ვარიანტთაგან) მხატვრული იდეითაც და ამ იდეის ხორცშესხმის მაღალმხატვრული ფორმითაც.

damowmebani:

ავალიშვილი 1933: Surab Awalischwili. Einleitung. წიგნში: Sulchan-Saba Orbeliani. Die Weisheit der Lüge. Artschil Metreweli, Berlin-Wilmersdorf, [1933].

ბარამიძე 1959: ალ. ბარამიძე. სიბრძნე სიცრუისა. კრებულში: სულხან-საბა ორბელიანი. საიუბილეო კრებული. თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959.

ბრეგაძე 1989: ლ. ბრეგაძე. პარალელები. „ლიტერატურული საქართველო“, 14. 07. 1989, № 28.

ბრეგაძე 2008: ლ. ბრეგაძე. მოთხრობები ლიტერატურაზე. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2008.

ეზოპე 1978: Antike Fabeln. Aus dem griechischen und lateinischen übersetzt von Johannes Irmischer. Aufbau-Verlag, Berlin und Weimar, 1978.

იორდანიშვილი 1939: С. Иорданишвили. Примечания к тексту. წიგნში: Сулхан Саба Орбелиანი. Мудрость Лжи. Тбилиси: Издательство „Заря Востока“, 1939.

კეკელიძე 1981: კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981.

ლეონიძე 1928: გიორგი ლეონიძე. სულხან-საბა ორბელიანი. წიგნში: სულხან-საბა ორბელიანი. სიბრძნე სიცრუისა. გიორგი ლეონიძის რედაქციით. ტფ.: გამომცემლობა შრომა, 1928.

მარი 1899: Н. Марр. Сборники притч Вардана. Материалы для истории средневековой армянской литературы, часть I, Исследование. Санктпетербург: типография Императорской Академии Наук, 1899.

ორბელიანი 1959: სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი. I. თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.

პერო ინტერნეტი: http://ecole.onsevoitdemainalors.org/article.php3?id_article=1137

ქრესტომათია 1949: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. II, შედგენილი სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ. თბ.: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1949.

რენესანსი და ბაროკო

(წანამძღვრები „ვეფხისტყაოსნისა“ და „სიბრძნე სიცრუისას“ შედარებითი ანალიზისთვის)

ლიტერატურა იმიტომაც ადამიანის შემოქმედებითობის ყველაზე ექსპერიმენტული დარგი, რომ ენა (სიტყვა), რომელსაც ის ექსპერიმენტის მასალად იყენებს, თავად ხასიათდება აზრის კვლავწარმოების, განახლების, დინამიურობის, შემოქმედებითობის უნარით.

რუსთაველი დარწმუნებით იმეორებდა ანტიკური ფილოსოფიის პოსტულატს, რომ „მსგავსი ყველაის მსგავსსა შობს“. აზრი, რომელიც ამ პოსტულატიდან გამომდინარეობს, მდგომარეობს იმაში, რომ „მსგავსი შეიმეცნება მსგავსით“. ამ ნიშნით, ლიტერატურა არის ენის პირმშო, ხოლო ლიტერატურის თეორია – მოძღვრება „მსგავსის მსგავსით შემეცნების“ შესახებ.

ბაროკო არის რენესანსის პირმშო, ხოლო რენესანსის მიმართ ბაროკოს გაუცხოება — მამათაგან ნაჭამი კანახის გამო შვილებისთვის კბილთა მოკვეთით გამონვეული რეაქცია.

ამიტომ, როგორც ჟანრით, ისე ერთმანეთისგან საუკუნეებით დაშორებულ „ვეფხისტყაოსნისა“ და სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ შედარებითი ანალიზიც არის „მსგავსით მსგავსის“ გააზრების ექსპერიმენტული ცდა.

ეს ექსპერიმენტი არ არის თვითმიზანი. ესაა ქართული კულტურის, როგორც ერთიანი სისტემის, წიაღში ისტორიის ტრაგიკული ხდომილებებით ერთმანეთისგან სტილებით, კონცეპტებით, განწყობებით გამიჯნული, მეორე მხრივ, ერთმანეთის მომიჯნავე და დიალოგში მყოფი ეპოქები. დიალოგის პროტაგონისტებია რენესანსი და ბაროკო. დისკურსში მონაწილე პერსონალები: ანტიკური ფილოსოფია, შუა საუკუნეები, აღმოსავლური და დასავლური კულტურები და განმანათლებლური ეპოქის წინამორბედნი.

რაკი ამგვარი დიალოგის რეპერტუარი ამოუწურავია და უსასრულო, ხოლო ჩვენი ცდა — ექსპერიმენტული, ამ დიალოგიდან იმ ლაიტმოტივის პოვნაა საჭირო, რომელიც შიშველი ნერვივით ფეთქავს დღესაც და გაგრძელდება უსასრულოდ...

ამ ლაიტმოტივის სახელია ცნობიერება, განსჯა, პრაგმატული მიზანშეწონილობა. განსჯა არის საკვანძო ადგილი, სადაც იკვეთება ადამიანის სოციალიზაციის ვექტორები.

ამიტომ თუ არ ჩავთვლით სტიქიურ კატასტროფებს, საზღვარი, რომელიც მიჯნავს ადამიანის თავზე გარედან და შინაგან

ცნობიერების წყალობით მასზე დატეხილ ტრაგედიებს, გადის სწორედ მის ცნობიერებაზე.

ამ საზღვრის განსაზღვრაში კაცობრიობა სოლიდარულია („რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“).

რუსთაველს სილაღე არ აკლია, მაგრამ ხალხური ლექსიგან განსხვავებით, განსჯისა და მოქმედების შედეგებს შორის კავშირის აღსანიშნავად მკაცრ ტონს ირჩევს:

„თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა“.
(რუსთაველი 1937: 875)

რაც შეეხება „სიბრძნე სიცრუისას“, სულხან საბას განსჯის საგანია სწორედ ცნობიერება, როგორც ადამიანის, ცივილიზაციის, სახელმწიფოს, კულტურის ბრწყინვალეებისა და სილატაკის, სიბრძნისა და სიცრუის, ზნეობისა და უზნეობის მიზეზიც და შედეგიც.

გაივლის რენესანსისა და ბაროკოს, რუსთაველისა და სულხან საბა ორბელიანის დიალოგიდან ნახევარი საუკუნე და დასავლურ ფილოსოფიაში 1790 წელს შეიქმნება კანტის „განსჯის უნარის კრიტიკა“, რომელშიც განსჯის ესთეტიკური უნარი პირველად იქნება დაქვემდებარებული განსჯის მიზანშეწონილობის უნარს.

მაგრამ ვიდრე რენესანსსა და ბაროკოს, რუსთაველსა და სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ კონცეპტებს შორის განსხვავებას შევხებოდეთ, ორიოდ სიტყვა ამ კონცეპტების შესახებ, რაც „ვეფხისტყაოსანსა“ და „სიბრძნე სიცრუისაში“ არის კონცეპტუალურად საერთო, გამაერთიანებელი, ერთობლივი.

სულხან საბა ორბელიანი, როგორც ქართული ბაროკოს ენციკლოპედია

ენციკლოპედიურობა ის ერთადერთი სიტყვაა, რომელიც სრულფასოვნად ასახავს ბაროკოს ესთეტიკური კრიტერიუმების მომცველობას სულხან საბა ორბელიანის შემოქმედებაში.

როგორც ცნობილია, ბაროკოს სტილის ზეამოცანად იქცა რენესანსული სტილისა და უტოპიური კონცეპტების არა მხოლოდ ინტერპრეტაცია, არამედ დეკონსტრუქცია. ვეფხისტყაოსნის ბაროკო-მანიერისტული დეკონსტრუქციის მიზანი ქართულ ბაროკოში კულტუროლოგიური დისკურსის სიბრტყეზეა გადატანილი. დაწყებული ვეფხისტყაოსნის პირველი გამგრძელებლებიდან დამთავრებული არჩილის მოთხოვნის — „რუსთაველს რად ვერ მიბაძესა?“ — მიმდევრებით, რუსთაველი იქცა XVII-XVIII საუკუნეების ქართველ „მამათა და შვილთა“ დისკურსის ქვაკუთხედად.

ამ დისკურსის მონაწილენი არიან: თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, იაკობ შემოქმედელი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ბესიკი, რუსთაველის „ესე ამბავი სპარსულის“ გავლენით სპარსულიდან „როსტომიანის“ ქართული ვერსიების შემქმნელები, ვეფხისტყაოსნის პირველი ქართველი ილუსტრატორი მამუკა თავაქარაშვილი და რა თქმა უნდა, ანტონ კათალიკოსი.

მიუხედავად იმისა, რომ სულხან საბა ორბელიანს რუსთაველის მიმართ თავისი პოზიცია დეკლარაციული ფორმით არ გამოუხატავს, კონცეპტუალურ პასუხს კითხვაზე: რატომ გახდა ბაროკოს ეპოქა იძულებული დაეწყო ვეფხისტყაოსნის დეკონსტრუქციული ინტერპრეტაცია, არა ნაკლები მჭერმეტყველებით იძლევა „სიბრძნე სიცრუსა“, ვიდრე იმავე ეპოქის პაროდული-მანიერისტული ინტერპრეტაციები ვეფხისტყაოსნისა.

ქართული ცნობიერების დინამიკაში ბაროკოს კულტურამ და „სიბრძნე სიცრუსამ“ შეასრულა იგივე ფუნქცია, რაც ესპანური და ევროპული რენესანსის კრიზისის დაძლევაში — სერვანტესის „დონ კიხოტმა“.

ნათქვამის ვერიფიკაციის ოპტიმალური ფორმა ვეფხისტყაოსნისა და „სიბრძნე სიცრუსას“ პარადიგმათა შედარებითი ანალიზია.

ორივე ნაწარმოები ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ხასიათისაა. ორსავე ნაწარმოებში გამოყენებულია დისკურსის საგნად ქცეული კითხვების დეტერიტორიალიზირებულ სიბრტყეზე გადატანის მეთოდი. ორივე ნაწარმოების ქრონოტიპი მონყვეტილია დისკურსში მონაწილეთა ბიოგრაფიული ყოფის გარემოს, ადგილს, ტოპონიმს. ასეთ ვითარებაში დრო და სივრცე ხდება ადამიანის (გმირის) გამოცდის, ტესტირების, ვერიფიკაციის ინსტრუმენტი.

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი გამართულია ავანტიურისტული რომანის პოეტიკური პრინციპით. ავანტიურისტული სიუჟეტი არის დეტექტივის სახეობა. ავანტიურისტული რომანის ქრონოტიპში გმირი გაყვანილია ბიოგრაფიული გარემოდან და გადანაცვლებულია უცხო ქვეყნის გარემოში.

ვეფხისტყაოსნის გმირთა მოქმედების ასპარეზი არის პლანეტა.

ავთანდილში დუბლირებულია ულისეს (ოდისეოსის) კოლუმბამდელი ავანტიურიზმი. ავთანდილში შიშველი ნერვივით ფეთქავს კონტინეტების აღმოჩენათა კოლუმბამდელი პროექტების ექო.

„სიბრძნე სიცრუს“ ფაბულა და სიუჟეტი ორგანიზებულია ავანტიურისტული რომანის ქრონოტიპის პრინციპით.

როგორც ვეფხისტყაოსანში, ისე „სიბრძნე სიცრუსაში“ საქმე გვაქვს ბიოგრაფიული გარემოდან გმირის „გასვლისა და დაბრუნების“ პარადიგმასთან. ვეფხისტყაოსნის გმირები გადიან ბიოგრაფიული გარემოდან, თავისუფლდებიან ბიოგრაფიული გარემოს

სოციალური და მორალისტური კონტროლისგან, გადანყვეტილებებს იღებენ და მოქმედებენ მიზანშეწონილების საფუძველზე. ამაშია გმირის ტესტირების, ადამიანის ვერიფიკაციის, ფილოსოფიური კონცეპტის დეტერიტორიზაციის არსი. ეს არის საფუძველი, რის გამოც ფილოსოფიური ლიტერატურა პრიორიტეტს ანიჭებს ავანტიურისტულ და არა ბიოგრაფიულ სიუჟეტს.

მითოლოგიური გმირების მსგავსად, ავანტიურისტული სიუჟეტის ბიოგრაფიული გარემოდან გასული გმირები ახალი ცოდნით, გამოცდილებით, ცხოვრების ხის ნაყოფთან ზიარებულნი და დაბრძენებულნი ბრუნდებიან თავიანთ გარემოში. „სიბრძნე სიცრუისაშიც“ „უნაღვლოთა მძებნელი“ მეფე გადის ბიოგრაფიული გარემოდან და ახალი ცოდნით გამდიდრებული ბრუნდება თავის სამეფოში.

ამ სიუჟეტის არქეტიპი ქართულ კულტურაში ხორცშესხმულია ამირანის მითსა და ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელში“. (შდრ. ამირანის გასვლა სამყაროს ერთი სკნელიდან მეორე სკნელში და დაბრუნება ყამარით და ცხოვრების ხის ნაყოფით. მინდიას ჩასვლა ქვესკნელში და გამეცნიერებულად დაბრუნება თავის სამკვიდროში).

უნდა გვახსოვდეს, რომ ტრიადა: ტერიტორიზაცია — დეტერიტორიზაცია — რეტერიტორიზაცია — გეოფილოსოფიის ფუნდამენტური კონცეპტებია.

ესაა კონცეპტი, რომლის არაკალენდარულ დროში სიბრძნის (სოფია) და სიყვარულის (ფილია) საფუძველზე რუსთაველი და სულხან საბა ორბელიანი მეგობრდებიან.

რუსთაველთან დეტერიტორიზაციის პროექტი მთავრდება „ვეფხისტყაოსნის“, ხოლო სულხან საბა ორბელიანთან „სიბრძნე-სიცრუის“ რეტერიტორიალიზებული პროექტის სახით. ორივე შემთხვევაში ქართულმა კულტურამ მიიღო აღმოსავლეთისა და დასავლეთის სააზროვნო სიტუაციათა გლობალური სინთეზი.

როგორც გალაკტიონი იტყოდა, „ვეფხისტყაოსანში“ —

შრიალებს ფრთები ელადათა სიბრძნის დემონის,
ძველი ეგვიპტის აქ ხმიანებს მძლავრი გენია.
(ტაბიძე 1977: 313)

„სიბრძნე სიცრუისაში“ „შრიალებს ფრთები ელადათა სიბრძნის დემონის“. გავიხსენოთ „ლოდის დამგორებელი“ (სიზიფე), „მოცინარი და მოტირალი“ (ჰერაკლიტე და ემპედოკლე), ასევე „იტალიელი მხატვრები“ და „უნაღვლოთა მძებნელი“, როგორც რეალობისა და მოჩვენებითობის დასავლური პრაგმატობით გამიჯვნის ნიმუშები. ამავე დროს „სიბრძნე სიცრუისაში“ „შრიალებს ფრთე-

ბი" აღმოსავლეთის (ინდოეთი, ჩინეთი, არაბეთი, სპარსეთი) „მძლავრი გენიისა“.

ორსავე შემთხვევაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა დიალოგის პროექტი წინ უსწრებს გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ პროექტს.

აქვე უნდა ითქვას, რომ გეოფილოსოფიაში პიროვნების დეტერიტორიზაციის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება დეტერიტორიზაციის მექანიკური გაგებით. დეტერიტორიზაციის მნიშვნელობა შეიცავს ერთი ქვეყნიდან ინდივიდთა ან „შემოქმედებითი უმცირესობის“ სხვა ქვეყნებში (მითის მიხედვით, სხვა სკნელებში) არა მხოლოდ ფიზიკურ გადასაცვლებას, არამედ იდეათა, ცოდნათა, პოლიტიკური მიზნების, კონცეპტთა, პროდუქციათა ცირკულაციას.

მაგრამ ვეფხისტყაოსანსა და „სიბრძნე სიცრუისას“ შორის განსხვავება იმაშია, რომ ბიოგრაფიული გარემოდან ავთანდილივით გასული ლეონის თავგადასავალში დუბლირებულია არა რენესანსის მონუმენტურ-მაქსიმალისტ გმირთა, არამედ ბაროკო-მანიერიზმის გმირთა, მართალია, დიდაქტიზმთან დაკავშირებული, მაგრამ დამინებული, პიკარესკული (თალლითური), განგვირგვინებული პროექტები.

ბაროკო-მანიერიზმმა დაიწყო რაინდულ-ავანტიურისტული რომანის ჰეროიკული გმირების ჩანაცვლება ყოფითი, მიწიერი პროექტების მექანე გმირებით. პიკარომ ჩანაცვლა რაინდი. „სიბრძნე-სიცრუისას“ პროტაგონისტი ლეონის მოგზაურობით და ავანტიურისტული თავგადასავლით ქართულ პროზაში სულხან საბა ორბელიანმა სათავე დაუდო პიკარესკული რომანის დისკურსს.

ქართულ პროზაში ამ დისკურსის პირველი გამოძახილია იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, XIX საუკუნის „მოგზაურობანი“. XX საუკუნეში ამ დისკურსის ჟანრული გაფართოების შედეგია ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ამ დისკურსის დალითაა აღბეჭდილი: ო. ჩხეიძის „ბორიაცი“, ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ და „გორა მბორგალი“, თ. ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, გ. დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, ა. მორჩილაძის „მოგზაურობა ყარაბახში“.

რენესანსმა და განსაკუთრებით, რუსთაველმა ადამიანი დასვა ანთროპოცენტრიზმის პიედესტალზე. ბაროკოში ეს კონცეპტი შეფასებულ იქნა უტოპიური თეორიის პროდუქტად. ანთროპოცენტრიზმის ლაიტმოტივი გასდევს ბაროკოსაც, მაგრამ ეს არის ნეგატიური ანთროპოცენტრიზმი. „სიბრძნე-სიცრუის“ პერსონაჟებს არაფერი აქვთ საერთო რუსთაველის გმირებთან. ბაროკული „ნეგატიური ანთროპოცენტრიზმი“ არის დამარცხებული, შეჭირვებული, სასონარკვეთილი, თავზარდაცემული, უნუგეშო, სამოთხიდან

ჯოჯოხეთურ რეალობაში გადმოტყორცნილი ადამიანის ანთროპოცენტრიზმი.

ბაროკო ასახავს ამგვარ რეალობაში მოხვედრილი ადამიანის ბრძოლას თვითგადარჩენისათვის. ამ ბრძოლაში რენესანსულ-რუსთველური კონცეპტები გზის გამკვლევი ორიენტირები კი არ ხდებიან, არამედ მადეზორიენტირებელი შუქურები. არ არის მართალი:

რომ „ბოროტსა სძლია კეთილმან“;

რომ „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“;

რომ „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირთ ერთმანეთის მონება“.

არ არის მართალი: „ბედი, ცდა და გამარჯვება“, რადგანაც გამარჯვების აბსოლუტიზაცია წილნაყარია დამარცხებასთან. გავიხსენოთ მიქელანჯელოს „გამარჯვებული“, რომელიც დამარცხებული აღმოჩნდა.

რეალობის რეპერტუარში „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ კატეგორიულია, რადგანაც სიცრუე, როგორც სოციალური თვითდამკვიდრების ინსტრუმენტი, ზოგჯერ სიბრძნის მნიშვნელობას იძენს.

ცხოვრება და ისტორია არ წავიდა იმ გზით, როგორც რუსთაველს წარმოედგინა. ახალ გამონეგებებზე ახალი პასუხები იყო გასაცემი!

აი, რას მიხვდა ბაროკოს ეპოქის ქართული კულტურა და ვერ მიხვდნენ ლიტერატურის ისტორიის ის ექსპერტები, რომელთაც ამ პროცესების ანალიზის მისია ეკისრათ.

„სიბრძნე სიცრუის“ სათაურშივე მოხაზულ იქნა კონცეპტი, რომელიც სათავედ დაედო ბაროკულ ცნობიერებას, როგორც ანტინომიურობით აღბეჭდილი რეალობის კოდი. ბაროკომ ურთიერთ გამომრიცხავი სანყისების დიალექტიკური თანაფარდობის ეს მნიშვნელობა აქცია როგორც მოვლენათა შეფასების, ისე პოეტიკის კრიტერიუმად.

როდესაც ლაპარაკია თავისი დროის სააზროვნო სიტუაციაში სულხან საბა ორბელიანის მოღვაწეობის მნიშვნელობაზე, მხედველობაშია მისაღები ის კრიტერიუმები, რომლებიც მან რენესანსის უტოპიური კონცეპტების გასანეიტრალებლად გამოიყენა.

რაკი რენესანსის რაინდულ-ავანტიურისტული რომანის ჰეროიკული გმირის ბაროკოს პიკარესკული გმირით ჩანაცვლების შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ამჯერად კიდევ ორ კონცეპტს შევეხებით:

ამჯერად „ვეფხისტყაოსანსა“ და „სიბრძნე სიცრუეში“

განვითარებული განსჯის უნარის ერთ პოსტულატს გადავავლოთ თვალი.

**დანახულის, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმის,
თავგადასავალი „ვეფხისტყაოსნიდან“
„სიბრძნე სიცრუემდე“**

რუსთველისთვის „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს“. შესაბამისად, რაკი ქართულ ენაში სპარსულიდან შემოსული „ჩიშ მართი“ (თვალთ ნანახი) არის ჭეშმარიტება, თვალთ დანახვა არის საგნის რეალობის და ვერსიფიკაციის ინსტრუმენტი.

გავიხსენოთ როსტევეან-ავთანდილის მიერ უცხო მოყმის ნახვის ეპიზოდი:

„ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა.

მას ტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა,
ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა;
ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა“.

(რუსთაველი 1937: 875)

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, რომელიც კი არ ნახეს, არამედ დაინახეს, რადგანაც უცხო მოყმემ არ ისურვა მათთან შეხვედრა და გაქუსლა. მიუხედავად ამისა, უცხო მოყმის დანახვა საკმარისი აღმოჩნდა მის მიმართ, როგორც სწორედ უცხო მოყმის მიმართ და არა ყაჩაღის, ავანტიურისტის, სხვა ქვეყნის „მოყურადის“ (ვაჟა) მიმართ, ინტერესის აღძრვისათვის. „ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა“ — ბაროკოსათვის ეს კონცეპტი მიუღებელია. „სიბრძნე სიცრუისაში“ ამ კონცეპტის კონკრეტული დეკოდირების მიზანს ემსახურება ორი დიდი პასაჟი. ერთი გაერთიანებულია „იტალიელი მხატვრების“, მეორე — „უნაღვლოთა მძებნელის“ ციკლში.

გავიხსენოთ ათიდან ერთი ნოველა „იტალიელი მხატვრების“ ციკლიდან:

„სხვამან გვანვია. მეორისა ამხანაგისა ცოლი თურე ენახა და მისი სახე გამოესახა, სრულად მას ამსგავსა. ჩვენ დავსხედით მას სახესთანა. მერმე იგი კაცი აწვია. შემოვიდა, ნახა ჩვენში მჯდომელი. ფიცხელი კაცი იყო. მას მართლა მისი ცოლი ეგონა. მეტის ჯავრისაგან ველარა გაიგნო რა. მოუხდა, ცემა ენება. რა მჯილი შემოჰკრა, კედელი დაჰხვდა.

დიადი ვიცინეთ და ესრეთ დავლიეთ თვე იგი მუნ“ (ორბელიანი 1957: 83).

ახლა „უნაღვლოთა მძებნელის“ ათი ნოველის ფინალს გადავავლოთ თვალი: მეფე შეპყრობილია უნაღვლო ადამიანის პოვნის წადილით. მეფის ძიებამ ფიასკო განიცადა. მისგან ნაპოვნი უნაღვლონი მეფეს ეუბნებიან:

„— თუ მეფე ხარ, რაისათვის დაგიტყვევებია მეფობა და ცუდად რბი? თუცა სირცხვილი იცი, რად არ იმყოფინებ ესოდენსა აუგსა და აუგინსა სიტყვასა? რა სამეფო სასმენელნი არიან?! წარვედ, მე არას ვეტყვი ამბავსა ჩემსა, ვირემ ცოცხალ ვარ და ვერცა ვინ მათქმევინოს. გიჯობს, სამეფო შენი განაგო!

წამოვიდა მეფე მუნით და მოვიდა სამეფოსა თვისსა. ვაზირსა თვისსა დიდი პატივი მიჰმადლა და ყოველივე ყოფილი უთხრა.

მოახსენა ლეონ მეფესა:

— მეფეო, უნაღვლო ხომ არავინ არის! შენ რამდენჯერ ნაღველი მოგერიოს, კაცი არ გაიკითხო, ვით იქმნების, ანუ მერმე რას იტყვის“ (ორბელიანი 1957: 37-38).

ასე დამარცხდა უნაღვლოთა ნახვით გამარჯვებული მეფე.

გამოირკვა, რომ ნახვა არ არის დანახულის ვერიფიკაციის სანდოდ და უცდომელი კრიტერიუმი, როგორც რუსთაველს მიაჩნდა. მსგავსების რწმუნებისთვის არც დანახვაა საკმარისი და არც დანახულის სახელი.

სულხან საბა ორბელიანის ამ პარადიგმას დავით გურამიშვილი აგვირგვინებს:

„ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.
(გურამიშვილი 1991: 170)

ქართულ აზროვნებაში ასე იწყება „განსჯის უნარის კრიტიკის“ ჩანაცვლება „მზამეტყველებაში“. რა არის საგანი „განსჯის უნარის კრიტიკისა“ თუ არა „მზამეტყველების“ კრიტიკა, ანუ კრიტიკა ადამიანის ილუზიისა, შექმნას რეცეპტული პასუხები ყველა დროსა და გარემოებათა გამონვევებზე.

ის, რაც რუსთაველმა თქვა და ბაროკომ არ გაიზიარა, ასახავს სააზროვნო სიტუაციის ფუნდამენტურ ასპექტს. როგორც მ. ბახტინმა შენიშნა: „არ არსებობს იზოლირებული გამოთქმა. ის ყოველთვის გულისხმობს მის წინამორბედ და მომდევნო გამოთქმებს. არცერთი გამოთქმა არ შეიძლება იყოს არც პირველი და არც უკანასკნელი. თითოეული მათგანი არის მხოლოდ რგოლი ერთიან ჯაჭვში და ამ ერთიანობის გარეშე მისი გააზრება შეუძლებელია. გამოთქმათა შორის არსებობს მიმართებანი, რომლებიც არ განისაზღვრებიან არც მექანიკური, არც ლინგვისტური კატეგორიებით“ (ბახტინი 1979: 340).

როგორც აღინიშნა, ვეფხისტყაოსნის გაგრძელებებში განხორციელებული დეკონსტრუქციის ფორმატსა და „სიბრძნე სიცრუისას“ ფორმატს შორის განსხვავებაა. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებების ბაროკულ-მანიერისტულ ფორმატში დეკონსტრუქცია ხორციელდება რუსთაველის ლექსის (კატრენის) საზეიმო, ცერემონიალური სტილის რეალობასთან შეჯახების წარმოჩენით.

ტარიელ და ცოლი მისი დაბრმეს, დაღრკეს, დაცაბერდეს,
სიყვარული გააცივეს, ერთმანეთსა უკუგრილდეს.

ეს არის კონცეპტი, რომელსაც დასავლური ბაროკოს ლიტერატურაში დანტეს მოტივებისა და გმირთა ქცევის დეკონსტრუქციისათვის იხმობენ ტასო და არიოსტო. ხოლო რენესანსული მხატვრობის დეკონსტრუქციისათვის — კარავაჯო. „სიბრძნე სიცრუისაში“ ეს მიზანი მიღწეულია სხვა ფორმატით. სულხან საბა დისკურსის საგნად ირჩევს არა ვეფხისტყაოსნის კატრენს, არამედ ვეფხისტყაოსნის ცალკეულ პასაჟებში ასახულ კონცეპტებს.

ეროტიკა „ვეფხისტყაოსანსა“ და „სიბრძნე სიცრუისაში“

ჩვენი განსჯის საგანი არ არის ეროტიკა საერთოდ რენესანსსა და ბაროკოში. ეროტიკა არჩილის, გურამიშვილის, ბესიკის როკოკოში („ტანო ტატანო“) ცალკე თემაა. ამჯერად ამ თემის „ვეფხისტყაოსანსა“ და „სიბრძნე სიცრუისაში“ რეალიზებულ დაპირისპირებზაზე გვექნება საუბარი.

„სიყვარული აგვამალღებს“, — წერს რუსთაველი. მისთვის, პლატონის მგავსად, სიყვარული არის ფრაგმენტებად დაშლილი სამყაროს გამაერთიანებელი ენერგია, რომლის სახელია ეროსი.

თავისი გმირები რუსთაველმა დააყენა ამ კონცეპტების პიედესტალზე. მაგრამ რეალობის პერსპექტივა უფრო რთული და წინააღმდეგობრივია.

ამით განსხვავდება აღმოსავლური სიბრძნე და ბრძენი ბერძნული ფილოსოფიისა და ფილოსოფოსისაგან. ფილოსოფია ნიშნავს სიბრძნის სიყვარულს, მეგობრობა — სიბრძნის სიყვარულში ისეთ ერთობას, რომელიც თავის თავში მოიცავს მეტოქეობის, შეჯიბრებითობის, კონკურენციის ელემენტს. ამიტომ მეგობრობა რუსთაველის რენესანსულ და ბაროკალურ რეპერტუარში არ არიან იგივეობრივი. სულხან საბა ორბელიანის მაქსიმის ჭეშმარიტებისათვის: „კარგისათვის კარგი არავის უქნია“ არსებობს იმდენივე არგუმენტი, რამდენიცაა კონტრარგუმენტი. რადგანაც ეს თემა ქართულ ბაროკოში უფრო მასშტაბურად ქაიხოსრო ჩოლოყაშვი-

ლის „ომანიანშია“ განსჯილი, მის შესახებ ცალკე და სხვა დროს გვექნება საუბარი.

რენესანსულ და რაინდულ კურტუაზულ კულტურაში სიყვარული მიჩნეულია ნოდებრივი პრივილეგიის ატრიბუტად. „სიბრძნე სიცრუისაში“ სიყვარული არ არის მიჩნეული საზოგადოების სულიერ-გონებრივ მაორგანიზებელ ფაქტორად. დაუფრებელია, მაგრამ სულხან საბას ლექსიკონში ეროტიკა აღქმულია „კაცთაგან ქალთა დამდაბლების“ აქტად. ვეფხისტყაოსნის რენესანსული მაქსიმალიზმით გამსჭვალული გმირებისათვის სიყვარულში ღალატი არის მაქსიმალისტური შურისძიების სტიმული, „სიბრძნე სიცრუისას“ ჯიზი-გურგენისთვის — მაქსიმალისტური ცინიზმის საგანი. ასეთია დისკურსის სტილი, რომელსაც „სიბრძნე სიცრუისაში“ სულხან საბა ორბელიანი იხმობს რენესანსული (რუსთველური) კონცეპტების დეკონსტრუირების მიზნით.

„გლახის ნაამბობის“ მიხედვით, XIX საუკუნის ქართველთა კულტურაში ილია ჭავჭავაძემ ავთანდილ-შერმადინის წყვილის დათიკო-გაბროთი ჩანაცვლების სურათი დაინახა.

ეს იყო აფეთქება ქართული კულტურის სისტემაში, რომლის გამაყრუებელი ექოც დაიწყო ბაროკოში.

არადა, ქართულ ბაროკოში ეს პროცესი ორი საუკუნით ადრე იყო დაწყებული. განუზრუნვლად იმისა, ჰქონდა თუ არა ეს ილია ჭავჭავაძეს გაცნობიერებული, ფაქტია, რომ „სიბრძნე სიცრუისაში“ ავთანდილი ჩანაცვლებულია *ჯიზი გურგენით*.

დავუბრუნდეთ „ვეფხისტყაოსნისა“ და „სიბრძნე სიცრუისას“ შედარებით ანალიზს. ავთანდილისა და ფატმანის რომანის შესახებ ვეფხისტყაოსანში ვკითხულობთ:

ერთგან დასხდნენ და დაიწყეს კოცნა, ღალობა წყლიანი;
შემოდგა კარსა ყმა ვინმე კეკლუცი, ტან-ნაკვთიანი,
დაჰკრთა, რა ნახა ავთანდილ: ჰგავსო, თუ გზაა კლდიანი.
ფატმან რა ნახა, შეშინდა, ძრწის და მიეცა ძრწოლასა,
მან გაკვირვებით უჭვრიტა მათსა ღალობა-წოლასა;
უთხრა: „არ გიშლი, დიაცო, ფერთა მიდამო კრთოლასა,
გამითენდების, განანებ მაგა მოყმისა ყოლასა!
გამკიცხე, ბოზო დიაცო, და დამდევ გასათრეველად,
მაგრა სცნობ ხვალე პასუხსა მაგა საქმისა მზღვეველად:
ვარ შენთა შვილთა შენითა კბილთა დამაჭმეველად,
დავშალო, ნვერთა ფუ მიყავ, ხელილა ვრბოდე მე ველად!
(რუსთაველი 1937: 1099-1101)

თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ვეფხისტყაოსნის მკითხველთათვის ცნობილია. ავთანდილმა ჯერ ჭაშნაგირის ორი მცველი მოკლა, მერე მძინარე ჭაშნაგირი:

იგი ყმა სანოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა;
ხელ-სისხლიანი ავთანდილ შედგა ტანითა ჯანითა
ველარ აესნრა, იდუმალ მოკლა, ვერცა თუ ვცანითა,
ხელი მოჰკიდა, მინასა დაასკვნა, დაკლა დანითა.
მჭვრეტელთა მზე და მებრძოლი მხეცი და ვითა ზარია
ბეჭდითურთ თითი მოჰკვეთა, ქვესკნელს მინათა გარია,
ზღვისკენ სარკმელით გასტყორცა, ზღვისა ქვიშათა დარია,
მისთვის არცაღა სამარე, არცა სათხარად ბარია.
(რუსთაველი 1937: 1099-1101)

ასეთია რენესანსული მაქსიმალიზმის სტილი.

ახლა ვნახოთ, როგორ იქცევა იმავე სიტუაციაში „სიბრძნე სიცრუისას“ ქებული გმირი ჯიზი გურგენი.

ჯიზი გურგენმა ლეონი სახლში მიიწვია.

„მუნით შემყვანა, ერთი მშვენიერი სახლი იყო, დამსვა. უხმა, ერთი მწყაზარი ქალი გამოვიდა, მისთანა არა მინახავს რა. დია, ლამაზი იყო და ტანადაც საროს ჰგვანდა. მრავალი თვალი და მარგალიტის სამკაული აქვდა. თავზე ერთი ოქროს წვლილი მავთულით მობმული, მრგვალი რალაც ება, თვალ-მარგალიტით შემკული, და ადგილზე მიათრევდა, იგი არა ვკითხე, შევიგენ - მისი რამ იყო. მან მითხრა:

— ეს ჩემი ცოლიაო და იგი კაცის თავი მისთრევსო.

მე ვკითხე:

— რად მისთრევს-მეთქი?

მან მიპასუხა:

— ერთს დღეს ამის უცნაურად შემოველ, მას კაცსა ეხვეოდა, და ეგრე უთხრა: ნეტამც შენს თავს არავინ გამყრიდესო. მე ესე სასიკვდილოდ ვერ გავიმეტე, სიტურფეს ჰხედავ და ბუნება უკეთესი აქვს, და ცოდნა და რიგი იმისებრი არ ეგების, და ამას დავუთმე. მას კაცსა თავი მოვსჭერ, ოქროთი შევამკევე და ზედ მივაბი, ნატვრა არ გავუქარვე. ღმერთმა ნუ გაჰყაროს! მის სიცოცხლეში ზედ ებას და იყოსო“ (ორბელიანი 1957: 93).

ის, რაც რენესანსისათვის არის საკრალური, ბაროკოსათვის არის პროფანული.

ბაროკოს კულტურა არის რენესანსული კულტურის კატასტროფაზე რეაქციის შედეგი. ქართულ ბაროკოში რომ რენესანსული კონცეპტების დეკონსტრუქციის პროცესი მიმდინარეობს, ნიშნავს ქართული ცნობიერების (კულტურის) არა დეგრადაციასა და უკუსვლას, არამედ ქართული კულტურისა და ეროვნული ენერჯის ცხოველმყოფელობას. ამ კონტექსტში ბაროკოს რეაქცია რენესანსულ იდეოლოგიაზე არის პირდაპირი ანალოგი წინამორბედი ფილოსოფიის სტილზე თანამედროვე პოსტმოდერნიზმის რეაქციისა.

Post Scriptum

საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ ტრანს-ფორმაციაზე, რომელიც რუსთაველის კონცეპტებმა განიცადეს ბაროკოს არამდგრად ეპოქაში, როდესაც ქვეყანას წურწურით გასდიოდა სისხლი. საქმე არის იმაში, რომ ამ პროცედურის მიღმა შეუმჩნეველი დარჩა კულტურის ისტორიის ზედროული პერსონაჟი, რომელმაც თავისთავზე აიღო თანამედროვეთათვის სახეში სიმართლის მიხლის გაბედულება, ტვირთი, მისია, პასუხისმგებლობა. მხედველობაშია ყოველი დროის ცნობიერებაში ჩამოყალიბებული „მზამეტყველებისათვის“ ფარდის ახდის მოთხოვნილებად ქცეული ფაქტორი. „ვინ ლაპარაკობს“? აი, ჯერ სპინოზას, შემდეგ ნიცშეს სახელთან დაკავშირებული კითხვა, რომელიც ახალი დროის ესთეტიკაში იქცა ტექსტის გააზრებისა და შეფასების უნივერსალისტურ კრიტერიუმად.

ამიტომ კითხვაზე თუ ქართულ ბაროკოში „ვინ ლაპარაკობს“ თუნდაც რუსთაველის პარადიგმების შესახებ, არსებობს ერთადერთი პასუხი: ლაპარაკობს დროის გამონვევებზე პასუხების მაძიებელი გონი. კულტურის ისტორიაში ამ გონის ფუნქცია იდენტიფიცირებულია მართლმადიდებლის როლთან.

ამ როლებრივი ფუნქციის მატარებელ პერსონაჟს ბერძნულ კულტურაში „პარრესიასტი“ ეწოდა. „Parresiaesthai“ ნიშნავს ყველაფრის თქმას. „pan“ (ყველაფერი) და „rheme“ (რის შესახებაცაა საუბარი). ასე რომ პარრესიასტი არის ის, ვინც გულწრფელად და შეუნიღბავად აუწყებს ხალხს რასაც გრძნობს და ფიქრობს. კულტურის ისტორიაში ეს არის დასაწყისი მთქმელს, მთხრობელს, ნარატორსა და მის მეტყველებას შორის მიმართების ახალი ტიპის დამკვიდრებისა.

პარრესიასტია მონამე, რომელიც მიჩნეულია წმინდანად. ქვეყნის საჭეთპრყობელი — გმირად, განმანათლებელი — მოციქულად.

ამრიგად, თუ რუსთაველი იყო ქართული რენესანსული კულტურის პარრესიასტი, ბაროკოს ეპოქამ დაგვიტოვა პარრესიასტების გალერეა, რომელსაც ამშვენებენ სულხან საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის მონუმენტური ფიგურები.

დამოწმები:

ბახტინი 1979: Бахтин М. Эстетика словесного творчества. М.: 1979.

გურამიშვილი 1991: გურამიშვილი დ. დავითიანი. თბ.: 1991.

ორბელიანი 1957: ორბელიანი ს. ს. სიბრძნე სიცრუისა. გ. ლეონიძის წინასიტყვაობით, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით. თბ.: 1957.

რუსთაველი 1937: რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. აღმდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი ა. შანიძე. თბ.: 1937.

ტაბიძე 1977: ტაბიძე გ. რჩეული. თბ.: 1977.

სულხან-საბას ლექსიკონის სემიოზისი

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ შექმნის
სოციოლინგვისტური კონტექსტი

ცნობილი მოგზაური შარდენი წერდა: „საქართველოში ყველას აქვს უფლება იცხოვროს თავისი რჯულისა და ჩვეულებისამებრ, თავისუფლად ილაპარაკოს ამ საგანზე და დაიცვას საკუთარი შეხედულება. აქ შეხვედებით სომხებს, ბერძნებს, ურიებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, რუსებს, ევროპელებს“ (დამონმებულია კ. კეკელიძის მიხედვით 1981: 315). მაშასადამე, ამ სანდო მონაცემის თანახმად, XVII-XVIII საუკუნეებში ქართულ ენას საქართველოში მრავალ ენასთან უწევდა თანაარსებობა. ამას გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანას ფაქტიურად მხოლოდ ენა აერთიანებდა. ენისთვის შინაგანი დაქუცმაცებისა და გარეძალეების დამღუპველი გავლენის ასაცილებლად ბუნებრივად დადგა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სტანდარტიზაციის საკითხი, რაც გულისხმობს ენის ნორმატიული ორთოგრაფიის, გრამატიკისა და ლექსიკონის შექმნას.

პირველი ქართული ლექსიკონი და გრამატიკა საქართველოს ფარგლებს გარეთ შეიქმნა. მართალია, ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ ამ ფაქტის ღრმა ეროვნულ შინაარსს (ვათეიშვილი 1983: 26), მაგრამ მისი განხორციელება მაინც კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა ვინროკლერიკალური მიზნებით იყო შეპირობებული.

საერთოდ, ახალ გეოგრაფიულ აღმოჩენებსა და მისიონერთა მოღვაწეობას შედეგად მრავალი ენის გრამატიკისა და ლექსიკონის შედგენა მოჰყვა, მაგრამ, როგორც მართებულად მიუთითებს ლეონარდ ბლუმფილდი, ეს შრომები დიდი სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ, რადგან მათი ავტორები სპეციალური ცოდნის უქონლობის გამო უცხო ენათა ბგერით შედგენილობაში ვერ ერკვეოდნენ და არ შეეძლოთ ზუსტი ჩანაწერის გაკეთება. ამას გარდა, ცდილობდნენ ყველა „ახალი“ ენა ლათინური გრამატიკის სქემაზე აენყოთ, რაც ენობრივი ფაქტების გაყალბებას იწვევდა (ბლუმფილდი 1968: 21). სწორედ ეს ნაკლი აქვს ნიკიფორე ირბახისა და სტეფანე პაოლინის „ქართულ-იტალიურ ლექსიკონსა“ და ფრანჩესკო-მარია მაჯოს „ქართულ გრამატიკას“, რომელთაც „პროპაგანდა ფიდეს“ კონგრეგაცია ძირითადად განიხილავდა როგორც ერთგვარ დამხმარე საშუალებას საქართველოში კათოლიკური სამისიონეროს პრაქტიკულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

საგულისხმოა, რომ იტალიიდან საქართველოში გამოგზავნილი კათოლიკე მისიონრებისათვის მიცემული ინსტრუქციის უმთავრესი მოთხოვნა ასეთი იყო: საჭიროა ისწავლონ წერა-კითხვა ამ სამეფოში გავრცელებულ ენაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გამოთქმებს, რათა იტალიაში დაბრუნებისას შეძლონ სხვებს გადასცენ თავიანთი ცოდნა; შეიტყონ, აგრეთვე, აქვს თუ არა ამ ხალხს ლექსიკონები ან გრამატიკები, რომლებზედაც ლაპარაკობენ და, თუ საშუალება ექნებათ, გადაიღონ მათი ასლები და გამოგზავნონ... მას შემდეგ, რაც კათოლიკური ეკლესიის მესვეურნი დარწმუნდნენ, რომ საქართველოში ძირითადი ქართული ენა იყო, „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბამ არ დააყოვნა სათანადო შინაარსის ნაშრომის გამოქვეყნება (ვათეიშვილი 1983: 21), რომელსაც, რასაკვირველია, მიზნად არ ექნებოდა ქართული ენის სტანდარტიზაცია. იტალიაში გამოცემული გრამატიკა და ლექსიკონი აღწერენ ქართულ ენას — როგორც კოდს, რადგან კოდის გარეშე საერთოდ შეუძლებელია კომუნიკაცია — ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მისიონერული მოღვაწეობა.

მაშასადამე, ჩვენ ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ კოდი და კოდიფიკაცია. მართალია, ტერმინი კოდი სხვადასხვაგვარად განიმარტება, მაგრამ ერთი რამ ცხადია — იგი კომუნიკაციის საყრდენია. ადამიანი მრავალ კოდს ფლობს. მისი არჩევა როგორც კოლექტივის შიგნით, ისე კოლექტივებს შორის კომუნიკაციისათვის სოციოლინგვისტური ფაქტორებითაა განპირობებული — იქნება ეს ერთი და იმავე ენის სხვადასხვა გამოვლინებისა (დიალექტის, ჟარგონის, სტილის), თუ მრავალენოვან კოლექტივში რამდენიმე ენის არჩევა ერთდროულად. კოდთა ამ სიმრავლიდან მხოლოდ ერთია კულტურის საფუძველი (ენა→კულტურა). სწორედ ამიტომ ხდება იგი ადამიანის შეგნებული ზრუნვის საგანი, რასაც კოდიფიკაციას ვუწოდებთ.

ყველგან, სადაც არსებობს ენობრივი პრობლემები, სადაც ენობრივი სიტუაცია რაიმე მიზეზით არაადამაკმაყოფილებელია, აუცილებელი ხდება ენობრივი დაგეგმვა, რომელიც ცალკეული პირების, სამთავრობო კომისიებისა და აკადემიების ძალისხმევით ხორციელდება (ჭაუგენი 1966: 454). XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში არასახარბიელო ენობრივი სიტუაცია იყო — სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა საფრთხეს უქმნიდა ხანგრძლივი წერილობითი ტრადიციის მქონე ქართულ ენას. მეორე მხრივ, პოლიტიკური ცენტრის დაქსაქსვის პირობებში მასზე კეთილისმყოფელ გავლენას ვერაფრით ვერ მოახდენდა მოგზაურ შარდენის მიერ აღწერილი ენათა სიმრავლე, რომლის გარემოცვაშიც არსებობდა ქართული ენა.

ენობრივი დაგეგმვის უმთავრესი მიზანია გავლენის მოხდენა ოფიციალურ სტილზე მის წერილობით ფორმაში ცვლილების შეტანით (ჭაუგენი 1966: 449). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენობრივი დაგეგმვის მიზანი სტანდარტიზაციაა. იგი სალიტერატურო ენის უმთავრესი ატრიბუტია, რაც ნიშნავს ამ ენის ისეთი კოდიფიცირებული ნორმების არსებობას, რომელიც აღიარებულია ენობრივი კოლექტივის მიერ და გამოდის არბიტრის როლში (ბელი 1980: 195-196). სწორედ ეს მიზანი ჰქონდა სულხან-საბა ორბელიანს, როცა ლექსიკონს ქმნიდა.

ორბელიანი „სიტყვის კონისთვის“ წამძღვარებულ „ანდერძნამაგში“ წერს: „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებით უჩინო ქმნილ იყო... ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თავის ნებაზედ გაერყვნათ“ (ორბელიანი 1991: 27). ილია აბულაძის შეფასებით, სწორედ ენის ნახდენის შესაკავებლად, ერთი მხრით, და მისი მდიდარი მარაგის მართებული ცოდნისა და გამოყენების მიზნით, მეორე მხრით, მიუყვია ხელი საბას „ქართული ლექსიკონის“ შედგენისათვის (აბულაძე 1991). მაგრამ როგორც „ანდერძნამაგში“ მოცემული ცნობები ცხადყოფენ, ეს მხოლოდ სულხან-საბას სურვილი როდი იყო. ლექსიკონი იმდროინდელი სამეფო კარის ენობრივი პოლიტიკის შედეგია. ორბელიანი წერს: „ვახტანგ მეფის ბიძამ გიორგი მეფემ, მიბრძანა ამისი ჴელყოფა,... სახელი მეფისა არჩილისა, რომელთა მიბრძანეს ამისი აღწერა. „აღწერე მეფისა არჩილისა და მეფისა გიორგისა და ბატონის ლეონის ბრძანებითა“ (ორბელიანი 1991: 27, 31). ვახტანგ მეექვსე დიდად იყო დაინტერესებული ამ ლექსიკონით, რომელსაც „სიტყვის კონა“ უწოდა (იხ. ამასთან დაკავშირებით „ანდერძნამაგი“). ლილი ქუთათელაძის დაკვირვებით, ლექსიკონის ბოლო რედაქციის ერთ-ერთი ნუსხის ზოგი მინაწერის ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ მათი ავტორი ლექსიკონის კრიტიკული თვალთ წამკითხველი ვახტანგ მეფე უნდა იყოს. იგი საბას მიერ აუხსნელ სიტყვებს განმარტავს, ზოგს ურთავს ახალ მნიშვნელობას და იძლევა დამატებით ახსნასაც, რასაც ახალი წყაროთი ამაგრებს. როცა ლექსიკონში მოცემული განმარტებები მნიგნობარ მეფეს არ აკმაყოფილებს, ავსებს და ამარტივებს მათ. ზოგიერთ სიტყვას ურთავს შენიშვნას აღმოსავლური წარმოშობის გამო და განმარტებასაც უწერს. ვახტანგი ზოგჯერ ეკამათება საბას, ორბელიანი კი მეფის ყველა მასალას ერთგვარად არ ექცევა (ქუთათელაძე 1957: 100-109; 1959). ვახტანგ VI არა მარტო კითხულობდა და თავისი შეხედულებისამებრ ასწორებდა „სიტყვის კონას“, არამედ ამ ლექსიკონის გადამწერადაც გვევლინება. მ. ქავთარიას აზრით, ხელნაწერთა ინსტიტუტში, ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციაში დაცული „სიტყვის

კონის“ S-2498 (D რედაქცია) 190-ფურცლიანი (28 რვეულიანი) ხელნაწერის მხოლოდ პირველი ექვსი ფურცელი უნდა იყოს სულხანის ნაწერი, დანარჩენი კი ვახტანგ VI-ის გადაწერილი ჩანს. მკვლევარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ მნიგნობარ მეფეს უნდა დაენერა ელ. მეტრეველის მიერ გამოვლენილი და შესწავლილი H-416 ხელნაწერის (E რედაქცია) ის ნაწილებიც, რომლებიც, ელ. მეტრეველის აზრით, ვილაცას სულხანის კარნახით დაუნერია (ქავთარია 1960: 1-2).

მიუხედავად კონკრეტულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობისა, სულხან-საბამ და მასთან ერთად იმდროინდელმა სამეფო კარმა მიზნად დაისახეს, საზოგადოებისთვის ესწავლებინათ „ენა ქართული, შესრულებული და განვრცელებული და განრკვეული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ, ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან ქართლოსიანთა წარმართი“ (ორბელიანი 1991: 28). მართალია, სულხან-საბა ეჭვსაც გამოთქვამს: „გარნა (ხოლო) მრავალნი მოსწავლენი მგმობარ და მოკიცხარ ექმნებიან შრომისათვის და არა სარენავად მისცემენ ლოცვასა (შენდობასა)“; „ვიცი, მრავალნი საბასრობელად დასდებენ ნაშრომთა ამათ ჩემთა“, ან კიდევ: „ენაგარყვნილებათაგან სწავლულნი მრავალთა აქა წერილთა სიტყუათა იუცხოებენ და შორად განიშორებენო“ (ორბელიანი 1991: 27, 30), მაგრამ მთლიანად „ანდერძნამაგის“ პათოსი ამკარას ხდის ლექსიკოგრაფისა და ვახტანგ მეექვსის სამეფო კარის მიზანს, „სიტყვის კონა“ გამხდარიყო ქართულ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის მიერ აღიარებული არბიტრი. როგორცა ჩანს, ქართულმა ლექსიკონმა მალევე მოიხვეჭა სახელი ქვეყანაში. „სიტყვის კონის“ ღირსების გამო ორბელიანის სიცოცხლეშივე უცდია ზოგიერთს ფრიად დამამწვრალი მუშაკის ნამოღვაწარის მითვისება (ორბელიანი 1991: 31).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ავტორიტეტულობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მან ენის კოდიფიცირების პრინციპად **ეფექტურობისა და ადეკვატურობის კრიტერიუმები** აირჩია. ეფექტურია ის ფორმა, რომელიც ადვილად შეისწავლება და ადვილად გამოიყენება. ხოლო ადეკვატურობა არის ენის უნარი, დააკმაყოფილოს მასზე მოლაპარაკე კოლექტივის მოთხოვნები (ჭაუგენი 1972). „ქართულ ლექსიკონში“ ასორმოცზე მეტი წყაროა დასახელებული, მათ შორისაა როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ლიტერატურა. ორბელიანი „ანდერძნამაგში“ ხაზგასმით წერს: „საადვილო ვპოვე და საადვილონი აღწერე“, ან კიდევ: „საცილობელი არ დაწერე“.

ლიტერატურული ტრადიცია ქმნის საკუთარ კოდს, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ენობრივი კოლექტივის მეტყველებაზე (ჭაუგენი 1972). ამიტომ სულხან-საბა სიტყვას ძველი წერი-

ლობითი ძეგლების მიხედვით განმარტავს და ეს განმარტება ყოველთვის მარტივი და გასაგებია, რაც მკითხველს მისი მშობლიური ენის ჰომოგენურობაში არწმუნებს. სწორედ ამას დააყრდნობენ ორბელიანი ენობრივი დაგეგმვის უმთავრესი მიზანი - ერთი ენობრივი კოლექტივის წევრებს შორის კომუნიკაციის განხორციელება და ამითვე მოახდინა გავლენა მათ არჩევანზე.

საგულისხმოა ერთი მომენტი. სულხან-საბას ლექსიკონში ქართული ენის მონათესავე ენების მასალაც გვხვდება. მართალია, იმ დროს ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპებისთვის ლინგვისტური აზრი ჯერ კიდევ არც ერთ ქვეყანაში არ იყო მომნიშვნელოვანი და ორბელიანიც, მრავალთა მსგავსად, მაგალითად, მეგრულს „მრუდ ქართულად“ მიიჩნევს, მაგრამ იმდენად ძლიერია საკუთრივ ქართულისა და მეგრულ-ჭანურის სიახლოვის, მათი ერთიანობის შეგრძნება და თავად „სიტყვის კონის“ სასწავლო-პრაქტიკული დანიშნულება, რომ სხვა ქართველურ ენათა მასალაც ბუნებრივად ხვდება ლექსიკოგრაფის თვალთახედვის არეში. კ. დანელიას დაკვირვებით, მეგრულ-ჭანურიდან უნდა იყოს შესული ორბელიანის ლექსიკონში: **სერობა, შემი, ბადიში, ბოგა, ბოგირი, ბორკილი, ირეჭი, კაკაჩი, კერშილობა, კვარაკუნჩა, ოდრიკალი, ოდოში, ოჩხომელი, ოჯიჯი, ოშმე, ორშომო, ფუცხვი, ჩაფულა, ჯაშკუტა, ჯირკი, ჯიხური, მარყუჭი, ჯაგი** (დანელია 1984). ამ სიტყვებიდან სულხან-საბა მხოლოდ ოჯიჯზე უთითებს: ბადე მეგრულად მრგვალი ბადეა, ქორთ დასაცემელი (I:612). მეგრულ-ჭანურიდან შესულად უნდა ჩავთვალოთ აგრეთვე: **ბალანა, ბიჩვერი, დიხაშხო, მოლორება, ნუსადია, ოჩხოლი, ოჯინჯახი, რაგადობა, რეგუა, ფოფინება.**

ლექსიკონში ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვების გარდა განმარტებულია ფილოსოფიურ თუ საღვთისმეტყველო მწერლობაში ნახმარი არაერთი სიტყვა და ტერმინი. აქაც ეფექტურობისა და ადეკვატურობის კრიტერიუმებია ამოსავალი. ენობრივი დაგეგმვა ერთი ენობრივი კოლექტივის წევრებს შორის კომუნიკაციის გარდა სხვადასხვა ენობრივი კოლექტივებთან ურთიერთობასაც გულისხმობს, რაც ყველაზე კარგად თარგმანში ჩანს. „რაოდენი ძალ-მედვა საღმრთო წერილთა და ღვთისმეტყველებათა შინა, რომელიმე ღრმათა ფილოსოფოსთა წიგნებთაგან ღმრთისმეტყველებათა კავშირთა, პროკლეს პლატონურთა დიოდოხოსთა, არისტოტელისა კათილორიათაგან გამოვიღე. ნემესიოსა და იოანე დამასკელისა პლატონური სიტყვის საქცევები აღვსწერე, რომელიმე არა მათებრ ღვლარჭნილად, არამედ მათვე წმიდათა მამათაგან, სადა საადვილო ვიპოვე, საადვილონი აღვწერენ“ (ორბელიანი 1991: 28). აქ ორბელიანი აშკარად იწმუნებს ძველი ქართული ელინოფილური სკოლის მთარგმნელ-კომენტატორების ენობრივ არჩე-

ვანს, რადგან ღვლარჭნილს უწოდებს და მას უპირისპირებს საად-
ვილოს, რაც თანამედროვე სოციოლინგვისტიკის ტერმინოლოგია-
ში, ეფექტურობის ეკვივალენტია. ასეთ შემთხვევაში ენობრივი
ელემენტი ფასდება მთელ სისტემასთან მიმართებით და არა
მისგან მონყვევით (ჰაუგენი 1972).

სემიოზისი და პირველადი სემანტიკური კონცეპტები

*ნურვის შეეშინდება, რომ ნიშნებზე დაკვირვება საგნებს
დაგვაშორებს. პირიქით, იგი მიგვიყვანს საგანთა არსამდე.*
გოტფრიდ ლაიბნიცი

ეს სიტყვები წარუძღვარა ეპიგრაფად ჩარლზ უილიამ მო-
რისმა ნიშნის თეორიის შესახებ თავის ფუძემდებლურ ნაშრომს.
ლაიბნიცის სიტყვები განმარტებითი ლექსიკონის ხასიათსაც ასა-
ხავს. განმარტებითი ლექსიკონი ორიენტირებულია ენის **რეფერენ-
ციულ ძალასა და მეტალინგვისტურ ფუნქციაზე**.

ენის რეფერენციული ძალის კვლევა გულისხმობს იმის გარ-
კვევას, რატომ და რამდენად მონანილეობს ენა საგნობრივი ცნო-
ბიერებისა და კულტურის აგებაში. ენის რეფერენციული ფუნქცი-
ის საშუალებით იხსნება არა მხოლოდ კომუნიკაციისა და საგანთა
აღნიშვნის ფაქტი, არამედ ენის მონანილეობა საგნობრივი ცნობი-
ერების შექმნასა და კულტურის აგებაში, რომლის რეზონანსული
ეფექტი ენაზე დაშენებულ, ე.წ. მეორეულ ნიშანთა სისტემებში
დასტურდება (რამიშვილი 1978: 4).

მეტალინგვისტური ფუნქცია ორიენტირებულია კომუნიკაცი-
ის აქტის საყრდენ ფაქტორზე — კოდზე (იაკობსონი 1975: 189).
შეიძლება ითქვას, ეს არის განმარტებითი, ახსნითი ფუნქცია. მე-
ტალინგვისტური ფუნქციის ყველაზე აშკარა გამოხატულებაა გან-
მარტებითი (ერთენოვანი) ლექსიკონი, რადგან მასში ერთი ენის ნი-
შანი / ელემენტი იხსნება, განიმარტება ამავე სისტემის (ენის) სხვა
ელემენტებით. მაგალითად,

„ნებიერისა კაცისა სიარულსა უწმობთ **ვლასა (სლვასა)**... სა-
მოთხესა და ასპარეზსა შინა ნებიერ სიარულსა უწოდენ **მოთხვასა**,
რომელსა ვიეთნი **სეერნობად** სახელ-სდებენ“.

აქ შესაბამისობა მყარდება ერთი ენის ფარგლებში: „მოთხვა,
სეერნობა — ნებიერისა კაცისა სიარული“. ამის საპირისპირო მოვ-
ლენაა თარგმნა.

მეტალინგვისტური ფუნქციის გამოსავლენად სწორი იქნება
განმარტებითი ლექსიკონის შედარება თარგმნით (ორ ან მეტენო-
ვან) ლექსიკონთან, სადაც რომელიმე სისტემის (ენის) ელემენტს

ექებნება შესაბამისი ცალი მეორე სისტემაში (ენაში). მაგალითად, ქართული — მაგიდა, რუსული — стол, ინგლისური — table, ფრანგული — table. ასეთი ლექსიკონიც არ არის თავისუფალი ენათა სემანტიკური წესების დემონსტრირებისაგან. ერთი და იგივე ობიექტი ან სიტუაცია განსხვავებულად აისახება ენებში. აქედან გამომდინარე, ორი ან მეტენოვანი (თარგმნითი) ლექსიკონების ღირსება იმით განისაზღვრება, რამდენად ადეკვატურადაა ნაჩვენები მასში ამ ენათა სემანტიკური წესების ფარდობა (სემანტიკური წესების შესახებ იხ. ქვემოთ).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ანბანზე დალაგებული ენობრივი ნიშნებით განმარტებით ლექსიკონში აისახება ამა თუ იმ ენის მიერ დანაწევრებული გარესამყარო (რეფერენცია), ხოლო მათზე დართული განმარტებები (ამავე სისტემის სხვა ელემენტებით გადმოცემული იგივე შინაარსი — მეტალინგვისტური ფუნქცია) არის ნიშნებზე დაკვირვება, რითაც სულხან-საბა ორბელიანი ცდილობს, მივიდეს საგანთა არსამდე.

„სიტყვის კონა“, როგორც საერთოდ ყველა განმარტებითი ლექსიკონი, ასახავს **სემიოზისს** ანუ ისეთ პროცესს, რომელშიც ლექსემა ფუნქციონირებს როგორც ნიშანი. ამ პროცესში გამოიყოფა რამდენიმე ფაქტორი:

1. **ნიშანი**,
2. **ის, რაზეც ნიშანი მიუთითებს**,
3. **ინტერპრეტატორი** — ენობრივ ნიშანთა სისტემის მომხმარებლები, ფართო გაგებით, ენობრივი კოლექტივი,
4. **ზემოქმედება ანუ ინტერპრეტანტა** — მოსალოდნელი რეაქცია, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ნიშანს,

5. **კონტექსტი**, რომელშიც გვხვდება ნიშანი (მორისი 2001: 130). ამ ფაქტორებზე ჩვენ გვექნება უფრო დანვრისებითი მსჯელობა. ამ ჯერზე მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ სემიოზისის ფაქტორთა ანალიზი საბოლოოდ დადის ენობრივი ნიშნის სამი განსხვავებული თვალსაზრისით განხილვაზე: სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატული (გამყრელიძე 2000). ცალკეული ენობრივი ნიშნის სრული დახასიათება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა შესწავლილია მისი ურთიერთობა ობიექტთან, სხვა ნიშნებთან და მომხმარებელთან. ენის ამომწურავი დახასიათება კი მაშინ არის შესაძლებელი, როცა დადგენილია ენის სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატული წესები.

$$L = სემ + სინ + პრაგ \text{ (მორისი 2001ა: 54).}$$

„სიტყვის კონას“ განვიხილავთ სწორედ ასეთ მცდელობად. იმაზე დაკვირვებით, რას მიიჩნევს სულხან-საბა ორბელიანი ენობრივ ნიშნად, როგორ ალაგებს და განმარტავს მათ, შეიძლება წარ-

მოდგენა შევიქმნათ იმის შესახებ, „ლექსიკონი ქართული“ რამდენად ასახავს ქართული ენობრივი სისტემის სემანტიკურ, სინტაქტიკურ და პრაგმატულ წესებს.

სემანტიკას აინტერესებს ნიშნის მიმართება მის დესიგნატთან და შესაბამისად ობიექტთან, რომელსაც იგი აღნიშნავს ან შეუძლია აღნიშნოს. სემანტიკური წესი სემიოტიკის ფარგლებში ნიშნავს ისეთ წესს, რომელიც განსაზღვრავს, რა პირობებში შეესაბამება ნიშანი ობიექტს ან სიტუაციას (მორისი 2001ა).

სემანტიკური კვლევა გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობის შემქმნელი ელემენტარული შინაარსების გამოვლენას. სიტყვა უნდა დაიშალოს ელემენტარულ შინაარსებად, რომელთა კომბინაცია სიტყვის მნიშვნელობას გვაძლევს. ა. ვეჟბიციკამ შეიმუშავა აგრეთ ნოდებული „ბუნებრივი სემანტიკური მეტაენა“, რომელსაც ქმნის ელემენტარული შინაარსები. მათი ვერბალიზება ხდება ნებისმიერ ბუნებრივ ენაში.

მერიზმათა მსგავსად, „ბუნებრივი სემანტიკური მეტაენის“ შემადგენელი ელემენტები აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს. ისინი თვითკმარი, დაუშლელი და უნივერსალურია. ამ ელემენტებს ა. ვეჟბიციკამ „პირველადი სემანტიკური კონცეპტები“, ანუ პრიმიტივები უწოდა. თავისი შინაარსით ეს ტერმინები შეიძლება შევცვალოთ უფრო ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ტერმინ **სემით**.

ა. ვეჟბიციკამ გამოყო შემდეგი პირველადი სემანტიკური კონცეპტები, ანუ ელემენტები, რომელთა საშუალებითაც ხდება მნიშვნელობათა კონსტრუირება. ეს სემები ქმნიან იმ „სემანტიკურ წესებს“, რომელთა ცოდნა წყვეტს არსებითად სათანადო ენობრივ კოლექტივში საგანთა შესახებ გაგებინების შესაძლებლობას. მათგან დიდად არის დავალებული ინფორმაციის მიღების, შენახვისა და გადაცემის პროცესი.

სუბსტანტივები	მე, შენ, ვილაც, რაღაც, ყველა
დეტერმინანტები	ეს, იგივე, სხვა
რაოდენობა	ერთი, ხუთი, ბევრი, მრავალი
მენტალური პრედიკატები	ფიქრი, ცოდნა, სურვილი
„მეტყველება“	თქმა
ქმედებანი და მოვლენები	
შეფასება	კარგი, ცუდი
აღწერა (დახასიათება)	დიდი, პატარა
დრო	როდის, ადრე, შემდეგ
სივრცე	სად, ქვეშ, ზევით
ტაქსონომია	რა სახის, რისი ნაწილი (შემადგენელი)
	(ა. ვეჟბიციკა 1996)

ჩამოთვლილ „პირველად სემანტიკურ კონცეპტებს“ შემდეგ ა. ვეჭბიციკამ სხვებიც დაუმატა. ამ სემებიდან ზოგიერთი ერთმანეთზე დაიყვანება. მაგალითად, მენტალური პრედიკატები და „მეტყველება“ ადვილად თავსდება ქმედებებსა და მოვლენებში. შეფასებისა და აღწერის (დახასიათების) გამიჯვნა სწორია. დახასიათებისას გამოიყოფა საგნის ან მოვლენისთვის ნიშანდობლივი ელემენტები. მაგალითად, დიდი მწვანე ჩანთა. სიდიდე და სიმწვანე ამ კონკრეტული ჩანთის მახასიათებლებია, მაგრამ კარგი და ცუდი (უნივერსალური შეფასებები) გამოხატავს ჩვენს დამოკიდებულებას ამ საგნისა თუ მოვლენის მიმართ და ყოველი შეფასება კონკრეტული კონტექსტით / სიტუაციით განისაზღვრება. თუმცა აღწერა (დახასიათება) შეიძლება გაერთიანდეს დეტერმინანტების კლასში. დროისა და სივრცის სემები ასევე განანიღდება სუბსტანტივებსა და დეტერმინანტებში.

„პირველადი სემანტიკური კონცეპტების“ წინამორბედად შეიძლება ჩავთვალოთ არისტოტელეს კატეგორიები. არისტოტელე ფიქრობდა, რომ არსებობს ყოფიერების ათი უმაღლესი სახე), რომელთაც შემდეგ კიდევ ხუთი დაამატა. ს. დანელიას აზრით, არისტოტელემ ლოგიკური კატეგორიები წინადადების აგებულებიდან გამოიყვანა. მან შეისწავლა წინადადების წევრები, მათი კითხვები და გრამატიკული განსაზღვრებები ლოგიკაში გადაიტანა. ენის კანონები არსებობის წესებად გამოაცხადა (დანელია 1986: 390).

ადვილია საერთოს დანახვა არისტოტელეს „ყოფიერების უმაღლეს სახეებსა“ და ა. ვეჭბიციკას „პირველად სემანტიკურ კონცეპტებს“ შორის, თუმცა ისინი სხვადასხვა მიზანს ისახავდნენ. თავისთავად დგება ასეთი საკითხი — რა მნიშვნელობა აქვს ამ სემების გამოყოფას, რითი შეიძლება დავამტკიცოთ მათი სარგებლიანობა. სემათა კლასიფიკაცია აუცილებელია ენის რეფერენციული ძალისა და მეტალინგვისტური ფუნქციის კვლევისთვის. ენები ერთმანეთისგან რეფერენციული ანუ დამანაწევრებელი ძალითა და სემანტიკური წესებით განსხვავდებიან. „პირველადი სემანტიკური კონცეპტები“ ანუ სემები ხელს შეგვიწყობს ამა თუ იმ ენის სემანტიკურ წესთა გამოსავლენად.

სულხან-საბა ორბელიანი სიტყვათა განმარტებისას ყველაზე ხშირად ტაქსონომიისა და ცნების (მთელის) სახეებად (ნაწილებად) დაყოფის პრინციპს იყენებს. კონცეპტი „სახე, ტიპი“ ადამიანური კატეგორიზაციის საფუძველია. ლინგვისტური კვლევები ადასტურებს, რომ სახე (სახეები) ლექსიკური უნივერსალია. ყველაზე ხშირად ასეთი კითხვები ჩნდება: „X-ის სახეა?“ ან „X-ის რამდენი სახე არსებობს?“ (ვეჭბიციკა 1996: 63).

ადამიანის წინაშე ყოველთვის იდგა გარესამყაროსა და საკუთარი გრძნობების სისტემატიზაციის ურთულესი ამოცანა. გარემომცველი და სოციალური უნივერსის შესაცნობად ძირითადად საკლასიფიკაციო სქემები გამოიყენება. განვითარების ადრეულ საფეხურზე კლასიფიკაციის უმარტივესი ფორმა ალბათ ბინარული იყო. ბინარული ოპოზიციების კონცეპტუალური ქსელის შემადგენელი ზოგიერთი ან ყოველი ოპოზიციის თანდათანობით დაყოფით მიიღება ბინარული ხე (ბიკერტონი 1990: 295-297):

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სიტყვათა განმარტებებზე დაკვირვება ნათელს ხდის, რომ ლექსიკოგრაფს ენა წარმოუდგენია არა იზოლირებულ სიტყვათა უბრალო ჯამად, არამედ დანაწევრებულ ურთიერთდამოკიდებულებათა მთლიანობად. სულხან-საბამ საგანთა სამყაროს წვდომის ამ წესს, რომელიც უნივერსალური ხასიათისაა, ინტუიციით მიაგნო. ორბელიანის ლექსიკონში სიტყვა სხვა სიტყვათა რალაც გროვიდან ამოკვეთილი ერთეული კი არ არის, არამედ სასიცოცხლო კავშირებიდან ისეთნაირად არის ამოტანილი, რომ მისი წარმოთქმა და განმეორება მთელი ენის ექოს გადმოსცემს (რამიშვილი 1978: 62, 64).

საილუსტრაციო მაგალითების განხილვისაგან თავს ვიკავებ კრებულის სპეციფიკიდან გამომდინარე (უფრო დანვრისადაც ამ საკითხზე იხ. თ. ბოლქვაძე 2005). სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ძირითადი პრინციპი განმარტებისას სიტყვათა შორის გვარ-სახეობითი მიმართებების დადგენაა. მ. ქავთარიას დაკვირვებით, სახეობრივი განმარტებისათვის, ე.ი. ისეთისათვის, სადაც შემოკრებით და სათანადო ახსნა-განმარტებით წარმოგვიდგენს ამა თუ იმ ზოგადი სახელის სხვადასხვა სახეობას, სულხან-საბას ჰქონდა სპეციალური ნიშანი — ს. ამ ნიშნის განმარტებების რიცხვი ყოველ ახალ რედაქციაში იზრდება. მაგალითად, E-ში 36 განმარტებას უზის, D-ში — 43-ს, Ca-ში — 100-ს და ა.შ. (ქავთარია 1960: 10). ეს პრინციპი ნელ-ნელა „სიტყვის კონაში“ ლექსემათა დალაგებისა და განმარტებისას გადამწყვეტი ხდება. ი. აბულაძის აზრით, „ს“ (EDC ხელნაწერებში) და „სა“ (Aa ხელნაწერებში) სულხან-საბა ორბელიანის სახელის დასაწყისია (ინიციალია). მსგავსი შემოკლება, — აღნიშნავს მკვლევარი, — არც „ვეფხისტყაოსნის“ იმდროინდელი ნუსხებისთვის არის უცხო: ინიციალებს იქ ჩანართი სტროფების გასწვრივ კიდეზე ათავსებენ ინტერპოლატორთა ვინაობის აღსანიშნავად (აბულაძე 1998: 28). ი. აბულაძე ასკვნის, რომ „ს“ და „სა“ სიტყვის საკუთრივ საბასეულ განმარტებას აღნიშნავს. ნუსხათა შეჯერებით მან გაარკვია, რომ „ასეთი მითითება ყველგან საჭიროდ არ მიუჩნევიან ავტორს თუ გადამწერს, არამედ მხოლოდ უმთავრეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან სიტყვებთან მიუწერია. სახეებით მცირეშემადგენლობიან ზოგად სახე-

ლებს ასეთი მინიშნებით „ს“ და „სა“ აქა-იქ თუ შეხვდება კაცი და ისიც არა ლექსიკონის ყველა ნუსხაში (აბულაძე 1998: 29). ს და სა სულხან-საბა ორბელიანის ინიციალიც რომ იყოს, მაინც საგულისხმოა, რადგან ეს ნიშნები ყველაზე ხშირად „ზოგად“ სიტყვათა ანუ ცნებათა დაყოფისას გვხვდება. ეს შესაძლოა იმაზეც მიუთითებდეს, რომ „სახე, ტიპი“ კონცეპტის გამოყენებას თავად სულხან-საბა ორბელიანიც სიტყვათა მისეული განმარტების ძირითად მეთოდად თვლიდა.

ენობრივი ნიშნები სინტაქტიკური თვალსაზრისით

სინტაქტიკური მიდგომით, ენა ობიექტთა ისეთი ერთობლიობაა, რომელშიც მოქმედებს წარმოქმნისა და გარდაქმნის წესები. ფართო გაგებით, სინტაქტიკის მიზანი ორი (ან მეტი) ენობრივი ნიშნის აღსანიშნებისა და აღმნიშვნელების „ჰორიზონტალური“ ურთიერთობის კვლევაა (ამ საკითხის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. მორისი 2001: 56-62, გამყრელიძე 2000).

ნიშნიდან ახალი ნიშნის, ან ნიშანთა ამოსავალი სისტემებიდან ახალი სიმრავლის მიღება ყოველთვის ხდება ისეთი ნიშნებით, რომელთა დესიგნატი თვით ენაშია და ნიშანთა შორის მიმართებებზე მიუთითებენ. ასეთი ნიშნები სულხან-საბა ორბელიანს „სიტყვის კონაში“ ცალკე სალექსიკონო ერთეულებად აქვს გატანილი და ძირითადად ართრონი აერთიანებს (გენაძე 1978, შანიძე 1990; იხ. აგრეთვე ართრონის შესახებ ლ. ბაკურაძის სტატია ამავე კრებულში, გვ. 116-136). სულხან-საბა ართრონს ნაცვალსახელებს და ნაწილაკებსაც უწოდებს, მაგრამ, თანამედროვე ლინგვისტური ტერმინები რომ გამოვიყენოთ, **ორბელიანისთვის ართრონი ძირითადად ფლექსია და წარმომქმნელი აფიქსებია**. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მაგალითით შემოვიფარგლები:

გა ართრონი არს სიტყვათანი, რომლისა მიერ ითქმის: გაღმართობა, გამეფება, გაუფლება, გაცხოელება, გაქალაქება, გაკეთება, გაცემა, გაბოროტება და ესევითარნი (I: 126).

გან ესე ართრონი არს ბოლოს კერძოდ, ვინა ვიკითხავთ: იქმნა მეფისაგან, გინა კაცისაგან, ანუ მხეცისაგან და ესევითარნი. ხოლო თავის კერძო ართრონად: განღმართობით, განკაცებით, განგულვებით და მისთანა ყოველთა ზედა (I: 135-136).

ენი ხმიანი ასო არს და ართრონი მრავალთა და სიტყვის თავადაც მოვალს და ბოლოდაცა...: ელოდე, ეტყოდე, ემორჩილებოდე, ესევითარი ყოველსა ზედა მოვალს ZA (I: 229).

ვე ესე ართრონი არს ბოლოსი, რომელსა ვიტყვი: აქავე, იქავე, კაცივე, ცხენივე და მისთანანი ZA (I: 259).

თან ყოველთა ბოლოდ მოვალს, ვითარცა: ანგელოზთ, კაცთ, ცხო(ვ)ელთა, მეფეთ, ქალაქთ, ქვათ, მინათ, ხეთ, ბალახთ (+ და Z) თითოეულთა ყო(ვ)ელთა ნივთთა ზედა ესრეთ მოვალს ZA (I: 294).

სულხან-საბა ორბელიანი ართრონებს (აფიქსებს) ძალიან იშვიათად ახასიათებს ფუნქციის მიხედვით. რაც შეეხება ართრონების დახასიათებას ადგილის მიხედვით, იგი განარჩევს სიტყვაზე წინდართულ („თავსა მოეზავების“) და ბოლოს დართულ („ბოლოდ მოეზავების“) ართრონებს. კონფიქსის (ცირკუმფიქსის) გაგება მნიშვნელობის წარმოქმნაში ან ფორმის ცვლაში ცალკე გამოყოფილი არ არის. ზოგჯერ ართრონად აფიქსის მხოლოდ ნანილია ჩათვლილი. მაგალითად, ნა წამო-ს ნაცვლად, დ -ად-ის ნაცვლად. ხშირად რამდენიმე აფიქსი (ართრონი) შეერთებულად არის მოცემული ასა ა-სა-ს ნაცვლად, გი გ-ი-ს ნაცვლად და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ზემოთ დამოწმებული შემთხვევების ასეთი კლასიფიკაცია.

არის	უნდა იყოს
ასა	ა-სა (ასალები)
გი	გ-ი (გიპატრონე)
დ	და- (დადება)
დ	-ად (დასხმად)
დისო	-დის-ო (სალამომდისო)
ვ	-ივ (ღმრთივ)
მა	მ-ა (მამეფა)
მე	მ-ე (მეჯინიბე)
მო	მო-ე (მოქალაქე)
ნ	-მან (ნამეფარმან)
ნა	ნა-არ (ნავენახარი)
ნა	ნა-ევ (ნაქალაქევი)
სა	სა-ო (სასოფლო)
უ	უ-ო (უხელოდ)

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ორი განსხვავებული აზრი არსებობს ლექსიკონში ზმნის მეთაური ფორმის შესახებ. ა. შანიძე მიიჩნევდა, რადგან ქართულს ინფინიტივი არა აქვს, ზმნის მეთაურად სანყისი უნდა ავიღოთ (ა. შანიძე 1959:250). არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, ინფინიტივის უქონლობა ხელოვნურად ამცირებს ზმნის ლექსიკურ ერთეულებს, ქმნის არასწორ წარმოდგენას ქართული ზმნის ლექსიკური შესაძლებლობების შესახებ. მასდარის წყალობით იჩრდილება არა მხოლოდ ვნებითი, არამედ სასუბიექტო და საობიექტო ქცევა. ისინი ლექსიკონში არ აისახება, რაკი მათ მასდარი ვერ განასხვავებს. საჭიროა პირიანი ფორმა გამოვიყენოთ სალექსიკონო ერთეულად, რომ ხე-

ლოვნურად არ გავაღარიბოთ ლექსიკური ერთეულებით ქართული ზმნა, რომ ქართული ზმნის სიმდიდრე სათანადოდ აისახოს ლექსიკონში (ჩიქობავა 1959: 270-271). ორივე მეცნიერი თავისი მოსაზრების გასამაგრებლად სულხან-საბა ორბელიანს იმონებდა. ა. შანიძე წერდა: სულხან ორბელიანს არ დაუნერია რაიმე თეორიული ხასიათის ნაშრომი ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხებზე. კერძოდ იმის შესახებ, როგორ უნდა იქნეს განყოფილი ქართული ზმნები ლექსიკონში, მაგრამ მისი ლექსიკონის შესწავლა მრავალ საგულისხმო ფაქტს გვიჩვენებს. სულხანს თავის ლექსიკონში ზოგი ზმნა შეუტანია პირიანი ფორმით, ზოგიც - სანყისით, არის მიმღებებიც. პირიანები სხვადასხვა პირის ფორმითაა მოყვანილი, თანაც ისე, რომ წინ სუბიექტური პირია ნაჩვენები, ხანაც — ობიექტური. სუბიექტურებში ხშირია მეორე ბრძანებითი. ერთი შეხედვით კაცი იფიქრებს, რომ სულხანს ზმნების ფორმათა განყოფილას ლექსიკონში გარკვეული სისტემა არა აქვსო (ა. შანიძე 1959: 251-252). ა. შანიძე სპეციალურად დააკვირდა ბ და ტ ასოებზე დალაგებულ ზმნებს და დაასკვნა, სულხან ორბელიანი ზმნათა განყოფილას საკითხში გარკვეულად იმ აზრისაა, რომ ზმნის ფორმათა სამეთაურო სიტყვა სანყისია ისე, როგორც სახელისთვისაა სახელობითი. ეს წესი სულხანმა ბუნებრივი ალლოთი მონახა, მას ინტუიციით მიაგნო და გამოიყენა კარგად და უპრეტენზიოდ, — წერს ა. შანიძე (ა. შანიძე 1959: 257).

არნ. ჩიქობავას აზრით, თუმცა საბას ცდას, შეეტანა ლექსიკონში ზმნის პირიანი ფორმა, აკლია თანმიმდევრულობა (ზოგი ზმნისა შექავეს, ზოგისა — არა), მაინც ამ ცდას დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. იგი გვანიშნებს საშუალებას, რომლის მეოხებითაც ქართულ ზმნას შეეძლება ისეთი ადგილი დაიკავოს ლექსიკონში, როგორც მას აქვს ქართულ ენაში. არნ. ჩიქობავამ ზმნის წარმოდგენა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სწორედ ამ გზით გადაწყვიტა. ზმნურ ლექსიკურ ერთეულებად მიღებულია პირიანი ფორმა (ანმყოს მესამე პირი) და ლექსიკონში ასახულია ვნებითიც და ქცევებითაც (სასუბიექტო, საობიექტო): თუ საბას აქვს ჩაიტანა, განმარტებით ლექსიკონშია: ჩაატანს, ჩაიტანს, ჩაუტანს, ჩაიტანება, ჩაეტანება, ჩაატანინებს... აგრეთვე ჩაატანო, ჩაიტანინება (ჩიქობავა 1959: 271).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ზმნის ფორმას, ჩვენი დაკვირვებით, ძირითადად ართრონი განაპირობებს. მაგალითად, ე ასოზე დალაგებული ლექსემები თვით ე ხმოვნის (ხმიანი ასოს) თავკიდურ ართრონებზე მითითებით იწყება და სწორედ ეს განსაზღვრავს ლექსიკონის ამ ნაწილში ზმნების ფორმათა ხასიათს - მთავარია, ზმნის ყველა ფორმა -ე თავსართით იწყებოდეს. თუმცა

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ნაწილში ზმნები ძირითადად წარსული დროის მესამე პირის ფორმითაა მოცემული.

ეაზრა	ეტყოდა	ეუცხოვა
ეარა	ეტყორცნა	ეუნყა
ეასპარეზა	ეუარა	ეფეთებოდა (I: 245)

იგივე შეიძლება ითქვას ვ ართრონზე, რომლითაც იწყება ვ-ზე დალაგებული სიტყვები ლექსიკონში. ამ ნაწილში ზმნები უმეტესად წარსული დროის I პირის ფორმითაა მოცემული:

ვაადვილე	ვამზადებ	ვიქმენ ვსხეპ
ვააზავრე	ვამცენ	ვიქნები ვსხეპდი

ი ხმოვანზე დალაგებულ სიტყვებში ზმნები -ი პრეფიქსიანი ფორმითაა წარმოდგენილი.

ინადიმა	იყეფა	იშენა
ინადირა	იყეფდრა	იშველა

ართრონებად მიჩნეულია მა (მ-ა), მი- და მო. ბოლო ორი ზმნისწინია. სხვათა შორის, ლექსიკონში მოცემულია მო ზმნისწინის დიალექტურ ფორმაზე მუ-ზე დაწყებული ზმნებიც:

მა				
მააეაზაკა	მაამო	მაარსა	მააჯა	მაბრალა
მაალერსა	მაანაბრა	მაასპარეზა	მაბადრაგა	(I:425)

მ-ი, მი			
მიანდერძა	მიგურა	მიიბა	მიითუალა
მიაჯა	მიდგმა	მიიბარა	მიიკონა

მო-		მო-ი
მოსანავა	მოვედ	მოიბა
მოზაყუა	მო-ვე-ეკუეთოს	მოიგრემლნა

მო-უ	მუ-ა (- მო-ა)	
მოულობე	მუაბა	მუათვალე
მოუყელე	მუაბნელებს	მუათრივე
მოუყვანე	მუაგავე	მუაკარ

შეიძლება დავასკვნათ, რომ „სიტყვის კონაში“ ზმნის ფორმა ძირითადად დამოკიდებულია ართრონზე. ზმნის ფორმათა დალაგებაშიც ჩანს, რა შეხედულებები აქვს სულხან-საბა ორბელიანს

ართრონის (აფიქსის /მორფემის) შესახებ. დამონმებული მაგალითები კიდევ ერთხელ ააშკარავებს ჩვენ მიერ უკვე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ბევრი აფიქსი არასწორადაა დაშლილი, ზოგჯერ რამდენიმე აფიქსი ერთ მთლიანობადაა წარმოდგენილი. ამაზე მიუთითებს ზმნების დალაგება **მი-ზე**, სადაც ერთად არის მოცემული **მი-ზმნისნინით** დაწყებული ზმნები და **მ-ი** და სასხვისო ქცევის ნიშნით დაწყებული ზმნები. ასევეა ზმნის **მო-ი**, **მო-უ**, **მუ-ა-ზე** დაწყებული ფორმებიც. ასეთ ფორმებში **მო-** ზმნისნინია (**მუ** და **მო-** ზმნისნინის დიალექტური ფორმებია), **უ-** და **ა-** შესაბამისად სასხვისო და საარვისო ქცევის ნიშნები.

როგორც აღვნიშნეთ, ა. შანიძემ სპეციალურად განიხილა **ბ** და **ტ** ასოებზე დალაგებული ზმნები და დაასკვნა, რომ სულხან-საბა ორბელიანისათვის ზმნის ფორმათა სამეთაურო სიტყვა სანყისია. ეს დასკვნა მხოლოდ არჩეულმა ბგერებმა განაპირობა. ეს თანხმოვნები ქართულში აფიქსის (ორბელიანის გაგებით, ართრონის) ფუნქციას არ ასრულებენ. არც ამ თანხმოვნებით რომელიმე თავსართი ან ბოლოსართი არ იწყება. სულხან-საბა ხშირად ართრონს არასწორად ყოფს (ამის შესახებ იხ. ზემოთ). მაგალითად:

ჩინი ყო(ვ)ელთა **დამხეობათა თავი არს**, ვითარცა ჩამოსლვა, ჩამოღება, ჩამოხდომა, ჩამოქცევა, ჩამოჭრა, ჩასლვა, ჩავლა, ჩადება, ჩამოქვეითება და ესევითართა ყო(ვ)ელსა ზედა მოვალს **ZA** (II: 312). სულხან-საბა ორბელიანი მხოლოდ **ჩ-ს** მიიჩნევს ქვევითა მიმართულების თავსართად (დამხეობათა თავი არს), **ჩა-ს** და **ჩამო-ს** ნაცვლად. ვფიქრობთ, სწორედ არჩეულმა თანხმოვნებმა **ბ-მ** და **ტ-მ** განაპირობეს ის ფაქტი, რომ ლექსიკონის ამ ნაწილებში ზმნა უმეტესად სანყისის ფორმითაა მოცემული.

ართრონი მხოლოდ ზმნას არ „მოეზავების“, იგი გვხვდება სახელთან, ზოგჯერ ნაცვალსახელი და ნაწილაკიც ართრონად არის ჩათვლილი ლექსიკონში. ართრონია, მაგალითად, ბრუნცის ნიშანიც. მართალია, საბა სახელობითი ბრუნვის –ი ნიშანს ფუძისეულად მიიჩნევს, მაგრამ ამის ახსნა იტალიელი მარია მაჯოს „ქართული გარამატიკის“ გავლენად ვერ ჩაითვლება. ორბელიანი ენობრივი ადლოთი მაინც არ დაუშვებდა, რომ ბიჭიმა (მაჯოს **ბიჩიმა**) ფორმა ქართულისთვის ბუნებრივად ჩაეთვალა (განსხვავებული მოსაზრება ამ საკითხზე იხ. ლია ბაკურაძის სტატიაში, ამავე კრებული გვ. 9-29). ასევე მოულოდნელია, რომ ელინოფილ ქართველ ეგზეგეტიკოსთა „ღვლარჭნილი“ ენობრივი სტილის დამწუნებელი საბა, სპეციალურად მსჯელობს გრამატიკული სქესის არსებობის შესაძლებლობის შესახებ ქართულში.

სულხან-საბა ორბელიანი ამა თუ იმ სალექსიკონო ერთეულის განმარტებისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იძლევა მასთან სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს, თუმცა ლექსიკოლოგი იქვე

მიუთითებს, რომ შინაარსობრივი ერთიანობის მიუხედავად, ყველას ერთსა და იმავე კონტექსტში ვერ გამოვიყენებთ, საჭიროა თითოეულის სინტაგმატიკური შესაძლებლობების გათვალისწინება. სწორედ ასე უნდა გავიგოთ საბასეული მინანური: „რომელიცა სიტყვას(ა) გაენყოს, იგ(ი) ჩაურთე ZA~ (I: 54) ან „რომელიცა ქართულმან სიტყვამა(ნ) გაინყოს, იგი ხამს მოსაბმელად Cab~ (I: 54). თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, განყობასა და სიტყვაზე მობმაში ლექსემის დისტრიბუციასზეა მითითება, ხოლო პარადიგმატულად იგი გაერთიანდება იმ სიტყვებში, რომლებიც „ერთ(ი) და იგივე არიან“ (I: 64). მაგალითად,

ანაზდეული მყის(ი), იჩქითი, ანი, ნვინი, მალ, მსთვად, არდი, არდიფრუ, აჰა, მსწრაფლ, მუნთქვესვე, ერთ(ი) და იგივე არიან, **რომელიცა სიტყვას(ა) გაენყოს, იგ(ი) ჩაურთე ZA (I: 54).**

ანაზდი ანაზდეული ZAA ანაზდი, მყის, იჩქითი, ანი, ნვინი, არდიფრუ, არდი, აჰა, მალ, მსთვად, მსწრაფლ, მუნთქვესვე ერთი და იგივე არიან, **რომელიცა ქართულმან სიტყვამა(ნ) გაინყოს, იგი ხამს მოსაბმელად Cab (I: 54).**


არამედ (+5,37 მათე ZAA) ესე არა თუ მაგრამ არის, არამედ მსგავსი მისი და შვენიერ(ი) ZAB არამედ მაგრამსავით არის და მაგრამ კი არ არის **სიტყვის მობრუნებაში, დიდად სახმარია მის ადგილს C (I: 60).**

მებრ (2 ნემეს. + 2,8 კოლასელ. 2) მსგავსადსავით ZAA (I: 458).

თუ სიტყვათა თემატიკური ჯგუფები გარეენობრივი ფაქტების სინტაგმატიზაციაა, ერთი სემანტიკური ველის სიტყვები შიდაენობრივ ნიადაგზეა გამოყოფილი (პარადიგმატული ერთიანობა), თუმცა თითოეული მათგანი განსხვავებულ კონტექსტში გამოიყენება (სინტაგმატიკა).

სინტაქტიკის წესებით მიიღება ისეთი ნიშნები, რომელთაც ერთ ბუდეს აკუთვნებენ. არნ. ჩიქობავა ბუდის საილუსტრაციოდ ასეთ მაგალითს იმონებს: დგას, უდგას, დგომა, მდგომი, მდგმური, სადგური, შემოდგომა, მედგარი და ა.შ., ან კიდევ: კაცი, კაცობს, კაცური, საკაცე და ა.შ. ამ ნაწარმოებ სიტყვათა (ფუძეთა) კომპლექსი ენათმეცნიერულად საინტერესო კავშირურთიერთობას და სემანტიკურ გრადაციებს გამოავლენს. მაგალითად, „სადგური არ მოგვაგონებს „დგას“, „დგება“ ზმნას (ჩიქობავა 1986: 6). უმჯობესი იქნება მხოლოდ ერთი ძირიდან ნაწარმოები ფუძეებისათვის გამოვიყენოთ ტერმინი **ბუდე**, რომელიც აღნიშნავს ისეთ ენობრივ ნიშანთა ერთობლიობას, რომელთა აღსანიშნებსა და აღმნიშვნელებს შორის „ჰორიზონტალური“ მიმართება განპირობებული ხასიათისაა, რადგან ასეთი („ჰორიზონტალური“) მიმართება ორპლანია. ერთი ნიშნის აღსანიშნი და აღმნიშვნელი განპირო-

ბებულება მეორე ნიშნის აღსანიშნითა და აღმნიშვნელით (გამყრელიძე 2000: 241). სწორედ ასეთი ურთიერთობაა, მაგალითად, **დგომა** და **სადგური** ენობრივი ნიშნებს შორის.



სადგური მოტივირებული ენობრივი ნიშანია. იგი განპირობებულია დგომა ნიშნით. აღსანიშნთა დონის ურთიერთობა შესაბამის აღმნიშვნელთა ურთიერთობის სპეციფიკურ ხასიათს ასახავს, რაც იწვევს ამ ენობრივი ნიშნების განპირობებულობას (გამყრელიძე 2000: 243-244).


მაშასადამე, სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვათა ნებისმიერი ერთობლიობის აღსანიშნავ ტერმინად ბუდის გამოყენება არ ჩანს მართებული. თუმცა საკამათო არაფერია იმაში, რომ ბუდედ მივიჩნიოთ ერთი ძირიდან ნაწარმოები სიტყვები (მაგალითები იხ. ზევით), შინაარსობრივი თვალსაზრისით კი ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ერთი თემატური ჯგუფისა და საერთო სემანტიკური ველის შემადგენელი სიტყვები. ძირითადად სწორედ ასეთი სიტყვების თავმოყრა ახასიათებს სულხან-საბა ორბელიანს და არა ერთი ძირიდან ნაწარმოები სიტყვებისა. „კონაში“ მოქცეული ლექსემების საერთო სახელად ბუდის გამოყენებას მხარს არ უჭერს ალ. ფოცხიშვილი (ფოცხიშვილი 1995: 148-149).

ენობრივი ნიშნები პრაგმატული მიდგომით

სულხან-საბა ორბელიანს ენაში სიტყვათა სესხება ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია. ამას ადასტურებს ლექსიკონში „მანშური“ სიტყვაზე დართული კომენტარი:

„**მანშური** სხვათა ენაა, სიგელისათვის დაურქმევიათ ცუდად ZA. მანშურისას მეცილებიან და ვიეთნიმე იტყვიან სპარსთა ენა არსო. **ესევითარნი ყოველსა ენასა შინა იქმნებიან ანუ მეზობლობისა მიერ, ანუ შემოდებისა მიერ, რამეთუ სპარსულად ეწოდების მადარ დედასა, ხოლო ფრანგულად მათერ, ვინა ორნივე ერთ; ლა-**

თინთა ენითა სუდარი - მკვდრისა სახვეველსა, ეგრეთვე ქართულად, ანუ ქარტა, ანუ სანდალი ლათინთა და ქართულთა საზიარო არს. ეგრეთვე ყოველთა ენათა შინა მრავალის მოვალს. არამედ ესე მანშური არა თუ საღთთა წერილთა შინა ძეს, არამედ გარეშეთა Cb ნიგნთა დასამტკიცებელი CqDE (I: 436).

„სიტყვის კონის“ ადრეულ რედაქციებში (E-სა და D-ში) უცხოური ლექსიკური ერთეულების, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, „სხვათა ენის“ სიტყვები, კერძოდ კი საზოგადო სახელების აღსანიშნავად იყენებდა ე.წ. ჩიტის თვალს . ეს ნიშანი რედაქციაში ძალიან ბევრ განსამარტავ სიტყვას აქვს მიწერილი. D-ში კი ასეთი სიტყვების რაოდენობა კლებულობს, რაც ი. აბულაძის აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ ლექსიკოლოგი ახალ ეტაპზე ამნაირნიშნიან სიტყვებს ქართული ენობრივი მარაგის კუთვნილებად თვლის. მერმინდელ რედაქციებში უცხო წარმოშობის საზოგადო სახელები ახლა მარტო მიკვლევულ განმარტებებს ინარჩუნებენ. მათი მხლებელი ჩიტის თვალი ამიერიდან უკვე უცხო წარმოშობის პირთა და გეოგრაფიულ საკუთარ სახელებს აქვთ მიწერილი (აბულაძე 1998: 30).

„სიტყვის კონაში“ მრავალი უცხოური ლექსიკური ერთეულია განმარტებული. თუმცა მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ სულხან-საბა დიდად იყო დავალებული ქართული ლექსიკონების შემდგენელი იტალიელი მისიონერებისაგან (უთურგაიძე 1990:123), მაგრამ ნ. ორლოვსკაიამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ ორბელიანის ლექსიკონში მოხვედრილი თვით იტალიური მასალაც კი არ მომდინარეობს XVII საუკუნის ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონებიდან, რომ არაფერი ვთქვათ საკუთრივ ქართულ ლექსიკაზე (ორლოვსკაია 1960: 195). „სიტყვის კონაში“ იტალიურ თარგმანებს მხოლოდ იმ რედაქციაში ვხვდებით, რომელზეც სულხან-საბა უცხოეთში მოგზაურობის დროს მუშაობდა. სრულიად ბუნებრივია, რომ სწორედ იტალიაში იტალიურ ენობრივ გარემოში შეეძლო ორბელიანს შესდგომოდა თავისი ლექსიკონის ამ მასალით შევსებას. საგულისხმოა კიდევ ერთი ფაქტი — „სიტყვის კონის“ ბოლო რედაქციაში ავტორმა არ გადაიტანა იტალიური მასალა, რაც ნ. ორლოვსკაიას აზრით, განპირობებული იყო ევროპაში სულხან-საბას მისიის წარუმატებლობით და საქართველოში შეცვლილი პოლიტიკური კონიუნქტურით. როგორც ჩანს, თვით ავტორის თვალშიც დაეკარგა ფასი ამ მასალას, რადგან გაქრა ევროპასთან კავშირის ყოველგვარი იმედი (ორლოვსკაია 1960:210).

ორბელიანის ლექსიკონში ისეთი სიტყვებიც გვხვდება, რომლებიც მხოლოდ მეგრულ-ჭანურსა აქვს ნასესხები და არა ქართულს. ასეთებია, მაგალითად:

საავატო (შდრ. მეგრ. საბატონი) შაბათი
დუგუნი ოსმალთა ენით ქორწილი. შდრ. ქანური დუგუნი (დუ-
ლუნი) — ქორწილი

თერმონი თბილი შაქარ-წყალი. ქანურში თემონი დამკვიდრე-
ბულია ბერძნულიდან (დანელია 1984: 68-70). ამ ჩამონათვალს შე-
იძლება დაემატოს აღმოსავლური დასტი, რომელსაც ლექსიკოგრა-
ფი ასეთ კომენტარს ურთავს: ქანნი კოკას უხმობენ (I:202).

უცხოენოვან ლექსებზე დართული კომენტარები შეიძლება
ასე დავაჯგუფოთ.

**I. [სიტყვა] ქართული არ არის / სხვათა ენაა, ქართულად
ჰქვიან/უნოდებენ;**

II. მითითებულია უცხოური სიტყვის წარმომავლობა;

**III. უცხო სიტყვა გამოყენებულია მნიშვნელობის დასადგენ
საკონტროლო საშუალებად;**

**IV. სიტყვა უცხოურია, მაგრამ განმარტებაში ეს მითითებული
არ არის;**

V. „უჭმარი“ სიტყვები.

ყველა ჯგუფის ცალკ-ცალკე განხილვა უპრიანი იქნებოდა,
მაგრამ ამჯერად მხოლოდ იმ უცხოენოვან სიტყვებზე შევჩერდებ-
ით, რომელთაც სულხან-საბა ორბელიანი „უჭმარს“ უნოდებს.
„უჭმარ“ სიტყვათა დიდი ნაწილი შემოსულია „სოფლისა ჟამთა ვი-
თარებისაგან“ ანუ, როგორც ზოგჯერ ამბობს, „ჟამთა შლათაგან“,
რომელთა ხმარებას უნდა ვერიდოთ. ასეთი სიტყვები საბას ლექ-
სიკონში იმისთვის შეუტანია, რომ „მოსწავლემან ცნას საჭმარი და
უჭმარი, ჯეროვანი და უჯეროვან“ . „უჭმარ“ სიტყვებს აქვს ნიშანი ••
„ანდერძნამაგში“ ორბელიანი წერს: „რომელნიცა ძნელნი სიტყვანი
არა ვიცოდნი, ღრმათა წიგნებთა შინა ვეძიე და რომელიმე სხვათა
ენათა შევამონმე და გამონვლილვით რომელნიცა ვპოე, ადვილად
თან მოვანერე... რაოდენი ძალ-მედვა, ვეცადე, ელლენთა, ლათინ-
თა, სპანიათა, სომხურთა და რუსთა წიგნებთა შემონმებითა გარდ-
მოვიღე“. ი. აბულაძის დაკვირვებით, •• ნიშნიანი სიტყვები განსა-
კუთრებით ბევრია E რედაქციაში, ხოლო D-სა და უკანასკნელ, ანუ
Z რედაქციაში კი მხოლოდ ერთეულები თუ შეგვხვდება. ჩანს, —
წერს მეცნიერი, — გამონვლილვის შედეგად ზოგიერთს შეუნარჩუ-
ნებია არსებობის უფლება (აბულაძე 1998: 32; უჭმარობის პირობი-
თი ნიშნის გამოსახულების ნაცვლად გამოცემაში ყველგან არის
უჭმ.) თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაც უფრო ად-
რეულია ლექსიკონი რედაქციულად, მით უფრო მნიშვნელოვანია
წყაროების შესწავლის თვალსაზრისით (მეტრეველი 1956: 30).

ენის კოდიფიცირების ერთ-ერთი მიზანი ენობრივი კოლექტი-
ვის თვითდამკვიდრება და სტაბილურობაა (ჰაუგენი 1972). სწო-

რედ ეს განაპირობებს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სხვათა ანუ უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებზე დართულ კომენტარებსა და მათთვის ქართული შესატყვისების ძიებას. ასეთი დამოკიდებულება უცხოური წარმომავლობის სიტყვებისადმი გამოწვეულია მრავალრიცხოვან აგრესორთა პოლიტიკური და კულტურული ძალადობით. ქართული ენის სინმიზის დაცვისთვის საბა მეტოდურად და დაბეჭდვით აკეთებდა ამას. ორბელიანი თავის ლექსიკონს, პირველ რიგში, სასწავლო მიზნებს უსახავდა. თვლიდა, რომ აუცილებელი იყო ენის სახელმძღვანელო უპირველესად ლექსიკონის სახით, ურომლისოდაც ენა ირყვნება, ფუჭდება (აბულაძე 1998: 32).

სამწუხაროდ, „უკმარ“ სიტყვებსაც ვერ შევხები დანვრილებით ისევ კრებულის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამ ტიპის ლექსიკური ერთეულები დანვრილებით არის განხილული როგორც 2005 წელს დაბეჭდილი მონოგრაფიის IV თავში, ისე სპეციალურ ნერილში, რომელიც ნასესხები სიტყვების სემიოტიკას ეხება (იხ. თ. ბოლქვაძე 2005; თ. ბოლქვაძე 2007). თუმცა რამდენიმე სიტყვას მაინც ვიტყვი აღნიშნულ საკითხზე.

ამა თუ იმ ნასესხები ლექსიკური ერთეულის "უკმარ" სიტყვად გამოცხადებაში ვლინდება ენობრივი ნიშნის მიმართ ენის მომხმარებლის დამოკიდებულება, რაც პრაგმატიკის შესწავლის ობიექტია.

როგორც ემილ ბენვენისტი წერს: მეტყველისათვის ენა და გარესამყარო მთლიანად ადეკვატურია. ნიშანი მთლიანად ფარავს რეალობას და ბატონობს მასზე. უფრო მეტიც, ის თვითონაა რეალობა. მეტყველის თვალსაზრისი იმდენად სხვაობს ენათმეცნიერის თვალსაზრისისაგან, რომ ენათმეცნიერის მტკიცება ნიშნის ნებისმიერობის შესახებ ოდნავადაც ვერ არყევს მის განპირობებულობაზე მეტყველის რწმენას. როგორც უნდა იყოს, ენობრივი ნიშნის ბუნებას, სოსიურის განსაზღვრებით, ეს სულაც არ ეხება, რამდენადაც ამ განსაზღვრების მიზანი ისაა, რომ აჩვენოს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთობა. ამგვარად, ნებისმიერობის სფერო ენობრივი ნიშნის გარეთაა გატანილი, სოსიური ამბობდა: „ენა ვერაფრით იცავს თავს იმ ძალებისაგან, რომლებიც ყოველნუთიერად ცვლიან მიმართებას აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის. ეს ნიშნის ნებისმიერობის ერთ-ერთი შედეგია“. ამ დასკვნის ფასი, — წერს ემილ ბენვენისტი, — ოდნავადაც არ შემცირდება, პირიქით, გაიზრდება, თუ ზუსტად ვიტყვით, რა მიმართებაზეა აქ საუბარი. ცვალებადობისა და იმავდროულად უცვლელობის უნარი აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთობას კი არ ახასიათებს, არამედ საგანსა და ნიშანს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღნიშვნის საგნობრივ მოტივაციას (motivation objective de la designation), რომელზეც ყოველთვის მოქმედებს სხვადასხვა ისტორიული

ფაქტორი. ე. ბენვენისტის აზრით, სოსიურის დასკვნა სწორია, ოღონდ არა ნიშნისთვის, არამედ მნიშვნელობისთვის (signification) (ბენვენისტი 1974: 93-94).

ამა თუ იმ სიტყვის „უკმარად“ ანუ უსარგებლოდ შეფასება აჩვენებს, როგორ უყურებს, რა წარმოდგენები აქვს ინტერპრეტატორს, ამ შემთხვევაში ქართული ენის ლექსიკის კოდიფიკატორს – სულხან-საბა ორბელიანს – ქართული ენის ლექსიკური ერთეულების მიმართ. მისთვის ენობრივი ნიშანი არამც და არამც არ არის ნებისმიერი, იგი აუცილებლად განპირობებულია. ემილ ბენვენისტის სიტყვებით რომ ვთქვათ, სულხან-საბასთვის ქართული ენა და გარესამყარო მთლიანად ადეკვატურია. როდესაც ამა თუ იმ სიტყვას მოსდევს კომენტარი „სხვათა ენაა, უკმარი და ცუდი“, აქ იმაზე კი არ არის მითითება, რომ გარკვეული ბგერათკომპლექსი, მაგალითად, **შალავათი** (II: 281) ცუდად ასახავს ამ ცნების („შელავათი“) არსს, არამედ იგი ცუდია (უკმარია) იმის გამო, რომ სხვათა ენაა, „ჟამთა ვითარებით შემოღებულია“, როგორც ამას აღნიშნავს, მაგალითად, ქარავანის განმარტებისას: „არაბთა ენაა, ჟამთა ვითარებით შემოღებულია, ქართულად მოგზაური ენოდების“ (II: 212-213). თავისთავად აღმნიშვნელები „ქარავანი“ და მოგზაური („აკუსტიკური ხატები“, როგორც ფერდინანდ დე სოსიური უწოდებდა) ერთნაირად ნებისმიერია ცნების (აღსანიშნის) მიმართ, მაგრამ ქართულ ენაზე მეტყველისათვის მოგზაური კარგია და „საჭმარი“, ქარავანი კი ცუდია და „უკმარი“. ეს არის ენობრივი ნიშნის მიმართ მომხმარებლის პრაგმატული დამოკიდებულება. მისთვის მოგზაურ ბგერათკომპლექსსა და აღსანიშნ ცნებას შორის განპირობებული ურთიერთობაა. ასეთი ურთიერთობა არ არის ქარავანსა და იმავე ცნებას შორის.

სულხან-საბა ორბელიანი უცხო წყაროებსა და „სხვათა ენას“ სხვადასხვა მიზნით მიმართავს:

- ა) უცხო წყაროების საშუალებით ის განმარტებებს უძებნის ქართულ „ძნელოვან სიტყვებს“;
- ბ) „სხვათა ენის“ საშუალებით სიტყვის ეტიმოლოგიას არკვევს;
- გ) ქართული ენის წიაღიდან უცხო ლექსიკური მასალის გამოყოფით ორბელიანი ქართული ენის სინმინდის დაცვას ცდილობს (მეტრეველი 1956:14).

რადგან სულხან-საბას სიტყვათა სესხება ენისთვის ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია, ამიტომ ენის სრული განმენდა უცხოური ელემენტებისაგან შეუძლებელია და საჭირო ხდება კრიტიერიუმის გამოძებნა — რომელი არაქართული ლექსიკური ერთეული იქნეს შეწყნარებული და რომელი – არა. როგორც ელ. მეტრეველის დაკვირვება ცხადყოფს, ორბელიანი სიტყვის სადაურობასა და მის

ქართულ შესატყვისს ზოგ შემთხვევაში რამდენიმე რედაქციის მანძილზე ეძებს.

1884 წელს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი გამოიცა რაფიელ ერისთავის რედაქტორობითა და ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით. ამ წიგნს რედაქტორ-გამომცემელმა რაფიელ ერისთავმა წინასიტყვაობა დაურთო, რომელშიც ახსნილია ორბელიანის ლექსიკონის გამოცემის აუცილებლობა. ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია ის ფაქტი, რომ "ზოგიერთი ლიტერატორების წაწერებში შემოსულია უცხო ენის სიტყვები, რომლების სამაგიერონი და უფრო ნამდვილი მოიპოვებიან სულხან ორბელიანის ლექსიკონში. მაშასადამე, ეს ლექსიკონი რომ ყოფილიყო აქნობამდის დაბეჭდილი და გავრცელებული, მაშინ უცხო სიტყვები აღარ შეამღვრევდა ქართულს ენას, რადგანაც თვით ამ ენაზედ მოიპოვებინ ჯეროვანნი და უფრო მარჯვე სახელწოდებანი. იქნება სთქვან, რომ ზოგი ქართული სიტყვები დაძველებულან და გაუგებარნი არიანო, მაგრამ, ჩემის აზრით, სჯობს, რომ ისევ ის ძველი სიტყვები განვაახლოთ და შემოვიტანოთ ლიტერატურაში სახმარებლათ, ვიდრე სხვა ენას დავესესხოთ: ხომ იმასაც ხელ-ახლა შესწავლა და შეჩვენვა დასჭირდება და ამასაც, და თუ კი უცხო ენებიდგან იმ გვარი სიტყვების შემოტანა დაგვჭირდა, რომლებიც ქართულში სრულიად არ მოიპოვებინ, მაშინ ჩვენც ვისარგებლოთ იმ სიტყვებით, რომლების სესხობასაც არ თაკილობენ ჩვენზედ უფრო დანიანურებულნი და განათლებულნი ხალხნი" (ერისთავი 1884: II). რაფიელ ერისთავი, ისევე როგორც ორბელიანი, სიტყვათა სესხების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს ძველ ქართულ ლექსიკაზე უარის თქმას. პირიქით, მისი გააქტიურებაა საჭირო. ასეთი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, უცხოენოვანი ლექსიკისა და, მეორე მხრივ, ძველი ქართული ლექსიკის მიმართ XIX საუკუნეში ძალიან გავრცელებული იყო.

ძველი ქართული ლექსიკიდან აღებული სიტყვებისთვის ახალი სიცოცხლის შექმენა თანამედროვე ქართულ საზოგადოებაშიც ერთგვარ მოდად იქცა. საინტერესოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან ირჩევენ ძირითადად ისეთ სიტყვებს, რომელთაც უცხოური ჟღერადობა და ქართული წარმომავლობა აქვთ. ესეც მეტყველი კოლექტივის ენობრივი ნიშნისადმი დამოკიდებულების მაჩვენებელია. პრაგმატული თვალსაზრისით მეტყველი კოლექტივისთვის ერთი ენის ლექსიკური ერთეული (resp. ენობრივი ნიშანი) სხვა ენის ერთეულს სჯობს. როგორც სოსიური ამბობდა, ენა თავისი ბუნებით თავსმომხვეულია საზოგადოებაზე, მაგრამ იმავდროულად არ არსებობს საზოგადოება, რომელიც კმაყოფილი არ იყოს თავისი ენით. უფრო მეტიც, ენა ბადებს სიამაყის გრძნობას მასზე მეტყველ კოლექტივში. ეს გრძნობა განსაკუთრებით

გამძაფრებული აქვს ენის კოდიფიკატორს. ამიტომ დაუჯერებელი ჩანს მტკიცება, თითქოს სულხან-საბა ორბელიანმა „ლექსიკონი ქართული“ ყრმათათვის არაქართული ენების სწავლების მიზნით შექმნა.

damowmebani:

აბულაძე 1991: აბულაძე ი. წინასიტყვაობა, დართული სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულზე“. თბ.: 1991.

აბულაძე ი. 1998: აბულაძე ი. სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“. თბ.: გამომცემლობა „მერანი“, 1998.

ბაკურაძე ლ. 2009: ბაკურაძე ლ. ართრონი და მისი ერთი ფუნქცია საბას ლექსიკონის მიხედვით. — სულხან-საბა 350, საიუბილეო კრებული, თბ.: შ. რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

ბელი 1980: Белл Р. Социолнгвистика – Цели, Методы и проблемы. М.: 1980.

ბენვენისტი 1974: Бенвенист Э. Природа языкового знака – Общая лингвистика. М.: "Прогресс", 1974.

ბიკერტონი 1990: Бикертон Д. Введение в лингвистическую теорию метафоры. – Теория метафора (сборник). М.: "Прогресс", 1990.

ბლუმფილდი 1968: Блумфилд Л. Язык. М.: 1968.

ბოლქვაძე 2005: ბოლქვაძე თ. იდეოლოგიზებული ღირებულებანი. თბ.: თსუ გამომცემლობა, 2005.

ბოლქვაძე 2007: ბოლქვაძე თ. ნასესხები სიტყვების სემიოტიკა, სემიოტიკა, 2008.

გამყრელიძე 2000: გამყრელიძე თ. რჩეული ქართველოლოგიური შრომები. თბ.: 2000.

გენაძე 1978: გენაძე დ. ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბ.: თსუ შრომები, 1978.

დანელია 1984: დანელია კ. მეგრულ-ჭანური ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. თბ.: თსუ შრომები, ტ. 245, 1984.

დანელია 1986: Данелия С. И. К вопросу о соотношении грамматики и логики.

Очерки из истории античной и новой философии. Тб.: Издательство ТГУ, 1986.

ერისთავი 1884: ერისთავი რ. წინასიტყვაობა წიგნისა — ქართული ლექსიკონი, შედგენილი სულხან-საბა ორბელიანისაგან. გამომცემული რაფ. ერისთავის რედაქტორობითა და ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასითა. თბ.: 1884.

ვათეიშვილი 1983: ვათეიშვილი ჯ. ქართული ბეჭდური სიტყვის სათავეებთან, წიგნში: არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, პირველი ნაბეჭდი გამომცემები. თბ.: 1983.

ვეუბიკა 1996: Wierzbicka A. Semantics – Primes and Universals. Oxford, New-York, Oxford University press, 1966.

იაკობსონი 1975: Якобсон Р. Лингвистика и по.тика. Структурализм "за" и "против". М.: "Прогресс", 1975.

კეკელიძე 1981: კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II, თბ.: 1981.

მეტრეველი 1956: მეტრეველი ელ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, თბ.: 1956.

- მორისი 2001:** Морисс Ч. У. Из книги "Значение и означивание", Знаки и действия. – Семиотика (антология). М.: 2001.
- მორისი 2001ა:** Морисс Ч. У. Основания теории знаков. – Семиотика (антология). М.: 2001.
- ორბელიანი 1991, 1993:** ორბელიანი ს.-ს. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტ. I, თბ.: 1991; ტ. II, თბ.: 1993.
- ორლოვსკაია 1960:** Орловская Н. К. Итальянский материал в словаре Сулхан-Саба Орбелиани. Схалинის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 85, თბ., 1960
- რამიშვილი გ., 1978:** ენის ენერგეტული თეორიის საკითხები. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1978.
- უთურგაიძე 1990:** უთურგაიძე თ. ქართული ენის შესწავლა იტალიელ მისიონერთა მიერ და მათი მეცნიერული ნააზრვეის ურთიერთმიმართება. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXIX, თბ.: 1990.
- ფოცხიშვილი 1995:** ფოცხიშვილი ალ. ქართული ენათმეცნიერების ისტორია. თბ.: 1995.
- ქავთარია 1960:** ქავთარია მ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უცნობი ავტოგრაფი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, თბ.: 1960.
- ქუთათელაძე 1957:** ქუთათელაძე ლ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები. თბ.: 1957.
- შანიძე 1959:** შანიძე ა. ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები. I ზმნის ფორმათა მეთაური სულხან ორბელიანის ქართულ ლექსიკონსა და ვახტანგ VI-ის თარგმანში. — სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული 1658-1958. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ.: 1959.
- შანიძე 1990:** შანიძე მ. სიტყვა ართრონთათეს, ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი. თბ.: 1990.
- ჩიქობავა 1959:** ჩიქობავა არნ. საბას „სიტყვის კონა“, როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი. — სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული 1658-1958. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ.: 1959
- ჩიქობავა 1986:** ჩიქობავა არნ. წინასიტყვაობა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბ.: 1986.
- ჰაუგენი 1966:** Haugen E. The problem of Language.- Language Conflict and Language Planning, The Case of Modern Norwegian, Cambridge, Massachusetts, 1966
- ჰაუგენი 1972:** Haugen E. Linguistics and Language Planning, - The Ecology of Language, Essays Selected and Introduced by Anwar S. Dil, Stanford University Press, Stanford, California, 1972.

ართრონი და მისი ერთი ფუნქცია საბას

ლექსიკონის მიხედვით

ართრონი ბერძნული სიტყვაა, მისი „ფუნქციაა გამოხატოს სახელის გრამატიკული კატეგორია (სქესი, რიცხვი, ბრუნვა), წარმოქმნას არსებითი სახელი მეტყველების სხვა ნაწილისაგან და აღნიშნოს სახელის ზოგიერთი აზრობრივი იერი (მაგალითად გვიჩვენოს განსაზღვრულია თუ არაა განსაზღვრული საგანი, რომელსაც სახელი აღნიშნავს)“ (ურუშაძე 1987: 28).

უნდა აღნიშნოს, რომ ანტიკურ პერიოდში მას გაცილებით ფართო მნიშვნელობა ჰქონდა. *αρθρον, θ, α·ω* [соединяю связь, скрываю, сочленяю, образую (греческо-русский словарь 1848).

სულხან-საბა ორბელიანისათვის ართრონი სწორედ ის აფიქსია, რომელსაც შეუძლია „სიტყვათა მიმოღვარჭლნა“, სახელის განსაზღვრულობისა და აღნიშნული გრამატიკული კატეგორიების წარმოდგენას კი მის ერთ-ერთ და არა ერთადერთ ფუნქციად მიიჩნევს.

„ართრონი არიან ასოები, რომელიმე წინა მოეზავებიან სიტყვათა და რომელიმე უკანა და გვარიან ჰყოფენ და დაატკობენ, არამედ ლათინთა და ელლენთა ენათა შინა უმრავლეს და ერთს რიგზე განყოფილ არიან, ხოლო ქართულში წინა-უკმო, ამისთვის ღრამმატიკოსთა შინა დამინერია Z“ (საბა 1991: 63).

B და C რედაქციაში ართრონის განმარტება უფრო ვრცელია, საბა ჩამოთვლის კიდევ აფიქსებს, რომლებიც სიტყვას თავსა და ბოლოში დაერთვიან და, რაც მთავარია, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართულში არსებობს ართრონი, ოღონდ არა ბერძნულის მსგავსი:

„ვიეთთა აღუნერიათ ქართულთა შინა ართრონი არა ძესო, არა დაჰკვირვებია, თვარამ ართრონი ძეს და არა მათებრ ...“ (საბა 1991: 63).

აშკარაა აქ გამოძახილი ქართული გრამატიკული ტრაქტატისა „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ (შანიძე 1990: 76), რომელიც არსენ იყალთოელის კალამს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ტრაქტატის ავტორი არაერთგზის აღნიშნავს ქართულში ართრონის არარსებობას. მისი აზრით, ამის გამო თარგმანის დროს აზრი ბუნდოვანი და გაუგებარი ხდება: „შეუძლებელ არს თარგმანებაჲ მისი ენასა ზედა ქართულსა“ (შანიძე 1990: 132).

გრამატიკული ტრაქტატი „სიტყუად ართრონთათჳს“ თავდაპირველად შენიშვნის სახით უნდა ჰქონოდა დართული ოქროპირისეული თხზულების ქართულ ტექსტს. მთარგმნელს შეუძლებლად მიუჩნევია ბერძნულ ორიგინალში განსხვავებული მნიშვნელობით ნახმარი ართრონიანი ფორმების ქართულ თარგმანში ზუსტად გადმოცემა. ამიტომ „სიტყუად ართრონთათჳს“ მას საგანგებოდ დაუწერია, რომ გაეადვილებინა ქართველი მკითხველისათვის აზრის გაგება თარგმანში (შანიძე 1990: 64).

ამ ნაშრომში ტერმინი ართრონი განსაზღვრებითი ნაწევარის, არტიკლის მნიშვნელობით არის გამოყენებული, „ამას გარდა ტექსტში გარჩეულია „ართრონნი დამორჩილებითნი“ – ანუ მიმართებითი ნაცვალსახელები“ (შანიძე 1990: 18).

ართრონის შესახებ საუბარია ამონიოს ერმისის თხზულებებშიც, სადაც ართრონის მნიშვნელობა დაკონკრეტებულია. იგი სახელის განსაზღვრულობას წარმოაჩენს, ხოლო სიტყუის, ანუ ზმნის განმსაზღვრელი არის ხრონო: „რომელთამე ჳმათაგანთა შესაძლებელ არს თანდანესებად ართრონთაჲ, ხოლო ხრონოთაჲ — არა, რამეთუ ხრონონი უკუე თანდაინესებიან, ხოლო ართრონნი — არა. და მათ უკუე უწოდეს სახელებად, სადა ართრონნი, ხოლო სადა ხრონნი — სიტყუე“ (ამონიოს ერმისი 1983: 104, 32).

ტერმინი ართრონი ნანილაკის მნიშვნელობით გვხვდება იოანე პეტრიწის შრომებსა (იოანე პეტრიწი 1937: 47₂) და თეოფილაქტე ბულგარელის თარგმანებაში (შანიძე 1990: 65; A52, 12v).

ართრონის ძალა, საბას აზრით, ყველაზე ძალუმად მთარგმნელობითი მოღვაწეობის დროს იგრძნობა. უცხო ენიდან ტექსტის ქართულად გადმოღება ძნელდება, თუ კარგად არ გააცნობიერებ ართრონის დანიშნულებას. „ქილილა და დამანას“ თარგმანს დართული აქვს ანდერძი, რომელშიც იგი სწორედ ამ პრობლემაზე მსჯელობს: „სხვა ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არ კაის მცოდინარისაგან, გადმოთარგმნა ძნელია. ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს და ზოგან ართრონი ან მოუმატოს, ან დააკლოს, თვარამ სწორად ისე უგემური გამოვა“ (ქართული მწერლობა 1989: 291).

ლექსიკონის შესავალ ნაწილში, რომელსაც „ლრამმატიკას“ უწოდებენ, საბა საუბრობს ქართული ბგერების აფიქსურ ფუნქციაზე და გამოყოფს ექვს ბგერას, რომელთაც ყველაზე მეტად შესწევთ უნარი მოეზაონ სიტყვას თავსა და ბოლოში. ესენია: ანი, დონი, ენი, ინი, ნარი და სანი.

შემდგომ, ართრონის განმარტებისას, იგი მართლაც გამოყოფს ორ ჯგუფს: თავსართი და ბოლოსართი ართრონები. „ხოლო ქართულთა **ართრონი თავთანი** არიან ესენი: ა, აი, აჲ, აე, ან, აუ, ად, გა, გან, გე, გი, და, დალა, ე, ვ, ი, ია, მ, მე, მი; ნ, ნა; ს, სა, უ, შე, წ, წა, ჟ.

ბოლოს ართრონი ესე: ა, აო, გან, და, დე, დი, დო, ე, თ, ი, ია, მ, ნ, ნა, ნე, ნი, ნეო, ნო, ო, ს, სა, ლა, ში, ც, წიე.

ესენი არიან და საშუალო სხვანიცა B“ (საბა 1991: 63).

აქ წარმოდგენილი ართრონებიდან მხოლოდ ზოგიერთია განმარტებული ლექსიკონში, უმრავლესობის დანიშნულების შესახებ კი საბა დუმისს ამჯობინებს, როგორც ჩანს, მათ ფუნქციაში ის საბოლოოდ არ არის გარკვეული. ასეთებია: ართრონი თავთანი: აღ, აი, აა, აე, ან, აუ; ბოლოს ართრონი: დე, დი, დო, ია, ნიე, წიე ... ლექსიკოგრაფის ინტერესის სფეროში უფრო მეტად მოექცა თავსართი ართრონები. რაც შეეხება ბოლოსართებს, იგი ხშირად მხოლოდ მათი აღნიშვნით კმაყოფილდება.

ართრონი შეიძლება იყოს ცალკე ხმოვანი ან თანხმოვანი, ან ხმოვნისა და თანხმოვნისაგან შექმნილი ბგერათა ჯგუფი. ზოგჯერ საბა სხვადასხვა დანიშნულების აფიქსს აერთიანებს და ერთ ართრონად გვანვდის, ზოგჯერ კი პირიქით, ერთი მნიშვნელობის აფიქსს შლის და მის ნაწილს წარმოადგენს მხოლოდ ართრონად, თუმცა ფაქტი ერთია, იგი არასოდეს ურევს ერთმანეთში სიტყვის ძირსა და აფიქსს, ცდილობს გამოყოფს ფორმაცვალების გამომწვევი ელემენტები და, შეძლებისდაგვარად, სახელური და ზმნური ფორმების თავისებურ დაშლას გვთავაზობს.

ამისი მიზეზი, სავარაუდოდ, ის უნდა იყოს, რომ ქართული ენის გრამატიკა, განსაკუთრებით კი ზმნა, საბას დროს შესწავლილი არ იყო (ქუთათელაძე 1957: 73).

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ XVII-XVIII საუკუნეებამდე საქართველოში არ მიმდინარებდა ფილოლოგიური მუშაობა, რომელიც თავისთავად გულისხმობდა სიტყვის ფორმის ცვლილებაზე დაკვირვებასაც. XI-XII საუკუნეების ქართული მეცნიერული აზრი ამ კუთხითაც ვითარდებოდა, ეფრემ მცირის გრამატიკული სქოლიოები, არსენ იყალთოელისა თუ იოანე პეტრიწის დაკვირვებანი ქართული სიტყვის ფორმოზრივ აგებულებასაც შეეხებოდა; სულხან-საბა ორბელიანი კარგად იცნობდა ძველ ქართულ ხელნაწერებს, წმინდა მამათა კომენტარებს და ხშირად უცვლელადაც კი გადმოჰქონდა ზოგიერთი შენიშვნა. ამისი კლასიკური მაგალითია „რიო“ ართრონის განმარტება ლექსიკონში: „რიო მეორესა პირსა დაჰნიშნავს, რამეთუ ვითარ სხვა არს სული სულიერისაგან, ეგრეთვე სხვა გონება გონებისაგან, ოდეს სთქვა სული და სულიერიო, გინა გონება და გონიერიო“ (საბა 1993: 11).

პროკლეს თხზულებების იოანე პეტრიწისეულ განმარტებაში ვკითხულობთ: „ან ესე თანმიდება ართროსაჲ თუ „რიო“ მეორესა პირსა დაჰნიშნავს: ოდეს სთქუა სული, და ოდეს სულიერი და ეგრეთვე გონებაჲ და გონიერი“ (იოანე პეტრიწი 1937: 47, 1-4).

როგორც ვხედავთ, საქართველოში უკვე არსებობდა მანარ-
მოებელთა გამოყოფის გარკვეული ტრადიცია. უნდა აღინიშნოს
ისიც, რომ აქ მოღვაწე იტალიელი მისიონერები ქართული ენის
გრამატიკების შექმნისა და ლექსიკონების შედგენის დროს ქართუ-
ლი სიტყვის აგებულების უკეთ გასაგებად ხშირად თავისებურად
გამოყოფდნენ ხოლმე ფუძეს. მსგავს მაგალითებს ვხვდებით 1643
წელს შედგენილ მაჯოს გრამატიკაში:

მე ვიკმო-დი, შენ იკმო-დი, იმან იკმო-და, იმათ იკმო-ნენ (მაჯო
1983: 570).

ჩუენ მო-ვიდო-დით, თქუენ მო-ხუიდო-დით, იმათ მო-ვიდიო-
დენ (მაჯო 1983: 558).

გმერთო-ბა, კაცო-ბა, სახელო-ბა (მაჯო 1983: 526).

ბერნარდო მარია ნეაპოლელის ქართულ-იტალიურ ლექსიკონ-
ში (XVII ს-ის 70-იანი წლები) ზმნათა პირიანი ფორმები ასეა წარ-
მოდგენილი:

„მითქს: გი: უ:“ (გი-გითქს, ხოლო უ-უთქს)

„მიჭირვებ: გი:“

„მიკბენ: გი:“

„ველი: მე: გე:“

„მაცინებ: გა:“ (ბერნარდო-მარია ნეაპოლელი 161).

ზმნებში პირის გამოყოფის იგივე პრინციპია გატარებული
1724 წლით დათარიღებულ იტალიურ-ქართულ ლექსიკონში, რომ-
ლის ავტორიც უცნობია. გრამატიკულ ნაწილში იგი მიჰყვება
მაჯოს გრამატიკას, ხოლო ლექსიკონის აგების პრინციპით ბერ-
ნარდო ნეაპოლელს (ორლოვსკაია 1959: 149). ეს ლექსიკონი 1724
წელზე ადრე ჩანს შედგენილი, თარიღი კი შემდეგ დაანერგეს
(უთურგაიძე 1999: 75).

ვახტანგ მეექვსე კარგად იცნობდა იტალიელთა გრამატიკულ
ნააზრებს ქართულ ენასთან დაკავშირებით და სავარაუდოა, რომ
იტალიელთა ნამოღვაწარით ინფორმირებული იქნებოდნენ ვახ-
ტანგის კარის სწავლულნიც (ბაბუნაშვილი, უთურგაიძე 1992: 43).

ძველი ხელნაწერების გულდასმით შესწავლამ, ლექსიკური ერ-
თეულის მნიშვნელობის დაზუსტების აუცილებლობამ საბა პი-
რისპირ დააყენა სიტყვის ფორმოზოგიური ანალიზის წინაშე, სიტყვის
ლექსიკური თუ გრამატიკული ცვლილების მიზეზების დადგენამ
კი შექმნა აუცილებლობა ართრონის გამოყოფისა, რომლის მნიშვნე-
ლობაც საბას ლექსიკონში უფრო ფართოა და ორიგინალური.

ართრონი ლექსიკოგრაფისთვის კონკრეტული ფუნქციით
გააზრებული აფიქსია. ამაზე მეტყველებს –ბ- ბგერის დახასიათე-
ბაც: „ბანი არც თავია, არც ბოლოდ მოვალს სხვათა სიტყვათა ზე-
და, არც ჳმიანი არს, არც ართრონი, ოდენ ბა არს: მოაბა, ჩააბა,

გააბა და ეგევითარნი; სხვათა ნაქმართა ზედა აგრევე ბი: მოაბი, ჩააბი, გააბი, ნააბი და ეგევითარნი Z“ (საბა 1991: 87).

იმის მიუხედავად, რომ ბა-ბის „ფუნქციური“ განსხვავება გამოიკვეთა, საბამ მაინც არ მიიჩნია ისინი ართრონად, რადგან „კონკრეტული მაგალითი“ ვერ განაზოგადა სხვა შემთხვევებზე.

ცალკეულ ართრონებზე საუბრისას სულხან-საბა ორბელიანი უფრო ხშირად აკონკრეტებს მათ ფუნქციას და თითოეულ აფიქსსა თუ მორფემას გარკვეულ სახელს უწოდებს. თუ ისინი ყოველ სიტყვას შეიძლება დაერთონ, მაშინ „ყოველთა სიტყვათა ართრონნი“ არიან, ან „ართრონნი მრავალრიგი“, როცა ერთი აფიქსი გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციით.

დანიშნულების თვალსაზრისით, ართრონები აგრეთვე შეიძლება იყოს „სამრავლო“, „გემოთა“, „მყოფობიდან გარდასულთა“, „სამნეოდან გარდადგინებულთა“, „სანოდებო“, „უქონლობისა და უყოლელობისა“, „საეჭვოთა ზედა გვარიან მყოფელი“, „შემატების ცხადყოფელი“, „ყოველთა დამხეობათა თავი“, „განყოფელობისა“, „ართრონვილთა სიტყვათა წარზიდულთანი“ და სხვ. (გენაძე 1969: 30).

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ -ა ართრონის ფუნქციაზე გამოხატოს მდედრობითი სქესი და ამასთანავე აღნიშნოს მდაბიოს, ცუდისა და პატარას მნიშვნელობები. ამ საკითხზე საუბრისას შევეხებით -კი ართრონის დანიშნულებასაც.

-ა ართრონზე საუბრისას საბა აღნიშნავს: „ანი არის პირველი ასო და ჳმიანი და ართრონი მრავალრიგად თავად და ბოლოდ მოვალს მრავალთა სიტყვათა ზედა, ვითარცა თავსა დაგვიწერია“ (იგულისხმება შესავალ ნაწილში ე. წ. „ღრამმატიკაში“ ბგერათა დახასიათება აფიქსური ფუნქციით) (საბა 1991: 35).

ლექსიკონში ეს ართრონი მრავალი ფუნქციით გვხვდება, მისი ერთ-ერთი დანიშნულებაა მდედრობითი სქესის წარმოება. ამ პრობლემაზე მსჯელობა ცალკეც გვხვდება შესაბამისი მაგალითების მოხმობით. ლექსიკურ ერთეულს „კაცის“ განმარტებისას საბა წარმოადგენს სახელთა მდედრობითი და მამრობითი სქესის ფორმებს და განარჩევს მათ მანარმოებელთა მიხედვით: „... ვიდრე ხუთ(ს) წლამდე ვაჟს(ა) ჩჩვილი და ქალსა ჩჩვილა ეწოდების, ხუთის წლით ვიდრე ათ წლამდე ვაჟსა – უსუარი და ქალსა – უსუარა; ...“ (საბა 1991: 359).

მან ნაცვალსახელის განმარტებისას ის კიდევ უბრუნდება ამ თემას და სქესს განარჩევს ნაცვალსახელებსა და ჳმნებს შორისაც. უძველესი (C) რედაქციის რამდენიმე ნუსხაში ამ ლექსემის ე. წ. ბუდე უფრო ვრცელია და შეიცავს ერთ საინტერესო მინაწერს: „ეგრეთვე ყოველივე საზოგადოდ სათქმელნი მამაკაცისა და დედაკაცისა განიყოფებიან სიტყვის ბოლოსა ნამეტნავისა მარცვალ-

თათა – ინი შეჰგვანდეს ანუ ანი, რომელიც(ა) მას სიტყვას(ა) კეთილად მოეზაოს, ანუ სხვა ასონი, იგი მოაზაონ“ (საბა 1991: 433).

სულხან-საბა ორბელიანი გრამატიკული სქესის გასარჩევად იყენებს ტერმინს „მამალ-დედლური“ ენა: „...ხოლო ქართულიცა ენა ითქმინა მამალ-დედლად უკეთუ ენებოსთ, რამეთუ პირვან-დედლთა წიგნთა შინა მრავალგან მინახვან ეგრე, მამალ-დედლურითა სიტყვით ნანერი...“

ეს ტერმინი გამოყენებულია ჯერ კიდევ XI საუკუნის გრამატიკულ ტრაქტატში „სიტყუაჲ ართრონთათჳს“: „სახელნი ... სამთა სახელის დებათაგან საცნაურ იქმნებიან და ინოდებიან ბერძენთა შორის, ესე იგი არს მამალთა და დედალთა და შუათაგან“ (შანიძე 1990: 132).

გრამატიკული სქესის წარმოება XI საუკუნის II ნახევრიდან უნდა იყოს შემოღებული კონსტანტინოპოლის ქართველ სქოლასტიკოსთა მიერ. ეფრემ მცირე მას „ახლად მოპოვნებულს“ უწოდებს: „შეისნავე მდიდრაჲ ახალ მოპოვნებულად დედალ-სიტყუად. რამეთუ დედაკაცი არს მომღებელი ჭიჭნაურისაჲ“ (დანელია 1986: 87).

გრამატიკული სქესის აღმნიშვნელი ტერმინი „მამალ-დედლური“ გვხვდება სხვა თხზულებებშიც. ესენია: ა) იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასული კრებული; ბ) თეოფილაქტე ბულდარელის იოანეს სახარების განმარტების თარგმანი; გ) ამ პრინციპს იცავს გრიგოლ ამარტოლის ხრონოგრაფის მთარგმნელიც; დ) ის გვხვდება არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილ პატრიარქ პოტის სჯულისკანონში.

სულხან-საბა კარგად იცნობს ძველ ქართულ ხელნაწერებს, იღებს იქიდან სათანადო მასალას, ერთმანეთის პარალელურად განიხილავს საპირისპირო სქესის ფორმებს და აკეთებს შესაბამის დასკვნას ქართულში გრამატიკული სქესის არსებობის შესახებ, თუმცა ერთგან იმასაც აღნიშნავს, რომ ეს დაყოფა მხოლოდ ფილოსოფოსთა ენაშია მისაღები: „ფილოსოფოსთა სიტყვითა მან მამლად ითქმის, ხოლო მანა – დედლად...“ (საბა 1991: 432).

საბა გამოყოფს მამრობით და მდედრობით სქესს და ერთ შემთხვევაში საშუალებაც საუბრობს: „ავი არაკეთილი, ავ ითქმის კაცისა ბოროტისათვის, ხოლო ავი ქალისა ბოროტისათვის და ჰავი ყო(ვ)ელთა სხვათა ბოროტისათვის“ ZAB (საბა 1991: 40).

აქ „ყოველთა სხვათა“, საფიქრებელია, რომ საშუალ სქესს აღნიშნავს.

ლექსიკური ერთეული „ჰავი“ დადასტურებულია ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც: „ჰავი – ცუდი, ავი „რომელსა სახელი ჰავი განსრულ იყოს“ (მ. ცხ. 26 V). სიჰავე — სიცუდე, უვარგისობა: „არავინ წარიღოს იგი სიჰავისაგან“ (მ. ცხ. 166 რ.).

„ჰავი“ ფორმა გვხვდება ადიშის ოთხთავის მინანქრშიც, რომელიც XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება: „ვისაც რაი (...) საქმესა ზედა ჰავი რაი დაგუემართოს, პირი თაუად მაცხოვარი და მთაუვარ მონამე ჩაინაშისა, მესამე ერთობილი ჰადიშისა ქუვეყანა იყოს“ (ჭუმბურიძე 1983: 117).

ჰავი – ბოროტი საქმე, ავი; როგორც ჩანს, სწორედ მსგავსმა კონტექსტმა შეუწყო ხელი სულხან-საბას გადაეაზრებინა ეს ფორმა როგორც საშუალო სქესისა: ავი საქმე და არა ავი ქალი, ან ავი კაცი.

საბა რომ სწორედ ასე მოისაზრებს ჰავის მნიშვნელობას, ეს ჩანს ლექსემა **ბოროტის** განმარტებისას, სადაც გამიჯნავს რა მას ბოროტისაგან, ასეთ განმარტებას იძლევა: ჰავი ესე იგი არს, რაი – იგი არა გენებოს, იგი გიყოს კაცმან. ბოროტი არს, რა კეთილი მოაკლოს C (საბა 1991: 111).

ლექსიკონში, ბგერების დახასიათებისას, სულხან-საბა **ჰ** ბგერას ნახევარხმოვნად მიიჩნევს (საბა 1991: 19). ამდენად, აღარ არის გასაკვირი, რომ სხვა ხმოვანთა დარად ისიც სქესის მანარმოებელ ართრონად მიიჩნიოს; **ჰ** აფიქსი ართრონის მნიშვნელობით მართლაც გვხვდება ლექსიკონის C რედაქციის ნუსხებში: „ჰ მეფე“.

„არამედ ბერძნულთა სიტყვათა ართრონნი უმრავლესი წინა კერძო დაუჯდება, ვითარცა თეოს- ო თეოს. ხოლო ქართულთა სიტყვათა უმრავლესი ბოლოს კერძო დაუჯდება და თავადაც მრავალი მოვალს ჰი ღმერთო, გინა ჰი უფალო და ეგევითარი მეფეთათვის ჰ მეფე“ (საბა 1991: 64).

აქ **ჰ** ბერძნული არტიკლის დარია, ესეც, როგორც ჩანს, ბერძნულთან მეტისმეტი სიახლოვისა და სიზუსტის სურვილმა დააწინააღმდეგა. შემდეგ კი, როგორც ქართული ენისათვის მიუღებელი მაგალითი, ამოულია განმარტებიდან. A რედაქციაში ეს ფრაზა საერთოდ აღარ ჩანს. აქ ლექსიკოგრაფი დაკმაყოფილდა მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ართრონნი ბერძნულსა და ლათინურში ერთ რიგზე განწყობით არიან, ხოლო ქართულში კი „წინა-უკმო“.

ა ართრონი, როგორც მდებარეობითი სქესის მანარმოებელი, დაერთვის:

ა) საზოგადო სახელებს:

უფალი – უფალა; ქურივი – ქურივა; მეფე – მეფა; წინასწარმეტყველი – წინასწარმეტყველა; მონაზონი – მონაზონა; მოყვასი – მოყვასა.

სახელებს, რომლებშიც ლექსიკურად ისედაც არის გამოხატული სქესი:

1. ცოლა; ნუსადია – ბიძას ცოლა.
2. ასულა; მონაკა – ნასყიდი ასულა.

(თუმცა აქ არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ისინი შესაძლოა კინოზომების ფორმები იყოს; შდრ.: ქალი – ქალა).

ბ) ნაცვალსახელებს: მან – მანა; იგია – იგიაა ;

გ) ზმნებს: მოვიდა – მოვიდაა; წავიდა – წავიდაა ;

ეს მაგალითები წყაროს მინიშნების გარეშეა წარმოდგენილი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ისინი ამოღებული უნდა იყოს იოანე ქსიფილინოსის ქართული თარგმანის მეტაფრასული კრებულიდან.

საყურადღებოა ნათესაობის ლექსიკაც, სადაც ზოგან ლექსი-კურად, ზოგან კი ფორმოზრივადაც არის გარჩეული სქესი: ბიძია – დედის ძმა; ნუსადია – ბიძას ცოლა; რძალი – ძმის ცოლი; სძალი – ძის ცოლი. სძლად ითქმის მამისაგან ძმის ცოლი.

„სძალი“ გვხვდება ძველი ალექსის წიგნებშიც: „ჰრქუა ნოომან სძალსა თუსსა“ (რუთისი 2,20G) შდრ.: რუთისი 2.20M – „ძის ცოლსა“.

ყურადღებას იქცევს შემდეგი ფორმები:

ბებია – ჰანი, რომელ არს მამის(ა) დედა Z;

ბებია*ა*/ი – დედის დედა ZA;

პაპა – მამის მამა;

პაპაი (პაპი) – დედის მამა.

აქაც –ა და -*ა*/ი აფიქსები წარმოაჩენენ ნათესაობას დედის მხრივ.

სულხან-საბა აღნიშნავს: „ეგრეთვე ყოველივე საზოგადოდ სათქმელნი მამაკაცისა და დედაკაცისა განიყოფებიან სიტყვის ბოლოს ნამეტნავისა მარცვალთათა – ინი შეჰგვანდეს ანუ ანი, რომელიც(ა) მას სიტყვას(ა) კეთილად მოეზაოს, ანუ სხვა ასონი, იგი მოაზაონ“ (საბა 1991: 433).

მიუხედავად ამისა, რომ მანარმოებლების განაწილების პრინციპი მოძებნილი არ არის, შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე სახის ოპოზიცია მამრობითი და მდედრობითი სქესის მანარმოებლისა:

1. **ი** — **ა** ოპოზიცია; საბა უმრავლეს შემთხვევაში მდედრობითი სქესის **ა** მანარმოებლის საპირისპიროდ მამრობითი სქესის სუფიქსად მიიჩნევს -**ი** ართრონს:

ქურივი – ქურივა; ჩჩZლი – ჩჩZლა; უსუარი – უსუარა;

ი ბგერის ამ ფუნქციით წარმოდგენა მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ, რომ სულხან-საბას იტალიელ მისიონერთა მსგავსად -**ი** სახელობითი ბრუნვის ნიშნად არა აქვს გამოყოფილი. თავისი ენობრივი ალღოს წყალობით საბამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სისტემის შესაქმნელად მას ბუნებრივად დააკისრა ახალი ფუნქცია.

2. Ø –ა; Ø — ი ოპოზიცია; მამრობითი სქესის სახელები უნიშნობით უპირისპირდებიან საპირისპირო ფორმებს: მან – მანა; ავ – ავი;

3. ა – ე ოპოზიცია. ა) ა ხმოვანზე ფუძეგათავებული სახელები საპირისპირო მდებარეობით სქესის ფორმას ე-ის დახმარებით იწარმოებენ: მონა – მონაე; ყრმა – ყრმაე; ბ) ზმნებში: მოვიდა – მოვიდაე; წავიდა – წავიდაე.

ივანე ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ძველ ქართულ ხელნაწერებში -ე თითქოს მდებარეობის სქესის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. თუმცა, არც იმას გამოორიცხავდა, რომ -ე ობიექტის ნიშნად შეიძლება მიგვეჩინა (ჯავახიშვილი 1992: 167).

საბასთან გვხვდება სქესის ორმაგი წარმოების შემთხვევებიც:

მოხუცებული – მოხუცებულა || მოხუცებულა (B).

როგორც ჩანს, მოხუცებულა ფორმოებრივად ემთხვეოდა ზმნის პირიან ფორმას და აღრევის თავიდან აცილების მიზნით საბამ მას -ე დაურთო B რედაქციაში.

სულხან-საბა იმეორებს პეტრინონული სკოლის ტრადიციას და ცდილობს, ლექსიკონში ადგილი მიუჩინოს ძველ ქართულ ხელნაწერებში არსებულ აშკარად ხელოვნურ ფორმებს. ლექსიკური ერთეულების უმრავლესობა მონოდებულია წყაროების მინიმუმებით, მაგრამ ამ პროცესის სისტემატიზაციის მიზნით ლექსიკოგრაფი დამატებით თავის საკუთარ მაგალითებსაც გვთავაზობს და ხშირად ამა თუ იმ სიტყვის ახსნის დროსაც -ა სუფიქსიან მდებარეობით სქესის სახელს იყენებს:

ნუსადია – ბიძას ცოლა.

დედათდიაკონი – ახალი მონაზონა ZA || ახალი მონაზონი B.

მონაკა – ნასყიდი ასულა.

დედათ დიაკონი – ქალწული მონაზონათ უფროსი.

უკანასკნელ მაგალითში „მონაზონათ უფროსი“ -ა აფიქსი მრავლობითშიც შენარჩუნებულია.

საბამ -ა სუფიქსიანი სახელები შეიტანა ლექსიკონში, და მათ ანალიზსაც შეეცადა, რადგან: 1) ის ფილოსოფოსთა ენისათვის იყო დამახასიათებელი და მას, როგორც „ზეშთა“, „სნორი“ და „დამხე“ სიტყვათა მომხრეს, არ შეეძლო მსგავსი ფორმები არ გამოეყო; 2) საფიქრებელია, რომ ლექსიკოგრაფი -ა აფიქსს ხელოვნურად, ან უცხო ენიდან შემოტანილად კი არ მიიჩნევდა, არამედ ძირეულ, ქართულ აფიქსად. შესაბამისად, ასეთი ფორმები საკმაოდ ბუნებრივად ერგებოდა, ამიტომაც განავრცო ლიტერატურულ წყაროებში დადასტურებული მასალა საკუთარი მაგალითებით და შეეცადა სქესის მანარმოებელთა განაწილების პრინციპის დადგენას.

მდედრობითი სქესის -ა სუფიქსის წარმოშობის შესახებ განსხვავებული აზრია გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში, ერთნი მას ბერძნულიდან მომდინარე აფიქსად მიიჩნევენ (გიგინეიშვილი, კიკვიძე 1966: 155; დანელია 1986: 87; სარჯველაძე 1984: 245). კ. დონდუა კი ფიქრობს, რომ ეს სუფიქსი ქართული წარმოშობისაა (დონდუა 1967: 167-182).

ამ ტიპის მასალის განხილვამ და ანალიზმა გვაფიქრებინა, რომ -ა სუფიქსის მდედრობითი სქესის მანარმოებლად გაფორმებას ხელი შეუწყო ქართულში უკვე არსებულმა -ა სუფიქსიანმა კნინობითის ფორმებმა, რომლებიც გამოხატავდნენ ცუდს, მდაბიოს, სოციალურად დაბლა მდგომს, სწორედ ეს მნიშვნელობა გახდა ამოსავალი -ა სუფიქსის გამოყენებისა ელინოფილურ სკოლაში მდედრობითი სქესის აღსანიშნად.

ამ მხრივ ჩვენი ყურადღება მიიქცია სამმა მაგალითმა: **ცოლა, ჭაბუკა, ყრმაჲ**.

1. **ცოლა** (ბიძას ცოლა – ნუსადია). ლიტერატურული წყარო მითითებული არ არის; ცოლი ლექსიკურად ისედაც გამოხატავს მდედრობით სქესს, ამიტომ **ცოლას** წყაროში კნინობითის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და არა მდედრობითი სქესისა.

2. **ჭაბუკა** ლექსიკონში განმარტებულია როგორც „ოცი წლისაგან ვიდრე ოცდაათ(ა)მდე ქალი; თუმცა, ძველ ხელნაწერებში **ჭაბუკას** გაცილებით ფართო მნიშვნელობა აქვს: **ჭაბუკა** — ყრმა, ახალგაზრდა, ყმანვილი, მონა. **ჭაბუკი** – **ჭაბუკა ZAA** (აბულაძე 1973: 555).

ლექსიკონში -იდ სუფიქსიანი მდედრობითი სქესის ფორმა მხოლოდ ერთხელ, ლექსიკონის ბოლო რედაქციაში გვხვდება:.

მსგავსი ფორმები დასტურდება გელათის ბიბლიაში. ვფიქრობთ, სულხან-საბასათვის ისინი აშკარად ბერძნიზმები იყო, ამიტომ აღარ გააგრძელა მასზე მსჯელობა.

შესაბამის წყაროში (რუთ, II, 20M) ეს ფორმა მართლაც ქალის აღსანიშნავადაა გამოყენებული: „ვინ არის ჭაბუკა ესე?“ გელათის ბიბლიაში შესაბამის ადგილზე გვხვდება **ჭაბუკი**: „ვინ არს **ჭაბუკი** ისი?“ (მდრ. ოშკის ბიბლია, ათონის ხელნაწერი: „ვინ არს ჭაბუკი ესე?“)

ჭაბუკი ახალგაზრდის აღმნიშვნელი გაუდიფერენცირებელი ფორმა უნდა ყოფილიყო, ხოლო **ჭაბუკა** მისი კნინობითი ვარიანტი, რომელიც ასაკობრივ სიმცირეს ან სოციალურ მდგომარეობას აღნიშნავდა, სწორედ ეს ფორმა გადაიაზრეს შემდგომში ელინოფილური სკოლის წარმომადგენლებმა მდედრობითი სქესის მნიშვნელობით, რადგან მოცემულ ტექსტში მართლაც ქალზე იყო საუბარი.

მსგავსი გადააზრება მოუხდენია სულხან-საბასაც.

ზ. სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში (სარჯველაძე 1995: 272) ჭაბუკა განმარტებულია როგორც ახალგაზრდა ქალი, თუმცა იქვე XI საუკუნის დიდი სვინაქსარიდან მაგალითია მოყვანილი: „დაშთა ჭაბუკა ჰასაკითა“.

ძალზე საყურადღებოა ლექსემა **ყრმა**. აქ მდებარეობითი სქესის ორგვარ წარმოებასთან გვაქვს საქმე იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობას იტევს თავად **ყრმა**:

„**ყრმა** – მონა, გინა შეგირდი“ ZAB.

„**ყრმა** – (+ კათილ. ZA) შაგირდსა უწოდენ“ ZABC.

„**ყრმა** – ვაჟი ათის წლიდან ვიდრე თხუთმეტამდე“ (BC).

როდესაც „ყრმა“ მონისა და შეგირდის მნიშვნელობითაა, მაშინ მისი შესაბამისი მდებარეობითი სქესის ფორმაა **ყრმაა** – მწევალი, - ა სუფიქსით ნაწარმოები, სადაც ეს -ა ალბათ სქესთან ერთად სოციალურ მდგომარეობასაც აღნიშნავს – „მდაბიოს“.

ამას გვაფიქრებინებს პარალელური წარმოება: როცა ყრმა ათიდან თხუთმეტ წლამდე ვაჟს აღნიშნავს, მაშინ მისი შესაბამისი ფორმა C რედაქციაში არის ყრმაა, „მამალ-დედლურითა ენითა ვაჟისათვის ითქმის ყრმა და ქალისათვის ყრმაა, მონისათვის – ყრმა (+ და ZA), მწვლისათვის – ყრმაა. მონათა ანუ ყრმათა სუბუქ სახელად ყრმააკი ZAB. ყრმაა – მწევალი ZAB“ (საბა 1993: 271).

ერთ ლექსიკურ ერთეულიდან სულხან-საბამ მდებარეობითი სქესის ორი პარალელური ფორმა მოგვცა ამოსავალი მნიშვნელობის გათვალისწინებით: 1) ყრმა – ყრმაა; 2) ყრმა – ყრმაა || ყრმაა (BA), რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს მისი დაკვირვების უნარს და ანალიზური მიდგომის მცდელობას ძველი ქართული ხელნაწერებისადმი.

ლექსიკონში **ყრმა** და **ჭაბუკი** ახალგაზრდის აღმნიშვნელი სინონიმებია, როცა აღნიშნავენ, ყრმას კი სხვა მნიშვნელობაც აქვს – მონა, შეგირდი.

ლექსიკონში დასტურდება -ა სუფიქსიანი კნინობითის ფორმები: გორა – მცირე ბორცვი ZABCab; ბოგა – მცირე კიდი ZAB; კალათა – მცირე გოდორი ZABCD.

საგულისხმოა, რომ მსგავს შემთხვევებში -ა ართრონად არსად არ არის გამოყოფილი, საბა არ მიუთითებს ა-ს სიმცირის აღმნიშვნელ ფუნქციაზე, არც ი – ა ოპოზიცია გვაქვს მანარმოებელთა გამოყოფის თვალსაზრისით.

როგორც ჩანს, -ი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს სუფიქსი, თუ ის მამრობითი სქესის აღმნიშვნელია (და ისიც მხოლოდ ფილოსოფოსთა ენისათვის B), დანარჩენ შემთხვევაში კი გაიაზრება ფუძისეულად. ამიტომ, ბუნებრივია, ძირეულად მიჩნეულია ა-ც „გო-

რა“ ტიპის სიტყვებში და, ლექსიკოგრაფის აზრით, ისინი მხოლოდ ლექსიკურად გამოხატავენ სიმცირეს.

-ი მორფემა შუა საუკუნეების გრამატიკული ტრადიციის თანახმად ფუძისეულად გაიგებოდა, იტალიელ მისიონერთა გრამატიკულ ნააზრევშიც -ი არ არის სახელობითი ბრუნვის ნიშნად გამოყოფილი და ამის გამო, მოთხრობითშიც კი, რომელსაც კათოლიკე მისიონერი მეორე სახელობითს უწოდებს, -ი შენარჩუნებულია: ბიჩი – ბიჩიმა (მაჯო 1983: 515). როგორც ჩანს, საბაც სწორედ ასე მოისაზრებს -ი ბგერის ადგილსა და ფუნქციას იმ სიტყვებში და თუ -ი ფუძისეულია და ვერ გამოიყოფა იგი აფიქსად, ბუნებრივია, მას ვერ შეენაცვლება -ა სუფიქსი განსხვავებული ფუნქციით. სწორედ ამიტომ საბა კმაყოფილდება ლექსიკური აღწერით და ამ ბგერას სიმცირის გამომხატველ ართრონად არ გამოყოფს. თუმცა, განმარტებებისას ძალიან ხშირად წარმოადგენს -ა სუფიქსიან სახელებს სიმცირის მნიშვნელობით:

გორი – ბორცვი ZABC; გორა – მცირე ბორცვი ZABCab; გორაკა – ბორცვი უმცირესი B.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ხარისხის ფორმებია გარჩეული ერთმანეთისაგან.

ამ სემანტიკური ჯგუფის სახელების განხილვისას არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ -კი ართრონიან ფორმებზე, რომლებსაც მსგავსი მნიშვნელობის გამოხატვა შეუძლიათ.

„კი, ში, ყე, ქუე, ქე, ნენ, კენ C (კი DE) ესენი სიტყვათა გემოთა ართრონიანი არიან... (+ კვალად კი ითქმის ცუდად: წიგნაკი, შვილაკი, დებორაკი და რაისაცა ზედა გინდა სიცუდედ მოვალს, რომელნიმე სიმდაბლით დაირქვამს ZAa) ZA“ (საბა 1991: 370-37).

ნათელია, რომ -კი ართრონის ფუნქციაა გამოხატოს ცუდი, მიუხედავად იმისა, ეს საგნის ან მოვლენის გარეგნულ მხარეს ეხება თუ შინაარსობლივს.

-კი ართრონს სიმცირის გამოხატვის ფუნქციაც აქვს.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში საკმაო რაოდენობით დასტურდება როგორც -აკ სუფიქსიანი ნასესხები ლექსიკა, ისე საკუთრივ ქართული.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საბა ორივე შემთხვევაში -კი სუფიქსს კნინობითის გამომხატველად მიიჩნევს და პარალელური ფორმების წარმოდგენისას მის განმასხვავებელ ფუნქციაზე ამახვილებს ყურადღებას: „დანა არს უდიდეს „ყოველთა კორცისა მოსათლელი; დანაკი – უმცრო მისსა და ზომიერი ZA“ (საბა 1991: 195). „კასრი არს მომცრო სახლი სამეფო თავის – წინ საჯდომელი, ხოლო კასრაკი – უმცირესს მისსა (საბა 1993: 77); ლიბარდა – (ჰ)რომაულად შუბს(ა) ეწოდება. ხოლო ლიბანდა კი ქართულში

ამისთვის მოუყვანიათ, მოკლე შუბაკი Z (საბა 1991: 414). ტაბლი – საქორე ნალარა ZAB; ტაბლა კი – მცირე ნალარა ZABCD (საბა 1993: 130). მსგავსი მაგალითები ლექსიკონში მრავლადაა.

ამ მხრივ აღსანიშნავია იტალიელი მისიონერის სტეფანი პაოლინის და ნიკიფორე ირბაქის იტალიურ-ქართულ ლექსიკონში დადასტურებული ერთი ლექსიკური ერთეულის განმარტება: **მუშა** – operario, lavorante, **მუშაკი** – lavorante (პაოლინი 1983: 360).

მუშა — (operaio) იტალიელ მისიონერს თითქმის თანამედროვე გაგებით აქვს მონოდებული განმარტება: — рабочий, служащий; lavorante – служащий; მუშაკი – (lavorante – служащий) (Итальянско-русский словарь, 1963: 554; 464).

საბას აზრით, ფორმოზრივად განსხვავებულმა და პარალელურად არსებულმა სიტყვებმა აუცილებლად სემანტიკური სხვაობაც უნდა მოგვცენ. ამდენად, თუ ნასესხებ სიტყვას -აკ სუფიქსიანი ცალი არ გააჩნია, ქართული ქმნის მას: ლიბარდა – ლიბანდაკი.

საბას ლექსიკონში, ბუნებრივია, -აკ სუფიქსიანი ნასესხები სიტყვების გვერდით წარმოდგენილია საკუთრივ ქართული ენის ლექსიკა: სახლი (12, 3 იონე). სახლი ზოგადი სახელი არს ყოველთა სახლთა, არამედ ყო(ვ)ელთა სხვადასხვა რიგთა სხვადასხვა სახელი სძეს ZA; სახლაკი – მცირე რამ სახლი ZAB საბა 1993: 76).

გოდორი – წკეპლის ჭურჭელი ZABCab; **გოდორაკი** – უმცროსი გოდორი ZA. **კიდობანი** – (25, 10 გამოს. ZAa) ზანდუკი ZA; **კიდობანაკი** – ზანდუხჩა ZA.

საბას არც ის გამოორჩენია, რომ ქართულ წყაროებში ეს სუფიქსი დაერთვის ლექსიკურად ისედაც სიმცირის აღმნიშვნელ სიტყვებს, ბუნებრივია; ისინი აისახა საბას ლექსიკონშიც.

მცირე (22, 19) ცოტაა ZA; ცოტა(ი) Bcb; მცირეკა, ცოტა Cq.

მცირეკი – მცირე ცუდა ZAa (საბა 1991: 540). ეს უკანასკნელი ფორმა საკუთრივ საბასია; წერილობით ძეგლებში გვხვდება მცირეკი.

არამ მარტიროსოვი ვარაუდობს, რომ მცირეკი და კინაკი სულ პატარას, სულ მცირეს მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული (მარტიროსოვი 1978: 110).

კინობით სახელთა წარმოების მხრივ უფრო ღარიბად გამოიყურება ძველი ქართული, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ V-XI საუკუნეების სალიტერატურო ენა სასულიერო მწერლობის ენა იყო და ძირითადად მის სტილს ემსახურებოდა. -აკ სუფიქსიანი სახელებთან შედარებით -აკ სუფიქსით ნაწარმოები სახელები ძველ ქართულში უფრო მეტია (მარტიროსოვი 1978: 109-110). უმრავლესობა ამ ტიპის სახელებისა უცხო ენიდან არის ქართულში შემოსული და დამკვიდრებული.

სპარსულში -აკ სუფიქსის ფუნქცია მრავალგვარია: „Суффикс -а(ка) в древнеиранском образовывал имена прилагательные, а также доминативы от имен существительных. Он мог прямо присоединяться к глагольной или именной основе. ... ()ка – по видимому еще в древнеиранском использовался также для образования имен деятеля от глагольных основ" (Асатрян 1989: 8).

ქართულში ამ ტიპის სახელებია: დანაკი, მუშაკი, დორაკი, ავაზაკი, ფათერაკი, ბანაკი, ხანდაკი და სხვა. ამ ტიპის სახელთა ერთ ნაწილს ძველ ხელნაწერებშივე მოეპოვებათ პარალელური ფორმები: დანა, მუშა, დორა...

ნასესხები ლექსიკის გვერდით ქართულ წერილობით წყაროებში დასტურდება -აკ სუფიქსით ნაწარმოები საკუთრივ ქართული სიტყვები: სახლაკი, მცირეაკი, შვილაკი და სხვა... „ამგვარი ფორმები ძვ. ქართულში შეიძლება წარმოქმნილი იყოს სპარსულიდან შემოსული -აკ სუფიქსის მქონე სიტყვების ნაბაძვითა და ამ სუფიქსის სესხების გზით“ (მარტიროსოვი 1978: 117).

საშუალ ირანულში -აკ სუფიქსი გვხვდება კინობით-ალერსობითი ფუნქციით (ჩხეიძე 1969: 44). ქართულშიც, ისე როგორც სომხურში (შილაკაძე 1971: 100), ეს სუფიქსი დღეს სიმცირის მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვებს.

როგორც აღვნიშნეთ, -კი ართრონის მთავარი ფუნქცია, საბას განმარტების მიხედვით, სიცუდის, სიმდაბლის გამოხატვაა; „კუალად კი ითქმის ცუდად. ნიგნაკი, შვილაკი, დებორაკი და რაისაცა ზედა გინდა სიცუდედ მოვალს, რომელიმე სიმდაბლით დაირქვამს ZAA)ZA"

ნიგნი – წერილთაგან ერთი ZABCD; ნიგნაკი – ნიგნცუდა ZABCD.

ციბა – ასაკმცირე ძალი ZABCD; ციბაკი – ციბაცუდა ZAB.

შვილი – ნაშობი ZABC; შვილაკი – ცუდშვილა ZAa.

ავშარა – ქორაკი ZABCab; ავშარაკი – თოკის ავშარა ცუდი ZABC.

ბაზმა – სანათი ZABCab; ბაზმაკი – (-25, 10 იერემ ZAa) სანათივე „არაკეთილი“ B.

მცირე – ცოტაა ZA; მცირეკი – მცირე ცუდა ZAa.

ძველი ქართული ხელნაწერების გულდასმით შესწავლამ, -აკ სუფიქსიან სახელებზე დაკვირვებამ საბა მიიყვანა სწორედ იმ დასკვნამდე, რომ ამოსავალი ფუნქცია ამ აფიქსისა სიმდაბლის გამოხატვაა და აქედან გადააზრებული – ცუდი.

ქართულ წერილობით ძეგლებში -აკ სუფიქსიან სახელებს ზოგჯერ თან ახლავს მსაზღვრელი, რომელიც საზღვრულის სიმცირეს დამატებით წარმოაჩენს. იაკობ ცურტაველი შუშანიკის შე-

სახებ გვამცნობს: „სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობლად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა სიმნართა სავსეა...“ (ქართული მწერლობა 1987: 226).

შეიძლება აქ -აკ სუფიქსიანი სახელი უბრალო, მდაბიოთა შესაფერ სადგომს აღნიშნავს და არა პატარას.

თუმცა არც ის არის უგულებელსაყოფი, რომ უბრალოდ მხატვრულ ხერხთანაც გვქონდეს საქმე.

საბას ცალკე ლექსიკურ ერთეულად აქვს გამოტანილი **ყრმააკი** (41, 1 იერიშია) – **ყრმაცუდა**. მონათა ანუ ყრმათა სუბუქ სახელად ყრმააკი ZAB".

საბა იმონებს იერემიას წინასწარმეტყველებას, მითითებულ ადგილას ვკითხულობთ: „და იყო თთუესა მეშვდესა, მოვიდა ისმაილ, ძე ნათანისი, ძისა ელისამაძისი, ნათესავისაგან მეფობისა და ყრმაკნი მეფისანი და ათნი მამაკაცი მათ თანა გოდოლიაჲს მიმართ მასიფად... და ჭამეს მუნ პური ზოგად“ (იერემია 19 M 41, 1). შემდეგ საუბარია იმის შესახებ, რომ მათ მოკლეს გოდოლიაჲ, რომელიც დაადგინა ბაბილონის მეფემ „ქუეყანასა ზედა“ (იერემია 19 M 41, 2). ამ ეპიზოდში აშკარაა მთხრობელის უარყოფითი დამოკიდებულება ნათანის ძისა და მისი დიდებულებისადმი. ეს -აკ სუფიქსიც სწორედ ამ უარყოფითი ემოციის გამოხატულებაა.

შესაძლებელია -აკ სუფიქსის ერთ-ერთი ძირითადი და თავდაპირველი ფუნქცია მართლაც მდაბიოს, უბრალოს, ცუდის გამოხატვა იყო და არა საგნის სიმცირის აღნიშვნა. ე.ი. აქცენტირებული იყო შინაარსი და არა ფორმა: მდაბიო, უბრალო და აქედან გადაზრებული ცუდი.

საბა სიტყვის ფორმაზე საუბრისას ხშირად განარჩევს საღვთო წერილითა თქმულსა თუ გარეშე წერილითა, მსოფლიო ენითა თქმულსა თუ გლეხურს.

-კი ართრონის ერთ-ერთ ფუნქციადაც საღვთო და გარეშე წერილითა გარჩევა მიიჩნია: „ხორშაკი საღმრთო წერილში ძეს და ხორშა გარე წერილსა შინა“. ე.ი. სიტყვა სრული სახით სასულიერო თხზულებებშია, ხოლო მოკვეცილი სახით – საეროში (შანიძე 1959: 13-17).

ეს დაკვირვება საკმაოდ საინტერესო ფაქტზე მიგვითითებს: როგორც ჩანს, პირველად საერო მწერლობაში დაწყებული -აკ სუფიქსის ბოლოკიდური -კ-ს მოკვეცის პროცესი, რადგან სასულიერო მწერლობა ძველი ტრადიციების დამცველია.

პარალელური ფორმების გაჩენას, ბუნებრივია, მათი მნიშვნელობების განსხვავებაც უნდა მოჰყოლოდა.

ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უძველეს პერიოდში როცა გამარტივდა — -აკ სუფიქსი და გაჩნდა პარალელური

ფორმები -ა და -აკ სუფიქსიანი სახელებისა (დანაკი – დანა, მუშაკი – მუშა), -ა და -აკ სუფიქსებს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდათ. -ა გამოხატავდა საგნის ფიზიკურ სიმცირეს, ხოლო -აკ სუფიქსის ფუნქცია იყო მდაბიოს, ცუდის აღნიშვნა. დროთა განმავლობაში ორივე სუფიქსმა პარალელურად შეძლო ერთი და იმავე მნიშვნელობის გამოხატვა.

საბას დროისათვის -აკ სუფიქსიანი სახელებს უკვე დაკარგული აქვს ცუდის მნიშვნელობა. ძველ ტექსტებზე დაკვირვებამ კი ლექსიკოგრაფს წინ ნამოწვევინა მისი უძველესი დანიშნულება.

-კი ართრონიანი ფორმების მდაბლის, ცუდის მნიშვნელობით განმარტების მიუხედავად, ლექსიკონში გვხვდება -აკ სუფიქსიანი სახელები სიმცირის გაგებით. ეს წინააღმდეგობა სწორედ ტრადიციისა და საბასდროინდელი სამეტყველო ქართულის შეპირისპირების შედეგია.

ამდენად, ვფიქრობთ, რომ სწორედ -ა (-აკ) სუფიქსის უძველესი დანიშნულება გახდა საფუძველი მისი მდებრობითი სქესის მანარმოებლად გადააზრიანებისა.

ელინოფილურმა სკოლამ შექმნა ბერძნული ენის გავლენით ქართულში მდებრობითი სქესის ფორმები -ა სუფიქსის დახმარებით, რასაც, ჩვენი ვარაუდით, ხელი შეუწყო ენაში უკვე არსებულმა კნინობითის ფორმებმა (ჭაბუკა, ქათამა ტიპისა), რომლებიც გადაიზარეს სქესის გამოხატველად და შექმნეს აშკარად ხელოვნური ფორმები.

ცოტა რამ ლიტერატურული წყაროების შესახებ:

ბუნებრივად დავუშვით, რომ ძირითადი წყარო ლექსიკონისათვის უნდა ყოფილიყო ბიბლიის მცხეთური ხელნაწერი (A-51), რადგან მას რედაქცია გაუკეთა სულხან-საბა ორბელიანმა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მითითებულ ადგილზე მსგავსი ფორმები არ შეგვხვდრია. ლექსიკონი უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს გელათური რედაქციის სხვა ხელნაწერებთან (A-1108; Q-1152), თუმცა, არც მათ მიჰყვება ბოლომდე.

გელათურ რედაქციაში სიტყვა „მონა“ უმრავლეს შემთხვევაში შეცვალა **ყრმამ**, იშვიათად გვხვდება **ჭაბუკი** და უფრო იშვიათად **მრწემი**, საბას ლექსიკონშიც მონას მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს დარჩენილი: „**მონა** – ნასყიდი ვაჟი ZAB (+10, 24 მათე), გინა ნამზითვი“ უფრო ხშირად და ფართო გაგებით კი გვხვდება ყრმა და ჭაბუკი.

ეს ერთხელ კიდევ გვაფიქრებინებს, რომ გარდა ბიბლიის მცხეთური ხელნაწერისა, საბას ხელთ სხვა წყაროც უნდა ჰქონოდა, ასევე გელათური რედაქციისა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლექსიკონი შეიქმნა ძველი ქართული მეცნიერული აზრის გათვალისწინებით, ამასთან არ უნდა დაგ-

ვაგინყდეს ისიც, რომ ეს ეპოქა იტალიელი მისიონერების მოღვაწეობითაა ცნობილი. მათ მიერ შექმნილი გრამატიკები თუ ქართულ-იტალიური ლექსიკონები საბასთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. ის, ბუნებრივია, იცნობდა მათ ნაღვანსაც და პირადად იტალიელ პატრებსაც ძალიან კარგად, ამდენად, ჩვენთვისაც საყურადღებოა მათი მოღვაწეობის შესწავლა თუნდაც საბას ერთ-ერთი ლიტერატურული ნყაროს გამოვლენის თვალსაზრისითაც. უნდა აღინიშნოს, რომ არც ფრანჩესკო მარია მაჯოს ქართული ენის გრამატიკაში, არც ბერნარდო მარია ნეაპოლელის იტალიურ-ქართულ და ქართულ-იტალიურ ლექსიკონებში გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდაც კი არ არის, მაგრამ აი, სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირბაქის ქართულ-იტალიურ ლექსიკონში არის რამდენიმე ლექსიკური ერთეული გარჩეული გრამატიკული სქესის მიხედვით. აქ დადასტურებულია მხოლოდ ერთი ფორმა მდებდრობითი სქესის – ა სუფიქსის აღნიშვნისა:

პატრონა – Padrona, Signora

პატრონი – Signore, Padrone (პაოლინი 1983: 368).

დანარჩენ შემთხვევაში კი მდებდრობითი სქესი აღინიშნება ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილი ფორმით:

სოფლელი – სოფლელისა (სოფლელი ქალი) Villano – Villana (პაოლინი 1983: 384).

გლეხი – გლეხისა (გლეხი ქალი) Contadino – Contadina (პაოლინი 1983: 309).

სქესის მსგავსი გამოხატვის ცდა ალბათ ნიკ. ირბაქის იდეა უფრო იქნებოდა. ნათესაობითი მდგარი ფორმა ქმრის, მისი გვარისადმი კუთვნილების გამოხატველი იყო (ზარიძე 1999: 227).

მსგავსი ფორმები საბას ლექსიკონში დადასტურებული არ არის, აქ ართრონზე და მასთან ერთად გრამატიკულ სქესზე ყველაზე ვრცლად საუბარია B რედაქციაში. ადრეულ ნუსხებში დადასტურებული მსჯელობანი აქ უფრო გაშლილი და სრულყოფილია.

A რედაქციის ხელნაწერებში კი, სამწუხაროდ, შეკვეცილია ამ საკითხებზე მსჯელობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ B რედაქცია გრამატიკული ნაზრევის შესწავლის თვალსაზრისით ყველაზე საყურადღებო მასალას მოგვცემდა, რომ არ დაკარგულიყო მისი დანართი „სასწავლო ყრმათა“.

ამ აზრს გვიძლიერებს ისიც, რომ რედაქციის კვალი ეტყობა მაკრინესეულ ხელნაწერს (A-1113), სადაც „გრამატიკა რომელობანია“ შემორჩენილი.

ბუნებრივია, სულხან-საბასათვის ნათელი იყო, რომ სქესის გრამატიკული გამოხატვა ქართული ენისათვის აშკარად ხელოვ-

ნურია. გრამატიკული სქესის გარჩევა ქართულისთვის მხოლოდ შესაძლებელ მოვლენადაა აღიარებული და არა აუცილებელ, ენის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე მორფოლოგიურ კატეგორიად (ბოლქვაძე 2005: 152) ლექსიკოგრაფის პრინციპი ერთია: ენაში არსებული ფორმები უნდა დაფიქსირდეს ლექსიკონში, იმის მიუხედავად, რომელ სტილს ეკუთვნის ის, მისაღებია თუ არა ის საზოგადოების რომელიმე ფენისთვის.

როგორი ხელოვნურიც უნდა იყოს სქესის კატეგორიის გამოკვეთის ცდა ქართულში, მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მეცნიერული აზრის შესწავლისათვის.

ლექსიკონში დადასტურებულია -აკ სუფიქსის სიტყვათგანმასხვავებელი უნარიც. მისი დართვა ცვლის სიტყვის მნიშვნელობას.

ჭალა – წყლის პირი ნაყოფიერი ZAB.

ჭალაკი – (23.2 ესაია) კუნძული, მიწა, წალა ZAB.

ქანდა – ოქროს ვარაყი ZABcDE; ქანდაკი – ამოყვანილი, მიწა ამოჭრილი ZA.

ტაფი – საგბოლველი || ტაფა ZABC; ტაფაკი – (+4,3 ezes ZAa) ZABCq – მოსახარშავი Cab.

ზუარა (ზვარა CDE) შეწირული ZABCDE; ზუარაკი – ნასუქარი ZA, ნასუქარი ჳბო, გლახა || გლახაკი – გინა დაშავებული ZA. გლახაკი – ესე არს მამა-დედით უქონელნი, ხოლო დავრდომილი, რომელი სიმდიდრისაგან დაცემულ იყოს ZABCD.

ბუნი (+37,17 გამოს. ZA) შუბის ტარი ZABCE. ბუნიკი – ჳრმლის ქარქაშის სათიჯარი Z.

აგარა – სადგური საზაფხულო ZAC. აგარაკი (მათე, 27,10) ესე არს ადგილი საყანური.

საბასთან დადასტურებული -კი ართრონი ზუსტად იმავე ფორმით გვხვდება როგორც ზურაბ შანშოვანის გრამატიკაში: „საკნინო-ნიგნაკი“, ისე ანტონ ბაგრატიონთანაც: „რომელნიმე ზენოდებულ კნინობითად კნინად მნიშნუწლობისათჳს მათისა მაგალ: აკი, კი, აგი, ალი... მარცულაკი, მცუწლი, გუშაგი...“ (ბაგრატიონი 1997: 142).

ნათელია, რომ ორივეს წყარო შესაძლებელია საბას ნაზრევი იყოს; სულხან-საბა ორბელიანი ძველ ქართულ ხელნაწერებს გრამატიკოსის თვალთ განიხილავს. იგი ლექსიკური ერთეულის დამონმებასთან ერთად მის ფორმობრივ ანალიზსაც ცდილობს და, შეძლებისდაგვარად, უსადაგებს ზოგად პრინციპს, როგორც ეს -კი ართრონის შემთხვევაში გვაქვს.

-კი ართრონიანი სახელები უძველესს (C) რედაქციაშიც გვხვდება მცირე რაოდენობით. შემდგომ (B) რედაქციაში (კონს-

ტანტინოპოლურ ნუსხაში) სისტემის სახეს იღებს -აკ სუფიქსიანი სახელების წარმოჩენა უსუფიქსო ფორმების პარალელურად და ბოლო (A) რედაქციის ნუსხებში ივსება და ზუსტდება ეს მასალა. ამავე რედაქციაში გაჩნდა თეორიული მსჯელობა ამ ართრონის შესახებ მისი ფუნქციის დაზუსტებით: „კვალად კი ითქმის ცუდად: წიგნაკი, შვილაკი, დებორაკი და რაისაცა ზედა გინდა სიცუდედ მოვალს, რომელიმე სიმდაბლით დაირქვამს ZAa“.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მდედრობითი სქესის გამომხატველი ფორმების შექმნას საფუძვლად უდევს კნინობითობის გაგება, კერძოდ, ცუდისა და მდაბიოს მნიშვნელობა; -ა სუფიქსიანი სახელები თავდაპირველად მართლაც გამოხატავდნენ არა მდედრობითი სქესის სახელებს, არამედ ცუდს, მდაბიოს, სოციალურად დაბლა მდგომს; სწორედ ეს მნიშვნელობა გახდა ამოსავალი -ა სუფიქსის გამოყენებისა ელინოფილურ სკოლაში მდედრობითი სქესის აღსანიშნად. ეს მიმართება ძალიან კარგად გამოჩნდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, რომელშიც პარალელურად წარმოდგენილია ყველა შესაძლო ლექსიკური ერთეულის სინონიმური ვარიანტები, იქნება ეს „ზეშთა სიტყვა“, „სწორთა“ თუ „დამხე“ სტილის კუთვნილება.

ლექსიკონში მოყვანილი მასალის განხილვამ გვაფიქრებინა, რომ გადააზრინების პროცესი, ბუნებრივია, ადამიანთა კლასს შეეხო (**ცოლა, მონაკა**; შდრ. გორა, გორაკა), შემდგომ კი ზმნებთან და ნაცვალსახელებთან უკვე ანალოგიის გზით განვითარდა.

ართრონზე მსჯელობა გვხვდება ზურაბ შანშოვანისა და ანტონ პირველის გრამატიკებში, ანტონ პირველის ფილოსოფიურ ნაშრომ „სპეკალში“. მათზე საუბარს ამჯერად არ გავაგრძელებთ, ვფიქრობთ, მათი წყარო ძველ ქართულ გრამატიკულ ნააზრევთან ერთად უნდა ყოფილიყო სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“.

ეს ლექსიკონი საყურადღებოა არა მხოლოდ ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით: სულხან-საბას გრამატიკული ნააზრევი, მისი დაკვირვებანი ლექსიკურ ერთეულებსა თუ სიტყვა-ფორმების მისეული ანალიზის მცდელობა დღესაც მნიშვნელოვანია მეცნიერული კვლევისათვის.

damowmebani:

აბულაძე 1973: აბულაძე ი. ძველი ქართული ლექსიკონი. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

ასტრიანი 1989: Асатрян Г. Отглагольные имена на -ака в среднеперситском и парфянском. Ереван: 1989.

ანტონ I 1997: ანტონ I. ქართული გრამატიკა (მეორე რედაქცია 1767). თბ.: გამომცემლობა „ს.ს პირველი სტამბა“, 1997.

- ბაბუნაშვილი... 1991:** ბაბუნაშვილი ე, უთურგაიძე თ. ანტონ პირველის „ქართული გრამატიკა და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.
- ბაკურაძე 1998:** ბაკურაძე ლ. სულხან-საბა ორბელიანის გრამატიკული ნააზრევი ლექსიკონი ქართულის მიხედვით. საკანდიდატო დისერტაცია, თბ.: 1998.
- ბოლქვაძე 2005:** ბოლქვაძე თ. იდეოლოგიზებული ღირებულებები. თბ.: „თბილისის უნივერსიტეტი“, 2005.
- გენაძე 1969:** გენაძე დ. გრამატიკული ტერმინები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. ჟ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, IV. თბ.: 1969.
- გიგინეიშვილი... 1966:** გიგინეიშვილი ბ, კიკვიძე ც. რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი (გელათური ვერსია). შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ.: 1966.
- გრეჩესკო 1948:** Греческо-русский словарь. Москва: 1948.
- დანელია 1986:** დანელია კ. გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა ქართულში. მაცნე, IV. თბ.: 1986
- ზარიძე 1999:** ზარიძე ნ. ტრანსლიტერაციის წესები და პაოლინ-ირბახის ქართულ-იტალიური ლექსიკონი (რომი 1929 წელი). საკანდიდატო დისერტაცია, თბ.: 1999.
- იოანე პეტრინი 1937:** იოანე პეტრინი. შრომები, II. თბ.: 1937
- მარტიროსოვი 1979:** მარტიროსოვი ა. სახელის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია. არნ. ჩიქობავას, თბ.: 1979
- მარტიროსოვი 1978:** მარტიროსოვი ა. კნინობითი სახელები ძველ ქართულში. იკე XX, თბ.: 1978.
- დონდუა 1967:** Дондуа К. Феминизирующий гласный в грузинском. Тбилиси: 1967.
- დოჩანაშვილი 1981:** მცხეთური ხელნაწერი. (ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა). თბ.: 1981
- რაფავა 1983:** რაფავა მ. ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში. თბ.: 1983.
- რაფავა 1981:** რაფავა მ. ამონიოს ერმისის თხზულებებში დადასტურებული გრამატიკული ხასიათის ცნობები. მაცნე, ენა და ლიტერატურის სერია, IV. 1981.
- სარჯველაძე 1995:** სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ.: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი“, 1995.
- სკვორცოვა... 1963:** (Составили Скворцова Б. Майзель М.) Итальянско-русский словарь. М.: 1963.
- ორბელიანი 1991:** სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I (ი.აბულაძის რედაქციით). თბ.: გამომცემლობა „მერანი“, 1991.
- ორბელიანი 1993:** სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II (ი.აბულაძის რედაქციით). თბ.: გამომცემლობა „მერანი“ 1993.
- ორლოვსკაია 1959:** Орловская Н. Анонимная грузинская грамматика XVIII века на итальянском языке.. თსუ შრომები, 75, თბ.: 1959.
- უთურგაიძე 1999:** უთურგაიძე თ. ქართული ენის შესწავლის ისტორია. თბ.: გამომცემლობა „ქართული ენა“, 1999.
- ურუშაძე 1987:** ურუშაძე ა. ძველი ბერძნული ენა. თბ.: გამომცემლობა „განათლება“, 1987.

ქართული... 1987: ქართული მწერლობა. I, თბ.: გამომცემლობა „ნაკადული“, 1987.

ქართული... 1989: ქართული მწერლობა. I, თბ.: გამომცემლობა „ნაკადული“, 1989.

ქუთათელაძე 1957: ქუთათელაძე ლ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები. თბ.: გამომცემლობა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“, 1957.

შანიძე 1959: შანიძე ა, ზმნის ფორმათა მეთაური სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონსა და ვახტანგ VI-ის თარგმანში. ს.ს. ორბელიანი, 1858-1959, საიუბილეო კრებული, 1959.

შანიძე 1990: შანიძე მ. „სიტყუა ანთრონთათვის“. ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი. თბ.: 1990.

შალიკაძე 1971: შალიკაძე ი. ახალი სომხური ენის გრამატიკა, თბ.: 1971

ჩიქობავა... 1963: ჩიქობავა არნ, ვათეიშვილი ჯ. პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები. თბ.: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1963.

ჩხეიძე 1969: Чхеидзе Т. Именное словообразование в персидско азыке. Тб.: 1969.

ჭუმბურიძე 1983: ჭუმბურიძე ზ. „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“. თბ.: გამომცემლობა „ნაკადული“, 1983.

ჯავახიშვილი 1992 : ჯავახიშვილი ი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1992.

ყაუხჩიშვილი 1920: ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ (გამოსცა ს.ყაუხჩიშვილმა). ტფ.: 1920.

„სამოთხის კარის“ ტექსტის ისტორია:

წყაროები, რედაქციები, კონფესიური პოზიციები

კორნელი კეკელიძე თავისი „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომში, ქართულ ენაზე არსებული კათოლიკური შინაარსის სასულიერო ლიტერატურის მიმოხილვისას, მას შემდეგ, რაც ლათინურიდან თუ იტალიურიდან ქართულად თარგმნილი ამგვარი თხზულებების ჩამოთვლის შემდეგ ჯერი მიდგება ქართულ ორიგინალურ მწერლობაზე, აღნიშნავს: „ქართულ ენაზე დაინერა მხოლოდ ერთი პაპისტური თხზულება; ეს არის «სამოთხის კარი» საბა-სულხან ორბელიანისა“ (კეკელიძე 1980: 78).

სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარი: საქრისტიანო მოძღვრება“ ქართული დოგმატურ-კატექეტიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ცნობილ ნიმუშს წარმოადგენს. ეს თხზულება ხელნაწერთა შორის შენახულია ავტოგრაფისა და გადანაწერების სახით და ის, ამავე დროს, რამდენჯერმეა გამოქვეყნებული.

„სამოთხის კარი“ ქრისტიანული სარწმუნოების სახელმძღვანელოა, რომელიც მოძღვარსა და ყრმას, ანუ მასწავლებელსა და მონაფეს შორის კითხვა-პასუხებად დალაგებული ტექსტია, მაგრამ ის მკითხველად ნებისმიერი ასაკის იმ მორწმუნეს გულისხმობს, ვისაც სარწმუნოებრივი ცხოვრების სანყისი ცოდნის მოპოვება სწადია. მასში მოკლედაა გადმოცემული ქრისტიანული მოძღვრების რაობა, ამასთანავე, ჩამოყალიბებულია ქრისტიანული მორალისა და ლიტურგიული ცხოვრების საფუძვლები.

თავად თხზულების გადანაწერები, ავტოგრაფთან ერთად, ოცზე მეტ ქართულ ხელნაწერშია მოთავსებული, რაც მის მიმართ გამორჩეული ყურადღებისა და მისი ფართო საზოგადოებრივ-საეკლესიო გავრცელების შესახებ მეტყველებს. მაგრამ ხელნაწერებში დაცული ეს ტექსტები — განსაკუთრებით გარკვეულ მონაკვეთებში — არ ემთხვევა ერთმანეთს. საგანგებოდ თვალმისაცემია მათს შორის დოგმატური შინაარსის განსხვავებანი, რაც თავს იჩენს, კერძოდ, იმ კითხვა-პასუხისას, იმ რუბრიკებში, სადაც აღმოსავლური და დასავლური ქრისტიანული ტრადიცია მოძღვრებითს საკითხებში ერთმანეთს ემიჯნება და არათანხვდომილ პოზიციას ამჟღავნებს. ეს სხვაობანი იმდენად მნიშვნელოვანია თუნდაც კონფესიური, თუნდაც ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, რომ საშუალებას იძლევა, „სამოთხის კარის“ მოღწეულ ხელ-

ნაწერთა შორის გამოიყოს და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ტექსტის რამდენიმე რედაქცია.

უკანასკნელ ხანებამდე თხზულების რედაქციები საგანგებო კვლევის საგნად მხოლოდ ერთადერთხელ იქცა და, შესაბამისად, გამოთქმული იყო მხოლოდ ერთადერთი თვალსაზრისი, — ივანე ლოლაშვილის მიერ, რომელმაც ტექსტოლოგიურ ძიებათა საფუძველზე ჩამოაყალიბა საკუთარი შეხედულება, თუ რაგვარი რედაქციული და ქრონოლოგიური მიმართებები არსებობს *„სამოთხის კარის“* ამ განსხვავებულ ვერსიათა შორის (ლოლაშვილი 1959: 104-132). მკვლევრის მიერ ნახევარი საუკუნის წინათ გამოთქმული ეს თვალსაზრისი, რომელიც აქამდე უკრიტიკოდ მეორდებოდა სხვადასხვა გამოკვლევებსა თუ მიმოხილვებში, უკანასკნელ ხანებამდე არავის უქცევია საკამათოდ.

მაგრამ რედაქციათა საკითხის განხილვამდე უპრიანი იქნება ერთი ავთენტიკური წყაროს მოხმობა — იმ საბუთის გახსენება, რომელიც თავის დროზე მოიპოვა და გამოაქვეყნა მიქელ თამარაშვილმა (თამარაშვილი 1902: 262-263). წერილში, რომელსაც კათოლიკე მღვდელი ჯუსტინო ლივორნელი 1687 წლის 7 ნოემბერს ტფილისიდან რომს აგზავნის, ჩამოთვლილია იმ ქართველთა ნუსხა, ვინც ცოტა ხნის წინ შეერთებია რომის კათოლიკე ეკლესიას. მათ შორის მოხსენიებულია ქართველი დიდებული სულხან ყაფლანიშვილი (იგულისხმება ყაფლანიშვილ-ბარათაშვილ-ორბელისძე-ორბელიანთა ერთიანი საგვარეულოს წარმომადგენელი), — *„შვილი დიდი მინისტრისა, ბიძაშვილი მეფისა, უკეთილშობილესი ქართველი“*, — რომელიც კათოლიკე ეკლესიის წევრად გამხდარა იმ წლის 15 აგვისტოს და რომელსაც ჩაუსწორებია თავად მამა ჯუსტინოს მიერ ქართულად თარგმნილი *„საქრისტიანო მოძღვრება“*¹ (სხვათა შორის, ამ სახეში სულხან-საბა ორბელიანი პირველად მიქელ თამარაშვილმაც ამოიცნო — თამარაშვილი 1902: 262).

აქამდე მიჩნეული იყო, რომ ახალგაზრდა სულხან ორბელიანის მიერ საკუთრად ნარედაქტირებ ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია², თუმცა ამგვარი დასკვნის გასაკეთებლად, პირველ ყოვლისა, აუცილებელია იმდროინდელი უცხოენოვანი (პირველ ყოვლისა, ლათინური და იტალიური, მაგრამ, აგრეთვე, სომხური) კათოლიკური კატექეტიური ტექსტების საგანგებო შესწავლა და თითოეული მათგანის გულდაგულ შეჯერება საბასეულ *„სამოთხის კართან“*. ამგვარ კვლევას შედეგად მოჰყვებოდა იმის დადგენა, ერთი მხრივ, დაკარგულია თუ არა ჯუსტინოს მიერ თარგმნილი და სულხანის მიერ ჩასწორებული *„საქრისტიანო მოძღვრება“* (ხომ შესაძლებელია, რომ მისი ტექსტი სწორედ *„სამოთხის კარის“* სახით შემონახულა?!), ხოლო, მეორე მხრივ, — რამდენად ორიგინალური ნაწარმოებია *„სამოთხის კარი“*, რომელიც, არაა გამორიც-

ხული, აღმოჩნდეს რომელიმე ჩვეულებრივი კათოლიკური კატე-
ქიზმოს, — რომელთა სხვადასხვა ვერსიები ფართოდ გავრცელდა,
განსაკუთრებით, ტრიდენტის მსოფლიო კრების (1545-1563) შემ-
დეგ, — ქართული გარდათქმა ან თარგმანი³.

მაგრამ, სანამ ამ მიმართულებით შედარებითი კვლევანი ჩატა-
რებულა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ „სამოთხის კარის“ ერთ-
თადერთი ავტოგრაფული ნუსხის ტექსტს ამგვარი სათაური აქვს:
*„საქრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ყრმათათჳს,
აღწერილი სულხან-საბა ორბელიანისაგან, რომელსა ეწოდების
სამოთხის კარი“* (საბა 2004: 17), ხოლო ტექსტის ბოლოს მიწერი-
ლია: *„ესე არს მართალი და უბინო საქრისტიანო მოძღვრება, მოკ-
ლითა სიტყვითა მე — სულხან-საბა ორბელიანისაგან აღწერილი,
რომელსა ეწოდების სამოთხის კარი“* (საბა 2004: 107). აღსანიშნა-
ვია, რომ იმ ხანაში, მართალია, ჯერ კიდევ შინაარსობრივადაც
მკვეთრად არაა გამიჯნული ერთმანეთისაგან „დანერა“ და „გადა-
ნერა“, მაგრამ მაინც, „აღწერის“ იმჟამინდელი მნიშვნელობა ნელ-
ნელა „დანერის“ (საკუთრივი შემოქმედების) თანამედროვე მნიშვნე-
ლობას უახლოვდება⁴; ამას გარდა, რაც განსაკუთრებით თვალ-
შისაცემია, საბასეულ ამ ავტოგრაფულ ხელნაწერ კრებულში, სხვა
ტექსტთაგან განსხვავებით, საგანგებოდ მხოლოდ *„სამოთხის
კარს“* ერთვის „აღმწერის“ ამგვარი (ორგზისი!) მოხსენიება (თუმცა
სასულიერო შინაარსის სხვადასხვა თხზულებათა შემცველი მთე-
ლი ამ ნუსხის ნაწერი — თავიდან ბოლომდე — თავად საბას ხელი-
თაა შესრულებული); და კიდევ, მოგვიანებით, საბას ანტონი I-ისე-
ულ დახასიათებაშიც ნათქვამია: *„სამოთხის კარი [...] აღწერა“*
(ანტონი 1980: 282), სადაც უთუოდ დღევანდელი გაგებით
„დანერა“ (და არა „გადანერა“ ან „თარგმნა“) იგულისხმება.

კითხვა საბას *„სამოთხის კარის“* წარმოშობისა და წყაროს შე-
სახებ ჯერ კიდევ 1887 წელს დაუსვამს და უპასუხოდა დაუტო-
ვებია პეტრე უმიკაშვილს (სხვათა შორის, აღმსარებლობით რომის
კათოლიკეს), რომელსაც ამ თხზულების ერთ-ერთ ხელნაწერზე
(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-1506) ასე მიუწერია: *„ეს სამო-
თხის კარი არის რომის კათოლიკეთა კეტეხიზმო, რომელსაც უწო-
დებენ საქრისტიანო მოძღვრებას (ხალხში — „ვინ დაგბადა“-ს).
იქნება ეს იყოს ნათარგმნი ანუ გადმოკეთებული იტალიანურ ან
სომხურ კათოლიკეთ კატეხიზმოსი?“* (საბა 1963: 341). ეს შეკითხვა
დღემდე პასუხგაუცემლად რჩება...

ამის გამო ამჟამად, შესწავლის ამ ეტაპზე, შეუძლებელია დაბე-
ჯითებით და გადაწყვეტილად ითქვას, თუ რას წარმოადგენს
„სამოთხის კარი“: არის ის რომელიმე ლათინური ან იტალიური
ტექსტის თარგმანი, შესრულებული ჯუსტინო ლივორნელის მიერ,
თუნდაც საბასაგან რედაქტირებული, თუ ის საბას საკუთარი,

იმთავითვე ქართულად დაწერილი თავისთავადი ნაწარმოებია. მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ არსებითად უნდა გამოირიცხოს კვლევათა მიზანდასახულობის ორივე ეს უკიდურესი ზღვარი, რადგან არც ერთი არ შეესაბამება წერილობითი ტექსტის (ანდა ტექსტის ორიგინალობის) მიმართ ეპოქისმიერ დამოკიდებულებას: აპრიორულად არაა მოსალოდნელი, თუნდაც თარგმანის შემთხვევაში, საბა მკითხველს სთავაზობდეს თავდაპირველი ტექსტის სიტყვასიტყვით გადმოქართულებას; ისევე როგორც იმ შემთხვევაში, თუ არსად მოიძებნა „სამოთხის კარის“ უშუალო პროტოტიპი, ამგვარადვე აპრიორულად არაა მოსალოდნელი, რომ საბას თავისი დოგმატური სახელმძღვანელო წინამორბედთა ნაღვანით ნაყოფიერი სარგებლობის გარეშე დაენეროს (სავარაუდოა იტალიელ სამღვდელთა წიგნიერი და ზეპირი დახმარება, ან შესაძლებელია, — თუმცა ნაკლებად, — სომხური კათოლიკური წიგნიერი წყაროს გამოყენება).

ასეა თუ ისე, როგორც ითქვა, არსებობს „სამოთხის კარის“ ერთადერთი ავტოგრაფული ნუსხა, რომელიც მოთავსებულია სასულიერო შინაარსის თხზულებათა და ცნობათა საბას მიერ შედგენილ და გადაწერილ საგანგებო კრებულში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-303). თავად ამ ტექსტს მთელი ხელნაწერის დაახლოებით მესამედი ნაწილი ეთმობა (სხვათა შორის, საბასეული ეს კრებული მთლიანი სახით არასოდეს გამოქვეყნებულა). ნაწარმოების ავტორისეული სახელწოდება ამგვარია: „საქრისტიანო მოძღურება, პირველად სასწავლო ყრმათათვის, აღწერილი სულხან-საბა ორბელიანისაგან, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი — სარწმუნოებისათვის მართლისა და უბინოსა შჯულისა, რომელი მოგვეცა წმიდათა მამათა მიერ“ (საბა 2004: 17).

მტკიცედ და ცხადად უნდა ითქვას, რომ სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარის“ ერთადერთ ავტორისეულ რედაქციად ავტოგრაფში დაცული სწორედ ეს ტექსტი უნდა იქნეს მიჩნეული⁵.

სხვათა შორის, გამოთქმულია ვარაუდი, რომ თავად შედგენა ამ კრებულისა, რომელშიც სასულიერო-საეკლესიო ხასიათის ტექსტებია გაერთიანებული, განაპირობა საბას ევროპაში გამგზავრების სამზადისმა, — საჭიროებამ, რათა იგი აღჭურვილი ყოფილიყო იმ ცნობებითა და მონაცემებით, რაც კათოლიკურ სამყაროში მოხვედრისთანავე აუცილებელი იქნებოდა აღმოსავლეთ საქრისტიანოში სულიერად ჩამოყალიბებული ადამიანისათვის⁶. ეს ჰიპოთეზური მსჯელობა, თუკი ის სარწმუნოდ მივიღეთ, კიდევ უფრო საეჭვოდ ხდის „სამოთხის კარის“ ორიგინალობის თვალსაზრისს. მაგრამ, თუნდაც ასე ყოფილიყო, — რომ საბას მიერ იმჯერად „სამოთხის კარის“ დაწერა, გარდათქმა, გადმოთარგმნა, შედგენა თუ გადაკეთება მისი საკუთარი სარწმუნოებრივი ცოდნის გაღრ-

მავება-განმტკიცებას ემსახურებოდა, — ისიც სათქმელია, რომ არანაირი საბუთი არ არსებობს, საბა კათოლიკურ მოძღვრებაში ჩაუხედავ და გაუცნობიერებელ ადამიანად მივიჩნიოთ მანამ, სანამ იგი ევროპაში გასამგზავრებლად მომზადებას შეუდგებოდა⁷; ისიც ცხადია, — რაზეც საბუთები ნათლად მეტყველებს, — რომ ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისასაც მას ნამდვილად არ აკლდა კათოლიკური დოგმებისა თუ ღმრთისმსახურების წესების იმგვარი ცოდნა, როგორც ნამდვილად სცილდებოდა ამ სფეროში „მინიმალური ცოდნის“ ფარგლებს⁸.

„სამოთხის კარში“ დაუფარავადაა გაცხადებული თავად საბას სარწმუნოებრივი აღმსარებლობა, მისი კონფესიური პოზიცია, რაც განსაკუთრებულად აშკარად გამოიხატა ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და ქრისტიანულ დასავლეთს შორის ყველაზე მეტად შეუთანხმებელ დოგმატურ საკითხთა — სული წმიდის გამომავლობისა და რომის ეპისკოპოსის უპირატესობის — განხილვისას. ორსავე ამ ნიშნულზე შემთხვევაში საბას პოზიცია უეჭველად ასახავს და გამოხატავს რომის კათოლიკე ეკლესიის მოძღვრებას:

[...] *სული წმიდა, ღმერთი და უფალი, რომელი მამისაგან და ძისაგან გამოვალს და მამისა და ძისა თანასწორ არს, დაუსაბამო და დაუსრულებელი და ყოველთა შემოქმედი, ვითარცა მამა და ძე* (საბა 2004: 54);

ვინათგან შეიყვარა ქრისტემან სძალი თჯსი — წმიდა ეკლესია და ბრძანა ერთი შესაკრებელი ყოველთა მართლმადიდებელთა⁹ ქრისტიანეთა და რომელმანცა ნათელილოს და რწმენეს მართალი სარწმუნოება იესო ქრისტესი, მათგან ჯერ-არს მორჩილება რომის პაპისა, რომელი დაადგინა გამგებელად ეკლესიისა და შემდგომად ქრისტესა ქუეყანასა ზედა მჯდომარე არს (საბა 2004: 54-55).

ასევე, სავსებით კათოლიკურ მოძღვრებას წარმოადგენს რომის პაპის, როგორც ქრისტეს მოსაყდრისა და წმიდა პეტრეს მემკვიდრის, ეკლესიაში პირველობისა და უზენაესობის დასაბუთება (საბა 2004: 55-56)¹⁰, ამას გარდა, სალხინებლის აღიარება (საბა 2004: 103), კიდევ, კათოლიკური თეოლოგიისათვის ჩვეული სრული და უსრული სინანულის (attritio/contritio) ერთმანეთისაგან განსხვავება და გამიჯვნა (საბა 2004: 73), ხოლო რაც შეეხება საღმრთისმსახურო ცხოვრებას, საგანგებოდ კათოლიკურია წმიდა მარიამისადმი მიმართული სავარდის ლოცვა — „*გიხაროდენი*“ (საბა 2004: 49), რომელსაც ამგვარი სახით არ იცნობს ქრისტიანული აღმოსავლეთი და რომელიც ქრისტიანულ დასავლეთში საბოლოოდ XV საუკუნის დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა.

ამდენად, „სამოთხის კარში“ მოკლედ ჩამოყალიბებული თუნდაც დოგმატიკის საკითხები, თუნდაც ეკლესიოლოგიური ან მორალური მოძღვრება, თუნდაც ლიტურგიული წესები ეფუძნება და

სწორად ასახავს კათოლიკური სარწმუნოების სწავლებასა და პრაქტიკას. თუმცა ის, რომ საბასეული „სამოთხის კარი“ მთლიანად კათოლიკური შინაარსის თხზულებაა, იმდენად აშკარად ჩანს, საგანგებო მტკიცებასა და დასაბუთებას არც საჭიროებს.

ამიტომ, მოულოდნელი არ იყო, რომ თხზულების ამგვარი აღმსარებლობითი პოზიციის გამო კათოლიკოსმა ანტონი I-მა, რომელმაც, სავარაუდოდ, მოსკოვში ყოფნისას გაიცნო საბასეულ ავტოგრაფულ კრებულში მოთავსებული „სამოთხის კარის“ ტექსტი (ხელნაწერი იმ დროს სწორედ მოსკოვში ინახებოდა), თავის „წყობილსიტყვაობაში“ (1764-1768) ასე დაახასიათა სულხან-საბა ორბელიანი და მისი ეს თხზულება:

*საბას არ ვაქებ ამაღ, ვითარმედ ესე
ეკლესიასა წმიდასა მტერ განუდგა,
წინააღმდგომ მბრძოლ ექმნა ჭეშმარიტებას;
„სამოთხის კარი“, გარნა ჯოჯოხეთის ბჭე,
აღწერა სულთა წარწყმედად, თუთცა წარსწყმდა.
(ანტონი 1980: 282)¹¹.*

ეს აღმოსავლურ-ბიზანტიური დოგმატურ-კანონიკური განჩინება იყო, — მტკიცე და უჭოჭმანო¹²...

მიუხედავად იმისა, რომ ქართული აღმოსავლურქრისტიანული ტრადიციისათვის მიუღებელი აღმოჩენილა საბას კონფესიურ-საეკლესიო არჩევანი, ამ ტრადიციის მიმდევრებს მაინც უყურადღებოდ არ დარჩენიათ „სამოთხის კარის“ ცხადად შესამჩნევი მახასიათებლები, — წმიდა წერილისა და წმიდა გადმოცემის საფუძვლიანი ცოდნა, ქრისტიანული მოძღვრების დალაგების მთლიანობა, საკითხების დამაჯერებელი დასაბუთება, მსჯელობის სისხარტე, თხრობის სადა ენა, — რასაც შედეგად მოჰყოლია საბასეული ტექსტის შენარჩუნება და გავრცელება, ოღონდ მასში, რედაქციული ჩარევის შედეგად, კათოლიკური სულისკვეთების მიჩქმალვის ან წარხოცვის შემდგომ.

სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარის“ ავტორისეული რედაქციის გარდა, მოღწეულია ამ ნაწარმოების სხვადასხვა მოგვიანო გადამუშავება-გადაკეთებანი¹³, რომელთა რედაქტორები სახელდებითაა ცნობილი. პირველი, ვისაც ხელახლა გადაუმუშავებია თხზულების ტექსტი, საბას ძმა — ტფილელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ ორბელიანი ყოფილა; მეორე: ბატონიშვილი ვახუშტი; მესამე: მღვდელი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი; სავარაუდოა, აგრეთვე, შესაძლო მეოთხე: მზეჭაბუკ ორბელიანი. მათ მიერ „სამოთხის კარში“ ცვლილებათა შეტანის მიზნად, უპირველეს ყოვლისა, საბასეული ორიგინალური ტექსტის კონფესიური „გაცხრილვა“ ჩანს.

თხზულების გადაკეთების პირველი ასეთი მცდელობა განხორციელებულა მოსკოვში გადასახლებული ორბელიანების — საბას ძმების — წრეში, რომელთაც, საერთოდ, მისი ნაწერების შეკრება და რედაქტირება განუზრახავთ. „სამოთხის კარში“ ცვლილებათა შეტანა აღმოსავლურქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, როგორც ჩანს, უტვირთავს საბას უმცროს ძმას, ტფილელ მიტროპოლიტ ნიკოლოზს¹⁴. მის მიერ 1725-1729 წელს¹⁵ რედაქტირებული ტექსტი მისი ავტოგრაფის სახით არ შენახულა, მაგრამ შემორჩენილია მისგან უშუალოდ გადანერილი ასლი, რომელიც ზურაბ მგელყანაშვილს შეუსრულებია (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-581). „სამოთხის კარის“ ამ რედაქციაში სული წმიდის გამომავლობის საკითხი მოწოდებულია აღმოსავლურქრისტიანულ-ბიზანტიური პოზიციის თანახმად, ხოლო მუხლები პაპის უზენაესობის შესახებ მთლიანადაა ამოღებული. თხზულების ნიკოლოზ ორბელიანისეული ვერსია, რომელიც ყველაზე მეტად გავრცელებულა, გადანაწერების სახით ოცამდე ხელნაწერშია შემონახული. ამასთანავე, „სამოთხის კარის“ ეს რედაქცია — ნიკოლოზ ტფილელის ავტორობით — ორჯერ გამოიცა: პირველად ის 1885 წელს გამოქვეყნდა და მას ასე ერქვა: „ქრისტიანული პირველსასწავლო მოძღვრება“ (ნიკოლოზი 1885), ხოლო მეორედ — 1992 წელს, სახელწოდებით: „საქრისტიანო მოძღვრება (კატეხიზმო)“ (ნიკოლოზი 1992).

მოსკოვშივე ჩამოყალიბებულა „სამოთხის კარის“ სხვა, ახალი რედაქცია, რომელიც ბატონიშვილ ვახუშტის შრომის შედეგია. სასულიერო შინაარსის საბასეული ტექსტები 1750 წელს ვახუშტის ერთ კრებულად გაუერთიანებია (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-108), რომელშიც, აგრეთვე, შეუტანია თავად მის მიერ ხელახლა გადამუშავებული „სამოთხის კარი: საქრისტიანო მოძღვრება“ (ვახუშტის, როგორც ჩანს, უცვლელად დაუტოვებია თხზულების საბასეული სახელი). ეს რედაქცია ცხადად უპირისპირდება თავდაპირველი ტექსტის კათოლიკურ პოზიციას, რის შედეგადაც ის მონაკვეთები, სადაც საბას კათოლიკური აღმსარებლობა ჩანს, ვახუშტის აღმოსავლურქრისტიანულ-ბიზანტიური პოზიციით შეუცვლია (მაგალითად, მოძღვრება პაპის მიმართ ყოველი ქრისტიანის მორჩილების შესახებ შეცვლილია მსჯელობით ეკლესიის მიმართ მორჩილების შესახებ, ხოლო პაპის პირველობა და უზენაესობა პოლემიკურადაა უარყოფილი). გასათვალისწინებელია, რომ ვახუშტისათვის, ალბათ, ძნელი არ იქნებოდა კათოლიკური მოძღვრების აშკარა გამოხატულებათა შემჩნევა, რადგან, სხვა თუ არაფერი, სიყმანვილეში იგი რამდენადმე ზიარებულიც კი ყოფილა კათოლიკურ აღზრდას¹⁶, მაგრამ, ამავე დროს, იგი, თუნდაც როგორც ერისკაცი, არცთუ ურიგოდ იცნობდა ბიზანტიურ-სლავურ-რუსულ დოგმატურ სწავლებასა და საეკლესიო ცხოვრებას. „სა-

მოთხის კარის“ ვახუშტისეული რედაქცია გამოსაცემად ყოფილა გამზადებული 1890 წელს, მას საეკლესიო ცენზურაც კი გაუვლია, მაგრამ, უცნობი მიზეზების გამო, აღარ გამოქვეყნებულა (ლოლაშვილი 1959: 131).

რაც შეეხება „*სამოთხის კარის*“ კიდევ ერთ რედაქციას, რომელიც მღვდელ ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს შეუსრულებია და რომლისთვისაც მას ადგილი მიუჩენია საეკლესიო-სამოძღვრო ტექსტების მის მიერ შედგენილ მცირე კრებულში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-2051), აქ თხზულება ამგვარ სახელწოდებას ატარებს: „*სწავლა, მეცნიერთათვის თქმული აღვიარება, რომელ არს ღმერთი და ან რჯული, ორბელისყოფილის საბანოდებულისა ნათქვამი*“. ეს ვერსია, როგორც თვალნათლივ ჩანს, კონფესიურად ნეიტრალურია და მის რედაქტორს თავი აურიდებია არჩევანისათვის: დოგმატურ საკითხებში დასავლურ-აღმოსავლურ საპირისპირო პოზიციათა შორის უპირატესობა არ ენიჭება რომელიმე მათგანს, — მაგალითად, სული წმიდის შესახებ განცხადებულება, რომ ის გამოსულია და არაფერია ნათქვამი, იგი ოდენ მამისაგან გამოდის (როგორც ამას აღიარებდა ბიზანტიური ქრისტიანული აღმოსავლეთი) თუ მამისაგან და ძისაგან (როგორც ამას აღიარებდა ლათინური ქრისტიანული დასავლეთი), ხოლო საბასეული მსჯელობა პაპის უზენაესობისა და ამ უზენაესობის საწყისების შესახებ, საერთოდ, ამოღებულია კითხვა-პასუხიდან. ქრისტიანული მოძღვრება ტექსტში იმგვარადაა გადმოცემული, — მიუმხრობლად, — რომ ის მისაღები იყოს როგორც დასავლურქრისტიანული, ისე აღმოსავლურქრისტიანული დოგმატური ტრადიციის მიმდევართათვის. ამ ორ ტრადიციას შორის მოძღვრების ან ლიტურგიული პრაქტიკის შეუთანხმებელი საკითხები ჩაჩიკაშვილისეულ რედაქციაში ან განეიტრალურებულია, ანდა რედაქტორს გვერდი აუვლია მათთვის. სხვათა შორის, ამას გარდა, ბევრგან სხვაგანაც ეს რედაქცია მეტობს ან ნაკლებობს საბასეულ — ავტორისეულ — ვერსიასთან შედარებით.

„*სამოთხის კარის*“ ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ რედაქტირებული ეს ტექსტი — შესაბამისად, თხზულების ერთ-ერთი რედაქცია — XVIII საუკუნის 80-იანი წლების ერთადერთი ხელნაწერის სახითაა მოღწეული, რომელსაც ერთვის ამგვარი მინაწერი (რა თქმა უნდა, არაავტოგრაფული, არა საბას ხელით შესრულებული!), სადაც ნათქვამია: „*ლოცვა ყავთ სარწმუნოებით მართლისა, ხოლო საქმით ცოდვილისა სულხანყოფილისა ორბელისშვილისა, ხოლო ან მონაზონისა საბა უნდოსა, უდაბნოსა ბერისა ნათლისმცემლის მონასტრისა, გარჯითა მრავლითა მყოფისა, რომლისა მიერ გამონვლილვით აღინერა წმიდა და უბინო აღსარება, და აღვი-*

არებს ამას და ესე არს მის მიერ აღწერილი სიმოკლისათვის სასწავლო უსწავლელთა ბერთა და ყრმათათვის“ (ლოლაშვილი 1959: 109). როგორც ჩანს, ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს საბას ეს ანდერძი „სამოთხის კარის“ ჩვენამდე მოუღწეველი რომელიმე ნუსხიდან, — შესაძლოა, საბას ხელიდან გამოსული ხელნაწერიდან, — გადმოუწერია. თუმცა ეს უეჭველად არ ნიშნავს, რომ იგი მთლიანად ერთგულად მისდევდეს საბასეულ ავტოგრაფს (თუკი, მას ასეთი, საერთოდ, ჰქონდა!) და, ამდენად, ხელთ გვქონდეს ავტორისეული თავდაპირველი რედაქციის ზუსტი ასლი (როგორც აქამდე იყო მიჩნეული!), — საგულვებელია, რომ გადამწერ-რედაქტორი სარგებლობდა იმ ვერსიით, რომელიც უკვე ამგვარად იყო გასწორებული (მაგრამ მასში საბასეული ანდერძი ჩარჩენილიყო), ან უფრო მეტად საფიქრებელია, რომ ჩაჩიკაშვილისეული ხელნაწერის სახით ხელთ გვქონდეს თავად ჩაჩიკაშვილისეული ვერსია (შესაძლოა, საქმე იყოს ერთხელ უკვე რედაქტირების შემდეგ ხელახლა რედაქტირებასთანაც კი!), რადგან სხვა შემთხვევაშიც შემჩნეულია, რომ მის მიერ გადანერილ ტექსტებში შესწორება-შემატებათა შეტანა მისთვის ჩვეული საქმე ყოფილა, — მაგალითად, დადასტურებულია, რომ მას მნიშვნელოვნად შეუცვლილია „სიბრძნე სიცრუისას“ ტექსტიც¹⁷. სხვათა შორის, სათქმელია, რომ საბას იგავ-არაკთა ნიგნის ჩაჩიკაშვილის მიერ რედაქტირებული ტექსტის მსგავსად, „სამოთხის კარის“ ჩაჩიკაშვილისეული ვერსიაც საზოგადოებაში არ გავრცელებულა (განსახვავებით ნიკოლოზისეულ და ვახუშტისეულ ვერსიათაგან) და მხოლოდ ერთადერთი ხელნაწერის სახით შემორჩენილა.

ნათელია, რომ „სამოთხის კარი“ არ დანერილა როგორც ქრისტიანული სარწმუნოების მიუმხრობელი ან, მით უმეტეს, აღმოსავლურქრისტიანული სახელმძღვანელო, ის იმთავითვე კათოლიკურ პოზიციას გამოხატავდა და მან მხოლოდ შემდგომში — ავტორის დაუკითხავად და მისი ნების გარეშე — განიცადა სწორედ კონფესიური სახეცვლილებანი. თუმცა ბოლო ხანამდე, „სამოთხის კარის“ 2004 წლის გამოცემამდე, დამკვიდრებული იყო ივანე ლოლაშვილის თვალსაზრისი, რომელიც ნიგნიდან ნიგნში, ნარკვევიდან ნარკვევში დაუეჭვებლად გადადიოდა, რომ საბას თითქოს თავად შეუქმნია „სამოთხის კარის“ თავდაპირველი, კონფესიურად ნეიტრალური რედაქცია (მკვლევრის მიერ A რედაქციად სახელდებული), რომელიც დღეს თითქოს მხოლოდ ჩაჩიკაშვილისეული ხელნაწერის სახითაა დაცული და რომელიც თითქოს წინ უსწრებდა საბასეულ ავტოგრაფულ ნუსხაში შემონახულ რედაქციას (მკვლევრის მიერ B რედაქციად სახელდებულს), თუმცა ყოველივე ზემორე თქმულის გათვალისწინებით, ამგვარი შეხედულება, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, სრულიად დაუსაბუთებელია.

არც ისე დიდი ხნის წინათ, სხვა საკითხთან დაკავშირებით, გაკვრით გამოითქვა ვარაუდი, რომ, შესაძლოა, არსებობდეს „სამოთხის კარის“ კიდევ ერთი, მეხუთე რედაქცია, — სახელწოდებით „სარწმუნოების წიგნი“, — რომელიც მზეჭაბუკ ორბელიანს შეუქმნია (კოჭლამაზაშვილი... 1999: 162-163). თუკი ამ ვერსიის დამოუკიდებლობა ნამდვილად დადასტურდება, მაშინ აღმოჩნდება, რომ მასაც თავად გადაუმუშავებია ბიძისეული, საბასეული ტექსტი, — იქიდან ისევ კათოლიკური მოძღვრების წარხოცვის მიზნით. თუმცა ამჯერად დაბეჯითებით რამე განსაზღვრულის თქმა ძნელია, რადგან საქმე ისაა, რომ ჯერჯერობით საგანგებო კვლევის საგნად არ ქცეულა „სამოთხის კარის“ არც ეს შესაძლო უცნობი რედაქცია, რომელიც მოთავსებულია თხზულების კვლევისას აქამდე გაუთვალისწინებელ ხელნაწერში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-627)¹⁸ და არც ამ რედაქციის მიმართება დანარჩენ, აქამდე ცნობილ რედაქციებთან.

რაც შეეხება „სამოთხის კარის“ სხვადასხვა რედაქციათა განხორციელებულ გამოცემებს, შესაბამისი სურათი ამგვარია: ტექსტის საბასეული რედაქცია გამოქვეყნდა ორჯერ (B რედაქციის სახით — საბა 1963: 227-334; საბა 2004), ნიკოლოზ ორბელიანისეული — ორჯერ (ნიკოლოზი 1885; ნიკოლოზი 1992), ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილისეული — ერთხელ (A რედაქციის სახით — საბა 1963: 227-334), ვახუშტისეული კი, გამოსაცემად გამზადების მიუხედავად, არასოდეს გამოქვეყნებულა; შეუსწავლელია და, ასევე, გამოუცემელია მზეჭაბუკ ორბელიანისეული რედაქცია.

ნიშნულია, რომ „სამოთხის კარის“ ტექსტის ისტორია თვალნათლივ ირეკლავს ეპოქის — პიროვნულ თუ საზოგადოებრივ არჩევანთა წიაღ — რელიგიური, იდეოლოგიური თუ კულტურული ორიენტირების ძიებათა ისტორიას.

SeniSvnebi:

1. ჯუსტინო ლივორნელი: „პატონი სულხან, შვილი დიდი მინისტრისა, ბიძაშვილი მეფისა, რომელიც არის უკეთილშობილესი ქართველი ყაფლანიანთი; თუ კეთილ ინებებს თქვენი უმაღლესობა, ნახავს, რა სათნო საქმე ჰქმნა ამათ: თვით შეასწორა „საქრისტიანო მოძღვრება“, რომელიც მე ვთარგმნე; ამან მიიღო კათოლიკობა 15 აგვისტოს 1687 წ.“ (თამარაშვილი 1902: 262-263).
2. კორნელი კეკელიძე: „საბას სახელთან დაკავშირებულია მეორე თხზულება, რომელსაც აგრეთვე „საქრისტიანო მოძღვრება“ ეწოდება; ეს არის, მისიონერთა ცნობით, პატრი ჯუსტინე ლივორნელის მიერ თარგმნილი თხზულება, რომელიც თითქოს საბას შეუსწორებია. დღესდღეობით ამ თხზულების კვალი არსადა ჩანს“ (კეკელიძე 1962: 329). თავისთავად ეჭვს ბადებს იმავე ავტორთან დაკავშირებული და იმავე სახელწოდების მეორე, დაკარგული თხზულების შესაძლო არსებობის ვარაუდი, როდესაც ამავე

- ავტორთან დაკავშირებული და ამავე სახელწოდების ერთი თხზულება ნამდვილად არსებობს!
3. ყველაზე მეტად საგულგებელია, რომ საფუძვლად აღებული ყოფილიყო 1598 წელს გამოქვეყნებული, ხოლო შემდგომში ფართოდ გავრცელებული, მრავალ ენაზე თარგმნილი და მრავალჯერ გამოცემული კარდინალ რობერტო ბელარმინოს „*მოკლე ქრისტიანული მოძღვრება*“, რომელიც, მიქელ თამარაშვილისა და კორნელი კეკელიძის ცნობით, ქართულადაც გადაუთარგმნიათ და, ამასთანავე, გამოუციათ 1681 წელს (იხ. — თამარაშვილი 1902: 255-256; თამარაშვილი 1995: 624; კეკელიძე 1980: 78), თუმცა ის არ ჩანს ქართულ ნაბეჭდ ნიგნთა ბიბლიოგრაფიაში (იხ. — ბიბლიოგრაფია 1941, დამატებით: ბიბლიოგრაფია 1969).
 4. შდრ. „*ლექსიკონი ქართული*“: „ერთი სომხური მომცრო ლექსიკონი ვნახე, [...] და მეც მათის ბაძით ჯელი მივჰყავ და, რაოდენ ძალმედეა, აღვწერე“ (საბა 1965: 31), სადაც „აღწერა“ თუ თარგმანს არა, ყოველ შემთხვევაში, მისაბაძი, სანიმუშო პირველწყაროს არსებობას მაინც გულისხმობს. რაც შეეხება „*სიბრძნე სიცრუისას*“, შესამჩნევია, რომ მისი არც ერთი ხელნაწერი არაფერს ამბობს „აღწერის“ შესახებ, ხოლო თხზულების სხვადასხვა ნუსხაში შემორჩენილი სათაურები სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურულ საქმიანობას ამ შემთხვევაში უწოდებს მხოლოდ „*თქმას*“: *ნათქუამი/ნათქვამი/თქმული*, — მაგალითად, „*ნიგნი სიბრძნე სიცრუისა, ნათქუამი სულხან ორბელიანისა, ჟამსა სიჭაბუკისა თვისისასა*“ (საბა 1959: 263), ან „*ნიგნი სიბრძნე სიცრუისა, თქმული საბა ორბელიანისა, ჟამსა სიჭაბუკისა მისისასა*“ (საბა 1959: 270), ანდა თითქმის იგივეობრივი სათაურები, ამ განსხვავებათა მონაცვლეობით (საბა 1959: 262-279). სხვათა შორის, „*სამოთხის კარის*“ ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილ-რედაქტირებულ ნუსხას ამგვარი წარწერა აქვს: „*ორბელისყოფილის საბანოდებულისა ნათქვამი*“ (იხ. ქვემოთ).
 5. ტექსტის პირველი გამოცემა: B რედაქციის სახელწოდებით — გამოსაცემად მოამზადა ივანე ლოლაშვილმა (საბა 1963: 225-334); მეორე გამოცემა: გამოსაცემად გაამზადა მერაბ ლალანიძემ (საბა 2004: 17-107).
 6. სულხან-საბა ორბელიანმა „*შეადგინა სპეციალური საცნობარო ნიგნაკი, რომელშიც თავი მოუყარა იმგვარი შინაარსის მასალებს, რომელნიც აუცილებელი იყო კათოლიკური სარწმუნოების დოგმებისა და სამღვდელმსახურო წესების მინიმალური ცოდნისათვის და რომელნიც მას აუცილებლად დასჭირდებოდა ევროპაში მოგზაურობის დროს კათოლიკური საეკლესიო რიტუალებისა და ცერემონიალის შესასრულებლად, ან სხვა რაიმე მიზნით*“ (ლოლაშვილი 1959: 118).
 7. სულხან-საბას პროკათოლიკური ორიენტაცია ასახულა მისი ლექსიკონის ადრეულ რედაქციებშიც, 1680-იან წლებში, — ბევრად ადრე ევროპაში გამგზავრებამდე (დანვრილებით ამის შესახებ იხ. — ქუთათელიძე 1973: 104-118).
 8. ამჟამად ძნელი სათქმელია, ასახავს თუ არა საბას პროკათოლიკურ განწყობებს დავითგარეჯის მონასტერში წარმოთქმული ქადაგებები — „*სწავლანი*“, რომლებიც ამ მხრივ საგანგებო შესწავლას მოითხოვს, მაგრამ მათში შესამჩნევია მოციქულ პეტრეს რამდენიმე ზისი მოხსენიება მოციქულთა მეთაურად (საბა 1963: 23, 102, 184), ან საგანგებოდ აღნიშვნა, რომ ქრისტემ „*ამცნო ესე მწყემსობა და ასწავა წინამძღვრობა პეტრეს*“ (საბა 1963: 208) და რომ მან „*პეტრე თავ მოციქულად დაადგინა*“ (საბა 1963: 219). ეს თვალშისაცემია მაშინ, როცა აღმოსავლურქრისტიან-

- ნულ-ბიზანტიური ტრადიცია მოციქულთა მეთაურებად ჩვეულებრივ მიიჩნევს პეტრესა და პავლეს და, ამავე დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მოციქულ ანდრიას როგორც „პირველწოდებულს“ (შდრ. პეტრეს მეთაურობის მიმართ საბასეულ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით კორნელი კეკელიძის განსხვავებული შეფასება, თუმცა მის მიერ მოტანილი მაგალითი ერთი ძველი ქართული ხელნაწერიდან, სადაც მოციქულთა მეთაურებად პეტრე და პავლე სახელდებიან, სწორედაც ენი-ნაალმდეგება მისსავე თვალსაზრისს — კეკელიძე 1962: 303).
9. საბასათვის, ისევე როგორც ყველა კათოლიკისათვის, „მართლმადიდებელი“ კათოლიკე ეკლესიის მოძღვრების მიმდევარსა და, შესაბამისად, რომის პაპის ერთგულ ქრისტიანს ნიშნავს. იხ. ა) საბა 2004: 13; ბ) საბა 1959: 245 (შდრ. საბა 2005: 153); გ) საბა 2005: 157 და სხვ.
 10. სხვათა შორის, როგორც ჩანს, საბა არ იზიარებს არც პენტარქიის (მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ხუთი პატრიარქის მეთაურობის) პრინციპს, რომელსაც ბოლომდე აღიარებდნენ ქრისტიანულ აღმოსავლეთში, რაკი იგი მტკიცედ უარყოფს რომის ეპისკოპოსის, როგორც სხვა პატრიარქთა შორის მხოლოდ ერთ-ერთი პატრიარქის და ოდენ დასავლეთის მწყემს-მთავრის, უფლებამოსილებას: „დიდი მწყემსი თუთ ქრისტე [...] იტყვის: «იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემსო». ეგე მრავალმწყემსობა ვისი თქმული არს?» (საბა 2004: 56).
 11. გამოცემისეული ტექსტი ორთოგრაფიულად და პუნქტუაციურად ჩასწორებულია ჩვენს მიერ.
 12. აღმოსავლურქრისტიანული ტრადიციის მიმდევართა სხვა გამომხატურებანი და შეფასებანი საბას კათოლიკური პოზიციის გამო იხ. — ქუთათელაძე 1973: 110-111.
 13. „სამოთხის კარის“ ოცდაერთი შემონახული ხელნაწერის აღწერილობა იხ. — ლოლაშვილი 1959: 105-106; საბა 1963: 339-342.
 14. შდრ. მენაბდე 1997: 108-109.
 15. ნიკოლოზისეული რედაქციის დათარიღების გამო იხ. — ლოლაშვილი 1959: 124-125.
 16. ოტია ფავლენიშვილი (1727-1730): „ვახუშტი[,] ქრისტეს მოსავი, მის მცნებაზედა დარგული, // [...] სულ ალასრულა ყოველი სწავლა ლათინთა, ფრანგული“ (ფავლენიშვილი 1948: 189); ნიკო ბერძენიშვილი (1941): „გიორგი ავალიშვილის ცნობით, 13-15 წლის ვახუშტი ტფილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან სწავლობდა. ავალიშვილს ეს ცნობა ზეპირად უნდა შექონდეს ვაგონილი. ამისდა მიუხედავად ეს ცნობა ყოველად სარწმუნო ჩანს“ (ბერძენიშვილი 1967: 292; შდრ. ბერძენიშვილი 1941: VIII-IX).
 17. სოლომონ ყუბანიშვილი: „ტექსტის გამართვა უცდიათ ვადამწერლებს, ალაგ-ალაგ გაუვრციათ, ბუნდოვანი ადგილები გაუმართავთ [...]. ამ მრივ საყურადღებოა ნიკოლოზ ასლამაზისძე ჩაჩიკაშვილის ნუსხა, რომელშიც მოცემულია პირველი ცდა თხზულების რედაქტირებისა, მაგრამ ნ. ჩაჩიკაშვილის ნუსხა უყურადღებოდ დარჩენილა. მას პოპულარობა ვერ მოუპოვებია. პირიქით, თვით ჩაჩიკაშვილებს შორისაც ტექსტში ნასწორები ადგილების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა წარმოშობილა. ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ვრცელი ჩანართები მის შვილებს თომას და კორნელის თავისებურად გადაუკეთებიათ“ (საბა 1959: 253); „ჩანართი ნ. ჩაჩიკაშვილს ეკუთვნის და არა საბას“ (საბა 1959: 234).
 18. ის არაა მოხსენიებული „სამოთხის კარის“ ხელნაწერთა ივანე ლოლაშვილის მიერ შედგენილ ნუსხაში. იხ. ზემორე, შენ. 13.

damowmebani:

- ანტონი 1980:** ანტონ ბაგრატიონი. ნყობილსიტყვაობა. თბ.: „მეცნიერება“, 1980.
- ბერძენიშვილი 1941:** ბერძენიშვილი ნ. „შესავალი“, ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თბ.: თსუ გამ-ბა, 1941.
- ბერძენიშვილი 1967:** ბერძენიშვილი ნ. „ვახუშტის ბიოგრაფიისათვის“, ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. IV, თბ.: „მეცნიერება“, 1967.
- ბიბლიოგრაფია 1941:** ქართული წიგნი: ბიბლიოგრაფია. ტ. I, თბ.: წიგნის პალატის გამოცემა, 1941.
- ბიბლიოგრაფია 1969:** ქართული წიგნი: ბიბლიოგრაფია. ტ. I, დამატებითი ნაკვეთი. თბ.: „განათლება“, 1969.
- თამარაშვილი 1902:** თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ., 1902.
- თამარაშვილი 1995:** თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბ.: „კანდელი“, 1995.
- კეკელიძე 1962:** კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბ.: თსუ გამ-ბა, 1962.
- კეკელიძე 1980:** კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ.: „მეცნიერება“, 1980.
- კოჭლამაზაშვილი... 1999:** კოჭლამაზაშვილი ე., ლამბაშიძე ა. „ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლოს“ ძველი ქართული თარგმანი“, მრავალთავი, XVIII, 1999.
- ლოლაშვილი 1959:** ლოლაშვილი ი. სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698-1713). თბ.: საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1959.
- მენაბდე 1997:** მენაბდე ლ. XVII-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა. თბ.: თსუ გამ-ბა, 1997.
- ნიკოლოზი 1885:** ნიკოლოზ ტფილელი. საქრისტიანო პირველსასწავლო მოძღვრება. ტფ.: ე. ხელაძის სტ., 1885.
- ნიკოლოზი 1992:** ნიკოლოზ თბილელი. საქრისტიანო მოძღვრება (კატეხიზ-მო). თბ.: „ნობათი“, 1992.
- საბა 1959:** ორბელიანი ს.-ს. თხზულებანი ოთხ ტომად. ტ. I, თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1959.
- საბა 1963:** ორბელიანი ს.-ს. თხზულებანი ოთხ ტომად. ტ. III, თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1963.
- საბა 1965:** ორბელიანი ს.-ს. თხზულებანი ოთხ ტომად. ტ. IV₁, თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1965.
- საბა 2004:** ორბელიანი ს.-ს. სამოთხის კარი: საქრისტიანო მოძღვრება. თბ.: ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა, 2004.
- საბა 2005:** ორბელიანი ს.-ს. მოგზაურობა ევროპაში. თბ.: ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა, 2005.
- ფაველენიშვილი 1948:** ყუბანიშვილი ს. „ვახტანგის“, ლიტერატურული ძიებანი, IV, 1948.
- ქუთათელაძე 1973:** ქუთათელაძე ლ. „ს.-ს. ორბელიანის კონფესიური შეხედულებანი მისი ლექსიკონის მიხედვით“, მრავალთავი, III, 1973.

სულხან-საბა ორბელიანი უცხოურ ენებზე

სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა ენებზე. წინამდებარე ნაშრომი არის ცდა ამ მასალის აღნუსხვა-კლასიფიკაციისა (უნდა ითქვას, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ ევროპულ ენებზე შესრულებული თარგმანების რაოდენობით მხოლოდ „ვეფხისტყაოსანს“ ჩამოუვარდება); შევეცადეთ თავი მოგვეყარა ს.-ს. ორბელიანის თხზულებათა თარგმანებისათვის, აგრეთვე, მისი შემოქმედების შესახებ უცხო ენებზე გამოქვეყნებული გამოკვლევებისა თუ გამოცემებისათვის. ამჯერად არ ვეხებით იმ ცნობებს, რომლებიც უცხოენოვან ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებშია შეტანილი სულხან-საბას შემოქმედებაზე ან მის პოლიტიკურ-დიპლომატიურ მოღვაწეობაზე.

XIX საუკუნის 20-30 წლებამდე ევროპაში არცთუ ბევრი რამ იცოდნენ ქართული ლიტერატურის შესახებ. ევროპელთა დაინტერესებას ქართული ლიტერატურით ხელი შეუწყო რუსი საეკლესიო მოღვაწის, კიევის მიტროპოლიტის, მწერლისა და მკვლევრის, ევგენი ბოლხოვიტინოვის (1767-1837), წიგნმა „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии“ („საქართველოს პოლიტიკური, საეკლესიო და სასწავლო მდგომარეობის ისტორიული სურათი“), რომელიც 1802 წელს დაიბეჭდა სანქტ-პეტერბურგში (ბოლხოვიტინოვი 1802). ამ წიგნში „მიმოხილულია საქართველოს ისტორია და კულტურა, საეკლესიო მდგომარეობა და განათლების დონე, სათანადო ადგილი ეთმობა ქართულ ენასა და დამწერლობას, ქართულ ლიტერატურას. ცალკეულ შეცდომათა მიუხედავად (რომელთაც წიგნში არცთუ იშვიათად ვხვდებით), ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი საყურადღებოა და ავტორის წვლილი რუსი და ევროპელი საზოგადოებრიობისათვის ქართული კულტურის გაცნობაში საპატიოა“ (მენაბდე 2005: 60). ნაშრომში გადმოცემულია სულხან-საბა ორბელიანის ბერად აღკვეცის ისტორია, მისი მოგზაურობა აზიასა და ევროპაში, მიღება საფრანგეთის სამეფო კარზე, შეხვედრა რომის პაპ კლემენტო XI-სთან და ა. შ. არის უზუსტობებიც. ე. ბოლხოვიტინოვის სიტყვით, სულხან-საბა საქართველოში გარდაიცვალა („Из Рима заезжал в Мальту, и потом год жил в Константинополе, а наконец, возвратившись в отечество, там скончался“) (ბოლხოვიტინოვი 1802: 77), რაც არ არის სწორი.

ცნობები სულხან-საბა ორბელიანის შესახებ გვხვდება დ. ჩუბინაშვილის (1814-1891) წიგნის „Известия о грузинских книгах, из которых выписки вошли в состав хрестоматии“ („ქართული ქრისტო-მატია ანუ გამოკრებილი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ“) (ჩუბინაშვილი 1846) წინასიტყვაობაში, რომელშიც სულხან-საბას მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად იხსენიება „სიბრძნე სიცრუისა“. დ. ჩუბინაშვილის აზრით, ბევრი იგავი ორიგინალურია, ხოლო ნაწილი, ევროპული და აღმოსავლური იგავების ტრადიციებზეა აგებული. იქვე ავტორი ეხება „ქილილა და დამანასაც“ და საგანგებოდ აღნიშნავს საბას როლს ამ ძეგლის თარგმნაში. მისი სიტყვით, სწორედ საბას დამსახურებაა, რომ თარგმანი „მშვენიერებითა და სინატიფით არ ჩამოუვარდება ორიგინალს“.

რუსულენოვანი მკითხველისთვის ს.-ს. ორბელიანის გაცნობაში დიდი წვლილი მიუძღვის ალ. ცაგარელს (1844-1929). 1873 წელს სანქტ-პეტერბურგში მან გამოაქვეყნა ნაშრომი „О грамматической литературе грузинского языка“ („ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ“) (ცაგარელი 1873). წიგნის შენიშვნებში დიდი ადგილი ეთმობა სულხან-საბას ცხოვრებასა და შემოქმედებას („სამოთხის კარი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „ლექსიკონი“). ავტორი იზიარებს დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას „სიბრძნე სიცრუისას“ დათარიღებისა და ლიტერატურული წყაროების შესახებ, ოღონდ არ ეთანხმება ტექსტის დ. ჩუბინაშვილისეულ დასათაურებას („Мудрость и ложь“) და მიაჩნია, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ უნდა ითარგმნოს, როგორც „Мудрость вымысла“. ალ. ცაგარელი იქვე ეხება სულხან-საბას „ქართული ლექსიკონის“ შედგენის ისტორიასა და წყაროებს. „სიტყვის კონას“ ეხებოდა 1885 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნ. გამრეკელის წიგნაკი „Слѣва Орбелиани и его грузинский лексикон“ („საბა ორბელიანი და მისი ქართული ლექსიკონი“) (გამრეკელი 1885). ს.-ს. ორბელიანის ბიოგრაფია და თხზულებები: „სიბრძნე სიცრუისა“, „მოგზაურობა ევროპაში“, „ქართული ლექსიკონი“ და „ქილილა და დამანა“ ვრცლად განიხილა ალექსანდრე ხახანაშვილმა (1864-1912) – წიგნში „Очерки по истории грузинской словестности“ („ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან“) არის ნაკვეთი სულხან-საბა ორბელიანის შესახებ (ხახანაშვილი 1901: 231-238). „ქართულ ლექსიკონს“ მაღალ შეფასებას აძლევდა ნიკო მარი (1865-1934), რომელიც სულხან-საბას უბადლო ლექსიკოგრაფად და ქართული ენის საუკეთესო მცოდნედ მიიჩნევდა (მარი 1907: 192-203; 1917: 415-506).

ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ პირველი თარგმანი რუსულ ენაზე ეკუთვნის ალექსანდრე ცაგარელს. ეს თარგმანი იმიტაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი საფუძვლად დაედო „სიბრძნე სიცრუისას“ რამდენიმე თარგმანს, რომლებიც მოგვიანებით შესრულდა ევროპულ ენებზე.

ალ. ცაგარელის თარგმანი „Книга мудрости и лжи“ დაიბეჭდა 1878 წელს სანქტ-პეტერბურგში, სადაც იმხანად მეცნიერი მოღვაწეობდა (ცაგარელი 1878). ამ თარგმანმა და საერთოდ სულხან-საბა ორბელიანმა დიდი ადგილი დაიკავა ალ. ცაგარელის ნაშრომებში. 1899 წელს, რომში, საერთაშორისო კონგრესზე ნაკითხულ მოხსენებაში, ალ. ცაგარელმა „დიდი ადგილი დაუთმო სულხან-საბა ორბელიანის როლის შეფასებას და მის ელჩობას ევროპაში“ (კინწურაშვილი 1986: 187). სხვათა შორის, სულხან-საბა ორბელიანსა და მის „სიბრძნე სიცრუისას“ ალ. ცაგარელი მოიხსენიებდა აგრეთვე თავის სტატიაში, რომელიც ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში გამოქვეყნდა (ცაგარელი 1893: 799).

ალ. ცაგარელის თარგმანი 1878 წელს გამოიცა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ნებართვით. თარგმანს უძღვის წინასიტყვობა, რომელშიც ალ. ცაგარელი წერს: „სიბრძნე სიცრუისა“ არ არის თარგმანი, არც მიბაძვაა, არც რომელიმე ანალოგიური თხზულების უცვლელი გადმოკეთება, არამედ იგი თავიდან ბოლომდე ორიგინალური და ქართული წარმოშობის ძეგლია. მისი კომპოზიცია ეკუთვნის თვითონ ავტორს; იგავების, ზღაპრების და ანეგდოტების ერთი ნაწილი ნასესხებია ხალხური სიტყვიერებიდან, ერთი ნაწილიც ხალხშია გადასული სულხან-საბას წიგნიდან. ქართველი ხალხი „სიბრძნე სიცრუის“ იგავებს დღესაც მოგვითხრობს საქართველოს ყველა კუთხეში“ (ცაგარელი 1878: X; ლოლაშვილი 1986: 123) და იქვე აღნიშნავს, რომ მისი მიზანი იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოეტური თქმულებებისა და გადმოცემების ნათესაობის დადგენა და ამიტომაც მოჰკიდა ხელი „სიბრძნე სიცრუისას“ თარგმნას, რომელიც მოთხრობებს, ზღაპრებს, იგავებს, ლეგენდებს, ანეგდოტებს, გამოცანებს, ანდაზებსა და სენტენციებს შეიცავს (ცაგარელი 1878: II).

წინასიტყვაობაში ალ. ცაგარელი მიმოიხილავს ს.-ს. ორბელიანის ბიოგრაფიასა და მოღვაწეობას, მის თხზულებებს („მოგზაურობა ევროპაში“, „ქართული ლექსიკონი“), საგანგებოდ ჩერდება „სიბრძნე სიცრუისაზე“, მსჯელობს რუსულად თარგმნის სირთულეებზე, ეხება თხზულების დათარიღებისა და ორიგინალობის საკითხებს. მკვლევარმა თხზულება შეუდარა „ქილილა და დამანას“, „პანჩატანტრას“, „ჰიტოპადესს“ და „ათასერთლამიანს“. „სიბრძნე სიცრუისას“ წყაროდ ალ. ცაგარელმა ქართული ხალხური სიტყვიერ-

რება მიიჩნია, თუმცა, არც ლიტერატურული პროტოტიპების ძიება გამოურიცხავს.

დასასრულ, ალ. ცაგარელი საგანგებოდ მიუთითებდა იმ სირთულეებზე, რომლებიც ახლდა იგავ-არაკთა კრებულის თარგმნას რუსულ ენაზე (საილუსტრაციოდ მოყვანილია კრილოვის იგავეები). იგი ცდილობდა, თარგმანი შეძლებისდაგვარად ახლოს ყოფილიყო ორიგინალთან, რის გამოც, შესაძლოა, ზოგჯერ შეილახა კიდევ რუსული ენის ნორმები, მაგრამ აუცილებელი იყო ტექსტის ზუსტად თარგმნა. სწორედ ეს იყო ჩემი მთავარი მიზანია, – წერდა ალ. ცაგარელი და იქვე აზუსტებდა, რომ თარგმანი განკუთვნილი იყო მისი პეტერბურგელი სტუდენტებისათვის ქართული ენის ცოდნის გაღრმავების მიზნით (ცაგარელი 1878: XIII).

ალ. ცაგარელმა თხზულება სრულად თარგმნა და გამოყო 162 იგავი (ცაგარელი 1878: 2-178). „სიბრძნე სიცრუისას“ ტექსტს მოსდევს ფილოლოგიური შენიშვნები (ცაგარელი 1878: 179-181); გეოგრაფიული, საკუთარი და ცხოველთა სახელებისა და სოციალურ ტერმინთა საძიებელი (ცაგარელი 1878: 198-203); განმარტება იმ სიტყვებისა, რომლებიც „ლექსიკონებში არ მოიპოვება, ან ავტორი სხვა მნიშვნელობით ხმარობს“ (ცაგარელი 1878: 204-205). წიგნში არის დამატებანი, სადაც შესულია „ქართული ლექსიკონის“ აღწერილობა, ლექსიკონის წინასიტყვაობისა და ანდერძ-ნამავის რუსული თარგმანები, ნაწყვეტი თხზულებიდან „მოგზაურობა ევროპაში“ და გარკვეულია ამ თხზულებათა დათარიღების საკითხები (ცაგარელი 1878: 206-217).

„სიბრძნე სიცრუისას“ ცაგარელისეულ რუსულ თარგმანს ეპიგრაფად უძღვის ხალხური ლექსი ქართულ ენაზე:

„სულხან-საბა ორბელის-ძე
სიბრძნით აღჭდა ორბების ზე“.

წიგნის ბოლო გვერდზე კი მოცემულია ამ ლექსის რუსული თარგმანი:

„Сулхан-Саба Орбелисдзе
Поднялся мудростию выше орловь“.
(ცაგარელი 1878: 217).

„სიბრძნე სიცრუისას“ პირველ უცხოენოვან თარგმანს სიხარულით შეხვდნენ საქართველოში. 1878 წლის 25 მაისს „ივერია“ წერდა: „უფ. ალექ. ცაგარელს უთარგმნია რუსულად წიგნი სიბრძნე-სიცრუისა თქმული თ. საბა-სულხან ორბელიანისაგან და დაუბეჭდინებია პეტერბურგში“ („ივერია“ 1878: 13).

აღ. ცაგარელისეული რუსული თარგმანი განმეორებით დაიბეჭდა 1939 წელს თბილისში ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და კომენტარებით (იორდანიშვილი 1939), ლიტერატურული რედაქცია – ი. ტინიანოვისა, მხატვრულად გააფორმა ლ. გუდიაშვილმა, ჩართულია ილუსტრაციები, ახლავს სულხან-საბას 2 ავტოგრაფული ტექსტის ფოტო (იორდანიშვილი 1939: 189-210). წიგნის წინასიტყვაობაში „Сулхан Саба Орбелиანი и его Мудрость лжи“ („სულხან-საბა ორბელიანი და მისი „სიბრძნე სიცრუისა“) (იორდანიშვილი 1939: V-XXII), მიმოხილულია სულხან-საბას ცხოვრება და შემოქმედება, ძირითადად — „სიბრძნე სიცრუისა“. მოგვიანებით აღნიშნული ნარკვევი ს. იორდანიშვილმა (1898-1953) ქართულ ენაზეც გამოაქვეყნა თავის წიგნში „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ (იორდანიშვილი 1953: 134-153). აქ ავტორი საგანგებოდ ეხება აღ. ცაგარელისეული თარგმანის წინასიტყვაობას და რიგ საკითხებზე საკუთარ მოსაზრებებსაც გვთავაზობს. მაგალითად, აღ. ცაგარელის აზრით, „სიბრძნე სიცრუისა“ საბას მოხუცებულობაში დაუნერია, ს. იორდანიშვილი კი მიიჩნევს, რომ „წიგნი დანერვილია მის ახალგაზრდობაში, ბერად აღკვეცამდე“ (იორდანიშვილი 1953: 153).

საერთოდ, ს. იორდანიშვილი მაღალ შეფასებას აძლევდა აღ. ცაგარელის თარგმანს, საბას შესახებ კი წერდა: „იმის გამო, რომ მისი ეპოქის „ქართლის ცხოვრება“, საადის მოხდენილი გამოთქმით, „ანწილი იყო ზანგის თმასავით“, „ქართლის უბედურებანი“ ამძიმებდნენ მის ხვედრს ყოველგვარი უკულმართობით, ისროდნენ ხოლმე სულხანს გარეჯის მონასტერში, ხან ისპაჰანს, ხან პარიზს, ხან რომს, ბოლოს – მოსკოვში. მას, დანტეს მსგავსად, უკულმართობით აღსავსე ცხოვრების გზაზე შემთხვევა მიეცა იმისი შეცნობისა, თუ როგორი „მნარეა სხვისი პური და როგორ მძიმეა ასვლა-ჩამოსვლა სხვისი კიბით“ (იორდანიშვილი 1953: 138). გამოცემას ერთვის შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები (იორდანიშვილი 1939: 189-232).

„სიბრძნე სიცრუისას“ მეორე რუსული თარგმანი ეკუთვნის ელენე ლოლობერიძეს. იგი პირველად 1948 წელს დაიბეჭდა მოსკოვში ე. ლუნდბერგის რედაქციით („О Мудрости вымысла“) (ლოლობერიძე 1948). წიგნს უძღვის აღ. ბარამიძის წინასიტყვაობა, რომელშიც განხილულია ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები, მოკლედ გადმოცემულია სულხან-საბას ბიოგრაფიული ცნობები, ურთიერთობა ვახტანგ მეექვსესთან, მოგზაურობა ევროპასა და რუსეთში. შემდეგ აღ. ბარამიძე მიმოიხილავს ორბელიანის შემოქმედებას, შედარებით ვრცლად ეხება „სიბრძნე სიცრუისას“ ლიტერატურულ წყაროებს, რუსულენოვან მკითხველს აცნობს თხზულების სიუჟეტურ ქარგას (ლოლობერიძე 1948: 3-11). ე. ლოლობე-

რიდეს „სიბრძნე სიცრუისას“ ტექსტი სრულად აქვს თარგმნილი. იგავები დასათაურებულია, სულ 152 იგავია (ლოლობერიძე 1948: 15-232). წიგნს ერთვის უცხო სიტყვათა განმარტებანი (ლოლობერიძე 1948: 233-234).

„სიბრძნე სიცრუისას“ ე. ლოლობერიძისეული თარგმანი კიდევ რამდენჯერმე დაიბეჭდა: 1951 წელს მოსკოვში (ლოლობერიძე 1951), 1955 წელს მოსკოვში გამოცემულ ქართული პროზის ანთოლოგიაში (ლოლობერიძე 1955: 55-238), 1959 წელს თბილისში (ლოლობერიძე 1959), 1975 წელს მოსკოვში, ს. ცაიშვილის შესავალი წერილით (ლოლობერიძე 1975). აღნიშნული თარგმანის ნაწყვეტები შეტანილია ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატიასა (ლოლობერიძე 1982: 509-584; 1987: 509-584) და პედაგოგიური აზრის ანთოლოგიაში (ლოლობერიძე 1987: 127-129). ამ თარგმანის საფუძველზე სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავთან დაკავშირებით „სიბრძნე სიცრუისა“ ითარგმნა უნგრულ, პოლონურ, ლიტვურ, ყაზახურ ენებზე.

რუსულ ენაზე ითარგმნა აგრეთვე ს.-ს. ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“. წიგნი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გრიფით დაიბეჭდა გამომცემლობა „მერანში“ — „Путешествие в Европу“. თარგმანი ეკუთვნის ფატი თვალთვაძეს (თვალთვაძე 1969), წიგნს ერთვის გ. ლეონიძის წინასიტყვაობა და რ. ბარამიძის ბოლოსიტყვაობა. მხატვრული გაფორმება — ლ. ცუცქერიძისა, ჩართულია რუკა — სულხან-საბას ევროპაში მოგზაურობის მარშრუტი. ეს არის ამ თხზულების პირველი სრული თარგმანი რუსულ ენაზე (თვალთვაძე 1969: 21-121). გ. ლეონიძის წინასიტყვაობის თარგმანი ეკუთვნის ე. ლოლობერიძეს. გ. ლეონიძე ვრცლად მიმოიხილაეს საბას ეპოქას, ქართლის სამეფო კარის ისტორიას, მწერლის ბიოგრაფიის ძირითად მომენტებს, განსაკუთრებით — ევროპაში მოგზაურობას, მსჯელობს საბას თხზულებათა ლიტერატურულ წყაროებზე (ლეონიძე 1969: 5-20). წიგნის ბოლოსიტყვაობის ავტორი რ. ბარამიძე კი ნარკვევში „Страницы одной дипломатической миссии“ („ერთი დიპლომატიური მისიის ფურცლები“) ძირითადად ეხება საბას მოგზაურობას საფრანგეთსა და იტალიაში (ბარამიძე 1969: 122-132). ამ თარგმანის გამოსვლას გამოეხმაურა გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ („ლიტერატურული საქართველო“ 1970). დაიბეჭდა აგრეთვე ქ. ჩხატარაიშვილის კრიტიკული რეცენზია, რომელშიც აღნიშნულია, რომ „თარგმანი თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს... თარგმნისას დაშვებულია ისეთი მიუტევებელი შეცდომები, რომლებიც მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ თარგმნის პროცესში გათვალისწინებული არ ყოფილა ისტორიული სიტუაცია, რომელშიც „მოგზაურობა“

იქმნებოდა; როგორც ჩანს, თარგმანი მზადდებოდა სახელდახელოდ, ტექსტზე თვალის ერთი გადავლებით. თარგმანის ყოველი გვერდი სავსეა შეცდომებით“ (ჩხატარაიშვილი 1972: 205-214).

1988 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა „მოგზაურობის“ ნაწყვეტები, თარგმნილი გ. ამიჩბას მიერ (ამიჩბა 1988: 122-125).

რუსულ ენაზე ს.-ს. ორბელიანის შესახებ სხვადასხვა დროს მრავალი გამოკვლევა დაიბეჭდა, რომლებშიც მიმოხილულია საბას ცხოვრების გზა და შემოქმედება (ბარამიძე 1959; განერელია 1959: 86-88; ლეონიძე 1961: 56-87; ცაიშვილი 1987: 92-110; ნატროშვილი 1991: 192-199); სულხან-საბას ენის საკითხები (გენაძე 1970, კობალაძე 1972); „ქართულ ლექსიკონთან“ დაკავშირებული მასალები (აბულაძე 1964; ქუთათელაძე 1950; კალანდარიშვილი 1955); „სიბრძნე-სიცრუისას“ სათაურის გააზრება (იმედაშვილი 1954: 303-309); საბას პედაგოგიური შეხედულებები (ლორთქიფანიძე 1953; ჯღარკავა 1973); შესწავლილია ცალკეული თხზულებები (მახათაძე 1955; ბარამიძე 1970: 60-67); მიმოხილულია სულხან-საბას კარტოგრაფიული საქმიანობა (მარუაშვილი 1956). სამწუხაროდ, სულხან-საბა ორბელიანი ნაკლებად იხსენიება რუსი ავტორების პუბლიკაციებში (რიაბინინი 1889: I-XIV; შკლოვსკი 1929: 83, 119, 123; გორკი 1953; 283-284).

ს.-ს. ორბელიანის შესახებ თხრობა გვხვდება რუსულ ენაზე გამოცემულ ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოებშიც. კ. კეკელიძის ნაშრომში „Конспективный курс истории древнегрузинской литературы“ („ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კონსპექტური კურსი“) (კეკელიძე 1939: 118; 1963: 162-163) სულხან-საბას ბიოგრაფია და შემოქმედება მოკლედაა მიმოხილული. ავტორი მიიჩნევს, რომ თხზულება შედგება 162 იგავისაგან, მსჯელობს თხზულების ლიტერატურულ წყაროებზე.

XX საუკუნის 50-იან წლებში ორჯერ დაიბეჭდა „История грузинской литературы“ („ქართული ლიტერატურის ისტორია“), რომელშიც ნაკვეთი „სულხან-საბა ორბელიანი“ ეკუთვნის ალ. ბარამიძეს. ავტორი მსჯელობს სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა „სიბრძნე სიცრუისას წიგნის“ განხილვას (ბარამიძე 1952: 57-60; 1958: 85-92). ს.-ს. ორბელიანი და მისი „სიბრძნე-სიცრუისა“ წარმოდგენილია წიგნში „Грузинская литература“ („ქართული ლიტერატურა“), ნარკვევის ავტორი აქაც ალ. ბარამიძეა (ბარამიძე 1968: 30-32).

ფრანგულენოვანი მკითხველისათვის სულხან-საბა ორბელიანის სახელი ცნობილი გახდა ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის ([Болховитинов Е.] Историческое изображение Грузии в политическом, церков-

ном и учебном ее состоянии. – СПб., 1802) (ბოლხოვიტინოვი 1802) გამოსვლის შემდეგ, რომელიც მალევე ითარგმნა გერმანულ ენაზე, ფრანგულად კი გამოქვეყნდა ამ წიგნის მალტ-ბრენისეული მიმოხილვა, რომელშიც იხსენიება ს.-ს. ორბელიანი და მის მიერ შედგენილი ლექსიკონი (მალტ-ბრენი 1810).

პირველი გამოკვლევა ფრანგულ ენაზე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის შესახებ გამოაქვეყნა ცნობილმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ (1802-1880). იმხანად პარიზის სამეფო ბიბლიოთეკამ შეიძინა ქართული ხელნაწერი – იოანე იალღუზიდის მიერ გადაწერილი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“. მ. ბროსე აღფრთოვანებული დარჩა ამ წიგნის გაცნობით და სპეციალური სტატია უძღვნა მას: „Notice sur le dictionnaire géorgien de Soukhhan-Saba Orbeliani, récemment acquis par Bibliothèque Royale de Paris“ („შენიშვნა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკის მიერ ახლახან შეძენილი სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის შესახებ“) (ბროსე 1834: 171-187), მოგვიანებით კი „სიტყვის კონა“ თარგმნა კიდევ ფრანგულ ენაზე. აღნიშნულ საკითხს შეეხნენ მ. ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობის მკვლევარნი: რ. დოდაშვილი (დოდაშვილი 1959; 1962), შ. ხანთაძე (ხანთაძე 1966: 173), მ. ბუაჩიძე (ბუაჩიძე 1983: 47-70) და სხვ.

რ. დოდაშვილის მიხედვით, „სიტყვის კონისადმი“ მიძღვნილი „წერილის დასაწყისში ბროსე იძლეოდა ორბელიანის ვრცელ ბიოგრაფიას. შემდეგ კი, მიმოიხილავდა რა ლექსიკონს, აღნიშნავდა: ჩანს, საქართველოში ამ ლექსიკონზე ადრე არსებობდა სხვა ლექსიკონიც, რომელიც დაკარგული იყო იმ დროს, როცა სულხან-საბა შეუდგა თავისი თხზულების შედგენას. ბროსე დასძენდა, რომ ავტორს „სიტყვის კონის“ შედგენისას უსარგებლია როგორც ქართული, ისე სომხური და სხვა ენებიდან თარგმნილი ავტორების შრომებით. ბროსე აღნიშნავდა დაახლოებით 26 ავტორს, რომელთა ნაწარმოებებიაც სარგებლობდა ქართველი ლექსიკოგრაფი...

ბროსე დაწვრილებით განიხილავდა „სიტყვის კონას“ და აღნიშნავდა — ლექსიკონი 15 004 სიტყვას შეიცავს, მაგრამ იქ იმდენი განმარტებაა მოცემული, რომ ორჯერ მეტად იზრდება სიტყვათა რაოდენობა. ბროსე ხაზს უსვამდა სულხანის მიერ სინონიმთა უხვად და დაწვრილებით გადმოცემას... იგი მეტად დააინტერესა ამ შესანიშნავმა ლექსიკონმა, არაერთხელ დაუბრუნდა მას სხვა ნაშრომებშიაც, სადაც სულხან-საბა ორბელიანის ნიჭს მაღალ შეფასებას აძლევდა და თვლიდა ღირსად იმ მოწონებისა, რომელსაც იმსახურებდა თავის სამშობლოში. ბროსე ამბობდა: „ქართული ენა ლექსიკით მეტად მდიდარია და რაოდენ ვრცელი იქნებოდა ის ლექსიკონი, რომელშიც ამჟამად ხმარებული ყველა სიტყვა შევიდოდა“ (დოდაშვილი 1962: 47-48). ხოლო გ. ბუჩიძის შეფასებით:

„Словарь этот на всю жизнь станет для Броссе настольной книгой, своеобразным компасом, по которому он будет сверять свои знания, понимание того или иного слова, выражения“ (ბუაჩიძე 1983: 47).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ფრანგული თარგმანი მ. ბროსეს არ დაუბეჭდავს. მის არქივში დაცულია „სიტყვის კონა“ ფრანგულ ენაზე ვრცელი ახსნა-განმარტებებით.

აღნიშნულ თარგმანს მაშინვე გამოეხმაურა თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც მ. ბროსეს სწერდა: „სულხანის ლექსიკონის თარგმანი დიახ მიამა, უცხო საქმე გიქმნია და რაც გასამართავი იქნება, მე არ დაგზარდები და გულსმოდგინებით გაგიმართავ. ეცადე, ყოველს წერილებში, ყოველთვის კარგათ ნაკითხვას, რომ სწორეთ გამოიცილა და მიხვდე, რომელსაც ვერ მიხვდე, მკითხე, რომ ტყუილები არ ჩაგვიწერო, თორემ სირცხვილი იქნება, მერმე ქართველები მე დამცინებენ, აი, ამისთანა შაგირდი გყავსო“ (თეიმურაზ ბაგრატიონი 1964: 31). სხვათა შორის, გერმანიაში ყოფნის დროს თეიმურაზ ბაგრატიონს ფრიდრიხ ვილჰელმ მესამისათვის (1786-1840) მიუძღვნია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი შემდეგი წარწერით: Его величеству корола прусскаго Фридерик Велгелм третию для Его Величеству с библиотеки сей лексикон грузинской диалекта, сочиненой князя Сулхана Саба Орбелиани и писанной гражданского буквами нижейше преданностию грузинский царевич Теймураз Георгиевич. შევსწირე ლექსიკონი ესე მათს დიდებულებას, პრუსიის კოროლსა ფრიდერიკოს ველლემ მესამესა, მათის დიდებულების ბიბლიოთეკისათვის უმონაებრივისის სიმდაბლით 1836 г., октября 22 (ноября 4), в Берлине (თეიმურაზ ბაგრატიონი 1964: 116).

მ. ბროსეს ყურადღებას იპყრობდა ალორძინების ხანის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი: „როსტომიანი“, „რუსუდანიანი“, „მირიანი“, „არჩილიანი“, „ქილილა და დამანა“, „სიბრძნე სიცრუისა“ და სხვ. „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიულსა და პოლიტიკურ მოღვაწეობას გაცნობილ ბროსეს არ შეიძლებოდა თვალთახედვიდან გამორჩენოდა მისი მხატვრული შემოქმედება: „ქილილა და დამანას“ ქართული ვარიანტის ჩამოყალიბებაში ვახტანგ VI და სულხანის თანამშრომლობა ცნობილი იყო მისთვის, ხოლო „სიბრძნე-სიცრუისა“, როგორც მის არქივში დაცული ხელნაწერები მოწმობენ, უთარგმნია მთლიანად. ხელნაწერის შავი დათარიღებულია 1841 წლით, გადათეთრებული – 1846 წლით. ბროსეს ხელთ ჰქონდა „ქილილა და დამანას“ ვახტანგ VI თარგმანის ავტოგრაფი, რომელიც „სააზიო მეზეუმისათვის“ გადაუცია პეტრე ქებაძეს საქართველოში ყოფნის დროს, დავით დადიანის ბიბლიო-

თეკაში ბროსე გაეცნო სულხანის „მოგზაურობას ევროპაში“ (დოდაშვილი 1962: 94).

სამწუხაროდ, „სიბრძნე სიცრუისას“ ბროსესეული სრული ფრანგული თარგმანი, რომელიც 1840-1850 წლებში პეტერბურგში შესრულდა, რატომღაც აღარ დაიბეჭდა. ხელნაწერი შეიცავს 134 გვერდს და დაცულია სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, მარი ბროსეს არქივში (თურნავა 1979). მ. ბროსეს ამავე არქივში ინახება სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა („მოგზაურობა ევროპაში“, „ქართული ლექსიკონი“) ხელნაწერები და უმშვენიერესი ილუსტრაციებით შემკული „ქილილა და დამანა“. ამ ხელნაწერთა შესახებ ჯერ კიდევ 1904 წელს წერდა კ. ზალემანი წერილში „Manuscripts, Correspondence et Ouvrages de feu Mr. M. Brosset“ („განსვენებული მარი ბროსეს ხელნაწერები, კორესპონდენციები და ნაწერები“) (ზალემანი 1904: 013-040).

1885 წელს „დროება“ იუწყებოდა: „ბ-ნ მურიეს გადაუთარგმნია რამდენიმე ზღაპარი „სიბრძნე-სიცრუიდან“ ფრანცუზულ ენაზე და ამ დღეებში გამოსცემს მათ სათაურით „Les Contes Géorgiens“ („დროება“ 1885).

ჟიულ მურიე იყო ფრანგი ორიენტალისტი, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩამოვიდა საქართველოში. იგი დაინტერესებული იყო კავკასიის ხალხთა კულტურით, ისტორიით, ეთნოგრაფიით, ხელოვნებითა და ლიტერატურით. 1885 წელს ჟ. მურიემ თბილისში მართლაც გამოსცა წიგნაკი: „Les Contes Géorgiens“ (მურიე 1885: IV-35), რომელშიც შეიტანა მის მიერვე ფრანგულ ენაზე გადათარგმნილი სულხან-საბა ორბელიანის ათი იგავი. ეს წიგნაკი ჟ. მურიემ მიუძღვნა თავად (Prince) გიორგი ორბელიანს. მოკლე შესავალში მთარგმნელი მკითხველს აცნობს სულხან-საბა ორბელიანს, გადმოსცემს მისი ბიოგრაფიის ძირითად მომენტებს, ახასიათებს მას როგორც განათლებულ მოღვაწესა და შესანიშნავ მწერალს. იქვე აღნიშნულია, რომ ამ ათი იგავის თარგმანი შესრულებულია „სიბრძნე სიცრუისას“ აღ. ცაგარელისეული რუსული თარგმანის საფუძველზე. ეს იგავებია: „Le roi du Khorassan et le juif de Tchinet“ („მეფე ხორასანისა“); „Le vieux vizir et le bûcher“ („ინდოთ მეფე და ვაზირნი“); „Les deux Mollahs“ („ორი მოლა“); „Le Calife de Bagdad et le pauvre Arabe“ („ხალიფა და არაბი“); „Le renard se rendant à Jérusalem“ („მოძღვარი მელი“), „Le roi de Laodicée et le peintre“ („მეფე და მხატვარი“), „Les sourds“ („ოთხი ყრუ“); „Le seigneur de Betcha et le duc“ („დეუკა და აზნაური“); „L'âne, le chien et la fourmi“ („ვირი, ძაღლი

და ჭიანჭველა“)*; „Le roi à la recherche de l'homme sans chagrin“ („უნალვლოთა მძებნელი“).

1889-1892 და 1899-1902 წლებში თბილისში ჟ. მურიეს რედაქტორობით გამოდიოდა კავკასიაში ერთადერთი ფრანგული ჟურნალი „Le Caucase Illustré“ („ლე კოკაზ ილუსტრე“), რომელშიც ხშირად იბეჭდებოდა ფრანგულ ენაზე თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებები. ჟურნალის ნომრებში ჟ. მურიემ გადმობეჭდა სულხან-საბას ექვსი იგავი: „Le roi du Khorassan et le juif de Tchinet“ („მეფე ხორასანისა“); „Le vieux vizir et le bûcher“ („ინდოთ მეფე და ვაზირნი“); „Le Calife de Bagdad et le pauvre Arabe“ („ხალიფა და არაბი“); „Le renard se rendant à Jérusalem“ („მოძღვარი მელი“), „Le roi de Laodicée et le peintre“ („მეფე და მხატვარი“), „Les sourds“ („ოთხი ყრუ“).

1888 წელს ჟ. მურიემ პარიზში გამოსცა წიგნი „Contes et légendes du Caucase“ („კავკასიური ზღაპრები და ლეგენდები“) (მურიე 1888), რომელშიც ჩართო მის მიერვე თარგმნილი ცხრა იგავი. ჟ. მურიეს თარგმანებს შეეხნენ ლ. ბრეგაძე (ბრეგაძე 1977: 142-146) და გ. ბუაჩიძე (ბუაჩიძე 1978: 12-14). ლ. ბრეგაძის აზრით, თარგმანებში „მრავალი ნაკლი შეინიშნება, ზოგჯერ მურიე თვითნებურად ავრცობს იგავის ტექსტს... გვხვდება გამოტოვებული ადგილებიც... ჟ. მურიე რამდენჯერმე უყურადღებოდ ეკიდება სწორედ იმ ადგილების თარგმნას, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მოქმედების მოტივაციის თვალსაზრისით...“, თუმცა მკვლევარი იქვე წერს, რომ „შედარებით უკეთაა თარგმნილი „მეფე და მხატვარი“ და „ოთხი ყრუ“. და, მიუხედავად სერიოზული ნაკლოვანებებისა, ს.ს. ორბელიანის იგავთა გამოქვეყნება ჟურნალში მაინც სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. საბას არაკები, თუნდაც ამგვარად თარგმნილნი, უცხოელ მკითხველს გულგრილად არ დატოვებდნენ“ (ბრეგაძე 1977: 142-143).

ჟ. მურიეს თარგმანები დანვრილებით განიხილა გ. ბუაჩიძემ მის მიერ ფრანგულად თარგმნილი „სიბრძნე სიცრუისას“ წინასიტყვაობაში. გ. ბუაჩიძის აზრით, ჟ. მურიემ თარგმანებში ბევრი ცვლილება შეიტანა; იგავთა სათაურები შეცვალა შინაარსის მიხედვით, ჩაურთო მრავალი ეპითეტი, ზოგჯერ იგავის სიუჟეტიც კი შეცვალა („მეფე ხორასანისა“), იგავეს უფრო აღმოსავლური ელფერი მიანიჭა და სხვ. (ბუაჩიძე 1978: 12-14).

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ჟ. მურიეს თარგმანებს იმ დროისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მწერლობის პოპულარიზაციისათვის.

* ამ საკითხზე იხ. ბუაჩიძე 1978: 14-15.

1978 წელს, თბილისში, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ გამოსცა „სიბრძნე სიცრუისას“ ფრანგული თარგმანი, შესრულებული გასტონ ბუაჩიდის მიერ (Soulkhan-Saba Orbeliani. La sagesse du mensonge. Traduire du géorgien et présenté par Gaston Bouatchidze) (ბუაჩიძე 1978). რედაქტორია ფრანგი ფილოლოგი ბერნარ დემანდრი (რომელიც ერთხანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა ფრანგულ ენას). წიგნს ამშვენებს ლ. გუდიაშვილის მიერ 1930-იან წლებში შექმნილი ილუსტრაციები. ანოტაციაში აღნიშნულია, რომ ეს არის „სიბრძნე სიცრუისას“ პირველი სრული თარგმანი ფრანგულ ენაზე. წიგნს ახლავს ვრცელი წინასიტყვაობა (ბუაჩიძე 1978: 5-38) და ლექსიკონი (ბუაჩიძე 1978: 328-339).

„Saba le Sage“ („ბრძენი საბა“) – ასე უწოდა მთარგმნელმა ნარკვევს სულხან-საბა ორბელიანის შესახებ, რომელშიც მიმოხილულია მწერლის ეპოქა, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა, საბას ცხოვრების გზა და შემოქმედება. მთარგმნელი ვრცლად ეხება იგავარაკული ჟანრის ისტორიას ეზოპედან ლაფონტენამდე და „სიბრძნე-სიცრუისას“ განიხილავს მსოფლიოს უდიდეს კლასიკოსთა შემოქმედების კონტექსტში. აქვე ახსენებს იმ მეცნიერთა (ალ. ხახანაშვილი, ალ. ცაგარელი, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, გ. ლეონიძე და სხვ.) ნაშრომებს, რომლებიც ეხებოდნენ „სიბრძნე-სიცრუისას“. მკითხველი ეცნობა თხზულების სიუჟეტურ ქარგას, პერსონაჟებს, თემასა და იდეას. გ. ბუაჩიძე ეხება თხზულების სხვა ენებზე (რუსული, ინგლისური, გერმანული) თარგმნის ისტორიას, ცალკე გამოყოფს „სიბრძნე სიცრუისას“ ფრანგულ თარგმანებს (მ. ბროსე, ჟ. მურიე). განსაკუთრებით საინტერესოა მისი დაკვირვება ჟ. მურიეს თარგმანზე. გ. ბუაჩიძე დაწვრილებით განიხილავს ჟ. მურიეს მიერ თარგმნილ იგავებს, უდარებს ორიგინალს და საყურადღებო დასკვნებს გვთავაზობს.

როგორც აღვნიშნეთ, გ. ბუაჩიძის წინასიტყვაობა საკმაოდ ვრცელია და ფრანგულენოვან მკითხველს წარმოდგენას უქმნის სულხან-საბა ორბელიანისა და მის თხზულებაზე. გასტონ ბუაჩიძის თარგმანი (ბუაჩიძე 1978: 39-327) გამოირჩევა არა მარტო სისრულითა და სიზუსტით, არამედ იმითაც, რომ მთარგმნელს კარგად აქვს გააზრებული ავტორის მსოფლმხედველობრივი შეხედულებები და ყველანაირად ცდილობს, თარგმანს შეუნარჩუნოს ორიგინალის ღირსებები.

უცხოელი ლიტერატორები და მეცნიერები ფართოდ გამოეხმაურნენ ამ გამოცემას. იტალიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ჟურნალ „ორიენტე მოდერნოში“ დაიბეჭდა ცნობილი მთარგმნელის ლუიჯი მაგაროტოს რეცენზია, ბელგიის ჟურნალში

„რევიუ დე პეი დე ლესტ“ კი — ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორ ჟან ბლანკოფისა, ლუქსემბურგში გამომავალ ჟურნალში „ნუველ ეუროპ“ დაიბეჭდა როზმარი კიფერის წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ორბელიანს ბევრი უფიქრია თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზე: იგი მომხრე იყო ძლიერი და გონიერი ცენტრალური ძალაუფლებისა, რომელსაც უნარი შესწევდა დაეცვა საქართველოს ინტერესები. ეს საზრუნავი „სიბრძნე სიცრუისას“ სტრიქონთა შორისაც იკითხება“. ბელგიურ ჟურნალში „ბელჟიკურს მაგაზინ“ გამოქვეყნდა ჟორჟ ბუაჩიდის საინტერესო რეცენზია, რომელშიც იგი მაღალ შეფასებას აძლევს გ. ბუაჩიდის თარგმანს და აღნიშნავს: „ეს გახლავთ მეტ-ნაკლებად ლაკონიური ამბების კრებული, ამბებისა, ხალხთა მრავალსაუკუნოვან საუნჯეს რომ განეკუთვნება და რომელთა წყაროს ძებნაში ზოგჯერ თვით ეზოპეს უნდა დაეუბრუნდეთ ხოლმე, წიგნი „ათას ერთ ღამესაც“ გვაგონებს და მონტესკიეს „სპარსულ წერილებსაც“, ვოლტერის მოთხრობებსა და „დეკამერონს“, თვით სვიფტსაც, და, რაღა თქმა უნდა, ლაფონტენს. როგორ, რატომ, რა განსხვავებითა თუ რანაირი მსგავსებით მოხდა ეს? გასტონ ბუაჩიდე თავის წინასიტყვაობაში „ბრძენი საბა“, წარმოაჩენს ყოველივე ამას. მას სავსებით ვეთანხმებით, როდესაც ერთმანეთს აახლოვებს ს.ს. ორბელიანისა და ერაზმ როტერდამელის მოღვაწეობასა და იდეებს. თვით ამ გარემოებიდანაც საკმაოდ გამოსჭვივის განათლებულ ქართველთათვის უკვე ორი საუკუნის მანძილზე ესოდენ საამაყო ნაწარმოების ლიტერატურული და დოკუმენტური ღირებულება. კრებულის იგავები ძაფზე ასხმული მარგალიტების მძივები გეგონებათ (ამ კომპოზიციას დიახაც რომ სიტყვა „ძაფი“ უხდება). ერთმანეთს თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვება სხვადასხვა გამოცდილებისა თუ მსოფლმხედველობის მქონე მთავარ პერსონაჟთა ნაამბობი, ხოლო მოქმედება სპარსეთის ერთ მომიჯნავე სამეფოში იშლება“ (თურნავა 1980).

გ. ბუაჩიდის თარგმანს გამოეხმაურნენ აგრეთვე ცნობილი ქართველოლოგები ჰანს ფოგტი და რობერტ სტივენსონი, ფრანგი პოეტი ფილიპ დიუმენი, მწერალი რენე ეტიამბლი და სხვ. (თურნავა 1979).

საქართველოშიც არაერთი რეცენზია თუ გამოხმაურება მოჰყვა გ. ბუაჩიდის თარგმანს (მალიუგინა 1979; თურნავა 1979; 1980; 1999).

1982 წელს თბილისში ფრანგულ ენაზე გამოიცა ქართული პოეზიის ანთოლოგია „La poésie géorgienne“, რომელიც შეადგინა, თარგმნა და კომენტარები დაურთო სერგი წულაძემ (წულაძე 1982). ანთოლოგიაში წარმოდგენილია V-XX საუკუნეების ქართული მწერლობის ნიმუშთა ფრანგული თარგმანები. ამ წიგნის გა-

მოცემას გამოეხმაურნენ რ. სტივენსონი, ქ. ვივიანი, რ. კიფერი, ჟ. ბუიონი და სხვები (თურნავა 1984). ალორძინების ხანის ქართველ პოეტთა (თეიმურაზ I, არჩილი, დ. გურამიშვილი...) გვერდით წიგნში ჩართულია სულხან-საბა ორბელიანის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და ერთი იგავი — „სოფლის მაშენებელი“ („La fable des constructeurs du monde“) (წულაძე 1982: 36-37).

გერმანელმა მკითხველმა სულხან-საბა ორბელიანის სახელი გაიგო მას შემდეგ, რაც ითარგმნა ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნი (ბოლხოვიტინოვი 1802).

პირველი გერმანელი მეცნიერი, რომლის ნაშრომშიც იხსენიება სულხან-საბა ორბელიანი, არის იოჰან ქრისტოფ ადელუნგი (1732-1806). წიგნში „Mithridates oder allgemeine Sprachkunde“ („მითრიდატე ანუ საყოველთაო ენათმეცნიერება“) (ადელუნგი 1806) ავტორმა დაახასიათა ქართული ენა და განიხილა ქართული მწერლობის საკითხები. ი. ადელუნგი სულხან-საბა ორბელიანს მოიხსენიებს როგორც დიდ ლექსიკოგრაფს.

სულხან-საბა ორბელიანსა და მის შემოქმედებას ეხება გერმანელი ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე ფრანც ნიკოლაუს ფინკი (1867-1910) ნაშრომში „Die Orientalischen Literaturen“ („აღმოსავლური ლიტერატურები“), რომლის ერთი ნაკვეთის სათაურია „ქართული ლიტერატურა“ (ფინკი 1906). ფ. ფინკის შეხედულებით, „საქართველოს სულიერი ალორძინება დაკავშირებულია ქართველთა შორის დასავლური სულისკვეთების შეჭრასთან... დასავლური სულისკვეთების მატარებელი არიან ვახტანგ მეექვსე, დ. გურამიშვილი და ს.-ს. ორბელიანი, რომელიც ევროპაში მოგზაურობის შედეგად დასავლურ კულტურას იყო ნაზიარები. მისი წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ აღსავსეა პედაგოგიური იდეებით, ქართული იუმორითა და მახვილგონიერებით“ (რევიშვილი 1977: 158). ფ. ფინკმა „სიბრძნე სიცრუისა“ მიიჩნია ტილ ოილენშპიგელისეული შვანკების ყაიდის ნაწარმოებად, რაც არ გაიზიარა გერმანისტმა შ. რევიშვილმა (რევიშვილი 1977: 160).

გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის ანტონ ბაუმშტარკის (1872-1945) წიგნის „Die christliche Literaturen des Orients“ („აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურები“) ქვეთავში — „Die georgische Literatur“ („ქართული ლიტერატურა“) (ბაუმშტარკი 1911) იხსენიება სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც, ავტორის შეხედულებით, არის ქართულ მწერლობაში დასავლური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების დამწერგავი. სწორედ სულხან-საბა ორბელიანით ასრულებს ა. ბაუმშტარკი ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის მიმოხილვას.

სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წერდა არტურ ლაისტი (1852-1927) თავის წიგნში „Das georgische Volk“ („ქართველი ხალხი“) (ლაისტი 1903: 328) და იქვე საგანგებოდ გამოყოფდა „სიბრძნე სიცრუისას“, როგორც საბას საუკეთესო ქმნილებას.

სულხან-საბა ორბელიანს, როგორც ევროპული ორიენტაციის მწერალსა და შესანიშნავ ლექსიკოგრაფს, მოიხსენიებს თავის წიგნში „Die Literatur der Georgien“ („ქართული ლიტერატურა“) გამორჩენილი ავსტრიელი მეცნიერი რობერტ ბლაიხშტაინერი (1891-1954) (ბლაიხშტაინერი 1947).

ცნობილ გერმანელ მეცნიერს გერჰარდ დეეტერსს (1892-1961) ეკუთვნის ვრცელი ნარკვევი „Georgische Literatur“ („ქართული ლიტერატურა“) (დეეტერსი 1963), რომელშიც მიმოხილულია ძველი ქართული ლიტერატურა. ქართული ლიტერატურის მისეული პერიოდიზაციის მიხედვით, მესამე პერიოდი მე-16 საუკუნიდან მე-19 საუკუნის შუა წლებამდე გრძელდება (რენესანსი, განმანათლებლობა, რომანტიზმი). წიგნის ამ ნაწილში თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსის გვერდით იხსენიება სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება. აღსანიშნავია, რომ გ. დეეტერსმა აგრეთვე გამოაქვეყნა რეცენზია „სიბრძნე სიცრუისას“ მ. წერეთლისეულ თარგმანზე (დეეტერსი 1934).

შვეიცარიელი ქართველოლოგი რუთ ნოიკომი თავის სტატიაში „Die Literatur Georgiens“ („ქართული ლიტერატურა“) (ნოიკომი 1981) ვრცლად ჩერდება სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე. აღნიშნავს, რომ სულხან-საბამ იმოგზაურა ევროპაში, დაწერა იგავ-არაკთა წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ და შეადგინა ლექსიკონი.

„სიბრძნე სიცრუისას“ პირველი თარგმანი გერმანულ ენაზე დაიბეჭდა ბერლინში, 1933 წელს, გამომცემელი – არჩილ მეტრეველი. წიგნს ამშვენებს ქართული ჩუქურთმით გაფორმებული თავფურცელი და სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტი. თარგმანი „Die Weisheit der Lüge“ („სიბრძნე სიცრუისა“) (წერეთელი 1933) ეკუთვნის ცნობილ აღმოსავლეთმცოდნესა და ქართველოლოგს მიხეილ (მიხაკო) წერეთელს (1878-1965). მთარგმნელს არ გაუზიარებია ტექსტის იმგვარი აგებულება, როგორც იყო ალ. ცაგარელისა და ო. უორდროპის თარგმანებში (162 იგავი). თხზულება დასათარგმნელია გ. ლეონიძის გამოცემის მიხედვით და შეიცავს 152 იგავს. წიგნს ერთვის მ. წერეთლის წინასიტყვაობა (წერეთელი 1933: XIII-XV) და მის მიერვე დაწერილი სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფია (წერეთელი 1933: 1-10). თარგმანსა და ნარკვევს სა-

ფუძვლად უდევს გ. ლეონიძის მიერ 1928 წელს გამოქვეყნებული ტექსტი (ლეონიძე 1928).

„სიბრძნე სიცრუისას“ გერმანულ გამოცემაში ჩართულია ზ. ავალიშვილის მრავალმხრივ საინტერესო ვრცელი შესავალი წერილი (წერეთელი 1933: 11-53). ზ. ავალიშვილის ნაშრომი გერმანულ მკითხველს უადვილებს ტექსტის გაგებას, არის ცდა „სიბრძნე სიცრუისას“ პერსონაჟთა პროტოტიპების დადგენისა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს სულხან-საბა ორბელიანის ენისა და სტილის საკითხებზეც.

მ. წერეთელი და ზ. ავალიშვილი არ ეთანხმებიან წიგნის სათაურის ცაგარელისეულ ახსნას, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ უნდა ითარგმნოს როგორც „Книга Мудрости и Лжи“. მათ მართებულად მიაჩნიათ კ. კეკელიძის შენიშვნა: „სახელწოდება კრებულისა: „სიბრძნე სიცრუისა“ გულისხმობს, რომ ის შეიცავს სიბრძნეს, ე. ი. გარკვეულ აზრს, მნიშვნელობას სიცრუის, ანუ ცრუ, მოგონილ ზღაპრისა და იგაგ-არაკებისას ან აქედან გამომდინარეობს წიგნის სათაურის თარგმანი: „Die Weisheit der Lüge“ (ბარამიძე 1964: 121). მ. წერეთელი და ზ. ავალიშვილი იზიარებენ „სიბრძნე სიცრუისას“ ილიასეულ გაგებას. „სიბრძნე სიცრუისას“ გერმანულ სათაურს მხარი დაუჭირეს ალ. ბარამიძემ (ბარამიძე 1964: 121) და სხვებმა.

ზ. ავალიშვილი თავის გამოკვლევაში დიდ ადგილს უთმობს „სიბრძნე სიცრუისას“ შესაძლებელი ფოლკლორული და ლიტერატურული წყაროების საკითხს. მის დაკვირვებას მაღალი შეფასება მისცა ილ. აბულაძემ, რომელიც წერდა: „...რომელი იგავი რომელ წყაროსთან იჩენს მსგავსებას თუ სიახლოვეს... ამ მხრივ მცირე შრომა როდია განეული პროფ. ალ. ცაგარლის, პროფ. ზ. ავალიშვილის და პროფ. კ. კეკელიძის მიერ, განსაკუთრებით ზ. ავალიშვილის ხელით“... (აბულაძე 1959: 8). ზ. ავალიშვილის გამოკვლევას „სიბრძნე-სიცრუისას“ წყაროთა საკითხებზე გვერდს ვერ აუვლის თანამედროვე მკვლევარი (ბრეგაძე 1989).

სულხან-საბა ორბელიანის რამდენიმე იგავი თარგმნა შვეიცარიაში მოღვაწე ქართველმა ენათმეცნიერმა კიტა ჩხენკელმა (1895-1963). 1958 წელს ციურიხში, გამომცემლობა „ამირანში“, გერმანულ ენაზე დაიბეჭდა ორტომიანი შრომა „Einführung in die Georgische Sprache. von Kita Tschenkeli“ („ქართული ენის შესავალი“). II ტომი არის პრაქტიკული ნაწილი სავარჯიშოებითა და ქრესტომათიით, რომელშიც შეტანილია შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, გრ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვა ავტორთა ნაწარმოებების ფრაგმენტები ქართულად და მათი გერმანული სიტყვასიტყვითი თარგმანები, ახლავს განმარტებები და ლექსიკონი (ჩხენკელი 1958).

აქ შეტანილია კ. ჩხენკელის მიერვე თარგმნილი 19 იგავი. ესენია: „უტკბესი და უმწარესი“ — „Das Süßeste und das Bitterste“ (397-398), „ობოლი ბავშვი და მისი დედა“ — „Das Waisenkind und seine Mutter“ (402-403), „მოხუცი და ჭაბუკი“ — „Der Alte und der Jüngling“ (407-408), „მეფე და მხატვარი“ — „Der König und der Maler“ (415-416), „ღვთის განაჩენი“ — „Die Fügung Gottes“ (416-418), „კუ და მორიელი“ — „Die Schildkröte und der Skorpion“ (420-421), „ნალბანდი მგელი“ — „Der Wolf als Hufschmied“ (422-423), „ქურდი მკერვალი“ — „Der diebische Schneider“ (423-424), „ენით დაჭრილი“ — „Der durch die Zunge Verwundete“ (427-429), „ორმოში ჩაგდებული მეფე“ — „Der in die Crube geworfene König“ (429-430), „ლატაკი და ერთი ქილა ერბო“ — „Der Arme und ein Topf Butter“ (436-438), „სოფლის ამშენებელი“ — „Der Erbauer des Dorfes“ (439-440), „მეფე და მკურნალი“ — „Der König und der Arzt“ (445-448), „მეფე და ავსიტყვა“ — „Der König und das Lästermaul“ (448-451), „კატის გაზრდილი ლომი“ — „Der von der Katze aufgezogene Löwe“ (453-454), „ბერად შემდგარი მელია“ — „Der zum Mönch geweihte Fuchs“ (467-475), „ჯოჯოხეთში დაუტეველი“ — „Der Mann, der allein in der Hölle Platz haben wollte“ (475-476), „აქლემი და ვირი“ — „Das Kamel und der Esel“ (478-480), „მეფე და ვეზირი“ — „Der König und der Wesir“ (481-482) (იგავების ქართული დასათაურებები მოგვყავს კ. ჩხენკელის მიხედვით).

გასული საუკუნის 70-იან წლებში „სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულ ენაზე კიდევ ერთხელ თარგმნა იენის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქართველოლოგმა ჰაინც ფენრიხმა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის სპეციალობებზე და თხზულება გადაიღო ორიგინალის ენიდან (უნდა ითქვას, რომ ჰ. ფენრიხმა ქართული ლიტერატურის არაერთი სხვა ნიმუშიც თარგმნა გერმანულად: გრ. აბაშიძის „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“, მ. ჩიქოვანის „ამირანის თქმულება“, „ქართული თქმულებანი“ და სხვ.).

1973 წელს ბერლინში გამომცემლობა „რიუტენ უნდ ლოენინგ-მა“ გერმანულ ენაზე გამოსცა წიგნი: Orbeliani S. S., Die Weisheit der Lüge. Übers. von H. Fähnrich (ს.-ს. ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, თარგმნილი ჰ. ფენრიხის მიერ) (ფენრიხი 1973). წიგნის გაფორმება და ილუსტრაციები ეკუთვნის ჰანს იოახიმ ბერენდტს. კრებულს წამძღვარებული აქვს ანოტაცია, რომელიც გერმანულ მკითხველს აცნობს სულხან-საბა ორბელიანსა და მის შემოქმედებას.

თარგმანის სათაური „Die Weisheit der Lüge“ აგრძელებს სათაურის ინტერპრეტაციის გერმანიაში დამკვიდრებულ ტრადიციას.

ნიგნს დართული აქვს უცხო სიტყვების ლექსიკონი, გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა საძიებლები, თარგმნილია 152 იგავი. თარგმანი შესრულებულია მაღალმეცნიერულ დონეზე, მთარგმნელი ღრმად წვდება საბასეულ სიბრძნეს, ქმნის ორიგინალის ადეკვატურ მხატვრულ სამყაროს.

„სიბრძნე სიცრუისას“ ჰ. ფენრიხისეულ თარგმანს ერთვის მოზრდილი ბოლოსიტყვაობა „Sulchan-Saba Orbeliani und seine zeit“ („სულხან-საბა ორბელიანი და მისი დრო“) (ფენრიხი 1973: 249-262), რომლის ავტორია ელკე ერბი. ავტორი მკითხველს აცნობს სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიას და გადმოგვცემს იმ ეპოქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სურათს, რომელშიც მწერალი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა; აქ საუბარია გიორგი XI-ისა და ვახტანგ VI-ის მეფობის ძირითად მომენტებზე და სულხან-საბას სიახლოვეზე ქართლის სამეფო კართან, იხსენიება საბას ევროპაში გამგზავრების ისტორია, მისი „მოგზაურობა ევროპაში“ და ა. შ. მოგვიანებით ე. ერბმა ეს წინასიტყვაობა თავის ნიგნშიც შეიტანა (ერბი 1975).

საქართველოში ჰ. ფენრიხის თარგმანს ბევრი გამოხმაურება მოჰყვა (მამულაშვილი 1973; „მნათობი“ 1973; „ლიტერატურული საქართველო“ 1973; კახნიაშვილი 1975; კახნიაშვილი 1981 და სხვ.). ერთ-ერთ პუბლიკაციაში ისიც კია ნათქვამი, რომ ეს თარგმანი „შევიდა გდრ-ის იმ 52 ნიგნთა სიაში, რომელიც 1973 წელს აღიარებულია „შესანიშნავ ნიგნად“. ეს, რა თქმა უნდა, მის დიდ წარმატებაზე მეტყველებს“ (კახნიაშვილი 1981). „სიბრძნე-სიცრუისას“ ჰ. ფენრიხისეული თარგმანი „Die Weisheit der Lüge“ განმეორებით 1974 წელს დაიბეჭდა ქ. მაინის ფრანკფურტში, გამომცემლობა „ინზელ ფერლაგში“ (ფენრიხი 1974).

სულხან-საბა ორბელიანის შესახებ მოთხრობილია ჰ. ფენრიხის ნიგნში „Die Georgische Literatur. Ein überblick“ („ქართული ლიტერატურა. მოკლე მიმოხილვა“) (ფენრიხი 1981: 64-66). ავტორი გერმანელ მკითხველს აცნობს სულხან-საბას ბიოგრაფიასა და შემოქმედებას. მოკლედ მიმოხილულია „სიბრძნე სიცრუისა“, „მოგზაურობა ევროპაში“ და „ქილილასა და დამანას“ თარგმნის ისტორია.

ჰ. ფენრიხის თარგმანს მოჰყვა მისი მასწავლებლის გერტრუდ პეჩის გამოხმაურება, რომელიც დაიბეჭდა პარიზში, ჟურნალ „ბედი ქართლისაში“. გ. პეჩის სტატიაში „Zwei deutsche Fassungen von Sulchan-Saba Orbeliani: Die Weisheit der Lüge“ („სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ორი გერმანული თარგმანი“) (პეჩი 1974: 306-310). მიმოხილულია „სიბრძნე სიცრუისას“ ფენრიხისეული თარგმანი და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, მოცემულია ამ თარგმანისა და მ. წერეთლისეული გერმანული თარგმანის შეპი-

რისპირებითი ანალიზი. ანალოგიური კვლევა ჩვენში არ ჩატარებულა, ამდენად, გ. პეჩის რეცენზიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ავტორი არაერთ საგულისხმო დაკვირვებას გვთავაზობს.

1984 წელს თბილისში გამომცემლობა „განათლება“ დასტამბა „სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულ ენაზე, თარგმნილი ელენე სირაძის მიერ. წიგნის რედაქტორია კ. ჯორჯანელი. „Weisheit der Erdichtung“ („სიბრძნე სიცრუისა“) (სირაძე 1984) — ასე ეწოდება წიგნს, რომელშიც თავმოყრილია გერმანულად თარგმნილი 57 იგავი. წიგნს ერთვის მოკლე ანოტაცია, გერმანული ფრაზეოლოგიზმების, აგრეთვე, იგავ-არაკთა რეალიების ახსნა-განმარტებანი და მოკლე გერმანულ-ქართული ლექსიკონი. წინასიტყვაობის ავტორი ხ. ბერულავა მოკლედ ეხება სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას და წერს, რომ გამომცემლობა „განათლების“ მიერ გამოცემული ეს მომცრო წიგნი არის მცირე ნაწილი დიდი ქართველი მწერლის შემოქმედებისა (სირაძე 1984: 5-6). წიგნის მთარგმნელი ე. სირაძე იყო გერმანული ენის სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი და ზოგიერთ მათგანში შეიტანა კიდევ სულხან-საბა ორბელიანის ცალკეული იგავები.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ ინგლისურ ენაზე პირველად თარგმნა და გამოსცა ოლივერ უორდროპმა (1864-1948). და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების დამსახურება ძალზე დიდია ინგლისური ქართველოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მათ ერთობლივად თარგმნეს „წმინდა ნინოს ცხოვრება“. ო. უორდროპმა დამოუკიდებლად თარგმნა და გამოსცა „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“, „ვისრამიანი“, გიორგი მეხუთის კანონები, ალ. ცაგარელის მიერ შედგენილი ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერთა აღწერილობა და ა. შ.

ო. უორდროპი თავის წიგნში „The Kingdom of Georgia. Notes of Travel in a Land of Women, Wine and Song“ („საქართველოს სამეფო. მოგზაურობა ქალების, ღვინისა და სიმღერების ქვეყანაში“) (უორდროპი 1888). ქართულ მწერლობას უძღვნის ცალკე თავს, რომელშიც სხვა მწერალთა შორის სულხან-საბა ორბელიანსაც მოიხსენიებს: „მე-17 საუკუნის გასულს თავადმა სულხან ორბელიანმა აღწერა თავისი მოგზაურობა ევროპაში და შეადგინა „სიბრძნე სიცრუის წიგნი“, რომელიც ამ ხანებში რუსულად დაიბეჭდა. ს. ორბელიანი ცხოვრობდა ლუდოვიკო XIV-ის სასახლეში და დიდი მეგობრობა ჰქონდა ლაფონტენთან, რომელმაც ქართველი თავადიშვილისაგან გაიგონა არაერთი იგავ-არაკი და გამოიყენა თავის თხზულებაში. ორბელიანის უდიდესი ღვანლი არის მისი „ქართული ლექსიკონი“, რომელიც შეიცავს 25 000 სიტყვას და არის დედაბოძი

ყველა სალექსიკონო თხზულებათათვის ქართულ ენაზე“ (შარაძე 1984: 57).

მოგვიანებით ოლივერ უორდროპმა საგანგებოდ დაინყო მუშაობა „სიბრძნე სიცრუისას“ თარგმანზე, რაც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. 1894 წლის თებერვალში იგი ივანე მაჩაბელს სწერდა: „საბა ორბელიანის „ნიგნი სიბრძნე სიცრუისას“ თარგმნა დავასრულე. ჩემმა დამ ის ორიგინალის ტექსტს შეადარა. ახლა გამოცემლის ძებნაში ვარ“ (შარაძე 1984: 306). იმავე წლის შემოდგომაზე კი ნიგნი უკვე დაისტამბა ლონდონში (სხვათა შორის, იმავე წელს გამოიცა მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი „ქართული ხალხური ზღაპრები“).

ოლივერ უორდროპის თარგმანი „Orbeliani Sulkhani-Saba. The Book of Wisdom and Lies. A Book of Traditional Stories from Georgia, in Asia, Translated by O. Wardrop“ (სულხან-საბა ორბელიანი, „ნიგნი სიბრძნე-სიცრუისა“) (უორდროპი 1894) მდიდრულადაა გაფორმებული. გამოცემელია უილიამ მორისი – არქეოლოგი და პოეტი, რომელსაც ხარჯი და ყურადღება არ დაუკლია, რომ თარგმანი პოლიგრაფიული თვალსაზრისით სათანადოდ ყოფილიყო გამოცემული. ნიგნი მშვენიერ ყდაშია ჩასმული, დაიბეჭდა ძვირფას ქაღალდზე, ხოლო იგავთა სათაურები საგანგებოდაა გაფორმებული. ნიგნის წინასიტყვაობაში (უორდროპი 1894: X-XVI) ო. უორდროპი ინგლისურენოვან მკითხველს მოკლედ აცნობს სულხან-საბა ორბელიანის ვინაობას, ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მის როლსა და ადგილს ქართულ მწერლობაში. წინასიტყვაობიდანვე ჩანს, რომ „სიბრძნე სიცრუისას“ უორდროპისეული თარგმანი შესრულებულია ალ. ცაგარელის რუსული თარგმანის მიხედვით (ცაგარელი 1878). ამასთანავე, მთარგმნელისათვის ცნობილი ყოფილა „სიბრძნე სიცრუისას“ ქართული გამოცემაც („ნიგნი სიბრძნე სიცრუისა“... 1892). სხვათა შორის, ალ. ცაგარელის არქივში ინახება უორდროპისეული თარგმანის ეგზემპლარი წარწერით: „To Professor Tsagareli with kind regards from Oliver Wardrop“ (მაჭავარიანი 1980: 206).

„სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისურ ენაზე თარგმნას სიხარულით შეხვდა ქართველი საზოგადოება. ილია ჭავჭავაძე 1896 წლის 26 თებერვალს სწერდა მარჯორი უორდროპს: „თქვენ ქართულიდამ გითარგმნიათ საბა ორბელიანის ნაწერიცა. იმედი გვაქვს, რომ მარტო ამაებს არ იკმარებთ და ბევრს სხვას კიდევ გადასთარგმნით და მით დიდს ღვაწლს დაგვდებთ ქართველებს. ეს თქვენი ღვაწლი იმით კი არ მიხარიათ, რომ სხვათა შორის ჩემი „განდევილიც“ ღირს იქმნა ინგლისთათვის წასაკითხად, თუმცა თავმონონებისათვის ესეც საკმაოა ჩემთვის საკუთრად. მე მიხარიათ, რომ თქვენის განათლებულის შემწეობით დიდი ერი ინგლისისა, ცოტად

თუ ბევრად, შეიტყობს, რომ არის ქვეყანაზე ერთი მივიწყებული პატარა ქართველი ერი და აქვს თავისი ლიტერატურა, რომელშიაც ინახავს თავისი სულის და გულის საუნჯესა“ (შარაძე 1984: 251). ქართული გაზეთები „ივერია“, „კვალი“ და სხვ. ადგილს უთმობენ ამ ფაქტს: „იბეჭდება და ჩქარა გამოვა „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“. თითო ცალი ღირს ოცი მანეთი. ნამეტანი მდიდრული გამოცემაა, რალაც ფერადი ასოებით იბეჭდება. ამ ფასიანი გამოცემა იქნება მხოლოდ 250 ცალი. ესენი თითქმის ყველა წინდანი არის გაყიდული, ორ-სამ მინისტრებსაც უთხოვიათ ოლივერისათვის, უთუოდ მოგვიტანეთ, როგორც კი გამოვიდესო. ეს 250 ცალი უმაღლეს არისტოკრატისათვის არის დანიშნული. უბრალო მკითხველებსათვის გამოვა იაფ-ფასიანი... „სიბრძნე სიცრუის წიგნი“ გადმოუთარგმნია რუსულიდან (ცაგარლის გამოცემა) ოლივერს; მხოლოდ მის დას ქართულ გამოცემასთან შეუდარებია და შეუსწორ-შემოუსწორებია („კვალი“ 1894). ეს ცნობა „კვალიდან“ „ივერიამაც“ გადაბეჭდა („ივერია“ 1894).

ცნობილმა მთარგმნელმა ივანე მაჭავარიანმა (ინ-მანი) ამ თარგმანის შესახებ 1895 წლის თებერვალში, ჟურნალ „Atheneum“-ში, გამოაქვეყნა რეცენზია, რომელიც მალევე გადმობეჭდა „ივერიამ“:

„ქართული ზღაპრები ბ-ნ ვარდროპის მიერ მშვენივრად გამოცემულია. ეს პირველი თარგმანია ამ საკვირველის წიგნისა მათ შორის, რომელიც-კი ყოფილა ოდესმე რომელსამე აღმოსავლეთის ენაზედ დაბეჭდილი, რამდენისამე ზღაპრის გარდა, რომლებიც გადათარგმნილია ფრანგულად. ეს წიგნი ძალიან ძვირფასია ფოლკლორისტიკისათვის. ამ ზღაპრების აზრი ჰგავს „Histopadesa“ კრებულს ზღაპრებისა და არაკებისას... სათაური ორბელიანის სიბრძნე-სიცრუისა შეიცავს სასიამოვნო აღმოსავლურს ოხუნჯობასა და ავტორი ცრუ იგავებითა და არაკებით ბრძნულს აზრებს გვინერგავს, ჭეშმარიტების გზაზედ წარმართავს მკითხველს... ზოგიერთს ადგილას ბ-ნ ვარდროპს შენიშვნებით შეუძკია... საზოგადოდ ენა მშვენიერია, სპარსულის სტილისაა და ზღაპართა უმეტესობა სპარსულისაგან უნდა იყოს აღებული. უნდა გავიხსენოთ, რომ ორბელიანი თანაშემწე იყო მეფე ვახტანგ VI-ისა, ეხმარებოდა „ანვარი-სუჰაილის“ თარგმანში, რომელიც დაბეჭდილია ხელთნანერთაგან ტფილისს, 1886 წ. აღსანიშნავია ისიც, რომ სვიფტის წიგნი დაიბეჭდა, დაახლოებით რომ ვსთქვათ, ორბელიანის სიკვდილთან ერთად. ეს გარემოება ნამდვილად რომ არ ვიცოდეთ, გვეგონებოდა, რომ ორბელიანს სცნობიანო ეს წიგნი, როდესაც დასავლეთში ჰმოგზაურობდა, რადგან ამ წიგნის სახელი სწრაფად გავარდა ინგლისშიაცა და ინგლისს გარეშეც, შორეულს ქვეყნებში.

ბ-ნი ვარდროპი თავის მოვალეობას ძალიან ბეჯითად, სინი-დისიერად, მეცნიერულად უძღვება. ჩვენ შევადარეთ ვარდროპის წიგნს დედანი, დაბეჭდილი ტფილისში 1881 წ. და განცვიფრებული ვართ თარგმანის სისწორითა და სინამდვილით... დასასრულ, იმედი გვაქვს, რომ ეს წიგნი მიიზიდავს საერთო ყურადღებას და ღირსიც არის ყურადღებისა“... („ივერია“ 1895).

„სიბრძნე სიცრუისას“ უორდროპისეული თარგმანი შეიცავს 162 იგავს, რაც აიხსნება იმით, რომ მთარგმნელს ზოგიერთი არაკი დაუნაწევრებია და თვითონვე დაუსათაურებია. „ოლივერ უორდ-როპი სიზუსტეს იჩენს ნაწარმოების სატირულ-დიდაქტიკური ხასიათისა და მხატვრული ღირებულების შეფასებაში. თარგმანის წინასიტყვაობაში სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებითი ჩანა-ფიქრის შესახებ ნათქვამია: „ორბელიანის შემოქმედებითი ჩანა-ფიქრის შესახებ, როგორც ჩანს, ავტორს ორმაგი მიზანი აქვს: ზნეობრივად აამაღლოს მკითხველი ბრძნული შეგონებით და, ამა-ვე დროს, გაართოს იგი გამონაგონით“. სწორადაა ახსნილი იგავ-არაკების კრებულის შექმნის საკითხი. ოლივერ უორდროპი წერს: „სიბრძნე სიცრუისა“ თავისი სქემით ემსგავსება „პანჩატანტრას“, „ჰიდოპადემს“, „ანვარი-სოჰაილს“ და მრავალ სხვა ნაწარმოებს, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს, რომ იგი მივიჩნიოთ თარგ-მანად, ან შეგნებულ მიბაძვად. იდეების არაკების საშუალებით გამოთქმა განსაკუთრებით დამახასიათებელია აღმოსავლური ყო-ფისათვის და ნაწილობრივ განპირობებულია დესპოტიზმით, ნაწი-ლობრივ კი – აღმოსავლური აზროვნების ბუნებრივი მიდრეკილე-ბით, ფანტაზიის სამოსელში გაახვიოს სათქმელი. დესპოტიზმის პირობებში ალეგორიული თხრობა პირდაპირი თქმისათვის გვერ-დის ავლის ერთადერთი საშუალებაა. ოლივერ უორდროპი მოხიბ-ლულია სულხან-საბა ორბელიანის მანერით, რის შესახებაც ამ-ბობს: „რაც შეეხება დედნის სტილს, მისი ენა გამოირჩევა ისეთი არაჩვეულებრივი მოხდენილობითა და ლაკონიურობით, რომ უც-ხოელი ტყუილუბრალოდ შეეცდება, დახმარების გარეშე, შესაფე-რისად გადმოსცეს იგი“ (თურნავა 1999: 243).

საინტერესოა თხზულების დასათაურების საკითხი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თხზულების ინგლისური სათაურია „The Book of Wisdom and Lies“ — „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“. აშკარაა, რომ ო. უორდროპი იზიარებდა თხზულების სათაურის აღ. ცაგა-რელისეულ რუსულ თარგმანს: „Книга Мудрости и Лжи“. „სიბრძნე სიცრუისას“ სათაურის ამგვარ გაგებას მხარს უჭერდა ქართველო-ლოგი დევიდ ლანგი (1924-1991). 1957 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა მისი სტატია „წიგნი სიბრძნე-სიცრუისას სათაუ-რისათვის“ (ლანგი 1957ბ: 159-167), რომლის ინგლისური ვარიანტი ადრევე დაიბეჭდა (ლანგი 1956: 436-448). სტატიაში დ. ლანგი

ასაბუთებს, რომ თხზულების სათაური უნდა იყოს „ნიგნი სიბრძნე სიცრუისა“. მისი დასკვნით: „ალ. ცაგარლისა და უორდროპისეული წაკითხვა სულხან-საბას უცნაური სათაურისა, როგორც „ნიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“, სწორია... სულხან-საბა ორბელიანისათვის სიბრძნე და ჭეშმარიტება არ გამოდის სიცრუისაგან და არც დაფუძნებულია მასზე. სიბრძნე უფრო სიცრუის სანინაალმდეგო ნამალია; ტყუილთან დაპირისპირებით სიბრძნე უფრო ბრწყინვალეთ კაშკაშებს“ (ლანგი 1957ბ: 167).

„სიბრძნე სიცრუისას“ ხელნაწერთა მონაცემებზე დაყრდნობით დ. ლანგი წერდა: „უმთავრესი სიძნელე ის არის, რომ ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, ზუსტად რა სახის სათაური წაანერა ორბელიანმა საკუთარ თავდაპირველ ხელნაწერს. თუ დამტკიცდება, რომ სულხან-საბამ თვითონვე დაარქვა წიგნს „სიბრძნე სიცრუისა“, „ნიგნის“ გარეშე, საკითხი გადანყვეტილი იქნება; ეს ფორმა იძლევა მხოლოდ ერთ გაგებას „სიცრუის სიბრძნე“... ჩვენ ხელთმყოფ ხელნაწერთაგან არც ერთს არა აქვს მოკლე სათაური – „სიბრძნე სიცრუისა“. თავის მხრით, მოკლე სათაურის მქონე ხელნაწერების არარსებობა საბუთია ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც სულხან-საბას კრებულში ეძებს სიცრუის სიბრძნეს“ (ლანგი 1957ბ: 163-164).

დ. ლანგი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაზე გარკვეული ზემოქმედება მოუხდენია „ბალავარიანს“. მისი სიტყვით: „სულხან-საბას სწორედ ბალავარიანი ჰქონდა გულში, ანდა გულის კუნჭულში მაინც, როდესაც თავის წიგნზე მუშაობას შეუდგა“. დ. ლანგი იქვე სვამს კითხვას: „როგორ შეესაბამება წიგნის განწყობილებასა და შინაარსს, რომ სულხან-საბა ორბელიანის მიერ გამოხატული სიბრძნე მხოლოდ და მხოლოდ სიცრუესა და აბდაუბდაზე დამოკიდებულად ვცნოთ“ და ამ კითხვას თვითონვე უპასუხებს: „უპირველეს ყოვლისა თავიდან უნდა მოვიშოროთ ის აზრი, რომ თხზულების ერთი რომელიმე გმირი ბრძნული მოძღვრების წარმომადგენელია, მეორე კი – ცრუსი ან ყალბისა. ცაგარელი საჭურის რუქას ეშმაკის მოციქულად ხატავდა, წინააღმდეგ ბრძენი ლეონისა და ჭეშმარიტების სხვა წარმომადგენლებისა, მაგრამ წიგნის სახელდახელოდ გადასინჯვაც კი ააშკარავებს, რომ ნამდვილად ჭკუის დამრიგებელი და სულელური მოთხრობები მეტ-ნაკლებად თანაბრად ნაწილდება სხვადასხვა მობაასეთა შორის“ (ლანგი 1957ბ: 166).

მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მეცნიერებმა დ. ლანგის ყველა მოსაზრება არ გაიზიარეს (ალ. ბარამიძე 1957; 1964; კ. კეკელიძე 1959: 143), ეს ნაშრომი საკმაოდ საინტერესო და გასათვალისწინებელია საკითხით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ უორდროპი-სეულ ინგლისურ თარგმანს ეხება დ. ლანგი ნაშრომში „Georgian Studies in Oxford“ („ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში“) (ლანგი 1955: 115-143; ლანგი 1957ა: 139-151). იგი მაღალ შეფასებას აძლევს თარგმანს და იქვე გამოთქვამს ვარაუდს, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ საბას მოხუცებულობაში, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, უნდა დაენერა.

1919 წლის თებერვლიდან თბილისში გამოდიოდა გაზეთი „The Georgian Messenger“ („ჯორჯიან მესიჯერ“) (სულ გამოიცა 13 ნომერი). რედაქტორი იყო ელისაბედ ორბელიანი (1871-1942), რომელიც ცდილობდა გაზეთის ფურცლებზე ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის პროპაგანდას, ბეჭდავდა მასალებს ქართული ინგლისურ კულტურულ ურთიერთობათა შესახებ. გაზეთის მესამე ნომერში გამოქვეყნებულია ნაწყვეტები ო. უორდროპის წიგნიდან „საქართველოს სამეფო“ და უორდროპის მიერვე თარგმნილი სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები, რომელთა ბეჭდვა გაზეთის მეხუთე ნომერშიც გაგრძელდა (სურგულაძე 1979: 130-137).

გავიდა დრო და „სიბრძნე სიცრუისა“ ხელახლა ითარგმნა ინგლისურ ენაზე.

1959 წელს გამომცემლობა „ცოდნამ“ და 1973 წელს გამომცემლობა „განათლებამ“ დაბეჭდეს სულხან-საბა ორბელიანის „The Book of Wisdom and Fiction“ (Selections) („წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“. რჩეული იგავ-არაკები), I-II გამოცემა (მჭედლიშვილი, პეტროვა 1959; 1973), თარგმნილი და დამუშავებული საშუალო სკოლის IX-X კლასებისათვის ჯ. მჭედლიშვილისა და ი. პეტროვას მიერ. ანოტაციაში ნათქვამია, რომ წიგნში თავმოყრილია სულხან-საბა ორბელიანის რჩეული იგავები და განკუთვნილია სტუდენტებისათვის. წიგნში შეტანილია „სიბრძნე სიცრუისას“ 53 იგავი, ყველა მათგანს ახლავს ცალკე კომენტარები და ლექსიკონი. წინასიტყვაობის ავტორი ხ. ბერულავა წარმოაჩენს სულხან-საბა ორბელიანის ადგილს ძველ ქართულ ლიტერატურაში, მიმოიხილავს მწერლის ეპოქას, ბიოგრაფიულ ცნობებს, ახსენებს „სიბრძნე-სიცრუისას“ უორდროპისეულ თარგმანს.

1982 წელს ლონდონში გამომცემლობა „ოქტაგონ პრესმა“ დაბეჭდა „სიბრძნე სიცრუისას“ ახალი ინგლისური თარგმანი, შესრულებული ქეთრინ ვივიანის მიერ „A Book of Wisdom and Lies“ („წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“) (ვივიანი 1982).

ცნობილმა ქართველოლოგმა, მწერალმა და მთარგმნელმა ქეთრინ ვივიანმა ქართული მწერლობის არაერთი ძეგლი თარგმნა ინგლისურ ენაზე: „ვეფხისტყაოსნის“ ახალი პროზაული ინტერპრეტაცია (1977), „სიბრძნე სიცრუისა“ (1982), კ. სალიას „ქართველი

ერის ისტორია“ (1983), თარგმნა აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ ერთი მონაკვეთი — ლაშა გიორგის მეფობის ისტორია (1984), გამოაქვეყნა წერილები ქართული ლიტერატურის საკითხებზე.

„სიბრძნე სიცრუისას“ ვივიანისეული თარგმანი დიდი გემოვნებით, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული. სუპერის გაფორმება ეკუთვნის მხატვარ მამია მაღაზონიას. როგორც ერთ-ერთი გაზეთი წერდა, „თბილისში ყოფნისას, 1981 წელს, მამია მაღაზონიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენის გაცნობისას, ქეთრინ ვივიანმა შესთავაზა მას სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოების ინგლისური გამოცემის მხატვრული გაფორმება („ნიგნის სამყარო“, 1982). თარგმანი შეიცავს 152 იგავს, ნიგნს წამძღვარებული აქვს სამგვერდიანი წინასიტყვაობა (ვივიანი 1982: XI-XIII), რომელშიც მთარგმნელი ინგლისურენოვან მკითხველს აცნობს სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, იმ დროის საქართველოს, საბას ღვანლს ქართული მწერლობის ისტორიაში, ყურადღებას ამახვილებს ავტორის ზნეობრივ-დიდაქტიურ შეხედულებებზე.

წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „სიბრძნე სიცრუისას“ ზოგიერთი არაკი შეიძლება შევადაროთ ინდურ „ჰანჩატანტრას“, ანუ „ბიდჰანის არაკებს“, აგრეთვე, „ქილილა და დამანას“ ქართულ ვარიანტს, გარდა ამისა, გვხვდება „ათას ერთი ლამიდან“, ქართული ფოლკლორიდან ნასესხები იგავ-არაკები, დანარჩენი კი თვით სულხან-საბას შეუქმნია. მისი სტილი დამაჯერებელი, ლაკონიური და შეულამაზებელია, მაგრამ მწერალი იშვიათ პოეტურ სილამაზეს სწვდება რომელიმე გმირისა და მშვენიერი ქალის შემოსაყვანად გამოყენებულ გამოთქმებში. მისი იგავ-არაკები ეყრდნობა ქართულ ტრადიციას და ჩვეულებებს. ასეთია, მაგალითად, „დიდვაჭარი და მეფუნდუკე“. ორბელიანის მოთხრობებში შთამბეჭდავად და ასახული ხელგაშლილი და სტუმართმოყვარე ქართველი ხალხის ხასიათი, მისი გონების მარადიული სიფხიზლე, გამბედაობა და იუმორის გრძნობა. მრავალგზისაა ნახსენები ძმადნაფიცობა — ჩვეულება, რომელიც დღესაც არსებობს საქართველოს ბევრ მხარეში“ (თურნავა 1999: 241).

საქართველოში ამ თარგმანს არაერთი გამოხმაურება მოჰყვა („ლიტერატურული საქართველო“ 1982; „თბილისი“ 1982; „ნიგნის სამყარო“ 1982; „ლიტერატურული საქართველო“ 1983; „სამშობლო“ 1984), დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ინგლისელ ქართველოლოგთა შორის. ამ მხრივ საინტერესოა რობერტ სტივენსონისა და დევიდ ლანგის მოსაზრებები. თხზულების სათაური ქ. ვივიანს, ო. უორდროპის მსგავსად, ინგლისურად უთარგმნია, როგორც „ნიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“. ამასთან დაკავშირებით რ. სტივენსონი წერდა: „ცოტა ხნის წინ მივიღე „სიბრძნე სიცრუისას“

ქ. ვივიანისეული თარგმანი. ცხადია, იგი სასიამოვნოდ და წარმატებითაა შესრულებული. მხოლოდ დასაინანია, რომ არ აქვს წამძღვარებული გასტონ ბუაჩიძის ფრანგული თარგმანის მსგავსი ვრცელი შესავალი. სხვათა შორის, ყოველთვის მიკვირდა, მთარგმნელები სათაურში რომ წერენ „ლაიზ“ (სიცრუე). უეჭველია, აქ არ იგულისხმება ტყუილი. ნუთუ, ცხადი არ არის, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა ფაქტიურად დაკავშირებულია ზღაპრული მოთხრობებიდან, ანუ არაკებიდან გამომდინარე სიბრძნესთან? ვფიქრობ, ბუნებრივი ინგლისური თარგმანი იქნება „იგავ-არაკები“ ან „იგავ-არაკების წიგნი“ (თურნავა 1999: 240).

1982 წელს ინგლისურ ჟურნალში „ენგლოუ სოუვიეტ ჯერნი“ დაიბეჭდა დ. ლანგის რეცენზია ვივიანისეულ თარგმანზე. დ. ლანგი წერდა: „სულხან-საბა ორბელიანი გონებამახვილი კაცი იყო და მცირე მისტიფიკაციასაც მიმართა. მან საგანგებოდ აირჩია გართმეული სათაური, რომელიც შეიცავს ფორმულას: სიბრძნე-სიცრუე, თუმცა სიცრუე შეიძლება ნიშნავდეს „ამაოებას“, „მოჩვენებითობას“, „ჭორს“, „გამონაგონს“. ზოგიერთი მთარგმნელი დააბნია სათაურმა. მათ სათაურად ამჯობინეს — „გამონაგონის სიბრძნე“. მიუხედავად ამისა, ქეთრინ ვივიანის ინტერპრეტაცია — „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“ — უფრო შესაფერისი ჩანს. იგი აგრძელებს სერ ოლივერ უორდროპის მიერ დანერგილ ტრადიციას. ქეთრინ ვივიანმა ახლა ამ წიგნის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული პირველი თარგმანი მოგვცა. ოლივერ უორდროპის პირველი თარგმანი კი უილიამ მორისმა გამოსცა „ქელმსკოტ პრესში“, 1894 წელს. ქალბატონ ქეთრინ ვივიანს არ აქვს მოხსენიებული პირველი თარგმანი, რომელიც უნდა იყოს მოხსენიებული შენიშვნებში აუცილებლად. მე ძალიან მომწონს ქეთრინ ვივიანის ახალი თარგმანი, რომელიც კოლორიტული და ნათელი იუმორის გრძნობითაა აღსავსე. მნიშვნელოვანი ადგილებიც დამაჯერებლად ჟღერს, კარგად არის გამოკვეთილი კონფლიქტი საჭურის რუქას ცინიზმსა და ლეონის იდეალიზმს შორის“ („სამშობლო“ 1984; თურნავა 1999: 245-246).

„სიბრძნე სიცრუისას“ ვივიანისეულ თარგმანს ეხება რ. თურნავას ვრცელი სტატია. მკვლევარი ინგლისურ თარგმანს უდარებს ორიგინალს, აგრეთვე, ო. უორდროპის თარგმანს და მრავალ საგულისხმო დასკვნას გვთავაზობს: „წარმატებითაა დაძლეული შინაარსის სწორად გადმოცემის სიძნელეები, რაც სულხან-საბას მიერ არქაიზმების ხმარებასთანაც არის დაკავშირებული. ნაწარმოების მკაცრი სატირული მახვილი თარგმანშიც ასევე მწარედ იგრძნობა, ხოლო მოძღვრულ-დამრიგებლობითი ტონი სასიამოვნოდ და დამაჯერებლად ჟღერს ინგლისურად. რა თქმა უნდა, ამას განაპირობებს მთარგმნელის უნარი – დაიცვას ორბელიანის, როგორც ქარ-

თული სალიტერატურო ენის რეფორმატორის, თხრობის ძირითადი თავისებურება, რაც მდგომარეობს ხალხურობასა და ლაკონურობაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სულხან-საბასეული აფორიზმების გადმოცემის სიზუსტე და სისხარტე“ („ლიტერატურული საქართველო“ 1983; თურნავა 1999: 242).

ო. უორდროპის თარგმანთან ქ. ვივიანისეული თარგმანის შეპირსპირებისას რ. თურნავა აღნიშნავს, რომ „ოლივერ უორდროპის თარგმანი არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან შინაარსის გადმოცემაში, მაგრამ ეს არ ამცირებს მის მნიშვნელობას და მხატვრულ ღირსებას. მოწონებას იმსახურებს აფორიზმების ბევრი ოლივერ უორდროპისეული ვარიანტი. ზოგ შემთხვევაში ისინი სჯობნის ქეთრინ ვივიანის მიერ შემოთავაზებულს, ზოგჯერ კი ახალ თარგმანში გვაქვს უკეთესი ვერსიები. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ოლივერ უორდროპის ნამუშევარი თავის დროზე სასიამოვნო საკითხავი იქნებოდა, ამჟამად კი, ცოტა არ იყოს, მოძველებულია. საერთოდ, ქეთრინ ვივიანის თარგმანი გამოირჩევა მეტი თანამიმდევრობით, აკადემიური და მაღალმხატვრული სტილით“ („ლიტერატურული საქართველო“ 1983; თურნავა 1999: 244).

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ უნგრულ ენაზე თარგმნა უნგრელმა ფოლკლორისტიმა, ქართველოლოგმა და მთარგმნელმა მარტონ იშტვანოვიჩმა (1929-1992). მ. იშტვანოვიჩი 1955-1959 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. შეისწავლა ქართული ენა და ფოლკლორი. უნგრულ ენაზე მან თარგმნა და ცალკე წიგნებად გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრები (1958), ი. ჭავჭავაძის პოემები (1961), ა. წერეთლის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის პოეზია.

1955 წელს ბუდაპეშტში დაიბეჭდა „სიბრძნე სიცრუისას“ სრული უნგრული თარგმანი, შესრულებული მ. იშტვანოვიჩის მიერ (იშტვანოვიჩი 1955). ჩანს, იმხანად მთარგმნელმა ჯერ კიდევ კარგად არ იცოდა ქართული ენა და თხზულება რუსული გამოცემიდან (ლოლობერიძე 1951) უთარგმნია. წიგნში შესულია ალ. ბარამიძის ნარკვევი სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ (იშტვანოვიჩი 1955: 263-268), რომელიც ერთვოდა აღნიშნულ რუსულ გამოცემას. მოგვიანებით მ. იშტვანოვიჩმა გამოაქვეყნა სტატია „Anmerkungen zum Märchen "Der Zauberarzt" von S.S. Orbeliani“ („შენიშვნები სულხან-საბა ორბელიანის არაკის „გრძნეული ექიმის“ შესახებ“) (იშტვანოვიჩი 1983: 151-159), რომელშიც იკვლევდა სულხან-საბას იგავ-არაკთა მოტივების კავშირს გერმანულ და კელტურ ტრადიციებთან. მისი აზრით, გერმანულ-კელტური ტრადიციების შესატყვისობა ქართულ რედაქციასთან

ინვეს დიდ ინტერესს და შლის ახალ პერსპექტივებს შემდგომი კვლევისათვის.

1959 წელს უკრაინის სახელმწიფო ლიტერატურულმა გამომცემლობამ კიევი უკრაინულ ენაზე გამოსცა „სიბრძნე სიცრუისა“, თარგმნილი ელენე სტურუასა და ოლექსა ნოვიცკის (1914-1998) მიერ. თარგმანს დართული აქვს გ. ლეონიდის წინასიტყვაობა. ამ თარგმანს საქართველოშიც გამოეხმაურნენ (ყაზაზიშვილი 1959). ო. ნოვიცკის თარგმნილი აქვს არაერთი ქართველი კლასიკოსის (ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი...) შემოქმედება. 1961 წელს მან მ. ბაჟანთან ერთად შეადგინა და გამოსცა „Поэзия грузинского народа“ („ქართველი ხალხის პოეზია“) (ნოვიცკი 1961), რომელშიც შეიტანა სულხან-საბა ორბელიანის რამდენიმე იგავისა თუ სენტენციის გალექსილი ვარიანტები: „Поранений язиком“ („ენით დაკოდლი“), „Близький ворог“ („მტერობით განკურნებული“) და სხვ., აგრეთვე ლექსი „Жінка“ („ქალი“) (ნოვიცკი 1961: 264-266). ო. ნოვიცკის აღნიშნული თარგმანები შეტანილია აგრეთვე რ. ჩილაჩავას მიერ შედგენილ ქართული ხალხური, კლასიკური და თანამედროვე პოეზიის კრებულში „Золотий виноградник“ („ოქროს ვენახი“) (ჩილაჩავა 2005: 72-73).

„სიბრძნე სიცრუისა“ ითარგმნა და რამდენჯერმე გამოიცა პოლონურ ენაზე. პირველად – 1950 წელს, ვარშავაში. თარგმანი შესრულებულია თადეუშ მონგირდის მიერ, 1948 წლის რუსული გამოცემის (დოლობერიძე 1948) მიხედვით. იგივე თარგმანი განმეორებით დაიბეჭდა 1954 წელს: „S. Orbeliani. O madrości rzeczy zmyslnych“ (მონგირდი 1954). ამ გამოცემაში უკვე გათვალისწინებული იყო 1951 წლის რუსული გამოცემაც (დოლობერიძე 1951). თარგმანს ახლავს ალ. ბარამიდის წინასიტყვაობა სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (მონგირდი 1954: 5-11), რომელიც რუსულ გამოცემებს ერთვოდა.

„სიბრძნე სიცრუისა“ ქართულიდან პოლონურ ენაზე თარგმნა და 1962 წელს გამოაქვეყნა პოლონელმა ქართველოლოგმა იან ბრაუნმა, რომელმაც პოლონურად თარგმნა აგრეთვე ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის, გ. ლეონიდის პოეზია, ქართული ფოლკლორის ნიმუშები და შოთა რუსთაველის აფორიზმები.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ ითარგმნა ჩეხურ ენაზეც. პრალის გამომცემლობა „სვეტ სოვეტუმ“ დიდი ტირაჟით გამოსცა ჩეხი მწერლისა და პუბლიცისტის ივო ვაცულინის თარგმანი „Kniha Moudrosti a Lži“ („სიბრძნე სიცრუისა“) (ვაცულინი

1962). ი. ვაცულინი ნაყოფიერად მუშაობდა ქართველოლოგიის დარგში. იგი იყო ცნობილი ჩეხი ქართველოლოგის, იერომირ იედლიჩკას, მოწაფე. წიგნის შესავალში მთარგმნელი აღნიშნავს, რომ საგანგებოდ გაეცნო სულხან-საბას ეპოქას, საქართველოს ისტორიას, ქართულ ლიტერატურას, გაიარა კონსულტაციები ქართველ მწერლებთან და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა თხზულების თარგმნას. იქვე აღნიშნულია, რომ თარგმანი შესრულებულია ორიგინალიდან და საფუძვლად დაედო სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულის პირველ ტომში გამოქვეყნებული ტექსტი. თხზულება სრულადაა თარგმნილი (ვაცულინი 1962: 7-227). გამოცემას ერთვის ჩეხი მწერლისა და პუბლიცისტის, ვაცლავ ჩერნის, ბოლოსიტყვაობა, რომელშიც გადმოცემულია სულხან-საბას თანადროული საქართველოს ისტორიული სურათი და მწერლის ბიოგრაფიული ცნობები, საუბარია „სიბრძნე სიცრუისას“ ლიტერატურულ ღირსებებზე (ვაცულინი 1962: 229-245).

„სიბრძნე სიცრუისას“ ჩეხურ თარგმანს გამოეხმაურნენ ჩეხებიცა და ქართველებიც. როგორც ერთ-ერთ რეცენზიაშია აღნიშნული, „ივო ვაცულინი გულდასმით მოჰკიდებია წიგნზე მუშაობას. მართალია, თარგმანი შესანიშნავად არის შესრულებული, მაგრამ აქვე აღსანიშნავია, თუ რა რთული იყო მთარგმნელისათვის სიტყვასიტყვით გადაეცა საბასეული ქართული. ზოგიერთი ხარვეზის მიუხედავად, „სიბრძნე სიცრუისას“ ჩეხური თარგმანი დიდებული შენაძენია თარგმნილი ლიტერატურის სფეროში“ (კაკულია 1962). იმავე რეცენზიიდან ჩანს, რომ ამ თარგმანის გამოცემას გამოეხმაურა ჩეხური გაზეთი „ლიტერარნი ნოვინი“: „თუ რა პოპულარული გახდა ეს ნაწარმოები ჩვენს სამშობლოში, ამას მოწმობს ის უბრალო ფაქტიც, რომ სულ რამდენიმე თვეა, რაც იგი გამოიცა და წიგნის ბაზარზე დღეს აღარც კი იშოვება“. ლიტერატურული ჟურნალი „მლადა ტვორბა“ კი აქვეყნებს წერილს — „ქართველი კლასიკოსის ქმნილება ჩეხურ ენაზე“. წერილის ავტორის, ირჟი სედლაჩეკის სიტყვით, „სრულიად სამართლიანად შეუძლია იამაყოს ნიჭიერმა ქართველმა ხალხმა, რომელმაც მსოფლიოს მისცა გენიოსი მოაზროვნე და მწერალი, დიდაქტიკოსი და დიდი ადამიანი სულხან-საბა ორბელიანი. „სიბრძნე სიცრუისა“ ცხოვრების მატანია. იგი ადამიანთა პატივისცემასა და აღზრდას, კეთილგონიერებასა და სულგრძელობას ემსახურება“ (კაკულია 1962).

1983 წელს ვილნიუსში გამოიცა ლიტვურ ენაზე თარგმნილი „სიბრძნე სიცრუისა“ — „Prasimanymu Išmintis“ (ფერენსენე 1983). წიგნი გამომცემლობა „ვაგამ“ დასტამბა 10 000 ტირაჟით; მთარგმნელია გოდა ფერენსენე, მხატვრულად გააფორმა დანუტე გრაჟენემ. „სიბრძნე სიცრუისას“ ლიტვური თარგმანი შესრულებულია

თხზულების ე. ლოლობერიძისეული რუსული თარგმანის მიხედვით (ლოლობერიძე 1959), რაც თავფურცელზევეა მითითებული. შესაბამისად, ლიტვური თარგმანი სრულია და მოიცავს 152 იგავს (ფერენსენე 1983: 3-256). გამოცემას ახლავს ლექსიკონი (ფერენსენე 1983: 257-258) და მთარგმნელის ბოლოსიტყვაობა, რომელშიც მოკლედაა მიმოხილული სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრება და შემოქმედება. ნიგნის გამოსვლას მოჰყვა პოზიტიური გამოხმაურებები („კავკასიონი“ 1983: 332; გრიშკენასი: 1983).

„სიბრძნე სიცრუისას“ რუსული ე. ლოლობერიძისეული (ლოლობერიძე 1959) თარგმანის მიხედვით თხზულება ითარგმნა აგრეთვე ყაზახურ ენაზე და გამოიცა ალმა-ატაში, მთარგმნელია მ. ელიმბაევი (ელიმბაევი 1959), მხატვრულად გააფორმა ვ. პსარევმა.

იტალიურ ენაზე სულხან-საბა ორბელიანის თხზულებები არ არის თარგმნილი, თუმცა სულხან-საბას სახელი იხსენიება ცალკეულ ლიტერატურის ისტორიებსა და რამდენიმე ენციკლოპედიაში. საბას ნაწერები მოხსენიებულია იტალიელი ლიტერატურათმცოდნის ჯაკომო პრამპოლინის „მსოფლიო ლიტერატურათა ისტორიის“ მე-2 ტომში, რომელშიც ცალკე თავი ეძღვნება ქართული ლიტერატურის მიმოხილვას (პრამპოლინი 1949: 509-527).

სულხან-საბა ორბელიანი და მისი „სიბრძნე სიცრუისა“ იხსენიება „აღმოსავლეთის კულტურების“ მე-2 ტომში გამოქვეყნებულ ჯუზეპე ფურლანის სტატიაში „ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურა“, რომელშიც ცალკე პარაგრაფადაა წარმოდგენილი ქართული მწერლობა (ფურლანი 1970: 224-227).

იტალიურ ენაზე არსებული მასალის სიმწირის გამო აქვე მოვიხსენიებთ სულხან-საბა ორბელიანის შესახებ ენციკლოპედიურ გამოცემებში დაბეჭდილ სტატიებს:*

1932 წელს ჯ. ტრეკანის სახელობის იტალიური ენციკლოპედიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული ფუნდამენტური ენციკლოპედიის XVI ტომში დაბეჭდილია სტატია საქართველოზე, რომლის ერთ-ერთ თავში „ლიტერატურა“ (დეეტერსი 1932: 644-645) არის ცნობა: XVIII საუკუნეში „თავადი სულხან-საბა ორბელიანი ადგენს ქართული ენის ლექსიკონს, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა, წერს იგავ-არაკების კრებულს „სიბრძნე სიცრუისა“ (შურღაია 2003: 146).

1951 წელს „კათოლიკური ენციკლოპედიის“ VI ტომში დაიბეჭდა მიხეილ თარხნიშვილის სტატია „საქართველო“, რომელშიც

* მასალა მომზადებულია პროფ. გ. შურღაიას სტატიის მიხედვით (შურღაია 2003: 140-169).

ცალკეა გამოყოფილი ქართული ლიტერატურა (თარხნიშვილი 1951: 64-79), „ავტორი მიმოიხილავს სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობას, აღნიშნავს მის დიპლომატიურ მისიას რომის პაპის კლიმენტი XI-ისა და საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის კარზე. ასახელებს მის ისეთ თხზულებებს, როგორებიცაა ქართული კათოლიკური კატეხიზმო, ბიბლიის სიმფონია, „ქართული ლექსიკონი“, „მოგზაურობა ევროპაში“ (შურღაია 2003: 152);

მცირე ბიბლიოგრაფიული ხასიათის სტატია სულხან-საბა ორბელიანის შესახებ გამოაქვეყნა ჯ. სმიტმა (სმიტი 1987: 1671).

ცალკე უნდა აღინიშნოს ლუიჯი მაგაროტოს საენციკლოპედიო-საცნობარო ხასიათის სტატიები სულხან-საბა ორბელიანის შესახებ (მაგაროტო 1987: 1486-1487; 1989: 983) და მის მიერ „სიბრძნე სიცრუისას“ გ. ბუაჩიძისეულ ფრანგულ თარგმანზე გამოქვეყნებული რეცენზია (მაგაროტო 1978).

damowmebani:

აბულაძე 1959: აბულაძე ი. სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე სიცრუის წიგნის რამდენიმე არაკის უცხო პარალელი. სულხან-საბა ორბელიანი (საიუბილეო კრებული), თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959.

აბულაძე 1964: Абуладзе И. Тюркский лексический материал в словаре Сулхан-Саба Орбелиани "Картули лексикони". АКФН. Тб.: ТГУ, 1964.

ადელუნგი 1806: Adelung J. Ch. Mithridates oder allgemeine Sprachkunde. Bd. I. Berlin: 1806.

ამიჩბა 1988: Сулхан-Саба Орбелиани. Путешествие в Европу (отр.). წიგნში: Абхазия и абхазцы средневековых грузинских повествовательных источников. Груз. тексты на рус. яз. перевел, предисл. и примечаниями снабдил Г. Амичба. Тб.: "Мецниереба", 1988.

ბარამიძე 1948: Барамидзе А. Предисловие. წიგნში: Орбелиани Сулхан-Саба. О мудрости вымысла. Пер. Е. Гогоберидзе. М.: Худ. лит., 1948.

ბარამიძე 1957: ბარამიძე ალ. სიბრძნე-სიცრუის გარშემო. „მნათობი“, № 12, 1957.

ბარამიძე... 1958: Барамидзе А., Радвани Ш., Жгенти В. История грузинской литературы. Краткий очерк. М.: 1952; Тб.: изд. "Заря Востока", 1958.

ბარამიძე 1959: Барамидзе А. Г. Гордость нашей культуры [С.-С. Орбелиани], "Заря Востока", 24.X.1959.

ბარამიძე 1964: ბარამიძე ალ. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964.

ბარამიძე... 1968: Барамидзе А., Гамезардашвили Д. Грузинская литература. изд. ТГУ, 1968.

ბარამიძე 1969: Барамидзе Р. Страницы одной дипломатической миссии (послесловие). წიგნში: Сулхан-Саба Орбелиани. Путешествие в Европу. Пер. Ф. Твалтвადзе. Тб.: "Мерани", 1969.

- ბარამიძე 1970:** Барамидзе Р. "Путешествие в Европу" Сулхана-Саба Орбелиани. "Литературная Грузия", № 3, 1970.
- ბაუმშტარკი 1911:** Baumstark A. Die georgische Literatur. In: Die christliche Literaturen des Orients. Bd. 2. Berlin: 1911.
- ბლაიხშტაინერი 1947:** Bleichsteiner R. Die Literatur der Georgien. In: "Die Burg von Surami" – von Daniel Tschonkadse, Wien: 1947.
- ბოლხოვინოვი 1802:** [Болховитинов Е.]. Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии. Сочинено в Александро-Невской Академии. СПб., 1802.
- ბრეგაძე 1977:** ბრეგაძე ლ. ქართველი ავტორები „ლე კოკაზ ილუსტრეს“ ფურცლებზე, „ცისკარი“, 1977, № 11.
- ბრეგაძე 1989:** ბრეგაძე ლ. პარალელები. „ლიტერატურული საქართველო“, № 28, 14.VII, 1989.
- ბროსე 1834:** Brosset M. Notice sur le dictionnaire géorgien de Soulkhan-Saba Orbeliani, récemment acquis par la Bibliothèque Royale de Paris: Nouv. Journal Asiatique, février, t. XIII, 1834.
- ბუაჩიძე 1978:** Soulkhan-Saba Orbeliani. La sagesse du mensonge. Traduit du géorgien et présenté par Gaston Bouatchidze. Illustrations de Lado Goudiachvili. Editions "Ganatleba", Tb.: 1978.
- ბუაჩიძე 1983:** Буачидзе Г. Мари Броссе (Страницы жизни). Тб.: „Мерани“. 1983.
- გამრეკელი 1885:** Гамрекели Н. Саба Орбелиани и его грузинский лексикон. Критический очерк. Т.: 1885.
- გამყრელიძე 1957:** გამყრელიძე ალ. ახალი უცხოური ნაშრომი სულხან-საბას იგავთა წიგნის სათაურის შესახებ. „მნათობი“, № 5, 1957.
- განერელია 1959:** Ганерелиа А. Мудрость таланта (К празднованию 300-летия со дня рождения Сулхана-Саба Орбелиани, "Литературная Грузия", № 10, 1959.
- გენაძე 1970:** Гецадзе Д. Язык Сулхан-Саба Орбелиани ("Мудрость вымысла", "Путешествие в Европу"). АДФН. Тб.: ТГУ, 1970.
- გვარჯალაძე 1982:** გვარჯალაძე ი. „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანი. „თბილისი“, № 164. 16.VII.1982.
- გორკი 1927:** Горький М. Заметки читателя. Круг. № 6, 1927. იხ. აგრეთვე, Собранные сочинения в тридцати томах, т. 24. М.: Госиздат худож. лит., 1953.
- გრიშკენასი 1983:** Гришкенас А. Сулхан-Саба Орбелиани – на литовском языке. "Заря Востока", 10.VII.1983, №159.
- დეეტერსი 1932:** Deeters G. Georgia, Letteratura: Enciclopedia Italiana. Di scienze, lettere ed arti, Istituto della Enciclopedia Italiana, fondata da Giovanni Treccani, XVI, Roma. 1932.
- დეეტერსი 1934:** Deeters G. Orbeliani, Sulchan-Saba: Die Weisheit der Lüge, übersetzt von Prof. Tsereteli. Berlin 1933. In: Orientalische Literaturzeitung 1934. Nr.8/9.
- დეეტერსი 1963:** Deeters G. Georgische Literatur. In: Armenisch und die kaukasischen Sprachen. (Handbuch der Orientalistik 1,7). Leiden-Köln 1963.
- დოდაშვილი 1959:** დოდაშვილი რ. სულხან-საბა ორბელიანი და მარი ბროსე. „ლიტერატურული გაზეთი“, № 44, 30. X. თბ.: 1959.
- დოდაშვილი 1962:** დოდაშვილი რ. მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1962.
- „დროება“ 1885:** „დროება“. შინაური ქრონიკა. № 48, 5. III, 1885.

- ელიმბაევი 1959:** Орбелиани Сулхан-Саба. Фибрათама. Аударган. М. Элимбаев. Ред. К. Орманбаева. Алматы. Казактин, 1959.
- ერბი 1975:** Erb E. Gutachten. Poesie und Prosa. Berlin: 1975.
- ვაცუტლინი 1962:** Orbeliani Sulchan-Saba. Kniha Moudrosti a Lži. Prel. Ivo Vaculin. Ilustr. R. Malát. Praha: Svět Sovětu, 1962.
- ვივიანი 1982:** Orbeliani Sulchan-Saba, A Book of Wisdom and Lies. Translated by Katharine Vivian. London: 1982.
- ზალემანი 1904:** Salemann, C. Manuscripts, Correspondence et Ouvrages de feu Mr. M. Brosset. წიგნში: Известия императорской Академии наук, 1904, июнь, т. XXI, N 1.
- თარხნიშვილი 1951:** Tarchnischvili M. Georgia. Letteratura. Enciclopedia Cattolica, Firenze, 6. Citta del Vaticano, 1951.
- თეიმურაზ ბაგრატიონი 1964:** თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მარი ბროსესადმი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ს. ყუბანიევილმა. თბ.: „მეცნიერება“, 1964.
- თურნავა 1979:** თურნავა ს. „სიბრძნე სიცრუისა“ ფრანგულად. „ლიტერატურული საქართველო“, № 6.IV. 14, 1979.
- თურნავა 1980:** თურნავა ს. „სიბრძნე სიცრუისა“ უცხოეთში. „ლიტერატურული საქართველო“, 18.VII. № 29, 1980.
- თურნავა 1983:** თურნავა რ. საბას იგავ-არაკები ინგლისურად. „ლიტერატურული საქართველო“, № 36, 2.IX. 1983.
- თურნავა 1984:** თურნავა რ. ქართული პოეზიის ანთოლოგია. „ლიტერატურული საქართველო“, № 6. I. 2, 1984.
- თურნავა 1999:** თურნავა ს. XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია. I, თბ.: 1999.
- თვალთვაძე 1969:** Сулхан-Саба Орбелиани. Путешествие в Европу. Пер. Ф. Валтвадзе. Предисл. Г. Леонидзе. Ред. и послесл. Р. Барамидзе, Тб.: "Мерани", 1969.
- „ივერია“ 1878:** ბიბლიოგრაფიული ცნობა. „ივერია“, № 20, 25.V. 1878.
- „ივერია“ 1894:** ნარკვევი. „ივერია“, 108, 23.V. 1894.
- იმედაშვილი 1954:** Имедашвили Г. К пониманию заглавия. „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ [„Книга мудрости и лжи“]. САН ГССР, т. XV, № 5. 1954.
- ინ-მან [მაჭავარიანი ივანე] 1895:** ინ-მან [მაჭავარიანი ივანე]. წიგნი სიბრძნე-სიცრუისა: ქართულის ზღაპრების წიგნი მეთვრამეტე საუკუნისა, სულხან-საბა ორბელიანისა. გადათარგმნილი შენიშვნებითურთ ოლივერ უორდროპის მიერ, „ივერია“, № 60, 18.III. 1895.
- იორდანიშვილი 1933:** ი[ორდანიშვილი] ს. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულად. „მნათობი“, № 3, 1933.
- იორდანიშვილი 1939:** Иорданишвили С. Сулхан-Саба Орбелиани и его "Мудрость лжи". წიგნში: С.-С. Орбелиани и его "Мудрость лжи", пер. с груз. Ал. Цагарели, под ред. С. Иорданишвили, Тб.: изд. "Заря Востока", 1939.
- იორდანიშვილი 1953:** იორდანიშვილი ს. სულხან-საბა ორბელიანი და მისი წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“. წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1953.
- იშტვანოვიჩი 1955:** Szulhan-Szaba Orbeliani, A Bölcsesség mesés könyve. Második Kiadás. [Fordította Honti Rezső, Az illusztrációk és a fedélrajz Farkas Ferengne munkája], Uj magyar könyvkiadó, Budapest, 1955.

- იშტვანოვიჩი 1983:** Jstvanovits. Anmerkungen zum Märchen "Der Zauberarzt" von S.-S. Orbeliani. კრბ. „აღმოსავლური ფილოლოგია“, V(1983).
- „კავკასიონი“ 1983:** Грузинская книга в союзных республиках. "Кавказиони", №1, 1983.
- კაკულია 1962:** კაკულია ა. „სიბრძნე სიცრუისა“ ჩეხურ ენაზე. „თბილისი“, 4.XII.1962, № 284.
- კალანდარიშვილი 1955:** Каландаришвили Г. Очерки по истории логики в Грузии. Тб.: Сахелгами, 1955.
- კახნიაშვილი 1975:** კახნიაშვილი ვ. ჩვენი ერის საუნჯე. „კომუნისტი“, № 66, 20.III.1975.
- კახნიაშვილი 1981:** კახნიაშვილი ვ. ჩვენი მწერლობა გერმანულად. „ლიტერატურული საქართველო“, № 34, 21. VIII. 1981.
- კეკელიძე 1939:** Кекелидзе К. Конспективный курс истории древнегрузинской литературы. Тб.: изд. ТГУ, 1939; იხ. აგრეთვე ეტიუდები, IX, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1963.
- კეკელიძე 1959:** კეკელიძე კ. ზოგიერთი მომენტი სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიისა. სულხან-საბა ორბელიანი (საიუბილეო კრებული). თბ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959.
- „კვალი“ 1894:** საყურადღებო ამბები. „კვალი“, № 22, 22.V.1894.
- კინწურაშვილი 1986:** კინწურაშვილი კ. პეტერბურგელი ქართველოლოგები. თბ.: „განათლება“, 1986.
- კობალაძე 1972:** Кобаладзе М. Некоторые вопросы языка и стиля С. С. Орбелиани. АКФН. Тб.: ТГУ, 1972.
- ლაისტი 1903:** Leist A. Das georgische Volk. Dresden: 1903.
- ლანგი 1955:** Lang D. M. Georgian Studies in Oxford. In: Oxford Slavonic Papers, Vol. VI, 1955.
- ლანგი 1956:** Lang D. M. Wisdom and Lies. Variations on a Georgian Literary Theme. – BSOAS, XVIII/3, 1956.
- ლანგი 1957ა:** ლენგი დ. ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში. „ცისკარი“, № 4, 1957.
- ლანგი 1957ბ:** ლენგი დ. წიგნი სიბრძნე-სიცრუისა-ს სათაურისათვის. „მნათობი“, № 5, 1957.
- „ლიტერატურული საქართველო“ 1970:** სულხან-საბა ორბელიანი რუსულად. „ლიტერატურული საქართველო“, № 15, 10.IV, 1970.
- „ლიტერატურული საქართველო“ 1973:** „სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულად. „ლიტერატურული საქართველო“, № 35, 7. IX. 1973.
- „ლიტერატურული საქართველო“ 1982:** „სიბრძნე სიცრუისა“ ინგლისურ ენაზე. „ლიტერატურული საქართველო“, № 25, 18.VI.1982.
- ლეონიძე 1928:** ორბელიანი სულხან-საბა. სიბრძნე-სიცრუისა. გ. ლეონიძის რედაქციით. ტფ.: გამომცემლობა „შრომა“, 1928.
- ლეონიძე 1961:** Леонидзе Г. Сулхан-Саба Орбелиани. წიგნში: Грузии сыны. М.: "Молодая гвардия", 1961.
- ლეონიძე 1969:** Леонидзе Г. Сулхан-Саба Орбелиани. Предисловие. წიგნში: Сулхан-Саба Орбелиани. Путешествие в Европу. Пер. Ф. Твалтvadze. Тб.: "Мерани", 1969.

ლოლაშვილი 1986: ლოლაშვილი ი. ალექსანდრე ცაგარელი. წიგნში: ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარნი, თბ.: თსუ გამომცემლობა, 1986.

ლორთქიფანიძე 1953: Лордкипанидзе Э. Педагогические взгляды Сулхана-Сабა Орбелиани, АКПН. Тб.: ТГУ, 1953.

მაგაროტო 1978: Magarotto L. Recensione a Sulkhan-Saba Orbeliani. La Sagesse du Mensonge, traduction dal georgiano e introduzione di G. Buačidze, illustrazioni di L. Gudiašvili. Tbilisi, 1978. Oriente Moderno, Rivista mensile, Anno LVIII, n. 11, Roma. 1978.

მაგაროტო 1987: Magarotto L. La saggezza della menzogna (Sibrzne sicruisa): Dizionario dei Capolavori, III, Torino. 1987.

მაგაროტო 1989: Magarotto L. Orbeliani Sulkhan-Saba. Grande Dizionario Enciclopedico. XIV, Torino, UTET, 1989.

მალიუგინა 1979: Малюгина А. "Мудрость вымысла" на языке Лафонтена. "Заря Востока", № 53, 3. III. 1979.

მალტ-ბრენი 1810: Analyse du tableau historique, politique, ecclésiastique et littéraire de la Géorgie, écrit en russe par l'archimandrite Eugénius: "Annales des voyages", t. 12, Paris, 1810.

მამულაშვილი 1973: მამულაშვილი მ. „სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულად. „სამშობლო“, IX. №18, 1973.

მარი 1907: Марр Н. Доклад проф. И. И. Соколова "Грузинская церковь в XVIII веке". "Церковная ведомость", № 3 (Прилож.). 1907.

მარი 1917: Марр Н. Грузинская поэма "Витязь в барсовой шкуре" Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема. ИАН. VI серия, № 7, 1917.

მარუაშვილი 1956: Маруашвили Л. Вахушти Багратиони, его предшественники и современники. М.: Госиздат географ. лит., 1956.

მაჭავარიანი 1980: მაჭავარიანი მ. ალ. ცაგარელის კოლექციის ავტოგრაფები. „მნიგნობარი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1980.

მახათაძე 1955: Махатадзе Н. Гражданские мотивы в памятниках грузинского красноречия XVIII в. АКФН. Тб.: ТГУ, 1955.

მენაბდე 2005: მენაბდე ლ. ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. თბ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.

მთვარელიშვილი 1892: მთვარელიშვილი ნ. წიგნი სიბრძნე-სიცრუისა საბასულხან ორბელიანისა. სხვადასხვა ხელთნაწერებთან ახლად შედარებული და გამართული ნ.მთვარელიშვილის მიერ. თბ.: 1892.

მნათობი 1973: „სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულ ენაზე. „მნათობი“, № 10, 1973.

მონგირდი 1954: S. Orbeliani, O madrości rzeczy zmyślonych. Warszawa: "Czytelnik", 1954.

მურიე 1885: Mourier J. Prince Saba Sulkhan Orbeliani. Les Contes Georgiens du XXII-ème et XVIII-ème siècles. D'après le texte de Tsagarelli, Professeur à la Faculté des Langues orientales à Saint-Petersbourg; par J. Mourier, Officier de J'Instruction publique, Tbilissi: 1885.

მურიე 1888: Mourier J. Contes et Légendes du Caucase (Contes géorgiens, contes mingréliens), [traduit par J. Mourier], Paris: 1888.

მჭედლიშვილი, პეტროვა 1959: Orbeliani Soukhan-Saba. The Book of Wisdom and Fiction (Selections). Translated by J. Mchedlishvili and I. Petrova, Tbilisi: "Tsodna", 1959.

- მჭედლიშვილი, პეტროვა 1973:** Orbeliani Soukhian-Saba. The Book of Wisdom and Fiction (Selections). II. Edition, "Ganatileba", 1973.
- ნატროშვილი 1991:** Натрошвили Т. Мудрец. "Литературная Грузия", № 9-10, 1991.
- ნოვიციკი 1961:** Поезия грузинського народу. I, за редакцією М. Бажана, О. Новицького, С. Чіковані. Державне видавництво художньої літератури. Київ: 1961.
- ნოიკომი 1981:** Neokomm R. Die Literatur Georgiens. In: Neue Zürcher Zeitung. 295. 19/20.12. 1981.
- პეჩი 1974:** Pätsch G. Zwei deutsche Fassungen von Sulchan-Saba Orbelianis: "Die Weisheit der Lüge". "Bedi Kartlisa", revue de Kartvélogie, vol. XXXII. Paris: 1974.
- პრამპოლინი 1949:** Prampolini G. La letteratura georgiana: G. Prampolini, Storia della letteratura universale. II, Torino. 1949.
- რევიშვილი 1977:** რევიშვილი შ. გერმანულ-ქართული ეტიუდები. თბ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977.
- რიაბინინი 1889:** Рябинин М. Калилах и Димнах, ея происхождение и история. Негнемо: Книга Калилах и Димнах. Пер. с арабского М. О. Аттая и М. В. Рябинина. М.: 1889.
- „სამშობლო“ 1984:** თურნავა ს. სულხან-საბა ინგლისურად. „სამშობლო“, № 8, აპრილი, 1984.
- სირადე 1984:** Orbeliani Sulchan-Saba. Weisheit der Erdichtung. Übersetzt von Helene Siradse. Redigiert von K. Dschordschaneli. "Ganatileba" verlag. Tbilissi: 1984.
- სმიტი 1987:** Smith J. P. Orbeliani Saba-Sulkhan. Dizionario Bompiani degli Autori. III, Milano. 1987.
- სურგულაძე 1979:** სურგულაძე მ. გაზ. „The Georgian Messenger“ ქართული კულტურის შესახებ. „ცისკარი“, № 7, 1979.
- უორდროპი 1888:** Wardrop O. The Kingdom of Georgia. Notes of Travel in a Land of Women, Wine and Song. London: 1888.
- უორდროპი 1894:** Wardrop O. Orbeliani Sulkhan-Saba, The Book of Wisdom and Lies, A Book of Traditional Stories from Georgia, in Asia, Translated by O. Wardrop. London: 1894.
- ფენრიხი 1973:** Orbeliani S. S. Die Weisheit der Lüge. Übers. von H. Fähnrich. Berlin: 1973.
- ფენრიხი 1974:** Orbeliani S. S. Die Weisheit der Lüge. von H. Fähnrich. [Frankfurt/M/]: Insel, 1974.
- ფენრიხი 1981:** Fähnrich H. Die Georgische Literatur (Ein überblick). Herausgeber V. Kachniaschvili. "Sabtschota Sakartvelo", Tbilisi: 1981.
- ფერენსენე 1983:** Sulchanas Saba Orbelianis. Prasimanyuq İsmintis. İř rusu kalbos verte Goda Ferensiene. "Vaga". Vilnius: 1983.
- ფინკი 1925:** Fink N. F. Die Orientalischen Literaturen (Die Kultur der Gegenwart. Abteilung VII des I. Teils, Berlin-Leipzig: 1906), 1925.
- ფურლანი 1970:** Furlani G. Letteratura dell'oriente cristiano, Letteratura georgiana: Le civiltà dell'oriente, Storia, letteratura, religioni, filosofia, scienze e arte, sotto la direzione di G. Tucci, redazione a cura dell'Istituto italiano per il Medio ed Estremo oriente, redattore A. Gargano, II. Letteratura, Firenze-Roma. 1970.
- ჭუთათელაძე 1950:** Кутателадзе Л. Редакции толкового словаря грузинского языка Сулхан-Саба Орбелиани (по автографам). АДФН. Тб.: 1950.

- ლოლობერიძე 1948:** Орбелиანი Сулхан-Саба. О мудрости вымысла. Пер. с груз. Е. Гогоберидзе. Предисловие А. Барамидзе. М.: Худ. лит., 1948.
- ლოლობერიძე 1951:** Орбелиანი Сулхан-Саба. О мудрости вымысла. Пер. с груз. Е. Гогоберидзе. Под ред. Е. Лундберга. Вступ. ст. А. Барамидзе. М.: Гослитиздат, 1951.
- ლოლობერიძე 1955:** Орбелиანი Сулхан-Саба. О мудрости вымысла. Пер. с груз. Е. Гогоберидзе. ნიგნში: Грузинская проза. Избранные романы, повести и рассказы в трех томах. Т. I, М.: Гослитиздат, 1955.
- ლოლობერიძე 1959:** Орбелиანი Сулхан-Саба. Мудрость вымысла. Пер. с груз. Е. Гогоберидзе. С предисл. Г. Леонидзе. Тბ.: Заря Востока, 1959.
- ლოლობერიძე 1975:** Орбелиანი Сулхан-Саба. Мудрость вымысла. Пер. Е. Гогоберидзе. Вступ. ст. С. Цаишвили. М.: Худ. лит., 1975.
- ლოლობერიძე 1982:** Орбелиანი Сулхан-Саба. Мудрость вымысла. Отрывки. Пер. Е. Гогоберидзе. ნიგნში: Древнегрузинская литература (V-XVIII вв.). Сост. Л. Менабде. Тბ.: Изд. ТГУ, 1982; 1987.
- ლოლობერიძე 1987:** Орбелиანი Сулхан-Саба. О мудрости лжи, или Мудрость вымысла (Отрывки). Пер. Е. Гогоберидзе. ნიგნში: Антология педагогической мысли Грузинской ССР. М.: Педагогика, 1987.
- ყაზაზიშვილი 1959:** ყაზაზიშვილი რ. „სიბრძნე სიცრუისა“ უკრაინულ ენაზე, „ლიტერატურული გაზეთი“, 4.IX.1959, № 36.
- შარაძე 1984:** შარაძე გ. ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე (უორდრობები და საქართველო), თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984.
- შკლოვსკი 1929:** Шкловский В. О теории прозы. М.: Изд. "Федерация", 1929.
- შურლაია 2003:** შურლაია გ. იტალიურენოვანი ქართველოლოგია და ქართული მწერლობა. ნიგნში: ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში. თბ.: „ქართველოლოგი“, 2003.
- ჩილაჩავა 2005:** „Золотий виноградник~. Ідея видання, упорядкування, передмова, коментарі та загална редакція Рауля Чілачави. Київ, 2005.
- ჩუბინოვი 1846:** Чубинов Д. Известия о грузинских книгах, из которых выписки вошли в состав хрестоматии. ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დ. ჩუბინოვის მიერ (Грузинская хрестоматия или избранные отрывки из грузинской литературы. Издал Д. Чубинов). СПб., т. I, 1846.
- ჩხატარაიშვილი 1972:** ჩხატარაიშვილი ქ. სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობის“ რუსული თარგმანის გამო. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, II, 1972.
- ჩხენკელი 1958:** Tschenkeli K. Einführung in die georgische Sprache. Bd. II. Amirani Verlag Zürich (Switzerland): 1958.
- ცაგარელი 1873:** Цагарели А. О грамматической литературе грузинского языка. Критический очерк. СПб., 1873.
- ცაგარელი 1878:** Книга Мудрости и Лжи (Грузинские басни и сказки XVII-XVIII стол.). Саввы-Сулхана Орбелиани. Перевод и объяснения Ал. Цагарели. СПб. 1878.
- ცაგარელი 1893:** Цагарели А. Грузия. Брокгауз и Эфрон, Энциклопедический словарь. т. IX-А. СПб., 1893.

- ცაგარელი 1939:** Орбелиани С.С. Мудрость лжи. Пер. с груз. Ал. Цагарели. Редакция, предисловие, комментарии С. Иорданишвили. Литредакция Ю. Тынянова. [Тбилиси], Изд. "Заря Востока", 1939.
- ცაიშვილი 1987:** Цаишвили С. Сулхан-Саба Орбелиანი. ნიგნში: От предков – к современникам. Тб.: "Мерани", 1987.
- ნერეთელი 1933:** Die Weisheit der Lüge, gesprochen von Sulchan-Saba Orbeliani (georgische Bibliothek. Herausgegeben von A. Metreveli, N1). Berlin-Wilmersdorf. Übersetzt aus dem Georgischen von Prof. Dr. M. von Tseretheli. Einleitung von Dr. Surab Avalischwili, 1933.
- „ნიგნის სამყარო“ 1982:** [„სიბრძნე სიცრუისა“] ინგლისურ ენაზე, „ნიგნის სამყარო“, № 14, 28.VII.1982.
- ნულაძე 1982:** „La poésie géorgienne“. V^e-XX^e siècles. Traduction et commentaires de Serge Tsouladze. Editions "Ganatleba", Tb.: 1982.
- ხანთაძე 1966:** ხანთაძე შ. მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1966.
- ხახანაშვილი 1901:** Хаханов А. Очерки по истории грузинской словесности. Вып. 3, Литература XIII-XVIII в. М.: 1901.
- ჯღარკავა 1973:** Джгаркава И. Педагогические взгляды Сулхана-Саба Орбелиани. АДПН. ТГУ, 1973.

„სიბრძნე სიცრუისა“ და „თეთრი დათვი“

(სულხან-საბას არაკთა პოსტმოდერნისტული ვერსიები)

სულხან-საბა ორბელიანის სახელი „ნაკრძალის“ ფინალში რომ გაივლებს და მისი ერთი არაკის სიუჟეტურ ქარგასაც გაიხსენებს პერსონაჟი, ეს იმ სურათის დასრულებასაც დასჭირდა და ტრაგიკომიკური რეალობის ფსიქოლოგიური სარჩულის გამკვეთებასაც — იგავურ მხარეზე გამჭვირვალე მინიშნებას, თორემ ოთარ ჩხეიძე მაშინ ვერც იფიქრებდა, ოცი წლის შემდგომ საბას სახელისა და მისი „სიბრძნე სიცრუისა“ გამოხმობა ახალი რომანის — „თეთრი დათვი“ — კომპოზიციური სტრუქტურის ასაგებად თუ გამოადგებოდა, და კიდევ — მისი სიმბოლური ფონის გასამძაფრებლად.

ორიგინალური სტრუქტურა კი აიგებოდა.

და საბას სახელის მოშველიებით მისი რომანთა ციკლი „მატიანე ქართლისა“ უშუალოდ გასდებდა ხიდს „ქართლის ცხოვრებაში“ თავმოყრილ ისტორიულ თხზულებებთან, უპირველესად მაინც ლეონტი მროველთან თუ ჯუანშერთან.

ვითომ სულხან-საბა რა შუაში უნდა იყოს ამ სიმბოლური ხიდის გადებისას?!

„თეთრი დათვის“ შინაარსიდან ეს უშუალოდ არ ამოიკითხება და მაშ რა ვიფიქროთ — სულხან-საბას კვალობაზე შექმნილი არაკები მარტოდენ კომპოზიციური დანიშნულების ელემენტებად წარმოგვიდგება და ჩამოვებსნათ „ქართლის ცხოვრებასთან“ ამ საერთოს ძიებას?..

უშუალოდ თუ არ ამოიკითხება, სამაგიეროდ, ოთარ ჩხეიძის სამეცნიერო ნარკვევი — „ნოველის სანყისები“ — და ესეი — „ნოველა ქართლის ცხოვრებისა“ დაგვეხმარება ამ ჩართულ არაკთა უფრო ღრმა დანიშნულების ამოცნობაში, ვიდრე სიუჟეტური ქარგის მონესრიგებაა — თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი გარემოება ეპიკური თხზულებისათვის, და მითუფრო ოთარ ჩხეიძის ხელში, ყოველთვის კომპოზიციურ სრულყოფილებას რომ აღწევს და მისი მხატვრული ქმნილებანი (რომანებსა, ნოველებსა და პიესებთან ერთად ესეისტური პროზაც) ქრესტომათიულია ამ კუთხითაც.

იქ კი, „ნაკრძალში“, ტრაგიკული და კომიკური ნაკადები მარჯვედ რომ მონაცვლეობს და ერთმანეთშიც წამდაუნუმ იხლართება, ამ სტილისტიკისათვის ნიშანდობლივი თამაშის ხერხებიც უხვად, ფეიერვერკული თავბრუდამხვევობით ტრიალებს და სულხან-საბას სახელმაც სწორედ ამ ფონზე უნდა ამოანათოს, გივი არსაიძე

რომ დასცინის შეფარულად არკადი აკადემიკოსს, და ვითომ გულწრფელად იხსენებს და ველარც იხსენებს, ეს არაკი რუქამ უამბო ხელმწიფეს თუ ლეონმა თუ ჯუმბერმა თუ... სულაც გამორჩენოდა ჩვენს დიდებულ მეიგავეს: აქლემს რომ ტვირთი დაუმიმდებოდა და წაიქცეოდა, და ვირი ასტეხდა გულსაკლავ ყროყინს. რა გაყროყინებსო? — ჰკითხავდნენ ვირს და ის გულსაკლავადვე მიუგებდა, მაგის ტვირთსაც მე ამკიდებენო.

და უნდა ჩაფიქრდეს არკადი აკადემიკოსი: ნეტა რომელ პერსონაჟს ათქმევინა ან იქნებ მართლა გამორჩა კიდევ იმ სულკუროთხეულსო.

გივი კი ახალგაზრდებმა უნდა გაიტაცონ, ქორწილი გაგრძელდეს და ამბავიც ისევე ბედნიერად მოთავდეს, ჯადოსნურ ზღაპრებს რომ სჩვევია და „ვეფხისტყაოსნის“ ფინალშიც გადმოსულა ესქატოლოგიურ გააზრებად. „ბედნიერად მოთავდაო“ — ირწმუნება მწერალი და ეს შესიტყვება ამჯერად მწვავე დრამატიზმით მსჭვალავს რომანის დასასრულს, რაკილა ამ მხიარულებასა და თავდავინყებას ერთი პატიოსანი, თავისი ქვეყნის მოჭირნახულე კაცი შესწირვია, წლობით ნაშრომ-ნაჯაფარი ხელიდან რომ გამოუცლიათ, თვითონ მიუთვისებიათ, ნოდება-ჯინჯილებიც უშოვნიათ, ის კი ისევე ამაოდ ცდილობდა თავისი ნაამაგარის დაბრუნებას, როგორ ფუჭადაც ექციათ მისი მონდომება — საქართველო გადაქცეულიყო ნაკრძალად, ასე გამოეცხადებინა ცივილიზებულ მსოფლიოს, და ეგებ ამ გზით მაინც გამხდარიყო შესაძლებელი მისი თვითმყოფადობის გადარჩენა რუსეთის კლანჭებისაგან, სულ უფრო და უფრო რომ უჭერდა ყელში ამ უძველესი კულტურის ქვეყანას, გამორჩეულს თავისი ისტორიითაც და ამჟამინდელი მშვენიერებითაც, ოღონდ ლამის გასაქრობად განწირულის.

დამპყრობლის კაბალას გადაეგვარებინა ზნეობა, მოეშალა საზოგადოებრივი ცნობიერება და „ნაკრძალი“ ამ ტრაგიზმს წარმოსახავდა შეუფერადებლად. და ბუნებრივად ჩნდებოდა ფინალურ სურათში ეს კონტრასტი — ორი პროცესის შეფეთება საბურთალოზე: სამგლოვიაროსი და საქორწინოსი, ერთი სოლოლაკიდან რომ გამოსულიყო და მეორე მცხეთიდან, ერთს შავი მანქანა მიუძლოდა, მეორეს ეტლი თეთრი ცხენებით, ერთს მგლოვიარენი მიჰყვებოდნენ, მეორეს აღგზნებული და წამონთებული ადამიანები, ერთი წამდვილი გახლდათ — წამდვილი გლოვა და გასვენება, მეორე სანახაობა გეგონებოდათ და ძალდაუტანებლად მიამსგავსებდით რეჟისორისა და მისი ამაღის დაბრუნებას ისტორიული კინოფილმის გადაღებიდან.

და ქორწილმა უნდა შთანთქას გლოვა.

მხიარულებამ მოთქმა.

და შექმნას ამბის ბედნიერად მოთავეების ის ილუზია, რაც განგაშით ალავსებს თხრობას და დაზაფრავს მკითხველს — რა ეშვება ქვეყანას ღირსეულ ადამიანთა ტრაგედიაზე ამოშენებულ მხიარულება-ზეიმის პირობებში?!

და თუ ვინმეს სახება უნდა გაელვებულებოდეს ამ გულისშემძვრელი ხილვისას, გაელვებულებოდეს ნუგეშადაც და მხილებადაც, გამამხნეველბადაც და მკაცრ განაჩენადაც, უსათუოდ სულხან-საბა ორბელიანისაც... და კიდევ ამოანათებდა იმ პერსონაჟის პირით, სული სულთაგანი და სისხლი სისხლთაგანი რომ შექმნილა ამ საზოგადოების, ღვიძლი შვილი ამ პაროდიული, ტრაგიკომიკური სინამდვილის, და — სხვათაგან განსხვავებით — თუმც მკაფიოდ გაუცნობიერებია ამ რეალობის ბუნება, გივი არსაიძეს, ურჩევნია თვითონაც ამ ვაკხანალიის მონაწილე იყოს, იტივტივოს იმ მღვრიე ტალღებში და მიენდოს ბედის ტრიალს, ვიდრე რაიმეს სასიკეთო შეცვლას შეეცადოს.

ეგაა, დროდრო ირონიულ მზერას მიმოატარებს ხოლმე ირგვლივ და გარშემო მყოფთაც დასცინის და საკუთარ თავსაც.

ასე იშოშმინებს წამიერ აფეთქებებს, ასე იხშობს პროტესტის გრძობას, რაკილა მეტის ძალა არ შესწევს, ვიდრე ჩუმი ქირქილი თუ შეფარული დაცინვაა.

სულხან-საბას აქლემი და ვირი სხვა სიუჟეტურ ქარგაში მოექცია პერსონაჟებად, იქ აქლემის ტვირთს კი არ აჰკიდებდნენ ვირს, არამედ ვირს თავის ტვირთთანად აჰკიდებდნენ აქლემს, ვინც — ვირზე განაწყენებული — სასტიკ სამაგიეროს გადაუხდოდა ძველ ძმობილს, დაროკდებოდა და იმას კლდეზე გადაჩეხავდა.

და მამ „ნაკრძალის“ პერსონაჟი მის სახელს რატომ უნდა ახსენებდეს სულ სხვა — ასევე მახვილგონივრული არაკის — გახსენებისას?

რომანის მხატვრულ-იდეური კონცეფცია მოითხოვდა საბას ლანდის ამოტივტივებას, და თუ გივი არსაიძის მიერ გახსენებული სიუჟეტი არ თავსდება „სიბრძნე სიცრუისას“ იგავთა ციკლში, გამოსავალი მაინც მოიძებნებოდა: ეგებ უნებურად გამორჩენოდა კაცს, ვინც — უცხოელთა დაკვირვებით — მთელ საქართველოს მამად მიაჩნდა, მამად — არა მარტოდენ როგორც სულიერი მოძღვარი, არამედ ხორცშესხმული მფარველი თავისი ხალხისა, მისი ზნეობის მწვრთნელიც, მამხილებელიც და აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზების დამლაშქრავიც ჩამოხუფული სივრცის გასარღვევად.

ისე შეიძლება კი სულხან-საბას რაიმე მნიშვნელოვანი გამორჩენოდა იგავთა საგნის შეთხზვა-შედგენისას?

ცხადია, ყველასა და ყველაფერს ვერცერთი წიგნი ვერ მოიცავს კაცობრიობის ისტორიაში, ბრძნულიც და ბრძნულზე ბრძნუ-

ლიც, უშუალო ტექსტი შეგნებულად თუ უნებურად ფარავს უამრავ რაიმეს, თუმც მკითხველის წარმოსახვამ ამა თუ იმ ტექსტის კარნახით შესაძლოა ბევრი ასოციაცია დაატრიალოს, უპირველესი შთამაგონებელი მაინც ესა თუ ის წიგნი ან ესა თუ ის შემოქმედი იყოს; და „ნაკრძალის“ პერსონაჟი ამიტომაც აღარ დაგიდევს იმ სიუჟეტის წარმომავლობის დაზუსტებას — მისთვის ყველა იგავი თუ არაკი სულხან-საბას სახელში იყრის თავს, იმის მიუხედავად, „სიბრძნე სიცრუისას“ ტექსტში უშუალოდ აღბეჭდილა თუ არა მისთვის ამჯერად ყველაზე საჭირო სიუჟეტი.

ეგებ სულაც გამორჩაო...

პაროდულ გარემოს, სატირულ ფონს, თხრობის გროტესკულ მანერას ძალდაუტანებლად ერწყმის ამგვარი ფრაზები, და იქნებ აქვეც მოთავებულიყო, ოცი წლის შემდგომ ცოტა სხვაგვარად რომ არ შემობრუნებულიყო მისი დანიშნულება და თითქოსდა სასხვათაშორისოდ გაელვებული სიტყვები რომანის კომპოზიციურ საყრდენად და გამჭვირვალე ალეგორიად თუ სიმბოლურ ფონად არ გადაქცეულიყო.

ოთარ ჩხეიძე მაშინ ამას ვერც იფიქრებდა.

„ნაკრძალს“ დასჭირდა მხატვრული კონცეფციის გასახსნელად, ფინალურ მონაკვეთს ჩაერთო მახვილგონივრულ მიგნებად სულხან-საბას სახელიც და მისი პერსონაჟებისაც, და ეს იყო და ეს, ვიდრე წლების შემდეგ ეს მიგნება თვითონვე უკარნახებდა „თეთრი დათვის“ მხატვრულ აგებულებას — სატირის, პაროდის, გროტესკის, ტრაგიზმის, დრამატიზმის იმ თავისებურ ნაზავს, რომელსაც ასერიგად გაამძაფრებდა დოკუმენტური ფონი და ისევე გამოიწვევდა მრისხანებას თავის თანამედროვეთაგან, მრისხანებასა და მისი ჩაქოლვის წადილს, როგორც საუკუნეთა წინათ სულხან-საბა ორბელიანს მოემკო სასტიკი საზღაური თავდადებული გარჯის წილ.

ამ მხრივაც დამგვანებოდა ამ ორი მოღვაწის ბიოგრაფია.

ეგებ სულაც გამორჩაო...

ის, რაც „ნაკრძალის“ პერსონაჟის პირით ასე დაურიდებლადაც შეიძლება გამოთქმულიყო, „თეთრ დათვში“ ოდნავ იცვლიდა სახეს და სულხან-საბას კი აღარ „დაბრალდებოდა“ მისი გამოტოვება, არამედ „სიბრძნე სიცრუისას“ ცნობილ გამოცემებს.

ეს იმიტომაც, რომ — განსხვავებით გივი არსაიძისაგან — ლიტერატურის მასწავლებელი, ვინც ამას ამტკიცებს, გროტესკული სახე კი არ არის, არამედ რეალისტური; ისე უჩვეულოდ კი გამოიყურება ეს ერთადერთი კაცი მასწავლებელი, რაკილა სკოლას ქალები დაუფლებიან, მოხუცებულა, თუმც ჭარმაგობს და, სხვა შემთხვევაში თუ დიდად არ ეწინააღმდეგება სასწავლო პროგრამას, ამჯერად დაბეჯითებითი ირწმუნება, რუქას ერთ-ერთი არაკია

გამორჩენილი სულხან-საბას იგავთა ნიგნის გამოცემებში და აუცილებლად უნდა აღდგეს, ზოგი არაკიც გაფერმკრთალებულა უმკაცრესი საცენზურო პირობების გამოისობით და ისინიც შესაფერისად უნდა დაზუსტდეს, რათა ხელთ გვექონდეს „სიბრძნე სიცრუისას“ ავთენტიკური, დადგენილი ტექსტი და არა მისი ალაგალაგ შეცვლილი ვერსიაო.

ესეც მწერლური ხერხი — „გამოტოვებული“ თუ „საცენზურო პირობების გამო დამახინჯებული“ არაკები გამოჩნდეს არა ინტერპოლაციებად, არამედ „სიბრძნე სიცრუისას“ განუყოფელ ნაწილად, მის უშუალო გადმონვდომად ახალ დროებასთან.

ოღონდ ვიდრე „ნაკრძალსა“ და „თეთრ დათვს“ შორის სულხან-საბას ლანდიც გააბამდა ფარულ კავშირს, 80-იანი წლების დამდეგს ეს ლანდი გადმოეფინებოდა „ჩემი სოფლის ეტიუდების“ ერთ-ერთ ნიმუშს, რომელიც ასევეც დასათაურდებოდა: „იგავი სულხან-საბასი“. და უკვე მიანიშნებდა, რომ ეს სახება კვლავაც იჩენდა თავს ოთარ ჩხეიძის მხატვრულ ქმნილებებში, რაკილა ეს ფრაზა — „ისევ საბას მიუბრუნდებოდა, საბასთან იყო და საბასთან მიდიოდა“ — მარტოდენ პერსონაჟის მრწამსს კი აღარ გამოხატავს, არამედ მწერლისაც, პერსონაჟის განცდებს მიაღვენებს საკუთარ ფიქრსა და განცდას: თვითონ მიუბრუნდება ისევ და ისევ საბას, იმასთან ტრიალებს, იმისკენ მიილტვის.

პერსონაჟი კი არა ტყდება, თორემ უღონობა მაინც დაუტყვია საკუთარი თავისათვის, დაჯდება და ველარ დგება, ადგება და დაჯდომა უძნელდება, შინ არის და გარეთ მიუბრის გული, გარეთ არის და შინ ეწევა, ტახტზე ბალიშებს მიუწყობდნენ — ზურგიდანაც და აქეთ-იქიდანაც, დაჯაფული, დაქანცული ხელების ჩამოსაყრდნობად, მხრები რომ ველარც ერევა, დადრეკია თუ მოწყვეტია მხარ-ილლია, ველარაფერს ველარ ერევა, წიგნსაც კი, ერთადერთი „სიბრძნე სიცრუისა“ მოუდევს გვერდით და ზოგჯერ თუ სტრიქონსაც ველარ ჩაათავებს ხელ და ქუთოთოებდამძიმებული, ხანაც:

— აიყოლიებდა ყოველი სტრიქონი, ჩაეფლობოდა ძირისძირობამდისა, იქ ჩავიდოდა თუ ამათ ამოიყვანდა, — საბას გმირებსა რაღა თქმა უნდა, — გაერეოდა ანთუ იმათშია, ან ისე სჩხრეკდა შორით-შორიდანა, ანთუ ეგონა, ისინი მჩხრეკენო და მოერიდებოდა, ან თავს აწონებდა, — როდის რატომაო, აღარ იძიებდა...

მეტად საგულისხმოა ის სულიერი სიახლოვე, რასაც ნოველის გმირი იჩენს სულხან-საბას პერსონაჟებთან — თითქოს მათში გარეულა და ისე ჩხრეკს, როგორც გარშემომყოფთ. და ისინიც რომ ასევე მუშტრის თვალთ შემოჰყურებენ და კიდევ შეაცბუნებენ, თითქოსდა მართლა მოშლილა ყოველგვარი სამანი ყოფით და წარმოსახვით სამყაროებს შორისო.

ან რაღა თითქოს...

მოშლილა და ეგაა.

სულიერ სიახლოვეს რაც შეძლება, ამჯერადაც ასე ხელშესახებად გამოხატულა, რაკილა XX საუკუნის მწერალი, თავის პერსონაჟიანად, საბას მიბრუნებია, საბასთან არის და ყოველთვისაც საბასთან მიდის. და პერსონაჟი „სიბრძნე სიცრუის“ წიგნს კვერთხივით რომ გაიშვერს წინ — გზისგამკვალავად, თითქოს ავტორსვე მოუმარჯვებია და სწორედაც კვერთხივითო.

ნოველა საბას არაკის ქარგაზე ამოშენებულია — პირდაპირ შემოდის იმის სიუჟეტი, რათა გაიშალოს, ახალ დროებას მიესადაგოს, შეუპირისპირდეს და მისი დაქვეითებული სახე და არსი თვალნათლივი გახადოს.

თვითონ არაკი ხელუხლებლად რჩება, პოსტმოდერნისტული გადანერის, პოსტმოდერნისტული რედაქტირების გარეშე.

„თეთრ დათვში“ კი სწორედ ამგვარი „გადაწერისა“ თუ „რედაქტირების“ მონმე ვხდებით.

პირველად რომ გაიელვებს სულხან-საბას არაკზე მინიშნება, იქ ჯერ საამისო არაფერი იგრძნობა, მხოლოდ ტრაგიკომიკურ გამჭვირვალებას ქმნის „მოძღვარი მელის“ ხსენება ბორის ელცინთან დაკავშირებით, მომრიგებლობას რომ ჩემულობს, საბას პერსონაჟისა არ იყოს, ლილით სავსე სამღებროს ქვევრში რომ ჩავარდებოდა და, შავად შეღებილი, ფიცხლს მოჰყვებოდა: მართალია ჩემი დღენი ცოდვის ქმნით დავალამე, მაგრამ ახლა ჭკუას მოვეგე, ეს სოფელი უარყყავი, ბერად შევდექი და იერუსალიმს ვაპირებ ნასვლასო.

დათარეშობდა რუსეთი საქართველოს ისტორიულ მინა-წყალზე მოხალისეთა თუ კონფედერატთა სახელით, აეკლო და გამოედევნა ქართველი მოსახლეობა, ჩაებლუჯა ჩვენი ტერიტორიები და შუამავლადაც თვითონ დადგებოდა, რათა საკუთარი რეპუტაცია გადაერჩინა საერთაშორისო სარბიელზე. და რაკილა მსოფლიო პოლიტიკურ საზოგადოებასაც ასე ერჩინა — თავის მოტყუება უჯობდა სიმართლისათვის თვალის გასწორებას — იოლად ყაბულდებოდა რუსეთის პრეზიდენტის ფიცსა და აღთქმას და გაუბედავ ბუზღუნსა და ჩუმი თანადგომისა თუ თანაგრძნობის გამოცხადებას კმარობდა ჩვენთვის.

ახალი ხანის „მოძღვარი მელი“ იმთავითვე გაშიშვლებულიყო, ვერა ფარავდა საღებავები, მაგრამ გატვრენილ დასავლეთს თავისთვის ასე უჯობდა, მელიას მოძღვრობა ერწმუნა და პირისპირ შევეტოვებინეთ იმ თეთრი დათვისათვის, რომლის სიმბოლიკაცოთარ ჩხეიძეს რომანის სათაურად გაეტანა და თავდაპირველად არც დაკმაყოფილებულიყო მოკლე სახელწოდებით.

„თეთრი დათვი, თეთრი მელა და რუხი მგელი“.

ესეც ამ რომანის სათაურის პირვანდელი ვერსია, რომლის შეცვლაც ყოველთვის აფიქრებდა და რომანის გამოცემის შემდეგაც — არამცთუ ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებისას — კვლავ უტრიალებდა, საბოლოოდაც ასე დაეტოვებინა თუ ის თავდაპირველი ვერსია აღედგინა.

მისი რომანების ციკლისათვის — „მატიანე ქართლისა“ — სწორედ მოკლე სახელწოდებანია ნიშანდობლივი: ერთ ან ორსიტყვიანი. და უეცრად ამხელა სათაური ამოვარდნილი იქნებოდა საერთო რკალიდან. თუმცა... ამოვარდნილიყო, განა რა დაშავდებოდა, გამრავალფეროვნდებოდა ჩამონათვალი — ეგ იქნებოდა და ეგ. თანაც სათაურივე მიანიშნებდა რომანის ისტორიულ პერსონაჟთა ალევგორიულ სახეებზე, საერთოდაც, მის იგავ-არაკულ თავისებურებასა და ალევგორიულ გამჭვირვალეობაზე.

თეთრი დათვი — რუსეთი და მისი იმჟამინდელი პრეზიდენტი, იმპერიული წარსულის შემოსაბრუნებლად შემართული, ვინც მხოლოდ სახესა თუ ნილაბს შეიცვლიდა დროთა კვალობაზე.

თეთრი მელა — საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ვისი ალევგორიული მინიშნებისთვისაც ოთარ ჩხეიძეს არ დასჭირდებოდა საგანგებო ძიება, რადგანაც პირდაპირ გადმოიტანდა მის ზედმეტ სახელს.

და რუხი მგელი — ჩეჩნეთის პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მიმსწრაფი სულით, მგლის სიმბოლიკა როგორც გამოხატულა პოეტურ წარმოსახვაში — ჩვენი ხალხური პოეზია გნებავთ თუ შანდორ პეტეფის პატრიოტული ლირიკა.

ცალკე გამოტანილი სიმბოლო თეთრი დათვისა უშუალოდ რუსეთის ხატია, პრეზიდენტებად რომ აღარც ქუცმაცდება, და თვითონ რომანის სიუჟეტში ერთ პრეზიდენტსაც რომ გაუიგივდეს, სახელწოდება უფრო განზოგადებულად წარმოგვიდგება.

მხოლოდ სიმოკლე არ უნდა წყვეტდეს მის არჩევას სათაურად — ეს განზოგადებაც აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ.

მაგრამ რომანთა სახელწოდებების ის გამრავალფეროვნება?

სულხან-საბას დაკარგულ თუ ხელოვნურად ჩასწორებულ ხელნაწერზე მინიშნება სათაურიდანვე დათვით, მელათი და მგლით?

ამიტომაც ვერ მოთავებულყო მწერლის შინაგანი ბჭობა რომანის გამოცემითაც.

პირველად რომ ჩნდება არაკი მის სიუჟეტში, საბას სტილისტიკით განწყობილი — პაროდული ეფექტისათვის „დისტანციური პულტიც“ რომ არის ნახსენები — დათვი რომ ტორს დასცხებს და ტბას გაყინავს, ყინული კი წყალში კუდჩაყოფილ მელას ძალიან მოუჭერს, ქათიბს ყინული ჩაუყვლიფავს და კუდის რისკსდა შეარ-

ჩენს, იქნებ ერთჯერად გაელვებადაც აღიქვას მკითხველმა, პერსონაჟის დაბინდული ცნობიერების თავისებურ გამოსხივებად: ჰემეფო, ეს არაკი ამისთვის მოგახსენეო, — და კიდევ უნდა გამოერკვეს წარმოსახვათა ნაკადიდან — სადღა ანთუ ფინეზ ანთუ სედრაქ, ანთუ რუქაო. ვიდრე ლიტერატურის მასწავლებელი ამოჰყოფდეს თავს დაბეჯითებული მტკიცებით: გამორჩენილი და ცენზურისაგან გაფერმკრთალებულ-დამახინჯებული არაკები აუცილებლად უნდა აღდგეს „სიბრძნე სიცრუისას“ ახალი გამოცემისასო.

ხალხური თქმულება — მარტი სამ დღეს რომ ისესხებს აპრილისაგან, რათა მწყემსს მწარედ ანანოს კადნიერი დაცინვა: ისე გავიდა მარტო, ვერ მოჰკლა ციკნის ბარტყიო — სულხან-საბას სტილით გაიმართებოდა („იყო მწყემსი ერთი დია ლალი, ხალისიანი. რა მარტი უშფოთველად გავიდა, ფანდურს ჩამოჰკრა, დაიმღვრა...“) და რუქას მიენერებოდა მისი წარმოთქმა.

„ენით დაკოდლი“ ახლებური სათაურით მოინათლებოდა: „ენით დაკოდლი თეთრი დათვი“ — და ცენზურის მიერ ამოშლილ სიტყვად „თეთრის“ გარდა „სამიტიც“ გასაღდებოდა, რაც კიდევ უფრო გაამკვეთრებდა პაროდულ ეფექტს.

ამასობაში მასწავლებლები უნდა გაიფიცნონ და გაგრძელდეს და გაგრძელდეს მათი გაფიცვა, რაკილა მთავრობა დაპირებას ვერ ასრულებს, პარლამენტისა კი არა სჯერათ. დარბევით ვერ დაურბევიათ, რადგანაც არც მიტინგებს მართავენ, არც დემონსტრაციებს, სხედან სკოლების ეზოებში და ლანძღვა-გმობას არ აკლებენ ხელისუფალთ დაბალ ხმაზე. ქართულის მასწავლებელს კი შემოუგროვებია თავისი ჯგუფი და ახალ არაკებს უკითხავს: კიდევ აღმოჩნდა, „სიბრძნე სიცრუისას“ ცნობილ ხელნაწერებში რომ არ შეუტანიათო. და მალულად, მოფარებით აცნობს ყმანვილებს მის მიერ მიკვლეულ რუქას არაკს.

თან წუხს, თან იმედოვნებს: სპონსორი რომ გამომიჩნდებოდეს, საბას არაკთა მართებულ რედაქციას მევე გამოვცემდიო.

„ენით დაკოდლიში“ თეთრი დათვი თუ უფრო უწყინარად გამოიყურებოდა, ამ ნიმუშში უკვე გაშიშვლებულია ალეგორია, რადგანაც:

— დათვმან თეთრმან აწვია თათბირი. და იყო იგი ყოვლისა ბოროტისა მოქმედი.

ცხოველი ცხოველს მოსდევს ამ თათბირზე დასასწრებად, ყველა თავთავისი ბენვით მოდის, მხოლოდ მელა გამოცხადდება თეთრი ქათბით და, გულმოსული დათვის დავალებით, საქანელაზე მოხტუნავე თრითინა ცურვლით აავსებს მელას, ვინც მიუხვდება დათვის ამ ხრიკს და გაიფიქრებს: მე რომ ეს მიხრიკა, განგება მაგას უარესს უხრიკავსო. და კიდევ უნდა გამოჩნდეს რუსი მგელი და დათვის საქანელაზე შეხტეს. უეცრად მოვლენილმა კაცმა კი

დათვს უნდა ურჩიოს: ავნაქმართა შენთათვის მოგენიჭა ეს ყოველივე და, თუკი არ გნებავს, სხვა გზა უნდა ეძიოო.. დათვი? გაქირსაა, აბა, რისი დათვია: ასეთი დიდი შემქმნა ღმერთმა და ჩემს მეტი ამქვეყნად ვერავინ დაეტიოსო.

ცხოველები ხტიან საქანელაზე და კიდევ ერთბაშად მოისხიპება არაკი, რაც უჩვეულოა ამ ჟანრისათვის, მაგრამ ნიშანდობლივი ჩვენი დროის ლიტერატურისათვის: ღია ფინალი.

ასე იჭრება მოდერნიზმის ელემენტი „სიბრძნე სიცრუისას“ რედაქტირებულ ნაწილში.

და პოსტმოდერნიზმისათვის მახლობელი ის გათამაშებაც ამოჰყოფს თავს, თითქოსდა აშკარა ინტერპოლაციად რომ შეერევა ახალი არაკი ლიტერატურის მასწავლებლის მიერ რედაქტირებულ ტექსტს — ვითომ აქამდე მართლაც ყველაზე სანდო ხელნაწერიდან იმონებდეს ნიმუშებს.

ეს ახალი არაკიც საბასებურად იწყება („იყო დათვი ერთი თეთრი“), მაგრამ არც მისი უნდა იყოს, არც იაკობ გოგებაშვილისა, თარგმანს უფრო ნააგავს და ლაფონტენისკენ გადაგიქანებს ფიქრს, მაგრამ არც მისი კუთვნილება დასტურდება და არც კრილოვის, რადგანაც ამ შემთხვევაში აკაკი წერეთელს არ დარჩებოდა უთარგმნელი.

ალეგორიას არც ამჯერად არა სჭირდება გახსნა, ბოიარებისაგან გახელებული დათვი თეთრი მელას მოყვანას რომ ბრძანებს და სახრჩობელის აღმართვასაც, რაკილა დაურწმუნებიათ: ცბიერებას არ იშლის, შენ „ბაბაის“ გეძახის, ჩუმჩუმად კი ლომთან და ვეფხვთან დაძვრება და შენ წინააღმდეგ აქეზებს ორივესო.

მელაია რომ ერთგულებას ეფიცება, დათვი ბრანნის ჩვენებას მოინდომებს იმის ნიშნად, ვერ მომატყუებო, მაგრამ არ მოუხერხდება ბრანნი, რადგანაც ახალგაზრდობისას ბრაკონიერობდა თურმე, მაშინ აფეთქებოდა ხელში დინამიტი და თითებიც იმას წაენწყვიტა.

და არაკში გოეთეს „რაინეკე მელას“ ის ეპიზოდი უნდა ჩაერთოს, მურა დათვს თავლის სიხარბემ რომ დააკარგვინა თითები. მაგრამ რაკილა გოეთეს მურა დათვის თავგადასავალი მოეხსენება და თეთრი დათვისა არაფერი გაეგება, თეთრი დათვის ამბავს იმ ქვეყნის მწერალი თუ მოჰყვება, ამ თეთრი დათვის გისოსებში რომ გამოკეტილა, და კიდევ საკონცენტრაციო ბანაკს დამგვანებია ასეთ ყოფაში ჩავარდნილი ქვეყანა და სულს ლაფავს... და კიდევ დალაფავს, თუ საკუთარ ძალ-ღონეს არ ირწმუნებს, თუ არ შეერკინება ავ ბედისწერას და კიდევ არ გადასძალავს.

გოეთეს ალეგორიები ასეთ განზოგადებას ვერ იძენდა და არც სჭირდებოდა — სასწორზე არ შეგდებულყო მისი სამშობლოს ბედი.

აქ კი ტრაგიზმს კომიზმიც უნდა ჩაენნას და არაკუში გაიელვოს ამ მოულოდნელმა — და აღარც მოულოდნელმა — შესიტყვებებმა: „საქმიანი ვიზიტი“, „კონფიდენციალური საუბარი“, „საერთაშორისო არბიტრაჟი“, და „პროექტიც“ შესაფერისად მოერგოს ამ სტილისტიკას.

და მელია თეთრი დათვის წინაშე ფიცილს რომ მოჰყვება: ლომსა და ვეფხვს შენს წინააღმდეგ კი არ ვაქებებ, ქულაჯები აცვიათ ისეთი, სადაც დაბერტყავენ, ოქროს მტვერი ცვივა, სტუმრად ვინვიოთ, აქ დავაბერტყინოთ, მერე მიზეზი ვუკრიფოთ და თან არ გავატანოთო, — და დათვიც ასე რომ მოიქცევა, ისინი კი, ნაბერტყის საზღაურად, მოითხოვენ ამ მინა-წყალზე გვირაბებისა თუ რკინიგზების გაყვანასა და დარბაზების წამოჭიმვას, ამასობაში კი მადნეულის გაზიდვასაც აქედან, თეთრ მელას კვლავ სახრჩობელა რომ დაემუქრება და საერთაშორისო არბიტრად მოწვეული სპილო ბოიარებს აიტაცებს ხორთუმით და დააპროწიალებს, თეთრი დათვი კი ახარხარდება და აბარციბურცდება, კვლავაც ღია ფინალმა უნდა დაავიგვინოს ეს სიუჟეტიც.

მომდევნო არაკის პერსონაჟმა ენის გასატეხიდან უნდა გადმოინაცვლოს ამ ჟანრში („ერთსა კაცსა ბლისკინელსა ბლის კალათით ბლის ხიდზედა ბალი გააქვს და გამოაქვს“), ეგაა, ბლის ხიდი უფსკრულის თავზე გაკიდებულ ბენვის ხიდად უნდა გარდაისახოს, ერთი კაცი ბლისკინელი კი ჯამბაზად და თეთრ მელად, ბალი რომ ვერც შეუჭამია და ვერც გაუყიდია. სალ კლდეთა შორის კი ქარი ღმუის, უღმობელი, სუსხიანი, მონაბერი ყინულეთიდან, ყინულთა თავზე კი თეთრი დათვი გადმომდგარა და სულს ის უბერავს — ცივსა და გაყინულს, სული ამოსდის და უკანასკნელ სულს უბერავს; ხოლო სალ კლდეს რუხი მგელი მიხეთქებია, ჩაბლაუჭებია ბრჭალებით, ვერც ადის, ვერც ჩადის, ჩაფრენია განწირული, ეკვრის, ეგლისება, ყინულეთი არ უშვებს, ცდილობს შეიდნოს, შეინივთოს, თავისად აქციოს, ყინულეთს შემატოს, ის კი გაძლებაზეა და ფართხალებს, ეგებ მეორე კლდიდან სითბომ მიაღწიოს, თან ჯამბაზს შესცქნავის, ეგებ მეც მაგ ბენვის ხიდზე ამიყვანოო, და ის რომ ლატანს ჩაანვდის და რუხი მგელიც მოეჭიდება, ის თეთრი დათვი გადაირევა, თავით დაერჭობა, ატრიალდება, აბზრიალდება, და კიდევ მოწყდება ლატანს მგელი და უფსკრულში ჩაინთქმევა, ხითხითებს დათვი, მგელს კი ყინულის ლოდიც დაეცემა და გასრესს, მაგრამ მგლის ლეკვები უნდა ამოცვივდნენ ლოდზე, ასრი-ალდნენ და აცეკვდნენ ქარის ხმაზე, თეთრ დათვის ხითხითის გუნება წაუხდეს და ველარც იბზრიალოს, თითქოს თვითონაც გაყი-

ნულაო. თეთრი მელა კი კვლავ გადი-გამოდის ბლის კალათით ბლის ხიდზე.

და კვლავ ახლებური ფინალი, უეცრად მოსხლეტილი და გადახსნილი მკითხველის შეშველების მოლოდინში — დაე იმან დაასრულოსო.

აღარცსად თეთრი დათვია, აღარცსად თეთრი მელია და აღარცსად რუხი მგელი.

არაკ-ხილვას შენიტებული ბაადურ რიკოთელის ცნობიერებაც თანდათან უნდა ამოძრავდეს.

მასწავლებელმა კი კიდევ ერთი აღმოჩენილი არაკი უნდა წაუკითხოს ბავშვებს, და თუნდ ბავშვებმა გაიცინონ: რა იცოდა „სამიტი“ საბამო, — ის არ უნდა დაიბნეს: როგორ თუ არ იცოდა, ყველა ის სიტყვა მოეხსენებოდა, რაც შემდგომ უნდა შემოჭრილიყო ქართულ მეტყველებაში, და თუმც ავტო ჯერ არ გამოეგონებინათ, სტრადაც ძალიან კარგად იცოდა, ეგ არის, გზაშარას არ დაგდებდა და ავტოსტრადას არ დაგვიდგენდაო.

და ამ ფრაზით დაწყებული არაკი — აწვია ესენგეს სამიტი თეთრმა დათვმაო — დაბეჯითებითი განაგრძოს, თეთრად გადაპენტილი დათვი უეცრად რომ აბურდლუნდება ჭრელა-ჭრულად შემოსილი ცხოველების დანახვისას, ხოლო მელას შინდისფერი ყაბალახი (გამჭირვალე მინიშნება 26 მაისის საქართველოზე, რომლის აღდგენაც, თანაც ეროვნულ საფუძველზე, შესაძლებელი გამხდარიყო 1991 წლის 9 აპრილის აქტით) შემოუხვევია, აბურდლუნდება და სარკის მოტანას ბრძანებს, სარკეში კი გაბრდლვნილი მგელი უნდა გამოჩნდეს, აღარც ბენვი შერჩენია და აღარც ტყავი, რაკილა არ გასცლოდა ქარსა და ქარაშოტს, არც სხვა რამ უბედურებას არ შეპუებოდა და მყუდრო ალაგი არ ეძებნა, ფეხი არ მოეცვალა ადგილიდან — ამიტომაც დანრეტილა სისხლისაგან და ხორცის უკანასკნელი ნაფლეთებიც სცვივა. — რატომ არსად გაიქეცი, რატომ არავის შეაფარე თავიო, — ვითომდა თანაუგრძნობს თეთრი დათვი, თითქოს მისი მოვლენილი არ იყოს ის ყინულეთი და ის სასტიკი ქარიშხლები. პასუხად უნდა გაიკვირვოს რუხმა მგელმა: გაქცევა რას მიქვია ან ვინმესთან თავშეფარება, ეს არის სამშობლო ჩემი, აქ დავიბადე და აქ უნდა მოვკვდეო. და რაფიელ ერისთავის სტრიქონებიც უნდა მოადვენოს: არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედაო.

პოსტმოდერნისტულ სამოსში გამონყობილმა სულხან-საბამ, ცხადია, „სამშობლო ხევსურისაც“ იცის, და რუხი მგლის პირით წარმოთქმული ეს სტრიქონები კავკასიური მთლიანობის იდეადაც გარდაისახება, ასერიგად შემამფოთებლად თეთრი დათვისათვის, ვინც მრისხანედ უნდა დაემუქროს სხვა ცხოველებს: ემაგ ჭრელა-

ჭრულებს თუ არ მოეშვებით და ისევ ჩემს ჭკუაზე არ დადგებით, თქვენც ის მოგელით, რაც რუხ მგელს დაემართაო.

პოსტმოდერნისტული თამაში იმითაც გრძელდება, რომ მასწავლებელი „ელგუჯას“ იმ ეპიზოდში, მათია დათვის რომ შეებმის და კიდევ გამოფატრავს, დათვის ეპითეტად „თეთრს“ უმატებს და ამტკიცებს: ცენზურამ ამოშალა, თორემ თავდაპირველად ასე და მხოლოდ ასე ეწერებოდაო.

აბა, რუსული ტყვეობისაგან თავდახსნისათვის ბრძოლის ისტორიის გახსენება ალექსანდრე ყაზბეგის ხსენების გარეშე?!

„სიბრძნე სიცრუისას“ ვითომდა უძველესი ხელნაწერით სარგებლობა კი აქ მთავრდება — თეთრი დათვის მუქარასთან, ბლის ხიდზე მიმომავალ თეთრ მელასთან, ნაფლეთებად ქცეულ, თუნდ კვლავაც შეუპოვარ რუხ მგელთან და გულანთებულ მგლის ლეკვებთან, მგლისა და ციკნის მეგობრობის რეალისტური სურათიც — ყოფითი სინამდვილიდან უშუალოდ გადატანილი რომანის ფურცლებზე — რომ გადაებმის და მოხდენილადაც ამოახვევს სიუჟეტის იგავარაკულ ხაზს.

სიუჟეტური ხაზი სიუჟეტურ ხაზად, მითუმეტეს, „ქართლის ცხოვრებასთან“ გარეგნული სიახლოვის გასამკვეთრებლადაც მარჯვე მოფიქრება გახლდათ ამ პატარ-პატარა ამბავთა ჩალაგება თხრობაში.

ამ გარეგნული სიახლოვის ნიშნები იმთავითვე გაჩნდებოდა და სულ უფრო გათვალსაჩინოვდებოდა ოთარ ჩხეიძის რომანებში, რომლებიც ციკლად განზრახულიყო, ოღონდ ამ ჩანაფიქრს მწერალი მოგვიანებით გაამჟღავნებდა, რომანთა უკვე მთელი წყება რომ დალაგდებოდა, და საერთო სახელწოდებასაც მაშინ გაამხელდა: „მატიანე ქართლისა“.

ამ ციკლს უნდა მოეცვა მეოცე საუკუნე, მოკიდებული ხელმეორედ დაკარგული დამოუკიდებლობიდან ამ საუკუნის მიწურულამდე... თუმც ბედისწერა ისე მოიტანდა, რომ XXI საუკუნესაც გადმონვდებოდა.

ეს უნდა ყოფილიყო მხატვრული ისტორია — თავისი გამოკვეთილი რეალისტური ფონით, დოკუმენტური მხარე თუ ნაკადი სულ უფრო და უფრო რომ გამკვეთრდებოდა და 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ერთი შეხედვით, სულაც საისტორიო ქრონიკებს დაემგვანებოდა ოთარ ჩხეიძის რომანები.

„მატიანე ქართლისა“ უკვე არა მეტაფორად თუ მინიშნებად, არამედ პირდაპირაც ითქმოდა.

მანამდე თუ გამჭვირვალე მინიშნებებში ამოიკითხებოდა ქვეყნის დრამატული თავგადასავალი, ახლა ამბებიც და პერსონაჟებიც თავთავისი სახელებითა და რეალიებით გადასახლებულიყვნენ რომანთა ფურცლებზე და ნულა გაგიკვირდებოდა, თუკი რომელიმე

ისტორიკოსი სულაც „ქართლის ცხოვრების“ შემადგენლობაში მიუჩინდა ადგილს რომანთა ამ ციკლს, სხვა საისტორიო ქრონიკების გვერდით.

საისტორიო ქრონიკებისათვის კი იმთავითვე ნიშანდობლივი ყოფილა პატარ-პატარა ამბავთა ჩართვა, საილუსტრაციოდ მოხმობილთა. ასე ყოფილა ყველა ქვეყანაში და ეს თვისება ამოიკითხება ქართველ მემატიანეთა თხზულებებშიც, ქვეშეცნეულადაც გრძნობდნენ მის საჭიროებას და თანდათან ტრადიციულად გამომუშავდებოდა თხრობისათვის მეტი სიმძაფრისა და სახიერების მინიჭებისათვის.

მკვლევარებს არც გამორჩენიათ ამ ჩართულ ამბავთა ეს მხატვრული დანიშნულება.

ოთარ ჩხეიძე გაითვალისწინებდა ამ დაკვირვებებსა და მოსაზრებებს ქართული ნოველის საფუძვლების შესწავლა-დამუშავებისას, მონოგრაფიასაც რომ ჩაითქვამდა, და თუმც ეს მონოგრაფია აღარ შექმნილა, მისი ცალკეული მონაკვეთები მაინც დაინერგებოდა — ზოგი სამეცნიერო ნარკვევად, ზოგიც ესეიდ. და მსოფლიო ნოველის ჩასახვა-განვითარების შესწავლის ირგვლივ დაგროვებული გამოცდილება დიდად წაადგებოდა ქართული ნოველის ჩასახვისა და მის მიერ გამოვლილი გზის ირგვლივ მსჯელობისას.

„სიბრძნე სიცრუისას“ კომპოზიციური აღნაგობის წარმოჩენა უშუალოდ დაჭირდებოდა ქართული და საერთოდ მსოფლიო ნოველის თავგადასავლის აღდგენისას.

ნოველა, როგორც მხატვრული ჟანრი, შუა საუკუნეებში უკვე საბოლოოდ გამოკვეთილიყო და სრულყოფილიყო და თუნდაც ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონი“ ან სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“ თვალნათლივ ადასტურებდა ამ ჟანრის თვითმყოფადობას; არადა, მისი ნიშნები, ასე ვთქვათ, ნოველური სიტუაციები უძველეს ისტორიულ თუ გეოგრაფიულ თხზულებებში ჩნდებოდა, ესა თუ ის ნაამბობი ნოველასავით გამოდიოდა და ჩამწერსაც, რადგანაც თვითმხილველს ენდობოდა, სხვა არა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ პირდაპირ შეეტანა ეს მონათხრობი თავის ნაწარმოებში.

საამისოდ უამრავი თხზულება დაეგულებინათ ნოველის გენეზისის მკვლევარებს, ოთარ ჩხეიძე კი ჰეროდოტეს გამოარჩევდა, ისტორიის მამად ნოდებულს, და მისი საისტორიო მატიანიდან ამოკრებდა ცალკეულ ეპიზოდებს, რომელთაც — საილუსტრაციოდ ჩართულთ — დამოუკიდებელი სიუჟეტები მოეპოვებოდათ.

ორატორთა გამოსვლებიც უხვად შემკობილიყო ამგვარი ჩანართებით, დასრულებულ ამბად რომ წარმოდგებოდა, მაგრამ ოთარ ჩხეიძისათვის მთავარი და უმთავრესი მაინც საისტორიო ქრონიკებში ჩართული, სიუჟეტურად დასრულებული ეპიზოდები გახლდათ და, დიდი ხანი არ გავიდოდა, ჰეროდოტეს საისტორიო

ქმნილებიდან „მოქცევაი ქართლისას“ ტექსტზე რომ გადმოინაცვლებდა, რათა გაეთვალისწინებინა, თუ როგორ აეთვისებინათ ქართველ ჟამთააღმწერელთა ც საისტორიო თხზულების ეს ნიშანდობლივი თავისებურება და რა ოსტატურად და მოხდენილად შეეზავებინათ თავიანთი ქრონიკები პატარ-პატარა, დასრულებული ამბებით.

„ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნაწილში რომ შეჭრილიყო ეს თავისებურება, ვიდრე ეს ყოველივე დეტალურად გაანალიზდებოდა და თავით ბოლომდე გადაიშლებოდა მკითხველის თვალწინ, დაე ჯერჯერობით ეკმარა ამ კუთხით განსჯა ერთადერთი საისტორიო თხზულებისა.

განზოგადებისათვის ძალდაუტანებლად გიყოლიებდა თვითონვე „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკები და ისლა გევალებოდა, ახალ-ახალი საილუსტრაციო მასალით შეგვესო და ახალი, ვრცელი ნარკვევის სათაურიც შესაფერისი შეგერჩია: „ნოველები ქართლის ცხოვრებისა“.

მასალა მართლაც უხვად მოგყვებოდა ხელთ.

ხოლო ლეონტი მროველისათვის შემთხვევითობა რომ არა ყოფილა ამ ყაიდის ჩანართები და გარკვეულ მხატვრულ დანიშნულებას ანიჭებდა, იმითაც ცნაურდებოდა, რომ თვითონვე გამოერჩია ცალკე ეს სიუჟეტურად დასრულებული ეპიზოდები: ეს თქმული აბიათარ მღვდლისაო, ეს თქმული სიდონია დედაკაცისაო. ასე საგანგებოდ რომ არც გამოეცალკეებინა, თვითონ თხრობა ამოიტანდა ზედაპირზე და მკითხველს მიახვედრებდა, ეს ამბები საერთო სიუჟეტის ნაწილებია, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისა თუ შთამბეჭდაობისათვის თავთავისი ფორმაც შეუძენიათო.

კი მაგრამ, აშკარად ბელეტისტული ყაიდის ჩანართები, მაინც-დამაინც ამ ფორმისა და მანერის არჩევა ხომ არ დააზიანებდა ისტორიულ მოვლენათა შესაფერის შეცნობას, ყოფილი რეალობიდან მხატვრული წარმოსახვებისაკენ ხომ არ გადახრიდა მკითხველის გონებას?

ოთარ ჩხეიძე ამჯერადაც დროის შესაფერისად განიხილავდა ამ მოვლენას, და ლეონტი მროველის ხანას სწორედ ისეთ დროდ წარმოაჩენდა, როდესაც მხატვრული სიტყვა და გააზრება დასაბუთებისა და დარწმუნების საშუალებად გვევლინებოდა სწორედ-დაც საისტორიო თხზულებებში.

ეს ფიქრი, ეს თეორიული განსჯა იჩენდა თავს მისივე რომანშიც — „თეთრი დათვის“ გააზრებისას იგუმანებდა ამ სტილური ხერხის აღდგენას ძველქართული საისტორიო ქრონიკებიდან და ამ მხრივაც დაკავშირებისას „მატიანე ქართლისას“ რომანთა ციკლისა „ქართლის ცხოვრების“ ისტორიულ მატიანეთა ციკლთან.

ცალკეული დასრულებული ეპიზოდები, სიუჟეტურად შეკრულნი, უცხო არ არის რომანისათვის საერთოდ და არც ოთარ ჩხეიძის რომანებისათვისაა რაღაც უჩვეულო მოვლენა, მაგრამ მეტი სიმკვეთრის, გამჭვირვალე ალეგორიზმისა და მატრიანური სტრუქტურის განმეორებისათვის ყველაზე უმჯობესი გახლდათ სულხან-საბას იგავ-არაკთა ნიგნთან შეხმიანება — თანაც ეს დიდებული ლანდიც ხომ უნდა ამოძრავებულებიყო კიდევ ერთხელ ჩამონოლილ დიდ ლამეში, იმ ქაოტურ რეალობაში, ზნეობრივ საყრდენთა აღდგენის გარეშე უშუქუროდ რომ ვრჩებოდით.

ნოველის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ გრძელდებოდა საუკუნეთა მანძილზე და საისტორიო ან გეოგრაფიულ თხზულებებში თუ მოხდენილ ჩანართებად გაიფიქრებდა, მერე და მერე უფრო მომძლავრდებოდა და სულაც დაუპირისპირდებოდა იმ საერთო ქარგა-რკალს, რომელიც თავის მხრივ ცდილობდა დაემორჩილებინა მის შუაგულში მოქცეული სიუჟეტები, ხელიდან არ გაეშვა გამოკვეთილი ამბავ-თქმანი, ნოველური ჩანართები კი ლამობდნენ თავი გამოეხსნათ ვრცელი ეპიკური ქარგის საპყრობილედან და დადგომოდნენ დამოუკიდებელი განვითარების გზას.

ეს ჭიდილი ეპიკურ ჩარჩო-ქარგასა და ჩართულ მცირე სიუჟეტებს შორის ხელშესახებად იკვეთებოდა „ათას ერთი ღამის“, „დეკამერონის“, „სიბრძნე სიცრუისას“ და „კენტერბერიული მოთხრობების“ ფონზე და ოთარ ჩხეიძეც მათ შესწავლა-გააზრებას ჩაუჯდებოდა და დაბეჯითებით გამოარკვევდა, რაოდენ ხელოვნური გახლდათ არაბულ, იტალიურ და ინგლისურ ქმნილებათა ის საერთო ქარგა-ჩარჩოები, რომელთა ჩამოცილებაც სულ ადვილად შეიძლებოდა ამბავთა ციკლისათვის, ოდნავადაც რომ არ შეეტყობოდათ ეს ჩამოცილება, რაკილა ამ თხზულებებში ძირითადი ღერძი საკმაოდ მკრთალი გახლდათ, მოკლებული დამოუკიდებლობას და მხოლოდ ამბავთა მექანიკური გაერთიანება ევალებოდა.

„სიბრძნე სიცრუისა“ კი აშკარად გამოირჩეოდა ამ რიგიდან, და თუმცა სულხან-საბას იგავ-არაკთა ციკლიდანაც ძალდაუტანებლად ამოიკრიბებოდა ეს მცირე ნიმუშები და ასე ცალკეც შეინარჩუნებდნენ თავთავის მომხიბვლელობას, ძირითადი ღერძი არც ისე ხელოვნური იყო და თავისი დამოუკიდებლობა მასაც მოეპოვებოდა — გამოცალკევებულიც შეინარჩუნებდა მხატვრულ ღირსებას, უკვე უსარგებლო ჩარჩოსავით კი შეერთვოდა დავინწყებას.

ამ არაკთა პოსტმოდერნისტული მიბაძვანი ამიტომაც მოერგებოდა ბუნებრივად რომანის კლასიკურად აგებულ კომპოზიციურ ქარგას. ჯერ მაშინაც რა დაუშლიდა მწერალს, მიემართა ამ მხატვრული ხერხისათვის, „სიბრძნე სიცრუისას“ საერთო ჩარჩო-ქარგა მეტად მყიფეც რომ ყოფილიყო და „ათას ერთ ღამესა“ თუ „დეკამერონის“ ზოგად ჩარჩოსავით ხელოვნური.

თუმც ამჯერად სულხან-საბას ამ ნიგნის გამორჩეულობაც საგულისხმოა და კიდევ ერთ ბიძგად გვევლინება მოტივთა იმ ერთობლიობაში, რამაც განსაზღვრა „თეთრი დათვის“ ალეგორიული ფონი, პოლიტიკური ქვეტექსტის გამჭვირვალეობა, კომპოზიციური სტრუქტურა და... სახელწოდებაც.

პოსტმოდერნიზმი ნთქავდა ყველაფერს და თავის წიაღში იქცევდა, ქართულ ლიტერატურასაც გადმონვდენოდა და აქაც ლამობდა გაბატონებას, რასაც ოთარ ჩხეიძე არ შეეგუებოდა და მკვეთრადაც დაუპირისპირდებოდა ესეებით, თუმც ცალკეული ხერხები რატომაც არ უნდა გამოეყენებინა, თუკი საკუთარ მხატვრულ მრწამსსა და სტილისტიკას დაუმორჩილებდა?!

მითუფრო —

ხიდი თუ გაიდებოდა სულხან-საბა ორბელიანთან.

„ქართლის ცხოვრების“ მემატრიანებთან თუ გაიდებოდა ხიდი.

სულხან-საბა ორბელიანი
რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია

სულხან-საბა ორბელიანი

რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია*

(დაბადებიდან 350-ე წლისთავი)

2008 წელს შესრულდა სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 350-ე წლისთავი.

განსაკუთრებულია მისი ღვაწლი საქართველოს ისტორიაში.

მწერალი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, ენათმეცნიერი, ღვთისმეტყველი, ბიბლიოლოგი, ფილოსოფოსი, დიპლომატი, მოგზაური, კარტოგრაფისტი, ენციკლოპედისტი, საზოგადო მოღვაწე — ადამიანი, რომელმაც გამოაღვიძა რუსთაველის ეპოქის შემდეგ მიძინებული ლიტერატურულ-ინტელექტუალური ცხოვრება და წარმოშვა ახალი კულტურული ტალღა.

სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საკმაო ლიტერატურაა შექმნილი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

დიდი მოღვაწის 350-ე წლისთავის აღსანიშნავად შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა მოამზადა რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც დაეხმარება სპეციალისტებს, პედაგოგებს, სტუდენტებსა და დაინტერესებულ მკითხველებს.

ბიბლიოგრაფიაზე მუშაობა დასრულდა 2009 წლის თებერვალში.

მეცნიერ-კონსულტანტი: ივანე ამირხანაშვილი

ანოტაციების ავტორთა ინიციალები

(ანბანური რიგით)

ი.ა. – ივანე ამირხანაშვილი

შ.კ. – შარლოტა კვანტალიანი

ლ. რ. – ლალი რუხაძე

ქ. შ. – ქეთევან შენგელია

ზ. ც. – ზოია ცხადაია

* წინამდებარე ბიბლიოგრაფიაში არ შესულა უცხოენოვანი ლიტერატურა. სულხან-საბა ორბელიანის შესახებ არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია შეადგინა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა დარეჯან მენაბდეძემ, რომლის შრომა გამოქვეყნებულია ამავე კრებულში, იხ. გვ. 90-127.

I. სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება

ა) სულხან-საბა ორბელიანის თხზულებანი

ორბელიანი ს. ს. თხზულებანი, ტ. I, „სიბრძნე სიცრუისა“; „მოგზაურობა ევროპაში“, გამოსაცემად მოამზადეს **ს. ყუბანიევილი** და **რ. ბარამიძემ**, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1959.

ორბელიანი ს. ს. თხზულებანი, ტ. II₁, „ქილილა და დამანა“, **ალ. ბარამიძისა** და **ე. მეტრეველის** რედაქციით, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1962.

ორბელიანი ს. ს. თხზულებანი, ტ. II₂, „ქილილა და დამანა“, **ალ. ბარამიძისა** და **ე. მეტრეველის** რედაქციით, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1962.

ორბელიანი ს. ს. თხზულებანი, ტ. III, „სწავლანი“, გამოსაცემად მოამზადა, **შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო** ივანე ლოლაშვილმა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1963.

ორბელიანი ს. ს. თხზულებანი, ტ. IV₁, „ლექსიკონი ქართული“, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა **ილია აბულაძემ**, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1965.

ორბელიანი ს. ს. თხზულებანი, ტ. IV₂, „ლექსიკონი ქართული“, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა **ილია აბულაძემ**, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966.

ბ) ცალკეული ნაწარმოებები

ორბელიანი ს. ს. „მოგზაურობა ევროპაში“, **სოლომონ იორდანიშვილის** რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით, „ფედერაცია“, თბ., 1940.

ორბელიანი ს. ს. „სიბრძნე სიცრუისა“, გიორგი ლეონიძის წინასიტყვაობით და **სოლომონ იორდანიშვილის** რედაქციით, „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1957.

„ქილილა და დამანა“, სპარსულიდან თარგმნილი **მეფე ვახტანგ მეექვსისა** და **სულხან-საბა ორბელიანის** მიერ, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო **მაგალი თოდუამ**, „მერანი“, თბ., 1975.

ორბელიანი ს. ს. „ლექსიკონი ქართული“, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო **ილია აბულაძემ**, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1965; „მერანი“, 1991.

ორბელიანი ს. ს. „ლექსიკონი ქართული“, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო **ილია აბულაძემ**, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1966; „მერანი“, 1993.

II. ცხოვრება და შემოქმედება

ალ. ბარამიძე

სულხან-საბა ორბელიანი
(ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა)
ნარკვევი

თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1959

ნაშრომი ეძღვნება სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავს, მოიცავს მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

I თავში საუბარია ორბელიანთა გვარის სახელოვან წარმომადგენლებზე, საბას ნათესაურ კავშირებზე იმ დროის მეფეთა და დიდებულთა გარემოსთან. შაჰ-ნავაზად წოდებულ ვახტანგ მეფის, გიორგი XI-ის, არჩილის და სხვათა დამსახურებაზე ქვეყნის წინაშე, ტრაგიკულ ხვედრზე გიორგი XI-ისა და დიდებულთა თუ მდაბიოთა, რომლებიც ავღანელებთან ბრძოლებში დაიღუპნენ „სპარსეთის შერყეული კედლების გასამაგრებლად“.

„სულხან ორბელიანის ცხოვრების გზა“ ასახავს მწერლის ბიოგრაფიას ბერად შედგომამდე: ოჯახური გარემო, აღზრდა და განსწავლულობა, ახლობელთა და განსაკუთრებით მამის როლი სულხანის განათლებაში; საუბარია მის ენციკლოპედიურ ცოდნაზე, ლიტერატურულ და მეცნიერულ საქმიანობაზე; ჩართულია სულხან-საბა ორბელიანის ოთხტაეპიანი ანბანთქება. „აღმას ბასრი გალესული“ ..., რომლის პასუხად ანალოგიური ანბანთქება დაუნერია არჩილს („სულხანის პასუხად“).

წიგნის ვრცელი მონაკვეთი მოიცავს „სიბრძნე სიცრუისას“ განხილვას. აღნიშნულია, რომ მწერალი იყენებდა ხალხურ წყაროებს. დასასრულ ჩამოთვლილია წიგნის უცხოური თარგმანები.

„ნათლისმცემლის უდაბნოს მონესე“ ასახავს სულხან ორბელიანის ბერად აღკვეცას ნათლისმცემლის მონასტერში- ხსნის მიზეზებს, რამაც განაპირობა სულხან-საბას ეს გადაწყვეტილება, აღნიშნულია, რომ მას ამის შემდეგაც არ აუღია ხელი ნაციონალურ-გამათავისუფლებელ ბრძოლაზე; ამავე თავში საუბარია საბას ახლო კავშირზე ვახტანგ VI-სთან, ამაგზე, რაც მან განიხილა ვახტანგ მეფისათვის; რომ სულხან-საბას ვახტანგთან ერთად განუხილავს და შენიშვნებით შეუმკია სწავლულ კაცთა კომისიის მიერ მომზადებული „ქართლის ცხოვრება“, დახმარებია მას სასტამბო-საგამომცემლო საქმეში. მოკლედ არის მიმოხილული სულხან-საბას დიპლომატიური საქმიანობა.

მომდევნო თავი – სწავლანი – ეძღვნება სულხან-საბას ორატორული მჭევრმეტყველების ლიტერატურულ ნიმუშს „სწავლანი“, რომელიც ამხელს ადამიანთა მანკიერებას, ნუთისოფლის დაუდგრომლობას, მეფეებს, „რომელნი მძლავრობენ სოფელსა ამას“ და სხვ.

იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ყოფნის დროს სულხან-საბას დაუწერია თხზულება „საქრისტიანო მოძღვრება ანუ სამოთხის კარი“, რომელზედაც საუბარია წიგნის VII თავში (სამოთხის კარი). აღნიშნულია, რომ „სამოთხის კარი“ ყურადღებას იქცევს, უწინარეს ყოვლისა, მისი ავტორის სარწმუნოებრივი აღმსარებლობის ხასიათის გამოსარკვევად. მითითებულია, რომ ავტობიოგრაფიულ კრებულში (A303) „სამოთხის კარის გარდა მოიპოვება სულხან-საბას მიერ დამუშავებული 17 ტექსტი (თითოეული მათგანი დასახელებულია).

წიგნის თავი – ევროპაში, ეხება საბას მოგზაურობას ევროპაში, ხოლო ცალკე თავად განხილულია მისი თხზულება „მოგზაურობა ევროპაში, რომლითაც, მკვლევრის აზრით, საბამ დაამკვიდრა დოკუმენტური პროზა ქართულ მწერლობაში.

ცალ-ცალკე თავებში გადმოცემულია საბას დამსახურება „ქილილა და დამანას“ „გაჩაღბვაში“ და ქართული ლექსიკონის ანუ სიტყვის კონის შექმნის ისტორია.

მე-13 თავი ეხება სულხან-საბას სიცოცხლის ბოლო პერიოდს, რუსეთში გამგზავრებას და აღსასრულს. წიგნი მთავრდება სულხან-საბას პორტრეტზე მსჯელობით. აღნიშნულია, რომ არსებობს მწერლის ორი პორტრეტი – სიჭაბუკისა და მოხუცებულობის ასაკისა. ფერადი პორტრეტი, სადაც სულხან-საბა ორბელიანი ქილილა და დამანას წიგნს მიაერთმევს ვახტანგს, მოთავსებულია წიგნის I გვერდზე.

ზ. ც.

რევაზ ბარამიძე

სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისათვის

ლიტერატურულ შტუდიები, თსუ გამომცემლობა, 1988.

სტატიაში განხილულია სულხან-საბა ორბელიანის გაკათოლიკების საკითხი. ავტორი ეთანხმება იმ თვალსაზრისს, რომ დიდი მოღვაწის გაკათოლიკებას საფუძვლად პოლიტიკური მოსაზრებები ედო. ეს უნდა მომხდარიყო ევროპაში გამგზავრების წინ, 1713 წელს. საბა გახდა ბასილიანელთა ორდენის წევრი. ბასილიანელთა ორდენი იყო ერთადერთი ორდენი, რომელიც იღვწოდა აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების შეერთებისათვის. ბასილიანელები თითქმის ყველაფერში იცავდნენ აღმოსავლური ეკლესიის

პრინციპებს, ხელმძღვანელობდნენ ნიკეის კრების სიმბოლოთი, ჩაცმულობით, ღვთისმსახურების ყველა დეტალით, რელიგიური საიდუმლოებისა და მარხვის დაცვით მთლიანად ეყრდნობოდნენ აღმოსავლური ეკლესიის ტრადიციებსა და წესდებას. ამასთანავე, ბასილიანელთა ორდენის მესვეურები მოითხოვდნენ, ორდენის ახალ წევრს აღმოსავლურ ღვთისმსახურებასთან ერთად ელიარეზინა რომის პაპი და ნიკეის სიმბოლოსათვის დაემატებინა, რომ სულიწმიდა გამოდის არა მარტო მამისაგან, არამედ „ძისაგანაც“. ბასილიანელთა ორდენის წევრი ყველა ნიშნის მიხედვით, სამოსით, ღვთისმსახურების შესრულებისა და მარხვის დაცვით მართლმადიდებლური ეკლესიის წევრის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ხოლო ის ფაქტი, რომ ის პაპს აღიარებდა, იცოდა თვითონ მან და ორდენის ხელმძღვანელმა, გარეშე მორწმუნეთათვის ეს შეუმჩნეველი რჩებოდა.

რევაზ ბარამიძის აზრით, სულხან-საბა ორბელიანის ბასილიანელთა ორდენის წევრად გახდომა ისეთივე მოზომილი და ფრთხილი ნაბიჯი იყო, როგორც მის მიერ დანერგილი „საქრისტიანო მოძღვრების პირველი რედაქცია, რომელიც შედგენილია იმ თვალსაზრისით, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო მართლმადიდებლური და კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარ ყრმათა აღსაზრდელად.

ი.ა.

კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე

სულხან-საბა ორბელიანი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969.

(წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. I ნაწილის (სასულიერო მწერლობა, V-დან XII საუკუნემდე) ავტორია კ. კეკელიძე. II ნაწილი (ა. ბარამიძე) წარმოაჩენს XII-XVIII საუკუნეების მწერლობას).

ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან: შესავალი, სიბრძნე-სიცრუისა და მოგზაურობა ევროპაში.

შესავალში მოცემულია სულხან-საბას ვრცელი ბიოგრაფია, საუბარია ორბელიანთა გვარის ისტორიაზე, მათს კავშირზე ქართლის სამეფო დინასტიასთან. აღწერილია XVII საუკუნის ქართლ-კახეთის პოლიტიკური ვითარება, რომელმაც განსაზღვრა სულხან-საბა ორბელიანის ტრაგიკული ხვედრი, ასევე – საბას მოგზაურობა ევროპაში, განხეთქილება, რომელიც „ჩხუბიანმა კაცებმა“ ჩამოაგდეს ვახტანგ VI-სა და სულხან-საბას შორის. აქვე მოცემულია საბას ავტობიოგრაფიული ხასიათის სამი იგავ-არაკის ისტორია, რომელიც მას „ქილილა და დამანას“ წინასიტყვაობაში ჩაურთავს

(იგავ-არაკში მეფე ვახტანგია, ერთგული მამებარი – საბა, ხოლო უცხო ნადირი — „ქილილა და დამანა“). ბიოგრაფია სრულდება საბას მოსკოვში გადასახლებით და გარდაცვალებით; აქვე დასკვნის სახით ნათქვამია, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს: 1. ნიგნი სიბრძნე სიცრუისა, 2. მოგზაურობა ევროპაში, 3. სწავლანი, 4. ქილილა და დამანას რედაქცია და 5. ქართული ლექსიკონი.

II თავში „სიბრძნე სიცრუისა“ საუბარია იგავარაკული ჟანრის შესახებ, განხილულია ნიგნის სათაური, თხზულების დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი თვალსაზრისი და მძაფრად კრიტიკული პათოსი, მწერლის მხატვრული მეტყველების ხერხები და სტილური თავისებურებანი.

III თავი — „მოგზაურობა ევროპაში“ — მოკლედ არის განხილული სულხან-საბას მოგზაურობა ევროპაში, რომლის ნაწილი, მკვლევრის აზრით, დაკარგულად მიიჩნევა. ძირითადად საუბარია იმ შთაბეჭდილებებზე, რომელიც საბამ ამ მოგზაურობის დროს ევროპის ქალაქებისა და კულტურის ძეგლების დათვალიერებისას მიიღო.

ამავე თავის დასასრულს აღნიშნულია სულხან-საბას ლექსიკონისა და „სწავლანის“ მნიშვნელობის შესახებ.

ზ.ც.

კორნელი კეკელიძე

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II სიბრძნე სიცრუისა

თბ., „მეცნიერება“, 1981.

ნიგნის IV თავში – დიდაქტიკურ-მორალური ეპოსი, ერთ-ერთი ნაშრომია „სიბრძნე სიცრუისა“. მკვლევრის დასკვნით, ის შეიცავს 110-მდე იგავ-არაკს, ამ ტერმინის ზუსტი გაგებით, როგორც ის დასძენს; 60-მდე სენტენცია-აფორიზმს, ანეგდოტსა და ამოცანას. ახსნილია კრებულის სახელწოდება „სიბრძნე სიცრუისა“. უშუალოდ ნიგნის განხილვამდე კ. კეკელიძე ეხება საბას ბიოგრაფიას, ორბელიანთა საგვარეულოს ისტორიას, მათს ნათესაურ კავშირს სამეფო ოჯახებთან, დაახლოებას კათოლიკე მისიონერებთან, სულხან ორბელიანის პოლიტიკური იდეების კატასტროფათა მიზეზებს, ბერად აღკვეცის ფაქტს, რომელსაც ნაჩქარევ ნაბიჯად მიიჩნევს, ასახელებს იმ მოტივებს, რომლებითაც ხელმძღვანელობდა საბა. მისი აზრით, ეს იყო პოლიტიკური მოსაზრებით მიღებული გადაწყვეტილება. აქვე საუბარია სულხან-საბას მოგზაურობაზე ევროპაში, სამშობლოში დაბრუნებაზე, ოფიციალური

ეკლესიის წარმომადგენელთა და მეფის განრისხებაზე (საქართველოში საბას მიერ კათოლიკე მისიონერების ჩამოყვანის გამო) მოსკოვში იძულებით გამგზავრებაზე. ბიოგრაფიის დასასრულს მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია, რომ საბა კვლავ დაუბრუნდა მართლმადიდებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, მას მართლმადიდებლური ეკლესიის გალავანში არ დაასაფლავებდნენ.

კ. კეკელიძე სულხან-საბა ორბელიანს, პირველ ყოვლისა, დიდ მეცნიერად აღიარებს, მისი მეცნიერული ერუდიციის ნაყოფად კი — „ლექსიკონს“.

საერო მწერლობიდან, პირველ რიგში, განიხილავს საბას მე-მუარული ჟანრის ნაშრომს „მოგზაურობა ევროპაში“, როგორც იმ ეპოქისთვის საუკეთესოს, აქვე ასახელებს საბას „ანბანთქებას“ და სამ სტროფს, რომელიც თეიმურაზ I-ის მიერ დაწერილი „ქეთევან-ნიანისთვის“ დაუმატებია; ყველაზე მნიშვნელოვნად მკვლევარს მისი იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა“ მიაჩნია.

იგავ-არაკებზე მსჯელობისას ყურადღება გამახვილებულია წიგნის დაწერის თარიღზე, დართულია სათანადო არგუმენტები, მკვლევარს მისაღებად მიაჩნია პროფ. ა. ცაგარელის დასკვნა, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ ორგინალური ნაწარმოებია; რაც შეეხება იგავ-არაკებს, კ. კეკელიძის აზრით, ისინი ამოღებულია ხალხის წიაღიდან. იგი გამორიცხავს ლიტერატურულ გავლენებს. წიგნს ქართული მწერლობის ახალ და არაჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს და არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც საუკეთესოდ აღიარებს.

„ქილილა და დამანა“ განხილულია ცალკე, IV თავის მე-3 ქვეთავად. მოცემულია ნაწარმოების თარგმნის მთელი ისტორია და თარიღები, მთარგმნელები და რედაქციები; ვრცელია მსჯელობა ვახტანგ მეფის თარგმანზე და საბას დამსახურებაზე, რომელსაც „ჩაღხი“ გაუკრავს ვახტანგის შრომისათვის მთლიანად – პროზისთვისაც და ლექსისთვისაც.

კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ აღმოჩენილია „ქილილა და დამანას“ ერთი ხელნაწერი, რომლიდანაც ირკვევა ონანა მდივნის ღვაწლიც ტექსტის თარგმანში. ვახტანგს თავისი შრომა „გასაჩაღხავად“ და ლექსებით შესავსებად მისთვისაც გაუგზავნია. მკვლევრის დასკვნით, ონანა ზედმინეწით ზუსტად იცავს ვახტანგის ტექსტს, საბა კი უფრო თავისუფლად ეპყრობა. გამოთქმულია მოსაზრება (სათანადო არგუმენტებით), რომ ონანას და საბას ერთდროულად უნდა მიეღოთ ეს წინდადება. უპირატესობა საბას რედაქციას მიენიჭა“, — ასკვნის კ. კეკელიძე.

ზ.ც.

თამაზ კვაჭანტირაძე

**მონაღვლეები
(სულხან-საბა ორბელიანი და დ. გურამიშვილი)**

სასიტყვეთი, თბ., 2002.

წერილი შესავლის სახით უძღვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მსჯელობებს სულხან-საბა ორბელიანისა და დ. გურამიშვილის სკოლაში სწავლებასთან დაკავშირებით; თ. კვაჭანტირაძის აზრით, ამ ორ მწერალს შორის განსხვავება უფრო გარეგნულ-ზედაპირულია, მსგავსება კი – სიღრმისეული და არსებითი. ამიტომაც მიზანშეწონილად მიაჩნია გარკვეული პარალელების გავლება მათი შემოქმედების სწავლებისას; გაკვეთილზე ყურადღება მახვილდება ნაწარმოებთა იდეურ მიზანდასახულობასა და თემატურ-შინაარსობრივ მხარეზე და, მისი აზრით, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ მიაჩნია, რომ მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს ნაწარმოების მხატვრული ქსოვილი, სტილისტიკის საკითხები. „სიბრძნე სიცრუისას“ სტილური დახასიათებისას, უპირველეს ყოვლისა, ჟანრის სპეციფიკა უნდა იქნას გათვალისწინებული.

ზ.ც.

გიორგი ლეონიძე

სულხან-საბა ორბელიანი

**ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა,
თბ., 2004.**

გ. ლეონიძის ბიოგრაფიული ნარკვევი შედგება 6 თავისაგან: I თავში ვრცლად არის საუბარი ორბელიანთა გვარის და კონკრეტულად სულხან-საბას ოჯახური გარემოს შესახებ. II თავში ნაჩვენებია ქართლის პოლიტიკური ვითარება და საბას, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა და მამულიშვილის, როლი, სულხანი – მემამბოხე ერეკლე ნაზარალიხანის წინააღმდეგ; III თავში წარმოდგენილია საბა-განდეგილი, დავით გარეჯის ნათლისმცემელში მისი სულიერი მოღვაწეობა. გ. ლეონიძე ემოციურად და ლოგიკური თვალმიდევნებით ხსნის საბას ბერად აღკვეცის ფაქტს. იგი მრავალ საგარაუდო მიზეზს ასახელებს და უარყოფს სათანადო არგუმენტებით. იგი ასკვნის, რომ სულხან ორბელიანის დროს იყო მომენტები, როცა გზა „სასახლიდან მონასტრამდე“ არ იყო შორი... ასეთი „მცირე მანძილი“, გ. ლეონიძის აზრით, გამონწვეული იყო ეპოქის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებით, თუმცა, ნათლისმცემლის მონასტერში ის პოლიტიკურ მღელვარებას არ დამალვია... იგი ასახელებს და აღწერს სულხან-საბას 46 ქადა-

გებას, როგორც საეკლესიო ორატორობის ნიმუშებს. ვრცელია მსჯელობა საბას გაკათოლიკების თარიღსა და მიზეზებზე; კერძოდ: საბა კათოლიკობაზე უნდა გადასულიყო 1692 წელს (დასაბუთებულია სათანადო არგუმენტით), ე. ი. ევროპაში წასვლამდე იგი ყოფილა ნომინალური კათოლიკე, ხოლო სან-ბაზილის მონასტერში საბას მიერ კათოლიკეთა აღსარების თქმა უნდა მიღებულ იქნას, როგორც კანონიზაცია კათოლიციზმში გადასვლისა. ასეთია გ. ლეონიძის დასკვნა.

IV თავი ეხება სულხან-საბას დამოკიდებულებას ვახტანგ VI-თან, მის დიპლომატიურ მისიას და ევროპაში მოგზაურობას, რომელსაც მან სიცოცხლის უკანასკნელი წლები შესწირა; გ. ლეონიძე საქართველოს ევროპასთან ურთიერთობის ისტორიას ჯვაროსნების პერიოდიდან იწყებს, მსჯელობს სულხან-საბას მოგზაურულ შთაბეჭდილებებზე, რომსა და პარიზში გატარებულ მღელვარე დღეებსა და ტრაგიკულ დასასრულზე, რომლის ფინალს წარმოადგენს V თავი – საბას განდევნა სამეფო კარიდან; VI თავი ეძღვნება საბას სიცოცხლის ბოლო წლებს, რუსეთში გადასახლება და გარდაცვალებას. გარდაცვალების თარიღად — 1726 წლის 26 იანვარი.

ნარკვევის დასასრულს გ. ლეონიძე გულისტკივილით აღნიშნავს თავის ამაო მცდელობაზე, აღმოეჩინათ მოსკოვში დასაფლავებული სულხან-საბა ორბელიანის საფლავი. აღწერს იმ სურათს და ვითარებას, რაც დახვდა რეალურად მოსკოვში, ვსესვიატსკოეში სტუმრობისას.

ნიგნის ბოლოთქმაში (ავტორი მ. ლალანიძე) ვკითხულობთ, რომ ამ გამოცემას საფუძვლად უდევს გ. ლეონიძის ნარკვევის 1928 წლის ვერსია, რომელიც შემდგომ გამოცემებში მნიშვნელოვნად შემოკლდა, ნაწილობრივ შეივსო და ნაწილობრივ შეიცვალა (რაც ხშირად განპირობებული იყო მკაცრი იდეოლოგიური და ცენზურის მოთხოვნით, გ. ლ.); ამდენად, ნარკვევის პირველი გამოცემა წარმოადგენს ვრცელ ვარიანტს, ტექსტში შენარჩუნებულია ამ ვერსიის სტილური, ორთოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული თავისებურებანი; შენიშვნები, დიდი მოცულობის გამო, გადატანილია ნარკვევის დასასრულს. შენიშვნებში შეტანილია მცირეოდენი ცვლილებები მითითებათა ერთგვაროვნების მისაღწევად, ჩასწორებულია მხოლოდ ამკარა ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები.

ზ. ც.

ივანე ლოლაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული
მოღვაწეობიდან (1698-1713 წწ.)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა,
თბ., 1959.

ნიგნის მთავარი ღირსებაა წარმოჩენა იმისა, თუ რა დამსახურება მიუძღვის სულხან-საბა ორბელიანს ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის საბას შესახებ დიდი ლიტერატურა არსებობდა, ძირითადი მეცნიერული ნაშრომები მხოლოდ მწერლის ბიოგრაფიისა და საერო თხზულებების შესწავლით იფარგლებოდა.

სასულიერო ხასიათის ნაწარმოებებიდან მკვლევარი განიხილავს სულხან-საბა ორბელიანის ჰომილეტიკურ თხზულებას „სწავლანი“, წარმოთქმულს დავით-გარეჯის უდაბნოში დიდმარხვის პერიოდთან დაკავშირებით; მეორე ნაშრომი „ბიბლიის კონკორდანსი“, რომელიც, კ. კეკელიძის თქმით, ჩვეულებრივი ტიპის სიმფონიაა, თარგმნილია სომხურიდან და მასში „თავმოყრილია პარალელური ადგილები ბიბლიიდან“.

გარდა ამისა, მკვლევარი განიხილავს საბას სხვა შრომებს, რომლებიც შეუდგენია წინასწარმეტყველთა ბიბლიური ნიგნებიდან ამოკრებილი ციტატებით: „წამებანი წინასწარმეტყველთანი“ იესო ქრისტეს შესახებ; საქრისტიანო-კათოლიკური შინაარსის თხზულება, „საქრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ყრმათათვის, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი“, „აღთქმა ქრისტიანეთა, რომელთა ეწოდების სწავლებად კეთილისა გზისა ჟამსა სიკვდილისასა“, „შენდობის ნიგნი წმიდის პაპისა რომაელისა მიტევებისათვის ცოდვილთა მონანულისა“, „ვითარ ჯერ არს აღსარებათა თქმა წინაშე მოძღვრისა მონაფისა მიერ“, „ცოლ-ქმართა ნათესავნი – ქმრისა და ცოლის ხორცთერთობისა და მათთა ნათესავთა ერთობისათვის“, „ამბავნი წმიდისა სახლისანი“ და „წამება წმიდისა ფლავიოს კლემენტოსისა“.

ნიგნის ავტორი აღნიშნავს, რომ დასახელებული თხზულებებიდან იმ დროისთვის არც ერთი არ ყოფილა გამოქვეყნებული. თავად გაუმზადებია დასაბეჭდად და მიზანშეწონილად მიუჩნევია მანამდე ამ ნარკვევის გამოცემა.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ თხზულებათა უმეტესობა დაწერილია საბას მიერ გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში 1698-1713 წლებში. ამიტომაც საჭიროდ მიუჩნევია საბა ორბელიანის ეპოქის ზოგადი დახასიათებაც და დავით-გარეჯის სამონასტრო ცხოვრების მიმოხილვაც. ნიგნის II თავი ეპოქის ვრცელი მიმოხილვაა. ეს

ისტორიული ექსკურსი ქმნის შთამბეჭდავ სურათს. დასახელებული არიან XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე დავით-გარეჯაში მოღვაწე ქართული ლიტერატურის ისტორიის მცოდნე თეოლოგები, მქადაგებლები, მწერლები, გადამწერები, მათი შეგირდები, საუბარია მათს წვლილზე დავით-გარეჯის კულტურულ-სამონასტრო საქმიანობაში.

ნიგნში ჩართულია სხვადასხვა ხელნაწერთა ფოტომასალა.

ზ. ც.

ლევან მენაბდე

სულხან-საბა ორბელიანი

„ნაკადული“, თბ., 1980.

ლევან მენაბდის მონოგრაფია შედგება სამი თავისაგან: სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრების გზა; სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება და სულხან-საბა ორბელიანის ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი დაწვრილებით გვანვდის ცნობებს სულხან-საბა ორბელიანის წარმომავლობისა და მე-15, მე-16, მე-17 საუკუნეების ფეოდალური საქართველოს მდგომარეობის შესახებ.

ნარკვევში საუბარია სულხან-საბა ორბელიანის დაბადებისა და აღზრდის წლებზე, გვახსენებს მისი ბავშვობისა და ჭაბუკობის პერიოდში ტანძიასა და დმანისში გატარებულ წლებს. ის სიყრმიდანვე დაუფლებია სხვადასხვა დარგის მეცნიერებას და ენებს.

ავტორი დაწვრილებით აღწერს ქართლის ტახტისათვის ბრძოლაში გიორგი მეთერთმეტის მხარდასაჭერად სულხან-საბას მონაწილეობის ფაქტებს და მეფის წარუმატებლობით იმედგაცრუებული ორბელიანის 1698 წლიდან, გარეჯაში, ბერად შედგომასა და მოღვაწეობის პერიოდს, სადაც დიდ მოაზროვნეს უმძიმეს პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა და, მიუხედავად ამისა, მან ამ პერიოდში დაწერა ძალზე საყურადღებო თხზულება — „სწავლამოძღვრებანი“. ამის შემდეგ სულხან-საბა კვლავ უბრუნდება საზოგადოებრივ საქმიანობას და გვერდით უდგას მისსავე აღზრდილს — ვახტანგ მეფეს. ნაშრომში ვხვდებით ცნობებს ამ პერიოდის შესახებაც, სადაც სულხან-საბა გვევლინება, როგორც პოლიტიკური და კულტურული რეფორმების სულისჩამდგმელი.

ლ. მენაბდე აღწერს ქაიხოსროს მეფობის პერიოდსაც, როცა სულხან-საბა ორბელიანს კვლავ დიდი როლი ენიჭებოდა, სწორედ ის გაიგზავნა მეფის დავალებით 1711 წელს სპარსეთში და უკან მალე გამობრუნდა. ამის შემდეგ მოთხრობილია სულხან-საბას

ევროპაში მოგზაურობისა და ღვანლის შესახებ, რაც მიზნად ისახავდა ვახტანგ მეფის დახსნას სპარსეთიდან და საქართველოს მომავალზე ზრუნვას. ნაშრომში არის ცნობები სულხან-საბა ორბელიანის კონსტანტინოპოლში ყოფნისა და საფრანგეთის ელჩთან შეხვედრის, ასევე იმ მიმონერების შესახებაც, რომელიც ვახტანგ მეფეს უკავშირდებოდა. სულხანმა მოიარა საფრანგეთი, იტალია, შეძლო ლუი მეოთხეზე მეტესთან აუდიენციაც.

ავტორი აღწერს პერიოდს, როცა სამშობლოში დაბრუნებული და იმედგაცრუებული სულხან-საბა თანამემამულე ეკლესიის მსახურებისაგან დევნას განიცდიდა, ევროპაში ყოფნის დროს პოლიტიკური მოსაზრებით მიღებული კათოლიკური რწმენის გამო.

ავტორი მეორე თავში მიმოიხილავს სულხან-საბას სრულ შემოქმედებას: „სიბრძნე-სიცრუისას“, სადაც ძირითადი პრიორიტეტია დიდაქტიკურ-მორალისტური ელემენტი და ბრძოლა უზნეობის წინააღმდეგ; მკვლევარი განსაკუთრებით გამოყოფს ლექსიკონს — „სიტყვის კონა“, რომლის შესადგენადაც ავტორს ბიბლია და სხვადასხვა ლექსიკონები გამოუყენებია; აქვეა განხილული „სწავლა-მოძღვრებანი“. ეს ქადაგებათა კრებული სულხან-საბას ბერობის პერიოდშია დაწერილი. ავტორი მიიჩნევს, რომ „მოგზაურობა ევროპაში“ უდიდესი მნიშვნელობის ძეგლია, რადგან ქართველი მკითხველი ამით პირველად ეცნობა დასავლეთ ევროპის ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ადათებს და ნაწარმოები გვანავდის ცნობებს მათი პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობის შესახებ. ამავე თავშია განხილული „ქილილა და დამანა“ და სულხან-საბა ორბელიანის პოეზია.

მესამე თავში მკვლევარი კიდევ ერთხელ მსჯელობს სულხან-საბა ორბელიანის ღვანლისა და შემოქმედების შესახებ და მიიჩნევს, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ ქართული ლიტერატურის შედეგია. განსაკუთრებით არის აღნიშნული მწერლის რედაქტორობა და მის მიერ ქართული ენის ეროვნულ-ხალხური საფუძვლების განმტკიცება. აღნიშნულია აგრეთვე, ენციკლოპედიური განათლების, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ და მწერლის გავლენაზე, რომელიც შეინიშნებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის განვითარების შემდგომ ეტაპზეც.

ქ. შ.

სოლომონ ყუბანეიშვილი

სულხან-საბა ორბელიანის გამგზავრება მოსკოვში

ლიტერატურული ძიებანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის გამომცემლობა, რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტის შრომების კრებული, 1958.

ნაშრომი ასახავს ვახტანგ VI-ისა და მისი ამაღლის გამგზავრებას მოსკოვში. დასახელებულია მეფის თანმხლები რამდენიმე პიროვნება, მათ შორის – სულხან-საბა ორბელიანი და მისი ძმები; დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გადმოცემულია გამგზავრების თარიღი (1724 წლის 15 ივლისი), სახიფათო გზის კონკრეტული პუნქტები და წინააღმდეგობები, რაც სულხან-საბას და მის თანმხლებ პირებს გადახდათ; მკვლევარი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ საბა მოსკოვში თავისი სურვილით წავიდა, ეს უფრო დიპლომატიური მისიით უნდა ყოფილიყო გამოწვეული (ამასთან დაკავშირებით ნაშრომში ჩართულია საბას თხოვნის ტექსტი, მიმართული საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის კანტორისადმი); სავარაუდოდ დასკვნაში აღნიშნულია, რომ ვახტანგ მეფემ მოხუც საბას პეტერბურგში წასვლა აარიდა და გაგზავნა მოსკოვში, სადაც ის არჩილ მეფის სასახლეში, დარეჯან ბატონიშვილთან უნდა დარჩენილიყო. ნაშრომში საუბარია დარეჯან ბატონიშვილზე, როგორც შუამავალ პერსონაზე ვახტანგ VI-სა და იმპერატორს შორის, მის დამოკიდებულებაზე სულხან-საბასთან; მკვლევარი იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულ აზრს, რომ საბას უნდა ეცხოვრა ვსენსვიატსკოეში და იქვე გარდაცვლილა. ასახელებს ამის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც მოუპოვებია რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში; ნაშრომში მრავალი საინტერესო ფაქტია საბას ძმების შესახებ, რომლებიც მას ახლდნენ, მათს საქმიანობაზე მოსკოვში საბას გარდაცვალების შემდეგ.

გამოკვლევაში საუბარია ვახტანგ მეფის ამაღლის სხვა სავარაუდო წევრებზე, განსაკუთრებით – დიმიტრი და ტიტე კარგარეთელებზე, არქიმანდრიტ არსენზე და სხვ. მკვლევრის მტკიცებით ტიტე კარგარეთელი მოსკოვში, შესაძლებელია, 1726 წელს ჩავიდა.

აღნიშნულია ასტრახანში მყოფი ქართველების მდგომარეობაც, მათი დამოკიდებულება ვახტანგისადმი, მეფის გარდაცვალება. ნაშრომს ერთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალები რუსულ ენაზე: საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის კანტორისადმი თხოვნები, საპასუხო ბრძანებები, იმპერატორის ბრძანებულებების საფუძველზე შექმნილი დოკუმენტური მასალები და ვახტანგ მეფის ამაღლის სია (722 კაცი რუსული ვარიანტით, სქოლიოში ქართულ ენაზე მითითებულია 710).

ზ. ც.

სარგის ცაიშვილი

სულხან-საბა ორბელიანი

მარადიული სახეები (თანამედროვენი და წინამორბედნი),
გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981.

ნაშრომი იწყება სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიით, ასახავს ატმოსფეროს, რომელშიც უხდებოდათ მოღვაწეობა სულხან-სა და მის თანამებრძოლებს. საუბარია ოჯახურ გარემოზე, ნათესაურ ურთიერთობაზე მეფეებთან და ქართლის სხვა წარჩინებულ პირებთან, სულხან-საბას აღზრდაში საერო და სასულიერო პირთა დამსახურებაზე, მის ენციკლოპედიურ ცოდნაზე. მკვლევარი სულხან-საბა ორბელიანის ბერად აღკვეცისა და კათოლიკობის აღიარების საკითხთან დაკავშირებით იზიარებს კ. კეკელიძის აზრს, რომ ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო პოლიტიკური მიზეზები. აქვე ვრცელი მსჯელობაა სულხან-საბას ევროპაში მოგზაურობის მიზეზებსა და მიზნებზე, წარმატებასა და წარუმატებლობაზე, რაც მან ამ გზაზე განიცადა.

ნაშრომში საუბარია სულხან-საბას უდიდეს წვლილზე ქართული კულტურის ისტორიაში, მასთან ერთად, ვახტანგ VI-ისა და მისი თანამებრძოლების დამსახურებაზე ქართველი ხალხის შემოქმედებითი უნარის გამოცოცხლებაში. მკვლევარი ენციკლოპედიურ ხანას უწოდებს სულხან-საბასა და ვახტანგ VI-ის ერთად მოღვაწეობის პერიოდს, განიხილავს „ქილილა და დამანას“ თარგმნისა და საბას მიერ „გაჩაღვის“ ისტორიას, აღნიშნავს ლექსიკონის შექმნის უდიდეს მნიშვნელობას. სულხან-საბას მწერლურ გენიად აღიარებს წიგნს „სიბრძნე სიცრუისა“, დასკვნაში ნათქვამია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ეს არის ყველაზე პოპულარული ძეგლი ძველ საქართველოში.

ზ. ც.

ალექსანდრე ხახანაშვილი

საბა-სულხან ორბელიანი
(უძველესი დროიდან XVIII საუკუნის გასულამდე)

ტფილისი, 1904.

ავტორი აღნიშნავს, რომ მე-17-მე-18 საუკუნეების განმავლობაში „აყვავდა როგორც ლექსთწყობითი მწერლობა, აგრეთვე პროზად ნაწერი ორიგინალური თხზულებანი, ევროპის განათლება თვალსაჩინოდ დაეტყო საქართველოს, საფუძველი ჩაეყარა ევროპულ კულტურას“. აქვე საუბარია იმაზე, რომ ამ დროს რომში

დაარსდა „ქართული წიგნების საბეჭდავი“ და ქართული ენის შემსწავლელი კათედრა.

ნაშრომის ბიოგრაფიულ ნაწილში საუბარია სულხან-საბას ოჯახურ გარემოზე, ბერად აღკვეცაზე, ევროპაში მოგზაურობის მიზანსა და შედეგებზე. მკვლევარი აღნიშნავს, რომ საბა ამ მოგზაურობის დროს დაუახლოვდა მისიონერებს, რომელთაც გაეცნო ტფილისშივე და მათი „ზედ-მოქმედებით“ გადავიდა კათოლიკედ. ბიოგრაფია სრულდება საბას გარდაცვალების ადგილითა და თარიღით (მოსკოვი, 1726 წ. 26 იანვარი).

სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებიდან განხილულია ლექსიკონი (დაბეჭდილი თბილისში, 1884 წ.), მოგზაურობა „სამზღვარ გარეთ“ („ცისკარი“, 1852 წ.), როგორც პირველი ნიმუში ევროპის აღწერისა ქართულ ენაზე; აქვე საუბარია საბას მიერ „ქილილა და დამანას“ შესწორებასა და ლექსებით შევსებაზე.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა „სიბრძნე სიცრუისას“ განხილვას. მკვლევრის აზრით, წიგნი დიდაქტიკურია, „მასში მოჩანს კვალი მოსიარულე არაკებისა; საერთო გეგმა და დედააზრი „ხელუხლებლივ ეკუთვნის თვით საბა-სულხან ორბელიანს“... მკვლევარი საბას ენაზე აღნიშნავს, რომ ადგილ-ადგილ ძველია, მაგრამ უფრო მეტად – მარტივი, სასაუბრო, აზრი „ცხოვლად გამოთქმული“, „ოხუნჯური კილო წრფელ სიცილს იწვევს“...

ზ. ც.

III. ლიტერატურული პორტრეტები

კონსტანტინე გამსახურდია

სულხან-საბა ორბელიანი
(თბილისში წაკითხული საჯარო ლექციების სტენოგრამები)

საქ. სსრ პოლიტ. და მეცნ. ცოდნის გამავრცელებელი
საზოგადოება, თბ., 1949.

ქართული ენის გენიამ თავისი ძალმოსილება არაერთი დიდი პიროვნების შემოქმედებით გაამჟღავნა, — ამბობს კონსტანტინე გამსახურდია და „დიდ პიროვნებათა“ შორის ასახელებს იაკობ ცურტაველს, მერჩულეს, რუსთველს, საბას, დავით გურამიშვილს, აკაკის, ილიასა და ვაჟას.

კაცობრიულ ვნებათა დიდი მესიტყვენი დიადი იდეებისთვის იღვწოდნენ და იბრძოდნენ და არა მატერიალური კეთილდღეობისთვის. „უდიდეს ადამიანთა ქმნილებანი მხოლოდ მაშინ წარმოშობი-

ლან, როცა მათი ავტორები თავისთვის წერდნენ“. ასეთ ავტორად მიაჩნია გამსახურდიას სულხან-საბა. შესავალში იგი მოკლედ მიმოიხილავს V-X საუკუნეების მწერლობას და ამის შემდგომად ეხება ალორძინების ხანის ლიტერატურას, კერძოდ, სულხან საბას. „არაოდეს გამხდარა იგი დიდი მწერალი, ვისაც „დიდი ბიოგრაფიის“ ჩრდილი არ დასდგომია თავზე“, — ამბობს გამსახურდია და გვაცნობს სულხანის ბიოგრაფიის ზოგიერთ ეპიზოდს.

ლექცია იწყება იგავის „მოცინარი და მოტირალის“ ანალიზით. გამსახურდია აღნიშნავს, რომ ამ იგავში „უალრესად ბიოგრაფიული, ლირიკული პარაბოლაა გამჟღავნებული“ და ის „მსუბუქი ირონიის საბურველით არის შებურვილი“.

„ჭეშმარიტად ავთანდილურის რაინდობით ემსახურება საბა ორბელიანი თავის სვეგამწარებულ ქვეყანას და მის პატრონს“.

საბა ორბელიანი კარგად ხედავდა ქართული ორთოდოქსული ეკლესიის იდეურ გაკოტრებას, — აღნიშნავს გამსახურდია. ამის გამოძახილი კარგად ჩანს მის იგავებში, მაგალითად, „მელი მოძღვრად“, „შეუფარველი დაცინვა კლერიკალი ფილისტერებისა“, რითაც საბას დევნას ბიძგი მიეცა.

კ. გამსახურდია სულხან-საბას გაკათოლიკების საფუძვლად მის „დიდ პატრიოტიზმს“ მიიჩნევს. იქვე ეხება ევროპაში საბას უშედეგო დიპლომატიურ მოღვაწეობას.

კ. გამსახურდია აღნიშნავს, რომ „საბა ორბელიანი თავისი უნივერსალური განსწავლულობით განცვიფრებას იწვევს“. სათანადო მასალაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ საბამ იცოდა ბერძნული, თურქული, ლათინური, რუსული, სომხური, იტალიური და არაბული ენები. ამის გარეშე ის ვერ თარგმნიდა „ქილილა და დამანას“, ვერ დანერდა „სიბრძნე სიცრუისას“, ვერ შეადგენდა თავის ლექსიკონს, „რომელიც თავისთავად წარმოადგენს განსაცვიფრებელი უნივერსალიზმის დოკუმენტს“.

კ. გამსახურდია საგანგებოდ ეხება მწერლის სტილს. იგი ამბობს, რომ ნაწარმოების „სათაური იგივეა, რაც თვალი ადამიანისა ან სარკმელი ცათა სამყოფელოსი“, საბას „გენიის ორიგინალობა“ სათაურშივეაო გამჟღავნებული. „ლექსიკონის“ ავტორი ყურადღებას ამახვილებს ასევე სულხან-საბას იგავების ორიგინალურობაზე. აკრიტიკებს გერმანულ ენაზე გამოცემული საბას იგავების წინასიტყვაობას, რომელსაც „ყოველივე უცხოურის წინაშე მონურად ქედმოხრას“ უწოდებს და ამბობს, რომ საბას იგავთა პერსონაჟებს ქართულ საზოგადოებაში ეძებნება პროტოტიპები და სულხანის ბიოგრაფია იძლევა მრავალი იგავის შინაარსის გასაღებს.

ავტორი იხსენებს „ამირანის მითს და აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ბერძენმა მეკობრეებმა ქართული ფოლკლორიდან მიიღეს ის და შემდეგ აქციეს პრომეთეს მითად.

კ. გამსახურდია მობოდიშებით ამთავრებს ლექციას სულხან-საბაზე: „დიდ არს ძალა სიყვარულისა, რომელიც მორჩილყოფს გონებასა, შეკადრებად შეუკადრებელთაცა“. ლექცია 22 გვერდისგან შედგება.

შ.კ.

სიმონ სხირტლაძე

სულხან-საბა ორბელიანის გადანახული საგანძურადან

**ნიგნში – წერილები, „საბჭოთა საქართველო“,
თბ., 1977, გვ. 11-54.**

წერილში საუბარია ძველი ქართული ლიტერატურის ხელნაწერთა უმდიდრეს საგანძურზე, რომელშიც ინახება საზოგადოებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი ტექსტები, კერძოდ, სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებათა კრებული „სწავლანი“ და თეოლოგიური ხასიათის შრომა „სამოთხის კარი“.

ს. სხირტლაძე აღნიშნავს, რომ ორივე ძველი ახალი და ძველი აღთქმის დამრიგებლობით მოტივებსა და მამხილებელ იგავებზეა აგებული, მაგრამ „მათში საერო თვალსაზრისით ისეთი მებრძოლი სული ტრიალებს, რომ დღეს სულ სხვაგვარად უნდა იქნას ნაკითხული და შეფასებული“.

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ გამოუქვეყნებელ (შემდეგ ეს ტექსტები სულხან-საბას ტომეულებში დაიბეჭდა – შ.კ.) თხზულებებს, თუკი „რელიგიურ მანტიას“ შემოვაცლით, „შესანიშნავ მხატვრულ სახეებად აელვარდება“ და „ზნეობის გამაკეთილშობილებელი მარგალიტები გაბრწყინდება მათი სიღრმიდან“.

ს. სხირტლაძე წერილში გვაცნობს სულხანის „სწავლანის“ ტექსტის აღმოჩენის ისტორიას. კერძოდ იმას, რომ მის შესახებ საზოგადოებას პირველად აცნობა პ. კარბელაშვილმა 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილით „სულხან-საბა ორბელიანის „სწავლა-მოძღვრებანი“. აღნიშნული თხზულებანი მღვდელ ზ. დავითაშვილს იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდესათვის გადაუცია.

პირველი მეცნიერული გამოხმაურება საბას ქადაგებებზე ისტორიკოს მოსე ჯანაშვილს ეკუთვნის, შემდეგ ამ თემას შეხებიან კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ივ. ლოლაშვილი, ლ. მენაბდე. ამ თემისადმი მეტი ინტერესი გამოუჩენია გ. ლეონიძეს. იგი აღნიშნავს, რომ სულხანის „ქადაგებანი და სწავლანი“ XVIII საუკუნის ქართული ორატორული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლია.

ს. სხირტლაძე მოკლედ მიმოიხილავს სულხან-საბას „სწავლანს“. იგი 47 ქადაგებისაგან შედგება, „არსებითად სასულიერო-

საეკლესიო შინაარსის ნაწარმოებია და ამ ჟანრის საკაცობრიო შედეგებს განეკუთვნება“.

ს. სხირტლაძე მოკლე მიმოხილვის შედეგად ასკვნის, რომ სულხან-საბა რელიგიური შინაარსის ქადაგებებში მოხერხებულად აქსოვს თავის სოციალ-პოლიტიკურ და ზნეობრივ იდეალებს.

წერილის ავტორის მიერ ასევე განხილულია საბას „სამოთხის კარი“. ეს თხზულება ავტორს საინტერესოდ მიაჩნია პედაგოგიური და მორალისტური თვალსაზრისით. საბას ეს თხზულება განსაკუთრებით ჰყვარებია და თურმე სიკვდილამდე უბით დაატარებდა. შ.კ.

გერონტი ქიქოძე

სულხან-საბა ორბელიანის „ნიგნი სიბრძნე-სიცრუისა“

ნიგნში – წერილები, ესეები, ნარკვევები,
„მერანი“, თბ., 1985 (გვ. 271-279).

გერონტი ქიქოძე აღნიშნულ წერილს სულხან-საბას ბიოგრაფიით იწყებს, აღნიშნავს, რომ დაიბადა 1658 წელს სოფ. ტანძიაში. იგი დიდი ფეოდალის ვახტანგის შვილი იყო, მამიდა როდამი კი შაჰნავაზის (ვახტანგ მეხუთის) მეუღლე. მისი გაზრდილი იყო ვახტანგ მეექვსე.

მეფე გიორგი XI-ის წყალობით მას შესანიშნავი განათლება მიუღია, ოცდაათი წლის არც ყოფილა „სიბრძნე სიცრუისა“ რომ დაუსრულებია.

სულხან-საბა ხიფათით სავსე ეპოქაში ცხოვრობდა. გამაჰმადიანებული მეფეები ეკრა გარს, როსტომი, შაჰნავაზი, ნაზარალიხანი (თეიმურაზ პირველის შვილიშვილი), საზოგადოების ზნეობრივმა დაქვეითებამ სულხანზე დამორგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა და ის ორმოცი წლის ასაკში, დავით გარეჯში, საბას სახელით, ბერად შედგა.

ვახტანგ მეექვსის გამეფების შემდეგ დატოვა მონასტერი და მეფეს ამოუდგა მხარში. შაჰმა ვახტანგს გამაჰმადიანება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ის დაატყვევეს, ხოლო მეფედ, მისი გამაჰმადიანებული ძმა იასე დასვეს.

სულხან-საბა საფრანგეთში ფარულად გაემგზავრა, იქ კათოლიკობა მიიღო და სამი წელი დაჰყო. ცდილობდა ლუი XIV-ისაგან შემწეობა მიეღო ვახტანგის გასათავისუფლებლად. საფრანგეთს არ ეცალა ქართველი მეფისთვის. შემდეგ სულხანმა იმოგზაურა ევროპაში და დღიურების სახით აღწერა იქ ნანახი და განცდილი. საქართველოში დაბრუნებულ სულხანს ქართველმა საზოგადოებამ კათოლიკობისთვის პასუხი მოსთხოვა. სულხანი ტყვეობიდან

დაბრუნებულ და კვლავ გამეფებულ ვახტანგ VI-ს ამოუდგა მხარში. ვახტანგი მალე იძულებული გახდა პეტრე დიდის მიწვევით პეტერბურგში გადასახლებულიყო ოჯახით და წარჩინებულთა თანხლებით, რომელთა შორისაც იყო სულხანი. მან პეტრემდე ვერ მიაღწია. გზაში გარდაიცვალა, მოსკოვის მახლობლად, სოფ. ვსეს-ვიატსკოეში, არჩილ მეფის სასახლეში და იქვე დაასაფლავეს, კარის ეკლესიის ეზოში.

გერონტი ქიქოძე მოკლედ მიმოიხილავს იმ ღვანლს, რაც სულხან-საბამ დასდო მშობლიურ კულტურას. „სიბრძნე სიცრუისას“ ქართული მხატვრული პროზის შედეგს უწოდებს. აღნიშნავს, რომ ეს თხზულება ორიგინალურია, მიუხედავად იმისა, რომ მასში თავმოყრილი იგავ-არაკები, ნოველები, ზღაპრები და ანეგდოტები ნასესხებია სხვადასხვა ქვეყნის ხალხური შემოქმედებიდან.

მკვლევარი განიხილავს „სიბრძნე-სიცრუისას“ იგავებს, უძებნის მათ პარალელებს. იგი აღნიშნავს, რომ სულხანის წიგნში ორი ზნეობრივი ტენდენცია ებრძვის ერთმანეთს: პესიმისტური და მიზანტროპული მორალის დამცველად რუქა გვევლინება, ხოლო ჰუმანისტურ იდეებს მეფისწულის აღმზრდელი ლეონი იცავს. სულხანი „აბეზარი მორალისტის“ როლში არ გვევლინება, ის მკითხველს სთავაზობს ზნეობრივი დასკვნა დამოუკიდებლად გამოიტანოს.

შ.კ.

IV. შემოქმედების ცალკეული ასპექტები

მიხეილ თამარაშვილი

ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე

„კანდელი“, თბ., 1995, გვ. 645-663.

წიგნში ორი თავი ეძღვნება სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობას. ყურადღება გამახვილებულია რომის პაპთან და ლუი მეოთხემეტესთან მის ურთიერთობაზე. საუბარია აგრეთვე საბას გაკათოლიკებაზე. დაწვრილებითი ცნობები საბას კათოლიკედ მოქცევის შესახებ მიხეილ თამარაშვილს არ მოეპოვება, თუმცა საფრანგეთის საგარეო უწყებისადმი 1714 წელს წარდგენილი მოხსენების მიხედვით ადგენს, რომ კათოლიკობა 1701 წელს უნდა მიეღო.

აქვე მოტანილია მთარგმნელის მიერ საფრანგეთის არქივებში დაძებნილი დოკუმენტები: სულხან-საბას წერილი რომის პაპ

კლიმენტი მეთერთმეტისადმი, საფრანგეთის საგარეო მინისტრისადმი, ლუი მეთოთხმეტისადმი, პროპაგანდის წინამძღვარ კარდინალისადმი, თვით კლიმენტი მეთერთმეტის პასუხი საბასადმი, საფრანგეთის მოხელეთა და ვატიკანის წარმომადგენელთა მიმონერა სულხან-საბას თაობაზე.

წერილების მთავარი თემაა ვახტანგ მეექვსის დახსნა სპარსეთის შაჰის ტყვეობიდან და საქართველოში მისიონერების გამოგზავნა. ყურადღება მიპყრობილია სულხან-საბას განცხადებაზე, რომ მისი ევროპაში მოგზაურობის მიზანი იყო კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება მთელ საქართველოში.

საფრანგეთის ოფიციალური უწყებისადმი გაგზავნილ მოხსენებაში სულხან-საბა მიუთითებს, რომ სამეგრელოს მღვდელმთავრებს განზრახული აქვთ, ჯერ თავიანთი თავი, შემდეგ კი მრევლი გააკათოლიკონ. ამისთვის ფრანგი პატრებისა და იეზუიტი მამების გამოგზავნას ითხოვენ.

1715 წლის აგვისტოში ლუი მეთოთხმეტის გარდაცვალებამ ყველა გეგმა ჩაშალა. სულხან-საბა კონსტანტინოპოლში მოთმინებით ელოდა ახალ ფრანგ მისიონერებს საქართველოში წამოსაყვანად. ბოლოს, როცა იმედი გადაენურა, საქართველოში გამოემგზავრა კაპუცინელ პატრებთან ერთად.

ი.ა.

ნიკოლოზ კანდელაკი

ქართული მჭევრმეტყველება, I

„ხელოვნება“, თბ., 1975.

მცირე ისტორიულ-ბიოგრაფიული ექსკურსის შემდეგ იწყება მსჯელობა სულხან-საბა ორბელიანის ორატორული ხელოვნების მთავარი სფეროს – სამქადაგებლო მჭევრმეტყველების შესახებ.

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი და მოძღვრებანი“ დიდაქტიკური და სადღესასწაულო ხასიათისაა, თუმცა ზოგჯერ გვხვდება ბიბლიური ტექსტის განმარტებანიც. მის მოძღვრებაში მთავარი ადგილი უკავია ადამიანს. ამიტომ ადამიანის ინდივიდუალური არსება და მისი საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოადგენს ამ წერილის კვლევის საგანს.

სულხან-საბა ორბელიანის სამოძღვრო დიაპაზონი მოიცავს ადამიანთა ბევრი მანკიერი თვისების, ვნებისა და გატაცების დაუნდობელ გაკიცხვას. მისი მკაცრი მხილების ფარგლებში ექცევა ცხოვრების ფართო სარბიელი, დაწყებული ყოველდღიური ყოფიდან, დამთავრებული ადამიანის შინაგანი, ფსიქოლოგიური სამყაროთი.

მწერლის უმთავრეს ორატორულ ხერხს წარმოადგენს კონტრასტული ნიშნების მონაცვლეობა. აქ ერთმანეთს ენაცვლება მუქი და ნათელი ფერები, მაღალი და დაბალი ტონები, ძლიერი და სუსტი ხმები. იგი მეტყველებს მტკიცე რწმენით, მისგან შორს არის ეჭვი და ორჭოფობა. უკიდურეს ფანტასტიკურ გამოწვევებს გვისახავს უაღრესად ცოცხალი და მეტყველი ფერებით, ხელშესახებ და კონკრეტულ სახეებს იყენებს განყენებული აზრების გადმოსაცემად და სინამდვილის ხილული ელემენტებით ქმნის წარმოსახული ხატების რეალური განცდის შთაბეჭდილებას.

საკითხის დასმას მოსდევს თხრობის გაღრმავება. ორატორი აფართოებს მეტყველების თემატიკურ არეს, იშველიებს მოსაზღვრე საკითხებს, მიმართავს მაგალითებს, აყალიბებს დებულებებს და ნეგატიური გამოსახვის ფონზე წინ წამოსწევს მოვლენების პოზიტიურ მხარეებს. ქდაგების დასკვნით ნაწილში უშუალოდ მიმართავს მსმენელს, ინვესს მის დაინტერესებას და მეტყველების ვრცელი მორალური დარიგებით ამთავრებს.

როგორც ნ. კანდელაკი წერს, ასეთი კომპოზიციით არის აგებული სულხან-საბა ორბელიანის თითქმის ყველა ჰომილეტიკური თხზულება.

ნ. კანდელაკი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მეტყველების სტილი, მხატვრული ენა, ზეპირი სიტყვის სპეციფიკა, რიტორიკული გამეორების ხერხი და სხვ. სულხან-საბა ორბელიანის ორატორული ოსტატობის წყაროდ კი ქართული სასულიერო მჭევრმეტყველებისა და ბერძნული ორატორული ხელოვნების ტრადიციებს მიიჩნევს.

ი.ა.

პაატა ნაცვლიშვილი

ჟურნალიზმები სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში

ჟურნ. „ხელისუფლება და საზოგადოება“, № 2, 2006.

თეორიულ შესავალში გაანალიზებულია ჟურნალისტიკის არსი, მოცემულია ტერმინ „ჟურნალიზმის“ დეფინიცია და განხილულია პირველ ჟურნალისტად შერაცხული პიეტრო არეტინოს (1492-1556) შემოქმედებისთვის დამახასიათებელი ჟურნალიზმები.

ავტორის აზრით, ჟურნალიზმი არის ცალკე აღებული ყველა ის სპეციფიკური ფორმა, რომელიც ჟურნალისტიკისათვის არის დამახასიათებელი და რომელიც ამა თუ იმ ჟურნალისტურ ტექსტშიც ამა თუ იმ ფორმით შეიძლება არსებობდეს. ჟურნალიზმი შეიძლება

აღმოჩნდეს როგორც ლიტერატურულ, ისე არალიტერატურულ ტექსტებში.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ გაჯერებულია ჟურნალიზმებით, მეტიც, ავტორის აზრით, ეს არის ჟურნალისტიკა ჟურნალისტიკამდე.

„მოგზაურობის“ ერთი მთავარი ჟურნალიზმი ზედაპირზე ძვეს და ისტორიული ცნობებით დასტურდება. სულხან-საბა, რომელიც თავის თხზულებებზე თვეობითა და წლობით მუშაობს, სამოგზაურო დღიურებს სახელდახელოდ, მოვლენათა კვალზე, ჟურნალისტისათვის დამახასიათებელი „ზედაპირულობით“ წერს.

გარდა ამისა, აღნიშნულ თხზულებაში გვხვდება ისეთი ცნობები, თანამედროვე ენით – ინფორმაცია, რაც არამც და არამც არ არის პროზის თვისება, შეინიშნება აგრეთვე რეპორტაჟის ტიპის ჩანაწერები: გეოგრაფიული გარემოს აღწერა, ხალხის, მათი ადათ-წესების, საქმიანობის, სარწმუნოების, პოლიტიკურ ამბავთა აღწერა. ყველაფერი ეს ნაწარმოებს აახლოებს ეგრეთ წოდებულ სამოგზაურო რეპორტაჟთან.

დიდძალი ემპირიული მასალის განხილვის საფუძველზე პაატა ნაცვლიშვილი დაასკვნის: „სულხან-საბა ორბელიანი... პირველ ქართველ ჟურნალისტადაც შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ისე და ისეთად, როგორც და როგორადაც პიეტრო არეტინო ითვლება იტალიურ თუ მსოფლიო ჟურნალისტიკის არქეოლოგიასა და ისტორიაში“.

ი.ა.

ნინო პოპიაშვილი

პერსონაჟის ხატვის თავისებურებანი „სიბრძნე სიცრუისას“

„უნივერსალი“, თბ., 2005.

ნინო პოპიაშვილის წიგნში პირველად არის განხილული სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისას“ პერსონაჟების ხატვის თავისებურებები, მეთოდები და პრინციპები.

„სიბრძნე სიცრუისას“ ხუთ პერსონაჟს: ფინეზს, ჯუმბერს, ლეონს, სედრაქსა და რუქას რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება აქვთ. სულხან-საბა მათი პორტრეტების ჩვენებით ზოგადად ადამიანის ხასიათს, მის ფსიქიკას გვიჩვენებს.

ნ. პოპიაშვილის წიგნი ხუთი თავისაგან შედგება, აქვს დასკვნა, რეზიუმე ინგლისურ ენაზე და ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. წიგნი 129 გვერდისგან შედგება.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ის ხერხები, რომლითაც სულხან-საბა ორბელიანი თავის გმირებს ახასიათებს, საკმაოდ თავისებური და ორიგინალურია. გარდა ტრადიციული მოდელებისა – პორტრეტი, მწერლისმიერი დახასიათება, სხვა გმირებთან შეპირისპირება და სხვ., მწერალი პერსონაჟების ხასიათებს წარმოაჩენს მათ მიერ თქმული იგავ-არაკის მიხედვით, რაც ფსიქოლოგიურ დახასიათებას უტოლდება. სულხან-საბა არ ერევა სიუჟეტურ მსვლელობაში, ხასიათები იკვეთება პერსონაჟთა ქმედებაში, დიალოგებში, შეგონებებსა და იგავ-არაკებში.

ნიგნის პირველ თავში „იგავ-არაკი და მისი ფუნქციები „სიბრძნე სიცრუისაში“, განსაზღვრულია იგავ-არაკის ფუნქციები, აღნიშნულია, რომ სულხანის თხზულება არ არის მხოლოდ იგავ-არაკთა კრებული, რომ ის სიუჟეტის ნაწარმოებია, სადაც იგავ-არაკები ხშირ შემთხვევაში სიუჟეტის განვითარებას უწყობს ხელს, გარდა იმისა, რომ მას დამოუკიდებელი ღირებულებაც გააჩნია.

მეორე თავში „პორტრეტი და პერსონაჟი მხატვრულ ტექსტში“, გამოკვეთილია პერსონაჟის მთავარი ნიშან-თვისებები. აღნიშნულია, რომ პორტრეტი პერსონაჟის ძირითადი მახასიათებელია.

მესამე თავში მიმოხილულია პერსონაჟის ხატვის ტრადიციული ქართულ მწერლობაში „სიბრძნე სიცრუისამდე“.

მეოთხე თავში „პერსონაჟებისა და ფაბულურ პასაჟთა ურთიერთმსგავსება „სიბრძნე სიცრუისას“ მიხედვით“, გამოთქმულია აზრი, რომ საერთო სიუჟეტები, პასაჟები, თანმხვედრი ეპიზოდები სხვადასხვა ავტორთა თხზულებაში ყოველთვის არ ნიშნავს მიბაძვასა თუ გავლენას.

მეხუთე თავში წარმოჩენილია პერსონაჟების ხატვის თავისებურებები „სიბრძნე სიცრუისაში“ და ნაწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა პერსონაჟი დახასიათებულია ცალ-ცალკე თავის მიერ თქმული იგავ-არაკების შინაარსების გათვალისწინებით, რაც გვეხმარება პერსონაჟების სრულყოფილი პორტრეტის წარმოდგენაში.

შ. კ.

ლილი ქუთათელაძე

**ს.-ს. ორბელიანის კონფესიური შეხედულებანი მისი
ლექსიკონის მიხედვით**

**მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, III,
„მეცნიერება“, თბ., 1973.**

სულხან-საბა ორბელიანმა კათოლიკური სარწმუნოება ოფიციალურად ევროპაში მიიღო, მაგრამ ამ რელიგიის მიმართ დიდ ინტერესს ჯერ კიდევ ბერად აღკვეცამდე იჩენდა.

ავტორი მიმოიხილავს სულხან-საბას გაკათოლიკების შესახებ არსებულ ლიტერატურას, კერძოდ, ალექსანდრე ცაგარელის, ალექსანდრე ხახანაშვილის, კორნელი კეკელიძის, გიორგი ლეონიძის, ალექსანდრე ბარამიძის, ივანე ლოლაშვილის შეხედულებებს.

კათოლიკური და მართლმადიდებლური დოგმების განსხვავებაზე საუბარს მოჰყვება მსჯელობა საბას ლექსიკონში შემჩნეულ ჯოჯოხეთის ცნების განმარტებაზე. ამ განმარტებაში მოცემულია მართლმადიდებლური ეკლესიისათვის მიუღებელი სწავლა ჯოჯოხეთის შესახებ, კერძოდ, დაშვებულია „განსაწმენდელის“ არსებობა. სულხან-საბა შეგნებულად არ უთითებს, თუ რომელ აღსარებას განეკუთვნება განმარტებული ცნება. მიუხედავად ამისა, გადამნუსხავებსა თუ კომენტატორებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ლექსიკონის ავტორის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. მოტანილია დავით რექტორის, გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის, იოანე იაღლუზის ძის, ანტონ პირველისა და იონა ხელაშვილის კრიტიკული შენიშვნები.

გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ სულხან-საბამ თავის „სამოთხის კარში“ შეიტანა კათოლიკური ლოცვები („ლოცვა სავარდისა განწესებული“, „ხუთნი საიდუმლონი დიდებანისა“, „წყლულთაგან მხსნელი როკესადმი“ და სხვ.).

სტატიის ბოლოს გაანალიზებულია საკითხი სულხან-საბას მიერ ტექსტების გამართვის შესახებ. საილუსტრაციოდ შედარებულია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული კათოლიკურ ლოცვათა წიგნი ანუ „ბალი სულიერი“ და სულხან-საბას „სამოთხის კარი“.

ი.ა.

აპოლონ ცანავა

წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ და ქართული საისტორიო მახვილსიტყვაობა

საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბ., 1959.

წიგნი იწყება შესავლით, სადაც აღნიშნულია, რომ „სულხან-საბა ორბელიანის შესანიშნავი იგავ-არაკების ერთ-ერთ წყაროს ზეპირსიტყვიერება წარმოადგენს“.

წიგნში ნაჩვენებია, თუ რა აკავშირებს საბას იგავ-არაკებს ქართული ხალხური შემოქმედების გარკვეულ უბანთან, კერძოდ, მახვილსიტყვაობასთან. ავტორს თემატურად დაუღლაგებია ხალხური მახვილსიტყვაობის ნიმუშები და მათი „სიბრძნე სიცრუისას“

იგავ-არაკებთან შედარებისას შემდეგი ჯგუფები გამოუყვია: ცხოველთა ეპოსი, სოციალური და კლასობრივი თემატიკა, საყოფაცხოვრებო, ისტორიული, ასევე ცალკეული სოფლებისა და ადგილების მახვილსიტყვაობა და მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი.

ნიგნის პირველ თავში, „სიბრძნე სიცრუის“ იგავ-არაკთა პარალელები ქართულ ფოლკლორში“, აპოლონ ცანავა გვაცნობს ქართველ მკვლევართა იმ აზრებს, გამონათქვამებს, შეფასებებს, რომლებიც სულხან-საბას იგავ-არაკთა კრებულს ეხება. ალ. ბარამიდის აზრით, „სულხან-საბა ორბელიანის ძირითადი წყარო უნდა ყოფილიყო ფოლკლორი“, გ. ლეონიძის ფიგურალური გამოთქმით, „სიბრძნე-სიცრუისა“ არის კატეხიზმო ქართული გონებამახვილობისა. ა. ცაგარელმა „სიბრძნე-სიცრუისა“ შეუდარა „პანჩატატრას“, „ჰიტოპრადეშას“, „ათასერთლამიანს“ და სხვა, და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სულხანის თხზულება ორიგინალური ქართული ნაწარმოებია და ძირითადად ეყრდნობა ხალხურ სიტყვიერებას. კორნელი კეკელიძეს მითითებული აქვს თექვსმეტი იგავი, რომლებიც ემთხვევა სხვადასხვა კრებულებში არსებულ იგავებს, მაგრამ იქვე აღნიშნავს, „ერთი და იგივე იგავ-არაკული სიუჟეტი შეიძლება მოიძებნოს ისეთ ერებსა და ტომებში, რომელთაც ერთმანეთში არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ. სიუჟეტური დამთხვევა სოციალური ნათესაობის შედეგია“.

მიხეილ ჩიქოვანის აზრით, „სიბრძნე-სიცრუისას“ ნიგნში ქართული ეპოსი შესულია ორი გზით: პირველი, დასრულებული სიუჟეტებისა და ზღაპრების სახით, ხოლო მეორე, ცალკე მოტივებისა და თქმების სახით“.

1939 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომელსაც დართული აქვს ს. იორდანიშვილის წინასიტყვაობა და შენიშვნები. იგი აღნიშნავს, რომ „Мудрость лжи“ при всей своей дидактико-морализаторской сущности носит в себе и черты политической сатиры“.

ს. იორდანიშვილმა დაძებნა სულხანის იგავების 183 პარალელი სხვადასხვა კრებულებთან, მათ შორისაა „ათას ერთი ლამე“, „ვარდანის არაკები“, „ქილილა და დამანა“, „სინდბადი“ და სხვ.

ნიგნში მითითებულია ასევე ელ. ვირსალაძისა და ალ. ლლონტის წერილები აღნიშნულ თემაზე.

აპოლონ ცანავას მიერ წარმოდგენილი პარალელური ტექსტები სამ ჯგუფად იყოფა. ესენია:

I. მახვილსიტყვაობაზე დამყარებული სატირულ-იუმორისტული ხასიათის ნოველები („ცოცხლად დამარხული და უსახოდ დიდი ადამიანები“, „სამი ყრუ“, „მეფე და ავსიტყვა“, „ანჩხლი რძალი“, „ქოსა და ყადი“, „გლახა და მდიდარი“, სულ 19 იგავ-არაკი).

II ჯგუფია – ზღაპრები, სადაც შევიდა: „ორნი ძმანი“, „ცრუ და უმეტარი“, „ბასრელი მეფე და აქიმი“, „განშორებული და მარტ-ვილი“ და სხვ. სულ 6 იგავ-არაკი.

III ჯგუფშია ანექდოტები, სადაც შევიდა იგავეები: „თივაზე მოცილენი“, „მკლავი და ვირი“, „გლახაკი და ფლური“, „მთიული და კაკლის ხე“, „ძუნნი და ოქრო“. სულ 9 ნიმუში.

მკვლევარი წარმოდგენილ იგავ-არაკებს აანალიზებს და აღნიშნავს, რომ მათ პარალელები ეძებნებათ ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, რომ მახვილსიტყვაობის თითქმის ყველა ნიმუში, რომელსაც საბა იყენებს, ჩანერილია აღმოსავლეთ საქართველოში. სულხან-საბა იგავ-არაკებისთვის იყენებს ზღაპრის ეპიზოდს, ანექდოტს, ფრთიან გამოთქმებს, სატირულ-იუმორისტულ ნოველებს და საკუთარ შემოქმედებით ქურაში გამოწრთობის შედეგად გვაძლევს ორიგინალურ ლიტერატურულ თხზულებას.

ნიგნი შედგება 97 გვერდისაგან.

შ. კ.

V. პარალელები

ლევან ბრეგაძე

პარალელები

„ლიტერატურული საქართველო“, 13.VII.1989

განხილულია სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების ორი პარალელი.

„გლახა და ფლურის“ პარალელი მოძებნილია ალორძინების ხანის იტალიელი მწერლისა და მეცნიერის პოჯო ბრაჩოლინის (1380-1459) ანექდოტების კოლექციაში.

ბრაჩოლინის ვარიანტისგან განსხვავებით, საბას ვერსიაში არც ერთი ისეთი დეტალი არ არის, არაკის იდეის მიმართ მკაცრად რელევანტური რომ არ იყოს, რაც ამ ჟანრის დიდ ლიტერატურულ ღირსებაზე მეტყველებს.

„უსამართლო შირვანშას“ მსგავსი ფაბულა აქვს გამოყენებული მე-13 საუკუნის სირიელ სწავლულსა და მწერალ-ენციკლოპედისტს გრიგოლ-იოანე აბულ-ფარაჯ ბარჰებრაიას (1226-1286) „გასართობი ამბების ნიგნში“, რომელიც აღმოსავლურ-დასავლური წარმოშობის მინიატურების კრებულს წარმოადგენს (აბულ-ფარაჯი ქრისტიანი იყო და კარგად იცნობდა დასავლურ კულტურასაც).

ამასთან დაკავშირებით ლევან ბრეგაძეს მოჰყავს ზურაბ ავალიშვილის მოსაზრება: „აქ საქმე გვაქვს არა ანალოგიასთან ან მხოლოდ თემატიკურ ნათესაობასთან, არამედ ეს, უბრალოდ, იგივე არაკია“, შემდეგ კი ემპირიული მასალის მოშველიებით ამტკიცებს, რომ თუმცა ამ იგავებს შორის გარეგნულად მართლა დიდი მსგავსებაა და გენეტიკურად ისინი უთუოდ დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, მაგრამ სხვაობაც იმდენად არსებითია, რომ შეიძლება ითქვას: საქმე გვაქვს არა ერთსა და იმავე, არამედ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ არაკებთან.

ი.ა.

ლევან ბრეგაძე

„სიბრძნე-სიცრუისას“ მისტიფიკაციები

ჟურნალი „ლაშარი“, № 2, 1991

სტატია ეხმაურება ცნობილ პოლემიკას, რომელიც გაიმართა გასული საუკუნის 80-იან წლებში სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის სათაურის გააზრების თაობაზე.

ავტორი განიხილავს რევაზ თვარაძის („ახალგაზრდა კომუნისტი“, 28.02.95), იოსებ მეგრელიძის („ახალგაზრდა კომუნისტი“, 12.02.85), ჯიმშერ ლეჟავას („ლიტერატურული საქართველო“, 28.08.87), ლევან მენაბდის („ლიტერატურული საქართველო“, 09.10.87) მოსაზრებებს და გამოაქვს დასკვნა, რომელიც ანტიმიმეტური ლიტერატურის თეორიას ეყრდნობა.

ლ. ბრეგაძის მოსაზრება ასეთია: „სიბრძნე-სიცრუისა“ ანტიმიმეტურ თხზულებათა კრებულია. „სიცრუე“ აქ მართლაც სიცრუეს ნიშნავს, ოღონდ ისეთ სიცრუეს, რომელსაც გონიერებასთან, სიბრძნესთან და სამართლიანობასთან აქვს კავშირი. მოტყუებას, განზრახ შეცდენას ხშირად მიმართავენ სულხან-საბა ორბელიანის ე.წ. დადებითი პერსონაჟები თავიანთი სამართლიანი, კეთილშობილური მიზნების მისაღწევად.

„ნალბანდი მგელის“, „მოძღვარი მელის“, „სოფლის მაშენებელის“, „უსამართლო შირვანშას“, „დიდვაჭრისა და მისი ძის“, „ბრძენი და მდიდარის“ და სხვა იგავების ანალიზის პარალელურად განიხილავს ბიბლიის ისეთ ეპიზოდებს, როგორებიცაა იოსებისა და მისი ძმების, სოლომონ ბრძენის, ივდითის, პეტრე მოციქულის მისტიფიკაციები, რომლებშიც ტყუილი კეთილშობილურ როლს ასრულებს ადამიანის ბედის განსაზღვრაში და ამტკიცებს შემდეგს:

წმინდა წერილი, ქრისტიანული იდეოლოგია, აშკარად განასხვავებს ერთმანეთისაგან ორი სახის სიცრუეს: 1. ეგოისტურს, ბოროტი განზრახვით ნათქვამს, რომელიც სატანისგან იღებს სათა-

ვეს და სასტიკად ისჯება; 2. იძულებითს, კეთილი განზრახვით თქმულს, ბრძნულად მოფიქრებულს, რომელიც სულიწმიდიდან მომდინარეობს და პატივისცემას, ზოგჯერ აღტაცებასაც კი იმსახურებს.

ასევეა საბასთანაც, „სიბრძნე-სიცრუისა“ აღსავსეა მახვილგონივრული, ბრძნული სიცრუით ანუ მისტიფიკაციებით და ამითაც შეიძლება ამ სათაურის გამართლება.

ი.ა.

ქსენია სიხარულიძე

**„სიბრძნე სიცრუის“ რამდენიმე არაკის პარალელი
ქართულ ეპოსში**

სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თსუ, 1959

ავტორი ეხება საკითხის ორ მხარეს: 1. რა იდეების წარმოჩენას ემსახურება „სიბრძნე სიცრუისას“ ტექსტებში გამოყენებული ხალხური სიუჟეტები და მოტივები; 2. საიდან აიღო მწერალმა სიუჟეტები და მოტივები თავისი იგავ-არაკებისათვის.

თუ რა ფუნქცია აკისრია ხალხურ სიუჟეტებსა და მოტივებს, ამის დადგენა იოლია, ვინაიდან „სიბრძნე სიცრუისა“ განმანათლებელ-საზოგადოებრივი იდეების გამომხატველია და ამიტომ ხალხური მოტივებიც ამგვარი იდეების გაღრმავებას ემსახურება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე საკითხი: საიდან აიღო მწერალმა სიუჟეტები და მოტივები თავისი იგავ-არაკებისათვის. ორიგინალურია ეს მასალები თუ არა.

სტატიაში დანვრილებით არის განხილული ქართულ საზღაპრო ეპოსში ვარიანტებად არსებული სულხან-საბა ორბელიანის არაკების „გრძნეული აქიმის“, „ნალბანდი მგელის“, „ბერად შემდგარი მელის“ და „ჯიზი გურგენის“ მოტივების პარალელები.

ავტორის აზრით, საგულისხმოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის „ბერად შემდგარი მელის“ ყველა მოტივი ვარიანტებად არის ცნობილი ქართულ ცხოველთა ეპოსში. ამას გარდა, ძირითადი ანალოგიური მოტივები „სიბრძნე სიცრუისას“ არაკისა და ქართული ზღაპრების ვარიანტებისა მოარული, საერთაშორისო ხასიათისაა. აღსანიშნავია ისიც, რომ „ბერად შემდგარი მელის“ ანალოგიური ქართული ხალხური ზღაპრის „მელის ბერად შედგომა“ ერთერთ მოტივზე არის აგებული „სიბრძნე სიცრუისას“ მეორე დამოუკიდებელი არაკი „ნალბანდი მგელი“. სულხან-საბას არაკების „ბერად შემდგარი მელისა“ და „ნალბანდი მგელის“ შედარება ქართული ხალხური ზღაპრების ვარიანტებთან და მათი საერთო მოტივე-

ბის საერთაშორისო ხასიათი მაჩვენებელია იმისა, რომ ამ არაკების წყარო ქართული ზეპირსიტყვიერებაა.

ი.ა.

აკაკი წერეთელი

შენიშვნა „საბა ორბელიანის იგავ-არაკებში“

ნიგნში — „პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები“, ტ. V, „საქართველო“, თბ., 1990.

აკაკი წერეთლის „შენიშვნა“, რომელიც 1898 წ. „აკაკის კრებულში“ დაიბეჭდა, ეხება სულხან-საბას იგავ-არაკთა ორიგინალობის და მისი მსგავსების საკითხს სხვადასხვა ქვეყნის ზეპირსიტყვიერ თუ ლიტერატურულ ტექსტებთან.

აკაკი წერს, საბას არაკებში ზოგჯერ ისეთი ამბებიც ურევია, ევროპის შორეული ქვეყნების ზეპირსიტყვიერებაშიც რომ ვხვდებით. ზოგიერთებს ჩვენში მიაჩნიათ, რომ საბამ ეს არაკები ევროპაში მოგზაურობის დროს მოაგროვა და შემდეგ გადმოაქართულაო. აკაკი არ ეთანხმება ამ აზრს, — საბამ ევროპაში ხანდაზმულმა იმოგზაურა, ხოლო „სიბრძნე სიცრუისას“ არაკებს ახალგაზრდობაში აგროვებდაო. თუმცა იმ ფაქტსაც იხსენებს, ლუი XIV-ს კარზე ლაფონტენსაც შეხვედრია და შესაძლოა, ერთმანეთისთვის ბევრი რამ გაეზიარებინათო. საბას „კუ და მორიელი“ ლაფონტენის „ბაყაყი და მორიელის“ იდენტურიაო. აკაკი იმ აზრს უფრო ემხრობა, რომ შესაძლოა ორივე მედიავის პირველწყარო ეზოპეს იგავი ყოფილიყო.

აკაკი ამ „შენიშვნაში“ ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეგროვების აუცილებლობაზეც ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ ჩვენში მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ქვეყნის ზეპირსიტყვიერების ნიმუშები მოგზაურთა, მისიონერ ბერთა თუ სხვათა მეშვეობით გავრცელებული და შემდეგ გაქართულებული. მაგალითისთვის მოაქვს ბოკაჩიოს ერთი ნოველა, რომელიც ახალქალაქის მაზრაში მოუსმენია „გულკეთილი ტერტერას“ სახელწოდებით.

საბოლოოდ კი იმას ამტკიცებს, რომ ქართული ხალხური სიტყვიერებაა ის უსაზღვრო სალარო, საიდანაც იღებს თავის „მარგალიტებს“ სულხან-საბა და რომ ამ სალაროდან ჯერ „ფიორიც არა გვაქვს შეგროვილი, მაგრამ რაცა გვაქვს, იქიდანაც ჩანს ქართული ზეპირ-სიტყვაობის სიმდიდრე და საისტორიო-მსოფლიო მნიშვნელობა“. შენიშვნა 2,5 გვერდისგან შედგება.

შ.კ.

VI. დიპლომატიური მოღვაწეობა

ჯიბო ლომაშვილი

სულხან-საბა ორბელიანი, როგორც დიპლომატი

ეტიუდები, „მერანი“, თბ., 1984.

ჯიბო ლომაშვილის ნაშრომში წარმოდგენილია სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მოღვაწეობის არასრული, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტები. წერილი იწყება სულხან-საბა ორბელიანის ღვანლის აღწერით, შემდეგ ავტორი გვანჯდის მწირ ცნობებს მისი ბიოგრაფიიდან.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედზე, როცა სულხან-საბა ორბელიანი მოღვაწეობდა ქართლის მეფეების: გიორგი მე-11, ქაიხოსროსა და ვახტანგ მე-6-ის კარზე.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს გიორგი მე-11-ის დასახმარებლად სულხან-საბა ორბელიანის მიერ სამცხის ათაბაგთან წარმოებული მოლაპარაკების შესახებ. ნაშრომში საუბარია ორბელიანის ბერად აღკვეცის მიზეზებზე და მისი ხელახალი პოლიტიკური მოღვაწეობისას ლეგიტიმისტების ლიდერის ფუნქციაზე.

წერილში აღწერილია დატყვევებული ვახტანგ მეექვსის დასახმარებლად და მისივე დავალებით, 1913 წელს ევროპაში დიპლომატიური მისიით ქართველი ელჩის გამგზავრებისა და იქ მოღვაწეობის ფაქტები: კავშირი მისიონერ ი. რიშართან, რომელმაც 1913 და 1914 წლებში საფრანგეთის მინისტრ ტურსის მისწერა სულხან-საბას გეგმების შესახებ; თავად საბას მიერ რომის კარდინალისადმი და 1914 წლის 23 მარტს საფრანგეთის მინისტრ პონშარტრენისადმი მიწერილი წერილების შესახებ. ნაშრომში ნათლად ჩანს ის დიპლომატიური ღვანლი, თუ როგორ მოიპოვა სულხან-საბა ორბელიანი რომის პაპის — კლიმენტი მეთერთმეტის მხარდაჭერა, რის შედეგადაც ორჯერ მიაღწია ლუი მეოთხმეტესთან აუდიენციას ვახტანგ მეექვსის დასახმარებლად.

ნაშრომში აღწერილია სულხან-საბას მიერ ფრანგულად შედგენილი წერილი, რომელიც მან საფრანგეთის მეფეს გადასცა. ასევე, ლუი მეოთხმეტესთან საუბრის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც საქართველოსა და ქართველი მეფის კეთილდღეობის სანაცვლოდ, საქართველოში კათოლიკური მრწამსის დამკვიდრებას გულისხმობდა; 1715 წელს, საფრანგეთის მეფის გარდაცვალების შემდეგ, საფრანგეთიდან დახმარების იმედი გაქრა.

ავტორი გვაცნობს სულხან-საბა ორბელიანის უკანასკნელ მოგზაურობას რუსეთში, როცა ის ვახტანგ მეფის ამაღლას ახლდა

და 1725 წელს იქვე გარდაიცვალა. იქ მას დიპლომატიური მოღვაწეობა აღარ დასცალდა.

ქ.შ.

ილია ტაბაღუა

სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საქართველოში

ჟურნალი „მაცნე“, 1965, № 3, 5.

ილია ტაბაღუას ნაშრომში დეტალურად არის განხილული ის დოკუმენტები, რომლებიც ეხება სულხან-საბა ორბელიანის ელჩობას საფრანგეთში; აგრეთვე დიპლომატიური მისიის შედეგები, რომელიც მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში ელჩმა ვახტანგ მეექვსის დავალებით შეასრულა.

ნაშრომში ქრონოლოგიურად არის განხილული ის მასალები, რომლებიც გვამცნობენ პარიზსა და ვერსალში სულხან-საბას მოლაპარაკებების შესახებ და შედეგინი არიან იმ პერიოდში, როცა ქართველი ელჩი საფრანგეთში იმყოფებოდა. წერილში აღნიშნულია, რომ სულხან-საბა ორბელიანის საქართველოში დაბრუნების შემდეგ საფრანგეთის სამეფო კარზე არ შეწყვეტილა მსჯელობა საქართველოსთან ურთიერთობის საკითხებზე.

ილია ტაბაღუას წერილში გვხვდება ჩამონათვალი იმ წერილებისა, რომლებიც საქართველოს მდგომარეობას ეხებოდა და სულხან-საბას რომში გამგზავრების შემდეგ ლუი მე-14-ის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა. მიმოწერას აწარმოებდნენ საფრანგეთის სამეფო კარის წარმომადგენლები: გრაფი დე პონშარტრენი, მარკიზ დეტორსი, გრაფი დეზალორი, ჟან რიშარი...

ცნობილია აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის წერილები გრაფი დე პონშარტრენისადმი სიცილიიდან და კონსტანტინეპოლიდან. სტატიას თან ერთვის სამი დოკუმენტის ფოტოფირი, რომლებიც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდანაა წამოღებული; სახელდობრ, ვახტანგ VI-ის წერილი ლუი მე-14-სადმი, საფრანგეთის მინისტრისა და სახელმწიფო მდივნის გრაფი დე პონშარტრენისადმი. წერილები სულხან-საბას მიერ არის დანერილი ქართულ და ფრანგულ ენებზე.

ქ.შ.

ილია ტაბაღუა

ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური
მისიის შედეგები

ჟურნალი „მაცნე“, 1966, № 6

ნაშრომში აღწერილია, თუ რა საკითხები იხილებოდა საფრანგეთის სამეფო კარზე სულხან-საბა ორბელიანთან მოლაპარაკების პერიოდში. ეს იყო: ირანის ტყვეობიდან ვახტანგ VI-ის გათავისუფლება და მისი თბილისში ქრისტიან მეფედ დაბრუნება; მისიონერების გაგზავნა საქართველოში, რაც მიზნად ისახავდა კათოლიკობის გავრცელებას არა მარტო საქართველოში, არამედ მის მეზობელ მხარეებშიც; აგრეთვე საქართველოს ტერიტორიის სავაჭრო გზად გადაქცევას და თბილისის სასაქონლე სანაოსნო განვითარებას; საქართველოსა და საფრანგეთს შორის ვაჭრობის დაწყება-გაფართოებას; საფრანგეთსა და საქართველოს შორის სამხედრო თანამშრომლობის დამყარებას; თბილისში საფრანგეთის საკონსულოს შექმნას.

ავტორი, ერთი მხრივ, მიმოიხილავს საფრანგეთისა და ირან-თურქეთის ურთიერთობებს, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთის იმპერატორის პეტრე პირველის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში; კერძოდ, კასპიის აკვატორიის მიდამოებში. ამ ურთიერთობათა ფონზეა განხილული საქართველოს ელჩის მოქმედებათა დიაპაზონი და საერთოდ, ამ დიპლომატიური მისიის ნარეჟები შედეგები.

სულხან-საბას ელჩობას თუკი ჰქონდა ერთგვარი წარმატების წინაპირობა და თუ მან მიაღწია საფრანგეთის მეფის მხარდაჭერას, ეს ყველაფერი გააქარწყლა 1715 წელს, პირველ სექტემბერს, ლუი მე-14-ის გარდაცვალებამ. ამის შემდეგ ვერსალში ხელმძღვანელობას ჩამოშორდნენ ის პირები, რომლებიც საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობაში ზემოხსენებული გეგმის განხორციელების მომხრენი იყვნენ. ავტორი შენიშნავს, რომ საფრანგეთის ახალ ხელმძღვანელებს სხვა გეგმები და ინტერესები ჰქონდათ.

ქ.შ.

VII. ლექსიკოლოგიური საკითხები

ცისანა აბულაძე

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის
თურქული თარგმანები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბ., 1968.

ნაშრომში წარმოდგენილია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მხოლოდ ქართულ-თურქული თარგმნითი ნაწილი. ქართულ განსამარტავთა თურქული თარგმანები მოცემულია ლექსიკონის მეოთხე გამოცემის მსგავსად, აქამდე არსებული ყველა ავტობიოგრაფიული ნუსხის ჩვენებით. გამოვლენილია საინტერესო მასალა თურქული და აზერბაიჯანული ენების ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხებისა და თურქულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის შესასწავლად. განხილულია ლექსიკონის აქამდე არსებული ოთხივე გამოცემა: რ. ერისთავის (1884 წ.), ი. ყიფშიძის და აკ. შანიძის (1928 წ.), ს. იორდანიშვილისა (1949 წ.) და ილ. აბულაძისა (1965-66 წწ.). პარალელურად წარმოდგენილია სათანადო ლიტერატურული ფორმები აზერბაიჯანულ ან თურქულ ენაზე. ამით უფრო გასაგები გახდა ლექსიკური ერთეულის შინაარსი ყველა თურქოლოგისა და თურქული ენის მცოდნისათვის; ნათლად წარმოჩნდება თურქული თარგმანების სახე და გაადვილდება თურქულ-აზერბაიჯანული ენების ისტორიული ფონეტიკის, მორფოლოგიისა თუ ლექსიკის ისტორიული განვითარების თვალსაზრისით ანალიზი.

თურქულენოვანი მასალის ფონეტიკურ-მორფოლოგიური და ლექსიკური თავისებურებანი გაანალიზებულია თანამედროვე აზერბაიჯანულ და თურქულ ენებთან მიმართებაში, გათვალისწინებულია ამ ენათა დიალექტების მონაცემები.

ლექსიკონის ქართულ-თურქული შესატყვისობანი ისეა მოწოდებული, რომ იგი ხელმისაწვდომი იქნება ქართულის არამცოდნე თურქოლოგთათვისაც.

ნიგნი შედგება შესავალის, შვიდი თავისა და სიტყვათა საძიებლისაგან, ახლავს მოკლე შინაარსი რუსულ ენაზე.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტერმინი „თურქული“ არ გულისხმობს მხოლოდ თურქეთის თურქულს, არამედ იგი გამოიყენება საერთოდ თურქული ენების (აზერბაიჯანულისა და ანატოლიური თურქულის) მნიშვნელობით.

ლ.რ.

ლექსიკოლოგიური საკითხები

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, ტ. I, II, III, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მერანი“, თბ., 1991, 1993, 1998.

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ წინამდებარე გამოცემა ფოტოტიპურად იმეორებს 1965-1966 წლებში ს.-ს. ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულში ილ. აბულაძის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტს.

I ტომში ქვეყნდება ლექსიკონის მასალა ან-იდან სან-ის ჩათვლით. მას წინ უძღვის წინასიტყვაობები რედაქტორებისა და ილ. აბულაძისა, ასევე „სასწავლო ყრმათა“ - ს.-ს. ორბელიანის მიერვე შედგენილი ქართული ენის „ღრამმატიკა“.

განსამარტავ სიტყვათა რიგში განსხვავებული შრიფტით (შავი პეტიტი) წარმოდგენილია ის სალექსიკონო ერთეულები, რომლებიც ადრეულ რედაქციას დაუცავს მხოლოდ და ბოლომდე არ გაჰყოლიან ლექსიკონს.

„ქართული ლექსიკონის ავტობიოგრაფიულ ნუსხებს ილუსტრაციებიც მოეპოვება შემდეგი სიტყვების დასასურათებლად: ნათესავი, ქარი, ქუეყანა, ცა და ჯოჯოხეთი. სურათები აღებულია ლექსიკონის ისეთი ავტოგრაფიული ნუსხებიდან, რომლებშიც ისინი კლიშისათვის უფრო გამოსაძევი სახით იყო წარმოდგენილი.

II ტომში ქვეყნდება მასალა რაე-დან ტ-ს ჩათვლით. შემდეგ წარმოდგენილია: უცხო შესატყვისობანი (იტალიურ-თურქულ-სომხური), თარგმანი ქვეყანათა და კაცთა სახელებისა, ქვეყნის ზომათა რიცხვი, ბოლოსიტყვა და დანართი.

III ტომში შესულია ილ. აბულაძის გამოკვლევა და მის მიერვე შედგენილი საძიებელი ისეთი სიტყვებისა, რომლებიც განმარტებებშია ნახმარი, ხოლო სალექსიკონო ერთეულებად არაა გამოყოფილი. მკვლევრის მიერ შესწავლილია ლექსიკონის ნუსხები და რედაქციები, განსამარტავ სიტყვათა წყაროები და მათი დამონმების წესები, საბასეული მუშაობის მეთოდი, უცხო წყაროების გამოყენების თავისებურებები და სხვ.

ილ. აბულაძის დაკვირვებით, უცხო წყაროებს, რომლებსაც საბა „სხვათა წიგნებს“ უწოდებს, წარმოადგენს ბიბლია და ლექსიკონები. იგი მათ ეცნობოდა ბერძნულ (ელინურ), ლათინურ, სომხურ და არაბულ ენებზე. საბას თურქულის მსგავსად უნდა სცოდნოდა არა მნივნობრული, არამედ სასაუბრო სომხური. ავტოგრაფებში დაცული საბასეული შენიშვნების საფუძველზე გარკვეულია მისი განათლების ფარგლები ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში.

მკვლევრის მოსაზრებით, „ლექსიკონი ქართული“ ძირითადად განმარტებითია, მაგრამ იმის გამო, რომ მასში შეტანილია პირთა და გეოგრაფიული სახელები (ონომასტიკა და ტოპონიმიკა), აგრეთვე ქართულ სიტყვათა უცხოური შესატყვისები (ლათინური, სომხური, თურქული), ის განმარტებითის ფარგლებს სცილდება და ერთსა და იმავე დროს არის ენციკლოპედიურიც და თარგმნითიც. ლექსიკონის ამგვარი წესით შედგენა კი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ იგი განკუთვნილი იყო როგორც სასწავლო წიგნი „სწავლის მოყვარულთათვის“.

მნიშვნელოვანია საძიებლის დართვაც. იგი რვა ათასამდე სიტყვას შეიცავს, მათ საბა განმარტებებში მოიხმობს, თუმცა განსამარტავ ერთეულებად არ გააქვს. მეცნიერი ამ ფაქტსაც განმარტავს: წყაროებმა, რომელთა მიხედვითაც საბა ლექსიკონს ადგენდა, ეს სიტყვები არ უკარნახეს. საძიებელში ბევრმა საინტერესო სიტყვამ მოიყარა თავი, რომელთა ინდექსი ძვირფას მასალას შეიცავს ქართული ლექსიკით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის, განსაკუთრებით საინტერესოა იგი ენათმეცნიერთათვის, კერძოდ კი ქართული ლექსიკის მკვლევართათვის.

ლ.რ.

ივანე გიგინეიშვილი

სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის

წიგნში — სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თსუ, 1959, გვ. 29-42.

წერილის დასაწყისში მკვლევარი განიხილავს იმ პრობლემებს, რომლებიც ახლავს ყოველი მწერლის ენის შესწავლას; კერძოდ, შემოქმედის ენობრივი თავისებურებები, ერთი მხრივ, საერთო ლიტერატურული ენის ფაქტს წარმოადგენს, ლიტერატურული ენის განვითარების ერთ-ერთი რგოლთაგანია, მეორე მხრივ, ლიტერატურის ფაქტია, ლიტერატურის ენის ნიმუშია. ცნებები ლიტერატურული ენა და ლიტერატურის ენა კი ერთმანეთს არ ფარავს. სულხან-საბა ორბელიანი, როგორც მწერალი, ის იშვიათი მაგალითია, რომლის მნიშვნელობა დაუფასებელია არა მარტო ლიტერატურის ისტორიის, არამედ ქართული ლიტერატურული ენის განვითარების თვალსაზრისითაც.

ავტორი განიხილავს ქართული ლიტერატურული ენის ისტორიაში ორ განსაკუთრებულ ეტაპს: XII ს-ში იგი უკავშირდება შოთა რუსთაველს, XIX ს-ში კი ილია ჭავჭავაძეს, მაგრამ ეს უკანასკნელი მოზრუნება-განახლება ახალი ქართული სალიტერატურო ენისა სწორედ სულხან-საბასა და დავით გურამიშვილის შემოქმედებით

დაიწყო. ამის შემდეგ განხილულია სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებთა ენობრივი თავისებურებანი, არაერთგვაროვნება და მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ სხვაგვარია ენა „სწავლანისა“ და სხვაგვარია ენა „სიბრძნე სიცრუის ნიგნისა“ ან „ევროპაში მოგზაურობისა“, კიდევ მეტი, ერთგვარი არ არის თვით საბას „ლექსიკონის“ ენა, კერძოდ, ლექსიკოლოგის ენა და სტილი მისი წყაროების ენისა და სტილის შესაბამისია. ფილოსოფიურ თუ საღვთისმეტყველო მწერლობაში ნახმარ სიტყვათა განმარტებისას, ქართული ლექსიკური ფონდის სიტყვების განმარტებანი კი ახალი ქართულითაა შესრულებული, მარტივი, გასაგები ენითა და ვირტუოზულად სხარტი და ეკონომიური სტილით (რაც სათანადო მაგალითების მოხმობით დასტურდება).

მკვლევარს სულხან-საბას ენობრივი პოზიციის გასარკვევად მნიშვნელოვნად მიაჩნია არა „სწავლანი“ (მისი მსგავსი ნაწარმოები) და „ლექსიკონის“ დიდი ნაწილი, არამედ „მოგზაურობა ევროპაში“ და „სიბრძნე სიცრუისა“. ამ ნაწარმოებთა ენა უკვე ახალი ქართული ენის განვითარების ეტაპს წარმოადგენს; საბამ „სიბრძნე-სიცრუისაში“ თავი დააღწია დიალექტიზმების მოჭარბებას და ერთგვარი არქაიზაცია გაატარა. თუმცა ეს არ იყო მიზრუნება ძველი ქართულისაკენ, არქაიზაცია მწერლისთვის ენის ლიტერატურულობის, დიალექტისა და სასაუბრო ენისაგან განსხვავებულობის ხაზგასმას წარმოადგენდა.

ივ. გიგინეიშვილი აღნიშნავს, რომ საბას ენა და სტილი განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათის, რა ჟანრის ნაწარმოებს წერს. რჩება შთაბეჭდილება, რომელიც ბადებს კითხვას: ხომ არ იყო საბა მომხრე ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენისა, რომელსაც იცავდნენ კლასიციზმის წარმომადგენლები, მით უფრო, რომ მისთვის ცნობილი იქნებოდა ადრეულ კლასიციზტთა მოღვაწეობა?

ავტორი თავისი მოსაზრების გასამყარებლად ერთმანეთს უპირისპირებს, ერთი მხრივ, „სიბრძნე სიცრუისასა“ და „მოგზაურობის“ ენას, სტილს, მეორე მხრივ — სასულიერო ხასიათის თხზულებებსა და ლექსიკონის გარკვეულ ნაწილს. მისი აზრით, ორიგინალურად გადაწყვიტა სულხან-საბამ სტილის საკითხიც; მან ამ მიზნით ცალკე სიტყვათა ფორმები და სინტაქსური დამოკიდებულებები კი არ გამოიყენა, არამედ წინადადებათსახეობანი, წინადადებათწყობა და სიტყვათა წყობა წინადადებაში. ჰიპოტაქსი ძველს, საეკლესიო ამაღლებულ სტილს დაუმკვიდრა, ხოლო პარატაქსი ახლის, „მსოფლიურის“ გადმოსაცემად მოიხმარა.

ივ. გიგინეიშვილის ღრმა რწმენით, სულხან-საბა ორბელიანის მიერ არჩეული გზა ერთადერთი მართებული და სწორი იყო ახალი

ქართული სალიტერატურო ენის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ენის ბუნებრივ განვითარებას, სამწუხაროდ, არსებითი ხასიათის დაბრკოლებები გადაეღობა წინ.

ლ.რ.

ელენე მეტრეველი

**სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის
უძველესი ავტოგრაფი**

**აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1956.**

განხილულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მოგვიანებით აღმოჩენილი ავტოგრაფი, რომელიც დაცული იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (H-416). სამეცნიერო ლიტერატურაში საბას ლექსიკონის რედაქციებისათვის მიღებულია ლიტერები: C, B, A. ვინაიდან ახლად მიგნებული ნუსხა განსხვავდება ცნობილი რედაქციებისაგან, ამიტომ მკვლევარი მას D ლიტერით აღნიშნავს.

D ხელნაწერი თავისი მრავალრიცხოვანი მინაწერებისა და შენიშვნების გამო უნდა წარმოადგენდეს სამუშაო ეგზემპლარს, რომელშიც აისახა ლექსიკონზე მუშაობის პირველი, ძირითადი ეტაპი. ნუსხაში ყველაზე ნათლად ჩანს საბას მუშაობის მეთოდები, ძიებისა და კვლევის გზები განმარტებათა ჩამოყალიბების პროცესში.

D ხელნაწერში დამონმებული ლიტერატურა უფრო მცირეა, ვიდრე შემდგომ რედაქციებში. ლექსიკონის ყოველი ახალი რედაქცია ახალი წყაროებით არის გამდიდრებული. ამავე დროს, საბოლოოდ დადგენილი და განმარტებული სიტყვა ხშირად კარგავს მითითებას იმ წყაროზე, რომლის საფუძველზეც განიმარტა სიტყვა. ამდენად, გამოყენებულ წყაროთა რაოდენობა და შემადგენლობა სხვადასხვა სურათს იძლევა რედაქციების შექმნის მანძილზე. უძველესი ნუსხის შედგენის დროისათვის ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით საბას ბევრი იმ წყაროთაგანი, რომელიც შემდგომ რედაქციებში ჩნდება, დამუშავებული არ აქვს. ამ ნუსხაში არ ჩანს ორიგინალური ქართული აგიოგრაფიის ძეგლებიდან იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება, ნინოს ცხოვრება, შიოს ცხოვრება და სხვა, რომლებიც მომდევნო რედაქციებში იკარგება.

ნუსხის კიდებზე და ფურცლის შიგნით მრავალი მინაწერია, რომელთა გაცნობა საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ

დამატებით რა ხასიათის მასალის შეტანა მიუჩნევია საჭიროდ საბას ჯერ კიდევ ლექსიკონის რედაქციაზე მუშაობის დროს და რა ახალ წყაროებს ეცნობა საბა ლექსიკონის ძირითადი ტექსტის შედგენის შემდეგ.

ერთი რიგის მასალა, რომელიც მინაწერების სახით არის შეტანილი ლექსიკონში, ენციკლოპედიური ხასიათისაა. ამ მასალის შეტანით გაფართოვდა განმარტებითი ლექსიკონის საზღვრები.

რაც შეეხება თარიღს, ელენე მეტრეველის აზრით, უძველესი ხელნაწერი შედგენილი უნდა იყოს XVIII საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1704-05 წლებში.

ი.ა.

ლილი ქუთათელაძე

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები (ავტოგრაფების მიხედვით)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა,
თბ., 1957.

ნიგნში წარმოდგენილია სულხან-საბა ორბელიანის მიერ შექმნილი ქართული განმარტებითი ლექსიკონის ავტოგრაფების ისტორია: დადგენილია მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობა და ძირითადი რედაქციები, მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობის პროცესი და ლექსიკონის სახეცვლილებანი (ძირითადი რედაქციები), მათი მიმართება „სიტყვის კონის“ უკანასკნელ რედაქციასთან.

ნაშრომის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსებაა ლექსიკონში შეტანილი „ძნელი“ სიტყვების წარმოდგენა დოკუმენტაციითა და მათი თანდათანობითი ახსნის პროცესით.

როგორც ცნობილია, ლექსიკონის შექმნის დროს საბას გვერდით ედგნენ თავისი უმცროსი ძმა ზაალ, ყოფილი ზოსიმე და ვახტანგ VI. ნაშრომში საგანგებოდაა შესწავლილი მათი ღვაწლი. განხილულია ზოსიმე ორბელიანის მიერ საბას სიცოცხლეში გადამწერილი, ავტორისაგან ნასწორები და შევსებული ცალები, გამოვლენილია მისი გარდაცვალების შემდეგ ზოსიმეს ლექსიკოლოგიური საქმიანობა. ვახტანგ VI-ის ლექსიკოგრაფიული მუშაობის შესახებ პირველად აღნიშნეს აკაკი შანიძემ და ნ. მარმა, წარმოდგენილ ნაშრომში კი დეტალურადაა შესწავლილი ეს საკითხი, კერძოდ, როგორ იყენებს საბა ვახტანგის მიერ მიწოდებულ მასალას და რა ხასიათისაა იგი.

ნიგნი შედგება წინასიტყვაობის, შესავლისა და ოთხი თავისაგან: ავტოგრაფიული ნუსხები და მათი აღწერილობა, ავტოგრა-

ფიული ნუსხების თარიღისათვის, საბას ლექსიკონის რედაქციები, საბას უახლოესი თანამშრომლები; ასევე წარმოდგენილია დასკვნები, დამატებანი (ე.წ. „ძნელი სიტყვები“, ნაკლებად განმარტებული ავტორის მიერ), ლექსიკონის სხვადასხვა რედაქციაზე არსებული მინაწერები და სხვადასხვა რედაქციის ნუსხები; მოცემულია მოკლე შინაარსი რუსულ ენაზე და პირთა საძიებელი.

ლ.რ.

შოთა ძიდიგური

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“

ნიგნში: ენა და ლიტერატურა
„ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1965, გვ. 57-67.

ნიგნში განხილულია ზოგადად ენის საკითხები: ერთი მხრივ, ეროვნული რეალიზმისა და ენობრივი ნატურალიზმის თეორიული საფუძვლები, მეორე მხრივ, სამწერლო ენის თვალსაზრისით შესწავლილია რამდენიმე კლასიკოსი მწერლის შემოქმედება (ეფრემ მცირე, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა) და გარკვეულია მათი ადგილი სალიტერატურო ენის ისტორიაში.

ავტორი სულხან-საბასეული ენის კვლევისას საგანგებოდ მსჯელობს „სიტყვის კონის“ — როგორც „ქართული ენის ამოურწყავი საუნჯის“, შესახებ და მიმოიხილავს იმჟამინდელ და შემდეგდროინდელ ქართველ და უცხოელ მკვლევართა (ვახტანგ VI, მარიამ ბატონიშვილი, მელქისედეკ კავკასიძე, რობერტ ბლეიკი, ნიკო მარი, აკაკი შანიძე, ილია აბულაძე, ელენე მეტრეველი, ალექსანდრე ბარამიძე) დამოკიდებულებას ამ ნაშრომისადმი.

წერილში საუბარია „სიტყვის კონაში“ შემავალი თარგმნითი ლექსიკონის ელემენტებზე. კერძოდ, მრავალ სიტყვას მინერლი აქვს სომხური, თურქული და იტალიური შესატყვისობანი ქართული ტრანსკრიპციით, რაც პირველი ცადა ქართულ-სომხური, ქართულ-თურქული და ქართულ-იტალიური მცირე ლექსიკონებისა. თავის მხრივ, საბას მიერ უცხოურ ენებზე თარგმნილ სიტყვებს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს საენათმეცნიერო მიზნებისათვის; ასევე მნიშვნელოვანია ლექსიკონი ქართული დიალექტოლოგიის შესასწავლად, რადგან საბა ხშირად ხალხურ მეტყველებას მიმართავდა ცალკეული სიტყვის მნიშვნელობის დასაზუსტებლად. აქ ვხვდებით ისეთ სიტყვებს, რომლებიც არ იცის არც ძველმა და არც ახალმა სალიტერატურო ქართულმა. ისინი შემონახულია

დღევანდელ ქართულ დიალექტებში, კერძოდ, სვანურსა და ზანურში (მეგრულ-ჭანურში).

დასასრულ შეჯამებულია სულხან-საბას „სიტყვის კონის“ როლი ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში.

ლ.რ.

ზურაბ ჭუმბურიძე

„ვეფხისტყაოსანი“ — როგორც საბას ლექსიკონის წყარო

წიგნში: სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თსუ, 1959, გვ. 235-243.

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ წყაროთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსანს“, რომლის ტექსტზეც ლექსიკოგრაფს საგანგებო დაკვირვება უნარმოებია. ამის კვალი აშკარადაა აღბეჭდილი ლექსიკონში. ზ. ჭუმბურიძეს ორმხრივად საინტერესოდ მიაჩნია ამგვარი კვლევა: ამ გზით შესაძლებელია გავეცნოთ საბას დამოკიდებულებას პოემის ტექსტისადმი და ამასთანავე, გავითვალისწინოთ მისი ლექსიკოგრაფიული მუშაობის ზოგიერთი მხარე.

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნიდან“ ციტირებულ (დაახლოებით 50-მდე სხვადასხვა რედაქციაში) სიტყვებს და საბასეული ლექსიკოლოგიური მეთოდის განხილვით ცდილობს ახსნას, თუ რატომ არ არის ხშირად მითითებული „ვეფხისტყაოსანი“, უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ პოემის ზოგიერთი სიტყვა ლექსიკონში არ შესულა, არ ნიშნავს, თითქოს საბა ნაკლებ ანგარიშს უწევდა ან კარგად არ იცნობდა მის ლექსიკას.

საინტერესოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვათა განმარტებებში ნათლად წარმორჩნდება სულხან-საბასა და მეფე-პოეტ ვახტანგ VI-ის ლიტერატურული თანამშრომლობის კვალი. „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემას ვახტანგმა ვრცელი „თარგმანები“ ანუ კომენტარი დაურთო, რომელშიც, სხვათა შორის, მრავალი სიტყვის განმარტებაც არის მოცემული; ქრონოლოგიურადაც ემთხვევა ლექსიკონისა და „თარგმანების“ დაწერა, ამდენად, ცხადია სულხანის გავლენა თავის აღზრდილზე. ზ. ჭუმბურიძე მიუთითებს აკ. შანიძის მოსაზრებას და თავადაც დასძენს, რომ საბასაც უსარგებელია ვახტანგისეული კომენტარებით, რაც გამოვლინდა ლექსიკონის გვიანდელ რედაქციებში.

მკვლევარი სვამს კითხვას: „ვეფხისტყაოსნის“ რა ხელნაწერით სარგებლობდა ლექსიკოგრაფი, რამდენად შეიძლება გამოვრიც-

ხოთ ის ფაქტი, რომ იგი ზეპირ წყაროს დაყრდნობადა სალექსიკონო მასალის ამოკრების დროს?

უშუალოდ ის ხელნაწერი, რომლითაც საბას უსარგებლია, უკვე დაკარგული ჩანს, ეს იქიდან ირკვევა, რომ ლექსიკონში პოემიდან დამონმებული ზოგიერთი ადგილი ზუსტად ამ სახით არ დასტურდება ამჟამად ცნობილ არცერთ ძირითად ხელნაწერში. ვარაუდის სახით გამოთქმულია, რომ საბასეული „ვეფხისტყაოსანი“ ვრცელი რედაქციის უნდა ყოფილიყო, იგი შეიცავდა ინდო-ხატაელთა ამბავსაც (ამას მონმობს სიტყვები: დამაჯნება და ხარხანჩოსა). ეს ფაქტი საფუძველს აძლევდა ს. ცაიშვილს, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი პოემის ორგანულ ნაწილად მიეჩნია და ამით უარყო ამ საკითხში ვახტანგის პოზიცია.

ლ.რ.

VIII. ანთროპოლოგიური საკითხები

ავლიპი ზურაბაშვილი

პერსონოლოგიური პრობლემები სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში

ნიგში: „პერსონოლოგიური პრობლემები ქართულ მწერლობაში“. თსუ გამომც., თბ., 1973, გვ. 200.

ავლიპი ზურაბაშვილი გამოკვლევის შესავალში მიმოიხილავს იმ ეპოქას, რომელშიც მოღვაწეობდა სულხან-საბა. ეს იყო დრო, როცა „ქართლის ჭირს ვერვინ მოსთვლიდა“. როცა გამაჰმადიანებული ქართველი მეფეები ქვეყანას ანიოკებდნენ და ანადგურებდნენ, სულხან-საბამ განიზრახა მორალურ კატასტროფამდე მისული ხალხი გამოეფხიზლებინა, გაეღვიძებინა მათში პატრიოტიზმი, ადამიანური მოვალეობანი, სიკეთე, ნდობა, სამართლიანობა და სხვ.

„ცნობილია, — წერს ავლიპი ზურაბაშვილი, — რომ ორბელიანის ქადაგებანი არ წარმოადგენს ორიგინალურ ნაწარმოებს ვინ-რო გაგებით... მაგრამ აქ საქმე გვაქვს ისეთი დონის, სიღრმის, მჭევრმეტყველებისა და მიზანდასახულობის ორატორთან, რომ მისი მიმართვა საზოგადოებისათვის იქნებოდა უეჭველად ახალი სიტყვა“.

ავლიპი ზურაბაშვილი განიხილავს „სიბრძნე სიცრუისას“ ისეთ თემებს, როგორებიცაა ამპარტავნება, თავმდაბლობა, სიზარმაცე, შრომისმოყვარეობა, სიყვარული, მეგობრობა, სიკეთე, ბოროტება, ერთგულება, ღალატი. ავტორის აზრით, დადებითის და უარყოფითის, ღირსეულის და უღირსის, კარგისა და ავის, ბოროტებისა და სიკეთის, მაღალისა და დაბალის, სიტკბოსი და სიმწარის ურთიერთდაპირისპირება უფრო ქმედითი გზაა მხატვრული მიზნის მისაღწევად.

სტატიაში აღნიშნულია, რომ სულხან-საბას კარგად ესმოდა სიტყვის როგორც ფსიქოთერაპიული, ისე ფსიქოტრავმული მნიშვნელობა. უფრო მეტიც, მისი გაგებით ავი სიტყვა და ავკაცობის პრობლემა ერთ მთლიან კატეგორიას წარმოადგენს. სულხან-საბა დეონტოლოგიურ-პერსონოლოგიური ფსიქოლოგიის, ესე იგი, მოქმედების ფსიქოლოგიის ბრწყინვალე წარმომადგენელია... მისი შემოქმედება აქტუალური იქნება, სანამ არსებობს ადამიანი თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით.

შ.კ.

ზურაბ კიკნაძე

სულხანი და საბა

„ავთანდილის ანდერძი“, „მერანი“, თბ., 2001.

როგორი იყო სულხან-საბა ორბელიანი როგორც კერძო კაცი, როგორც პიროვნება? ამ კითხვაზე საპასუხოდ ავტორი იკვლევს სულხან-საბას ცხოვრებისა და შემოქმედების ისეთ სფეროებს, რომლებშიც იკვეთება პერსონოლოგიური ასპექტები.

ავტორის აზრით, სულხან-საბას ყოველი ქმედება გამიზნულია სტიქიურის, პირველყოფილის დასაურვებლად, ქაოტურის არტახებში მოსაქცევად. სტიქიური მეტყველებიდან გამოსჭედავს სახელოვნო ენას, ბუნების მოვლენიდან ქმნის მყარ კულტურას. ასეთია მისი იგავები და მისი პიროვნება.

შეპირისპირებულია სულხან-საბას საერო და სასულიერო ხასიათები და გამოტანილია დასკვნა: სულხან-საბა ორბელიანმა სრული ცხოვრებით იცხოვრა. რა არის სრული ცხოვრება? თუ სიცოცხლე ხორცისა და სულის ერთიანობაა და მათი გაყრისას სიკვდილი დგება, სრული სიცოცხლე, მაღალი აზრით, ხორციელისა და სულიერის ჰარმონიულ თანხმობაში უნდა მდგომარეობდეს. მან შეძლო თავისი პიროვნების, როგორც სულხანისეული, ისე საბასეული ძალების რეალიზაცია. შეცდომაა იმის მტკიცება, თითქოს საბა ეწინააღმდეგებოდეს სულხანს, თითქოს ბერად აღკვეცა

სულიერი კატასტროფის შედეგი ყოფილიყოს, ან მხოლოდ იძულებითი პოლიტიკური მოტივებით აიხსნებოდეს. ამ აქტის შემდეგ მისი პიროვნება რადიკალურად არ შეცვლილა, სულიერი წყობა იგივე დარჩა, ოღონდ სხვა რეგისტრში გადაინაცვლა. ერობიდან სულიერობამდე ასვლა — მედიტაციური ცხოვრება ნათლისმცემლის უდაბნოში, ჩაღრმავება საკუთარ თავში, ქადაგებანი — და შემდეგ კვლავ ერობაში გამოსვლა პოლიტიკურ სარბიელზე. ეს იმეორებს მაცხოვრის გზას, მის შესვლას უდაბნოში სამარხულად და მერე გამოსვლას ხალხში სააშკარაო მოღვაწეობისთვის.

სულხან-საბა ორბელიანი სამაგალითო პიროვნება უნდა ყოფილიყო იმ ძნელ საუკუნეში თავისი საქციელით და შემოქმედებით. მართალია, იგი ასწავლიდა ხალხს: „ანუ მონაზონობა ქენით ანუ ერთაგანობა. არა არს ორისაგან კიდევ“, მაგრამ თავად ორივე გამოცადა და ორივე სარბიელზე ღირსეულად იმოღვაწა. შეაგონებდა ხალხს: „მონაზონთა — სენაკთა შინა ჯდომა, ერისკაცთა — სლვა ზღვათა ღელვათაო...“ თუმცაღა ჩვენი წარმოდგენა ჩინებულად ითავსებს ლოცვად დამდგარ ერისკაცსაც და ზღვათა ღელვის განმცდელ ბერსაც, რაკი ერთი იყო არსება სულხანისა და საბასი.

ი.ა.

ნელი რუხაძე

სულხან-საბა ორბელიანი, ვინ არის რუქა?

ნიგნში: უკვდავება შემოქმედთა...
„მერანი“, თბ., 1999, გვ. 53-64.

კრებულში შესულია შრომები, ნარკვევები, წერილები დიდ ქართველ კორიფეთა (შოთა, სულხან-საბა, ნიკოლოზი, ილია, ვაჟა, კონსტანტინე, გალაკტიონი) შესახებ. ზოგი მათგანი პასუხობს არა მარტო პედაგოგიკის ძირითად ამოცანებს (რა ვასწავლოთ, რა მიზნით, როგორ?), არამედ ითვალისწინებს ფილოსოფიური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით წამოჭრილი პრობლემების ღრმა და ფართო ანალიზს. ყოველი მათგანი დღევანდელობას ეხმიანება და ერთგვარ ახსნას წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის საზრისის საღად განჭვრეტისა და მაღალი იდეალებით ცხოვრებისათვის.

ნიგნში განხილული საკითხები წარმოაჩენს ამ დიდ შემოქმედთა იდეების მასშტაბურობასა და მარადისობა-უკვდავებას. ამგვარი რაკურსითაა წარმოდგენილი ერთ დროს დიდი დავის საგანი — „ვინ არის რუქა?!“ წერილის დასაწყისში მოცემულია საკითხის ისტორია და მოკლედია შეჯამებული ცნობილ ავტორთა (ე. ჯაველი-

ძე, გ. ხორნაული, რ. ბარამიძე, ალ. ბარამიძე) მოსაზრებები, რომელთა გათვალისწინებით პრობლემა თითქოს გადაწყვეტილად ჩაითვალა. ავტორი ახლებური კუთხით ცდილობს მწერლისეული პოზიციის წარმოჩენას მეფე ფინეზისა და სეფეთუხუცეს რუქას მხატვრულ სახეთა გათვალისწინებით; გაანალიზებულია ყველა ის ძირითადი მიზეზი, რამაც განაპირობა ამ პერსონაჟის გარშემო აზრთა სხვადასხვაობა. ნ. რუხაძე ფილოსოფიური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით განიხილავს რუქას პიროვნებას და გვთავაზობს საინტერესო დასკვნებს.

წერილში ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს მართვის სულხან-საბასეული პრინციპი, „ქვეყნის სამჯობინარი საქმის უზენაესობა“, რომლის მიხედვით უნდა შეირჩეს ე.წ. სამთავრობო ელიტა.

ბოლოს აღნიშნულია, რომ წერილი საკმაოდ დაგვიანებით გამოქვეყნდა, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა ოფიციალურ თვალსაზრისს (რუქას პიროვნებასთან დაკავშირებით) და გამოცემათა მესვეურები თავს იკავებდნენ მისი პუბლიკაციისგან.

ლ.რ.

ალექსანდრე ფრანგიშვილი

**ადამიანის სულიერი ცხოვრების საკითხი ალორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში
(სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ მიხედვით)**

წიგნში: „ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში“, საქ. მეცნ. აკად. დ. უზნაძის სახ. ფსიქ. ინსტიტუტი, თბ., 1959 წ.

ალექსანდრე ფრანგიშვილი აღნიშნულ წიგნში საუბრობს ახალი იდეოლოგიის იმ ძირითად ტენდენციებზე, რომლებიც ალორძინების ხანაში ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარების ისტორიულ პირობებს ქმნიდა. მკვლევარი მიუთითებს, რომ ეს ტენდენციები განსაკუთრებული სიძლიერით წარმოჩნდა ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ალორძინების პერიოდში ქართული კულტურის წამყვანი დარგი იყო. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მკვლევარი აანალიზებს სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულს.

ალექსანდრე ფრანგიშვილი ფართოდ განიხილავს იგავ-არაკს „მოტირალი და მოცინარი“ და დაასკვნის: „ამრიგად, „სიბრძნე-სიცრუისას“ მხატვრულ სახეებში წარმოდგენილი მსოფლმხედველობის ამოსავალი დებულება, წინააღმდეგ იმ დროს გაბატონებული რელიგიური შეხედულებებისა, რეალისტურია. ავტორისათვის ამქვეყნიური, ადამიანის პრაქტიკაში და გამოცდილებაში მო-

ცემული სინამდვილე „შემთხვევითი“ კი არა, ნამდვილი სინამდვილეა. ამქვეყნიური სინამდვილე, „საწუთრო“, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისთავის კანონებით მოქმედებს“.

იქვე ნათქვამია, რომ სულხან-საბას აზრით, ყოველი მოვლენა ადამიანთა საზოგადოებაში, ცალკეული ადამიანის ქცევაში და მის სულიერ წყობაში ამქვეყნიურივე მოვლენებით უნდა აიხსნას. „საწუთროს“ მანკი „საწუთროსავე“ ძალებით უნდა გამოსწორდეს.

ავტორი კვლევას ამთავრებს დასკვნით: თუ ადამიანის სულიერი ცხოვრების ამსახველი დარგის — ფსიქოლოგიის, როგორც ფილოსოფიური ცოდნის, პრობლემები წამოიჭრა ე.წ. ალორძინების ხანაში და ამ მიმართულებით დაინყო კიდეც ამ პერიოდში ფილოსოფიური აზრის განვითარება, ეს შემთხვევითი და გარეგანი ზეგავლენით გამოწვეული მოვლენა კი არ იყო, არამედ ეს იყო საქართველოს სოციალური მდგომარეობით გამოწვეული.

შ.კ.

ასმათ ჯიქია

**ადამიანის პრობლემა სულხან-საბა ორბელიანის
„სწავლანში“**

**შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი, თბ., 2006.**

ნაშრომში საუბარია ცოდვითდაცემული ადამიანის პრობლემაზე, კაცის თავისუფალ ნებასა და ამ ნების გამოვლენის შედეგად მის ადგილზე სამყაროში, მართლმადიდებელი მქადაგებლისა და ქადაგების როლზე ადამიანის გონების წურთვისათვის, რომ მქადაგებლისაგან სამყაროს მთლიანი ერთობა, სავესება წარმოდგენილია ხილულისა და უხილავის, ადამიანისა და სხვა დანარჩენის ფუნქციურ ერთობაში, რაც საღვთო წესრიგით — განგებით სამყაროს დაბადებით დაენესა. წესრიგი — განგება საყოველთაოა (ყველასათვის და ყველა დროში). განგების შესამეცნებელი ავტორისათვის ძირითადად ძველი და ახალი აღთქმასა, ადამიანი კი — მისი მიმღები. ამდენად, მისთვის მისაღებია, ღირებულია (ვითარცა ღვთიურის გამოვლენა) ეს სოფელიც. ქადაგებებიც სწორედ ამ სოფელში მოცემული ღვთიური წესრიგის დასაცავადაა მოწოდებული, რისი განხორციელებაც მსგავსების აღდგენითაა შესაძლებელი, რასაც ჭეშმარიტი ცოდნის მიღება განაპირობებს. მაშასადამე, გონიერი მორწმუნეა და მხოლოდ აქედან გამომდინარე აქვს „მეცნიერება კეთილთა და ბოროტთა“. ქადაგებათა მიხედვით, ზნესრუ-

ლობის მოსაღწევად გადასალახავი სიძნელეები ეკლესიის მეშვეობით გაადვილებულია.

გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ „სწავლანში“ სათქმელის ფორმაც კი სრულყოფილების შესაძლებელ მაქსიმუმს აღწევს, რაც იმ ფსიქო-ემოციურ სივრცეს ქმნის, რომელშიც მსმენელი (მკითხველი) მზადაა ტაძრული ცნობიერების მისაღებად. საბა სახეთა მეშვეობით აყალიბებს მისეული განწყობის თეორიას და დასტურდება ის, რასაც XX საუკუნის ფსიქოლოგიაში დიმიტრი უზნაძისაგან დაერქმევა „განწყობის თეორია“. „სწავლანში“ დაუნჯებულია „ძალი სიტყვისაი“, რაც შესაძლებელს ხდის ღვთის ხილვას, მისით მასში დავანებას.

ლ. რ.

IX. ფილოსოფიური საკითხები

შალვა ნუცუბიძე

1. საზოგადოებრივი აზროვნების განვითარება საქართველოში XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე. ს.ს. ორბელიანის ნააზრევის ზოგადი მიმოხილვა

2. ს.ს. ორბელიანის ფილოსოფიური შეხედულებანი,

შრომები, ტ. IX, „მეცნიერება“, თბ., 1985, გვ. 234-264.

შალვა ნუცუბიძე ჯერ განიხილავს სულხან-საბა ორბელიანის აზროვნების ოთხ ელემენტს: 1. მორალისტური ფილოსოფია; 2. პედაგოგიურ შეხედულებათა სისტემა; 3. ფილოსოფიური შეხედულებანი; 4. მხატვრული შემოქმედება.

ავტორის აზრით, სულხან-საბა ორბელიანი ნათლად გამოხატავს იმ სააზროვნო განწყობას, რომელიც XVIII საუკუნეში არსებობდა. ეს განწყობა მემკვიდრეობით გადმოვიდა XI-XII საუკუნეებიდან. აღორძინება, რომელიც XVII საუკუნიდან იწყება, უპირველეს ყოვლისა, კლასიკური ხანის ტრადიციების აღდგენას ნიშნავდა.

სულხან-საბა ორბელიანი ერთნაირად სარგებლობს როგორც იოანე პეტრიწის, ისე მისგან სრულიად განსხვავებული მოაზროვნის არსენ იყალთოელის ნაწერებით. ეს გარემოება ნათელია იმ სიტყვათხმარებიდან, რომელიც სულხან-საბა ორბელიანთან გვხვდება, განსაკუთრებით მის განმარტებით ლექსიკონში.

ქვეთავი „ს.ს. ორბელიანის ფილოსოფიური შეხედულებანი“ იწყება საუბრით სულხან-საბას ლექსიკონის ფილოსოფიურ ნყარობზე. კერძოდ, ეს ნყარობია: ბიბლია, აგრეთვე პროკლე დიადოხოსის, ნემესიოს ემესელის, პორფირეს, იოანე დამასკელის და სხვათა შრომები.

სულხან-საბა ორბელიანის ფილოსოფიურ შეხედულებათა გასარკვევად შ. ნუცუბიძე ერთგვარ მნიშვნელობას ანიჭებს იმის გარკვევას, თუ როგორ ესმის მწერალს ცნება „სიბრძნე“. ამისათვის იკვლევს სათაურის ფილოსოფიურ ეტიმოლოგიას და ასკვნის, რომ „სიბრძნე“, რომელზეც საუბარია საბას წიგნის სათაურში, ნიშნავს იმას, რომ იგი სიცრუის სიბრძნეა, ანუ სიცრუე ქცეული სიბრძნედ, ანუ კიდევ, სიბრძნე მიღწეული სიცრუის სიცრუედ აღიარებით.

საბას მსოფლმხედველობა ქართული ნეოპლატონიზმისაკენ იხრება, თუმცა იოანე დამასკელის ტექსტით უფრო ხშირად სარგებლობს, რისი მიზეზიც უნდა იყოს შემდეგი: 1. იოანე დამასკელი არის არისტოტელური ფილოსოფიის შემომტანი ქრისტიანულ აზროვნებაში; 2. საბა აგრძელებს ქართულ ფილოსოფიურ ტრადიციას, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ იოანე დამასკელის მთავარი ნაწარმოები სამჯერ ითარგმნა ქართულ ენაზე და საკმაოდ პოპულარული იყო.

ი.ა.

X. ეკონომიკური შეხედულებები

ვახტანგ დათაშვილი

**ეკონომიკური ისტორია და კონცეფციები
ლექციების კურსი**

**თემა — სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები,
თბ., 2006.**

ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია, პირდაპირ თუ არა-პირდაპირ, დამუშავებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის საფუძველზე. სულხანის ლექსიკონში ვპოულობთ თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინების სათავეებს. ამავე დროს, ლექსიკონი და მასთან ერთად „სიბრძნე სიცრუისა“ და „სწავლანი“ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მის ეკონომიკურ შეხედულებათა გასარკვევად.

შესავალში საუბარია XVIII საუკუნის საქართველოში ფეოდალიზმის კრიზისის პირობებზე. ავტორის აზრით, საქართველოში გვიანი ფეოდალიზმის ხანა შესაძლებელია გაიყოს ორ ფაზად — პირველი ხასიათდება სათავადოების წარმოშობით და საქართველოს სახელმწიფოს სამთავროებად დაშლით; მეორე — თვით ფეოდალიზმის დაშლის ელემენტთა წარმოშობით. საქართველოში ფეოდალიზმის დაშლის წინამძღვართა ზრდის მაჩვენებელია სახელმწიფო მანუფაქტურების და სამთო წარმოების მოწყობა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ლექციების თემატიკა ეყრდნობა ვასილ ჩანტლადის კონცეფციას: საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი; სიმდიდრის წყარო; მოთხოვნა, მოწოდება და განაწილება ფასის მიხედვით; ფული, როგორც კაპიტალი; ხელფასი; კრედიტი; ფინანსები; საქართველოს მთლიანობისა და მისი მეურნეობრივ-პოლიტიკური აღორძინებისათვის ბრძოლა.

ი.ა.

ნ. ქოიავა

ძირითადი ეკონომიკური ტერმინები სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“

სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1959.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მოცემული ყველა ეკონომიკური ტერმინი მეტად ფასეულია მაშინდელი ეკონომიკური ვითარების, აგრეთვე ქართული ეკონომიკური აზროვნების განვითარების შესწავლისათვის.

ლექსიკონში მოცემული ტერმინოლოგია არ არის სრული. იმ დროს არსებული მრავალი ტერმინი არ არის შესული ლექსიკონში. ეს იმით აიხსნება, რომ სულხან-საბა ორბელიანს არ გამოუყენებია „დასტურლამალი“, საკმაოდ მნიშვნელოვანი და პოპულარული დოკუმენტი, რომელიც მდიდარია ეკონომიკური ტერმინებით.

ლექსიკონში არ ჩანს აგრეთვე ის ტერმინები, რომლებიც სულხან-საბას დროს ცნობილი იყო ევროპაში, მაშინ უკვე არსე-

ბობდა მერკანტილისტების შრომები, პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ფუძემდებლის უ. პეტის ნიგნები და სხვ.

ავტორს განხილული აქვს ლექსიკონში მოცემული ძირითადი ეკონომიკური ტერმინები, კერძოდ, შრომის იარაღების, სატრანსპორტო და წარმოების საშუალებათა, სოფლის მეურნეობისა და ფინანსურ ურთიერთობათა აღმნიშვნელი ორასზე მეტი ტერმინი, მათ შორის: „ერქუანი“, „მანგალი“, „ლალა“, „ბეგარა“, „ყალანი“, „გამოსალები“, „ბარება“, „ხელფასი“, „მიზდი“, „ზღვევინება“, „ფასი“, „სასყიდელი“, „საქონელი“, „სავაჭრო“, „სალარო“, „ვანში“, „ვალი“ და სხვ.

ი.ა.

ვასილ ჩანტლაძე

სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1959.

ვასილ ჩანტლაძის ნაშრომის წინასიტყვაობაში საუბარია სულხან-საბა ორბელიანის სამწერლო და სახელმწიფო მოღვაწეობის შესახებ; ჩამოთვლილია იმ მეცნიერთა გვარები, რომელთა კვლევებიც მის შემოქმედებასა და ცხოვრებას მიეძღვნა. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკურ შეხედულებათა შესასწავლად გამორჩეულად ეყრდნობოდა ნაწარმოებებს: „სიბრძნე სიცრუისა“ და „სწავლანი“.

ნაშრომი შედგება შესავლისა და ათი თავისაგან: სულხან-საბა ორბელიანის სოციოლოგიური შეხედულებანი; საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი; სიმდიდრის წყარო; ფასი; ფული, როგორც კაპიტალი; ზედმეტი პროდუქტის პრობლემა; ხელფასი; კრედიტი; ფინანსები; საქართველოს ეროვნული მთლიანობისა და მისი მეურნეობრივ-პოლიტიკური აღორძინებისათვის ბრძოლა.

მკვლევარი მიიჩნევს, რომ „სულხანი გვაძლევს რელიგიისა და მისი თანადროული სოციალურ-პოლიტიკური წყობის ულმოებელ კრიტიკას“. მწერალი აღშფოთებულია სოციალური უკუღმართობით, მაგრამ XVIII საუკუნის საქართველოს საზოგადოებაში ვერ ხედავს ძალას, რომელიც შეძლებს დაძლიოს უსამართლობა; მიუხედავად ამისა, სულხან-საბას შეხედულებები ოპტიმისტურია, მისი აზრით, სიმართლე იმარჯვებს უსამართლობაზე.

ავტორის აზრით, სულხან-საბა ორბელიანს ესმის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი მატერიალური წარმოებაა და შრომა არის არა უბრალოდ ენერჯის ხარჯვა, არამედ ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედება. მისივე აზრით, შრომა წარმოადგენს

ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებას ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომელიც მოითხოვს შრომის საშუალებებს, ე.ი. წარმოების იარაღებს.

მკვლევარი მიიჩნევს, რომ სულხან-საბა ორბელიანმა თავის თხზულებაში — „სიბრძნე სიცრუისა“ დააყენა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემა — რა არის სიმდიდრე. მინათმოქმედებაში შრომა სულხანს განხილული აქვს, როგორც საქონლის მწარმოებლის შრომა, გარდა ამისა, სიმდიდრის წყაროდ მიიჩნევს ხელოსნურ წარმოებას და მოპოვებით მრეწველობას. მეცნიერი მიიჩნევს, რომ სულხან-საბა ორბელიანის აზროვნება უახლოვდება ფიზიოკრატულ შეხედულებას, რაც სულხანის დიდ დამსახურებად და პროგრესულ აზრად უნდა ჩაითვალოს. თუნდაც მხოლოდ იმის შეცნობით, რომ სიმდიდრის წყარო „სოფლისმეურნეობრივი“ შრომაა (მარქსი ამგვარი მოსაზრების გამო ფიზიოკრატებს მიიჩნევდა მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიკის ფუძემდებლებად), ვასილ ჩანტლაძე დაწვრილებით განმარტავს ამ საკითხებს და მიუთითებს, რომ მწერალი დიდად უსწრებს დროს, რადგან ნამდვილი ფიზიოკრატული სკოლა ჩამოყალიბდა საფრანგეთში, სულხან-საბას გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ.

სულხან-საბა მსჯელობს ფასზე, როგორც საქონლის საცვლელ ღირებულებაზე და ფასზე, როგორც ფულზე. მკვლევარს ამის დასტურად მისი ლექსიკონიდან და შემოქმედებიდან მოჰყავს მაგალითები, აღნიშნავს მწერლის პროგრესულ აზროვნებას ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით და მას ამ საკითხებშიც თავისი დროის მონინავე მოაზროვნედ მიიჩნევს და არა მარტო ქართველ მოღვაწეთა შორის.

მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს სულხან-საბას ლექსიკონში შეტანილ შრომის აღმნიშვნელ განმარტებებზე და მიიჩნევს, რომ მწერლის მიერ მოგება გაგებულია, როგორც არაშრომითი შემოსავალი.

ნაშრომში ვხვდებით მსჯელობას „ხელფასის“, როგორც ფულადი ანაზღაურების საბასეული ვარიანტების ირგვლივ. ასევე გამოთქმულია მოსაზრებები საკრედიტო ურთიერთობათა ვარიანტებისა და ტერმინების შესახებაც.

დაბოლოს, მეცნიერი ამახვილებს ყურადღებას საბას უკვდავ იდეაზე: ეკონომიკურად და სულიერად აღორძინებული მთლიანი საქართველოსთვის ბრძოლის აუცილებლობაზე.

ქ.შ.

XI. გეოგრაფია-კარტოგრაფიის საკითხები

გრიგოლ ზარდალიშვილი

სულხან-საბა ორბელიანი

წიგნიდან: გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები,
„საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966.

მცირე ისტორიულ-ბიოგრაფიული შესავლის შემდეგ იწყება საუბარი სულხან-საბა ორბელიანის გეოგრაფიულ და კარტოგრაფიულ შრომებზე, რომლებიც მიგვითითებენ გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების მაღალ დონეზე ძველ საქართველოში.

ავტორის აზრით, სულხან-საბა მჭიდროდ იყო დაკავშირებული წინარე ხანის ქართულ გეოგრაფიულ აზროვნებასთან. მან ბევრი რამ აიღო და შეითვისა XVII-XVIII საუკუნეების ევროპული ისტორიოგრაფიიდან, რაზეც ნათლად მეტყველებს „სიტყვის კონა“, „მოგზაურობა ევროპაში“ და მისი მასალების მიხედვით შედგენილი კავკასიის რუკა.

„სიტყვის კონის“ გეოგრაფიული მხარე. ამ ქვეთავში ყურადღება გამახვილებულია გეოგრაფიულ მონაცემებზე. აღნიშნულია, რომ სულხან-საბა ორბელიანი იძლევა რელიეფის ფორმის გამომხატველი, კლიმატური, ჰიდროგრაფიული, ნიადაგური და გეობოტანიკური ხასიათის ცნობებს, აგრეთვე მთელი რიგი ნიალისეული სიმდიდრეების დასახელებას.

ნიალისეულ სიმდიდრეთა ცოდნის ფართო ჰორიზონტი იმის მაჩვენებელია, რომ საბას უნდა გამოეყენებინა ადრე არსებული მინერალური კლასიფიკაციები ალ-ბირუნისა, იბნ-სინასი და სხვა წყაროები.

სავარაუდოა, რომ ევროპული და სხვა სახელწოდებები სულხან-საბას უნდა ჩამოეტანა ევროპიდან, სადაც სამოგზაუროდ გაემგზავრა 1714 წლის აპრილში შემდეგი მარშრუტით: თბილისი-კონსტანტინოპოლი-მარსელი-პარიზი-სავოია-მონაკო-ვენუა-რომი-ფლორენცია-პიზა-ლივორნო-პალერმო-მალტა-კონსტანტინოპოლი-ქობულეთი-ახალციხე-თბილისი.

სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ წარმოადგენს უცხო ქვეყნების მხატვრულ-გეოგრაფიული აღწერის საინტერესო ცდას. აქ გვხვდება ვრცელი ცნობები მოვლილი ქვეყნების შესახებ. დიდი ადგილი ეთმობა იტალიის აღწერას. მრავალფეროვანია დაკვირვებისა და აღწერის ობიექტები — ესაა გეოგრაფიული დახასიათება მხარეებისა და ქალაქებისა, მოსახლეობის საქმიანობისა და ქვეყნების პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისა, ბუნებისა და ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლებისა.

სულხან-საბას მონანილეობით შედგენილ რუკაზე დატანილია მთელი ამიერკავკასია და კასპიისპირა სანაპიროები, საქართველოს რუკა თვითონ სულხან-საბას შეუდგენია და თანაც იმდენად კარგად, რომ ევროპელი სპეციალისტების მონონება დაუმსახურებია. კერძოდ, ჰამბურგის გეოგრაფიული მუზეუმის რექტორი იოჰან ჰიუბნერი თავის ნიგნში წერს: „განსაკუთრებით გულმოდგინედაა დამუშავებული ცნობილი პროვინცია გეორგია“.

ი.ა.

კობა ხარაძე

სულხან-საბა ორბელიანი

ნიგნიდან: გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, „მეცნიერება“, თბ., 1996.

ბიოგრაფიული ექსკურსის შემდეგ ავტორი იწყებს მსჯელობას სულხან-საბას ევროპაში მოგზაურობის შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს მოგზაურობის მარშრუტს. მისი დაკვირვებით, „მოგზაურობის“ ჩანაწერებს აკლია მარსელი — პარიზი — ვერსალის აღწერა.

„მოგზაურობის“ მნიშვნელობაზე საუბრისას აღნიშნულია, რომ სულხან-საბა არის ფართო დიაპაზონის მქონე მეცნიერი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კარტოგრაფიისა და გეოგრაფიის განვითარებაში.

სულხან-საბას დიდი ინტერესი გამოუჩენია ევროპული კარტოგრაფიული მიღწევებისადმი. ამას მონიშნავს მოგზაურობიდან წამოღებული მსოფლიო ატლასი და რუკები. ჩვენამდე მოაღწია მის მიერ საქართველოში ჩამოტანილმა 1711 წლის მსოფლიო ატლასმა, რომელშიც არის ქართული მინაწერები. პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ატლასის მინაწერები ძირითადად საბას მიერ არის გაკეთებული. ატლასზე მოცემული სახელები გეოგრაფიული კოორდინატებით გადატანილ იქნა მის ლექსიკონში.

გარდა ამისა, სულხან-საბას ლექსიკონის გეოგრაფიული მასალა თვალნათლივ მიგვანიშნებს, რომ XVIII საუკუნის საქართველოში საკმაო პირობები ყოფილა გეოგრაფიული მეცნიერების შესწავლა-განვითარებისათვის, რაც იმ დროს ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ვახტანგ მეექვსემ და ვახუშტი ბაგრატიონმა. შეიძლება ითქვას, რომ სულხან-საბას ლექსიკონი თავისებური გეოგრაფიული ენციკლოპედიაა.

ი.ა.

პირთა საძიებელი

- აბაშიძე გიორგი მალაქია 39
აბაშიძე გრიგოლ 166
აბდულა-ბეგი 42
აბულაძე ილია 94, 101, 102, 109,
110, 111, 114, 121, 125, 134, 156,
165, 180, 206, 237, 238, 243,
აბულაძე ცისანა 237
ადელუნი იოჰან ქრისტოფ 163, 180
ავალიშვილი გიორგი 148
ავალიშვილი ზურაბ 76, 77, 78, 79,
165, 231
ავთანდილი 82, 84, 86, 89, 220
ავიცენა (იხ. იხ სინა აბუ ალი)
აკაკი (იხ. წერეთელი აკაკი)
ალ-ბირუნი 255
ალიყული-ხანი (იხ. იესე
ბატონიშვილი)
ამარტოლი გრიგოლ (იხ. გრიგოლ
ამარტოლი)
ამირანაშვილი შოთა 47, 54
ამირანი 83, 220
ამირეჯიბი ჭაბუა 84
ამირხანაშვილი ივანე 205, 209, 224,
225, 226, 242, 247, 228, 231, 232,
233, 251, 252, 253, 256
ამიჩბა გ. 156, 180
ანდრია მარქვის ეპისკოპოსი 14
ანთიმოზ ივერიელი 42
ანტონ I კათალიკოსი 82, 134, 139,
142, 149, 228,
არეტინო პიეტრო
არისტოტელე 11, 27, 61, 64, 65, 72,
74, 96, 100, 251
არკადი 189
არსაიძე გივი 190, 191
არსენ არქიმანდრიტი 217
არსენ იყალთოელი 116, 118, 121
არტური 2
არჩილი 30, 42, 53, 81, 82, 9, 163,
164, 20, 217
ასტრიანი 129, 134
აღმაშენებელი დავით (იხ. დავით
აღმაშენებელი)
ხაბუნაშვილი 119, 135
ბაგრატიონი 133
ბაგრატიონი ვახუშტი 36, 38, 39,
40, 41, 46, 47, 48, 49, 52, 53, 54, 55,
142, 143, 144, 145, 148, 256
ბაგრატიონი თეიმურაზ 158, 182
ბაგრატიონი იოანე (იხ. იოანე
ბატონიშვილი)
ბაგრატიონი კონსტანტინე (იხ.
კონსტანტინე მუხრან-ბატონი)
ბაკურაძე ლია 102, 106, 114, 116,
135
ბაჟანი მიკოლა 177
ბარათაშვილი ნიკოლოზ 177, 247
ბარამიძე ალექსანდრე 75, 79, 154,
156, 161, 165, 172, 176, 177, 180, 185,
206, 207, 209, 221, 228, 229, 243,
248,
ბარამიძე რევაზ 155, 180, 181, 206,
208, 209, 210, 248
ბარ-ჰებრაია გრიგოლ-იოანე აბულ-
ფარაჯ 77, 230
ბატონი 57, 73, 74
ბაუმშტარკი ა. 163, 181
ბახტინი მიხეილ 87, 91
ბეკონი როჯერ 25
ბეკონი ფრენსის 25
ბელარმინო რობერტო 147
ბელი რ. 94, 114
ბენვენისტი ემილ 111, 112
ბერენდეტი ჰანს იოახიმ 166
ბერიძე ვ. 54
ბერიძე თ. 40, 54
ბერნანდო მარია ნეაპოლელი 119,
132
ბერულავა ხუტა 168, 173
ბერძენიშვილი ნიკო 36, 40, 54, 148,
149,
ბესიკი (იხ. გაბაშვილი ბესარიონ)
ბიკერტონი 101, 114
ბლაიხშტაინერი რობერტ 164, 181
ბლანკოფი ჟან 162
ბლეიკი რობერტ 243

ბლუმფილდი ლეონარდ 92, 114
 ბოკაჩო ჯოვანი 233
 ბოლქვაძე თინათინ 92, 101, 111, 114, 133, 135
 ბოლხოვიტინოვი ევგენი 150, 156, 157, 163, 181
 ბოტკინი მიხეილ 47
 ბოჭორიშვილი ლ. 38, 54
 ბრაუნი იან 177
 ბრაჩოლინი პოჯო 230
 ბრეგაძე ლევან 75, 77, 79, 16, 165, 18, 230, 231
 ბროკჰაუზი 152
 ბროსე მარი 157, 158, 159, 161, 181, 187
 ბოდრიარი ჟან 21
 ბუაჩიძე გასტონ 157, 158, 160, 161, 162, 175, 180, 181,
 ბუიონი ჟორჟ 162, 163

გაბაშვილი ბესარიონ 30, 32, 40, 43, 82
 გაბრო 89
 გალაკტიონი (იხ. ტაბიძე გალაკტიონ)
 გამრეკელი ნ. 151, 181
 გამსახურდია კონსტანტინე 219, 220, 221, 247
 გამყრელიძე ალექსანდრე 102, 108, 114, 181
 გასპარ ქართველი 39
 გაჩეჩილაძე გიორგი 73, 74
 განერელია აკაკი 156, 181
 გელოვანი გაბრიელ 52
 გელოვანი 53
 გენაძე დ. 102, 114, 120, 13, 156, 181
 გვარჯალაძე ი. 181
 გვახარია 56, 74
 გვრიტიშვილი დ. 36, 54
 გიგინეიშვილ ივანე 125, 135, 239, 240
 გივი (იხ. არსაიძე გივი)
 გიორგი 44
 გიორგი V 168
 გიორგი XI 30, 31, 43, 94, 167, 207, 215, 222, 234

გლავანი ქსავიერო 39, 50, 54
 გოეთე იოჰან ვოლფგანგ 84, , 196, 197
 გოლოვინი მიხეილ 53
 გოგებაშვილი იაკობ 196
 გორკი მაქსიმ 156
 გრაჟენე დანუტე 178
 გრიგოლ ამარტოლი 121
 გრიგოლი (დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი) 39
 გრიშკენასი ა. 179, 181
 გუდიაშვილი ლადო 154, 161
 გუკოვსკი მ. 72, 74
 გურამიშვილი დავით 82, 87, 91, 163, 211, 219, 239, 243

დადიანი გიორგი IV 39
 დადიანი დავით 158
 დავით აღმაშენებელი 22
 დავითაშვილი ზ. 221
 დავით ბერი 32
 დათაშვილი ვახტანგ 251
 დათიკო 89
 დამასკელი იოანე (იხ. იოანე დამასკელი)
 დანელია კორნელი 96, 110, 114, 121, 125, 135
 დანელია სერგი 100, 114
 დანტე ალიგიერი 154
 დარეჯან ბატონიშვილი 217
 დ'არნუ პიერ 32, 52
 დეეტერსი გერჰარდ 164, 181
 დევალი 54
 დეზალორი 235
 დეკარტი 24
 დემანდრი ბერნარ 161
 დემეტრე I 47
 დეტორსი 235
 დიადოხოსი პროკლე (იხ. პროკლე დიადოხოსი)
 დიუმენი ფილიპ 162
 დოდაშვილი რუსუდან 157, 159, 181
 დოიაშვილი თეიმურაზ 55
 დომენტი 42
 დონდუა დ. 52, 53, 55
 დონდუა კ. 125, 135

დოსითეოსი 38, 42
დოჩანაშვილი გურამ 84
დოჩანაშვილი ელენე 135
დუდაევი ჯოჰარ 194
დუშანი 26

ეზოპე 75, 76, 78, 79, 161, 233
ელიმბაევი მ. 179, 182
ელცინი ბორის 193
ემპიდოკლე 83
ერბი ე. 167, 182
ერეკლე I ნაზარალიხანი 30, 36, 212, 222
ერეკლე II 42
ერისთავი რაფიელ 113, 114, 237
ერმისი ამონიოს 117
ესაია 36
ეტიამბლი რენე 162
ეფრემ მცირე 118, 243
ეფრონი 152

ვათეიშვილი ჯ. 92, 93, 114
ვაჟა-ფშაველა 83, 86, 219, 243, 247
ვარდანი 75, 76, 78
ვარდროპი (იხ. უორდროპი
ოლივერ)
ვაცულინი ივო 177, 178, 182
ვახტანგ V შაჰნავაზი 36, 207, 222
ვახტანგ VI 18, 19, 26, 28, 32, 33, 36,
37, 39, 41, 42, 43, 44, 45, 46, 48, 51,
52, 82, 94, 95, 154, 158, 161, 164,
167, 170, 206, 207, 209, 210, 211,
213, 215, 216, 217, 218, 222, 223,
224, 234, 235, 236, 242, 243, 244,
245, 256
ვახტანგი 222
ვახტანგ მეფე (იხ. ვახტანგ VI)
ვახტანგ ჯანიშინი 32
ვახუშტი ბატონიშვილი (იხ.
ბაგრატიონი ვახუშტი)
ვეუბიცკი ა. 99, 100, 114
ვივიანი ქეთრინ 163, 173, 174, 175,
176, 184
ვირსალაძე ელენე 229
ვოლტერი 162

Zაალი 242
ზარდალიშვილი გრიგოლ 255
ზალემანი კ. 159, 182
ზარიძე ნ. 132, 135
ზოსიმე (იხ. ორბელიანი ზოსიმე)
ზურაბიშვილი ავლიპი 245, 246
ზ. ც. (იხ. ცხადაია ზოია)

Tავაქარაშვილი მამუკა 82
თამარაშვილი მიხეილ 38, 52, 53, 55,
138, 146, 147, 149, 223
თამარაშვილი მიქელ (იხ.
თამარაშვილი მიხეილ)
თარხნიშვილი მიხეილ 179, 18, 182
თაყოაშვილი მიკირტუმ 36
თეიმურაზ I 82, 163, 164, 211, 222
თეიმურაზ II 36
თეიმურაზ ბატონიშვილი 41
თემურ ლენგი 42
თეოფილაქტე ბულგარელი 117, 121
თვალთვაძე ფატი 155, 182
თვარაძე რევაზ 231
თოდუა მაგალი 206
თურნავა რუსუდან 171, 174, 175,
182
თურნავა სერგო 162, 163, 182

ი. ა. (იხ. ამირხანაშვილი ივანე)
იაკობსონი რომან 97, 114
იაკობ შემოქმედელი 82
იალღუზიძე იოანე 157, 228
იზ სინა აბუ ალი 59, 74, 255
იედლიჩკა იერომირ 178
იევლევი 47
იესე ბატონიშვილი 41
ივანოვი 58, 59, 74
ივდითი 231
ივერიელი ანთიმოზ (იხ. ანთიმოზ
ივერიელი)
ილია (იხ. ჭავჭავაძე ილია)
იმედაშვილი გაიოზ 156, 182
ინ-მანი (მაჭავარიანი ივანე)
იოანე-ალექსანდრე 26
იოანე ბატონიშვილი 84
იოანე დამასკელი 96, 251
იოანე ნათლისმცემელი 207

ვორონცოვი მიხეილ 5
იოანე ქსიფილინოსი 121, 123,
იორდანიშვილი სოლომონ 41, 53,
77, 79, 154, 206, 229, 237
იოსები 231
იოსებ ქართველი 39
იოსელიანი პლატონ 36, 41, 42, 44,
47, 53, 54, 55
ირბახი ნიკიფორე 42, 53, 92, 128,
132
ირმშერი იოანეს 75
იმტვანოვიჩი მარტონ 176, 182, 183

კაგემუშა 26
კავკასიძე მელქისედეკ 243
კაზანოვა ჯაკომო 24, 25
კაკულია ა. 178
კალანდარიშვილი გ. 156, 183
კალიოსტრო ალესანდრო 24
კანდელაკი ნიკოლოზ 224, 225
კანტი ემანუელ 81
კარბელაშვილი პოლიექტოვ 221
კარგარეთელი დიმიტრი 217
კარგარეთელი ტიტე 217
კაციტაძე დ. 54, 55
კახნიაშვილი ვ. 167
კეკელიძე კორნელი 59, 74, 75, 79,
92, 137, 146, 147, 148, 149, 156, 161,
165, 172, 183, 209, 210, 211, 214,
218, 221, 219
კვანტალიანი შარლოტა 205, 221,
222, 223, 227, 230, 233, 246, 249
კვაჭანტირაძე თამაზ 212
კვაჭი 12, 16, 17
კიკვიძე ცოტნე 125
კიკნაძე ზურაბ 246
კიკნაძე რევაზ 54, 55
კინწურაშვილი კ. 152, 183
კიფერი როზმარი 162, 163,
კლიმენტი XI 25, 150, 180, 224, 234
კობალაძე მ. 156, 183
კოლუმბი 82
კონსტანტინე მუხრან-ბატონი 50
კოჭლამაძაშვილი ექვთიმე 146, 149
კუროსავა აკირო 26

იოანე ოქროპირი 117
სიბნიცი გოტფრიდ 9
ლაისტი არტურ 164, 183
ლანგი დევიდ 3, 55, 171, 172, 173,
174, 175, 183
ლაფონტენი 161, 162, 168, 196, 233
ლაშა-გიორგი 174
ლევან II 43, 53
ლეონი 64, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72,
78, 84, 90, 172, 175, 189, 223, 226
ლეონიდე 221
ლეონიძე გიორგი 30, 37, 52, 53, 55,
75, 79, 155, 156, 161, 164, 165, 177,
186, 212, 213, 221, 228, 229
ლეონტი მროველი 201
ლივორნელი ჯუსტინო 138, 139, 146
ლოზოლა 48
ლოლაშვილი ივანე 138, 144, 145,
147, 148, 152, 184, 206, 214, 221, 228
ლომაშვილი ჯიბო 234
ლორთქიფანიძე გრიგოლ 32, 47, 52
ლორთქიფანიძე ე. 184 156
ლ. რ. (იხ. რუხაძე ლალი)
ლუარსაბი 12, 16, 17
ლუდოვიკო XIV 23, 24, 25, 32, 52,
168, 180, 216, 222, 223, 224, 233,
234, 235
ლუი (იხ. ლუდოვიკო XIV)
ლუნდბერგი ე. 154, 186

მაგაროტო ლუიჯი 161, 180, 184
მათე 58, 60
მაიზელი მ. 135
მაკარი ანტიოქიელი 14, 15, 29
მაკიაველი ნიკოლო 65, 74
მალაზონია მამია 174
მალიუგინა ა. 162, 184
მალტ-ბრენი 157, 184
მალქოზ ურია 59, 60, 61
მარიამ ბატონიშვილი 243
მარი ნიკო 75, 78, 79, 151, 242, 243
მარტიროსოვი არამ 128, 129, 135
მარუაშვილი ლ. 156
მარქსი კარლ 254
მაჩაბელი ივანე 16
მაჭავარიანი ივანე 170, 182

მაჯო ფრანჩესკო-მარია 42, 92, 106, 119, 127, 132
 მაჰმადყულიხანი 43, 44
 მგელყანაშვილი ზურაბ 143
 მეგრელიძე იოსებ 231
 მელორი თომას 25
 მენაბდე დარეჯან 150
 მენაბდე ლევან 148, 149, 184, 215, 221
 მერჩულე გიორგი 219
 მესხია შოთა 54
 მეტრეველი არჩილ 164
 მეტრეველი ელენე 95, 110, 112, 114, 206, 241, 242, 243
 მთვარელიშვილი ნ. 184
 მითრიდატე 163
 მინდია 83
 მირანდოლა პიკო დე ლა 65
 მოლიერი ჟან ბატისტა 24
 მონგიორდი თადეუშ 177, 184
 მორისი ჩარლზ უილიამ 97, 98, 99, 102, 114, 169
 მორჩილაძე აკა 84
 მოჰამედ რიზა-ხანი 33
 მროველი ლეონტი (იხ. ლეონტი მროველი)
 მურიე ჟიულ 159, 160, 161, 184
 მჭედლიშვილი ჯ. 173, 184, 185

ნადირ-შაჰი 36
 ნაზარალიხანი (იხ. ერეკლე I)
 ნაზარალიხანი
 ნაზარი 62, 63
 ნაკაშიძე ე. 55
 ნატროშვილი თ. 185
 ნაცვლიშვილი ჰაატა 225
 ნემესიოს ემესელი 96, 251
 ნიკოლოზი (იხ. ბარათაშვილი ნიკოლოზ)
 ნოვიცკი ოლექსა 177, 185
 ნოიკომი რუთ 164, 185
 ნუცუბიძე შალვა 250, 251

ოდისევსი 82

მაჭავარიანი მ. 169, 184
 ორბელიანი გრიგოლ 7, 165
 ორბელიანი ელისაბედ 173
 ორბელიანი ვახტანგ (იხ. ვახტანგი)
 ორბელიანი ზოსიმე 242
 ორბელიანი მზეჭაბუკ 142, 146
 ორბელიანი ნიკოლოზ 142, 143, 145, 146
 ორბელიანი სულხან-საბა 7, 8, 9, 10, 11, 12, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 48, 49, 50, 51, 52, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 90, 91, 92, 94, 95, 96, 98, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 147, 148, 149, 150, 151, 152, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 186, 187, 188, 190, 191, 192, 193, 194, 195, 196, 198, 200, 202, 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256
 ორლოვსკაია ნატალია 109, 115, 119
 ოსეშვილი იოანე 44

პავლე მოციქული 148
 პაოლინი სტეფანე 42, 92, 128, 132
 პერო შარლ 75, 76, 78
 პეტეფი შანდორ 194
 პეტრე I (იხ. პეტრე დიდი)
 პეტრე დიდი 27, 223, 236

ოილენშპიგელი ტილ 163
 ონანა მდივანი 211
 ორბელიანი გიორგი 159
 პეტროვა ი. 173, 184, 185
 პეჩი გერტრუდ 167, 168, 185
 პლატონი 72, 73
 პონმარტრენი 234
 პოპიაშვილი ნინო 226
 პორფირე 251
 პოტი 121
 პრამპოლინი ჯაკომო 179, 185
 პროკლე დიადოხოსი 251 118
 ქსარევი ვ. 179

ქამთააღმწერელი 12
 ყორდანია თედო 38, 42, 55

ჩამბუიე დე მარკიზა 23
 რამიშვილი გ. 97, 101, 115
 რატინი ირმა 9
 რაფავა მაია 135
 რევიშვილი შოთა 163, 185
 რიაზინინი მ. 156, 185
 რიშარი 30, 32, 39, 51, 52, 234, 235
 როდამი 222
 რორტი რიჩარდ 24
 როსტევეანი 86
 როსტომ ხანი 36, 42, 222
 როტერდამელი ერაზმ 162
 რუსთაველი შოთა 7, 58, 64, 70, 74, 80, 81, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 91, 16, 177, 249205, 219, 247
 რუქა 57, 59, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 78, 172, 175, 189, 191, 195, 223, 226,
 რუხაძე ლალი 205, 237, 239, 240, 241, 243, 244, 248, 250
 რუხაძე ნელი 247, 248

საბა (იხ. ორბელიანი სულხან-საბა)
 სალია კალისტრატე 173
 სარჯველაძე ზურაბ 125, 126
 სედლაჩევი ირჟი 178
 სედრაქი 57, 59, 60, 61, 62, 63, 64, 66, 67, 69, 71, 72, 78, 195, 226
 სერვანტესი მიგელ დე 82

პეტრე მოციქული 147, 231
 პეტრინი იოანე 117, 118, 135
 სირაძე ელენე 168, 185
 სირაძე რევაზ 72, 74
 სიხარულიძე ქსენია 231
 სკიუდერი ჟორჟ 2
 სკვორცოვა ბ. 135
 სმიტი ჯ. 180, 185
 სოკრატე 73
 სოლომონ ბრძენი 231
 სოლომონი 78
 სოსიური ფერდინანდ 111, 112, 113
 სპინოზა 91
 სტალინი 12, 16, 22
 სტივენსონი რობერტ 162, 163, 174
 სტურუა ელენე 177
 სულხანი (იხ. ორბელიანი სულხან-საბა)
 სურგულაძე მ. 173, 185
 სხირტლაძე სიმონ 221, 222

ჯაბალუა ილია 45, 55, 235, 236
 ტაბიძე გალაკტიონ 83, 91, 247
 ტაკედა 26
 ტასო და არისტო 88
 ტინიანოვი ი. 154
 ტოლჩანოვი 47
 ტრეკანი ჯ. 179
 ტულუში ა. 38, 55
 ტფილელი ორბელიანი ნიკოლოზ (იხ. ორბელიანი ნიკოლოზ)

მზნაძე დიმიტრი 248, 250
 უთურგაიძე თედო 109, 115, 119, 135
 ულისე 82
 უმიკაშვილი პეტრე 139
 უორდროპი მარჯორი 168, 169
 უორდროპი ოლივერ 164, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 185
 ურბან II 22
 ურუშაძე აკაკი 116, 135

წავლენიშვილი ოტია 148, 149
 ფარნავაზი 95
 ფატმანი 89

სვიფტი ჯონათან 16, 170
 სიდონია 201
 სიზიფე 83
 სიმონ ბატონიშვილი 41
 ფინეზი 57, 59, 62, 63, 67, 195, 226
 ფინკი ფ. 163, 185
 ფირალიშვილი ზაზა 10
 ფოგტი ჰანს 162
 ფოცხიშვილი ალექსანდრე 108, 115
 ფრანგიშვილი ალექსანდრე 248
 ფრიდრიხ ვილჰელმ III 158
 ფურლანი ჯუზეპე 179 185

ღ
 ღვთარია მიხეილ 94, 95, 101, 115
 ქაიხოსრო მეფე 32, 40, 215, 234
 ქებაძე პეტრე 158
 ქიქოძე გერონტი 222, 223
 ქოიავა ნ. 55 51, 54, 251
 ქორთოძე ანიკა 38
 ქრისტე 78
 ქსიფილინოსი იოანე (იხ. იოანე
 ქსიფილინოსი)
 ქუთათელაძე ლილი 54, 55, 94, 115,
 118, 136, 147, 148, 149, 156, 185,
 227, 242
 ქ. შ. (იხ. შენგელია ქეთევან)

რ
 რამბაშიძე ე. 149
 ლაღანიძე მერაბ 137, 147, 213
 ლოლობერიძე ელენე 154, 155, 176,
 77, 179, 185

ყ
 ყაზაზიშვილი 177, 186
 ყაზბეგი ალექსანდრე 7, 199
 ყამარი 83
 ყაუხჩიშვილი სიმონ 136
 ყაფლანიშვილი სულხან (იხ.
 ორბელიანი სულხან-საბა)
 ყენია რ. 47, 55
 ყვარყვარე 12, 16, 17
 ყიფიანი გ. 50, 55
 ყიფშიძე ი. 237
 ყუბანეიშვილი სოლომონ 31, 59,
 74 148, 206, 217

ს
 სანიძე აკაკი 102, 103, 104, 106, 115,

ფენრიხი ჰაინც 166, 167, 185
 ფერენსენე გოდა 178, 179, 185
 ფერნე 75, 76, 78
 შარვაშიძე როსტომ 50
 შარვაშიძე ყვაპუ 50
 შარვაშიძე ჯიქუშია 50
 შაჰ-ისმაილი 43, 53, 54
 შაჰნავაზი (იხ. ვახტანგ V
 შაჰნავაზი)
 შევარდნაძე ედუარდ 195
 შელერი მაქს 23
 შემოქმედელი იაკობ (იხ. იაკობ
 შემოქმედელი)
 შენგელია ქეთევან 205, 216, 235,
 236, 254
 შერმადინი 89
 შექსპირი უილიამ 15, 25
 შილაკაძე ი. 129, 136
 შ. კ. (იხ. კვანტალიანი შარლოტა)
 შკლოვსკი ვიქტორ 156, 186
 შოთა (იხ. რუსთაველი შოთა)
 შურღაია გაგა 180, 186
 შუმანიკი 129

ც
 ცანტლაძე ვასილ 253, 254
 ჩაჩიკაშვილი თომა 148
 ჩაჩიკაშვილი კორნელი 148
 ჩაჩიკაშვილი ნიკოლოზ 142, 144,
 145, 147, 148
 ჩერნი ვაცლავ 178
 ჩილაჩავა რაულ 177, 186
 ჩიქობავა არნოლდ 103, 104, 107,
 115
 ჩიქოვანი კაცია 39
 ჩიქოვანი მიხეილ 166, 229
 ჩოლოყაშვილი ნიკიფორე (იხ.
 ირბახი ნიკიფორე)
 ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო
 ჩუბინაშვილი ნიკო 54
 ჩუბინიშვილი დავით 151, 186
 ჩუბინოვი დავით (იხ. ჩუბუნეშვილი
 დავით)
 ჩხატარაიშვილი ქველი 155, 156,
 186
 ჩხეიძე როსტომ 188
 ჩხეიძე ტ. 129

116, 135, 237, 242, 243, 244
შანშოვანი ზურაბ 134
შარაძე გურამ 169, 170, 186
შარდენი 92, 93
შარვაშიძე ზეგნაყ 50
ცაგარელი ალექსანდრე 151, 152,
153, 154, 159, 161, 164, 165, 169,
170, 171, 172, 186, 187, 211, 228, 229
ცაიშვილი სარგის 155, 156, 186,
187, 218, 245
ცანავა აპოლონ 228, 229
ცურტაველი იაკობ 129, 219
ცუცქირიძე ლ. 155
ცხადაია ზოია 205, 210, 211, 212,
213, 215, 217, 218, 219

Зამპი იოსებ მარი 52
დამპი ჯუზეპე 38
დიდიგური შოთა 243

წერეთელი აკაკი 165, 177, 196, 219,
233, 243
წერეთელი გიორგი 48, 55
წერეთელი გრიგოლ 228
წერეთელი მიხაკო 164, 165, 167,
187
წულაძე სერგი 162, 163, 187

წაჭავაძე ილია 7, 9, 19, 21, 89, 165,
169, 177, 219, 239, 243, 247
ჭაშნავი 89
ჭუმბურიძე ზურაბ 122, 136, 244

ხანთაძე შოთა 157, 187
ხარაძე კობა 256
ხარბედია მალხაზ 30
ხახანაშვილი ალექსანდრე 151, 161,
187, 218, 228
ხელაშვილი იონა 228
ხორანაული გ. 248

ქავახიშვილი ივანე 48, 53, 55, 124,
136
ქავახიშვილი მიხეილ 84
ქაველიძე ელიზბარ 247
ჯანაშვილი მოსე 221

ჩხეიძე ოთარ 84, 188, 191, 192, 193,
199, 200, 201, 202, 203
ჩხენკელი კიტა 165, 166

ჯუანშერი 188
ჯუმბერი 189, 226
ჯღარკავა ი. 156, 187

ჩაიდეგერი 12
ჭაუგენი 93, 94, 95, 97, 110, 115
ჭერაკლიტე 83
ჭეროდლოტე 200
ჭიუბნერი იოჰან 256
ჭოიზინგა 56, 58, 74

ჯანაშია სიმონ 241
ჯიზი-გურგენი 89, 90
ჯიქია ასმათ 249
ჯონსონი სემუელ 31
ჯორჯანელი კარლო 168